UDC(უაკ) 050(479.22) ISSN 2233-3312
ა-376

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემია

ა თ ი ნ ა თ ი

2023 / 4 / (50)

თბილისი
2023



ღმერთო,

შენი რწმენით

ვცოცხლობ!

გულნაზი ხარაიშვილი (ცისკარელი)



„ჯვარცმა“
ხატმწერები: **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები**



„ფერისცვალება“

დეისუსი. ხატმწერები **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები**

მამა გაბრიელი

მიცვალებულის სახელზე რომ პანაშვიდი გადაახდევინო, ისეა, თითქოს პატიმარი გაასეირნო დღის სინათლეზე, ხოლო თუ შეკვეთილ წირვას გადაუხდი, მაშინ არწივივით აფრინდება! შვიდ შეკვეთილ წირვას ძალიან დიდი ძალა აქვს, ხოლო თორმეტ შეკვეთილ წირვას ჯოჯოხეთიდან ამოჰყავს სული, რანაირი ცოდვილიც არ უნდა იყოს, რა თქმა უნდა, გარდა ღვთის გმობელისა. მათზე ლოცვაც არ შეიძლება. მხოლოდ კეთილი საქმეები. თქვენ რომ ხედავდეთ, როგორი მადლი გადმოდის წირვის დროს, მზად იქნებოდით ტაძრის იატაკზე მტვერი შეგეგროვებინათ და იმითი სახე დაგებანათ...
/ წმ ბერი გაბრიელი /



უწმინდესი და უნეტარესი,
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

„მე მინდა მთელ საქართველოს ვუთხრა, რომ არ გაუტყდეს გული, ყველაფერი ეს განსაცდელი, რაც გვაქ, ყველაფერი გაივლის და ღმერთი გადმოგვხედავს, მე ასევე მინდა სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდეთ, აუცილებლად უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, შური არ უნდა ვიძიოთ. ბოროტებით ბოროტება არ იკურნება, ბოროტება ინკურნება სიყვარულით, ერთმანეთს გავუკეთოთ სიკეთე, შეიძლება ღირსიც არ არის ის, ამ სიკეთისა, მაგრამ ათმაგად შენ დაგუბრუნდება. არ შეგეშინდეთ, ყველაფერი კარგად იქნება. გიყვარდეთ ერთმანეთი“.

მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)



ᲨᲔᲕᲥᲛᲔᲜ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

აგერ წიგნები, თვალით რომ ხედავთ,
მეკი დარდებში შემომაღამდა,
მოკრძალებულად დღეს სიტყვას ვბედავ,
ლექსში კი გული ბევრჯერ აბღავლდა.
მარტოდ არა ვარ, ღმერთია ჩემთან,
მწრთვნის ისე როგორც ფოლადის ტყვია,
მე მის გარეშე სიტყვა არ მითქვას,
ვწერ და წყნარ ნიავს უფალთან მიაქს.
შევქმენ ჟურნალი არც თუ ურიგო,
წმინდა გიორგის, ნინოს ხატებით,
ვცდილობ სიკეთის ნერგი დაგირგოთ,
თუმც დარდიანი თქვენთვის დავტკბები.
ლეღვის რძესავით მდის სისხლი ხშირად,
და იობივით ვითმენ განსაცდელს,
მასაც დავლოცავ ვინაც მე მწირავს,
ბოროტებისთვის წლებს არ გავაცდენ.

გულნაზ ხარაიშვილი
ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

ჯგუფი ზღვარი

სერგი ლომაძე

ერთ-ერთი წერილიდან

...ხანდახან რითმაც არის ირიბი,
ჩემს ზოგ წერილს რომ შენთან მოჰყვება,
ესაა ჩემი პირდაპირობაც,
და ცხოვრებიდან მზის აორთქლებაც....

სადა ხარ... ახლაც გწერ ღამეებზე,
გულზე არეკლილ ჩრდილებზე ფოთლის
მთვარის სპეკალზე, უკვდავებაზე...
თუმც რჩება, სულში, მარადი შფოთი.

სიმშვიდე არის დიდი სწავლება,
მე ვერ შევირგე სიმშვიდის წიგნი,
და არის სულის გაფერმკრთალება,
და აფეთქება გონების შიგნით.

ამ მშიერ ქალაქს, მუდამ დაძაბულს,
ქალაქს, ათასგვარ პრობლემით სავსეს,
გავყურებ, როგორც სიზმრად დანახულ
ლევიათანს და... მერე ხელს ახებ.

ჩემს სიზმრებს... სიზმრებს... მოდიხარ ფრთხილად,
მთელს შენს ტკივილებს საწოლთან იხდი...
მერე კი, უცებ, თენდება დილა,
რომ, რეალობა, მე მძაფრად მივხვდე, –

შენ ქრები, მაგრამ შეგრძნება რჩება
წერილს რომ ფერად სტროფებით ავსებს,
გადაიქცევა ღრუბელი ფრთებად,
და გრძნობას ფრთხილად აიყვანს ცაზე...
ხანდახან ფიქრიც არის სიზმარი...

იდეალისტები

დაისს შერჩენია სითბო.
ზეცა გაუსერავს კინჯალს.
სერგი ყველაფერზე ფიქრობს,
მზე კი ცის სივრცეებს სინჯავს.

გონი უზარმაზარ გრძნობას
ყალბი გრძნობისაგან მიჯნავს,
არის სივრცეების დნობა,
არის იდეები მიჯნა.

ღმერთი, უსასრულოდ დიდი,
ზეცის შეწითლებულ ფინჯანს
ავსებს მზის წვენით და იტყვის –
რომ მზე უკვდავებას ნიშნავს.

დაისს შერჩენია სითბო,
განცდა სამყაროებს იტევს,
ვიღაც ისევ ეძებს დიდგორს,
ვიღაც ისევ ეძებს ქრისტეს...

ირეალური მოზაიკა

იქ, სიზმრებს იქით,
მზის ჩასვლისას,
მე შენ გიხილე.
მზე გიდნებოდა მზერაში და
თვალებს ცრემლები გისველებდა.
ნათელი ნელა ჩადიოდა,
მას მიჰყვებოდი სამუდამოდ,
მაგრამ ის ლოცვა
მზის ის ლოცვა, უკანასკნელი,
შენს სახებად ჩამრჩა, მე, გულში,
და ჩემი გული
იქცა შენს სახლად...
სიტყვამ წაშალა რეალობა
ცხადში, სიზმარში,
სიზმრებს იქით,
სამყაროს იქით...

ერთ-ერთი დღის განწყობა

ფოთლებიანად
გზა არის მნათი,
გზა არის მნათი
ფოთლებიანად,
და მზე, ბილიკზე,
კაცივით დადის,
ზეცაზე ასვლა
დაიგვიანა.

განათებულა
ოქროსფრად ბაღი,
ცის სიახლოვე
ისე იგრძნობა,
რომ გიხარია,
ყველაფრით დაღლილს,
ამ ბაღში ყოფნა,
მზით ხალისობა.

მერე კი,
როცა დადგება ღამე,
და აირეკლავს
მდინარე კოცონს,
მოგონებები
გაგიხსნის ამბებს,
შენს გულს რომ
ასე ძალიან მოსწონს...

მზისფერობა

ფიქრების გზებზე მოხეტიალევ,
შენი ამბავი ვიცი, მე, კარგად:
როცა ზეცაზე მკრთალად იალებს
და ალიონი ფერების ქარგვას

ფრთხილად დაიწყებს, შენ მოხვალ მაშინ,
მოხვალ მზისფერი სახარებით და
სამყაროსხელა ტაძარში გაშლი
ამ სახარებას, ხოლო მთებიდან

ამოვარდება, იმავწამს, მნათი,
მზე გაიმარჯვებს ბნელზე, ვნებული...
შენ კი გაქრები, ვით სიზმრის კადრი,
რეალობაში არარსებული...

შემოდგომა

ფოთლებს, ამ ფოთლებს,
უთვალავწლის სიცოცხლის ტოლ
წამს რომ ცხოვრობენ,
ფოთლებს, ამ ფოთლებს,
მივესალმები.
მივესალმები მზეს,
აი, ამ მზეს,
და ამ სივრცეს -
უსაზღვროებას.
მივესალმები შემოდგომას,
ამ შემოდგომას,
რომელიც დგამს
ფოთოლთ თეატრებს
(ფოთოლთ სპექტაკლებს).
არის სივრცის სიფერადე
და არის ფიქრი...
სულ არის ფიქრი...

კახა ბაციკაძე

* * *

რაც უნდა ლექსით გაქო, გახარო,
ეს არ იქნება გარდამეტებით,
ლექსით შეგიქმნი ახალ სამყაროს,
ამ სამყაროსთვის არ მემეტები...

სიტყვით ყოველი ტკბილი შექება
იქნება მხოლოდ თქმული სიმართლედ...
ყველაზე შავი ღამეც თენდება,
როცა შენ ჩნდები – დიდო სინათლევ...

ღამის ლანდები

არავინ არის და მხოლოდ ქარი
აწვალებს სულის დამტვრეულ ჭიშკარს,
კვლავ სევდა იშვა, როგორც ტაძარი,
და კვლავ იშლება ფიქრების ქვიშაც...

მთელი ცხოვრება თუ არის ომი,
კითხულობ წყრომით: ღირდა კი მოსვლად?
სულს ღამე მოსავს, ფიქრების ტომი
იშლება და კვლავ ამშვნებს მგოსანს...

სული – ველია, გრძნობა – ყვავილი,
ისევ ჩაივლი, ლანდივით, ქუჩას...
მერე ჩაისთვის ეძებ ფიროსმანს...
და სამყაროსთან საუბრობთ ურჩად.

ვერ ეგუები ქვეყნად ბევრ რამეს
და ითვლის წამებს საათი მთვარის...
არავინ არის და მხოლოდ ქარი
აწვალებს სულის მაღალ კიპარისს...

შენი ხმა

(გამოარჩევს, სერგი, ისეთ პოეტებს, როგორებიცაა, ვთქვათ, რუსთველი, ბარათაშვილი, ვაჟა, გალაკტიონი, გრანელი... მაგრამ, როცა ჩემი ეს ლექსი წაიკითხა, მაინც წააწერა, იქვე, ფურცელს: „მეორე (ახალი) გალაკტიონი? ახალი ბარათაშვილი? ან, თუნდაც, ახალი რუსთველი?! (თვით რუსთველი?!)... არა, კახა არის მხოლოდ კახა, – ერთადერთი და განუმეორებელი კახა...“ ვეთანხმები ამ წარწერას. მე ჩემს სამყაროს ვქმნი, რომელიც სხვა სამყაროებს არა ჰგავს)...

ვუსმენ, თუ როგორ წარმოთქვამ სიტყვებს,
რომლებიც იტევს ზღვისფერ ლაჟვარდებს,
მაგ ხმით უხმობდა მარია ქრისტეს,
და არ არსებობს – შენი არ მწამდეს.
ფიქრთა ტაძრებში ფრესკებად გითვლი,
გამომყოლიხარ ყველა ხსოვნიდან,
და ეგ ხმა ისე საოცრად გითრთის,
თითქოსდა, ხმაში, თოვლი მოვიდა...
ვფანტე ლექსები, ფოთლებად, ქარში,
ლექსები – სულის საგალობელი.
თუკი სიცოცხლეს არ მჩუქნი, მაშინ
სიკვდილისთვისაც ვარ მადლობელი...
იქნებ იქმნება, აქ, ისტორია,
საუკუნეებს ფერფლავს სტრიქონი,

შენს ხმაში ისევ თეთრი თოვლია,
შენს წინ – ახალი გალაკტიონი,
ან იქნებ სული დაღრღნას ქარებმა,
სული – ფრინველი, სული – ფრთაშლილი,
ჩემში ჩასახლდა გალას ზმანება
და გახელება ბარათაშვილის,
და ცის ველებზე მერნების რემა
განუსაზღვრელი სისწრაფით მიჰქრის...
აქ კი, მიწაზე, ჩვენი პოემა
იქმნება – ტრფობის ციური წიგნი...
ფიქრთა ტაძრებში ფრესკებად გითვლი,
გამომყოლიხარ ყველა ხსოვნიდან,
და ეგ ხმა ისე საოცრად გითრთის,
თითქოსდა ხმაში თოვლი მოვიდა...

* * *

კვლავაც დავთვრები, მეგობარო, უკვე მეასედ...
თუ არ იცვლება ეს ცხოვრება, დედაც ვატირე...
არც მე ვიცვლები და სასმისი ისევ შეავსეთ,
არ ვემსგავსები ამ ცხოვრების მურტალ ვამპირებს...

ფიროსმანივით მაძებარი ვარ სარდაფების,
სინესტის სუნი გამჯდარია ფიქრის ქილაში,
გაბმული არის სევდის ღმერთთან სულის ძაფები,
და კვლავ ვარდება ფიქრის ვარდი გრძნობის
სილაში...

ალეწილია ამ ცხოვრების ჭრელი მაგიდა, -
ვერ მოიძებნა, შესაფერი, მისთვის, თამადა...
ვარ ამ სამყაროს იდუმალი ვინმე მაგი და,
თუნდ ერთი ლექსი შექმნილიყო, ღირდა ამადაც

ამ სამყაროში შემოგვევლო, მზერა მოგვევლო,
აწ კი შორია, უფრო, გზები წინ რომ მოგველის...
ვერვინ ამოგხსნა, უცნაურო წუთისოფელო,
თუმც კი ეცადა – ფაუსტიც და მეფისტოფელიც...

უცნაური განწყობებიდან

მე ისევ შენი თვალებით ვცხოვრობ,
არ არის მათზე მაღალი ზეცა,
გული ვადარე სისხლისფერ კოცონს,
ვეფხის ტყავივით მეც გრძნობა მეცვა...

ხანდახან ძველი რითმებით ვტკბები,
თანამედროვე კრიტიკის ჯიბრზე,
ცაში ანთია ვარსკვლავთა ტბები,
ხანდახან ვფიქრობ ლამაზ ვერლიბრზეც...

ვამბობ: სიტყვების ვარ წინამძღვარი,
ვფლობ პოეზიის სულ ყველა დონეს,
აქ არ არსებობს ჩემთვის საზღვარი,
ვერ მიწესებენ აკრძალულ ზონებს.

და სიყვარულად მოდის ლექსები...
და ოცნებებად მოდის ლექსები...
მოგონებებად მოდის ლექსები...
ქრისტეს ღიმილად მოდის ლექსები...

ფიქრის გორაზე ვარ შემომდგარი
და ვუმზერ სულის შეშლილ ტრამალებს,
დღეს მე თვითონ ვარ ის შემოდგომა,
ლექსთ-ფოთოლთ-ცვენა რომ ვერ დავმალე...

* * *

თოვლი მოვიდა,
ვით ძვირფასი, თეთრი ირემი,
და მოიტანა
გასაოცრად თბილი ნათება...
იბადებიან ფანტელები,
როგორც ფიქრები...

გიორგი ზუხბაია

ლექსი, წვიმა და აფრენილი ყვავილები

გული ფეთქავს მხოლოდ შენსკენ,
ველებს ღალავს სადაფივე,
ყვავილები მოსწყდნენ ფესვებს
და ზეცისკენ გადაფრინდნენ.
ნედლი ჰავა გაირინდა,
მე ვუძღვნიდი გულს იარებს,
წვიმამ ხელი ლექსს ჩასჭიდა
და ბილიკი გაიარეს.
გული ფეთქავს სადღაც ზემოთ,
სივრცეს იგი დაიდარდებს...
და მზის სხივთა გარეშემო
ყვავილები დაფრინავდნენ...

ჟოლოსფერი

სუნთქვა გიახლოვდა
ციურ შორი გზიდან,
როგორ გიხაროდა
ფერი შორი მზისა.
ღრუბლებს შენ უმზირე
გრძნობავ სათაყვანო,
თითქოს ხელის გულზე
ეს მზე აგეყვანოს.
ვნება გაირინდა,
შუქი დაგეღვივა,
როგორ ატირდი და
როგორ გაგეღიმა,
როცა მიმხილველი
გულზე ჟრჟოლვა მღერის,
როცა მზის სხივები
გახდნენ ჟოლოსფერი,
როცა ცის ალერსი
ფრფინვამ იფარულა,
როცა მზის ალები
იქცნენ სიყვარულად...

ბეთჰოვენის მტრედები

ის სახურავზე ცხოვრობდა სახლის;
ჰაერს, ხელივით, ფიქრი შევახე;
ის სახურავზე ცხოვრობდა და მას
თეთრი მტრედების მეფეს ეძახდნენ.

და ყოველ თეთრ მტრედს ფეხზე აბამდა
წერილებს, თავის სულის შემთხოვებს...
და რომ ეტყოდნენ – ვის უგზავნიო,
გიპასუხებდათ: ვის და – ბეთჰოვენს...

გამთენიისას მათ ააფრენდა;
ახლა ვეხები სევდას თითებით;
და ბეთჰოვენის თეთრი მტრედები
ზეცას ფარავდნენ ფრთების სითეთრით.

ის იყო გიჟი – ყველამ იცოდა,
მაგრამ მე, ერთხელ, დავხუჭე სული,
და ბეთჰოვენი წარმოვიდგინე -
თეთრი მტრედებით გარემოცული.

თეთრი მტრედები ისხდნენ მის მხრებზე,
შავ როიალზეც... მფრენნი თეთრ ნისლად...
და მაშინ მივხვდი, რომ ეს მტრედები
იყო მუსიკა ბეთჰოვენისა...

ის სახურავზე ცხოვრობდა სახლის;
ჰაერს, ხელივით, ფიქრი შევახე;
ის სახურავზე ცხოვრობდა და მას
თეთრი მტრედების მეფეს ეძახდნენ...

პოეზია

ამირან ამირანაშვილი

სიტყვა

სიტყვა ზოგჯერ არის სეტყვა,
ანადგურებს რასაც ხვდება.
შხამიანი სიტყვით ხშირად,
უამრავი კაცი კვდება.
მაგალითად სიტყვა ,,ცეცხლი“
აფეთქებს და ანადგურებს,
წვავს ყველაფერს რაც შეხვდება,
რასაც ამოითვალწუნებს.
ცეცხლს ჰგონია არ ჰყავს მტერი,
მისი მტერი არის წყალი.
თავს ესხმის და მყისვე აქრობს
აღარ რჩება ცეცხლის კვალი.
ეხლა ვნახოთ წყალის მტერი,
ეს ხომ მზეა ცხელი, მწველი,
ამოაშრობს წყაროს ღელეს,
უწყლოდ რჩება მთა და ველი...
მზეს კი ყინვა და თოვლი მტრობს,
ცდილობს მაგრამ ვეღარ გვათბობს,
ღრუბლებიდან იჭყიტება,
სიდიადეს ვეღარა თმობს.
ზამთრისა და ყინვის მტერი,
ისევ მზეა ცეცხლისფერი.
გაზაფხულზე აენთება,
ყინვას სცვივა სევდის ცრემლი.
მზე სიცოცხლის მომტანია,
მას შეჰხარის მთა და ველი,

მშვიდობა ყოველთა

მშვიდობა უფლის მადლია,
ომი კი ბოროტ ძალების.
უფალი ლოცვით გვმფარველობს
ბოროტი ცეცხლის ალებით.
მშვიდნი სიყვარულს ქადაგებს,
ბოროტს დღედაღამ არ სძინავს,
სამოთხე მშვიდთა ხვედრია,
ბოროტი ითვლის ნაძირლებს.
მშვიდს პატიების ნიჭი აქვს,
მზად არის ცოდვილს შეუნდოს,
ბოროტი მუდამ ხალხს დასდევს
ყველგან მახე რომ დაუგოს...
კეთილი მშიერს აპურებს,
მწყურვალს წყალს დაალევინებს,
ბოროტი წაგგლეჯს, წაგართმევს,
სულსაც არ მოგათქმევინებს...
სჯობს ყველამ მშვიდად ვიცხოვროთ,
სიყვარულს მივცეთ დინება,
თორემ ცოდვებით მდიდარი,
ჯოჯოხეთს მიედინება...

ადამიანო

ადამიანო, გენიოსო, სამყაროს მეფევ,
უფლისგანა გაქვს ნაბოძები ნიჭი, გონება,
მაგრამ სატანას ყოველთვის შურს შენი მეფობა,
ყოველ წუთს ცდილობს,რომ დაგიხშოს ზე, შთაგონება.
თუ სულს მიჰყიდი, მაშინ მონა გახდები მისი,
ეგ სულერთია ადამი ხარ, თუ მშვიდი ევა,
გაგათამამებს საცდურებით, ოქროთი, ვერცხლით,
ჯერ გაგამდიდრებას და მერე კი მთლად მოგერევა.
გაიძულებს რომ შეასრულო მიზნები მისი,
შენი ცხოვრების გაგრძელება გაგიჭირდება.
დაგცემს და გათრევს, გამოგაცლის ძალას, გონებას,
და სამუდამოთ შთაინთქება შენი დიდება...
ბომჟად იქცევი, გალოთდები, გარდაიქმნები...
ვისაც ეტრფოდი ის ამდაგვარს ვერ შეგიცოდებს,
ყველა ზურგს გაქცევს, ვინც გაქებდა, ვინც გადიდებდა,
ეშმაკის დევნა და ლოთობა გადაგიყოლებს.
დარჩები ასე უპატრონოდ ჭირის მძევალი,
უდაბნოს ხმელ ხეს ემსგავსები, ქარში მყოფელი.
სამწუხაროა ვერ მოირგე შენი ცხოვრება,
ეშმაკის დევნით ვერ შეიგრძენ წუთისოფელი.

ივერიის ღვთისმშობელო

დიდო ივერიის მფარველო დედა,
შუბით შებღალეს ხატება შენი.
ღვთიურ ლოყაზე შეგახმა სისხლი
წყეულიც იყოს მაგის ჩამდენი.

ზღვით განერიდე უსამართლობას,
ათონის მთამდე იცურე მალვით,
იქ გეგულვოდა ივერთ მამები,
გამოგაბრძანეს ხმელეთზე კრძალვით.

ქართველთ მონასტრის მცველად იქეცი,
გულში ჩაგიკრეს მშობელი დედა,
ცამდე სწვდებოდა მათი ლოცვები,
ვერავინ სიტყვა ვერ გაგიბედა.

ღვთისგან მესამედ მოვდივარ შენთან!
მონატრებული ცოდვილი შვილი,
მუხლმოდრეკილი გიკოცნი კალთას,
ამ წუთისოფლით დაღლილი მწირი.

შენდობას ვითხოვ ყველაფრისათვის,
მოგვალოცინე წმინდა ათონი,
გთხოვ მოგვიტევო ჩვენი ცოდვები,
მხოლოდ შენა ხარ ჩვენი პატრონი.

სიყვარული

თუ სიყვარული არ განგიცდია,
მთვარისთვის აზრი არ გაგიცვლია,
თუ ზღვის ნაპირზე გულის სწორისთვის,
გულისფანცქალით არ დაგიცდია...
გვიან, დაქანცულს სახლში მიმავალს,
გულამოსკვნილს თუ არ გიტირია,
თუ მთელი ღამე შენ ტკვბილ განცდებზე,
გათენებამდე არ გიფიქრია,
რა დაგაძინებს, კბილით ღრღნი ბალიშს,
გითანაგრძნობენ მთვარის სხვები,
ჟრუანტელები დაგიდის ტანში
არ გაძინებენ ღამის ხილვები...
სარკმლიდანა გჭრის თვალებს დილის მზე,
საშველს არ გაძლევს ძილით დამშეულს,
მზე უცნაურად მოგეჩვენება
უძილობისგან თავბრუდახვეულს.
არ ვიცი ახლა რამ გამახსენა,
ყმაწვილობაში ვისაც ვნატრობდი,
რა უცნაური არის ცხოვრება,
მას აქეთ მიყვარს ღამის მნათობი!

ვესალმები, მისალმება...

ერთი შაშვი მგალობელი,
ჩემი ტაძრის ჯვარზე ჯდება,
ტკბილად გალობს უხმობს უფალს,
რაღაც უცხო ამბებს ყვება.
ვესალმები, მესალმება,
ვფიქრობ რამის თხოვნა უნდა,
დედოფალი მოიყვანა,
ვფიქრობ ჯვრის დაწერა სურდა.
ახლა ერთად ფუსფუსებენ
ჩაუყარეს ოჯახს ფუძე,
გალობენ და ტკბილი სტვენით
მეც ამივსეს ლხენით უბე.
სახლს აშენებს, კი არ ხუმრობს,
მგონი არის ინჟინერი,
უსაფრთხო ადგილი ნახეს
იქ სურთ დაჩეკონ შვილები.
ამაყად ზის ტაძრის ჯვარზე,
გადმოჰყურებს ლამაზ ეზოს,
ცალი თვალი კატისკენ ააქვს,
არ მიაგნოს ბუდეს ერდოს.
ჩემი შაშვი ხშირად მოდის,
ჯვარზე ზის და ტკბილად გალობს,
ყოველ დილით თვალით ვეძებ,
გალობით რომ გამახაროს...
შაშვმა ჯვარზე იგალობა,
მეც ავუბი მგოსანს მხარი,
ჭიკჭიკებს და გულს გვიმხნევებს,
გალობით ვართ გადამთვრალი.

მოგზაურობა ათენში

ცას სწვდებოდა ცვენი ლოცვა,
ხუთი ქვეყანა დავლაშქრეთ
საქართველოსთვის ლოცვებში
გულის სანთლები ავანთეთ.
გულში ანთილი კოცონი
არასოდეს აღარ ჩაქრება,
მეგობრული სიყვარული,
მთელი ცხოვრება გაგვყვება!
მხურვალე გულით ვილოცეთ,
გემზე, დიდებულ ტაძარში,
უფლის დიდებას ვაქსოვდით,
ბობოქარი ზღვის ტალღაში.
მამაოს გემის გუგუნში,
სიმღერაც დავაგუგუნეთ,
დედების ტკბილი გალობა
გაანათებდა უკუნეთს.
ღმერთმა ზღაპარში გვატარა,
ევროპა შემოგვატარა,
ყველანი გულში გვიკრავდა,
ჩვენც ვლოცეთ დიდი-პატარა!

ბერდიაკონი ნეოფიტე
გარეჯის ნათლისმცემლის მამათა მონასტერი 29 ნოემბერი, 2022 წელი.

ერის წყალი

რა ვიღონო, რით გიწამლო, რით გიშველო?
შენ ტკივილო, სულ ახალო განა ძველო,
ჩემი ფეხით მონარბენო მთა და მდელო,
ენგურს გაღმა დარჩენილო საქართველო!

ენგურს გაღმა ლალიძგა და ტამიშია,
ღმერთო, მისთვის ხელი ვეღარ გამიშვია,
ერის წყალი, ზღვა მწყურია, გალი მშია,
გადავიდე? – მეგრულ ნანას დამიშლიან.

ღუმურიშის დიდო ცაცხვო, ცათამბჯენო,
წყაროებო, ჩანჩქერებო, სხვა რომ გჩემობს
და ილორო, ჩვენო ბურჯო გადამრჩენო,
რით გიწამლო ტკივილო და განაჩენო?!

აფრენა მსურს – ფრთები ვეღარ გამიშლია,
სხვამ მოთოხნა ჩემს ყანაში ჭვავი, შვრია,
ერის წყალი, ზღვა მწყურია, გალი მშია,
გადავიდე? – მეგრულ ნანას დამიშლიან.

ზღვის კენჭებო, სათითაოდ დანათვლელო,
ტაძრის ქვებო, წინაპართა განათლელო
და ათასჯერ განარბენო მთა და მდელო,
ენგურს გაღმა დარჩენილო საქართველო!

პატარა ანა

ყვავილები მოერია ბალახებს,
ლამისაა სარეველა დაახრჩოს,
ანასავით ლამაზია ზამბახი,
ანასავით ლამაზია ყაყაჩო.

მერე რა რომ ძმას წაართვა მამიდა,
მიჭირს მაგრამ განა ვერ გადავიტან?
მერე რა, რომ მოვიდა და წავიდა,
ბიძას გული დაიკავა თავიდან.

პაწაწინამ მოილოცა გარეჯა,
ზოგიერთებს ერთხელ არ აქვთ ნანახი,
ანასავით ლამაზია ყაყაჩო,
ანასავით ლამაზია ზამბახი.

გარეჯაში მზე ივარცხნის დალალებს,
აქ ვარ მე და არ გავიხდი ფარაჯას,
ანას ბიძას სიცხე რამეს დააკლებს?!
ზაფხულის მზემ დე ურჯულო გარუჯოს.

მერე რა რომ ერთხელა მყავს ნანახი,
ბიძასავით იმყოფება განა შორს,
ანასავით ლამაზია ზამბახი,
ანასავით ლამაზია ყაყაჩო.
მე უფალმა შემიკედლა გარეჯას,
მე აქ ჩემ წილ საქართველოს ვდარაჯობ.

ATINATI

მეც შენსავით ლაღ სტრიქონებს ვქარგავ,
რა შეგარქვა ენძელა თუ ია?
რასაც ფიქრში ვპოულობ თუ ვკარგავ,
შენს ენაზე ათინათი ჰქვია!

ვინ მოთხარა, ისევ მოვრწყავ, დავრგავ
და მოვუვლი როგორც შემიძლია,
პატარაა მხოლოდ მორწყვას ითხოვს,
მერე რა რომ მინდვრის ყვავილია?!

ვეხუტები ვარგა თუ არ ვარგა,
სხვისთვის ყალბი – ჩემთვის ნამდვილია,
ნეტავ იმას ვინც ასე შეგარქვა,
ათინათი ზედგამოჭრილია!

ათინათი ხომ იმისთვის გქვია,
რომ ხანდახან გამინათო გზანი,
რომ მაისში სიხარულით დამხვდნენ
მერხეული, ჭალვანი და ხვანი.

ვინც ფიქრობს, რომ სხვის სტრიქონებს ვძარცვავ,
მას მკითხველის არაფერი სცხია,
დამეჭიდოს, დავღლი და დავქანცავ
ცივი წყალი სვას თუ შეუძლია.

ხელს ჩაგჭიდებ, რომ არ დავიკარგო,
კიდევ კარგი არ ვარ თვითმარქვია,
მახსოვხარ და თან იგივეს არ გთხოვ
მეც შენსავით, ათინათი მქვია!

პატარა ხარ, არცერთ ყვავილს ჰგავხარ
და სიმართლე გწყურია და გშია,
ჯორკოს სკამზე თუ დადგები სჩანხარ
ყველა ია – ხარაიშვილია!

იას ვუვლი, ვუთოხნი და ვმარგლავ
და ჩიტების ატყდა რია-რია,
მეზობლებთან საზღვარსაც არ ვფარგლავ,
რატომ არ გწყინთ, ვეღარ გამიგია.

დევკაცებო, მომეშველეთ, სად ხართ?
ვინ მაჩუმებს, ღაღადებენ ქვანი,
დღეს ძირულას მძევლად გაჰყოლიან
მერხეული, ჭალვანი და ხვანი.

კაკალ გულში პაწაწინა მყავხართ,
თავი ვისთვის, როდის დაგიხრიათ?!
ვაი იმას, ვისაც არ უყვარხართ,
ათინათი, ენძელა და ია!

ATINATI

I embroider, like you, nice poetic lines,
And what can I call you? Violet or Snowdrop?
Anything that I find or lose in thought,
In your language, it is called Reflection!

If somebody uproots it, I'll plant it again,
and as best I can, I'll take care of it,
It is small, and it only asks for watering.
So what if it is a flower in the field?!

It's ugly or beautiful, I embrace it,
Fake to others – it is natural to me,
Let be blessed him who named you
Atinati! Reflection is the super title for you.

You are Atinati, to spread around reflections,
To radiance sometimes and my way.
Merkheuli, Chalvani and Khvani,
All to welcome me with joy in May.

If anyone thinks that others' lines I steal,
He has nothing to do with poem writing,
Let him fight to me, and I'll exhaust him,
Then, he can cool himself with water or wine.

I'll hold your hand so I don't get lost,
It's good that I am not an impostor,
I remember you, but I never ask you the same,
Like you, my name is Atinati, like yours.

You are tiny, beautiful, and not like anyone,
And for the truth, thirsty and hungry you are,
To be noticed, you need to be high up to stand,
Every violet resembles the tiny Kharaishvili Ia!

I look after violet, I plough it, and I hope,
And the birds are chirping, bustling, turmoil.
I don't even have a border with my neighbours,
Why aren't you upset? I couldn't understand.

Goliath men, Where are you? I need your help,
Rocks are in a wail. Who can silence me?
Today, followed Dzirula as hostage:
Merkheuli, Chalvani and Khvani.

You all are settled down in my tiny heart,
You are so proud, never bowed to anyone,
Woe to those who do not love you,
Atinati, snowdrop and violet!

ნაირა უგულავა
(ნია გორდელი)

ჰეი, მამულო, გაძარცვულო ღვიძლი შვილისგან, უნდა გაცოცხლო, შევინახო შენი დიდება.

მინდა, სიმართლის აბჯარი მეცვას,
მსურს, მოვიხადო მხედრული ვალი,
ვიყო ერთგული ჩემი მამულის
და მივიტანო სამსხვერპლოდ თავი.

კმარა სიყალბე, მიეთ-მოეთი,
ერთხელაც უნდა სათქმელი ითქვას,
უნდა დავგმანოთ სიცრუის კარი,
სიმართლე უნდა გმირულად იშვას.

ვერ მოვეფერეთ სიწმინდეს ჩვენსას,
კვერთხი უპყრია გამცემს და უნასს,
ვერ დავინახე ერთგული კაცი,
ვინაც ძმის კარავს დარაჯად უდგას.

ვერ დავიცავით ქართული სიბრძნე,
რაც ქართულ სიტყვას მზეგრძელად უთქვამს,-
ყალბი სიმართლე და ილუზია,
თავზე მთებივით დაგვადგეს ურცხვად.

ჩვენ, რა ხანია, ბედოვლათობით,
გადავამრავლეთ ავაზაკობა,
ეს რომ დავუშვით – ძალა არ გვეყო,
გადამთიელიც მიტომ აბორგდა...

რომ მოვიფხანოთ გული ყასიდად,
ყალბ შეგონებებს ვაძლევთ სულისთქმას,
გვჯერა სიცრუე, მონაჩმახები
და ყურს არ ვუგდებთ ნამდვილ გულისთქმას.

ჩაიგდეს ხელში სადავეები,
ჭკუა ნაკლულმა და შეშლილებმა,
მათ დაახალეს ტყვია ჩემს მამულს
და აატირეს მრავალი დედა...

ამდენ ჭიდილში, წია-წიაში,
გამოიფიტა ქართული ზეცაც,
მოღალატეთა ნაკორტნი მიწა,
თანდათანობით ფეხქვეშ გვეცლება.

გამოიღვიძეთ, უნდა გავბედოთ!
თუმცა, არ არის დღეს ეს ადვილი,
ცრუს, მოღალატეს, იქედნეს ნაშობთ
რომ მივუჩინოთ მისი ადგილი.

შეინარჩუნო სიწმინდე შენი,
ეს კანონია შეურყეველი,
რომ სისხლის ფასად უნდა დაიცვა,
საუნჯე შენი ხელუხლებელი.

ჩვენი ქვეყანა – სამოთხის მხარე,
არ დავანებოთ მოვარდნილ მეწყერს,
ბოლოსდაბოლოს, ეს შავი წყალი
ჩამოვურეცხოთ ჩვენს ქართულ ფესვებს.

ქარში გაფანტული წერილები

ამ წერილებს მისამართებს ვაწერდი
და ვგზავნიდი შენთან წყება-წყებად,
ვგრძნობ, ბოლომდე ერთმაც ვერ მოაღწია,
რადგან პასუხს ვერ ვღებულობ შენგან...

ახლა ვნანობ, ქარს რომ გამოვატანე,
ის სიტყვები ბავშვური და მართალი,
თავად ქარი ვერ პოულობს ადრესატს,
ქარია და... ვერ მოკითხავ სამართალს.

ბოლო სიტყვა გზაშიც ვერ დაგაწიე,
ის, რაც გულით მეწადა და მსურდა,
ახლა გრაგნილს გრაგნილებში გავახვევ
და ქარს მივცემ, გაიფანტოს თუნდაც...

თუმცა, მაინც გულახდილად გეტყოდი,
იმ ამბებში, რაც წრილებს მოაქვს,
ის სათქმელი სიტყვითაც ვერ გამოვთქვი,
გულის რითმებს რაც ნამდვილად მოწყდა...

გიორგობის თვე

მთებს ახვევია ღრუბლების მრუმე,
დგას შემოდგომის პირქუში დარი,
ქარმა ფოთლებით გაივსო უბე,
შემოირბინა ცის დასაბამი.

მალე ბოლომდე გაძარცვავს ხეებს,
ქარი შეშლილი – შფოთავს და უსტვენს,
მოთქმა-ზრიალით იკლებს მთის ხევებს,
ლამის კლდეებსაც გაუპოს უბე.

მზე თავის სხივებს მიწაზე უშვებს,
ამ რიტუალის ცისიერ მოწმედ,
ახლა მზის დისკო რექვიემს უსმენს,
თხზავს ფოთოლცვენის სევდიან სონეტს.

მოვა გაზაფხულის დარი

ბზარი შეჰპარვია ფიქრებს,
ზამთრის ამ სევდიან დილას,
სული დანაკლისს ვერ ივსებს,
რადგან ბედისწრა მქირდავს.
        რწმენა დაჰკარგვია იმედს,
        ეჭვით მიუხურავს კარი,
        როგორ დასტყობია სიტყვებს
        სევდის ნატყვიარი კვალი.
ახლა, ამ გაძარცვულ ფერებს,
სულის სამძიმარი მოაქვს,
დიდი ქარტეხილის შემდეგ,
ალბათ გაზაფხულიც მოვა.
        მოვა გაზაფხულის დარი,
        გრძნობებს გააღვივებს მიმქრალს,
        ღრუბლებს გადაფანტავს ქარი,
        დღეებს გააღვიძებს მზიანს.

ეთერ ჭელიძე

შენ ხარ ქართველი და გქვია საქართველო!

გეფიცებით დედას, თუ ვიცოდე საით
მოდრეიფობს ჩემი რიონი და მტკვარი...
ვისი,,ნების“ ქსელით მოფართხალე ნავში,
ვისი ცოცხალია ანდა ვისი მკვდარი...

მე მაშფოთებს ისევ ფესვს გაცლილი ყლორტი,
ვაითუ მიუჩვეველს მიეჩვია ჩემი?
დაივიწყა წესი რაინდული ყოფის
და სურნელი ამაყ, ჯიშიანი მთების...

რატომ ვიმკითხაო, ვისი მმართებს ვალი,
ვისი,,ცივილური“ ავითვისო უნდა,
სადაც დედა არის, დედა არის ქალი
და ვაჟკაცი სადაც კაცად მკვიდრობს მუდამ?!

მაშ, სადაო რა მაქვს, სადარდელი თუნდაც?
ვინ დამიდგენს უჩვევ ადათსა და წესებს?
ვინ დამკიდებს ზურგზე,,სიბინძურის“ გუდას
და ვერც ყოფას უჩვევს, ვინღა დამიწესებს?

შენ იყავი ვინც ხარ, ვისაც გინდა ეძმე...
შენი ტრადიცია მცნებებია უფლის,
შენი რწმენით არის, რომ იმარჯვებ მტერზე,
ასჯერ ნაოხრალი ფეხზე დგახარ თუკი!

ოდითგანვე ვინ არ გჩემულობს და გჩემობს...
ვის არ უკორტნია შენი მთა და მდელო,
მაგრამ დედაღვთისა გშველოდა და გშველის,
რადგან ქართველი ხარ, გქვია საქართველო!

ჰოდა, იყავ, ვინც ხარ გენით, მრწამსით, სჯულით...
სამყაროში დედა მის წელხვედრით რთველობს,
და თუ, ქართველობა ისევ არის რთული,
თუ სამშობლო გიყვარს, უნდა იქართველო!

ხარბია სული კაცისა...

ახლა ტკივილი სიხარულს ჭარბობს,
და სიხარულის ჩაკლულა განცდა...
კაცობრიობა უკურნელ ჭაობს
მიეკედლა და ვერაფრით გასცდა...
დღეს ღირებული კაპიკად ფასობს
ერთგულება კი ღალატმა აცრა
არაკაცია, სწორედ ის კაცობს,
იყენებს ხრიკებს მრავალჯერ ნაცადს...
დუღს დედამიწა, ეშმაკი მზაობს,
ედიდგულება ხატსაც და ჯვარსაც,
არამართალი მართალთან დაობს
და უღმერთობას ღმერთიც ვერ მართავს...

წელიწადის თვეები....

ის არის, მაგრამ ის აღარ არის.
გული გრძნობს გულს და შორსა ხარ მაინც.
სიტყვასთან სიტყვის არეულ აზრში
ეპირფერები საკუთარ დაისს....

და შენ, უგრძნობი, იღვრები გრძნობად,
შარბათ შერეულს ისევ ცლი ღამეს,
გააფერადებ გგონია მყობადს
ან შენეულად მოძერწავ ხვალეს?

გიღიმის ცალყბად შენი მე შენგან
შენივ დაწერილს გიკითხავს ნარკვევს,
მრავალწერტილი,,უცნობი“ რჩება
იკრებ ძალას და აგრძელებ სათქმელს!

აღვიძებ ფერად გაზაფხულს შენში,
მოსაღამოვდა თუმც, ალაგ ალაგ...
მარტის ონავარ წვიმების თქეშში,
ნაშემოდგომარ სტრიქონებს მალავ.

ის არის, მაგრამ ის აღარ არის...
ეთამაშები გრძნობათა ნამქერს,
შემოგკრავს სილას დეკემბრის ქარი
და შენ სისუსტეს ერთბაშად ამსხვრევს!

*

რამდენი ფოთოლი მოხვეტა ქარმა
სულის სარკმელთან,
რამდენი უსათაურო სათქმელი შექუჩდა და...
მერე გახევდა.

სათქმელიც თუმცა არაფერია...

დღეს ქარის ნემსით ამოკემსილ ბარათებს გიწერ,
კალმად ქარისვე გამოთლილი, ბზის ტოტი დამაქვს...
ახლა სათქმელად დავიღვრები, ვერც გითხრა იქნებ,
წვიმის მალამოს გადავუსვამ უხილავ დამღას...

და მერე იტყვი, იტყვი იმას, რაც მაშინ უნდა,
თვალნამიანს და ბაგე მთრთოლავს, რომ უნდა გეთქვა,
შენ დაეწაფე,,თერგი"ს ჩანჩქერს და ასე მწყურვალს,
წყურვილს ვერაფრით ვერ გიკლავდა ჩანჩქერიც, ერთხანს...

და როცა ნაპირს მიადექი, გაღმა გასასვლელს,
თავის დაღწევის მცირე შანსიც, ფარსი გამოდგა...
შენ გაუყევი წვიმის თოკით, ზეცის აღსავლეთს
და პირველივე საფეხურზე, კიბე ჩაგიტყდა...

იდექ უდაბნოს ხვატში, მწირი, გზასაცდენილი...
ვერც დაბრუნება გაგიბედავს, ვერც იდიდგულე,
მთა დათოვლილი, უკვე ბალახი გადაცვენილი,
ქარაფებიდან მიგზავნიდა თოვლიან გულებს!

მას შემდეგ სადღაც ნაცნობ სკვერში, ნაცნობ ძველ სკამზე,
ზიხარ და ყვითელ ფოთლებისგან მიკერავ ფატას,
მხოლოდ ის მინდა, მოგონებებს, ვარდისფერს ჰგავდე,
მზის ტილოზე რომ დაკარგულ მგზავრს, ელის და ხატავს !!!

გამოჩნდი დედაო!

შევნიშნე გაზაფხულს ლაბადა ეხურა,
სციოდა, ვერაფრით მზე ვეღარ ათბობდა.
ბარდნიდა სამყარო, ბოროტად, ქლესურად...
და სიტყვა,,ირიბი" ქარივით დაჰქრდა...
მშვიდობის გვირგვინზე ქარიშხალს ეძინა.
სადავეს გაუსხლტა მუსტანგი ჭიხვინით
და დედის ხელიდან მადლივით ეპკურა
ჭკვიანსაც, ბეცსაც და რეგვენსაც, ვინ იცის?
არაფერს აღარ ცვლის ,,სიმართლის" კანონი,
უცნობი ძალები ძალ-ღონეს ისრუტავს,
ვეღარც გენეტიკის ვერ ჩავრთე პაროლი,
ვერც ცისა გავიგე და ვეღარც მიწისა!
სამყარო უცნაურ სცენარში გართული.
როლების გაცვლაში მავანი ლიდერობს,
ჩვენ კი ამ თამაშში უნებლივ ჩართული
შენც, სახეშეცვლილო შენც, ჩემო იმედო!...
დრო ძერწავს ათასგვარ სულელს და გენიას,
უცნაურ ქარაშოტს მისამართს უცვლიან,
გამოჩნდი დედაო, კვლავ შენი ჯერია,
შევკეროთ ბიბლია მშვიდობის ფურცლიდან...

მშვიდობა სამყაროს

არც ცისა მესმის, არც მიწის,
არც წვიმისა და დარისა,
მაკვირვებს ურწმუნოთ ფიცი
უღვთო ქალის და კაცისა!
სად არის მეფე ყოველთა
სად დგება ესე ანბანი,
რად არა სცხია სამყაროს
მადლი ღვთის ჩამონაბანი...
დაიწყო ნეტავ როდიდან,
სცვივა კლდე-ციხეს ბათქაში,
რად ვაჩვევთ რად შევაყვარეთ
ჩვილებს სიკვდილთან თამაში?
რად მოავლინა განგებამ
ვინ დადო ნეტავ შაბაში
ადამიანო რა ხდება
უკვე ყველა ზღვარს გადავცდით...
ვინ მოიგონა, რა ძალამ
ეს ომობანას თამაში
მიწა ცოდვებით დამძიმდა
დამნაშავე ხარ ამაში!
თუ განმკითხავი ყოველთა
ყველა ერსა ჰყავს თავისი,
საით დუღს ახლა გლოვის ხმა
ომის ქარცეცხლის სახნისი?
ვერ გაილეწა მშვიდობა
ვერ შედგა ერთა ერთობა...
და უცოდველი ბავშვები
სიკვდილთან თამაშს ერთობა...

ადგილის დედავ

მოვდივარ, შენ ზღაპრულ ბუნებას ნაჩვევი,
შენს ლამაზ კალთაში თავს მოვიმძინარებ...
დამივლის ძარღვებში რძისფერი ჩანჩქერი
და თავად გავხდები ენგური მძვინვარე.
მოვდივარ, ცხოვრების წამ-წუთით დაღლილი,
ქაოსის ტალღებს თუ, თავს ისევ დავაღწევ.
უსახურ დროებით საფანტებ დახლილი
ენგურო, შენს აკვანს მოვალ და დავარწევ.
ნუ მკითხავთ, სად ვდიე ქარშეყრილ ზაფხულებს,
რადა მსურს საკუთარ ცხედრიდან გაქცევა,
რად ვმალავ საწუთროს გაცვეთილ სამხილებს,
ან შეუცნობელ გზის, რატომ მსურს აქცევა.
მოვდივარ, სიმშვიდის პატარა ქოხს ვეძებ,
ბავშვობის ზღაპრების მოსმენა მომინდა,
დაღლილი ლექსებით ვით დედას, მოგენდე,
ვინ იცის საიდან, რატომ და როდიდან?!

* * *

გაუღე კარი...
გაუღე ღატაკს კარი,
მშიერს და მწყურვალს ენდე!
დუმს დედამიწა მწყრალი
და ვერ აქარწყლებს ეჭვებს...
გაუღე მშიერს კარი,
არ დაგენანოს ლუკმა,
შენი კეთილი საქმით
შენ, ღმერთი გიდგას უკან!
გული გაუღე დაღლილს,
სული გაუთბე მცივანს,
არ შეჩვეული ნადიმს,
კაცი, უფრო მეტს ზიდავს...
ნუ დაინანებ ღიმილს,
ნუ დაიშურებ სიტყვას,
მხარი უქციოს ტკივილს...
შეახსენე რომ გიყვარს!
გაუღე კარი მშიერს,
არ დაგენანოს ლუკმა,
შენი კეთილი საქმით
შენ, ღმერთი გიდგას უკან!

* * *

ეს, ისე, მონატრებამ იძალა...
სოფლის ორღობე მომენატრა
მთიდან დაშვებული ბილიკები,
ენგურს აყოლილი თათრი ლაფშა,
გრძნობა მოჯირითე ენგურივით,
ჩემი,,ნამურყვამი" მომენატრა,
ზეცას შეფენილი ჭიუხები.
ღამის ვარსკვლავთცვენა მომენატრა,
ზეცა, სიყვარულის სიუხვეთი...
მწველი სურნელება მომეძალა
თოვლში ნებიერა ქრიზანთემის,
მთვარის მუსაიფი მომენატრა
ღამის სასთუმალი დიადემის...
ციხე, ცის მდელოდან მომზირალი,
ენგურის ნაპირს ლელიანი,
წვიმა დედასავით მოტირალი,
სახლი ნაზვავარი, სევდიანი...
სოფლის ორღობე მომენატრა,
მთიდან დაშვებული ბილიკები,
ენგურს აყოლილი თეთრი ლაფშა,
გრძნობა მოჯირითე ენგურივით.

ქარო მითხარი რამე...

მზე მიიმალა, ქარი მოვარდა...
შოლტი წამოსცხო ქუჩებს,
ღრუბელი, წვიმის წვეთით ისველებს,
თურმე ქარნაკრავ ტუჩებს.
ვერ გამიგია საით მივყავვარ
გაფეტიშებულ სიზმრებს
ქარო, გეძახი, იქნებ წამგვარო
მოხწტიალე ღრუბელს,
თორემ არ ვიცი შეუცნობელი
როგორ გავტეხო ღამე,
ქარო, უწამლე ცისკრის ტკივილებს,
ქარო, მითხარი რამე...

* * *

ნუთუ ასე ძნელია?
ერთმანეთი გვიყვარდეს,
ნუთუ ასე ძნელია?
ჩვენს იქით ხომ საწუთრო
უჩვენოდაც ბნელია?
ერთმანეთი გვტკიოდეს,
სიტყვა ვუთხრათ კეთილი,
რომ არ ახლდეს ყველა დღეს
შეწყვეტილი წერტილი...
თუნდ უხილავ ჭრილობებს
დააფინე ღიმილი,
მასთან ერთად ილოცე,
მისნაირი ტკივილით...
სიყვარული, მერწმუნეთ,
არის უფრო ადვილი,
სადაც ნება გულისა
წრფელია და ნამდვილი.
ერთმანეთი გვიყვარდეს,
თუკი გვიყვარს უფალი,
ამ გადამღლელ დროების
თუ ხარ ჭირისუფალი.
ერთმანეთი გვიყვარდეს,
დრო სულ ერთი წვეთია,
სხვისიც შენებრ იდარდე,
ის ტკივილიც შენია....

დღეს

დღეს სიყვარულის თასმით უნდა მოვწნა გოდორი,
შიგ ჩავალაგო ცის სურიდან მზე მონაწური
და შურისაგან დავსებული წუთისოფელი
სულ სიყვარულით ამოვავსო, ახლა, ამ წუთში!



ნინა გაჩეჩილაძე

შემოდგომის გვირგვინია ნოემბერი

შემოდგომის გვირგვინია ნოემბერი,
მრავალ ფერში ააჭრელებს მთებს და მდელოს,
მთელი ღამის ნამღერი და ნამთვრალევი
მთვარე შესვამს სიყვარულის სადღეგრძელოს.

მოწმენდილ ცას შესცინებს და წყება-წყებად
ვარსკვლავების ქარავანში ამოარჩევს,
ნაზს, საამურს, სიფრიფანა ერთ სიცოცხლეს-
სულს შთაბერავს, ცისკრის ფონზე გამოაჩენს.

ეშხით სავსე, ქარიზმატულ სილამაზეს-
შემოახვევს– გაშლილ, ფერად, ფარჩის კაბას,
სასაჩუქრე მარგალიტად ჩამოქნის და
დააბედებს სიყვარულის ლამაზ ზღაპარს.

დედის ნაქსოვი – ოქროსფერ კაბით

აშარი ქარი მძვინვარებს ღამით...
მოგონებების ზარდახშას გახსნის,
დედის ნაქსოვი ოქროსფერ კაბით,
გოგონა, ყვითელ ფოთლებში დადის.
ყურს უგდებს ფეხქვეშ ფოთლების შრიალს,
სხვადასხვა ფერთა როკვას და რონინს,
ზანზალაკების შორეულ წკრიალს...
ქრისტეშობა ხომ ახლოს არს– მოდის!...
ფოთლების ცვენას ზამთარი მოსდევს,
მიწა იხურავს ჭრელზე– თეთრ საბანს,
ბუხართან– დედის მუხლებზე მჯდარი,
მოისმენს მრავალ ჯადოსნურ ზღაპარს.
ამ სილამაზეს, მომხიბვლელობას,
დროთა ცვლას, სულში სიცოცხლის გიზგიზს,
სიმწარეს, სიტკბოს, აღმართს თუ დაღმართს,
ცრემლებს...ხან, გულით ხმამაღალ სიცილს-
დრო იტევს მხოლოდ განსაზღვრულ დროით,
უფლის ბოძებულ მადლით და ვადით!...
გოგონა, ყვითელ ფოთლებში დადის,
დედის ნაქსოვი ოქროსფერ კაბით.

დაგვიანება
❤❤

რა შორიდან მოვდივართ
ერთ ბილიკზე ჩვენ ორი,
ღმერთო!...რად დავიკარგეთ,
რატომ დავშორიშორდით.
სიტყვას– ყელში გამომხრჩვალს
უჭირს ახმიანება,
ღვინოს– ჯამში ამომშრალს
უკვირს დაგვიანება.
შენ, ფართო გზით წახვედი...
მე, ჩემს გზაწვრილს დავადექ...
ჩამი-ჩუმი?...არცერთი!...
არც იქეთ და არც აქეთ.
დროსთან ერთად გამქრალა
შეხვედრების სურვილი,
მაშ, რატომ გამახსენდი?!...
მკლავდა და მკლავს წყურვილი-
ძველებური განცდებით
მომღიმარი გიხილო,
--ერთ ბილიკზე ვიდექით!...
ხმამაღლა რომ ვიყვირო.

გამიბევრდით შვილო

შვილი სიმდიდრეა-
დედის საგანძური,
სულის აღმაფრენა
და ზღვა სიხარული.
დედის დღეობაა...
დედის მზეობაა,
დიდი სიყვარული,
დიდი სიყვარული!
გამიბევრდით შვილო,
გამიბევრდით შვილო,
გამიბევრდით!
სახეს ღიმილებით,
გულით ალალ– მართლით
დამიბერდით.
თქვენს გზებს და ბილიკებს
კალთით იფარავდეს
დ ე დ ა ღ ვ თ ი ს ა,
უ ფ ლ ი თ შეგძლებოდეთ
თქვენს მიზნებთან მისვლა,
ლაშქრა მწვერვალისა!
ერთგულ ფარად გახლდეთ,
ბილიკს გინათებდეთ
ლოცვა დედის!
დედის– საფიცარის,
დედის– უტკბილესის,
დედის– ერთადერთის.

ბავშვებო

ბავშვებო!...სამყაროს იმდენად ამშვენებთ,
ცოცხალი სამოთხე შექმენით მიწაზე,
ყოველი კაცი თქვენ ზეცამდე გაღმერთებთ,
თქვენს სახელს იწერენ ზედ გულის ფიცარზე.

გაბრიელ, მარიამ, ერეკლე, დემეტრე,
ილია, ქეთევან, კახი თუ თამარი...
სამშობლოს ეხარეთ, ემრავლეთ გმირებად,
ბნელი გაგეტეხოთ და მტერი მზაკვარი.

დიდი წინაპრების სახელი ადიდეთ,
ისწავლეთ და წიგნი მიგიყვანთ მწვერვალთან,
გიყვარდეთ!
გიყვარდეთ!
გიყვარდეთ მამული!
ნუ განეშორებით ადგილის დედასთან.

გფარავდეთ ნინოს ჯვრის ძალა და სიმტკიცე,
კაბადოკიიდან რომ ჩამოგიტანათ,
ფეხშიშველს ტერფებზე სისხლი დასდიოდა,
ბრძოლა კი გაბედა გაყინულ მყინვართან.

სულთა შემწე ჩვენი მუდამ გეწეოდეთ,
გარს შემოგახვიოთ უმწიკვლო სინაზე,
ბავშვებო!...სამყაროს იმდენად ამშვენებთ
ცოცხალი სამოთხე შექმენით მიწაზე!

გაუძელით ძვირფასებო

აყვავებულ– ჩემს მოვისფერ ყოჩივარდებს
მძიმე თოვლი სევდად აწევთ გულზე,
მათ პირველი ვინ გაუღებს სულის სარკმელს,
ტკივილის ხმას ვინმე თუ მოუსმენს?

ნაადრევი გაზაფხულით რომ ხარობდნენ,
ფიანდაზად ფენდნენ ლამაზ ფერებს,
სიყვარულის საგალობელს გვიმღეროდნენ,
ამშვენებდნენ გზის პირებს და კორდებს.

გაუძელით ძვირფასებო, გაუძელით
სიცივეს და ყინვას, თოვლის საფარს,
განსაცდელი დაამარცხეთ მოთმინებით,
მზე ამოვა, გაგინათებთ გზა-კვალს.

დედავ ბატონო

(ლექსი ეძღვნება ჩემს
დედამთილს – მაგული დევიძეს)

ტირიფის ტოტებს სევდა აწუხებთ,
უთქმელ ტკივილზე საუბრობს თითქოს...
უტყვი სიმუნჯით მეჩურჩულება--
,,ნეტავი იმ დროს, ნეტავი იმ დროს!..."
დრო სწრაფად მიჰქრის, ქარივით სწრაფად,
მიაქვს სიცოცხლე, გვიტოვებს ამბორს,
როგორ ვიცხოვრეთ წუთისოფელში...
დრო ყვება, ჩვენზე ყველაფერს ამბობს.
შენს ნაფეხურებს სუყველგან ვხედავ,
ამ ეზო-კარის ყველა ყურეში,
გარჯას, სიყვარულს, ამაგს გიფასებ
შვილიშვილებს რომ ვისვამ უბეში.
სანამ ვიცოცხლებ სულ მოგიგონებ
ჩემო უსიტყვოდ ამყოლ– გამგონო,
მადლობას გიხდი ყველაფრისათვის,
ნათელში იყავ დედავ ბატონო.

გაბრიელს

შენ მზე ხარ ჩემი, სხივების მფენი,
თვალებში გიდგას მთელი სამყარო,
იყავ დღეგრძელი, იყავ მზეგრძელი,
წიგნთან, ცოდნასთან არვინ გაგყაროს.
ქართველი კაცი კაცობით ფასობს,
გიყვარდეს გულით, გონებით ჭვრეტდე,
ადამიანს ხომ სიკეთე ათბობს,
გზების სიძნელეს გმირულად კვეთდე.
დიდ წინაპართა სახელთა თქეში
იყოს დამცველი, ფარი, სამოსი,
ყველა სიკეთემ იფეთქოს შენში,
იყავი შვილი საქართველოსი.

მშვიდობა ისრაელს

დიდ ხარ შენ უფალო!
დიდება შენს სახელს!
მშვიდობა მომადლე,
მშვიდობა ისრაელს!
გაგკიცხეთ, გათრიეთ,
უნდობლად გაწამეთ...
სამყაროს ეს ცოდვა
ტანჯავს და აწვალებს.
გრგვინავს და ქუხილი
ყოველ კაცს ეხება...
აქ, წმინდა მიწაა!
არ გძალუძთ შეხება!
აქ უფლის სახლია!
უფლის არს სავანე!
შეწყვიტეთ ხმაური
და გვემა აკმარეთ.
სისხლით ხომ მოირწყა
ეს მიწა, ქუჩები...
კვლავ დავრჩით ურჩები...
კვლავ დავრჩით ურჩები!
ვიხილეთ გოლგოთა!
ვიხილეთ აღდგომა!
ცეცხლის გარდამოსვლა!
ვისწავლოთ დანდობა!...
...უფალო მოგვმადლე-
სიმტკიცე, მხნეობა,
შენთან მოახლების
კრძალვა და ზნეობა.
დიდება,დიდება,
დიდება შენს სახელს!
მშვიდობა ისრაელს!
მშვიდობა ისრაელს!

დედავ ბატონო

(ლექსი ეძღვნება ჩემს დედამთილს– მაგული დევიძეს)

ტირიფის ტოტებს სევდა აწუხებთ,
უთქმელ ტკივილზე საუბრობს თითქოს...
უტყვი სიმუნჯით მეჩურჩულება--
,,ნეტავი იმ დროს, ნეტავი იმ დროს!..."

დრო სწრაფად მიჰქრის, ქარივით სწრაფად,
მიაქვს სიცოცხლე, გვიტოვებს ამბორს,
როგორ ვიცხოვრეთ წუთისოფელში...
დრო ყვება, ჩვენზე ყველაფერს ამბობს.

შენს ნაფეხურებს სუყველგან ვხედავ,
ამ ეზო-კარის ყველა ყურეში,
გარჯას, სიყვარულს, ამაგს გიფასებ
შვილიშვილებს რომ ვისვამ უბეში.

სანამ ვიცოცხლებ სულ მოგიგონებ
ჩემო უსიტყვოდ ამყოლ– გამგონო,
მადლობას გიხდი ყველაფრისათვის,
ნათელში იყავ დედავ ბატონო.

გულიკო კაპანაძე

ლექსი

ლექსი– დანახვა შორის,
ცის იქით ყოფნის განცდა,
გაუმხელელი გრძნობა,
მერე, რომ ლექსში დაგცდა.
დარდს გადაცმული ლექსი,
ლექსი–სიმღერა, ლოცვა.
სულის ჩვენება მათთვის,
არც კი გიცნობენ, როცა.
რაც უკვე იყო, გაჰქრა
ლექსი გიყვება ახლა.
სადამდე გწვდება ფიქრი,
ლექსი საზომი გახლავს.
ჰგავს ადამიანს ლექსი
ზოგს უკვდავება ერგო.
ადამიანთა მსგავსად
ლექსსაც აქვს თავის ეგო.
ლექსი მზიანი, ლაღი,
დარდს გადაცმული ლექსი.
არის ისეთიც,სისხლში
დაგაჟრიალებს, შეგშლის.

ნუთუ

და როცა ვკარგავთ, დაკარგულზე გვრჩება გრძნობები.
შენთან რა ხდება მე არ ვიცი, ჩემთან სულში ხარ.
ადრე თუ გვიან ყველა ვკარგავთ ერთმანეთს, მერე
სულ სათითაოდ, მარტოდმარტო ვაღებთ უცხო კარს.
იმ კარის მიღმა თუ ვპოულობთ ერთმანეთს ნეტავ,
ან იქ სულები თუ არიან ისევ ავ-კარგით.
მარადისობა რასაც ჰქვია, რა ფერებშია...
უამრავ კითხვას პასუხს გავცემთ ნუთუ დაკარგვით?!.

თვრამეტი ნოემბერი

ამ დღის ნოემბერს უჩნდებოდა ჩემგან ლექსები.
შიშველ ხეებსაც სულ ფერადი ჰქონდა ტოტები.
ცარიელ ქისას სულ ბაჯაღლო ოქრო ავსებდა.
მარტოსაც,ამ დღეს, სულ არასდროს არა მტოვებდი.
ნოემბერია, ქარი აქრობს საფლავთან სანთელს.
სამოცი ცრემლი შეაგუბა უსიტყვოთ თვალმა.
ვერ შეასრულე სამოციც კი ამ ქვეყანაზე,
სადაც ახლა ხარ, იქ კი წლებსაც არა აქვს ათვლა
შენ რომ წახვედი, ყველა დარდი ერთად მოგროვდა
და მერე თითქოს, შენთან ერთად დავასაფლავე.
მუქ ფერს არ ვიცმევ, მგონია, რომ სულს დავამძიმებ,
ლოცვების დროსაც, მუდამ ვირჩევ ჭრელ-ჭრელ თავსაფრებს.
ნოემბერია, სულ აიშვეს თავი ქარებმა
და შენს მაგივრად მათ ჩააქრეს ახლა სანთელი.
შენც შუა გზაზე ჩამქრალო და ნისლს შერეულო
მარადისობის გზაზე გქონდეს მუდამ ნათელი.

ფილმი ბავშვობა

მერამდენედ ჩავუჯექი
ჩემს ბავშვობის ფიქრებს
უნიკალურ, ულამაზეს
უსასყიდლო ფილმებს.
უხარვეზო სურათია
მუსიკა კი ღვთიური,
არსად დარდი, არსად ნისლი
ზეცა არის მზიური.
ამ ფილმების მონაწილე
ყველა გულით მიყვარდა.
განა ვინმე დავივიწყე
განა გრძნობა მიქარდა.
კადრში პრინციც დავინახე
თეთრი, ოქროსქოჩორა.
მგონი მანაც დამინახა,
იყოს ჩვენში ეს ჭორად.
სასახლეც ჩანს, ერთი მუხის
სქელკენდელა ფუღურო.
არ მბეზრდება მეათასედ
ამ ფილმს კიდევ ვუყურო.

სიყვარულს

+შენ ყველაფერი ერთად ხარ:
დილა, შუადღე, მწუხრი.
ცისა და ღმერთის ხელა ხარ
თავს მოწიწებით გიხრი.
დაბადებიდან ჩემში ხარ
ასაკით ჩემზე მეტი.
მრავალის კუთვნილება ხარ,
სახელი გქვია ერთი.
შენ ჩემი გათენება ხარ,
დაუსრულებლად გეტრფი.
არ მინდა სადაც შენ არ ხარ
იქ რომ დავადგა ფეხი.
შენ ჩემთვის ყველაფერი ხარ,
ცრემლიც, სიცილიც ბევრი.
თვისებით ნაირფერი ხარ,
სულელიც გქვია, ბრძენიც.
ის ძალა, ენერგია ხარ,
რაც დედამიწას დაძრავს.
და ბოლოს, სანთლის ალი ხარ,
ტაძრად მიიყვან გზასაც.

სიყვარული როგორია?..

სიყვარული როგორია
თუკი მკითხავ, მე ვიცი.
თვალებში ჩანს, მზერა არის,
არ ჭირდება მას ფიცი.
სითბო არის, გულის სითბო.
გულის წამალ-სალბუნი.
სული არის, სულთა გრძნობა
კაცთა მოდგმის სათბური.
ტკივილია, ცრემლებია,
პოვნაცაა, დაკარგვაც.
უანგარო, სასურველი,
წყაროს წყალი კამკამა.
სატრფო ჰქვია, დედა, შვილი,
სამშობლო და ნამუსი.
მიწა -წყალის დასაცავად,
მამა, ომში წასული.
სიყვარული მუსიკაა,
ცეკვაა და სიმღერა.
პროზა არის, პოეზია,
აღებს გულის, სულის კარს.
მიწა არის, ზეცაც არის, ამერი და იმერი.
ვინაც როგორ დაინახა
იმფერი და იმდენი.
სიყვსრული ჩვენს სიცოცხლეს
ამართლებს და აზრსა სძენს.
სიყვარული ღმერთი არის
თვალში ჩანს და სულში ძევს.

გაბედე ერთხელ...

გაბედე ერთხელ, მოდი მესიზმრე
გაალღვე ჩემი ფიქრის ყინული.
იყავი კვლავაც გულის მეისრე
ჩემი სატრფო და ძილისპირული.
თორემ ხომ ხედავ, დღეების ქორო
მაუხეშებს და დამცინის თითქოს
დარდმა იპოვა ჩემს გულში სორო
შემომეჩვია, ხელებსაც ითბობს.
როგორ დაგჯაბნა ე, მაგ სიშორემ
ვერ გაგახსენა თავი წარსულმა.
მე აწმყოშიდაც კი ვერ ვიშორებ
ელდას, სიცოცხლე როცა დასრულდა.
გაბედე ერთხელ, მოდი, მესიზმრე,
გაალღვე ჩემი ფიქრის ყინული.
იყავი კვლავაც გულის მეისრე,
ჩემი სატრფო და ძილისპირული.

ბავშვობის სახლი...

მარტოს ვერ მიტევს ბავშვობის სახლი,
ადგილი არ აქვს, თითქოსდა, ჩემთვის.
მივალთ და-ძმები ჩვენი მონაგრით...
გვიტევს კი არა, ადგილებს ვერ ვთვლით.
მიწასთან ერთად აქ ცას ვეხები,
ყოველი გოჯი ვიცი მე, მისი.
მეამაყება წარსული, აწმყო
და ლოცვადა მაქვს მერმისი მისი.
მამა, ბაბუა, იმისი მამა,
პატიოსნების სიმბოლოდა მყავს.
დღეს ჩვენ ვაგრძელებთ წერას ფურცლებზე
რომელთა წიგნსაც, ძვირფასი ყდა აქვს.

არ მიღალატო...

მე შენ მიყვარხარ ადამიანო
სიხარულებით და შენი დარდით.
არ მიღალსტო, განზე არ გადგე
არ მათქმევინო: " ო, როგორ მწამდი".
მინდა მტკიოდეს შენი, შენ ჩემი.
არ გვჭირდებოდეს ახსნა და ფიცი.
უერთმანეთო დღეებშიც რომ ვთქვა:
"შენი ყოველი ამბავი ვიცი".
ადამიანი აიტანს რამდენს, შეუძლებელიც არაფერია.
არ მიღალატო ადამიანო
ნდობა ხომ ჩემთვის ყველაფერია.

ეს მერამდენედ...

ეს მერამდენედ უკვე
არ მოვეწონე სიკვდილს.
ალბათ არ ვიყავ მსუყე
რატომ დამხედა მიკვირს.
არსად უჩანდა ცელი,
ჰაერს უგავდა სუნთქვა.
ოდნავ შემახო ხელი,
მე გარდვიქმენი სულ სხვად.
გადაიფიქრა მერე,
ჩემი წაყვანს შორეთს.
მე სული ჩემი ვკერე
შევრჩი სიცოცხლის მორევს.
სიკვდილსაც ააქვს სული
რა ვქნა, ის სული მზარავს.
სიცოცხლის შემდრგ რა მსურს?
გრანელისავით, სხვა რამ.

"როგორ ხარ?.."

დარდებად დალაგდა დღეები უშენო.
მოდითქო არ ვამბობ. როგორ და სად მოხვალ.
ფიქრსაც კი აღარ აქვს აზრები საშენო
ფიქრს, შენს შემდეგ მოსულს, თითქოსდა ნათხოვარს.
ყვითელი ფოთლების ჯარია სამზერზე.
უშენოდ ჩაისხეს ქვევრებმა მაჭარი.
წერტილად მოჩანხარ შორიდან მაგ სერზე
და მსუსხავს საფლავი, ვით, სულის ჭინჭარი.
ხარხარებს დღეები, შანს მიგებს: "როგორ ხარ"?!.
ფარ-ხმალს არა ვყრი და ბოლომდე ვიდგები.
სიბერეს არ ვიმჩნევ, ის მაინც მოხოხავს.
შენს ხსოვნას, ჩვენს შვილებს, ჩემს მესაც ვჭირდები.

ლექსო...

ლექსო მომაკითხე, მომენატრე
მუზავ, შემომიღე ფიქრის კარი.
გეტყვი დღეს და გუშინ ვინ ვინატრე,
ვისაც ვერ მოვკარი ცხადში თვალი.
მოდი, წაუკიდე სიტყვებს ცეცხლი,
რითმები ერთმანეთს დააჯახე.
ის თქვი, მე აქამდე რაც ვერა ვთქვი.
არ თქმას კი გზა ჰქონდეს ჯანდაბამდე.
გაბედე, რითმებად დაიღვარე.
იპოვე თაფლაფიჭა სიტყვები.
ერთად დააგროვე, აამღერე,
ფუჭად არ დამიფანტო ფიქრები.

თითქოს...

მარტოობას რა გამოლევს, მაინც...
სულ დავეძებ და ვპოულობ კიდეც.
მერე მოდის, მე მიყვარდა ვინაც
ჩვენ საუბრებს აღარა აქვთ კიდე.
მარტოობის დედოფლობას ვჩემობ.
მარტოობის კავალერად მყავხარ.
რა ადვილად გამიმეტე ჩემო...
"ხელისგულზე გატარებო",სად ხარ.
ის თელები, შენს საფლავთან მდგარი
ერთგულებას მასწავლიან, ვითომ.
მათ ფესვებქვეშ წევხარ ჩემი ქმარი,
ამ ყველაფერს შევეჩვიე, თითქოს.

წვიმდა...

წვიმდა ისე, ისე წვიმდა
წკვარამ ღამეს ჰგავდა დღე
გრძნობა იყო წმინდა, წმინდა
სიყვარული ჰგავდა მზეს.
წვიმდა ისე, ისე წვიმდა
გალუმპული იყო ცა.
გრძნობა იყო ისე წმინდა,
ჰქონდა მხოლოდ ერთი გზა.
გუბეები იყო სარკე
სარკეს ჰქონდა ნახატი.
ნახატს ჰქონდა მისი სახე
სულ სხვა დროში ნანახი.

სამახსოვრო...

ოდესღაც მე მივუჩინე
ფურცლებსშორისში ადგილი,
რათა პოვნისას, თავიდან
შემეგრძნო ძველი წადილი.
არც რაა, ყოჩივარდაა,
მოძღვნილი ზამთრის მზიან დღეს.
სულს შეუბერავ, მტვერია,
ჩემთვის კი ნიშნავს ძალზე ბევრს.
გამხმარა, ფერი უცვლია.
მოჰგავს სიყვარულს დაკარგულს.
უცებ რომ გაგახსენდება
და ტალღასავით დაგკრავს გულს.



მზია ელიაძე

ჩამობნელდა

ჩამობნელდა,უკუნეთი ჩამოწვა
უმალ სხივი აიკრიფა ციდან...
მთვარემ ღრუბელს გულიპირზე ჩამოხსნა
წმინდა ცვარი;მოიცილა გზიდან!..

უკუნეთში აკიაფდა ვარსკვლავი
უთვალავი,არა ერთი,ორი...
დაერია ღრუბელთ ქარიც ხარხარით
ზეცას იკლებს,გაუმართა ომი!..

...იბოგინა ქარმა?! ჩაცხრა ჩამთავრდა
ცად ცხრათვალა აელვარდა ვნებით.
როგორც გაჩნდა,ისევ უმალ ჩანავლდა
ქარი,ურცხვი,ავი საქმის მდენი!..

გვიანი შემოდგომა

დღეებს მიითვლის,მიიწევს მიდის
თვალცრემლიანი, ეს შემოდგომა
ფოთოლთა მწკრივი,ვით ყელზე მძივი
საოცრებაა! ღირს შემოწყრომა?!.

მარწუხმოჭერილ მზეს,ძალადაცლილს
გულცივი მთვარეც ვეღარას შველის
გადაღლილსა და არაქათდაცლილს...
...სიზმრად ნახულობს ნაფეხურს შველის?..

* * *

დაეფინა დედამიწას ფარჩ-ხავერდი გრძნობით,
ეფერება ურიცხვ ობოლთ სინანულით,ტრფობით...

ქართა ქროლვით გალაყულებს ებეჟებათ გვერდი
იციან,რომ ხვედრი არის მათი;დგანან თმენით...

* * *

გვიანი შემოდგომა

შემოიქროლა ჰა,ნოემბერმა ქურანა რაშით
შემოუჭირა მიწას მარწუხი თრთვილის მაქმანით...
ჟამი ყოფისა კვლავ შეეგება დიადი ტაშით
მოდის დრო-ჟამი ო,შემართებით,არა ბარბაცით!..

ვერ ვიტყვით,ვერა, რომ არ შვენისო ამ დროს პარპაში
ყინვას მრისხანეს, ზამთარს სუსხიანს თეთრი ფართალი...
...მიწა ირთვება;საოცარია თოვლის პარპალი
მზე ცის ლაჟვარდში მიიპარება ბანცალ-ბანცალით!..

შემოდგომა

შემოდგომაა,ცივ ნოემბრის თვე,
მზე შემომჯდარა ზეცის ტატნობზე.
სუსტი კი არის,მაგრამ დიდ მხარ-ბეჭს
იხდენს, მნახველთ კვლავ დიდ ძალას გვმატებს!..

ჰა,აიშალა ქარმა ჯაგარი,
თავზარი დასცა საბრალო ღრუბელთ...
გადააფარა მზეს რა ხარხარით,
ხარობს,ცხრათვალას რომ მახეს უგებს!..

მზემ კი,მზემ,დედამ,სამყაროს სითბომ
გაჭრა,დაშალა ღრუბელთ გულ-მკერდი...
ქარს ეძებს,ბრაზობს, თვალებით სხივობს
ქარი კი გაჰქრა უგვან-უქცევი!..

ზამთრის თეთრ საბანს

ზამთრის თეთრ საბანს,ცივს და უგულოს
მშვენება ღვთისგან დაჰყვა საამო.
მკაცრია!მიწის ქვეშ სურს უსურვოს
მძინარე ყვავილთ, დღენი საავდრო!..

მერე,მზეც გაშლის ოქროს დალალებს
გადირკალება კიდით-კიდემდე.
ყვავილთ მოყვარულ მწერთ-ბევრს,ალალებს
გაუთენდებათ საამური დღე!..

...და კვლავ სამოთხე,ღვთივგანფენილი
გახდება უმალ,სხივდაფენილი...
...ზამთრის თეთრ საბანს გაუვა ყავლი
ჩაიღვენთება შავ მიწის კვალში!..

ვერიკო პარწიკანაშვილი

****

ასეთი ლამაზი თუ რამე გინახავთ,
მატყვევებს ცის თაღის
გუმბათთან ტრფიალი,
დამისხით ეს ღვინო,
ვსვამ და ვერა ვთვრები,
ჩემი საქართველოს
ტყეების შრიალით!

ვსვამ ჩემი სამშობლოს
სიყვარულს წვეთ-წვეთად,
ხან პეშვით, ხან დოქით,
თასით თუ ფიალით,
დამისხით ეს ღვინო,
დამათროს იქნება,
იქნებ მომერიოს
ეს ოხერ-ტიალი!

*****

უფალო, შენ-ჩემი
ყოველთვის გესმოდა,
ღამეებს მითევდი,
მაშორე დარდები,
ალბათ, შემიწყალებ
ერთ ცოდვილს, მაშინაც,
როცა შენს წინაშე,
სამსჯავროს-წარვსდგები!

უფალო, ვიცი რომ
არ ვარ ანგელოზი,
მაგრამ ჩემებურად,
გულ-წრფელად-გიწამე,
ცხოვრებას ნამუსი
ისე-წარხოცვია,
აღარც ღირს სიცოცხლე,
ამ ცოდვილ მიწაზე!

უფალო, ეკლიან-გზაზე
მეც მივლია,
უკან მოვიტოვე
რამდენი აღმართი,
რამდენი შავ-თეთრი
დღე-გამომივლია,
იყო სიმარტოვეც,
დარდიც და ღალატიც!

მაგრამ ნათლის სვეტად,
ელვარე დღეებიც,
შენ რომ მისახსოვრე,
მქონია-უდავოდ
და იმ სხივებისთვის,
შვილები რომ ჰქვია,
მადლობა-უღრმესი,
მადლობა-უფალო!

ჩემი ხელ-ფეხი და
ჩემი თვალის-ჩინი,
ახდენილ-სიზმრებად,
გულში რომ ჰყვავიან,
ჩემი შვილებია
ჩემი – ყავარჯნები,

ამისთვის მადლობა,
დედაო-მარიამ!

მუდამ-ჩემეულად,
გულ-წრფელად-
ვლოცულობ
და გულის-გულიდან
უსიტყვოდ გადიდებ,
იქნებ, მაპატიო
თუ-კი-რამ-შევცოდე
და-ვით-იმსახურებ,
ისე ვერ გადიდე!

უფალო, შენ ჩემი
გული და სული ხარ,
ფიქრი-ხარ,
ზე-ციდან ნამღერი-არია,
ვიცი რომ ნამდვილად
არ ვარ ანგელოზი,
კალთა დამაფარე,
დედაო-მარიამ!

****'

იის სურნელი ყოფილა მაშინ,
დღემდე რომ მათრობს და
დღემდე ვჩემობ,
შენც გაზაფხულზე გიყვარდა მოსვლა,
აპრილთან ერთად,
სიცოცხლევ-ჩემო!

ცისარტყელის ქვეშ
ვმალავდით კოცნებს,
ერთად დავრბოდით
ზეცის თაღებში,
გემალებოდი აპრილთან ერთად,
როცა მეძებდი და მეძახოდი!

ახლაც, აპრილის
ვაგროვებ წვიმებს,
ჩემს გაზაფხულებს
მუჭში ვინახავ
და სამუდამოდ ჩარჩენილს სულში,
დასასრულამდე გადავინახავ!

სულ ერთი კითხვა
მაწუხებს მხოლოდ,
თუმც, არ მჩვევია
უაზრო გლოვა,
ნეტავ როგორი იქნება
,, ის დრო",
როცა აპრილი უჩემოდ
მოვა!

ასწიეთ დროშები!

ასწიეთ დროშები
სამშობლოს საზღვრებთან
და დასცხეთ ყიჟინა,
ყველამ რომ გაიგოს,
ჩვენი მიწა-წყალი,
ჩვენი სამოთხეა,
ღვთის-მშობლის-წილია,
არავინ წაიღოს!

ასწიეთ დროშები,
გაშალეთ აფრებად
და უსამართლობის
დაამხეთ-სამყარო,
მოყვარე მიიღეთ,
მტერს, ჭკუა ასწავლეთ,
ასწიეთ დროშები,
არასდროს დახაროთ!

იმღერეთ ,,შავლეგო",
რწმენა გაიმყარეთ,
ნუ დაგავიწყდებათ
გმირული წარსული,
გახსოვდეთ კრწანისი,
დიდგორი, შინდისი,
9 აპრილს დაღვრილი,
სისხლი-მეწამული!

ერთხელაც გარისკეთ,
ერთხელაც გაბედეთ,
თავს ნუ მოიტყუებთ
იუდას-გროშებით
და ყველა დაკარგულ,
მოპარულ მიწაზე,
აღმართეთ ქართული,
ჯვრიანი დროშები!

გახსოვდეთ, გოლგოთა
ყველას გველოდება,
ისევ გამოჩნდება
ვიღაცა-პილატეც,
,, თუ-კი მიუტევებთ
მოგეტევებათო",
ლოცვა ისწავლეთ და
გულწრფელად ილოცეთ!

ჩვენი მიწა-წყალი,
ჩვენი საუნჯეა,
არასდროს დავუშვათ,
მტერს, ფეხ-ქვეშ-გავუგოთ,
ასწიეთ დროშები,
არასდროს დახაროთ,
ჩვენს-წილ-სიკვდილსაც-კი,
ნურავის დავუთმობთ!

****

არ ვარ პოეტი, ვარ გალაქტიკა,
მარტოობას და ფიქრებს ჩვეული,
ადამის ერთი ნეკნი ვარ მხოლოდ,
უბრალო ქალად გადაქცეული!

დღე შეასკდება ღამის ნაპირს და
ცა როცა მთვარეს ამოახველებს,
დავჯდები მაშინ ლექსების-წერად,
დავხუჭავ თვალებს, ღამე-ნათენებს!

გზა-გასაყარზე, ფიქრით-დატბორილ,
თავს ვერ ვერევი, თითქოს ვბერდები
და დახუნძლული ცის-კიდურიდან,
წვიმად-იღვრება ჩემი ლექსები!

და ისე, როგორც შორს, ბავშვობაში,
დავაკვირდები ღრუბლის ფიგურებს,
მომეჩვენება, თითქოს ცის-თაღი
გახეულა და დედა მიყურებს!

არ ვარ პოეტი, ვარ ღმერთის შვილი,
აღმართს მივიკვლევ ხელის-ცეცებით,
თავზე-მემხობა მთელი სამყარო,
ჩქეფს ბოროტება თავ-გამეტებით!

ხოდა, მრცხვენია, მე რომ ასეთ-დროს,
ვერ გამოვნახე დრო და მხნეობა,
ვერ დავიცავი ჩემი ქვეყანა,
ალბათ, არ მეყო გამბედაობა!

არ ვარ პოეტი, ვარ-მარტო-სული,
მე ამ სამყაროს ვერ შევეჩვიე,
(იყო დრო, როცა ყველა მამჩნევდა
და ახლა, შენც-კი ვერ შემამჩნიე!)

არ ვარ პოეტი, არც-კალმოსანი,
დიდი– სამყაროს ერთი ფესვი ვარ,
უბრალო ქალად გადაქცეული,
ადამის, მხოლოდ-ერთი ნეკნი ვარ!

*****

სული-უსხეულოდ ფეთქავს,
სხეული-უსულოდ გდია,
შენზე ოცნებები ქრება,
უკან მოხედვაა გვიან!

ყორნების საჯიჯგნად იქცა,
შენთვის მოფართხალე გული,
დაბრუნდი, იქნება ღირდეს,
სანამ შევუყვები ბილიკს!

ვერა, ვერ გაუძლო გულმა,
რეჟიმს, უ-თავ-ბოლო-ყოფის,
მე, შენი ერთი კოცნა,
ხომ იცი, რამდენ ხანს მყოფნის!

ზეციდან, ფარფატით-ფრთების,
პეპლები ყვავილებს-შლიან,
სული – უსხეულოდ ტირის,
სხეული-უსულოდ გდია!

****

ხოხბის-ყელს
გადარებ ქალაუ,
ხან-მოკლე-სიცოცხლის
წამი ხარ,
ჩემს გულში,
ეკლებად-მოსული,
თოვლისფერ-ვარდების
ნამი ხარ!

ცის-თაღებს,
ექოდ-ასხლეტილი,
თოფის ხმა, ყურში რომ ჩამესმა,
ასე, ექოსავით შემომრჩი,
გულშიც, ვით ხსოვნა
და თილისმა!

ცოდვებს რომ დაითვლი თითებზე,
(არ ვიცი, ცოდვა თუ ითვლება)
მით შორის, ჩემი ტკივილები,
ერთ-ერთი-პირველი იქნება!

გული მომპარე და წახვედი,
აღარ დამიბრუნე, საბრალო,
იარაღ-აყრილი დავდივარ,
აღარ-მე-ჩემება სამყარო!

შველივით ყელ-მოღერებულო,
ამ მოკლე სიცოცხლის
შოკი-ხარ!
---დაიცა, არ მიცდი-ქალაუ?
სადაც-შენ,
მეც, იქით მოვდივარ!

სამყარომ გაიგოს

ეს ლოცვა,
ჩურჩულით ნათქვამი,
უფრო რომ ვედრებას წააგავს,
ვის არ შეგადარე ამ ქვეყანად,
შენ სხვა ხარ და
არვინ არა გგავს.

ამ იებს, მზის
გულზე გადაშლილს,
ჩურჩული ჩვენი რომ ჩაესმის,
შენ-ჩემი ყოველთვის გესმოდა,
სხვას-ჩემი,
არასდროს არ ესმის.

ბოდვებით ვიწყებდით
განთიადს,
ვიტანდით ცრემლებს და
ტკივილებს,
ირმის ყვირილობის
ჟამი დგას,
ახლა მეც, ხმამაღლა ვიყვირებ:

ჩვენი ტკივილები წარსულის,
მინდა, რომ ნისლებმა წაიღოს
და უფრო ძლიერ რომ მიყვარხარ,
მინდა, რომ
სამყარომ გაიგოს!

ფერისცვალება

ცხოვრებაში,
ერთხელ მოვალთ
ამ-ქვეყნად,
ხასიათით,
ჩვენეული – მიგნებით,
ერთხელ-ვცხოვრობთ,
ერთხელ-გვიყვარს,
ერთხელ-გვძულს
და ასევე, ერთხელ
გარდავიცვლებით!

მაგრამ
ამ-ერთ-ცხოვრებაში,
ღმერთისგან,
ბედად-დაგვყვა,
სასწაული-წყალობა,
შეგვიძლია, ბევრჯერ
ნირი-ვიცვალოთ
და ყოველ-წელს-ვცადოთ
,, ფერის-ცვალობა! "

ამ ცვლილებებს,
ნუ გაიგებთ პირდაპირ,
განა-მართლა
სახის-ფერი-გვეცვლება?
ხალხო, უნდა სულიერად
ავმაღლდეთ,
და-ვიმკვიდროთ
,, სინდისი" და შეგნება!

შევეცადოთ,
სიკეთისკენ-მოვექცეთ,
გადავლახოთ
ბოროტების-ტრამალი,
არ არსებობს,
უფრო-მეტი-სამოთხე,
უფრო-ტკბილი,
უკვდავების-წამალი!

არ დავუშვათ, ძმამ,
ძმის-სისხლი-დაღვაროს,
შევაჩეროთ,
,, უ-სქესოთა" აწყვეტა,
შვილებს, ენის-სიყვარული
შთავბეროთ,
არ დავუშვათ,
,, შუბლის-ძარღვის"
გაწყვეტა!

ჰა, ეს ღამეც,
,, ფერის-ცვლისა"
თენდება,
დღევანდელი
ყველა ფიქრი
ღვთის-იყოს,
ალბათ ღმერთი,
უკვე მოდის-საჩვენოს,
ყველას სახლში,
დღეს სტუმარი
ის იყოს!

მამისეული სახლი

იქ, მამისეულ სახლში,
მოგონებები ცხოვრობს,
მამისეული სახლის,
კერა თბილია ჯერაც,
იქ, მამისეულ სახლში,
ზღაპრები ისევ ცოცხლობს,
იქ სითბოა და რწმენა,
მე იქ, სიზმრების მჯერა!

ჩემი ბავშვობა ამ სახლს,
ქედს მოწიწებით უხრის,
იქ, იმ ეზოში გავლა,
ჩემთვის, სიცოცხლეს უდრის!

და შენც, ქვესკნელის ქარო,
ამოზესკნელდი, გაქრი,
ვიცი, მე ვიდრე მოვალ,
შენ მოგონებებს წაშლი!

ღმერთო, აფარე ფარი,
ღმერთო, მოიღე მადლი,
რომ თბილი იყოს მუდამ
მამისეული სახლი!

რომ არასოდეს ჩაქრეს
იქ, სიცოცხლე და კერა,
იქ ხომ, ბავშვობა ცხოვრობს,
მე, იქ, ზღაპრების მჯერა!

******

ლექსები ხომ
ჩემი სულის სამოსია,
ზაფხული და შემოდგომა ჩემი,
მუზები კი უცნაური პათოსია,
დაუპყრიათ სრულად სულის ბჭენი!

ლექსებია, დილაობით
ძილს რომ მიფრთხობს,
ტოროლების გალობისკენ მიწვევს,
ვემონები საწერ-კალამს,
მელნის ჩურჩულს,
სხვანაირად, მგონია რომ მიწყენს!

ვაი-თუ, გაწყრა მუზა,
ჩემი მეგობარი,
ვაი-თუ, სადღაც,
მირაჟივით გაქრა,
თუ გაუწყდა შუბლის ძარღვი
სინდის-ნამუსს,
მაშინ რა ვქნა,
ულექსებოდ რა ვქნა!

როცა გულში სიყვარული გაილევა
მუზები კი,,დაიბანენ ხელებს",
სიბერე რომ
,, ყაჩაღივით მომიხტება",
მოვუხმობ და ვერ ვიპოვი მშველელს!

მაგრამ ახლა, მე ლექსები მაცოცხლებენ,
მათ უპყრიათ ჩემი გულის ბჭენი,
პათოსი და ჩემი სულის სამოსია,
ლექსები და სიყვარული ჩემი!

*****

მე მოვალ წვიმად,
შეგხვდები მარტოს,
შენს თმებს,
წვეთებად დავეღვენთები,
თეთრ გვირილებად
აწეწილ კაბას,
მდინარესავით ჩამოვეღვრები!

ვიქუხებ ელვად,
დაგესხმი თავზე,
ცას შეუხსნია
მკერდზე ღილები,
ერთად დავირბენთ
წვიმის ბილიკებს,
ჩვენ, წვიმასავით გადაღლილები!

მე მოვალ წვიმად,
შემოგხვევ ხელებს,
შენს თმებში უყვართ
თითებს თარეში,
შენ, სიცივისგან აკანკალდები,
ამ გამჭვირვალე სიანკარეში!

მერე, ვიცეკვებთ
წვიმასთან ერთად,
შეგიმკობს თვალებს
ცრემლები წვიმის
და გეტყვი ჩუმად,
როგორ გიხდება,
სველი კაბა და
შეხსნილი ღილი!

მალვინა ჭელიძე

უნდა გაუძლო...

ამ არეულ სამყაროში
ხშირად მზეს რომ ქარგავ,
შემოსილი უფლის რწმენით
იმედს აღარ კარგავ.

ცდილობ გვერდი აუარო
შეუჩვეველ განცდებს,
ბევრი რამე დასათმენი,
რომ წარსულში დარჩეს.

გული შენი საზიარო
ნუ გახადე სხვისი,
ფიქრი შენი სამზიანო
მზის სხივებში იწვის.

ხშირად ისევ ჩაგეღვრება
სულში უხმო სევდა,
ბაღის ჩრდილში ფოთოლთ ცვენა,
ღმერთმა დაგაბედა.

ხშირად თვალებ მილულული,
როგორც თოთო ბავშვი,
ბედის ვარსკლავს ჯერ ააწყობ
მერე უხმოდ დაშლი.

გაუყვები მთვარეს დიადს
მარტოობას ფიქრში,
დღეებს ასე მიაგორებ,
დღეებს ასე ითვლი!

შემოდგომის ფოთოლცვენა!

დაჰქროდა ქარი,
ბინდისფერი იყო საღამო,
ისევ ციოდა,
შემოდგომას ცრემლი სდიოდა,
ნაწვიმარ ქუჩას მიუყვები
ფიქრებით მთვრალი,
ყოველი ფოთლის დაცემაზე
გული გტკიოდა.
ისევ შეავლე ხავერდოვან
ბუნებას თვალი,
იყო სიმშვიდე,
თვალთა მზერა
სადღაც გაგექცა,
გაძარცულ ტოტებს მოწყვეტილი
ბოლო ფოთოლი,
ბოლო იმედი,
სიბრალულით
ფეხთით დაეცა.
ქარი აშარი ააცეკვებს
მიმოყრილ ფოთლებს,
იქნებ და ერთ დღეს,
იქნება და გამოიდაროს,
ოქროს ფერებში შემოსილი
აიჭრას ზეცად,
რომ აღარასდროს,
აღარასდროს,
აღარ იდარდოს...
ეს შემოდგომა,
მე იმ ქალის
ფიქრებს მაგონებს,
ნაქარბუქალი დღეებიდან
იმედს რომ ძერწავს,
ცრემლი, წვიმებად
დადენილი გულს რომ აღონებს,
ღვთის სიყვარული
ნაბიჯ-ნაბიჯ
დაჰყვება მწყემსად.
ფანჯრის მინაზე ...
აცეკვებულ
წვიმის წვეთებთან,
ამ უსასრულო
მონატრებას ისევ ნებდები,
მზის მცხუნვარებამ
სიკაშკაშე დაკარგა ფერთა,
ღამის ქუჩებში შეყუჟულან,
სადღაც მტრედები!...

შემოდგომა უშგულში

თითქოს ჭაღარა შემოჰპარვია,
თეთრი ფერებშია უშგული ახლა,
რა შეაჩერებს თოვლის ფანტელებს
როცა ზამთარი მომდგარა კართან.

შემოიხვია თოვლის საბანი
ცადაზიდულმა ამაყმა შხარამ,
ცამ გადაჰყარა შავი ღრუბელი
არწივთა გუნდმა შეჰკრა კამარა.

დღე მოწმენდილი, გადასარკული,
ღამეს მშფოთვარეს, ფერი ეცვლება,
ზეცად რეკავენ ცისკრის ზარები
ლილეს ჰანგები მზეს ეფერება.

დადუმებულა ენგური ისევ,
ემორჩილება, თითქოს განგებას,
ზამთარიც რადგან სიმშვიდეს ირჩევს,
ყინვის ლოლოებს უხმოდ დანებდა.

მზე მწვერვალებზე ამოწვერილა...
გარიჟრაჟამდე მთვარე ნებივრობს...
ვარსკლავთ თამაშში შემოქროლილმა
თოვლის ფიფქმა რომ მშვიდად იძინოს.

ლამარიასთან ნისლი დათბება
ისევ რეკავენ ცისკრის ზარები,
ლამაზი არის უშგული დღესაც,
მიძინებული პატარძალივით!

გულნაზ ხარაიშვილს!

სევდის ფერებში შემოსილს,
ია, ვარდების სამოსში,
ამ გულით გეთაყვანებით,
იმ დღიდან, რაც თქვენ გამოჩნდით.

იქნებ და ღმერთმა გაგყაროს,
ირგვლივ, რაც დარდის ფერია,
სევდას, რომელიც გზადა გზა
ხალიჩად დაგვიფენია.

რით განუგეშო არ ვიცი,
შენ ჩემო სულის გენიავ,
იცით, რომ თქვენაირები
ქვეყნად არც ისე ბევრია?!

ასე ვიარე...

ამ გულში იმდენი სითბო ჩავატიე,
სიკეთე ავკინძე ფურცლებად,
რამდენი სევდიანი ღამე გავუთიე,
იმდენჯერ ავიშალე სიზმრებად.

მერე გაზაფხულის იებად იყვავილა,
ვარდის კოკრებად გაიშალა.
ფერადი ფოთლები დავაფარე,
რადგან სიცივისგან დაიღალა.

იდუმალ დღეებსაც დავემგზავრე,
ღრუბლებში ავიჭერი ხანდახან,
სადარდებელიც გავაყუჩე,
ვიქარვეთ ტკივილი გზადაგზა...

ზეცამდეც ავიტანეთ სიყვარული,
მხოლოდ ერთგულების ვიწამეთ,
ჩუმი ოცნებების თანამგზავრი,
ცრემლად ვიღვრებოდით მიწაზე.

ამ გულში, იმდენი გული ჩავატიე,
სიკეთე ავკინძე ფურცლებად,
ღვთისმშობლის სიყვარული,
გზადაგზა დავუფინე,
ღვთის რწმენით.

ვდევნი მწუხარებას

სამარისებური სიჩუმეა,
წყდიადი ღამე კი
იდუმალების ტყვეა.
მინდა დავემგზავრო
მთვარის სიოს,
მისი სიფაქიზე გულში
დავიტიო.
ვდევნი მწუხარებას,
მტრისგანაც თუნდაც,
უფალო!
შენი გზით მატარე მუდამ!

ლალი სოხაძე

***

მისი სახელის ხსენება,
გულზე მედება მალამოდ,
ცხოვრება მიქცია ედემად,
მინდა – რაიმე ვაამო...

მაგრამ არაფერს არ ითხოვს
და არც არაფერი უნდა,
სიყვარულს გვასწავლის სუყველას,
გვაცილებს ჭირსა და ურვას!

შვილად მიგვიღო სუყველა,
სულით და გულით ნაზია,
მიმიხვდით ალბათ ვინც არის-
ეს ჩვენი დ ე დ ა გულნაზია!

***

ვუსმენ შოპენს და
ქარი იტაცებს
ფერად ფოთოლთა
ჯ ა რ ს,
ვუსმენ შოპენს და
ფოთლები ცეკვავენ
ვ ა ლ ს ს,
ეფერებიან მთელ
დედამიწას და ევლებიან
თ ა ვ ს.
ხეები შემოიძარცვნენ
და სულ გაშიშვლდნენ
მ თ ლ ა დ,
ფერად ფოთოლთა
ნარნარით ცეკვას
ვეღარ ვაშორებ
თ ვ ა ლ ს,
ვუსმენ შოპენს და
სულიც მიფრინავს
ც ა დ !

***

ქალაქში გაზრდილს, ქალაქური ყაიდით ჩაცმულს,
,,სოფლის სამოსი“ მომირგია ტანზე მეფურად,
იდუმალაში, რძლად მოვსულვარ და არცა ვნანობ,
ქართულ მიწა-წყალს ვეფერები მე, ჩემებურად!

აქ იცით, მიწას სურნელი აქვს მაისის ვარდის,
წვიმა კი უკრავს მთის და ბარის მუსიკას ერთად,
მის წვეთებს მოაქვს ყვავილების სურნელი ბარში
და ღრუბლის ფთილებს არ უტოვებს დროს მოსაწყენად...

მზე, სხივებს ნაზად უნაწილებს ირგვლივ სუყველას,
ცა, კიდევ უფრო იქარგება ნაირფერებით
და მთის უბეში ნაკადული მოილტვის ველად,
სიო, კი დაჰქრის აღმა დაღმა ფერებ ფერებით

ქალაქში გაზრდილს, ქალაქური ყაიდით ჩაცმულს,
,,სოფლის სამოსი“ მომირგია ტანზე მეფურად,
იდუმალაში, რძლად მოვსულვარ და არცა ვნანობ,
ქართულ მიწა-წყალს ვეფერები, მე ჩ ე მ ე ბ უ რ ა დ

***

ბონაპარტის არ იყოს და
დახმარება უნდათ ძლიერთ,
ნიჭიერთაც თუ მივხედავთ
ალბათ ნერვებს დავიმშვიდებთ.

ქვემძრომები, ყველა,,ხვრელში“
თავისუფლად ეტევიან,
უნიჭონიც გზას იკვლევენ,
არ აშინებთ უტოპია.

ბედი ასე რად გვაბრუნებს,
რას გვერჩის და გვემართლება?
ღმერთო, ნეტავ ეს დროება
როდისმე თუ შეიცვლება?!

***

ლექსად დავიღვრები,
სულში ჩაგეღვრები,
ვნებას აგიშლი და
გულში ჩაგეკვრები,
ლექსს დაგაწერინებ და
მერე გაგექცევი...
ა გ ა ფ ო რ ი ა ქ ე ბ,

ისევ აიშლები
ყვითელ ფოთლებივით
ქარში მოშრიალე ...
მინდა შემიყვარო
ისევ თავიდან და
ლექსები მომიძღვნა
სულში მორიალე!

***

დრო, სიზმარივით გარდასული,
სხეულის გარდაქმნას მეჩემება...
აღშფოთებით იბრძვის ჩემი სული,
წარსული, კადრებად მეჩვენება..

გული ჩამოწურა დრომ უეცრად,
სისხლის ნატამალი აღარ დამრჩა,
ნაკვალევი, ვერ აღვიქვი ვერც რად,
გონში, ისე სასწაულად ჩამრჩა.

დრო, სიზმარივით გარდასული,
სასწაულებს ითვლის ეხლაც,
ადამიანის აღსარება, კვნესა სულის
და ჩემს ორეულთან შეხლა...

ნეტავ, შეუჩერებლად მატარა,
მხოლოდ ასე, თუ შევძლებ ცხოვრებას,
თორემ, ამ რთული დროის ატანა,
ყელში ამოსული, მრჩება ბოდვებად.

დრო, უდროობით გარდასული,
სიზმრის ბილიკებს, რომ გაჰყოლია,
ჩემს სულს, ზეცის ზევით ასულს,
წუთისოფლის სევდა აჰყოლია.

***

რა ვქნა, როცა შორს ხარ, მაგრამ
სული მაინც ახლოსა გგრძნობს...
სივრცის არე ვერას აკლებს
სულთა შერწყმას, თან ვერ აქრობს
იმ,,ცეცხლს“ რასაც გულს, რომ ანდობს.
დროში, როცა ვმოგზაურობ,
ფიქრთა ჯარი ფიანდაზად მეფინება,
სიყვარულის ბგერები კი
ტალღებივით ირხევა და
სიოსავით, მართლაც ნაზად მეფერება...
რა ვქნა, როცა შორს ხარ, მაგრამ
სული, მაინც ახლოსა გგრძნობს,
ჩემი გულის კარებს ღიად
დაგიტოვებ, თუ გსურს კარგო!..

***

ქარვისფერო, მარჯნისფერო,
შემოდგომავ, სავსე ზვრებო,
მზის სხივებით მოქარგულო,
საქართველოვ-ჩემო გულო,
ნაირფერად მოკაზმულო,
მთა– ველებით მოსაზღვრულო!
სტუმრიანნო, გულიანნო,
ქართველებო მადლიანნო,
ვაჟებო და გოგონებო,
პირმცინარნო, შარმიანნო,
გამრავლდით და იდღეგრძელეთ
ღმერთისნაირ სახიანნო!..

***

უფალო შეგვინდე ცოდვები შენს მხევალთ,
ყოველი ცოდვა და ურვა გვაცილე,
მტრის რისხვას გვაშორე, ჩვენ შენსკენ მავალთ,
სამშობლოს,,მუმლი“ კიდევ აცილე!

ვერ შეგიფერეთ, გაგყიდეთ, გაწამეთ...
მაინც გვპატიობ და მაინც შეგვინდობ,
მოგვეცი ძალა და უნარი ლოცვების,
მშვიდობა მოგვმადლე, ვიცი, რომ კვლავ გვინდობ!

ბავშვები დაინდე, ჩვენს ცოდვებს ნუ უთვლი,
ჭირში და ვარამში, შენს სახელს ვლოცულობთ,
როს გვიჭირს მაშინ, რომ მოგმართავთ, შეგვინდე,
შენს გზაზე გვატარე მ შ ვ ი დ ო ბ ი თ მოსულო!

***

უფალო შეგვინდე ცოდვები შენს მხევალთ,
ყოველი ცოდვა და ურვა გვაცილე,
მტრის რისხვას გვაშორე, ჩვენ შენსკენ მავალთ,
სამშობლოს,,მუმლი“ კიდევ აცილე!

ვერ შეგიფერეთ, გაგყიდეთ, გაწამეთ...
მაინც გვპატიობ და მაინც შეგვინდობ,
მოგვეცი ძალა და უნარი ლოცვების,
მშვიდობა მოგვმადლე, ვიცი, რომ კვლავ გვინდობ!

ბავშვები დაინდე, ჩვენს ცოდვებს ნუ უთვლი,
ჭირში და ვარამში, შენს სახელს ვლოცულობთ,
როს გვიჭირს მაშინ, რომ მოგმართავთ, შეგვინდე,
შენს გზაზე გვატარე მ შ ვ ი დ ო ბ ი თ მოსულო!

ედუარდ უგულავა

ნინო

მზე აღარ დაეძებს
სოფლებს და ქალაქებს...
აცივდა. სიცისფრე
დასცვივდა ცის ფერს.
წვიმს. ნინო თაროზე
ძველ წიგნებს ალაგებს
და ჩემთან ცხოვრების
ერთ დღესაც ითმენს.
ის წასვლას ყოველ დღე
აპირებს სახლიდან,
თუმცა თმა სავსე აქვს
ბაჯაღლო ვერცხლით.
ნინო რომ ცხოვრებას
იწყებდეს ახლიდან,
კვლავ ჩემთან იცხოვრებს,
არაფერს შეცვლის.

***

თემურ ჩალაბაშვილს

იმათ ჯილაგს
ვენაცვალე,
იმათ მოწვდილ ფიალებს,
ვისაც შენი
ლექსი გულში
ხანჯლად არ უტრიალებს.
ვისაც ჯერ არ
მოსწყენია
სილამაზის ფერება,
ვინც გიმღერებს,
თუმცა იცი
მართლა არ ემღერება.
ვინც თავს ისე
შეგაყვარებს
არ სჭირდება მისნობა,
ვინც წყალს გასმევს
და წყურვილით
ამ დროს თვითონ იხრჩობა...
ვინც ყოველთვის
ფხიზელია
დაღლილ სულის საშველად,
როცა თავად
ემზადება
მტკვარში გადასაშვებად.

***

პურის ნატეხს
ვჭერდებოდი,
ჭიქა ღვინო მყოფნიდა,
აბა, რატომ
გადმომაგდე
ზეციური ყოფიდან?!
დედამიწას
ისე უცებ
დავეხეთქე მეხივით,
ვცახცახებ და
ახლაც მტკივა
ფრთები გადატეხილი.
შენ რომ ცოტა
მოგეთმინა,
ფრთებს თვითონვე
გავშლიდი,
ვღუღუნებ და
ძლივს დავბობღავ
გზებზე ჩვილი
ბავშვივით.
და სადაც ხარ,
უიმედოდ
ვიყურები იმ მხარეს,
ღამდება და
მოტეხილ ფრთებს
საბანივით ვიფარებ.

სანამ შენ მესვრი!

არ შეგწევს ძალა, რომ ვინმეს
გშურდეს,
თუმც გაფიქრება ამაზე არც მსურს,
ან რა იცოდი, თუ ჩემი უბეც
ნაგანს მალავდა, თვალებდაქაჩულს.

რომ იმ გაშლილი ბაღების იქით
დარჩა საოცრად უცხო ცხოვრება
და საფეთქელზე დამსხვრეულ ჭიქის
კივილის ცდა და გულშეღონება.

და რომ სურვილი მოკვდა გაგების,
რომ გაგიჟებულ მზერის საშველად -
იყო შრიალი თეთრი კაბების
და ყელსაბამთა აკაშკაშება.

მერე ჯირითი მორთეს ქარებმა
და აიფოფრა გზა ბოროტების,
როგორც ლომების ამოძრავება
და გადარევა ანტილოპების.

მერე ბაგიდან დაიძრა გესლი,
მერე მანძილი უცებ გაიყო
და გამეღიმა: სანამ შენ მესვრი,
მე გესვრი, შენი რჯულიც არ იყოს!

ნათია დაშნიანი

გაიაპრილებს

საცაა მალე გაიაპრილებს,
ჯერ უბალახო იების ველი,
არ დაივიწყებს მზე დანაპირებს,
მზემ თეთრ მწვერვალებს
შეავლო ხელი.
გადმოვარდება კლდიდან ჩანჩქერი,
ქვებზე დარჩება ქაფი და ფერი.
ისუნთქე მიწავ, ცივი ზამთარი
დღეს სიზმარია, სხვა არაფერი...
საცაა მალე გაიაპრილებს,
სულს შეეფრქვევა ატმების მტვერი.

* * *

კარი შევაღე და შვბარბაცდი,
სული შემიხუთა კაეშანმა,
ჩემს მშობლიურ სახლში სიმარტოვეს,
ფრთები უსასრულოდ გაეშალა.
დამხვდა გადამხმარი ვენახები,
ზოგან სასიმინდე ნაუყარი,
წალდი, მამის ხელებს შენახები...
დარდი ვეღარავის გავუყავი.
თითქოს ყველაფერი სიზმარია,
ბედის გამოტანილ განაჩენით,
თვალი დახუჭა და ეკლესიის
გვერდით გადასახლდა მამაჩემი.

სოფელი

ციდან თეთრი ფიფქები
ეშვებიან ცეკვით,
კვამლი ძველი ბუხრების
სველ ცას აღარ ეკვრის.
ჩაკარგულან სახლები
უხალისო დროში,
ერთი ბავშვიც არ გარბის
გაუკვალავ თოვლში.
გზა-შარა თუ ორღობე
მკვდარ სიჩუმეს ირგებს
და ულპებათ ფიცრები
მიტოვებულ ციგებს.
ხეებს, ხეთა ბერმუხებს,
უცხოები ჭრიან,
ბეღურები უფრთხიან
დარაბების ჭრიალს.
თუმცა სოფელს ზამთარი
მდუმარებით მოსავს,
მაინც მოაქვს იმედი
ახალი წლის მოსვლას.

* * *

ჩამოთოვს მალე, მშვენიერ თვალებს
დაეფინება თეთრი ფანტელი,
გავაშვებინებ სამყაროს ბრჭყალებს,
გდავათეთრებ სულებს დამტვერილს.
ჩიჩილაკებით, ნაძვის ხეებით,
თუ დაიბუდებს ჩვენში ზამთარი,
მაშინ ჩვენც ვივლით ცივი ხელებით,
ქრისტეს შობის დღის ცეცხლით გამთბარნი.
ჩამოთოვს, რადგან მზის ამოსვლამდე
შეწყდა ამ დილით ფოთლის ფრიალი,
დღეს დედამიწა მზემ შეისრუტა,
ღრუბლებს აუტყდა ცაში წრიალი
და დასცვივდებათ მღვრიე თვალთაგან
მუჭისოდენა თეთრი ფიფქები,
შემოეხვევა ნისლი ჩვენს ოდას,
თოვლი გარეთ და ჩვენ შინ ვიქნებით.
რომ არ გავრცელდეს ქუჩაში ჭორი,
გადაურაზე მთვარეს კარები,
ბუხრთან თბილად ვიქნებით ორნი
და სევდას აღარ გავეკარებით.

* * *

სიცარიელე ჩემში ახლა
ჩემზე მეტია-
უჰაერობა დასჩვევია
გულსა და ფილტვებს,
როცა თვალები გაზაფხულებს
აღარ ეტრფიან,
უფერულ დღეებს რიგრიგობით
მუხლებზე ვიმტვრევ.
მერე ჭრიალით გამოვაღებ
სულის დარაბებს,
მზე გადაიქნევს ძველ მარაოს,
გამოყრის კვირტებს...
დღეს მოლოდინიც ისეთია
არ ჰგავს არაფერს,
სიცარიელით სავსე ვარ და
სამყაროს ვიტევ.



გერონტი მესხი

ნეტავ...

სილამაზით ტოლს არ უდებ არვის,
შენს თვალებში ურჩ სიცოცხლეს ვხედავ.
შემოგყურებ და ვკითხულობ კრძალვით:
სიყვარული შეგიძლია, ნეტავ?..
შენი ტრფობა გულს მოედო როგორ!
თვითონ მიკვირს, ამდენს როგორ ვბედავ...
ასე ტურფა დაიბადე, გოგოვ?
შეგიყვარო, ნებას მომცემ, ნეტავ?..
ცად წამიღებს გრძნობა, მწველზე მწველი,
ჩემი შვილის შენ რომ გახდე დედა.
...და ჩაივლის თუმცა ბევრი წელი,
კვლავ ვინატრებ: ჩემი იყო, ნეტავ!..

ნაცარგორის დალაშქვრა

გუშინ ღვინით
ისე უღვთოდ გავტიალდით,
„ნაცარგორას“ მოვექეცით
მაღლიდან.
დაისის მზე
ჩანდა, როგორც
განთიადი,
აღმართ-აღმართ სიარულიც
არ გვღლიდა.
მაჩაბლის ცის ჭრილობები
ახლაც ფეთქავს,
ეშმა ისევ აპაჭუნებს
შავ თვალებს...
...ღვინომ ბუშტი, სიყვარულის,
გაგვიხეთქა
და „ჯვრის“ გორა
„ნაცარგორად“
ჩავთვალეთ...

ნებართვა

სამყარო დიოდა...
ბიჭს ფიქრი სტკიოდა...
მის წინ მიდიოდა
ქალი და, როგორი ქალი!
ყელყელა, ყირმიზა,
სისხარტე – ირმისა,
იმედი დილისა,
არ ეშორებოდა თვალი.
ვარსკვლავებს ცით კრეფდა,
მიჰქონდათ ფიქრებს და
თან ბიჭსაც ითრევდა
რაღაც ანდამატის ძალით.
მიმოხვრით ართობდა,
სურნელით ათრობდა,
და მზერით ათბობდა,
სხივს ტოლს არ უდებდა ქალი.
ამდენს რომ ქურდობდა
ვნებების ურდოდან,
ბიჭს გაცლაც უნდოდა –
ქალს შემოეგება ქმარი.
კაცმა რაც შენიშნა,
ჩანს, ცუდად ენიშნა,
ბიჭს მისცა შენიშვნა:
უნდა გადინოო ძმარი!
ბიჭმა თქვა – მოდი და
გამოვყვეთ ოდითგან:
მითხარი, როდიდან
არ ძალმიძს მშვენებით ტკბობა?
თუ ფიქრს ემძლავრება
და გონს ეძალება,
არც თვალს ეკრძალება
შევლება და ხილვით თრობა.
შენ თავს გდის ნაყოფი
ცის წიაღს ნამყოფი,
და თავზე სამყოფი...
ჩანს მხოლოდ ნაჭარბი ვნება.
შენ, ძმაო, რა მოგდის,
თუ ვაშლებს სამოთხის
ვერ შევჭამ, გამოდის,
არცა მაქვს შეხედვის ნება?
ქმარი ჯერ გაოცდა,
და, მერე, საოცრად
ნაზად ქალს აკოცა
გრძნობით ამაყით და წმინდა...
გზას კოცნით გაუყვა,
ბიჭს გრძნობა ჩაუკლა
და თვალი ჩაუკრა:
გვიყურე, რამდენიც გინდა!..

ნეტავ, შენი ხელი ვიყო

ნეტავ, ვიყო შენი ხელი
და შენს სხეულს ვეხებოდე.
თაფლი ვიყო, ოდნავ სქელი,
ყელში გაგეკვეხებოდე.
ანდა, ვიქცე საპნის ქაფად,
დაგეღვენთო მკერდზე ვნებით...
შენ რომ არა, მზერას, აბა,
ვინ წარმტაცებს დაჟინებით.
მაგ თლილ ნაკვთებს ვუმზერ როცა
ორ ვაშლს ვამჩნევ საადრეოს,
თვალს მიკრავენ ისე მორცხვად,
თითქოს გვქონდეს სანაძლეო...
მინდა როგორც ხამმა წყალმა,
მთელ სხეულზე დაგიარო.
განა ღვინით, შენით მთვრალმა,
ნეტარება ვაღიარო.
ხან კი წვიმის ურიცხვ წვეთად
მქნა, თვალ-წარბზე გეალერსო.
მინდა, ჩვენზეც ასე ეთქვათ:
„ფერი-ფერსა, მადლი-ღმერთსო!“
როცა გხედავ, ლექსი ჩნდება,
მეძალება მღერის ნიჭი.
უღვინოდაც, უცაბედად,
შენი ეშხით ვთვრები ბიჭი.
შენი სითბო გადამარჩენს,
ვით გულწასულს ქარ-ნიავი.
მაგრამ, ვაი, თუ მამაშენს
ვერ დავტყუე შენი თავი...

ნახე, ბიჭო, ნახეო...

ნახე, ბიჭო, ნახეო,
ვნებას აფრქვევს სახეო,
თვალთა სხივით შეგბოჭავს,
როგორც ფრინველს – მახეო.
„მჯობნის მჯობი“ ქალია,
გულის გულიც გალია...
ისე შეუვალია,
როგორც ვეფხვის გალია.
რაჭველია, ქვე, განა?!
თუ, იმერელს ემგვანა?..
იქნებ, ჩადრით იაროს,
გადარია ქვეყანა...

* * *

მე შენი თავი ზეცამ მაჩუქა,
ჩამოგიტყუე ციდან მიწაზე.
ახლა ვარსკვლავად შერჩი ამ ქუჩას,
ანგელოსობა უკვე ვიწამე.
შემოდგომაა, ნავარდობს ქარი,
დაცხრილულ ციდან წვიმს თავაშვებით.
ხელაპყრობილი ფიქრებით ჩქარით
შენს გამჩუქებელს ვებაასები.



თემურ გოგსაძე

ტანგო მტკვრის პირას

"... მტკვრის ხელისგულზე,
მეტეხთან ახლოს,
ოდესმე, ერთად, ვიცეკვებთ ტანგოს"
ამ დანაპირებს, გისრულებ ახლა,
დიდი ხნის გრძნობა,
უნდა განვაგდოთ!!!

მომიახლოვდი... მომეც სხეული,
შერწყმის მირაჟში, რომ დავიკარგოთ!...
ჟღერს მელოდია – გამორჩეული,
რითმებში გვითრევს –
მღელვარე ტანგო!!!

გამოვიპარეთ წუთისოფლიდან,
მარადისობის გზა, რომ მოვქარგოთ!
რადგანაც უკვე, აღარ გვყოფნიდა,
შორით ალერსი
და ფიქრში – ტანგო!!!

არ დავსრულდებით, ასე მგონია,
დროის მსვლელობაც დანებდა ტანგოს
და მინდა, მინდა, ეს ჰარმონია,
სამყაროს მიღმა – გადავაბარგო!!!

მახსოვს სხვა დროში დრო დავთმე შენთვის,
არცერთ დროში, რომ აღარ დაგკარგო
უსასრულობის ბილიკებს ერთვის,
მეტეხთან ჩვენი, უკვდავი ტანგო!!!

მტირალა აღმართი

სამების კალთებთან – მტირალა აღმართი,
დღემდე უსასრულოდ იღვრება ცრემლებად...
ნამდვილი ამბავი, ზღაპარი თუ მითი –
დიდი სიყვარულის – დროს გარდმოევლება!
ამბობენ, ამ მთაზე, მალულად ხვდებოდა
მზე-ჭაბუკ შემოქმედს, თავადის ასული...
ორივე, ღვთაებრივ გრძნობებით კვდებოდა,
ასეთივე იყო მათი დასასრული...
აზვირთდა ერთბაშად ადათი და შური –
აწამეს მხატვარი, ვითარცა წარმართი?!
ცრემლად გარდაიქმნა ლურჯთვალა მიჯნური,
ატირდა, მას შემდეგ, ატირდა აღმართი!!!
გარდმოედინება, როგორც უკვდავება,
ზოგჯერ მკლავს სურვილი – სიმბოლოს აღმართვის,
თუმცა თვითონვეა, დიდი ბრწყინვალება,
მიჯნურთა ერთგული – მტირალთა აღმართი

იქნება ფიქრი წაიღოს ღამემ

იქნება ფიქრი წაიღოს ღამემ,
იქნება სევდაც შემომეძალოს?!..
წმინდა ამბორი, მოვტაცოთ წამებს,
ერთხელ მაკოცე, პატარა ქალო!..

იქნებ შეესხას ოცნებას ფრთები...
და ამ წამისთვის, წლებიც გავცვალო?!..
ხელი მომხვიე, ნუ შეშფოთდები,
ერთხელ გაკოცებ, პატარა ქალო!..

იქნებ დამთავრდეს, წუთისოფელი,
სიცოცხლე, უცებ, გარდამეცვალოს?!..
ცისფერი ცრემლი, ნაზი, გულწრფელი,
თან გამატანე, პატარა ქალო!

და გარდამოვალ – ვარდობისობას,
ჭეშმარიტების გზა რომ გასწავლო!..
რომ სიყვარულის მარადისობა,
აღარაფერზე აღარ გაცვალო!!!

მიყვარხარ!...

მიყვარხარ! -
თავად სიყვარული
ამეტყველდა ჩემს ბაგეებზე!...
ეს სურნელება, ადრე განცდილს,
არ გავს სრულიად...

მიყვარხარ! –
ახლა სევდაცაა,
უშენობით ჩავლილ დღეებზე...
მიყვარხარ! –
განა მარტო გული, ჩემი სულია!!!
მიყვარხარ! –
როგორც მთელის ნაწილს,
გეძღვნება გული,
როგორც შეცნობა – არსობისა,
სულს ეყვარები!...

მიყვარხარ! –
სულ სხვა სინაზით და სხვა მღელვარებით,
მიწის სურნელით,
ცის სილურჯით და ელვარებით!...
მიყვარხარ! –
ყველგან, ყველაფერში და ყველა ფერში,
გარდამოდიან მუზად თეთრი განთიადები...
მიყვარხარ! –
ვიცი გველოდება, დიადემა,
ლურჯ მწვერვალების
და სიყვარულში, სიყვარულით
გავმთლიანდებით!!!

მიყვარხარ! –
ჩემი ყველა დროის ხარ გულისსწორი –
მეხსიერებას შერჩენილი აღთქმა მართლდება...
ჭიქების წკრიალს,
ჩაანაცვლებს სულთა ამბორი
და შავ ღვინოში, მაგ თვალების ელვარება
აილანდება

მიყვარხარ! –
გრძნობა ურიცხვია და თანაც სრული,
ყოველდღიური ბრწყინვალება, მუდამ
ახლდება!...
მიყვარხარ! –
ალბათ ეს შეხვედრა და სიყვარული,
სხვა პლანეტებზეც,
ლამაზ ზღაპრად გადასახლდება!!!

მიყვარხარ! –
ყველა სიცოცხლეში,
ყველა სიკვდილში,
ყველგან, ყოველთვის – გარდაცვლილიც
შენს გზას მოვნახავ!!!
მიყვარხარ! –
თანაზიარი ვართ ბედთან ჭიდილში,
მარადისობის შეცნობა
და არსის პოვნა ხარ!!!
- –
მიყვარხარ! –
სიტყვას, ფერებს, ნოტებს –
სხვა დროს, სხვაში, ვერსად მოვნახავ!!!
მიყვარხარ! –
რადგან სიყვარულით
არსის პოვნა ხარ!!!

ს ა მ ე ბ ა

რწმენა, უფალთან ყოფნის-ღუზაა...
და სიყვარული, ჩემს სულში ბარდნის!..
მშვენიერება-ჩემი მუზაა,
ღირსება,ჩემი ხმალ-მუზარადი!
სამშობლოს ცნება-ღმერთია არსით!..
სამლოცველო და სავედრებელი!..
მით უფრო, ჩვენი, იბერთ-კავკასი,
მაღალი ღმერთის-სამკვიდრებელი!..
წუთისოფელი, გზა არის მხოლოდ,
გაჰყვე ან ასცდე, ღვთიურ დინებას?!
თავისუფლებით ვიმკვიდრებთ ბოლოს-
მარადისობას თუ მოკვდინებას!
დრო დროზე, როცა გადაიცვლება...
იქაც შევიცნობთ და გვეამება!-
რწმენა, სამშობლო, თავისუფლება!-
განუყოფელი არის სამება!

მრწამსი

„...შთამომავლობას სულ, რომ ახსოვდე!-
სული და გონი, უნდა აწვალო!..,
სამშობლოსათვის-ბრძოლაში მოკვდე
ან, მასზე ლოცვით, გარდაიცვალო!“

სამშობლო

რეალობაა-ლეგენდა, ღმერთმა გვიბოძა, ეს მიწა!..
და მოდგმამ ,,იბერთა გენთა",
ღმერთს, მისი დაცვა, შეჰფიცა!
და იქმნა, ასე, მთავარი,
მცნება-პასუხისმგებლობა!..
ამით გვაქვს მონაპოვარი,
გალობაც და დამწერლობაც!..
გაგვანდეს, ღვთიური კოდი-
ანბანში გადანახული!
შვიდ სხივში-შვიდი აკორდი-
სამყარო, ჯერ არ ნახული!..
აქაც, შევქმენი საუნჯე-
ციხე-ტაძრები, ჩვენია!..
აღტაცებისგან გვამუნჯებს,
ქართული ცეკვის გენია!
სამყაროს მივეც, ღვთის-ღვინო,
ფოლადი-განაჭედია!..
ღმერთს მინდა, დავალოცვინო,
კაცობრიობის ბედია!
ამიტომ, აღარ ვკითხულობთ,
სამშობლო, ჩვენთვის, რა არის?
სისხლით დაწერილს ვკითხულობთ,
ჯვარცმა-აღდგომის გზა არის!...
ყველა გრძნობაზე ანკარა
და უკვდავების სვეტია!...
სამშობლო, ღმერთი კი არა,
სამშობლო, ღმერთზე მეტია!
რაც, თვითონ არის, ღვთის ნება-
ეს სწორედ, ის მომენტია-
სამშობლო, არ გაიცვლება!
სამშობლო, ღმერთზე მეტია!

ირინა ბერიანიძე

ROCA ქალი ამაყი ხარ

დრომ მოიტანა აღარ მაქვს ბინა,
გვერდში არ მიდგას ძე ხორციელი,
დარდს არხეინად დიდ სხვენზე სძინავს,
ვის მივდგიმოდი ხელცარიელი.
ცხოვრების ბრუნვას მივყევი ნელა,
ერთი სარდაფი ვნახე იმედად,
ტანში მცრიდა და
ღამეა... ბნელა,
თვალმა დაიწყო ცრემლის დინება.
მენატრებოდა
საწოლში წოლა,
ლოცვაში ვნახე სიმშვიდე სულის,
დარდმა კინაღამ გადამიყოლა,
ცრემლის მდინარე შორიდან მივლის.
შვილი წამართვა ძლიერმა ტალღამ,
რაღაა ჩემი წუთისოფელი,
გულს ტკივილები შემომრჩა დამღად,
შემოვრჩი დარდთან განუყოფელი.
თუმცა ის დავრჩი რაც ადრე ვიყავ,
სიკეთე ჩემი
სულის ჰობია,
დარდო ვერაფრით ვეღარ გამრიყავ,
დაიმახსოვრე შენ
მე გჯობივარ!

ვერ დაგსჯიან

შენ ვერ დაგსჯიან ლექსის წერისთვის,
სულს ვერ
მოკლავენ შენში,
შენ სიკეთე ხარ
შენი ერისთვის,
ესა დევს შენს
ჯიშს გენში .
ლექსებს ზეცაში წერილს ვატან და ...
სიზმრად ნახული
მათ რა იციან,
ავდევნებივარ ბედისწრის ავდარს,
ჯერ არ მივდივარ,
თუმცა მიცდიან!

ცრემლის დენით

ჩვენ ხომ ერთად ცრემლის დენით,
ტკივილებით გვიცხოვრია,
დრო მიყვარდა მხოლოდ შენით,
მიპასუხე ხომ სწორია?
ვერ გიშველე და გაფრინდი,
შორს იმერში სახლობ,
შეიცვალა აქ ამინდი მითხარ როგორ გნახო?

წელს წელი მისდევს

გულში ჩაგროვდა
დიდი იარა,
წელს წელი მისდევს,
თვეს კი რიცხვები,
თავზე გრიგალმა გადამიარა,
მე უკვე ცრემლის ქალად ვითვლები.
შენ ტკივილი ხარ უკვე დედისთვის,
გადამაქციე დედი იანვრად,
რად გამიმეტე მე ამ ბედისთვის,
ღმერთი ირჩიე
დედა კიარა.
მინდა ავკინძო
სიტყვა სიტყვაზე,
შენ ჩემო ვაზის
ნორჩო წალამო
და თუ შემოგხვდი
დილის წირვაზე
დედი, შენ ჩემში
უნდა დაგმალო!

* * *

უფალმა სულიერი სიმტკიცის გამოცდა მომიწყო,
შვილმა ბედნიერების ფრთები მომტეხა,
ტკივილით ვცხოვრობ ამ ქვეყანაზე,
დაუნდობელი სისასტიკეა დღეევანდელობა.
სხეულით არ ხარ,მაგრამ სულით,
სუნით და გულით ჩვენთან ხარ.
ღამე დავიმეგობრე მას ვანდობ ჩემს დარდებს,
გულში სამუდამო ტკივილი ბუდობს,
ტირილით გავჟღინთე ცოდვილი მიწა,
მარადისობამ ამაოდ გშთანთქა...
ტრანსფორმაცია განვიცადე,
სიცოცხლის სუნი ტრიალებს ირგვლივ,
გლოვასაც ზომიერება სჭირდება ვიცი
გენში ჩადებული ღვთიური მადლით!

პასუხად გეტყვით

თქვენ ხართ მალამო სულთა კურნების,
გამოცდილი გაქვთ ძნელბედობა ამა სოფლისა,
სიტყვის ზეობაც ღვთისგანა გაქვთ თავზე დაყრილი.
საოცარია ყველას გულით უძღვნით სტრიქონებს.
დარჩა კი ბაგეს სიტყვა ბგერა ამოუთქმელი?
ო, ღმერთო ჩემო, რა ძნელია ჭირთა დათმენა,
როცა გაქვს სევდა.. სხვას გაულღო ყინულის ლოდი.
და რა კარგია როცა ხვდები "ბედით ორეულს",
სულ მოგეხსნება მძიმე ტვირთი ბრძოლა მორეულს!!

* * *

თუ ვმღეროდი დამავიწყდა ის დრო,
განაწამებს ფიქრს მიცემულს ეულს,
ნუთჯ მოვა ის სილაღე კოხტა
ამითრთოლებს ჩემს გაყინულ სხეულს,
უკან ვტოვებ განვლილ გზას და დარდებს,
ვით გამძვრალი გველის ძველი ტყავი
აღმაფრენას მივეცემი უმალ
და ვიქნები შვილიშვილთა სიხარულის ცვარი!!

* * *

სიტყვის მადლის მფრქვეველები
ცისკარელის გარშემო იზრდება,
ყველას აზრის გამოთქმაზე შინაგანი სამყარო ივსება!
შემოდგომაზე როცა ფერები ხუნდება,
ამ დროს ათინათის კიდობანი ხურდება!

დრო გადის

გადის დრო ... წარსული მიძახის,
მოგონებაა ტკბილი...
იქ, ჩვენ რაც ვნახეთ,,შიმახში"
იმ გზით ისევე ვივლით.
არ გვაკლდა აუზი, საუნა, გართობა,
მადლობა იაპონიას...
ურთიერთობა გვართობდა,
ის დრო ღვთით ნაპოვნია.
მგონია ვიყავი
ოცნების ზღაპარში,
სურნელს ტოვებდა ნიავი,
სიცილი, წუთების მარმაში,
დროვ, ისევ ამონიავდი.
ხან იყო ბურუსი,
ხან იყო მზიანი,
გული ხარობდა მართლაც,
დრო იყო ვარდივით ცვრიანი,
ვიგონებ, ლექსით ვთაფლავ.
რამდენი რამაა რაც
არა სრულდება,
იმედი ხდება ჯუიტი,
მახარებს მოძმე რესპუბლიკა,
მახარებს ,,სეკრეტ ბიუთი"

შემოდგომა

პატრძალივით მორთულა ...
შემოდგომაზე ტყეები,
მზემ ვარდებს მოუფათურა
ააშრიალა ვერხვები.
ვერ დავისვენე
ვერ ვნახე,
შემოდგომაზე სოფელი,
ქარი მსხალივით დამარხევს,
მთვრდება წუთისოფელი.
წავალ იქ სადაც მელიამ,
ბილიკს ავყვები ნელ-ნელა,
გზას გაუყვები ღელიანს,
გავქრები როგორც ენძელა!

ქეთი და ია

მოვენატრე ჩემს გოგონებს,
ჩემს საყვარელს ქეთის იას,
მათი ნახვა მზეს მაგონებს,
ხან კი გავრან ლამაზ ნიავს.

დატრიალდით მიმასპინძლეთ...
ქაბაბი და მწვადიც შეწვით,
მძივებივით გულს აგკინძეთ,
ნაისრალი აღარ მეწვის.

თამუნია

თავადის ქალს თამუნიას,
ყაბალახი მოუსხია,
ჩემი სულის სალმუნია
გულის კარი გაუხსნია.
ისე მღერის დაამდები,
დაგავიწყდებს
თუ გაქვს დარდი,
ქარო, ნუღარ გაავდები,
მზე ისედაც უკვე ჩადის.
თამუნიას ახატია,
გულს ლამაზი საქართველო,
ვინც ნახულობს დანატრიან,
მისია არის მთაც და მდელოც!

სევდა

აზვირთებულ – აქაფებულს,
აირმულას
მისდევს სევდა,
გულს ვუყურებ დავადებულს,
შენ მოგიკვდეს
შულო დედა.
არც გალა ვარ
და არც შოთა,
სიტყვას ვანდობ გულის ტკივილს,
ღრუბლებიდან ჩამოვედი,
ვერ გაუძელ წვიმის ტირილს!



ლიანა ჯანეზაშვილი-თათანაშვილი

თეთრი როიალი

თეთრი როიალი აცეკვებდა ჰანგებს,
ღმერთს ესმოდა უცნაური ხმები
გუნდი გალობს ღვთისმშობელის ლოცვას
კვნესა ისმის სამყაროში დედის.
კლავიშებზე დარბის შვიდი ნოტი
ხან ბანია,ხან მინორი სევდის,
ცრემლებს დაღვრის ვაზის ყველა ყლორტი,
მასაც ესმის მწუხარება დედის.
მაინც უკრავს თეთრი როიალი
ზეცას ესმის მწუხარების ექო,
გაშმაგებით უკრავს როიალი.
რადგან გარეთ ბოროტება მეფობს.
კანკალებენ შვიდივ ნოტი ერთად
სისხლის ზღვაში ჩაიძირა მიწა
მასაც ესმის როიალის სევდა
და ნოტების კვნესა მიდის ღმერთთან.

ხე დგას

ხე დგას,
სიცოცხლისათვის იბრძვის,
შეჰყურებს ცას,
შეჰხარის მზეს და
დაჰყურებს გზას.
ნახევრად შიშველი უჩანს ფესვები
ზევით გულში კი ფუღურო ჩანს.
მაგრამ ხე მაინც შეჰხარის სიცოცხლეს
შეჰყურებს ცას,
შეჰხარის მზეს და
მაინც ხე ამაყად დგას.

მერე რა რომ

თოვლზე ამოსულ ენძელებს ვეტყვი,
რომ არ დავშორდით, ისევ ვართ ერთად.
მერე რა თუკი ჩემგან წახვედი,
ვიცი,რომ ახლა შენ მანდ ხარ ღმერთთან.
წერილს ვერ მოგწერ ენძელებს ვეტყვი,
რაც ვერ გითხარი, როს ვიყავთ ერთად.
შენმა სიკეთემ გაასპეტაკა გზა,
რომლითაც მე მოვალ შენთან.
და მოვალ შენთან, არ დაგტოვებ მარტო,
ყოველ დილით ცისკარს ვხვდებით ერთად,
ვიცი გიცავს ღვთისმშობელი დედა
ვიცი,რომ ხარ საუფლოში ღმერთთან.
მერე რა რომ აქ შენ ჩემთან არ ხარ,
მერე რა რომ წუთისოფელს ვებრძვი,
ჩემი გულის საბუდარში კვლავ ხარ
მერე რა რომ ეს ბოლომდე ვერ ვთქვი.
ჩემი გზების გზის მანათი შენ ხარ,
ყოველ დილას უშენობას ვებრძვი
თურმე ჩემი საფიცარი შენ ხარ
რა ვქნა თუ ეს მე ბოლომდე ვერ ვთქვი.

რაც მეწერება

მე ფიროსმანის მიმდევარი ვარ
მეწერება და ვწერ.
ზოგს მოსწონს ჩემი გაუხედნავი
ლექსის რითმა და ბევრს
ყურში არ ესმის ისე ლამაზად,
როგორც ეს ჩემთვის ჟღერს.
ზოგი თეთრ ლექსს წერს,ზოგს
რაც ეწერება წერს.
მე ვწერ მხოლოდ მას,
რასაც ღმერთი მთხოვს დღეს.
ხან ნათელ გზას ვდგავარ,
ხან ცრემლით ვზივარ,
ხან ხრამის პირს ვარ,
და ვენარცხები ქვებს.
ხან ზეცაში ვარ,
ვარსკვლავებს ვითვლი,
მაგრამ ვწერ იმას,რაც
მეწერება ვწერ.
და რასაც დავწერ ეს შეიძლება
სულ არ მოსწონდეს ბევრს
მე ფიროსმანის მიმდევარი ვარ,
რაც მეწერება ვწერ.

დარდი ფიქრიდან შორს გადადევნე

დარდს რატომ აძლევ უფლებას გმართოს
გულის თქმას რატომ უმონებს ფიქრებს,
ამით იცოდე ირგვლივ მტრებს ართობ
შენს დაჩოქებას ნატრობენ იქნებ.
თავს შეუძახე,რომ არ დაეცე
გახსოვდეს,ისევ შენ ხარ ლიანა,
განადგურებას უნდა გაექცე
უფალს მიენდე კვლავაც მთლიანად.

დარდი ფიქრიდან შორს გადადევნე,
გული იმედის საზღვრით მოსაზღვრე,
შენ ხომ სიყვარულს გზად დაედევნე
დღემდე ხარ მისი გულის მოსაზღვრე,
მაშ,რატომ გინდა ფიქრებმა გმართონ,
ისევ და ისევ უფალს მიენდე.
იმედის სხივით ფიქრები.მართე
სიცოცხლეს კვლავაც გულით მიენდე.

ატენის სიონი

კვეთებულ გზაზე საბანს გავიშლი
არსად ვაპირებ შენს იქით წასვლას,
წინაპართ გზების ნაკვალევს ვიკვლევ
აქ მივაგენი სტეფანოზ მამფალს.
მათი ბრძოლების მაყრუებს ექო
მათი ყიჟინის ჩამესმის როკვა,
იდუმალ გზების ვტკეპნი ბილიკებს
ქართლის შვილები იბრძოდნენ როცა.
როცა იწამეს იესო ქრისტე,
და ღვთისმშობელის დაიწყეს ლოცვა.
ააყვავილეს ქართლის მინდვრები,
თამარის დროშა გაშალეს როცა.
ატენის გზაზე ოცნებით დავალ
მუხლზე მოდრეკით ვემთხვევი სიონს,
ტკბილად ჩამესნის ღუღუნი მტკვრისა
ეხმაურება აქედან რიონს.
უფლისციხის და კვირაცხოვლის
დავტკეპნე გზები ბავშვობის დღიდან,
ჩამესმის უფლის საგალობელი
ანგელოზების გალობა ციდან.
კვეთებულ გზაზე გავიშლი საბანს,
აქვე იქნება საძვალე ჩემი,
ანგელოზთ დასი იგალობს ციდან,
რადგან აქაა სამშობლო ჩემი.
ჩემი ქვეყანა მადლით მოსილი
უფალმა თავად გამოარჩია,
მიტომ გვეხვევა გარს მტერთა მტერნი,
რადგან ღვთისმშობლის მადლი გვასხია.
კვეთებულ გზაზე კვეთებულ ლოცვას
თავად ინებებს უფალი ვიცი,
მადლიან ქართულ ენას და ანბანს
გააბრწყინვალებს კვლავ მრწამსი მისი.
კვეთებულ გზაზე გავიშლი საბანს
არსად ვაპირებ შენს იქით წასვლას.

უფლისციხის ნატერფალზე

რამდენ წარსულის მოგონებას მალავს სამყარო,
რამდენ დილისჟამს შეფიცულა მზის თეთრი სხივი,
რამდენ იდუმალ მოგონებას იცავს შავი კლდე,
რამდენჯერ მთვარეს დაუღვრია აქ ცრემლი ცივი.
უფლისციხის ნატერფალზე გადავლილთა ზღაპრულ ბილიკზე
რამდენ ყაყაჩოს მოსწყვეტია თვალთაგან ცრემლი,
რამდენი დარდით უგლივიათ ბებერ ტირიფებს,
მზის პირისბანის დასცემიათ აქ ნამის გრდემლი.
ნაბრძოლი ლაშქრის გადათქერილ ამ კლდის ბილიკზე
გაცოცხლებულა იმ პირისბანით ტურფა პირიმზე
გათელილ მინდორს მაცოცხლებლად მოვლინებია
დაცემული მისი დიდება ამაღლებულა კვლავ ამ კლდისქიმზე.
დაბრუნებულა უფლისციხის ძველი დიდება
ამ ნატერფალზე გადავლილთა ზღაპრულ ბილიკზე.



მაგული კორძაია

ერთ-ერთ ლექსზე .ჩემთვის ძვირფასმა ადამიანმა, (ჩემმა დეიდაშვილმა)მედეა რატიანმა დამიკომენტარა: "ეპოქის დაღი სულ ატყვია პოეტის ფიქრებს"... წამისწამში დაიბადა ეს სტრიქონები და გიზიარებთ❤

*

„ეპოქის დაღი სულ ატყვია პოეტის ფიქრებს“,
ან,ლექისმწერის
სისუსტცაა,
უბრალოდ,იქნებ...
რადგან,რამდენიც
კალმის წვერი აფორიაქდა,
თითქმის იმდენჯერ გაღიმება გადავიფიქრე...
უსურვაზივით
ჩამეჭიდა სულის ალაგეს,
და სტრიქონებიც
სევდის ხმაზე გადავალაგე,
ამ სამყაროში
დრო იმდენჯერ გადაირია,
ლექსს ღიმილები რახანია
ვერ ამარაგებს...
ყველა სიტყვის
და ყველა პწკარის ნებას განვაგებ,
არ მიფიქრია,
სიცოცხლესაც თუკი წავაგებ...
"ღია სარკმელში"
გენიები იბადებიან,
და თუ გადახტი
მხოლოდ მაშინ ხურავს დარაბებს...
ასე დაჰყვება
"ეპოქების
დაღი" სტრიქონებს,
სტკივათ პოეტებს,
როცა წამალს
ვეღარ იგონებ...
ამ სყაროში დრო იმდენჯერ გადაირია,
მეც იმდენჯერვე ჩემი თავი
გამოვიგონე!

როცა სხვა ფიქრი კვლავ განზე გრჩება

არც ემოციის კლანჭები
მკაწრავს,
არც გაოცებულს
ავიკრავ სახეს,
ადამის მოდგმავ
შენ გამაკვირვე,
მთლად ასე როგორ გარდაისახე...
აწმყოდაკარგულ კალენდრის
ფურცლებს აფრიალებენ
"დიდი მამები"...
გონწართმეულებს
-ამ უსახელო
ტკივილს ნუთუ კვლავ დაგვიამებდი?!
ცივი ეპოქის მეტასტაზებმა
შემოგვისახლა სულში ბორიო,
თვალსაწიერში ტივტივებს კითხვა:
-სინამდვილეში
რა სურს,"
ორიონს"?!
ვერც მითებით და ვერც ლეგენდებით,
ვერ მოვიპოვეთ
სანდო საკვები,
ზღვარგადასულმა სინამდვილემ
კი თავი დაკარგა სულის აკლებით...
სად ღვთისმოშიშთა არ იყო ტევა,
ცრემლი სისხლად სდის
საბარძიმე,
მზისგულა მტევანს,
ჰო,"ორიონის ნისლეულო"
გაგასწარით და
კაცობრიობით
გადანისლულ
"ბაგაში"ვწევართ!

* "ორიონი"-გოლიათი,
რომელიც ამპარტავნებამ დაღუპა.
ვრცლად, იხილეთ, ბერძნული მითოლოგია

"წვალება"...

დამათენდა,თეთრ ფურცელზე
სიტყვა ვეღარ გამოვსახე,
წერა "სენად "შემეყარა,
თავზე ფიქრის
ვიფენ სახვევს.
სხვა წამლობა არ ეგების,
ამ უცნაურ ავადობას,
მიწა შევძრა,
უნდა შევძლო,
თეთრ ფურცლებზე ნავარდობა.
თუ ვუპოვი
თავს და ბოლოს,
საჭაშნიკედ სარგო აზრებს,
დაწერამდე
იმდენი ქნას,
მერე ნემსის
ყუნწში გაძვრეს.
თუ არადა,ჩამოვჯდები, ლექსისკართან
მათხოვარი,
არასოდეს არ მქონია
მე სხვაგვარი სათხოვარი...
ღვთისგულისთვის,
საყველპურო
სტრიქონები
გაიმეტოს,
იმ იმედსაც დავიტოვებ,
მერე ლექსსაც
მოხსნის"ვეტოს"...
თუ ამ ხერხმაც არ მიშველა,
ცხრამთას ვივლი ფეხშიშველა,
უღრან ტყეში,
უღრან აზრებს
სათითაოდ გადავბელავ.
ქვას გავხეთქავ და ვიპოვი,
საჭაშნიკედ სულ ერთ მარცვალს,
თორემ მართლა ვემსგავსები,
აზრების და ლექსის მძარცვავს...
აგერ თითქმის დამათენდა
უცნაური
ავადობით,თეთრ ფურცლებზე წყურვილს ვიკლავ,
გლოცავთ ლექსის თამადობით!

ალბათ სხვაგვარად გამომეღვიძა...

ალბათ სხვაგვარად გამომეღვიძა,
გული მიცემდა გამეტებით და
არაფრობიდან მოსულებს ვგავდით,
არაფრისფერი
პლანეტებიდან!
შევკრთი,
სიცხადემ შიშად მაქცია,
იისფერ ზეცას ახრჩობდა ნისლი,
შემოგვძრცვოდა დედაბუნება,
მონატრებოდა
ქოხიც კი ისლის.
დედაც და მიწაც
ითხოვდა შველას,
უსამართლობა უწვავდა
ბეჭებს,
ცხვირპირგამქრალი უსახურობა
ძალმომრეობას
უსვამდა
ბეჭედს...
გრძნობაშეყინულ გულების ბზარებს
შანთით ტვიფრავდნენ ლუციფერები,
შიშველი სულის სადარაჯოზე სადღაც ბჟუტავდა
ლოცვა ბერების!
ცა დაგვკარგვოდა,
მზე დაგვკარგვოდა,
სახეს გვიწვავდა არაფრისფერი,
ქარაფისპირზე გადაკიდებულს ჰგავდა,ორივე
მოყვარეც,მტერიც...
ალბათ სხვაგვარად გამომეღვიძა,
გულიც მიცემდა გამეტებით და
 -ცხადს და "სამართალს" ვეღარ უძლებდა,
გაოგნებული იდგა თემიდა!

გ ა ლ ა

+

ცა ლივლივებს,
იისფერი მოსავს,
მირონს აცხებს უგვირგვინო მგოსანს,
სულში თეთრი ზამბახების სურნელს,
მამა ძე და
სულიწმინდა ლოცავს!

უსათაურო...

*

ჰუმანურობით ბორკილები დაგვიმსხვრევია,
ჩვენს ნებელობას "ნებიერა" არც როს რქმევია,
გულის ფიცარზე ამოტვიფრულ ტოლერანტობას
ზე სათაური -ქართველობა მრწამსად წერია!
დღეს თუ ცნობიერს ყიფლიბანდი შემორღვევია,
ფუჭი ყოფილა ლელთღუნიას შეგონებანი,
აჰა,გაცურეთ, ამღვრეული გონით ტალღები,
დეე,თქვენი იყოს უ ხ მ ე ლ ე თ ო დ ზღვა და გემბანი...
ამ მიწის გულში მფეთქავ მარცვალს
ვერ გამიძარცვავთ, სისხლით მორწყული
ბოლო წვეთის დიდებით
მსუნთქავს, ჩემს ციხე-კოშკებს
ლილეოთი შევხარი, თორემ,
ცას სამძიმარი ცრემლებისთვის, იმდენჯერ უთქვამს,
სულ რომ ვიტირო,
სხვაგვარ "ქართულს"
ვერ დავიზუთხავ!
თუკი ცნობიერს
ყიფლიბანდი შემორღვევია,
შენ გადაწყვიტე:
-ასანთში სულ ერთი ღერია...
რჩეულ თორმეტშიც
ერთი მაინც იუდა ერია!

განწყობა

საგზლად ცოტა დარდიც შევაგროვე,
მარტო სიხარულზე როგორ ვწერო,
ეს ხომ იგივეა ჩემს პოვნაში
წეროს წვლილი დღესაც დავიჯერო...
წერომ ზღაპრებიდან მოგვიყვანა,
თავი დარდის ზღვაში უნდა ჰპოვო,
მზემ რომ გაგათბოს და დაგნათოდეს,
უნდა გაწვიმდეს და დაგათოვოს!
დარდით დაწერილმა სიხარული
უფრო მომგვარა და მიორკეცა,
ჯერაც აუხსნელი სიმშვიდეა,
წლებს რომ სიხარულის დარდით კეცავ.
დარდი მაქმანებით მოქარგული
ხშირად გაზაფხულის კაბად მეცვა,
სიხარულს როგორ ვიგემებდი,
დარდი შარბათივით რომ არ მესვა!
ცხოვრება განა რთული არის,
წასასვლელს უთხრა: – ესა", " მესა"...
წამიც ლოდინითაა დატვირთული,
მოითმენ, სიხარულს დაგითესავს!

წერ
კიდევ
იმდენ რამეზე....

*

წერ ლირიული
ბწკარებით
მეგობრადქცეულ
მთვარეზე,
ნამნაპკურები მიწიდან მოხატულ
არემარეზე.
ღიმილჩამქრალი
თვალებით
ზეზე ნათენებ ღამეზეც...
მზეზე
და მზისფერ დღეებზე,
და კიდევ რამდენ რამეზე...
მოგონებში
გარინდულ
სანთლით საძებარ წამებზე,
წამით შიმშილსაც
იოკებ,
სული რომ არ აწიოკდეს...
წერ უსახელო
გრძნობებით
გაყინულ ხელისგულებზე,
დიდებადქცეულ
ბავშვებზე,
ბავშვობადაკარგულებზე...
წერ თოთო ბავშვის სურნელზე,
ატმისფერ ფეხისგულებზე,
იმ გრძნობაზეც წერ, სიჩუმემ,
ქარს რომ დაუდო
ურემზე...
წერ ჭრელპერანგა ღიმილზე,
სევდით მოჩითულ კაბაზეც,
ხან კი იმედის ძებნაში
წერტილს ცარცით სვამ
დაფაზე.
ყველა წამალზე მეტია,
წერით რომ ურტყამ ნაფაზებს...
წერ, იმ ცხადსა თუ სიზმარზე,
გარს რომ არტყია
ვნებები,
თავის – უფლების ძებნაში
"ყველა"ვნებას რომ
ნებდები...
კალმის წვერს
მოჭიდებულან
ამოუთქმელი განცდები,
წერ და ის წამი გაცოცხლებს,
საკუთარ თავს რომ გასცდები...

+ * * *

ზამთრისპირს ბუნების დარდი ვარ,
ქარმა რომ ფოთლებად ამხვეტოს,
მიწა ვარ,
დავდივარ კარდაკარ,
იქნებდა ზეცასაც ავხედო.
დამღალა
იმან და ამანაც...
ღიმილი ღალაში
გავცვალე,
ისედაც წუთი ხარ სოფელო,
წამები შხამისგან
დაცალე!
ილევა საღამო,
ბინდია,
მთვარეს რაც
სიმშვიდეს ვუქებდი,
ჩემსავით ფერები გადასდის,
წამიც და გავხდებით
გულქვები....
ასე და ისეც ვარ
"დევნილი,"
ჩემს "შინას"
შამბნარი მოედო,
საღათას საბანში
ვეხვევი,
სიზმარი
მკვებავს და
"ვპოეტობ"...

დამღალა
ასეთმა,
ისეთმა,
ტვინს ბურღავს
არქიფო სეთური,
თუ ფიქრის
უფლებაც წამერთვა,
ცხოვრება გახდება "მეფური"...
ასეა,
ასედაც,ისედაც
ხმას ვეღარ მაგონებს
ხმაღვთისა...
ნეტავი მზის
ქოხში მამყოფა,
ზღაპრები
მეყოფა "ამ მთისაც"...
ყველა დღე
ღელვაში ღამდება,
ტალღებმა ნაპირს ვერ უწია,
სილაში გრძნობების სიმთვრალეს
ახლა მზეც დაჰყურებს გულცივად.
ვაითუ ყივილი ყალბია
სისხლის,დუღს,
გზა და კვალს
ვერ აგნებს,
ყიამეთს ვერაფერს უხერხებს,
ამირანიც და ჰერაკლეც....
ან ერთი დაშვებაც დავუშვა-
სიზმრების მჯეროდეს ბავშვივით,
ვეწამო და მაინც ვიწამო, მიწაზე ზეცასთან კავშირი!

***

ქარი ამბავს მიყვებოდა,
შენდებოდა
სულში ოდა,
ნეტავ უკან არ წაეღო,
უცნაური შიში მქონდა...
განაგონი მაგონებდა,
"ქარის მოტანილის" ამბავს,
ანდა,
როგორ გავატანდი,
სულის ბზარებს
გაჰყვა ლამბად.
სხვამ ვერავინ შეამჩნია,
მან კი ციმციმ აიტაცა,
– მინდოდა და დავიჯერე,
მთვარემ ცას რომ მზე მოსტაცა...

თან,სიბნელის შიში მქონდა,
– ცა უმზეოდ?
– ის ცა, რა ცაა?!
სიყვარულს რა შეძლებია,
ცა რომ მუხლისჩოქზე დასცა...
მზემ ტრფობასთან წილნაყარმა
სამყაროს პასუხი გასცა:
ცას და მიწას
უნაწილებს,ამ დიადი გრძნობის სხივებს,
ღამე მთვარის
მკერდზე მძინარს,
ვარსკვლავები
დაჰღიმილებს.
ქარი ამბავს მიყვებოდა:
– მთვარე მზეს უბნევდა ღილებს...

მარინა დიერაშვილი

ნაშობნო იქედნესანო...

ერთ ყურს მიწაზე დაადებს,
მეორეს კუდით იფარავს,
რომ არ ისმინოს მუსიკა,
რაც მის სულს და გულს იპარავს...
        გაირინდება ტკბობისგან;
        თავზარდაცემულს იჭერენ,
        აცლიან შხამს და მერე კი
        მას თავის გზაზე უშვებენ.
....
იქედნეს მსგავსად -ღვთის სიტყვა,
ზოგს არ უნდა რომ ისმინოს,
უფალი იცნოს, ემონოს და
ს უ ლ ი გ ა დ ა ი რ ჩ ი ნ ო ს!
        (დედას მუცელს რომ გამოსჭამს,
        და იბადება იქედნე...)
        ....დამბადებელს და თავის მხსნელს,
        ხალხი ჯვარცმისთვის იმეტებს!
– „ნაშობნო იქედნესანო“ –
თუ ჩვენც არ გვინდა ვისმინოთ;
ყური მივაპყროთ ღვთის სიტყვას
და სული გადავირჩინოთ;
        სახარებაა ღვთის სიტყვა,
        ღმერთი გვმოძღვრავს და გვასწავლის,
        რაც დრო მოგვეცა, მოვასწროთ,
        ამქვეყნად რა გვაქვს სასწავლი!
და ვინც ღვთის მცნებებს ასრულებს,
ბოროტი განეშორება(შხამი)
სიკეთე ვთესოთ, მოვიმკით,
დავიწყოთ გამოსწორება:
        ყოველდღიური სრულყოფა,
        ღმერთისკენ გზაა სავალი,
        სხვა ყველაფერი ფუჭია,
        არ არის გამოსავალი!

უკვდავებად გარდაისახა

რამდენი ფიქრი, რამდენი აზრი,
გეძალებოდა შირაზს მიმავალს,
მუხლმოდრეკილი ლოცვად იდექი
და უმზადებდი შენს ერს მომავალს.

განამტკიცებდი შენ ქართველლობას,
დედოფალი და როგორც დედა,
ამ თავგანწირვის სიდიადეში
შენ ქრისტე ღმერთი, სულ გვერდში გედგა.

მტარვალისა რომ არ შეიშინე,
სულის სიმტკიცე გამოიჩინე,
ქრისტეს რწმენა რომ გადაგერჩინა,
შენ ტანჯვა-გვემა ბევრი ითმინე.

სარწმუნოება ქვეყნის ძირია,
როცა გწამს, ღმერთი ჩვენი ფარია.
ურყევი რწმენა თავგანწირული
სამშობლოსათვის შეგიწირია.

ჰოი, დედოფალო, წმინდაო ქეთევან!
ამდენი ხანი გელით კახეთში,
300 წელი ალბათ გავიდა, რაც
ნათლისმცემელში – ლოცვად იდექი,

ეს თავდადება ქრისტეს რწმენისთვის,
რაც შენში ერთხელ ის ჩაისახა...
და მტკიცედ დაცვა – მისი სწავლისა,
ჩანს უკვდავებად გარდაისახა!

კახეთის სავიზიტო ბარათი

სავიზიტო ბარათია!
ფერად-ფერად, ვრცელად;
კავკასიის მთების ძირში,
წევს ალაზნის ველად!

მხრებგაშლილი, გულგახსნილი,
ალაზანი სერავს...
ჯეჯილი ყანად იქცევა,
ყურძნის ზვრები – რთველად!

ადგილები საძოვრად გვაქვს,
ზოგი – სათიბებად;
სიმაღლიდან თვალს მოგტაცებს,
მოხატულა ტბებად!

...ჩვენს სალხენად გადაშლილა,
შვენის ცისარტყელა,
სახელად კი იწოდება,
ის, ალაზნის ველად!

მანდილი

ქალის პატივისცემა!
ეს ქართველთა წესია;
ის გაშლილი მანდილი
იყოს განაწესია!

მოიშალა დროება,
ახალ წეს-რიგს გვთავაზობს,
ქვეყნის გადამრჩენელი
ქალმა უნდა გაზარდოს!

დედის ტვირთი მძიმეა,
ვისაც გამოუცდია;
ქართვლის დედას ლეკვები
ალგეთს კვლავ გაუზრდია!

საქართველოს კვლავ იცავს
ზეციური მხედრობა!
ამქვეყნურთან ერთობით,
ნიშნავს უძლეველობას!

ქვეყნის გადარჩენისთვის
ქართველი თავს სწირავდა,
ომში სიმღერით მავალთ,
ქრისტეს ჯვარი იცავდა!

მტერი მომძლავრებულა,
გზა გვიჩვენე, უფალო!
დედაღვთისავ ლოცვებით
შეგვეეწიე უმალო!

დრო კი მიჰქრის ჭენებით,
სამართალს სად უვლია?
ვინც უღმერთოდ იარა,
ყველა შეცდომილია!

არჩევანის დრო არის,
არჩევანის დრო დგება,
სანამ უფალს ვენდობით
გამოხსნა მოხერხდება.

ვინც იუდას ემსგავსა,
არასწორ გზით იარა,
მიემსგავსა გამყიდველს
და ხვედრი გაიზიარა.

ხსნა კი ქრისტე ღმერთშია!
სასუფევლის ძებბაში,
ამქვეყნურს არ მივენდოთ,
ნუ ჩავრჩებით ცოდვაში.

არ ვემონოთ მამონას!
მარადიულს ვესწრაფოთ!
ვეცადოთ რომ ყოველ დღე
ქრისტე ღმერთს დავემსგავსოთ!

ღმერთი -სიყვარულია!
თუ გადარჩენა გვწყურია!
სხვა გზა დაღუპვისაა!
სხვა გზა განწირულია!

თებერვალი დგებოდა

ქართულია-ზმანება...
საით მიექანება,
ნისლი ღრუბლად დამდგარი;
მთაწმინდაზე ჩაწვება
და სამების ტაძარი
თვალში მკვეთრად გაწყდება.

ხვალ თებერვალს მოველით,
თოვლით იყო ყოველი...
ყინვით-მახარობელით,
მიწა გასალღობელი...
ცა ფიფქებს რომ ათოვდა,
არაფერი მახსოვდა!

თოვლის მოსვლას მოველით,
ფიქრი ნისლად ქრებოდა,
ღამე იწვა თბილისში,
თებერვალი დგებოდა!
კვირა გათენდებოდა!

წირვის მოლოდინია,
გულში სითბო ჩნდებოდა;
მგალობელთა გალობა,
სულსა და გულს სწვდებოდა,
წირვა-ლოცვის ბადალი,
ქვეყნად არც რა ხდებოდა!

ზიარება ქრისტესთან!
იმქვეყანად საგზალი,
უკვდავების ძებნაში,
მრევლი, ლოცვად დამდგარი...
წირვა მორჩა, გალობაც,
ქარი იყო ჩამდგარი!

...
მზე ღრუბლებში გამოკრთა,
სხივებს სითბო თან მოჰყვა,
დაეფინა ქალაქს და
სრულებითაც არ თოვდა!

შობის ვარსკვლავი

ბეთლემს დაჰყურებს შობის ვარსკვლავი,
მოგვებს შობას რომ მინიშნებდნენ,
ანგელოზები ღმერთს ადიდებენ,
კაცთა მოდგმას კი, აიმედებენ!

შობის ვარსკვლავო,კვლავაც იბრწყინე,
რომ გვახსენებდე ქრისტეშობის მადლს,
სულიწმიდისთვის გაწმენდილ ჭურჭელს,
ემსგავსებოდეს ჩვენი გულისთქმა!

სარკმელში კვლავაც ავანთებთ სანთელს,
ჩვენს გულში ვუხმობთ ამით, მაცხოვარს!
გონების თვალსაც აგვიხილებდეს და ....
აგვისრულებდეს კეთილ სათხოვარს!

ნელი ტორონჯაძე

დამიზამთრდა გულში

ამინდთან ერთად დამიზამთრდა გულში
დავიჩაგრე ადრე სიყვარულში,
ეხლა სიყვარულის ხსოვნისას ვსვამ
რომელმაც რომ სულში დაღი დასვა.

შემდეგს შევსვამ სასმისს სიცოცხლისას
შენს თავს არ მავიწყებს მე არცერთ წამს,
გული უნდა დავიმშვიდო ჩემით
სხვა სიყვარულს არასოდეს ველი.

შემიყვარდი მართალ გრძნობით ერთხელ
შემოგფიცე,შემომფიცე ბევრჯერ,
ეხლა ვცოცხლობ მხოლოდ ფანტაზიით
და წარსულის გრძნობის ამბიციით.

სიყვარული არ ჩამქრალა გულში
კვლავ მოგელის თითქოს იყო გუშინ,
ატმის ძირას ჩამიკონე გულში
გარშემო კი ყვავილობდა ნუში.

იმ სიყვარულს მე დავარქვი უძღები
მოგონება რომ დატოვა ულევი,
არ მამძიმებს შენი გული დამრჩა
დაგიბრუნებ,როცა მოვალ უკლებლივ.

****

გარინდებულან ვარსკვლავნი ცაზე
თითქოს და მთვარეს ეუბრებიან,
ღრუბლებიც აქეთ-იქეთ დადიან
მათაც არაფერს ეუბნებიან.

მე კი იმედი ტყუილად მქონდა
ვარსკვლავებისთვის რომ მეთქვა რამე,
ვეღარც მთვარესთან წავიჩურჩულე
არადა როგორ გავლიო ღამე.

ისევ ჩემს ფიქრებს უნდა მივენდო
და ყველაფერზე კარგზე ვიფიქრო,
ჩემი შვილები შვილიშვილები
ვლოცო და ლოცვით გულში ვიხუტო.

მათზე როდესაც დავიწყებ ფიქრებს
ისე ლამაზად ჩამეძინება,
არც ვარსკვლავებთან ჩურჩულს ვნატრულობ
აღარც მთვარესთან სიტყვის მიღწევას.

* * *

სულაც არ მინდა მაგრამ მე
ეხლა ცრემლებით ვტირივარ,
როლს კი ვირგებ ძლიერ ქალის
ვხედავ,არც ისე გმირი ვარ.

არის წუთი და წამები
თავს ვერაფრით ვერ ვერევი,
სხვის კედლებს,,გამომწყვდეული"
ლამის დამაწყდეს ნერვები.

მერე ძახილი სადა ხარ
უნდა იმშრალო ცრემლები,
ცირკის მასხარა მგონია თავი
მდგომარეობას ვნებდები...

მზის ჩასვლა როგორ გვიყვარდა

მზის ჩასვლა როგორ გვიყვარდა
და ზღვაზე თოლიების ქროლვა,
ეს სილამაზეც დატოვე
გულში დამიტოვე გლოვა.

რამდენი წელი გავიდა
ზღვის ნაპირებს შევეჩვიე,
მაგრამ უშენოდ მზის ჩასვლას
ვერა და ვერ მივეჩვიე.

თოლიები გარს მივლიან
თითქოს და ნუგეშსაც მცემენ,
რამდენი საიდუმლო იციან
ვებრალები რომ ვღვრი ცრემლებს.

მზის გული სხივებს მიტოვებს
არ შემცივდეს ზღვასთან მარტოს,
მეკი კვლავ შენ გელოდები
სხვა ვერაფერი გამათბობს.

ლამაზი დღე გაგვითენდა



ლამაზი დღე გაგვითენდა
ერთმანეთი გავახაროთ,
ყველა ცრემლი და ნაღველი
წვიმის წვეთებს გავატანოთ.

შემოდგომამ დაგვიტოვოს
სახალისო ჭირნახული,
ლხინის სუფრას მოვახმაროთ
ნალიაში შენახული.

ზამთარ-ზაფხულ ყველას გულში
მუდამ გქონდეთ გაზაფხული,
დაიჯერეთ მონასმენი
თქვენი თვალით დანახული.

რაც ინატროთ აგისრულდეთ
გზები გქონდეთ დალოცვილი,
სამშობლო გულით ვატაროთ
ვინც მისგან ვართ წამოსული.

დაგვიმარცხდეს ავი სული
ავი გული განვირიდოთ,
ერთმანეთის მისაშველად
მარჯვენა არ დავირიდოთ.

ფეხზე დგომით სადღეგრძელო
პირველი უფალს მივაგებოთ,
როცა ჩვენ გაგვიჭირდება
უარი არ დაგვაგემოს.

მომღიმარი სახეები
მოგვიმრავლდეს ერში ბერში,
ჭირი ღმერთმა აგვაცილოს
ვიდღეგრძელოთ ოჯახებში

არავის, არვის,არასდროს!!!

მე რასაც დავწერ არვის ვედრები
მე ჩემი ნიჭი თან დამსდევს გზებზე,
მეკი რასაც ვწერ იგივე ტექსტზე
ვხედავ მის მგვანზე წერენ და წერენ.

შენ ხარ პოეტი და თავი მოგაქვს
რას იძიები სხვის სტრიქონებში,
რითმა დახვეწე ის გირჩევნია
აბდაუბდას რომ ვხვდები სტროფებში.

შენ ჩემი გზებით არ გაგივლია
ჩემს ფიქრებს ვერასოდეს ჩასწვდები,
მე რომ მიყვარდა ლექსებს მას ვუძღვნი
მე რომ მტკიოდა,მასზე ვღონდები.

წამხედურობით ნურაფერს დავწერთ
შემოგველევა გზაში ლექსები,
თქვენ გაგიმარჯოთ მუზა ვისაც გაქვთ
და არასოდეს სხვისას ედრებით.

მე და სამშობლო

სულ მთლად დასცვივდა ხეზე ფოთლები
ლამაზ ცის ფერში მზეც მიილია,
აღარც ბულბულის სტვენა მალაღებს
დავაბიჯებ და დაღვრემილი ვარ.

დაველოდები მთვარის ამოსვლას
რომ მარტოობა მასთან არ ვიგრძნო,
მთვარემაც ჩემთვის ვერ მოიცალა
ვარსკვლავებს შორის ეშურება დროს.

მე კვლავ შემიპყრო მელანქოლიამ
ბაასი მინდა ვინმეს გავუბა,
ოქროს სიტყვები რომ ამოვქარგო
არცერთი სიტყვა არ ვთქვა აუგად.

ერთი გამვლელი არსად გამოჩნდა
მემატებოდა თანდათან სევდა,
ჩემს სამშობლოზე დავიწყე ფიქრი
მე და სამშობლო მუდამ ვართ ერთად.

დაგეძებ

დავდივარ დაგეძებ,შენს სახელს
ცხადში თუ სიზმარში გეძახი,
დავღალე გონება ფიქრებით
რად წადი,რად წადი,რად წადი...

იქნებ და გიპოვო ლამაზო
მიყვარხარ გზა და გზა გავძახი,
იქნება მოაღწიოს შენამდე
იცოდე მე მწამდი,მე მწამდი.

იქნება რიდი გაქვს დაბრუნდე
არ გკითხავ მიზეზებს რად წადი,
ისე უეცრად წახვედი
ერთი სიტყვაც არ გითქვამს...ნახვამდის.

თუ გრძნობა შემოგრჩა დაბრუნდი
თუარა დაცდაც კი აღარ ღირს,
დაბრუნდი მერე არ დაგიჭერ
ოღონდაც მითხარი ნახვამდის.

ამიტომ უნდა იცოდეთ

ჩემი სიყვარული ჩრდილად გამოიყენე
თითქოს ალვის ხე ვიყავი,
მეკი გულღიად მოგენვდე
ჩემი გული გაგიყავი.

თურმე დასაყრდენს ეძებდი
შენ წაქცევაზე იყავი,
როდესაც მოითქვი სული
მაშინვე გზები გაყავი.

ეხლა გავიგე,,სულს ღაფავ"
ისევ დაეძებ დასაყრდენს,
ასე როგორღა დაეცი
რომ გამოსცქერი ჩემსკენ გზებს.

ამიტომ უნდა იფრთხილოთ
როცა შეხვდებით სუყვარულს,
როდესაც შეგიყვარებენ
ნუ დაუჩაგრავთ მაშინ გულს.

თუკი

თუკი გუშინდელ დღეს ხვალ აჯობებ
თუ ცხოვრებაში შური არ დაგძლევს,
თუ შენი თავის იმედად ივლი
ღმერთი წინსვლის შანსს ყოველთვის
გაძლევს.

შიშმა არასდროს არ დაგიმონოს
დასახე გეგმა და შეასრულებ,
ბევრს რომ გონია,მორჩა დაეცი
შენ თავს ენდე და მათ გააოგნებ.

თუკი შენს გულში აცნობიერებ
რომელ ნაბიჯზე დაგიცდა ფეხი,
ის ნაბიჯები გამოასწორე
ცხოვრების გემოს შეიგრძნობ შენში.

ნუ ჩაეძიებ ვინ გიმტრო გზებზე
განერიდე და იყავი ფრთხილი,
ღმერთი არასდროს არ მიგატოვებს
თუ შენი თავის იმედად ივლი.

დაგიცდი

როდესაც სიყვარულში გამოგიტყდი
შენ ერთი ღიმილიც არ მაჩუქე,
მის შემდეგ სულ ველი შენს პასუხს
ხშირ ხშიდად ვაკითხავ შენს ქუჩებს.

იქნებ და გული მოგიბრუნდეს
დაგიცდი ღიმილს თუ მაჩუქებ,
უშენოდ ნაღველი დამეტყო
გულსაც ვერაფრით ვერ ვაყუჩებ.

მოგელი,მე არსად არ ვჩქარობ
არ მინდა მიყვარხარ ვარიგო,
ეს გული სხვას ვერ შეიყვარებს
არ მინდა მახე რომ დავიგო.

ზამთარი დადგება სულ მალე
მოგელი გული რომ გაგითბო,
დროც თითქოს ჩამიდგა ჯიბრში და
ვშიშობ მხოლოდ ნაღველს დამიტოვს.

გპირდები თუ მოხვალ ლამაზო
გულს ამოვიღებ შენ დაგითმობ,
ჩემთვის სულ ერთ ფერში თენდება
ვერ გავიფერადე ვერა დრო.

ჩემს ქართველებს

გამოგიტყდეთ? მე თქვენ ყველა მენატრებით,
თქვენ სამშობლოს მინდორ-ველებს დააბიჯებთ.
კეთილი შურით მშურს ყველასი იცოდეთ
მეკი უცხო მიწას ზლაზვნით დავაბიჯებ.

ემიგრანტებს ერთი თხოვნა შეგვისრულეთ
მტერი არასდროს მოუშვათ სხვენზე.
გაუფრთხილდით საქართველოს გოგო-ბიჭებს
ხშირად მოუყევით წინაპრებზე.

შეაყვარეთ საქართველოს ყველა კუთხე
იცოდნენ რომ ლეგენდები დადის მათზე,
ეკლესია მონასტრები მოატარეთ
შეავედრონ საქართველოს დიდებაზე.

თუკი ვინმე უმსგავსო გამოერევა
თუ იქნება ათასიდან ერთი კაცი,
ისიც უნდა სწორ გზაზე სვლას მიაჩვიოთ
ამისათვის უნდა დადგეთ ქუდზე კაცი.

მერე როცა ჩვენც უფალი გადმოგვხედავს
დამთავრდება ემიგრანტობის ალბომი,
ერთად უნდა საქართველო ვასულდგმულოთ
სიყვარული აღვადგინოთ ერთად დგომით.

იმედი

იმედს მოვუხმე დარდი განდევნოს
სევდა გულიდან ამომაცალა,
იმხიარულე,წარბი გახსენო
ამოსუნთქვაც კი აღარ მაცალა.

ქუჩაში გაველ ვით ანცი გოგო
ფოთლების შარა-შურიც თან მსდევდა,
ჩემს იღბლად არავინ მიყურებდა
გარს შემოდგომის სიო მალხენდა.

ფოთლებს ავყევი ცეკვა თამაშში
წითელ ყვითლად რომ დაფარფატებდნენ,
 გვერდით იმედიც არ მცილდებოდა
ცუდ ფიქრებისთვის აღარ მაცდენდნენ.

როდესაც...

როდესაც გარდავიცვლები
ლექსებს დაგიტოვებთ ხოტბად.
სიკვდილით კი არ მოვკვდები,
სადამდის მახსენებს მოდგმა.

ხევსურეთში გამოთქმაა
საფლავი აგიბალახდეს,
უფალსა ვთხოვ,რომ ეს წყევლა
არცერთ კუთხეში არ ახდეს.

არასოდეს დანატოვი
იმ დონეზე არა წახდეს,
წინაპრების საფლავები
სხვისი საქილიკო გახდეს.

თავის დროზე როცა წავალთ
ალალი ცრემლი თან ახლდეს,
უდროოდ ნურავინ წავალთ
ღმერთით იქნება და ახდეს.

* * *

სალამზე რომ არ მპასუხობთ
ნეტავი რისთვის დიდგულობთ,
მე მინდა რომ ერთმანეთი
უფრო ახლოს დავიგულოთ.

ისე რომ მათვალიერებთ
გგონიათ მემატება დარდი?
ხოდა ჩემს თვალიერებას
გირჩევთ პოდიუმზე წადით...

შენი ცქერით

მე ეხლა გადმთვრალი ვარ და
იცი? გოგოვ შენი ცქერით,
მაინც სარდაფს მივაშურე
სასმისზე წამიცდა ხელი.

სიგარეტის კვამლშიც გიცქერ
არ მშორდება შენი სახე,
იმ დღეს და წუთებს რა ვუთხრა
პირველად რომ დაგინახე.

დღე ღამედ გადამიქციე
დამეკარგა ჩემი თავიც,
სასმელი დავიძმობილე
ამერია გზა და კვალი.

თუ ჩემად არ დაგიგულებ
ეშმაკსაც მივყიდო თავი,
ვეღარა ვძლებ უშენობით
ნეტავ არ მომეკრა თვალი.

ნოემბრის დილა

ხალისით დადგა ნოემბრის დილა
სასწაულად ვგრძნობ თავს მე ამ თვეში,
დედობის გრძნობა განმაცდევინა
დედიკო გავხდი ნოემბრის თვეში.

სულ სხვა განცდაა დედა რომ ხდები
სულ სხვა გრძნობები გიჩნება გულში,
სულ სხვა ფერხულში უნდა ჩაება
სხვა სიფაქიზეს ატარებ გულით.

შენ შენი თავი აღარ გეკუთვნის
და შენი გული შვილისთვის სუნთქავს,
შვილი იღიმის?შენც გიხარია
სამყაროს შეძრავ შვილისთვის სულ მთლად.

ყველა თვე და დღე იმედის გვქონდეს
ყოველი წამით მივენდოთ უფალს,
ყველას ოჯახში იბადებოდეს
ძე და ასული ოჯახის ბურჯად.

ადამიანის გული

ყველას გული ერთნაირი ვერ იქნება
ბევრის გულმა მომაყენა ჩრდილი,
მეკი მზის სხივი ყველგან ისე მათბობდა
გაბრაზებას ვუნაცვლებდი ღიმილს.

მე ესა ვარ,ვინცა ვარ და იცოდეთ რომ
არასოდეს არ მოვირგებ ნიღაბს
ჩემს გარშემო იმდენი ჩამოირიგეს
გავეცალე რიგს წამს...

ვცდილობ სიკეთის გზას გავყვე კიდე-კიდე
მინდა ლოცვით რომ ავმაღლდე ღმერთთან,
წმინდანებთან მოვილოცო გზა და გზა
სანთლის ალზე სულ სიკეთე შევთქვა.

* * *

დღეს ოქტომბრის ბოლო დღეა
ხეებს სცვივათ ფოთლები,
ნურასოდეს მოგკლებოდეთ
დღე ლამაზი ოცნების.

ნატვრა სულ აგსრულებოდეთ
რასაც ჩათქვამთ გულით,
არ მოგაკლოთ უფალმა
ლხენა, სიხარული.

დილა მშვიდიბისა
მშვუდობა მსიფლიოს

ფანტაზია

სხვა სამყაროში დიდხანს გეძებე
ფანტაზიაში აღმოგაჩინე,
როს ვფორიაქობ მუდამ შენ გიხმობ
გემუდარები გადამარჩინე.

მე წარმოსახვის უნარი დამყვა
შენ ჩემს გარშემო დახეტიალობ,
ხან ცხადში ხარ და ხანაც სიზმარში
ფანტაზიაა ჩვენი სამყარო.

ზოგჯერ იგავს ვთხზავთ ზოგჯერაც
ვლაღობთ
ჩვენი გულები რომ გავახაროთ,
ზღაპრებსაც ვყვებით,თავსაც ვიტყუებთ
ზღაპარი არის ისეც სამყარო.

რა დაგიშავე

მე აღარ მინდა ისევ იწვიმოს
ძლივსღა ვაგროვებ გულის ნაწილებს,
ერთი სიცოცხლე გვარგუნა ღმერთმა
არ მოვანდომო იწილ-ბიწილებს.

შენ ჩემი გულის ვერა გაიგე
სიყვარულისგან ვგრძნობ შორს იყავი,
რა დაგიშავე,თუ არ გიყვარდი
რად დაამჩნიე ამ გულზე კვალი.

მე კი მოგენდვე და შეგიყვარე
რადგან მეგონა შენი ვიყავი,
სუყვარული კი როგორ გაიგე?
გზად მიატოვე როგორც იგავი.

მეც გაგეცალე,გზა დაგილოცე
მლე მივხვდი რომ ყალბი იყვი,
თუ სიყვარულმა შენც გაგაწბილოს
წარმომიდგინე,დამდევი ვალი...

ნეტავი რატომ

ნეტავ ლამაზო რად შეგიყვარე
და ჩემი გული მოგანდვე სულ მთლად,
ჩემგან წახვედი,ვერ დაგივიწყე
გული დატოვე ჩემშია მუდამ.

მე უფალსა ვთხოვ,შავმა ღრუბელმა
გული დაღალა და გადიყაროს,
ასე ლამაზი რად დაიბადე
ან რად დამტოვე ლამაზო ქალო.

იქნებ დაბრუნდე,კვლავ შემიყვარო,
შენი ერთგული დავრჩები ქალო,
გულში ყინული იქნება დაძრა
გული ვერა სძლებს უშენოდ ქალო.

შენ პატიება არა გცოდნია
მოვინანიე, უშენოდ ვწვალობ,
სანამდის გული ისევ შენ გელის
იქნებ დაბრუნდე და გამახარო.

* * *

წლები უცბად გამეპარა
მაგრამ წლებს არ ვუშინდები
წლები მხოლოდ ციფრებია
წლებო არ შეგიშინდები,

მე ჯერ უნდა ვიყოჩაღო
ოჯახიდან ვართ მიმოფანტული,
ყველა თავს ერთად რომ მოვიყრით
დაწყნარდება ჩემი გული.

მერე არაფერს ვიდარდებ
ხიდის ბოლოშიაც გავალ,
შვილმომავალი კარგად მყავდეს
ღმერთით დაწყნარებული წავალ.

უსიტყვოდ დაწყილი სიყვარული

მატარებელი მიაპობს სივრცეს
ბოლო ვაგონში ზის მხოლოდ ორი.
ქალ ვაჟი არის კალმით ნახატი
ერთმანეთისთვის უცნობი მგონი.

უხერხულობით ვერ ისვენებდა
გოგო ელოდა ამომავალ მგზავრს,
ბიჭი ნატრობდა მარტოდ დარჩენას
გოგოს სიწითლეს არიდებდა თვალს.

თანდათანობით ბინდი წვებოდა
მატარებელი სწრაფად მიქროდა,
ნეტავ ვისია ეს კოხტა გოგო
ბიჭი ბჭობდა და ბიჭი ფიქრობდა.

გოგოს ძილი არ ეკარებოდა
ნეტავ ვინ არის,ისიც ფიქრობდა,
ასე უსიტყვოდ და იდუმალად
გამოიღვიძა მათ შორის გრძნობამ.

როდესაც ვაგონს მზემ მოანათა
მათ ვერც გაიგეს როდის ინათლა,
სახელებიც კი დილით გაცვალეს
და გააგეძელეს ერთურთის ტრფობა.

ჩვენი შვილები

დილა თენდება ოჯახზე ფიქრში
მოგვნატრებია ყველას შვილები,
გაიღიმეო გეყოფა დარდი,
გვესალბუნება კვლავ მზის სხივები.

ოჯახიდან შორს მყოფო დედებო
როგორ ვღონდებით,რომ დავფიქრდებით,
დილით საუზმეს ოჯახს ვერ ვუწყობთ
შორიდანა გვყავს დალოცვილები.

ვინც რომ იზრდებით დედის გარეშე
დაიზრდებით და მერე მიხვდებით,
დედამ დილით რად ვერ გაგაღვიძათ
ვერ ჩაგილაგათ სკოლის წიგნები.

ეხ,ჩვენც რას ვიზამთ დედიკოები
უნდა გავმაგრდეთ,ჩვენ ვართ გმირები,
სულაც არ არის ჩვენთვის იოლი
ჩვენს კერას არა,სხვაგან ვიღლებით.

ერთი ნატვრა გვაქვს ჩვენ,ყველა დედას
ჯანმრთელად გვყავდეს ყველას შვილები,
ალალი ლუკმა ყველას შეერგოთ,
ალალი იყოს ჩვენ თუ ვიღლებით.

საქართველო



ფოთლებში გული მოვხატე
ზედ საქართელო მოვქარგე,
აქ რომ ფოთლებზე ვაბიჯებ
ფიქრი მიდის სამშობლოსკენ.

მყინვარი როგორ დასცქერის
ჩემს საქართველოს მთებს და ზვრებს,
მინდა რომ თოვლზე ბრწყინავდეს
სულ სამშვიდობოდ ციდან მზე.

ვნატრობ რომ სამრეკლოებზე
რეკდეს მშვიდობის ზარები,
ბედნიერებით ქართველ ხალხს
რომ გვიბრწყინავდეს თვალები.

მტერი მოყვარედ გაგვიხდეს,
მოვირჩინოთ იარები,
თუკი ვინმემ მაინც გვიმტროს
ღმერთს მივანდოთ მისი ბედი.

ლამაზი დილა

ლამაზად დილა გათენდა
ირგვლივ ბუნება დამშვენდა,
მეკი ამ სილამაზეში მოგელი
გული გაჩერდა.
შენი ხატება თვალწინ მაქვს
გული სხვას ვერას ამჩნევდა.

მონატრება,მონატრება,
ღმერთო რა ჩვევად დამჩემდა.
ვარდის სურნელი მაბრუებს
ვარდიც კი გიხმობს კვლავ ჩემთან.

მოდი ფიცი განვაახლოთ
ბუბებაში მზესთან ერთად,
მოდი,მოდი გენაცვალე
ნუ დამტოვებ ისევ კენტად.

მზია გირგვლიანი

რწმენის ტაძარი

სულს ეფინება მზის სხივები,
იქნებ მომიშუშდეს წყლულია,
აავსეთ სამყარო სიკეთის მძივებით,
წინაპარს ამ გზაზე
სიწმინდით უვლია.
გრძნობით აავსეთ
რწმენის ტაძარი,
ცაზე ვარსკვლავები ციმციმებს,
ჩააქვრეთ
ბოროტების ხანძარი,
სიცოცხლის
ბოლომდე იცინეთ!

დარდი და ღიმილი

წლებს მგზავრად მოყვება დარდი და ღიმილი,
ცას სტუმრობს უტიფრად ქათქათა ღრუბლები,
მნათობებს აწუხებს ქარიშხლის კივილი,
მთვარე და მზე არის ამიტომ უბრები.

მზის სხივი

ოცნებამ ზღვაში ჩამითრია,
მზის სხივს დახმარება ვთხოვე ...
გულში ათქაფუნდა არითმია,
ვიგრძენი ბედი ფსკერზე მტოვებს.
მარტო არა ვარ,
ჩემთან ერთად იძირება აჩრდილი ჩემი,
აჯობებს შევესახლო ზღვას და...
რადგან ეს მერგო განაჩენით/

სიყვარული ერთგულებაა

მიყვარს მეგობარი, ერთგული და მტკიცე,
მეგობარი ჭირში უნდა გამოსცადო,
თვალი შეავლე ცის სივრცეს,
როცა წინ წახვალ მეგობარსაც უნდა დაუცადო!

ყველამ ვიხაროთ

ბოლო სიცოცხლეს ვტოვებთ წუხილით,
ან ვინ შემორჩა ამ წუთისოფელს,
ქარი თუ შეგხვდა მუდამ ვუფრთხილდეთ,
თორემ სიცოცხლის წლებს აგვიშფითებს!

სტრიქონები

გულის კასრიდან სტრიქონები ამოვალაგე
და დროსთან ერთად ლურჯ სივრცეში მიმოიფანტნენ,
ცალკე დავაწყვე, მოვეფერე, გადავალაგე,
ფუნჯით და კალმით ერთიანად გადმოვიხატე.
მეორდებიან სტრიქონები ისევ თავიდან,
ანდა რა წაშლის რითმიან ლექსს გულში დაწერილს,
განმეორდები ამ ლექსებით ისევ თავიდან,
გაახსენდებათ წლების მერე ლექსის დამწერი

ღმერთო დამილოცე

ღმერთო, დამილოცე ქართველები,
ცუდისგან დაიფარე ერი,
იყვნონ სულითაც ჯამრთელები,
საზღვრებს მოაცილე მტერი.
ოჯახს გაუმრავლე შვილთაშვილი,
მზეო, იკაშკაშე ციდან.
აღარ დადიოდნონ დარდ აშლილი,
თოვს და გულს ისევ ცივა.

შენთან ერთად

მარტოდ დავრჩი შენთან ერთად,
სულში მცივა მათოვს...
შენ გიწამე შვილო ღმერთად
ნუთუ აღარ გახსოვს.
შენ უჩემოდ ვეღარ გაძლებ,
დამიჯერე კარგო,
თუ თოვლი ხარ იქნებ დალღვე,
აღარ დამეკარგო.

შვილიშვილებო

ცისფერი ოცნებით დავიხუნძლე,
სიცოცხლის საძირკვლი გამრავლდა,
უდროვოდ არ უნდა დავუძლურდე,
გულს სიყვარული დაბრალდა.
ზამთარშიც გაზაფხულია,
ტკივილებს ვივიწყებ წამში,
დარდს სადღაც გადაუვლია.
აღარ მეშინია ქარში.
ღრუბლები უნდა გავყარო,
გული ავავსე მთიებით,
შვილუშვილებო სამყაროვ....
თქვენ ხართ მამულის მძივები!

რას ქადაგებენ მამები

ცხოვრება არის წუთისოფელი,
საწყისია და დასასრული,
ცაშია დიდი სოფელი,
კარგიც იქ ხვდება, ავსულიც.

წამია ყველაფრის საწყისი,
სიყვარულისა და გაგების,
სულის სადღეგრძელო დამისხით
ვიწამე უფლის განგების.

წამია მწვერვალის დაპყრობა,
ჩამოვარდნაა წამებიც,
არ ვარგა ხორცით ნაყრობა,
ამას ქადაგებენ მამები!



კავკასია

კავკასიელს მართებს მუდამ,
მკერდში ჰქონდეს სუფთა გული,
გზად მტერი თუ გამოუდგა
და თვალები ჰქონდა მგლური.
გაახსენდეს კავკასიელს,
ნამუსი და კაჟკაცობა
თუკი მტრები მიუსიეს,
სიძლიერით გაასმაგდეს.
მისი გული მოყვრისათვის,
უნდა იყოს რწმენით სავსე,
სულ იზრუნვოს ერისათვის,
მათხოვარსაც ლუკმა მისცეს
მიწა შეიყვაროს გოჯიც,
შეინახოს რაც მისია,
მტერი თუ სიმრავლით ჯობნის,
სულით ჯობნის კავკასია!

მონატრება

რომ არ გრქმეოდა სახელი,
დაგარქმევდი „ჩემს მონატრებას“
ასე შორს რატომ წახვედი,
მნახე და დარდი გამიქრება.
ნათლობის სახელი რომ არ გრქმეოდა,
მე დაგარქმევდი იქნებ ტკივილსაც,
უშენოდ ფიქრთან ვომობდი და
ვნატრობდი შენ ერთ ღიმილსაც.
სანუგეშებლად დამრჩა ერთიღა,
გავმართო დროებით სცენა,
შეხვედრა თუ არ მეღირსა,
ვიცხოვრებ ფოთოლცვენად!

შეგვაძლებინე!

ვუძღვნი შვილს
ნონა ბახუტაშვილს.

იყო დიდგორი, იყო შამქორი,
ბასიანი და ათასი სევდა,
,,სამკლაურიდან ყიოდა სისხლი"
ყველას მამულის ტკივილი ერქვა!
თამარის სისხლით, დავითის სისხლით,
ცხრა ძმათა მოდგმამ, ჯიშმა არაგველთ,
სისხლით და ოფლით ნაპოხი მიწა
მომხვდურთ ფეთაგან ზიზღით ალაგმეს!
ილიას ტყვია – მეხის დაცემა,
დააჩნდა მიწას ლომის ტორებად,
თუ საქართველოს ესროდა ტყვიას,
მის საპატრონოდ ვიღას ტოვებდა?!
გარდავიცვალეთ, თვალის ახელა
ვერ გაგვიბედავს დიდგორის შიშით,
ჩვენ ბასიანი თუ გაგვაცოცხლებს,
ანდა შამქორი ჩაგვრეცხავს სირცხვილს!
ორმოცდაერთი მოვიდა ზალპად,
ცოცხალთ საძვალით ფეთქავდა მიწა,
მამულისათვის დაღვრილი სისხლი
მიწას ავარდნილ ყაყაჩოდ იქცა!
მიტომ წინაპართ ნაკალევს ვეძებთ,
მოურჩენელი ტკივილის წამალს,
და მოვალთ ისე, როგორც მოვიდნენ,
და ხიდით ისევ ძველი გზით წავალთ!
თუ გადაგვარჩენს, თანადგომაა,
ვეღარ ვეყოფით თითებს სათვლელად,
საქართველო და უქართველებოდ?!
სიკვდილი გვიჯობს ამას სათქმელად!!!
შიში ქვითინებს ნისლად ხევებში,
მამულის კარი შეგვაღებინე,
დედაო ღვთისავ, დედაო ღვთისავ,
შეგვაძლებინე, შეგვაძლებინე!!!

პატარა დავითის გოდება და ფიცი.

ვუძღვნი ვაჟს, გიორგი ბახუტაშვილს.

ჩემო საქართველო, ჩემო საფიცარო,
მტერთა საჯიჯგნად გაჩენილო,
ჭრილობავ, ღიად დარჩენილო,
სანთელო, ცრემლად დაღვენთილო!

გიტევდა სპარსი,თურქი თუ არაბი,
რჯულსა და მეობას ფარ-ხმალით ფარავდი,
დიდი ფარნავაზით, ვახტანგით, ბაგრატით
მოხვედი აქამდის.
გოლგოთა იტვირთე ამ გზა და სავალზე,
ჟამთა სიავენი როდემდე, სანამდე?!

... ყოველივე იავარქმნილია,
სავანენი თავლებად ქცეულია,
მამული ჩემი წყეულ – ეულია!!!

გწვავენ და გჩეხენ უმოწყალოდ,
ქალწულებს გიხრწნიან, ჭაბუკებს ჰქოლავენ!
ღმერთო, მომხვდურს ცოდვა-მადლი შთააგონე,
ო, რარიგად, რარიგად სცოდავენ!

„ზარნაშო ამიყივლდა, მამლის ნაყივარზე,
მგელი ამიყმუვლდა ძაღლის ნათევარზე"

ღვარძლი ამოსულა დილით ნაწვიმარზე,
ჩვილი აგებული ტირის სატევარზე!

როგორ მოგეფერო, ჩემო საფიცარო,
ჩემო ტკივილო და ჩემო სადარდელო,

ვფიცავ, შენს მიწას, რჯულს და ენას,
ვფიცავ, დაღმა ხნულს და დაღმა ფარცხლს,
ეს მე აგამაღლებ, ეს მე აგაშენებ
ეს მე გადაგარჩენ, ჩემო საქართველო!!!

ქალი-ქალღმერთი
(ჰეკატე)

ქალი – ღვთაება და ქალი – სათნოება,
ქალი სინდისია, მანდილია,
ქალი წარსული და მომავალი,
ეს არ გეჩვენებათ, ნამდვილია!

ქალი გრძნობათა მორევია,
არავინ არ უნდა განიკითხოს,
ქალი გადაშლილი წიგნია და
ამიტომ უნდა წაიკითხოთ!

ქალი ხატია და ფიც-ვერცხლია,
ქალი ზღუდეა და კედელია,
ქალი – მტერთან შერკინება
ოდითგანვე მამრის შემცვლელია!

ქალი – სიყვარული, ერთგულება,
ქალი მშვენება და შედევრია,
ქალი ამბოხია, ქალი – ამორძალი,
ქალი მოვარდნილი
მეწყერია!

ქალი – ნეტარება, ქალი – აღმაფრენა,
ქალი – ლექსის მუზა,
ქალი – პანდემია,
ქალი – სამყაროს გადარჩენა,
ქალი – ქალღმერთია,
ქალი – ქალღმერთია!!!



ვხვდები განთიადს

ღიმილმა სევდა მთლიანად გამიქრო,
გული სიხარულს აფრქვევს,
იმ შარშანდელი არ იყოს,
აუგი აღარ დაგცდეს.
მზის სხივით მოქარგე სიყვარული,
გული ამიმსე რწმენით,
ჩემთვის ხარ ყოველთვის საყვარელი,
ვარსებობ, ვცოცხლობ შენით.

ირინა ხურციძე (ირინოლა ტყეშაველი)

ციკლიდან –,,ჩემებური ტრიოლეტური..."

არ იწონება არც სიცოცხლე ფასით, ოქროთი

ჩამოვიცალე, წვიმის ცრემლად ლეგა ღრუბელი,
ვერ მოვიცალე, მოვსულიყავ მაინც შენამდე,
დარდებს გამომწოვს დღეს ეს ლექსი,
როგორც წურბელი,
(ჩამოვიცალე, ციდან წვიმად,
როგორც ღრუბელი,)–
დამაცა ქარო– ეს დღე მაინც ტკბილად შემარგე...

შევრაგვე ეზო, აკაციის ნედლი ღობერით,
შემოვიხვიე ტანზე ნისლის თეთრი ქათიბი,
ვიხმიე ბოლო საზედაშე ღვინო ორფერი,
(შევრაგვე ეზო, აკაციის ნედლი ღობერით,)–
დავდგი ბულული საკუთარი ხელით ნათიბი...

გამითბობ გულს თუ, შემატოვებ მყინავ ქარაშოტს,
აწ სულ ერთია, ყველაფერი გახდა ფარსი რად,
დრო ისევ, ჩემი სულის ჩანგის წკირზე თამაშობს,
(გამითბობ გულს თუ, შემატოვებ მყინავ ქარაშოტს,)–
თუ არ ჩაასხი, ვერ გადმოღვრი ბადაგს თასიდან .

ვინმე ყასიდად შემოგხედავს, შურის თვალებით,
ემიგრანტობით იშოვაო– იტყვის– ქონება,
არც მინდა ვიყო, ვინმეს ცალყბად შესაბრალები,
(ვინმე ყასიდად შემოგხედავს, შურის თვალებით,)
რომ მერე ამით გამოხატოს თავმოწონება...

არ იწონება არც სიცოცხლე ფასით, ოქროთი,
არც მზერა მიღირს სააუგოდ დამღად გამჭოლი,
გადააჭარბებ მაგ ქმედებით თუკი მოლოდინს...
(არ იწონება არც სიცოცხლე ფასით, ოქროთი,)–
რკინის ბექთარსაც გაგლეჯს ზოგის სიტყვა გამჭორი...

ჩემს ოცნებებში

თუ სადმე უნდა დაგეხარჯა ბოლო,,ტალანტი",
წამო დუქანში, ყველა
ერთად,,დავახურდაოთ"...
საცაა უკვე სიყმაწვილის ასაკს გადავცდი,
(თუ სადმე უნდა დაგეხარჯა
ბოლო,,ტალანტი"....)
თვალშისაცემი დასანახად, არის უდაოდ...

რად ავიკიდე უთენია დარდების ბოხჩა,
რად ვიხიბლები კვლავ წარსულის შავთეთრ
ლანდებით,
წინ ვიხედები – საიმედო არც არა მოსჩანს,
(რად ავიკიდე უთენია დარდების ბოხჩა)–
გათავდა, მორჩა – უგზოუკვლოდ
დავეხეტები...

მხარზე გავიდებ გარდიგარდმო ხელჯოხით
ხონჩას,
ჩავივლი ქუჩებს, ერთ დროს ზედაც, რომ არ
ვხედავდი,
დამსგავსებული ეს ცხოვრება უმწეო ოჩანს
(მხარზე გავიდებ გარდიგარდმო ხელჯოხით
ხონჩას.)–
ჩემი თავის მეტს, ამას სხვას ვის
გავუბედავდი...

ჩემს ოცნებებში მეც მყავს ჩემი მუზა რჩეული,
არ მინდა ვინმეს, აგრერიგად შევეზიარო,
ხელთითებშუა გამიყვითლდა ძველი რვეული,
(ჩემს ოცნებებში მეც მყავს ჩემი მუზა
რჩეული).
თუმც სხვა გზა არ მაქვს, მაინც კენტად უნდა
ვიარო...

მე დილას ვეტრფი, საათნოვას ლექსივით
ხალასს, –
ჩამოვიკიდებ თოკზე თავს თუ, ასე არ იყოს.
რაც უნდა მოხდეს, ერთხელ მაინც დავარღვევ
ბალანსს,
(მე დილას ვეტრფი, საათნოვას ლექსივით
ხალასს) –
მინდა კარი ცის პოეზიის მადლმა გამიღოს...

ჩავივლი ქუჩებს უკანასკნელ მეფაიტონედ,
თუნდაც ამისთვის საამისო ძალაც არ მეყოს,
სად, საკუთარ,,მეს" კიდევ ერთხელ
გამოვიგონებ,
(ჩავივლი ქუჩებს უკანასკნელ მეფაიტონედ) –
მერე კი, მერე – თქვენი ყველას, ჭირი
წამეღოს....

ვიარე დღემდე...

უნდა ატირდე, სხვანაირად არ შიძლება,
როცა მირაჟი გაეცლება დილის კაბადონს,
მერე რითმებში დაიცალო მწიფე ფიქრებად,
(უნდა ატირდე, სხვანაირად არ შიძლება,)
რომ კვლავ მიაგნო არდაწერილ ლექსის საბადოს....

უნდა აფრინდე,– მეცხრე ცაზე შეჰკრა იარო,
ააყიარო ყველა დარდი რაც კი გაწუხებს,
შვება რომ ჰპოვო, ლექსი უნდა დააბინაო,
(უნდა აფრინდე,– მეცხრე ცაზე შეჰკრა იარო,)
სხვანაირად ხომ ვერ მოიხსნი მძიმე მარწუხებს...

გავწურე ფიქრის ხილაბანდში ხვალის იმედი,
ვითმენდი რასაც, გამარჯვების ბოლო წუთამდე,
ვიარე დღემდე ჯვარცმითა და სულის კირთებით,
(გავწურე ფიქრის ხილაბანდში ხვალის იმედი,)
მივიკვლევ აღმართს ზეცისაკენ–სავალს უფლამდე....

ამოვდებ ლაგამს, ქარის რაშებს, უკიდეგანოდ,
დავლაშქრავ ბილიკს, სადაც ფეხი ჯერ არ დამიდგამს,
თუმცა არ მინდა გავყოყოჩდე–უღირსს ვემგვანო,
(ამოვდებ ლაგამს, ქარის რაშებს, უკიდეგანოდ,)
სამშობლოს უღელს უდრტვინველად ქედზე დავიდგამ.

იმ ნათელსხივის მინდა ვიყო ერთი მისხალი,
ხშირად ალი რომ იბადება ნაპერწკალიდან,
გულის ჯიბეში შემინახავს, რაც ვერ გითხარი,
(იმ ნათელსხივის მინდა ვიყო ერთი მისხალი,)
რომ ჩვილი გულიც დაინახონ ამ მკაცრ ქალიდან...

ვიწყებ თავიდან მერამდენედ, სვლას აღმართისკენ
გამიორგულდა ბევრი ვინაც, ვეღარ მეწევა,
არ შევჩერდები, ამ ერთხელაც რადგან გავრისკე,
(ვიწყებ თავიდან მერამდენედ, სვლას აღმართისკენ)
ვნახოთ, მუზებთან ამ ნადიმზე ვინ დამეწვევა...

ჩემი როზაიები

* * *

ვერ დაადუმებს ნაღდ სიმართლეს მაინც ვერავინ,
რაგინდ თავს ადგეს ყალბის მთქმელი როგორც მზვერავი,
ხამს სიტყვა გიყვარს კაცურ გულით თქმული ალალად,
მოუკიბავი, მზაკვრულ აზრით შეუფერავი....

* * *

გაშლილ სუფრასთან ყველა მარდია,
ღარიბ კაცს აბა რა აბადია,
გაჭირვების ჟამს მოიხმო უნდა,
ტკბილი, სიტყვაც ხომ გულისვარდია....

* * *

დამსაჯონ თუნდაც, მაინც მინდა ვთქვა–
ფეხს ნუ წამოკრავთ აყრილ ფილაქანს
თორემ თქვენივე ნასროლი სიტყვა,
გზად მოგეწევათ როგორც ფილთაქვა...

* * *

ვინაც მარტოდენ არსებობს კუჭით,
ხელმოცარული დარჩება ფუჭი...
და თუმცა მაინც სხვის ირგებს ნაბადს,
დაბადებული ბუნებით ურჩი...

* * *

მართალს აღმართშიც ეწევა ქვები
და ეს რას ნიშნავს უთუოდ ხვდები,
დღეს ბევრს მოუნდა რატომღაც ფრენა–
მარტო ანგელოზს როდი აქვს ფრთები...

* * *

ზოგჯერ დაწერილს ფუყედ ბაიათს,
ფერებით რომ ჰგავს გაფცქვნილ ბაიას,
თუ ვერ მოირგებ კალამს საშენოდ–
დღეს პოეტობა ნაღდი შარია...

* * *

ჯერ დაუწერელ დროის თარიღებს,
ჟამთა მსვლელობას ვერ მოარიდებ,
მარგალიტების რა ესმით ღორებს,
ნურც ორღობეში ჩამოარიგებთ...

* * *

თუ გულში ფიქრებს ღრნიან ეჭვები,
ან სულ სხვის თვალში ძებნე ბეწვები,
საკუთარში ვინც ვერ ხედავთ დირეს,
ხელმოკლე მოყვასს ვით შეეწევით...

* * *

განილევიან დღეები ურჩად,
დუმილის ექო შეგრჩება ტუჩთან
მიხვდები თუმცა გვიან, ამაოდ
ტკივილები რომ ვერ გაგიყუჩა....

* * *

ვინაც დუმილის ხმა გაიგო, არ დაელოდა,
ნიავის მოსვლას გაშლილ მდელოდან,
ზურგზე მოიგდო გუდა-ნაბადი
და ცას გაცქერის მუხის ჩეროდან....

* * *

იქნებ სევდის ზღვამ სადღაც გამრიყოს,
თუმცა ვერაფრით ვერ დამიბრიყვოს,
მაინც ავივლი ჩემს წილ ამ აღმარათს–
ვინ იცის, ეგებ ენამ მიყივლოს...

* * *

დაეკარგებათ სიტყვებს ფერები,
როცა შორს ვარ და ვეღარ გეხები
და თუ დუმილით დარდებს მოვიკლავ,
ისევ ლექსებში მოგეფერები...

ჩემებური ტანკა

*

სინანულისთვის
დავიცალე ცრემლად
უფალო...

*

მთვარე მივადგი
ფიქრის ნალიას,
შიგნით ნათელი
რომ შემეტანა...

*

თითებზე ვითვლი
აქ დარჩენის დროს,
ვით ძველი კიბის
საფეხურებს
თავნება ბავშვი...

*

სულში ჩამცქერის
ყვითელი მთვარე,
ცოტა დარდი რომ
გამიფერადოს...

*

აყალოსფერი
დგება საღამო
და გული კიდევ
უფრო მძიმდება...

*

ნახევრადშეშლილ
ამ სამყაროში,
დროს მთვარის ქიმზე
ჩამოეძინა...

*

დრო იქ გაჩერდა,
სადაც ტრაპზე ფეხი ავადგი,
მას შემდეგ დროში ვმოგზაურობ
ვით მგზავრი უცხო...

*

აჩალულ ჭალებს,
ჭილყვავები
კი არ სტოვებენ,
ისევ საკბილოს დაეძებენ
ნარჩენ ხორბლისას...

*

უავდრო ცაზე მეხი მაინც
გავარდებაო–
უთქვამთ და ახდა...

*

საღამო ჟამი–
შებინდებისას
გრილი სიო და
ცვარი მდელოზე...
და გალუმპული ყაყაჩოების
მოწყენილობა...

*

სევდას მგვრის მთვარის
მკრთალი არილი
სად ღამე ნელი ფერისცვალებით
მიიპარება გზაზე უჩუმრად.

*

ცრემლით ავავსე
ერთხელ თასიდა,
მერე იქიდან
მზე დაიღვარა...

თამრო ნიჟარაძე

გრძნობა დაკარგული

სიბნელეში ხარ გრძნობადაკარგული,
გულით ვეცადე რომ შემეცვალე,
სიტყვაც გითხარი სულით მოქარგული,
მთელი ენერგია შენთვის დავცალე.
ვერ მოვერიე სულის ბინადარს,
შენთან დღედაღამ ცხოვრობს სატანა,
ადევნებულხარ ღრუბლიან ავდარს,
აღარ შემეძლო
ამის ატანა.
გული მომიკალი და მაინც გლოცავ,
რადგან მზესავით შემოგხაროდი,
დღეს წყენის წუთებს ისევე ვხოცავ,
ფიქრით კვლავ შენთან მოვიჩქარიდი.
გლოცავ დღე და ღამ
ტყუილს არ ვყვები,
გთხოვ დამიჯერე,
გულს ენანები,
მე ამ ბილიკებს ცრემლით ავყვები,
ტკივილისათვის დამენანაები!

როცა

როცა განძი
არ გაქვს ხელში,
ოდანავ თუ
დაგიცდა ფეხი,
ძალა გამოძებნე შენში,
სულში ააშრიალე ვერხვი
წამოდექი და
განაგრძე გზა,
ასეთ მეგობარს დაცილდი,
ირწმუნე რაცა გწამს,
მისთვის ნურაფერს განიცდი!

თავს გაუფრთხილდი

თავს გაუფრთხილდი ემიგრანტო,
თავს გაუფრთხილდი,
სულ წინ იარე საყვარელო დიდი სიფრთხილით.
შენ ბედისწერამ ცხრა მთას იქით კი მოგისროლა,
უნდა იარო, აიცილო ტყვიის სროლები
არც იფიქრო და არც გაბედო ბედზე წუწუნი,
კვლავ გაუღიმე ოცნებებს და დადექ სარკის წინ
ჩაიფერფლება, ჩანაცრდება
ცრემლის უკუნი,
კვლავაც გათბენი გაყინული
სიყვსრულის მზით.

გულის პანთეონი

თუკი აღარ ჭირდები
წაიქეცი ბედისგან,
ოღონდ ნუ ატირდები,
დაიხსომე დედისგან.
წამოდექი სასწრაფოთოდ,
გადაფერთხე ტალახი,
ჩემო სულის ქარაფო,
სხვას არ ელაპარაკო.
ძან ცოტა არიან,
ერთგულები საერთოდ,
ეს დროც რამ გადარია,
წვიმებს ქარიც დაერთო.
გულში ბევრი ხალხია,
ცუდებიც და კარგებიც,
დარდიც აქვე მარხია,
თავის წვიმა ავდრებით.
ირგვლივ ყველგან ომია,
ვმრამხავ ამ ჩემს წიაღში,
გული პანთეონია,
სული დაქრის ნიავში.

ცრემლი

თვალეში რომ დარბის ცრემლი,
გულს რომ გიღონებს დარდი,
კარგს არავისგან ელი,
ბედი სულ სევდას ბარდნის.
რომ გენატრება სამშობლო,
სიზმრად რომ ხედავ შვილებს,
სევდას როგორღა დავშორდე,
დარდი რომ გიშვილებს.
ვითომ ქალს ვგავარ უდარდელს,
სულში ტკივილი ყივის,
დარდებს ვიხსენებ შარშანდელს,
ყოველ დღე ბედს ვუჩივი.

მოგინება

თუ გამიტაცებს ფიქრი,
გულს დარდი მომაწვება,
ოცნება სვანეთში მიქრის,
ბავშობას წააწყდება.
მე ის მონატრება მახრჩობს,
გულში რომ დარჩა წლობით,
იმას არაფერი არ სჯობს,
ახლა რომ მიყურებს წყრომით.
ტკივილი ბევრი ვნახე,
ცრემლიც ღვარღვარებით ვღვარე,
ბედმა დამიგო მახე,
ერთს სურვილს დაგიბარეთ.
ჩემი სვანეთის მთები,
გამიგებს რაც მე მტკივა,
რომ მონატრებით ვკდები,
ვუამბობ როცა მივალ.
არ შეგარცხვინეთ მთებო,
არა ვუღალატე ადათს,
სვანეთო ჩემთვის გჩემობთ,
თქვენც გენატრებით ალბათ.
მაშ გაუმარჯოს იმ წლებს,
ჩემს ბავშიბას და გრძნობას,
ჩემთან ღამე რომ წევს და ..
ისევ მიცხადებს ნდობას.

როცა მოვკვდები

ნუ გადმომაყრით ნიანგის ცრემლებს,
და ნუ მიტირებთ პატივისცემით,
ნუ ითვლით ჩემი ცად წასვლის დღეებს,
ნუ შემაფასებთ სხვის გადმოცემით.
ვისაც ვუყვარვარ მას შეეკითხეთ,
თუ რა ტანჯვები გამოვიარე,
ისე ზერელედ ნუ განმიკითხავთ,
ნურც დამიმატებთ წყლულზე იარებს.
სასუფეველში გზას გამინათებს,
ჩემი სიკეთის თვალის ხატება,
რამდენჯერ ცრემლით ღამეს ვათევ და...
ყოველი თვე რომ მიღენს მარტებდ.
ვგრძნობდი ხომ ვგრძნობდი ვინ რას ამბობდა,
ხორცს რომ მწიწკნიდნენ შეუბრალებლად,
ჩემი მერანი ცას რომ გარბოდა,
ყოველი დღე რომ იქცა ვალებად.
გზა გავიკვლიე სიცოცხლის ფასად,
მენატრებოდა ჩემი შვილები,
ახლა მგონია დამიფასდა,
მეც წავალ ცაში სულდამშვიდებით!

გულნაზ ხარაიშვილს

როგორ მინდა მეც
თქვენსავით,
სიყვარულს, რომ
ვაფრქვევდე,
დედასავით საყვარელო,
შვილს შენს
სახელს ვარქმევდე.
მზის სხივივით
გულს უთბობდე,
ჩემს ჯიშსა და გენიას,
მტერსაც ზოგჯერ
გზას უთმობდე,
ვანსხვავებდე ჩემიანს.
შენი სითბო მოფერება,
გულს მალამოდ
მედება,
ვწერ და კიდევ მეწერება,
გული არა ბერდება.
თქვენ ერთი ხართ
ქვეყანაზე,
ყველას სითბოს
მფრქვეველი,
არ გაკლია თუმც სინაზე,
არ გყავს უღლის მწეველი.
ჟანგბადი ხარ
ჩემი ერის,
კეთილი და მრჩეველი
შვილები გყავს
ბევრზე-ბევრი,
თუკი უჭირთ მშველელი!

საით

ჩამიფრინა თვითფრინავმა თვალწინ,
საით მიქრის ან ვინა ყავს მგზავრი,
განვლილ დრომ კი ისე ჩაიცინავა,
გამახსენა ტკივილებით ჯავრი.
მაინც სივრცეს თვალი გავაყოლე,
დავაბარე მოკითხვები ბევრი,
თვალის ცრემლი გულს თან დავაყოლე,
ვუთხარი რომ ვარ დარდების წევრი.
ემიგრანტი ვტირი უხმოდ სადღაც,
სხვის მიწაზე დავაბიჯებ წლობით,
გულს შევატყვე დღეს ძალინ დაღლა,
ვესაუბრე ფიქრსაც კეთილშობილს.
საქართველოს გაუგზავნე კოცნა,
შევპირდი რომ დავბრუნდები მალე,
დაჭირდება მას ცოტახნით მოცდა,
გავისტუმრებ სიყვარულის ვალებს.

ცრემლი მცვივა

ყოველ ღამე ცრემლი მცვივა
და ღმერთს ვუხმობ ძალზე ხშირად,
სულში მყინვს, ძალზე მცივა,
ბედმა ასე რად გამწირა.
ჩემი მიწა მენატრება,
ოჯახი და ოდაბადე,
დროც ემიგრანტს ემტერება,
ცრემლებთან ერთა დავიბადე.
რამდენია ასეთ დღეში,
ფიქრთან სტირის ღამე ჩუმად,
ის მზე დარჩა ისევ ჩემში,
და დავდივარ მასთან სტუმრად.
დაბრუნების დრო არსად სჩანს,
ან სად გაქრა რესურსები,
ამ ტკივილებს ქარს გავატან,
მზეს იმედებს ვესეხები.
ხვავი ჰქონდეს ჩემს სამშობლოს,
იმდენი რომ სტუმარს დახვდეს,
ცრემლს მზის ალზე გავაშრობ და...
მინდა ნატვრა ჩქარე ახდეს!

ნანა გიგუაშვილი

მისია

მე ჩემი ღმერთი დამყვება ყველგან
და სადაცა ვარ, მისგან მომეზღო,
რომ სიყვარული მესწავლა შენგან
და სიახლისკენ ხელი მომეწყო.

შენს განახლებულ გულში ვიძინებ,
შენს მონატრებას ვუმზერ ლოდინით,
მძიმე წარსული გადავიფიქრე,
თუმც გულზე მაწევს დარდი ლოდივით.

და თვით უფალმა მომცა ძალ-ღონე
ალბათ ისევე შენი გულისთვის,
ბდამაჯილდოვა ჩემი სიცოცხლით
გადარჩენილი ერთი სულისთვის.

უანგარო

მე მწამს სიყვარული უანგარო,
გრძნობა პოეტური, ქარიზმული,
მთვარე შევსებული, უნამგალო,
სიტყვა – ნაფიქრალი, გამიზნული.

მინდა ზღვაზე დილით ვინაპირო
ფიქრით, გამჭვირვალე ჰაერივით,
გული ერთგულებით მინაწილონ
და არ მიღალატონ კაენივით.

მე მწამს სიყვარული უანგარო,
მთვარე შევსებული, უნამგალო...

ვაშენოთ სიკეთის ქალაქი

სირცხვილით ჩვენს ფეხქვეშ ზანზარებს ეს მიწა
და გულის თვალები დახუჭვას ცდილობენ,
სად გაქრა, ქართული სისხლი რომ ეწირა
და მამულს საფიცარს დღემდე რომ გმირობენ ?

ეს ჩვენ რა გვეტაკა, გულში გვაქვს ქვებ-ლოდი,
ღრეობას არ უჩანს ნაპირი ნაჯერი....
– ვინ იცის უფალო რამდენჯერ გველოდი
იმ მშიერ ბავშვებში, იმ პურის ნაჭერით...

ვინ იცის ტკივილსაც იმიტომ გვიმრავლებ,
გონზე მოიყვანო ერი განაწირი,
რადგან ნივთიერით სურვილებს ვიამებთ
რწმენა, კი შემოგვრჩა მერყევი და მწირი.

სუყველამ ვაშენოთ სიკეთის ქალაქი,
რომ ჩვენში პატარებს ლუკმა არ შიოდეთ,
მოხუცებს უხაროთ გულები ბარაქით,
ვიზრუნოთ, რომ სულში არასდროს ციოდეთ!

ჰარმონი

სიყვარულში ჩაწნილი გვირილების გვირგვინი,
ლავანდების სურნელი, იისფერი ფეთქება,
თავთუხების ოქროსფრად მოლივლივე ღვივილი
და ყანებში ყაყაჩოს წითლად შემოფეთება.

მიყვარს ლურჯი ღიღილო და სამყურას ვარდობა,
მოჩუხჩუხე წყაროსთან სიყვარულის წადილი,
ჭრიჭინების ხმაურში სუნთქვის თანაფარდობა,
სამყაროდან ჩვენამდე სულის გამოძახილი.

კომა

არ შეგეშინდეს მუქი ნისლის, უკვე გაწვიმდა,
ნახე, ამ ხეებს ეს ფოთლები როგორ დაცვივდა,
შემოდგომაა, მზეა, მაგრამ მაინც აცივდა
და სიცივეში სიყვარულიც უცებ გაცივდა.

არ შეგეშინდეს, მერე რაა მარტო თუ დარჩი,
მზეგადარგული, ცაგახსნილი ღიმილის ფარჩით
უფალი ახლა შენთანაა და გიღებს კარებს,
იცი, მთავარი დღეს რა არის?
– შენ რომ გადარჩი.

ქაოსიდან გამოსავალი

ფეხაკრებით გაიპარა ნაცრისფერი ნისლი,
სახურავებს შემოალპა ნაჯაფარი ისლი....
სინამდვილეს გაურბიხარ, სიტყვას ბანზე ისვრი,
დიდ ცოდვაში ნუ ჩადგები, ხელებს ნუ გაისვრი.

ბოლო ჟამის გრძელ კიბეზე მოტეხვაა კისრის,
ვიღაც თავში მოქცეულა და ბრძანებას ისვრის,
ძირს შიმშილი დათარეშობს, სულ ერთია მისთვის,
ძალა არ აქვს, რომ წამოდგეს, ან იბრძოლოს ვისთვის?

შენ რომ ისევ იყო ქვეყნად, ძმა რომ იყოს ძმისთვის,
დღესვე უნდა მოვემზადოთ თესვისა და ხვნისთვის,
გულში მჯერა უსამართლოდ შეწირული სხვისთვის,
საფერები სულებია ზეციურში ღვთისთვის.

გათენება

ო, როგორ მიყვარს სოფლის სუნთქვა, მამლის ყივილი,
ნისლებაშლილი მზის სხივებით გამოთენება,
ქართული მიწის სიშორისგან დამაქვს ტკივილი,
მომძალებია მონატრება და მოფერება.

შემომაშუქებს გათენების თეთრი ციალი,
თქორი დანამავს ყვავილებით მორთულ აივანს,
მერე ინათებს, გათენდება დილა მზიანი
და სილაჟვარდე ამ სიყვარულს ცამდე აიყვანს.

სიმარტოვე

შემოდგომაა... და ქუჩაში მარტოა სკამი,
ამ სკამზეც გუშინ მოლოდინით იცდიდა ვიღაც,
გადანაწუხებ ყვითელ ფოთლებს ეპკურათ ნამი,
გამოუმწვარი სიყვარულით ტიროდა თიხაც.

ეს სიმარტოვეც გადაღლილი სასთუმალს ეძებს
და ნამცვრეველა მტევანივით ხელებში ტკბება,
საბნად იხურებს გათანგული ეკლებს და ძეძვებს,
გაუსაძლისი სიყვარული გულშივე კვდება.

...შემოდგომაა
და ქუჩაში მარტოა სკამი,
ახალ ფერებში შეუღებავს ფოთოლთა წვიმას

ხვამლის მთაზე

თითქოს სულ სხვა სამყაროა
რაიონსა და ცხენისწყალთან,
სამას მეტრზე აზიდული
კოლხურ საიდუმლოს მალავს.

და პრომეთეს კლდეზე მიბმულს,
სვავი კორტნის გულზე დღესაც,
პიქტოგრამულ ქვებზე მოჩანს,
ის რაც იყო აქ ოდესღაც.

ისტორია დგას მდუმარედ,
იმეორებს დროს ლეგენდა,
პრომეთეს და ამირანის
ბედი რატომ დაგვებედა?

ყველაფერი ალბათ იყო,
თვით უფლისგან ბედისწერად,
საქართველოს ისტორიას
უპირებენ გადაწერას.....

ხვამლის მთაზე ნისლი წვება
და ჟღარუნობს ჯაჭვი რკინის,
ლეგენდიდან დაბრუნდება
ამირანი უფლის შვილი

წარსულს ბარდება

სანამ ტკივილი აიბარგება,
რწმენად იქეცი, არა დარდებად,
წარსულს წინა დღე მუდამ ბარდება,
ყველა პრობლემა უფლით გვარდება.

გული საგულეს გაგიმაგრდება
და დაეშვება ფფცცისფერ ფარდებად,
დღეს რომ წარსულთან გიდგას თავდებად,
ეს უფალია, რაც არ მთავრდება ....

სოსნისფერი გამონათება

ამოქანდა და სოსნისფერი მოჩითულობით,
გადაეხვია სილაჟვარდე მზის სხივს განაწამს,
ამ სიყვარულის სილამაზის მოწიფულობით
ნებისმიერი ნაპერწკალი გულებს გადაწვავს
შემოლიცლიცდა და ვით სავსე მთვარის ნატური,
ზღვაში ლივლივებს ჩასალევად მისი ნათება,
მოვიხიბლე და ულექსობა ვეღარ გაკადრე
შენ, ამ ზაფხულის სოსნისფერო გამონათებავ.

მახუნცეთის ჩანჩქერი

აჭარაში ქედის გზას მზე დაჰყურებს ირიბად,
სივრცეს ნისლი ახურავს, ცას დუმილით ავცქერი
და სიზმარში ნანახმა მართლა გადაიბირა,
მონუსხული შემომხვდა მახუნცეთის ჩანჩქერი.

ამიჩქროლდა გული და წყლის ვარდნაში ჩაიქცა,
ჩანჩქერიდან მიწამდე აღარა ჩანს ნაპირი ,
გაძარცვული გულიდან სიყვარულიც გაიქცა,
ჩამომრეცხა ჩანჩქერმა სახე ჩამონატირი.

ხვედრის სიმძიმე

ხვედრი მაქვს მძიმე, დავიღალე სიზიფეს ლოდით,
რად შემომაწყო ამ ცხოვრებამ დარდი საზიდად?
შემომეპარა ქვეწარმავლის ნაცადი ხოხვით
და ენერგია ვამპირივით ჩემგან გაზიდა.

მტვრად გადაიქცა ჩამოფხვნილი კედლის კირები,
მარმარილოზე ბრწყინვალება თეთრად დაფინა
და სისასტიკით ალესილი დანისპირები
ბატონებივით სულ სხეულზე გამოაფინა.

გულს რა ვუშველო

სასაფლაოზე აღმართული ჯვრების ჩრდილები,
მომჩერებიან გაკვირვებით თვალზე ცრემლიანს,
ამოუვსიათ საყვარელ ხალხს მიწის თხრილები
და გულმოკლული დავტირივარ ყველა ჩემიანს.

ვხედავ დრო როგორ მიახოხებს ჩემს წლებს გაძარცვულს,
უმადურობის სატკივარი როგორ მერევა,
გულს რა ვუშველო დარდისგან დაღლილ-დაქანცულს,
ვშიშობ გონებაც წკიპზეა და გადამერევა.

ცოდვას ვებრძოლოთ

როგორ გაახალგაზრდავდა
სიკვდილი ოხერ-ტიალი,
სიბერე არვის ცალდება,
შეჩერდა დროის ტრიალი...
ეშმას ცალ ფეხზე ჰკიდია
ადამის მოდგმა მთლიანად,
ისიც კი აღიზიანებს,
ღმერთმა რომ გაგვამთლიანა.

და იმის შემდეგ მუდმივად,
ფეხდაფეხ მოგვდევს ფარულად,
ახლა კი ისე ახლოა,
სულშიც კი შემოპარულა.
რწმენას გვიკეპავს კალია,
სიყვარულს დარდად გადგვიქცევს,
გოდოლი უგავს ნალიას,
მისი კედლები ნაფიცრებს.

უნდა და ცეცხლად ბობოქრობს,
ქარიშხლად მოდის მტერადა,
გადაგვიბუგა ტყე-ველი,
გვიქცია ნაცარ-მტვერადა.
გაჰყარა შვილი დედას და
ხელი დარია ერთობას,
პატიოსნებას, ბედავს და
სპობს გარყვნილებით ერთობა.

ფესვი რომ ვეღარ მოგვილპო,
ახალ თაობას ეტაკა,
დაბოლილ გაუგებრობას
გვიკვირს ეს რა დაეტაკა?
კანონით დადგა სპექტაკლი,
ამ ნასკარადით გაგვართო,
პასპორტში მამის სახელი
ჩვენი ნებითვე წაგვართო

მადლიერება

მადლობა ღმერთო ყველასთვის, ვინც მყავს,
ჩემი გულიდან ვინც არსად გარბის,
მთელი სიცოცხლით ასე რომ მიყვარს,
ეკას და ლევანს, ნიკას და მარის.

მადლობა ჩემი პატარებისთვის,
შენ დამილოცე წმინდა მარიამ,
ალექსანდრე და ანასტასია,
ჩემი დემეტრე, ჩემი ანდრია.

კმარა!

გეყოთ ფლიდობა, ორგულობა, უფლის ღალატი,
ყურძნის მაგივრად მთხლით აივსო სართვლო კალათი,
ვაზმა მაღლარზე დაივიწყა ყოფნის მისია,
აფხაზეთი და სამაჩაბლო ახლა სხვისია.

უსაქართველოდ ვერ იქნებით ვერვინ ძლიერი,
თვით სამყაროსაც გააჩნია დასალიერი,
აბსურდობაში მემძიმება ლოდი სიზიფის
და მაგნიტივით ამ ტკივილის გულთან მიზიდვის.

მოგონილი ბედნიერება

მე ვგრძნობ რომ სხვა ვარ,
არ ვქცეულვარ ტურად და სვავად,
რაც დრო გავიდა, კიდევ უფრო დავპატარავდი,
გზას სიყვარულის და სიკეთის გავდივარ სავალს,
არც არასოდეს არ ვყოფილვარ ამპარტავანი.

დათმენის სკივრში, მზის ნაჩუქარ კაშკაშა სხივში
შემოვინახე მოგონილი ბედნიერება
და ბოროტების უმადური ღრიალი სიმში
ეს მერამდენედ მისამარებს მეხსიერებას.

მოწოდება

ვით შალის წინდას შეპარული ჩრჩილის პეპლები,
შემოჩვევია მტერი ყველგან სამშობლოს მიწას,
ათასჯერ რვალში გავლებული რკინის პეტლები
ჩარღვეულა და მის სიმრთელეს არავინ იცავს.

მავნებელია ყველა ცდა და ყველა წადილი,
ყოფიერება ფესვში ჩეხავს ვაზებს სართველოს,
გამოიღვიძეთ! არ გავხადოთ ეშმას სადილი,
გადავარჩინოთ ნაწამები ჩვენ საქართველო!

გულში ჩამახუტე მე ჩემი სამშობლო

შურსა და ბოღმაში, ღალატში, მტრობაში,
ტანზე შემოგვაცვდა ნამუსის მანტია,
შევჩერდეთ! დავტკბეთ და დავზავდეთ ძმობაში
სიყვარულს მივხედოთ უფლისგან მადლიანს.

შექების გარეშე ვაკეთოთ სიკეთე,
ტაშის კვირას ჯობია გულები გავწმინდოთ,
წყენა სიყვარულით კვლავ გამომიკეთე,
მომავალს ვეფეროთ, შვილნი არ გავწიროთ.

ავდგეთ და ავჭედოთ კაზინო კარებში,
ვინც ვიცნობთ გულღიად ვამხილოთ ბარიგა,
ხომ ხედავთ ძალადობს მამონას თარეში,
ხომ ხედავთ მავანნი ეშმაკთან გარიგდა.

ისევ ჩვენ, ერთობით ვებრძოლოთ მანკიერს,
არ მინდა სხვა მიწა ფულისთვის ვამშობლო,
უფალო მაშორე განცხრომას წამიერს,
გულში ჩამახუტე მე ჩემი სამშობლო!

სიყვარულმა იცის

შენ ხომ იცი ყველა ერთი არ ვართ,
თუმცა მაინც ყველა ერთ გზას მივდევთ,
ღმერთო ჩემო, დაანახე ამათ,
სიყვარული, რაც კი გულში მიდევს.
იფურჩქნება ბაღში ვარდი კვლავაც,
შემოდგომა იწურება, მიდის,
როგორ მინდა დაინახონ მათაც,
უკვდავება სიყვარულმა იცის.

* * *

მზაკვრული გეგმა აბოდებს,
ეროვნება აქვს საშლელი,
ჩვენს გულს ვტოვებთ და სხვას ვეძებთ,
მასაც არვინ ჰყავს დამშლელი.
ახლაც საძირკველს დარაჯობს,
უნდა შეგლიჯოს კარები,
ყველა სიწმინდე მოასპოს
ჯერ ხელარდანაკარები.
ცოდვას ყოველ წამს ვებრძოლოთ,
უფლის სახლია გულები,
მის რწმენას წმინდად ველოცოთ
ამ ყოფით დადაგულები,
თორემ უფალი თუ გაწყრა,
მოგვსპობს ურწმუნო ერობას,
ეშმაკთან ერთად გაგვაქრობს,
მოგვიწყობს ბოლო სერობას.
ადამის ძეო კაენთან
ნუ შეიკვრები, დაშორდი!
ვერ გრძნობ? ამდენი ცოდვებით
ღრმა ჭაობივით აშმორდი.
ჯერ შენი გული გაითბე,
იპოვე სულის საყდარი,
გამოაძევეს შიგნიდან,
განდევნე გრძნობა წამხდარი.
მერე საძირკველს დახედე,
სადაც ეშმაკი გდარაჯობს,
ჯვრის გადასახვით დაფერფლე,
სახე უცვალე ტანაჯორს.
უფლის ჯვრის ძალა ჯობია
მის წინ ყოველი იძრწოლებს,
ღმერთო დალოცე სუყველა,
ეინა შენი რწმენით იბრძოლებს

მარი კოლხელი

ა ღ დ გ ო მ ა

დღეს უფალი ქრისტე აღსდგა!!!
მადლი მისი კვლავ მოჰფინა სამყაროს,
დღეს სიკვდილზე კვლავ სიცოცხლემ გაიმარჯვა,
ო, როგორი ძვირფასი ხარ უფალო!
დღეს სიცოცხლე იზეიმებს სამზეოზე,
კაცთა მოდგმას გააბრწყინებს უფლის ძალა,
კიდევ მრავალს გამოგზავნის ანგელოზებს,
ჩვენს გულებში უფლის კარის დასანახად!

ო, როგორი ძვირფასი ხარ, შენ უფალო,
ქრისტე ღმერთო, მხოლოდ შენთვის სულს ვინახავ!

დიდება უფალს!

მზე ისე ნელა ამოდიოდა,
და ისე დიდი იყო სამყარო,
მე ვერაფერი გამომდიოდა,
უშენოდ მარტოს დიდო უფალო!

მივედ-მოვედე ბევრ ღობე-ყორეს,
აღმართზე მავალს ქვა მომეწია,
უფალო, მარტოს როცა არ მტოვებ,
ბოროტის რისხვა ვერ მომერია.

ს ა ტ რ ფ ი ა ლ ო

დაგიკრეფ ვარდებს და მოგართმევ,
მერე კი ხელსა გთხოვ ლამაზად,
ნუ მკითხავ, ნუ მეტყვი ნურაფერს,
ეს უკვე იქ, მაღლა გადაწყდა.

რად გიკვირს, რად მიცქერ ეჭვებით,
არ გჯერა? გულს გჩუქნი ლამაზო,
მერე კი ერთად დავბერდებით,
არა და არ გაგცვლი არასდროს.

დ ა ფ ი ქ რ დ ი

ჩვენ ერთმანეთის იმედით ვცოცხლობთ,
ჩვენ ერთმანეთის გულები გვიცავს,
ჩვენ ერთმანეთი რად უნდა ვხოცოთ
და ნუღარ ისვრით მოწამლულ ისარს.

კარგად დაფიქრდი ადამიანო,
იქ გაიყოლებ მხოლოდ ოთხ ფიცარს,
სიყვარული არ დააგვიანო,
ბოროტი არვის არ უნდა იქაც!

ჩვენ ერთმანეთი გადავაჩინოთ,
ერთურთის ძალა გამძლეა დიდხანს,
მხოლოდ სიკეთის გზები ვარჩიოთ,
გავუდგეთ დიდ გზას, ტაძართან მიმყვანს.

დ ა ფ ი ქ რ დ ი

ჩვენ ერთმანეთის იმედით ვცოცხლობთ,
ჩვენ ერთმანეთის გულები გვიცავს,
ჩვენ ერთმანეთი რად უნდა ვხოცოთ
და ნუღარ ისვრით მოწამლულ ისარს.

კარგად დაფიქრდი ადამიანო,
იქ გაიყოლებ მხოლოდ ოთხ ფიცარს,
სიყვარული არ დააგვიანო,
ბოროტი არვის არ უნდა იქაც!

ჩვენ ერთმანეთი გადავაჩინოთ,
ერთურთის ძალა გამძლეა დიდხანს,
მხოლოდ სიკეთის გზები ვარჩიოთ,
გავუდგეთ დიდ გზას, ტაძართან მიმყვანს.

მ ე რ ცხ ლ ე ბ ი

ჩვენი სახლის აივნები,
გაახარეს მერცხლებმა,
მათი სმენით არ ვიღლები
ხმები მეალერსება.
ჭიკჭიკებენ, ხალისობენ,
თეთრი გული უხდებათ,
ბუდეში რომ ნებივრობენ
ბარტყებს ჩეკენ ულევად.
რახანია მოფრენილან,
რახანია ხარობენ,
სულ მინდა რომ მათნაირად,
ვჭიკჭიკებდე, ვგალობდე.
ისე, ისე შევიყვარო,
სახლის ბუდე ჩვენთანა,
არასოდეს არ დავტოვო
მშობლიური ქვეყანა.

* * *

მაინც მიყვარხარ სიცოცხლევ,
თუმცა ხარ მტკივან, მცივანი,
ხელს მუდამ ღმერთი მიწოდებს
და სიყვარულად გიცინი.
როგორ მიყვარხარ, გეკუთვნი,
მშვენიერებით მდიდარი,
დიდხანს ვახაროთ ერთურთი–
არ მივაყენოთ ზიანი.

გულმა ასე ინება

შენზე ფიქრი ვერ გავაქრე,
აჩრდილივით თან დამდევს,
ისევ ისე ღამეს ვათევ,
და ეს ლანდი გადამრევს.
განა მართლა სიყვარულმა,
უსაშველო ფიქრებმა,
ეს უბრალოდ გაძარცვულმა,
გულმა ასე ინება.
ვიცი ლანდი გაქრება და
გადაივლის ტრფიალი,
სიყვარული ოცნებას ჰგავს,
ფიქრებთან ხეტიალით.
განა მართლა სიყვარულმა,
უსაშველო ფიქრებმა,
ეს უბრალოდ გაძარცვულმა
გულმა ასე ინება.

სიყვარულმა იცის

შენ ხომ იცი ყველა ერთი არ ვართ,
თუმცა მაინც ყველა ერთ გზას მივდევთ,
ღმერთო ჩემო, დაანახე ამათ,
სიყვარული, რაც კი გულში მიდევს.
იფურჩქნება ბაღში ვარდი კვლავაც,
შემოდგომა იწურება, მიდის,
როგორ მინდა დაინახონ მათაც,
უკვდავება სიყვარულმა იცის.

ქ ა რ ი

როგორ წუწუნებს ქარი,
უკმაყოფილო არის,
გამოვუხურე კარი,
შინ მიჯობს, ჭიქით ყავის.
რადა წუწუნებს ნეტა,
გული წაიღო ლამის,
ვინც მოწუწუნე ხდება,
ვერც მასთან დავლევ ჩაის.
ქარის წუწუნი ისმის,
შინ კი გუზგუზებს კერა,
ყავა და ჩაი ლიმნით,
სიცილ-კისკისი, მღერა.

მზია ერგემლიძე

* * *

და თუ ოდესმე სევდიანი შემოგხვდე გზაზე,
არ გაგიკვირდეს თუ ვერ იგრძნო სევდა რა არის
ნუ გაბრაზდები ნუ იკვირვებ დღეს ჩემს სიგიჟეს,
ოღონდ ამას გთხოვ, მომიტანე იასამანი...

თუ გაზფხულზეც შემოდგომა გულში ბატონობს,
და თუ ცრემლები დაეკიდოს ამ ფერად ტოტებს,
ხელი მომხვიე შენი სითბო ჩემ სულს პატრონობს.
და იასამნის სურნელება მარტოდ არ მტოვებს

იქნებ გაგიჟდეს შემოდგომაც აპრილის თვეში,
იქნებ ნუშებმა ამ ჩემს დარდში გაიყვავილოს,
შემომაგებე იასამნის წვიმების თქეში,
ვით ნუშის ტოტი გაზაფხულზე მეც ვიყვავილო.

მივატოვებდი სუყველაფერს დედას ვფიცავარ,
მოვიდოდი და ჩაგიდებდი ჩემს თავს კალთაში,
შენ სურნელოვან იასმნის ალერსს მიძღვნიდი,
არ ავდგებოდი დავიძინებ მწვანე ბალახში....

და თუ სიზმრებიც აფეთქდება ნუშისფრად ცაში,
და მოლანდება იასამნის შემომხვევს მკლავებს,
მე შემოდგომის ფოთოლცვენას არ დავნებდები..
დედას ვფიცავარ განაცვალებ ამ.ლამაზ ღამეს...

და მერე დილა გააგრილებს ამ ღამის ვნებას,
მინდორში სიოც ჩვენი ხილვით დაიმორცხვებდა,
იასამანი იდგებოდა მხოლოდ გაშლილი,
ის ჩვენ სიყვარულს არასოდეს გაიოცებდა.

* * *

ყვითელ ფოთლებით ვაშენებ კარავს,
ნოემბრის ქარმა თუ დამაცალა,
სულში ნაგები სულის ტაძარი,
ხელიდან ჩუმად არ გამაცალა...
საყრდენად ვირჩევ ტოტების ნამსხვრევს,
ყვითელი ფოთლის საგებს დავიგებ,
ტანთ დავიფარებ შენს მინატრებას
თუ ნოემბერი არ გამაგიჟებს..
სასთუმლად მთვარეს მოვიპატიჟებ,
სტუმრად მოვიწვევ ციმციმა ვარსკვლავს,
და თუ წვიმებმა თავსხმა დამასხეს,
წვიმასთან ერთად დავიწყებ წანწალს
წვიმას დავარქმევ ცრემლნარევ ტანგოს,
თუ დამიბრიყვა მელანქოლიამ,
ყვითელ ფოთლებზე არაფერს ვამბობ,
ცეკვაში ვხედავ რომ ამყოლიან..
არ შემაშინებს წვიმის თქეშები,
არ შევჩერდები თუნდაც დავსველდე,
ქარებს სიყვარულს დავესესხები,
წვიმასთან.ერთად უნდა ავცეტდე.
მე შენთან მოვალ დასველებული
არა ცრემლებით, დანაწვიმებით,
და მოგიყვები შუაღამაზე,
დღეს ჩემს სიცოცხლეს როგორ სჭირდები..
ამოვიტირებ სუყვალა დარდებს,
შენი დარდების ფიქრის ვარ მცოდნე,
არ გამამტყუნო თუ მენატრები
მოვედი შენთან თბილად გაკოცე.
მოვედი წვიმად, მოვალ მზის სხივად
ზოგჯერაც მოვალ ფოთლების ჯარით.
მოგეფერები მონატრებული
რომ აღარ გქონდეს შენ ჩემი ჯავრი.
ასე დავყვები წლების დინებას,
გავითავისე უკვე დროები..
მარტოც ვახერხებ გზებზე სიარულს.
აქაც მოვდივარ რომ მელოდები..
თუმცა მოვდივარ მონაბერ სიოდ..
ხანაც ოცნებად, ხანაც ფიქრებად.
ნუშის ყვავილად დაგეფინები..
და იასამნის გაშლილ კვირტებად.
ჯერ კიდევ ისევ ფოთოლცვენაა
ყვითელ ფოთლების დავდგი კარავი..
შენ ნოემბერო ამ ფერებაში,
ნელ-ნელა როგორ დაპატარავდი..

* * *

იმედებს გულში ვინახავ,
ჩუმ-ჩუმად ვესაუბრები,
უიმედობის ქისა ვარ,
მოტრფიალე ვარ ბუნების.

ზოგჯერ ბერმუხად ვიქცევი,
ბევრჯერ ფესვი ვარ ხვიარა,
ზოგჯერ იმედი მაცოცხლებს,
ხან ნაკადული ჩხრიალა...

ბევრჯერ კი ვკარგავ იმედსაც,
ბევრჯერ ცრემლი მდის მდუღარე,
ერთ დროს ლითონის მდნობელი,
დავდივარ ხშირად მწუხარე.

ხშირად ფორიაქს ვუნდები,
ვერ ვინარჩუნებ სიმშვიდეს,
გულში ვკლავ ჩემ უტყვ ტკივილებს,
როცა მზე სხივებს მიმიზნებს...

ხანაც კი ფრთებგაშლილი ვარ,
თავი მგონია არწივი,
ხევის თავს ვდგევარ ამაყად,
ვარ სიყვარულის ნაწილი..

ბევრჯერ აღმასვლით ვიფრინე,
შემოვუარე ჭიუხვებს,
ხანდახან თავქვე დავეშვი,
ვერ შევქმენ ფერთა სიუხვე.

რისი იმედიც დამქონდა,
ვხედავ ხელიდან მეცლება,
ამ ქვეყნის ორომტრიალში,
ვგონებ რომ ფერიც მეცვლება.

ვერ ვეგუები ფერთა ცვლას,
ბედმა კი გამინაპირა,
სიცილისათვის ვცოცხლობდი,
ცხოვრებამ ბევრჯერ მატირა.

მაინც დამქონდა იმედი,
ჩემს გულში ფესვებ გადგმული,
ეხლა კი ისიც დავკარგე,
დავდივარ გონდაკარგული.

მინდა ავკინძო დღეები,
გულს როცა ჰქონდა ხალისი,
ერთ დიდ ზარდახში ჩავკეტო,
სახელი ვარქვა თავისი.

* * *

შემომიტია ისევ ფიქრებმა,
გული გაწურა როგორც მტევანი,
ვეღარ მიშველა შეშლილს ღამეში,
გამოქროლებამ შავი მერანის,..

თუმცა ოცნებით გავიჯირითე,
გადავუქროლე ტყეებს და ველებს,
როცა ოცნება გავითავისე,
გადავემსხვრიე ფიქრის სალ კლდეებს...

ისევ ჩამოწვა უკუნი ღამე,
სული სხეულში მწარედ კიოდა,
გული ტიროდა გაყინულ გრძნობას,
თვალებზე ცრემლი ჩამომდიოდა...

ისევ მოვედი შუაღამისას,
ცივ ქვას დავადე დღეს მძიმე თავი,
ყველა სიგიჟე შენით ვისწავლე,
ერთხელ გამხადე ძლიერი ქალიც..

დღეს ვის მიმვმართო, ვის ვთხოვო შველა,
შენთან თუ არა ვისთან ვიტირო,
დავპატარავდი ცრემლების წვიმით..
მინდა ბოლომდე ამოვიტირო...

თავს ვეღარ ვშველი, გულს ვერ ვერევი,
ტვირთად მაწვება ყოველი დილა,
გადამავიწყდა ბრძოლა შენების,
ნგრევის დღეები უფრორე მტკივა..

დაბნეული ვარ, მირჩიე რამე,
გზები მასწავლე სად წავდგა ბიჯი..
შენით ვისწავლე ცხოვრება ერთხელ,
და უშენობა ძალიან მიჭირს..

სულ ასე ხდება როდესაც მტკივა,
ოცნებით მიდევს ცივ ქვაზე თავი..
ერთხელ დიდ ქალად შენ რომ აქციე..
დარდით გამხდარა პატარა ქალი..

ვიცი არასდროს გაგიკვირდება ჩემი სიგიჟე,
მწარე თუ ტკბილი..
ოღონდაც მოდი და დამარიგე,
როგორაც მასწავლი სულ იმ გზით ვივლი

* * *

მერე რაა რომ.შემოდგომაა,
რაა რომ ხეებს ცვივათ ფოთოლი...
თუკი შენს გულში ფიქრის ნდომაა,
შენ კვლავ გაფხიზლებს გული ობოლი..

რა ვუყოთ მერე გაძარცვულ ხეებს..
რა მოვუხერხო გრძნობას ნაფერებს,
სად შევაფარო ფიქრები ტყეებს .
და რა ვუშველო ღამეს ნათენებს..

ეს ნოემბერიც აივსო სევდით..
სადღაც იმედის სიმებიც გაწყდა..
კარს მომადგება ცივი ზამთარი.
დარდი გულში კი უფრო მომრავლდა..

ამ დილით ვნახე ხეზე ფოთოლი.
აფრიალებდა ნოემბრის ქარი,
მხოლოდ ის მარტოდ მარტოდ ობოლი..
და მას სარკმლიდან უცქერდა ქალი.

გადაუწოდა მან ხელი ფოთოლს.
ასწრებდა თითქოს დახმარებოდა
არ მოეწყვიტა ტოტიდან ცივ ქარს
და სადმე ხევში გადაეხიზნა..

ფოთოლიც მიხვდა ქალის ჩუმ დარდებს.
ისიც მასავით იყო მარტოკა.
შემოაშველა თავისი ხელი
და განწირული აღარ დატოვა.

არ გაიმეტა დასაკარგავად
არ გაატანა ნოემბრის ქარებს..
ეხლა კი მივხვდა უტყვი ფოთოლი
რომ სიყვარული ცოდნიათ ქალებს..

მიუხვდა ქალი ფოთოლს ჩუმ აზრებს.
მკერდზე მიიკრა ცივი ფოთოლი..
წაუჩურჩულა გათბიო მკერდზე .
არასდროს იგრძნო თავი ობოლი.

ფოთოლმაც თითქოს ამოისუნთქა
ჩამოიშორა სიცივის დარდი.
მაგრად ჩაეკრა იმედიან მკერდს.
მას ხომ სიყვარულს ჩუქნიდა ქალი...

ეკვროდა ჩუმად სუნთქვაშეკრული.
არ უჯერებდა საკუთარ თვალებს .
ეხლა კი მიხვდა გარინდებული..
რომ სიყვარული ცოდნიათ ქალებს...

* * *

არ ვინატრებდი ბრილიანტებს, არც ოქროს ხონჩას,
არც დიდ დარბაზებს, დარბაზობა ისედაც მორჩა..
სულ პაწაწინა ნატეხი მინდა მე ნატვრისთვალის,
ამოვიჩემე ამ ბოლო დროს მე შენი თავი...
ამოჩემება ისევ დარჩა ნატვრად ოცნებად.
მაგრამ ოცნებაც ნელნელა ვხედავ მშორდება..
და ნატვრისთვალო ოცნებასაც თუ გამიცივებ,
შენაც მოგისვრი ვერ ვეჩვევი რადგან სიცივეს...
რაღად მინდიხარ თუ ნატვრაშიც განზე გადექი,
და ჩემს ნატვრაში არასოდროს არ გამომადექი..
ჩემთვის შენც ტყვილა დაგრქმევია დიადი თვალი,,
არც ოცნება ხარ აწი უკვე,-არც ნატვრისთვალი
არც ოქროს ვითხოვ, არც ბრილიანტს, ძოწებს და ლალებს,
მხოლოდ ამას გთხოვთ ცრუ სიყვარულს ნუ დამაბრალებთ..
არც დარბაზს მოგთხოვთ არც მახარებს დიდი სახლები.
წავალ ტყის პირას ქოხს ავიგებ იქ დავსახლდები..
როგორაც მიყვარს მარტოობის ჩუმი სავანე,
ჩემს ჩუმ ოცნებებს უღრან ტყეში თუ დავავანებ..
და ეს იქნება ოქროც ვერცხლიც დიდი დარბაზიც.
ჩემს ლამაზ ფიქრებს მზის სხივებად აქ დავხატავდი.

* * *

შემომეძარცვა ოცნებები ზამთრის ლოდინში,
ჩემს თავს ვადარებ უკანასკნელ ფოთოლს ჭადარზე.
გულს რა მოვუყვე ამ დღეების ჩუმ მოლოდინში..
თუკი ნოემბერს ჩემი ფიქრი სულ არ ადარდებს...
გაუფერულდა მოლოდინი გაცივდა გულიც,
შემოვრჩენილვარ ჭადრის ტოტზე მარტო ეული,
მალე გაივლის ნოემბერიც მოვა სიცივე,
მე კი მოვძებნე განვლილ წლების ძველი რვეული...
როგორც ფოთოლი ბოლო რიგში ელის მოწყვეტას,
ჯერ შეიცოდა ნოემბრის დღის სუსტმა ქარებმა,
დღეს ბედნიერმა ხვალ არ იცის თუ რა მოხდება,
იქნებ იტიროს მოციმციმე ლურჯმა თვალებმა...
ზოგჯერ ლურჯ თვალებს ალამაზებს ცრემლების დენა,
როგორც ღიმილი უხდებაო თვალზე წვეთები..
ნოემბრის თვეში დაჩა ჭადარს ბოლო ფოთლები..
წვიმასაც, ქარსაც,მზის სხივებსაც როგორ ნებდები.
იცის ფოთოლმა დათვლილია მისი დღეები,
დღეს თუ არა ხვალ საღაც ხევში წაიღებს ქარი..
ამიტომ ტირის ჭადრის ხის ქვეში ლურჯი თვალები..
ამ ნოემბერში მარტოდ– მარტო რომ იგრძნო თავი.
იმანაც იცის მოადგება კარზე ზამთარი
არაფერს მისცემს ძველისძველი წლების დღიური..
ეხლა რაღა ქნას შუა გზაზე მარტოდ რომ დარჩა,
ნუთუ ეს იყო დაპირება ამქყვეყნიური..

* * *

არ გამიწვიმდე ცხოვრებავ, დღეს შემოდგომის ნისლია,
ვხედავ ყვითელი ფოთლები ქარში სულ ერთად მიჰქრიან..
გთხოვ, ეგრე ნუღარ წამლეკავ, ამ შემოდგომის წვიმებში,
შემომეშველე სულ ცოტა ისედაც ცრემლად ვიღვრები...
არ მინდა ჩემში იწვიმოს, გარედან გინდაც დავსველდე,
თვალებსაც ცრემლი მოწყინდა, უკვე ემსგავსა ნასვენებს..
ეხლა რომ ისევ იტიროს, ეხლა რომ ისევ იკვნესოს
აღარ სურს უკვე ტირილი, უცრემლოდ სურს მოისვენოს..
ისედაც შემოდგომაა ისედაც დაჰქრის ქარები,
გაყვითლებულან დარდისგან მისი ცისფერი თვალები..
ქარმა სულ არივ დარია ტანჯვით ნაწყობი ფიქრები,
გულზე გროვებად ეხვევა დარდები განაფითრები..
წვიმას მაინც ნუ დაასხამ, ზამთარიც გადაიტანოს,
ამ გაზაფხულზე ვინ იცის იქნებ და კვლავ გაიხაროს..
წლები მოუნდა იწვალა ცრემლები ძლივსღა შეიშრო..
ხლმეორედ ნუ წალეკავ როცა დროება შეიშნო...
აცადე იგაზაფხულოს, აყვავდეს მასზე ტოტები,
ამდენი დარდების შემდეგ იქნებ მოისხას ფოთლებიც..
ამიტომ აღარ აწვიმო, ფოთლებივით ნუ წალეკავ..
ცისფერ თვალებში სხივი კი გაზაფხულისთვის გათბება...

* * *

როგორ არ მინდა შენ ვარსკვლავო გატკინო გული...
როგორ არ მინდა დაგაშორო შენს სატრფოს მთვარეს,
როგორ დაგჩაგრო და ჩაგიქრო სულში ტკივილი,
წუხანდელ ღამის სიყვარული და სილამაზე...
შენ ხომ ვარსკვლავად დაიბადე და ცხოვრობ ცაში,
შენ ხომ მუდმივად სიკაშკაშე უნდა აფრქვიო,
თუ გიღალატა მთვარემ გუშინ დაგტოვა მარტო,
იქნებ იმანაც თავის თავთან ღამე ათიოს..
იქნებ და სულ არ მიგატოვა ჩემო ციმციმა,
იქნებ ღრუბლებმა გაიტაცა წვიმიან ღამეს,
ხომ შეიძლება წვიმას ცრემლი მთვარემ მოსტაცა,
იქნება მთვარეც მიილია და ეს ადარდებს..
ან კიდევ მართლა გაგეშორა მარტოდ ერჩია,
ან იქნებ ტყულს ვერ უძლებს და ჩამოხსნა ფარდა,
მთვარესთან ერთად გაილია ის სიყვარულიც,
თავის ფიქრებთან კიდევ ერთხელ ის მარტოდ დარჩა.
აღარ ძალუძდა მთვარეს ალბათ ყოფნა გრძნობებში..
რადგანაც ერთხელ უკვე მწარედ ეტკინა გული,
შენც შეგიყვარა სიკაშკაშემ მოხიბლა ალბათ..
და გვიან მიხვდა რომ არ იყო ეს სიყვარული...
ეხლა მინდა რომ მოგეფერო ჩემო.ვარსკვლავო,
აღარასოდეს შეიყვარო შენ ბადრი.მთვარე,
ხომ ხედავ როგორ გაილია დაპატარავდა,
შენ კი არასდროს არ დაკარგავ შენს სიკაშკაშეს .
მე სულ არ მინდა რომ გატკინო გული ვარსკვლავო..
არ მინდა ჩრდილი მივაყენო წუხანდელ ალერსს,
მაგრამ თუ მუდამ ცრემლიანი უნდა გიხილო,,
ის მირჩევია მარტოდ მარტო იარო ცაზე.

* * *

არ შემიძლია არ მოგეფერო, ვერ ვიზამ ისე,
არ ჩაგიკრა გულში სათუთად,
ისე მენატვრი, ვერ ვიკავებ ამ მონატრებას,
რავუყო გრძნობას შენ ლოდინში ცრემლი დამცვივდა...

გული საგულეს მიცახცახებს როგორ ნიბლია,
შეშინებულს ჰგავს მოგონება ძველი გრძნობების,
თუ სიყვარული ამ ცხოვრების დიდი ხიბლია,
ამ ხიბლის ფასად ძველებურად დაგელოდები...

დაგელოდები ისე როგორც, ადრე არასდროს,
დღეს ახლებურად ფრიალებენ ჭადრის ფოთლები,
თუკი ნიავებს სიყვარული ისევ დარაჯობს,
ვიცი ამჯერად მისამართზე მართლა მოვხვდები.

მოვალ კარებთან ზარს ჩამოვკრავ მორიდებულად,
რადგანაც ახალ ადგილების მიმძიმს სტუმრობა,
ვერ შეველიე გრძნობას ნადებს შორისდებულად,
იყო დრო როცა ჩვენს სიყვარულს ვთვლიდით ხუმრობად...

დღეს ვხვდებით ერთად არ ყოფილა ასე ადვილი,
არც ხუმრობაა და არც ფლირტი ქართან თამაში,
ყველაფერს თურმე წლების მიღმა გასდევს ადგილი
ეს ჩუმი ტრფობა სულ თან დაგვდევს გრძნობის განგაშით.

ამიტომ მინდა მოგეფერო ისე ძლიერად,
არასდროს ადრე შენთან ყოფნა არ მინატრია,
თუ დაგვცინებენ და ჩაგვთლიან მისთვის ხნიერად,
წლებმაც ისწავლეს სიყვარული რომ მიხარია...

მოვეფერები შენი ფეხის ყველა ნატერფალს,
მოვეფერები კიბეებზე მძიმე ნაბიჯებს,
არ მეჩვენება, უშენობა უკვე წამლეკავს,
რადგან ეს გრძნობა მარტო შენით გავითავისე.

დღეს უშენობა შემომიჩდა ფოთოლცვენისას,
მხრებიდან მცვივა უშენობის უტყვი ფოთლები,
მტკივა ფიქრები შემოდგომის შებინდებისას,
ვიცი რომ უკვე უშენობის ზამთარს მოველი.

* * *

მე ჩემს სიცოცხლეს წუთებს ვპარავ ყოველდღიურად,
გავმხდარვარ ქურდი საათების, მცირე წამების,
ვგრძნობ მომიტევებს ამ ქურდობას ღმერთი ღვთიურად,
რადგანაც გავხდი, მსხვერპლი ჩემი სულის წამებით...

ქონგურებივით ეკიდება წუთი დროებას,
წამებს ჩამოდის დანაღვენთი თვალების წვეთი,
ყველაზე მეტად თავი მაშინ მემარტოება,
უფალთან ვდგევარ და აღსარება ჭკუიდან შემშლის..

მივედი თხოვნით, მოკრძალებით და სინანულს ვგრძნობ..
ეს სინანულიც იმ წუთების მცირე წამია,
მე მეტი ცოდვა შენს წინაშე არა მაქვს ღმერთო,
და ცოდვილ ჩემს სულს ნუ გაწირავ დასანანია...

ხმასაც არ ვიღებ და ჩემს გულში ჩუმად ვბუტბუტებ,
მომეცი შვება , ყოვლისშემძლე დიდო უფალო,
გთხოვ დამიბრუნო ერთი წამი ბედნიერების.
შენ ხომ დიდი ხარ ამა სოფლის ჭირისუფალო..

მე მომიტევე თუ ვერ დავთმე ამ ქვეყნის ვნება,
მაგრამ ეს ვნებაც სიყვარულის იყო მეგზური..
ისიც დავტოვე და ის წამიც მე რომ მიყვარდა..
ეხლა კი ვნანობ და მივხდი ღმერთო შენც რომ შეგძულდი.

ვერ გამიგია ჩემი ხვედრი ბრალეულობის,
რა სიმძიმე მაქვს ჩემს სუსტ მხრებზე მოკიდებული,
ვფიცავ ვატარებ ისე ჩუმად და უხმაორუდ..
იცი უფალო რარიგავარ მორიდებული..

არ შემიძლია შენს წინაშე არ ვაღიარო,
თუ როგორ ვპარავ ჩემს ცხოვრებას საათებს, წუთებს..
ვეღარ ვიმეტებ კიდევ ერთხელ თავს საზიანოდ..
თუ ამ წამებში დღესაც ისევ სიცოცხლე სუფევს...

გავმხდარვარ ქურდი არც გიმალავ ალალად ვამბობ,
არა ცხოვრების; – წამების და წუთების ქურდი..
თუ სიყვარულმა ეს წუთებიც ამომაბღავლა,
არ გაგიკვირდეს თუ მეც გავხდე კუშტი ქუში.

მითხარი ღმერთო! – ამის შემდეგ როგორ ვიცხოვრო,
მიჩვენე გზები ჩემი სულის იდუმალების,
თუკი მოვპარე ჩემს ცხოვრებას წამი და წუთი..
იქნება ისიც ძველი წლების დანაბარები

მანანა სამყურაშვილი

ქალზე ნაფიქრალი...

მე იმ მახინჯ კაცს რა უთხარ...

,,მე იმ მახინჯ ქმრებზე დავწერ,
ლამაზ ცოლს რომ ღალატობენ..."
თვალებით რომ სჭამენ სხვები
და კარებთან სდარაჯობენ...

მე იმ მახინჯ კაცს რა უთხარ,
ქალი განძად ვერ უცვნია,
თავის ქალთან მუშტიკრივობს,
სხვისი გლახა შეუქია...

მე იმ მახინჯ კაცს რა უთხარ,
თავის ცოლთან სიტყვა ძუნწობს,
სვას ათასჯერ ადღეგრძელებს
და ქუჩაში გზასაც უთმობს!...

მე იმ მახინჯ კაცს რა ვუთხარ,
მას რომ ქალი შვილებს უზრდის,
აიღებს და მათ წილ ლუკმას,
ვიღაც კახპას გულით უწვდის...

ცოლი, თვალზე ცრემლმომდგარი,
მთვარის შუქზე მას რომ უცდის,
მას ჰგონია საშოვარზე --
ცოლთან! ტყუილების ბუღი ასდის...

ქალი – რა ნათელი აქვს ასეთი ...

ერთ რამედა ღირს სიცოცლე,
ტრფობა ასეთი ქალისა,
თვალ წარმტაც, სხივად ნათელი,
მზის შესადარი თვალისა...

ათინათები გადმოდის,
არეზე ნათლის მფენია,
სიტურფე სახის ნაკვთების,
ნამდვილ, ქართული გენია...

ასეთზე უთქვავთ ოდესღაც,
პრინცისთვის შესაფერია,
ომს გამართავდა მეფეც კი
ხელთ რომ ჩაეგდო ფერია...

ასეთი ქალი ოჯახში,
ოქროს ზოდებზე მეტია,
ამისთვის თვალზე ცრემლი
და მკერდს გული არ დაეტია...

მთვარე ზეციდან სდარაჯობს,
ვარსკვლავთა სხივი შვენია,
რა ნათელი აქვს ასეთი,
სამყაროს მადლი ჰფენია...

ქალი და ურცხვი ნიავი...

დილის ნიავის ურცხვმა ჰანგებმა,
ჩამოიქროლეს ზუზუნ-ზუზუნით.
მივიდა ახლოს, ნაზი ჩურჩულით,
შენ მიყვარხარო, ქალაუ, გულით.

მერე, დახედა კაბის ბოლოზე,
აუფრიალა, შეჰყარა მხარზე,
ვეღარა უთხრა შეწუხებულმა
ცრემლი მოადგა,
სირცხვილის თვალზე.

მყის შემოსძახა ზუზუნ– ზუზუნით,
ურცხვი ვაჟივით დავეძებ ქალსო,
თუ მომეწონა, გავუარშიყებ და
გავუყვები მის სავალ გზასო.

მიყვარს,
მის მკერდზე ჩახსნილი ღილი,
ტუჩზე კოცნა და ალერსი მისი,
მერე რა მოხდა, ქალი ლამაზი,
ჩემი კი არა, რომ არის სხვისი!...

ფიქრმა დაწყვიტა სიმები... მასპინძლობა თუ გწადია შენ, ჩემი...

ცას შეასკდა, ფიქრმა, სიმი დაწყვიტა,
ჩამოშალა ცის უბიდან სხივები.
ჩემს ბილიკებს, მოქარგულს და კრიალას,
განერიდე, არ მიადგეს ზიანი...

აღარ ვფიქრობ, თუ ოდესმე ივარდეს,
ან თუ ვინმემ დამიკრიფა იანი,
ის წავიდა, უკვე წარსულს ჩაბარდა,
ახლა შექმენ, სული ჩემთვის მზიანი.

ძველებურად თუ მოვზიდე სიმები,
კვლავ ვიმღერე სიყვარულის ბალადა,
გთხოვ, გულდასმით მოისმინო ჰანგები,
მზის სხივები მოგიქსოვო კაბადა...

ერთად შევსვათ თეთრი ღამის კალთაზე
მთვარის მიერ შევსებული ყანწები,
მოისმინე სადღეგრძელო უკვდავი,
სირცხვილისგან არ აგეწვას ღაწვები...

მასპინძლობა თუ გწადია შენ, ჩემი,
ლექსის შარბათს მე მოგაწვდი ფიალით.
მითხარ, თუ გსურს დაგიკოცნო თვალები,
თუ შეგივსო თასი, აღუვსები, გრაალის!...

მხოლოდ ერთხელ, დამიჯერე, მერწმუნე,
ლექსს გედივით სიყვარულზე დავწერდი...
ძვირფასია ყველა სიტყვა საჩუქრად,
ჯადოსნური სიმებით თუ დასწერდი...

ოღონდ შემპირდი...

მთვარეს ცრემლი სდის საბრალოს,
ქალი რომ მარტოდ იხილა,
შეიხსნა გულზე საკინძე,
მოყვრობა შემოუთვალა.

მოვალ და სურვილს აგიხდენ,
მითხარ გულით რა გწადია,
წყლის პირას ზიხარ ლამაზო,
გული რაიზე დაგწვია?!

კაბის ბოლოებს გიმშვენებს,
შეიდიში და ატლასი,
ცრემლი მდინარედ აქციე,
გულის დარდი გაქვს რის ფასი...

თუ სატრფოს სტირი, მითხარი,
გულზე ბროშ, ღილად შეგიბნევ,
ისე გაცხოვრებ, დედოფალს
თვალზე წამწამს არ შეგირხევ...

დაგისვავ გვერდით ცის ტახტზე,
მზეს, პირფარეშად მოგიჩენ...
ოღონდ შემპირდი ქალთამზევ,
ერთ მთვარე ლუკას გამიჩენ...

და ჩემსა მოსაგონებლად
ვარსკვლავთა შორის დამირჩენ...
სასთუმალს შენს დალალ, კავს
ყვავილის ნაცვლად გამიფენ...

ქალი ლამაზი, ყოველგნით. შემკულ და შეკაზმულია...

რა ძალამ შექმნა ნეტავი,
მისი ტუჩ--კბილი, ბაგენი,
კოლონკელიძე იქნება,
მგონია თავადის გენი.

ჯაყელმა ხომ არ გაზარდა,
ტანად წერწეტი, ალვისა,
საოცრებაა ღმერთმანი,
ნახატი, ოქროს კალმისა...

მკერდზე ღიღილო ყვავილობს,
ღაწვი იად გაშლილია,
თითები ბროლით ნატიფი,
სანთლისგან ჩამოქნილია.

მხრებზე გიშრისა დალალი,
კულულად გადმოშლილია,
ედემის სურნელება აქვს
ვარდივით გადაშლილია...

კაცნი ამბობენ ასეთზე,
გაჰყვა, თვალი და გულია,
საოცრებაა ნაკვთები
რა ძალით შეკაზმული...

მაგული ჯინჯიხაძე-გამთენაძე

დიდ გალაკტიონს

პოეზიის ცას მგოსნის ფიქრი გადაფენია,
ლეგა ღრუბლების ჯარი ქარმა უნდა აშალოს,
გალაკტიონი ცის და მიწის გახდა გენია,
იყო და არის და იქნება სამარადჟამოდ.
ლურჯა ცხენების კვლავ მოისმის ფლოქვთა თქარუნი,
ფაფარაშლილი, შურდულივით სივრცეს მიაპობს,
მწამს მე და ღამე ვარსკვლავების ცქერით გართული,
კვლავ მესაფლავის მწუხრის ამბავს ისევ მიამბობს.
პირმშვენიერი, მზის სადარი ჯვარს იწერს მერი,
მგოსნის ფიქრები უნაზესი სატრფოს თან ახლავს
და სიყვარული, სპეტაკი და მარად უცვლელი,
გული ავსილი წმინდა გრძნობით მერის თან გაჰყვა.
სულის გრიგალებს შეუმოსავთ ლექსის საფარი,
მზის ათინათი ეფინება ზეცის ალიონს,
დღეს პოეზიის დიდ კვარცხლბეგზე ამაყად მდგარი,
მუზის ქალღმერთი შუბლს უკოცნის დიდ გალაკტიონს.

გადავწიოთ წლების ფარდა

მოდი კარგო გადავწიოთ წლების ფარდა,
სადაც ისევ გველოდება თეთრი რაში,
სადაც ლამაზ სიყვარულის წლები დაგვრჩა
და დავბრუნდეთ ისევ ლამაზ ბავშვობაში.
გზაზე სხივებს მზე დაგვიფენნს ფიანდაზად
და ოცნების ქათქათა ფრთებს ისევ გავშლით,
არ იფიქრო ამ ზღაპრიდან სადმე წასვლა,
ბედნიერნი დავრჩეთ ლამაზ ბავშვობაში.
სკოლისაკენ გვაცილებდეს დედა თბილად,
გვიღიმოდეს მშობლიური ეზო კარი,
სიყვარული ზეიმობდეს ყველგან წმინდა,
წკრიალებდეს, მობრძანდითო სკოლის ზარი.
მერცხლებივით შევუერთდეთ ცის ლაჟვარდებს,
ვარსკვლავები ჩამოვკრიფოთ ისევ ციდან,
გულჩიორა თვალხატულა იმ ქალ-ვაჟებს,
დავემსგავსოთ, გამოვიდეთ დიდობიდან.
ჟრიამულით მოვეფინოთ არე მარეს,
ჩვენ ზღაპარში სასწაული მოხდეს მინდა,
ვიცი გულით ყველა ნატვრას დავატარებთ,
ბავშვობა რომ განმეორდეს ისევ გვინდა.
მოკაშკაშე მზე ჩვენ მხრებზე ჩამომჯდარა,
ულამაზესს მოგონებებს ჩვენ წინ გაშლის
მოდი კარგო, გადავწიოთ წლების ფარდა
და დავბრუნდეთ იმ ჩვენ ნანატრ ბავშვობაში.

მადლობა ყველას

რომ არ მოვმკვდარვარ ახლა ხომ გჯერა,
გთხოვ არ იდარდო დედი ამაზე,
მადლობა მინდა ვუთხრა სუყველას,
ეს დღე ასე რომ გამილამაზეთ.
დღეს უკვდავების მზე ქარგავს მწვერვალს,
გმირების ხსოვნას მარად ანათებს,
ჩვენ დავბრუნდებით ლექსად, სიმღერად,
ქვეყნის სიყვარულს კვლავ ვუდარაჯებთ.
გავიმეორებ რაც ადრე მითქვამს.
,,კაცს ერთგულება რომ ალამაზებს."
ქართველთა სისხლით დანამულ მიწას,
გაბარებთ, მტრობის კარი ჩარაზეთ.
მტერს ნუ დაუთმობთ სამშობლოს მზის დარს,
რომელიც არ შლის გმირთა ნაკვალევს,
ჩვენ მცველად ვდგავართ და ისევ ვიცავთ,
აქ მტერს და ორგულს ვერ გავახარებთ.
ცას ცისარტყელა შვენის შვიდფერა,
მამულის ტრფობა მარად გამკობდეთ,
ჩვენ დავბრუნდებით ლექსად სიმღერად
და არ მოვკვდებით აღარასოდეს.

იმედს ვეჩურჩულები

ვინ შერჩენია მუდამ ქვეყანას,
შენ რომ იფიქრო მე აქ დავრჩები,
ლამის ერთურთი შემოგვეჭამა,
ერთმანეთს ვუღრენთ როგორც ძაღლები.

რომ დავიბადეთ ან რა გვებადა,
ან და რისი ვართ იქით წამღები?
მხოლოდ სიკეთე გაგვყვება მადლად
და სიყვარული გულში ნადები.

წუთისოფელში ვინც ხსნა ვერ ნახა,
უმადურობით დარჩა ნაწყენი,
სული ხესავით შემოეძარცვა,
უმადლოდ ჩაქრა როგორც სანთელი.

უფალმა იცის თუ რა გზით დავალთ,
ყოველ ნაბიჯზე გვხედავს გამჩენი,
ადამიანად რომ დავრჩეთ მარად,
მოგვეთხოვება ღვთისგან გაჩენილს.

დრო მოვა როცა ჩვენი მზეც ჩავა,
ჩამოეშვება მწუხრის ფარდები,
თუ სიყვარულით ამ ქვეყნად დავალთ,
გწამდეთ არასდროს დავიკარგებით.

მზე ყოველ დილით სხივებს დაგვიფენს,
გამოფხიზლდითო ერთურთს ჭირდებით,
ოცნების ფრთებ ქვეშ შეყუჟულს იმედს,
ღვთის სიყვარულზე ვეჩურჩულები.

დედის ბოლო გაკვეთილი

ისევ ვხედავ დედის თვალებს თბილს და სანდოს,
ბოლო სურვილს რომ მანდობდა ტკბილზე ტკბილი,
თუ გსურს დედა,რომ არასდროს დაიდარდო,
დაიხსომე ჩვენი ბოლო გაკვეთილი.
მითხრა,ვნახე მხარე მართლა საარაკო
და მაუწყეს საიდუმლო გასაკვირი,
უფლის ლოცვა შვილო წუთით აღარ დათმო,
მფარველია ლხინშიაც და გასაჭირშიც.
დაიხსომე,შვილო დედა გენაცვალოს,
ჰაერივივით სულ ისუნთე ლოცვა ტკბილი,
რა ვიცოდი თუ ეს იყო შვების წყარო,
ამ საგანძურს გევედრები, გაუფრთხილდი.
თუ გინდა რომ ქვეყნად მოსვლა არ იდარდო,
და არ გქონდეს გზები ყველგან ჩაკეტილი,
უფლის გწამდეს,რადგან არის მუდამ სანდო,
სულ დაგიცავს,ერთგულია და კეთილი.
მეც შენ გიცქერ სიყვარულით მზევ ცისაო,
მადლის სხივებს რომ მომაფრქვევ ყოველ დილით
და ვჩურჩულებ, ქრისტე ღმერთო, ძევ ღვთისაო,
გევედრები, შემიწყალე მე ცოდვილი.



იხარე ერო

ზეცას მკერდიდან მზე ღიმილით ამოუფრინდა,
სიყვარულს გვჩუქნის ვარდისფერი ფრთებით
მოფრენილს,
დუდუნა მტკვარსაც დღეს თვალები ისე უბრწყინავს,
შუქი ანათებს მცხეთის ჯვრის და სვეტიცხოველის..
ზეციდან მადლი ეფინება უხვად უფლისა,
გაიფანტება წყვდიადი და ბინდი ყოველი,
გვლოცავს იმედად შენახული კვართი უფლის და
რწმენის სიმტკიცედ აღმართული სვეტი ცხოველი.
აქ დიდოსტატის დიდი ნიჭი ქვაში ღაღადებს,
დამარცხებულა ამ მიწაზე ავის მდომელი,
ღვთისმშობლის წილხვედრს უფლის მადლ მარად
განაგებს,
იხარე ერო, ჩვენს მხსნელად დგას სვეტიცხოველი.

გილოცავთ

ახალ სასწავლო წელს მოგილოცავთ,
სიცოცხლით სავსე ლამაზ ქალ-ვაჟებს,
ვხედავ,მზე სხივით თქვენ ბილიკს
რომ რთავს
და შემოდგომა გზას გილამაზებთ.
ნაირფერებით მორთულა დილა,
სკოლა გულის კარს თქვენთვის
კვლავ აღებს,
ნიჭით და შრომით მიაღწევთ მიზანს,
ხალხს და ქვეყანას რომ გამოადგეთ.
დილის ცვარ-ნამად იბრწყინეთ ყველგან,
ფრთებს გაძლევთ სკოლა
მიწვდეთ ლაჟვარდებს,
თქვენ სიყვარულის კაშკაშა მზე ხართ
და უფლის მადლი მარად განათებთ.
დღეს შემოდგომა ტკბილ ზღაპარს ხატავს,
ცოდნის მწვერვალზე მზე სხივებს ანთებს,
აგიხდეთ ყველა ოცნება რაც გაქვთ,
დედა ღვთისმდობლის კალთა გფარავდეთ.

არასოდეს მომიხურო კარები

გინდა გული გამიშალო ფიანსაზად,
ამ ცხოვრების მიფერადო წამები,
რომ მიხილო ამ იმედით როგორ დავალ,
სიყვარულით გზაზე დამემგზავრები.
ჩვენ ტკივილიც უმძიმესი ერთად დაგვაქვს,
არ გსურს მქონდეს ცრემლიანი თვალები,
ბევრჯერ ვიდექთ განსაცდელის მძიმე ზთვართან,
სიყვარულით ვკურნეთ ნაიარევი.
ჩვენ ცაზედაც მზემ ღრუბლები გადიყარა,
მზის ქვეშეთში სიყვარულით ვმაღლდებით,
აიკრიფავს დარდი,მარტის გუდა-ნაბადს,
იაპრილებს გაზაფხულის დარები.
შემოდგომა გზაზე გვიფენს ოქროს ფარდაგს,
ხეებს შვენის ჭრელა-ჭრულა კაბები,
დღეს ბუნება ჩვენთვის ლამაზ ზღაპარს ხატავს,
ამ მშვენებას ვერსად დავემალებით.
დიდ იმედად მინდა მყავდეს ისევ მარად,
მიღიმოდეს შენი თბილი თვალები,
სიყვარული სულ ყვაოდეს გულის კართან,
არასოდეს მომიხურო კარები.

მეფეო დავით



დღეს მუხლს მოვიყრით შენს საფლავზე მეფეო დავით,
იდუმალი ხმით გავიგონებთ ძგერას გულისას,
გაირინდება მდუმარებით ყოველი წამი,
უხილავ ძალით სითბოს ვიგრძნობთ სიყვარულისას.
ერს ერგულებდით, მარად გქონდათ უფლისგან მადლი,
ჯვრით და მახვილით დაიცავით მამული მტრისგან,
გადმოგვაბარეთ თვალწარმტაცი და საოცარი,
ვერ ვუერთგულეთ საქართვრლოს, ბაჯაღლოს მზის დარს.
მოგვმადლეთ ისევ დღეს ქართველებს, რწმენა და ძალი,
რათა მამულის ერთგულება კვლავ გვექცეს მიზნად,
დაგვლოცეთ მეფევ, რომ ქართველმა მამულის ვალი,
თქვენებრ პირნათლად მოვიხადოთ, გვაქციეთ ღირსად!

ამაღლდა უფალი

ამაღლდა უფალი ზეცაში დიდებით,
ღრუბლებში გაისმის ქერუბიმთ გალობა,
სასწაულს ვერ აღწერ ვერასდროს სიტყვებით,
უფალმა მოიღო ულევი წყალობა.
დამარცხდა სიკვდილი თავისი ცდუნებით,
მადლი კვლავ იფრქვევა სიცოცხლის წყაროდან,
სამების წიაღში წყალობით ულევით,
დაბრუნდა, რომ ვძლიოთ ჩვენც ყოველ გამოცდას.
ჩვენ გულში ვამეფოთ უფალი დიდებით,
უკვდავი სულის რომ კვლავ ვიქცეთ ნაწილად,
ცრუ წუთისოფელში თუ ღვთისკენ ვიქნებით,
არასდროს დაგვთმობს და არასფროს გაგვწირავს.
ავმაღლდეთ, საქმით და ცოდვებზე ღირსებით,
ჩვენი ხსნა სიყვარულს ყოველთვის სწადია,
გილოცავთ! უფალი ამაღლდა დიდებით!
ჩვენც გავყვეთ უფლის გზას, მართალს და მადლიანს!

ქუთაისო

გვირილები გიმღერიან,
ვარდ ყვავილით ნაქარგო,
ქუთაისო სიმღერის და
სიყვარულის ქალაქო.
შენს ქუჩებში ქარი დაქრის,
ქარი ფაფარ აშლილი
და გვირილებს დალალ გაშლილს
შვენის თეთრი მანდილი.
მზე სხივებით ამოქარგავს,
მთა ველს მოავარაყებს,
ბაგრატიდან მტრედებს ატანს
სიყვარულის ბარათებს.
დგას ბაგრატი მშვენიერი,
ზეცამ მადლი აბკურა,
ერთიანი და ძლიერი,
საქართველოს დასტურად.
თეთრ ხიდის ქვეშ თეთრი ქვები,
როგორც ფარა გაშლილი,
აქ რიონის მტრედის ფერი,
მღერის ლურჯი ნაპირი.
გვირილები გიმღერიან,
ვარდ ყვავილით ნაქარგო,
ქუთაისო სიმღერის და
სიყვარულის ქალაქო.

* * *

სამი ათეული წელი გავიდა შვილო აფხაზეთის ომიდან, შენ კი მარად ჭაბუკი დარჩი. შენი და შენი თანატოლების გმირულ თავგანწირვას არასოდეს დაივიწყებს დედა საქართველო.შენ ხომ სიცოცხლის არსს მამულის ერთგულებასა და თავდადებაში ხედავდი.ამიტომ წერდი.

,,ახლა შენ გიცქერს მშობელი მიწა,
ბატონ პატრონი შენა ხარ რადგან,
მამულისათვის უნდა დაიწვა,
როგორც სანთელი ღვთისნშობლის ხატთან."

შენც სამშობლოს სიყვარულში დაიფერფლე და დარჩი უკვდავად.გმირები არ კვდებიან შვილო, ზეცად მაღლდებიან და მეც ეს დამრჩენია ნუგეშად, რომ დათო გამთენაძის სახელი იცოცხლებს მარად.

მომნატრებიხარ

თითქოს, სიო ხარ მონაბერი მაღალ მთებიდან,
ძალას რომ მმატებ და იმედებს გულში მიცოცხლებ,
ამ მოგონებას ვარსკვლავს ვუხსნი მონატრებისას,
უკვდავად ვაქცევ ჩვენ სიყვარულს, ჩემო სიცოცხლევ.
მომნატრებიხარ,იცი,როგორ მომნატრებიხარ?
თვალებზე მომდგარ ნატვრის მძივებს ჩუმად ვიშორებ,
მე უშენობის მძიმე ტვირთი დამაქვს მხრებით და
გაზაფხულები ქარიშხლებმა ჩამოგვითოვეს.
ყვავილებივით სხივებს ვკრეფდით ერთად, ზეციდან,
იმ დაუვიწყარ ლამაზ წუთებს, ისევ ვიგონებ,
ჩვენ დიდ სიყვარულს ტანზე კაბა შემოეცვითა,
ზღაპრულ ბილიკზე ქვა ღორღები ჩამოგვიგორეს.
მომნატრებიხარ, იცი, როგორ მომნატრებიხარ?
ძვირფას განძივით ჩვენ სიყვარულს გულში ვიტოვებ
და რომ არ მქონდეს,რწმენა სულის უკვდავებისა,
ამ დიდ სასწაულს მხოლოდ შენთვის გამოვიგონებ.
იმედს მიგზავნი მარადიულ სამყოფელიდან,
კვლავ ჩემზე ზრუნავ, სუსტ მხრებიდან დიდ ტვირთს მაშორებ,
ისე ახლოს ხარ, თითქოს, შენი სუნთქვაც მესმის და
ასე მგონია, დაგიძახებ და კვლავ გამაგონებ.
მომნატრებიხარ,იცი, როგორ მომნატრებიხარ?
ფრთამოტეხილი მერცხალივით ბუმბულს ვისწორებ,
ლამაზ წარსულში, მზის ამოსვლას ერთად ვხვდებით და
უშენოდ სანთლით მივაცილებ წლების სიშორეს.
მომნატრებიხარ, ოი, როგორ მომნატრებიხარ...

ვალია კვაშილავა

რწმენამ გვიხსნა

მოიქუფრა ნოემბერი,
და წარბები შეჰყარა,
ცამ კალთები დააბერტყა,
ამ დალოცვილ ქვეყანას.

ცრემლი ცრემლზე ეკიდება,
დარი ისევ ავდება,
ცოტაც კიდევ და ზამთარიც,
მოვა,რიგში დადგება.

მერე ფიფქებს ჩამოგვაყრის,
ქარი ისევ იქარებს,
და ნამქერით გულავსილი,
განა თოვას იკმარებს?!

ტყეს, მინდორს და ველის პირებს,
თეთრ საბანში გაახვევს,
ახალი წლის ტკბილი დილა,
გაუჩენელს გააჩენს!

ნოემბერში თეთრი ცხენით,
მოგელვდება წმინდანი,
ვილოცე და პირჯვრის წერით,
შუბის წვერით ვიცანი!

გველეშაპის შემმუსვრელი,
განა რამეს იდავებს,
რწმენამ გვიხსნა, რწმენა გვიხსნის,
რწმენით გამოიდარებს!

გორაძირის მონატრება

როგორ მინდა გორაძირის აღმართს ავყვე,
ჩავისუნთქო თან ჰაერი რა სუფთა,
არ მაძინებს ეს სურვილი უცნაური,
ვფიქრობ ნეტავ მის ძელქვებთან მასუნთქა!

როგორ მინდა ახლა შენთან საუბარი,
მომენატრე ამ მთვარიან ღამით,
მოვიდე და ამაყ გულზე მოგეფერო,
ფიქრით დაღლილს ჩამოგიჯდე თავით!

მერე მინდვრებს მოვეფერო, ვუსვა ხელი,
მწვანე მკერდი დავუკოვნო – ბადახში,
ჩვენს წინაპარს აქ რამდენი უშრომია,
საქართველოს ისტორიას გადავშლი!

გორაძირო,ძირი უნდა დაგიკოცნო,
თუმც მავანი აპირებდა დაშლას,
გულისპირზე ფარა ისე შეგფენია,
მეცხვარეც რომ ვერ ახერხებს დათვლას!

ეს სურვილი არ მასვენებს,თან ღამეა,
ვფიქრობ ახლა გორაძირზე რა ხდება,
აქ მამულის სიყვარულის ჰარმონიას,
მოვუყვები მთვარეს რაზეც მთანხმდება!

მთვარე,ჩემი უღალატო მეგობარი,
ის მომისმენს–ყველაფერი რომ იცის,
თუ დამჭირდა,გამიგრძელდა საუბარი,
ისიც ვიცი უსასრულოდ მომიცდის!

წინ მივიწევ, გორაძირის გულისაკენ,
გულისცემის ყურისგდება მინდება,
არ მინდა რომ არითმია დაემართოს,
განკურნება ვიცი გაგვიჭირდება!

გორაძირო,მინდა მითხრა რა გაწუხებს,
ზოგჯერ დარდი რად გეხვევა ფიქრად,
მითხარი რომ ცხოვრებაა საოცარი,
სიკეთისთვის რომ სიცოცხლე ღირდა!

აქ რამდენი ბუჩქია და ქვის ნატეხი,
ჩემი გულის იაა და ვარდია,
ხელს მოვხვევ და გულში ისე ჩავიხუტებ,
თითქოს მეტი სხვაგან არ მაბადია!

აქ რომ ვინმე სიყვარულში შემეცილოს,
რომ გამოჩნდეს ვინმე უცხო,სულელი,
საძვალიდან წამოდგება წინაპრები,
ხორცს შეისხამს იმწამს მათი სულები!

გორაძირის ფერდობს ქვემოთ დავუყევი,
მოვადექი ღელესა და ლელიანს,
შემოდგომის ნატამალიც არ იგრძნობა,
შავი ქვები სიყვარულზე მღერიან!

მთვარე ისევ ძველებურად მაცილებდა,
ხელს მიქნევდა ლამაზი და ღიმილა,
ყვავილების სურნელება მაბრუებდა,
ფეხისგულებს მიკოცნიდა გვირილა!

ვედრება

მთვარემ ხელი დამიქნია,
და მიხმობდა თავისთან,
მე ვუთხარი არ მცალია,
გინახულებ გაისად!

მანამდე კი დასაწერი,
მაქვს რამდენი ნაფიქრი,
სადაც ვნახე ნასახლარი,
ვეღარ წავდგი ნაბიჯი!

მინდა გითხრა და მოგიყვე,
ჩემი გულში ნადები,
მაგრამ სანამ გინახულებ,
აქ, ფეი-ზე დავდევი.

მითხრა: – ტკივილს რომ გაუძლო,
უნდა იყო გულქვაო,
–ღმერთო, არსად ნასახლარი,
არ მაჩვენო უფალო!

მინდა ჩემი ქართველობა,
მრავლობდეს და ხარობდეს,
მტრად შემოსულ გადამთიელს
ჩემი მიწა არ ჰქონდეს!

ქართული ხმის და სიმღერის,
იყოს მარად ღაღადი,
არ ველოდი ჩემს სოფელში,
ნასახლარებს ვნახავდი!

სად წასულან ქართველები,
სად აქვთ მიწა უგანო?!
არ მანახო ნასახლარი,
დამიფარე უფალო!

ჩემი სოფლის გზას და შარას,
ფიქრით ჩუმად დავყევი,
გულს მიკოდავს და
მაფიქრებს,
ცარიელი სახლები!

ზოგი უკან გადახრილი,
ზოგს კი გვერდი ჩაშლილი,
კიბე ხავსმოდებული და
საძირკველი დაშლილი!

შენ სადა ხარ ნატერფალი,
ეზოში რომ დატოვე,
ტირის ჭაზე სახელური,
მარტო რატომ დამტოვე?!

ვის შევასვა წმინდა წყალი,
და ვაპკურო ცრემლები?!
არ შემეხოს გარეწარი,
მოდი შემოგევლები!

არ მანახო მე სახლები,
უფანჯრო და უკარო,
ქართველები გამიმრავლე,
გევედრები უფალო!

არ მანახო სახლი,კარი,
უპატრონო, უგვანო,
ემიგრანტი დამიბრუნე,
შორს წასული უფალო!

მიყვარხარ პოეტო

მიყვარხარ პოეტო თვალის ამხელელო,
ანთებულ კოცონით გულში,
ოცნებით,ხალისით,გრძნობის გამმხელელო,
მიყვარხარ დღესა თუ გუშინ!

მინდა რომ იმედით მომავალს უცქირო,
კალამი გიჭრიდეს – ხმალი,
სამშობლო გიყვარდეს – ლაჟვარდი უძირო,
და ვერ მოაცილო თვალი!

მიყვარხარ პოეტო გამჭრიახ გონებით,
შენი რითმებით და ხიბლით,
ფიქრით და ოცნებით ვერ განეშორები,
მშობელ ქვეყანასთან ივლი!

მიყვარხარ ზეცისგან, ღვთისაგან რჩეული,
შენი რწმენითა და ნიჭით,
ლექსისთვის სიმშვიდეს ხარ გადაჩვეული,
ულექსოდ სიცოცხლე გიჭირს!

პოეტო, მიყვარხარ ცეცხლოვან თვალებით,
ფიქრის კუნძულებს რომ მიწვდი,
სიკეთეს ეტრფიან ახლა ეს ქარებიც,
რისთვისაც მადლობას გიხდით!

პოეტო,სამშობლო ეს შენი გულია,
ლექსი და სტრიქონი უნდა,
და სიტყვა,,პოეტი" სულ სიყვარულია,
ვიტყვი და ჩამქოლონ თუნდა!

პოეტო,მიყვარხარ შენი ნაპერწკლებით,
შენი არეული ფიქრით,
და თუ დაგჭირდება ვიცი აფეთქდები,
რისთვისაც მადლობას გიხდით!

ნორა-ნორიკო მგელახე

მამულო ჩემო

არ დავიღლები შენზე ფიქრით ჩემო მამულო,
არც ის მადარდებს ფიქრებში თუ დამათენდება,
ოღონდ საშენოდ, სასიკეთოდ მივაგნო რამეს,
იარები და ტკივილები თუ განელდება.

შენზე ლოცვაში გავათენებ მე ტიალ ღამეს,
არ დავიღლები, არც გონება არ დამეღლება,
ნეტავ რად მინდა ეს სიცოცხლე ფუჭი,ურგები,
თუ თავზე ქუდად მოწმენდილი ცა არ გექნება!

არ დავიღლები შენზე ფიქრში ჩემო მამულო
და ღმერთს ამას ვთხოვ, შეისმინოს ჩემი ვედრება,
მისი ნებით და შეწევნით ვიცი და მჯერა,
მამულო ჩემო,უკვდავება მუდამ გექნება!

ჟამთაცვლა

წარსულში გადავა მალე შემოდგომა,
ითვლის დარჩენილ დღეებს,
სულიც ფოთოლივით მას თან გაჰყვება და
უბრად დატოვებს ხეებს.
მოვა ზამთარი და სულშიც აცივდება,
რა განვლებს უშენოდ დღეებს.
ზამთარში დარჩენილ აბუზულ ბეღურას
დავემგვანები მერე.
ნეტავ რა გაუძლებს ზამთრის გრიგალებს და
თოვლებს, გარდაქმნილთ ლოლოდ,
შენი მონატრება გულს ამიჩქარებს და
ის თუ გამათბობს მხოლოდ.
მერე, ნაზამთრალი და ფერგამოცვლილი
მზე გაცოცხლდება ისევ,
ობობის ქსელივით გახლართულ საფიქრალს
შემოაშველებს სხივებს.
მე მათით გავთბები და სულსაც მოვითქვამ,
ისევ გავახელ თვალებს
და გამოზამთრებულ სულით კვლავ შევხვდები,
მე გაზაფხულის ქარებს.
ქარებით შემოვივლი მთლიან სამყაროს,
აღარ დაგიდევთ დაღლას,
ვივლი შენს საძებნელად წლების მანძილზე,
სანამ გამწვდება ძალა.
წარსულს მიეცემა მალე შემოდგომა,
ითვლის დარჩენილ დღეებს,
სულიც, ფოთოლივით, მას თან გაჰყვება და
უბრად დატოვებს ხეებს....

დრო არ გვპატიობს

წამი წამს მისდევს,
ფიქრს – ნაფიქრალი.
დღეს – დღენი კვალში
უდგათ მდუმარნი.
ასე უმალ და
უკვე მიმქრალი,
უნდა გავაცილოთ
წელი მიმავალი.
ჟამთააღმწერი,
დროის განმგები,
გვითვლის წამებს და
ვართ წამიერნიც.
საწუთროს ბაქანს
ვტკეპნით ლოდინით
იქნებ სხვა გვქონდა
ჩვენ მოლოდინი.
ლოდინთ-წრიალში,
ორომტრიალში,
რამდენ შეცდომას
ვუშვებთ მავანნი,
აღარ გვპატიობს
დრო--ეს მუხთალი,
უფალთან ავალთ
მტყუან--მართალნი.

წუთისოფელი

ჭრელია წუთისოფელი,
ზოგჯერ ჭადრაკის დაფას ჰგავს,
ძნელია იყო გულწრფელი,
როცა ცბიერი მრავლად გყავს...
რას არ გაიგებ ამქვეყნად,
რა სიურპრიზსაც არ ნახავ,
ძნელია, როს გღალატობენ,
და ამას თვლიან ""არაფრად"".
სუფთაა მართალი კაცი,
კი უჭირს,თუმცა,ხანდახან
ძნელია, კალო გალეწო,
როს დამხმარეც კი არა გყავს.
აჭრელდა, უფრო აჭრელდა,
ისედაც ჭრელი ქვეყანა,
დროა გონებას მოვუხმოთ,
და ვიყოთ ტკბილად, ერთადა.
უფალი კვლავაც გამოგვცდის,
ჩვენ ვერ გავიგებთ ვერა რას,
ვილოცოთ,იქნებ გადავრჩეთ
ამ წუთისოფლის ბეგარას.

ბრჭყვიალა ქვებს

მერამდენედ მოგეფერათ ტალღა,
მერამდენედ მოგეკროთ და გენდოთ,
მერამდენედ გაუწბილეთ ნატვრა,
უსულგულო და ქვისგულა ქვებო.

შეგხედავთ და ლამაზები ჩანხართ,
ფერები გაქვთ იშვიათი, როგორ!
მთავარია, სახის შიგნით რა ხართ,
სული თუ გაქვთ, ეს გვიჩვენეთ, მხოლოდ.

მერამდენედ გადაგიხსნათ გული.
მერამდენედ მოგეფერათ ტალღა,
ეჰ, რაც უნდა იყოთ მედიდურნი
მაინცა ხართ ამ ტალღაზე დაბლა.

ასე იყო ოდითგანვე, ჩემო
მოციმციმე ქვებო, თან ბრჭყვიალავ,
გეფერებათ ტალღა, უიმედოდ
ვაგლახ, მისთვის სიყვარული გაქრა...

სიჩუმე შენი

სულს ისე შვენის შენი სიჩუმე,
როგორც ვარდს ნამი, ციდან შობილი,
შენში ღამეა ახლა ისეთი,
მზეც ვერ უშველის, სხივდალოცვილი.
ცხოვრება ზოგჯერ ისე მწარეა,
რაც უნდა იყო შორს მომზირალი,
არ შეიცვლება, რაც გაწერია,
ახარხარდება ბედის მწერალი.

საახალწლო

კეთილი იყოს შემობრძანება
წელო ახალო შენი!
შენ დამილოცე დედულ-მამული
ამას გთხოვ დიდი რწმენით!
ამიღორძინე ჩემი ქვეყანა
და გაუბრწყინე წლები,
შენ დამილოცე ყველა მცხოვრები,
მიბედნიერე ერი!
რომ აღარ იყოს ჩემ სამშობლოში
გაჭირვებული ბევრი,
სიღატაკე და გაუტანლობა
გვარიდე,ამას გვედრი!
აავსე ჩემი ძვირფასი ქვეყნის
მარან-ბეღლები მთელი,
რომ იმარჯვებდეს მუდამ სიკეთე
და არ ხარობდეს მტერი!
გამიმთლიანე ჩვენი საზღვრები,
ღვთისმშობლის მიწა-წყალის,
ჩემი სამშობლოს დანაწევრება
აღარ აღირსო არვის!
სიყვარულია ქვეყნად საწყისი,
მითვე გვაჩინა ზენამ,
დედა-ბუნება გვიმეგობრე და
მოგვმადლე უფლის რწმენა!
....კეთილი იყოს შემობრძანება
წელო ახალო შენი.



მირზა ვარძუკაშვილი

მარტო ვსაუბრობ....

მე ახლა გიჟის მმოსავს სამოსი,
მარტო ვსაუბრობ მთვარეს და მზესთან.
წყვდიადშიცა ვარ ძველ დროს ნამყოფი,
როცა დავმარცხდი მებრძოლი ბედთან.

ახლა სულ მარტოდ მარტო ვარ ჩემთვის,
კითხვებზე თავად ვპასუხობ ჩემს თავს.
დანისლული მაქვს ბინდით თვალები,
ღვთის გარდა გონი ვეღარვის ხედავს.

კალამ ფურცელთან ვმეგობრობ მხოლოდ,
გულიც გიჟივით სტროფებში ფეთქავს.
ბოლო დროს ასე ფიქრებთან ვმყოფობ,
კენტად შევყურებ გულღია ზეცას.

ამაოების არ მინდა რამე,
გიჟის ხალათი ჯობია მეცვას.
დამცინოს თუნდა ეშმაკმა ღამე,
არ მიმატოვოს მხოლოდ მსურს ღმერთმა.

გადაიფრინეს....

გადაიფრინეს თვალს მიუწყდნენ ბუდის მერცხლები,
გაზაფხულამდე იმკვიდრებენ იქ სად მზე ბუდობს.
ამ ზამთარს შევრჩით მხოლოდ მე და ფიქრთ ბეღურები,
სულ მარტოდ მარტოდ სიყვარულით ყინვასთან ვუბნონთ.

რა გადაიტანს უმერცხლებო ამ მძიმე ზამთარს,
თუმც არ სტოვებენ კავკასიის გულს თეთრნულდები.
სულში ბობოქრობს მყინვარწვერი უშბა და შხარა,
ყინულ საფარქვეშ ამოზრდილი იაგუნდები.

გადაიფრინეს სულის ზეცა გრძნობის მერცხლებმა,
არა მტოვებენ დალოცვილი სტროფთ ბეღურები.
აქა მსურს მხოლოდ აქ იხაროს ჩემმა ედემმა,
თუნდ უმერცხლებოდ სისხლში მენთოს გულის ბუხრები.

რა გითხრა აბა....

რა გითხრა აბა ჩემო გვირილავ,
ჩემთვისაც დადგა მძიმე ზამთარი.
შენი სიკვდილის ცრემლით ტირილმა,
გახადა ჩემი ყოფა სხვაგვარი.

აღარ მახარებს შენ უხილველად,
არვის პირიდან სიტყვა ნათქვამი.
კაცთ სიცივისგან გარდასაცვლელად,
იქცა ჩემი და შენი ამბავი.

გაზაფხულამდე გაიწელება,
კვლავ მოსვლა შენი ყვითელ კაბაში.
შენ უნდა გნახონ იათ მტრფობელად,
მე დამამწყვდიონ მიწის საკანში..

ასეთს აგემე სიცოფე....

კაცს ყველა იმით მასპინძლობს
ვისაც რა უდგას სუროში.
ყველაც გულწრფელად არ სტუმრობს,
მის ოჯახს სიმყუდროვეში.

ბევრი განანებს სიცოცხლეს,
გველს აწვენს მშობლის უბეში.
ასეთს აგემე სიცოფე,
ტყვია წამების ნუგეში.

რა აღარ ვნახეთ....

რა აღარ ვნახეთ მე და შენ,
მიწავ ტანჯულო ქვეყნისა.
ვერცხლთ მოყვარენო ვაი თქვენ,
გამყიდველებო ღმერთისა.

ჩაიკარ გულში რამდენი,
გაზრდილი გმირი დედისა.
რამდენს უმშობლე ქვეყნისთვის,
გულს ნაბრძოლს მიწავ შენთვისა.

არ გინდობს მაინც არავინ,
ყველა შენ გთელავს ფეხითა.
მოვა დრო ლაზარესავით,
აღგადგენს ქრისტე მკვდრეთითა.

დათბა ისევე....

დათბა ისევე როგორც შარშან ეტყობა მოთოვს,
და ნოემბერიც მოაყოლებს გრძნობებს სევდიანს.
შემოეცალა სამოსელი არყიან კორომს,
ო ამ ნისლებსაც ვეღარ ვუმზერ თვალებ ცრემლიანს.

ეს შემოდგომა მიირწევა ზამთრის სუსხისკენ,
მზეც ვეღარ ათბობს დედამიწას გულ სისხლ ძარღვიანს.
ო ბეღურებიც რაღაც ისე ვერ ჟღურტულებენ,
ვეღარსად ვისმენ სიტყვას მართალს სიტყვას მადლიანს.

ზეცად ღრუბლებმაც მოუხშირეს კოპებად შეყრა,
ჩამოიცლიან გულს შემოყრილ სევდას ნაგროვებს.
იწირპლებიან თვალებიდან სისველეს ცრემლად,
ვიცი ზამთარი უკვე მოსვლას არ დააყოვნებს.

დათბა ისევე როგორც უწინ მოვა ზამთარი,
გულს მოიბოხრებს და მზეც დილით ისევ ამოვა.
სიტყვაძვირობით არყი მაკრთობს როა გამხმარი.
ტანზე ფოთოლი გაზაფხულზეც რომ ვერ გამოაქვს.

დრო ყველაფერზე ყველაფრისთვის პასუხს მოითხოვს,
გამხმარი არყიც წყვილთ გაუთბობს სადღაცა ბუხარს.
აგიზგიზდება ოთახს მოჰფენს სინათლეს სითბოს.
გარეთ გინდ თოვდეს თოვაშიც ხომ ქალს ვიღაც უყვარს....

დღეს კიდე გნახე....

დღეს კიდე გნახე ისევ ისე სახემცინარი,
შეგატყვე თითქოს წარსულიდან დარდობდი არცრას.
ისე კეკლუცად ჩამიარე თანაც მოხდენით,
თიხის ტაძრიდან სულმა იწყო მეგონა გასვლა.

ვინიცის კიდე ცხოვრებაში სად არ შეგხვდები,
არც კი შეირხევ არასოდეს მგონია წარბსაც.
დღეს სულ სხვა იყავ შავ დალალში ვითარცა გედი,
დაამშვენებდი ასე ვფიქრობ უძირო ტბასაც.

ო საოცრებავ წუთის სოფლის ამაოების,
მიწით შექმნილი მიმატოვა ლურჯთვალა ცამაც.
დავდივარ ახლა ხელ ცეცებით ამ სიბნელეში,
და კბილით ვიგლეჯ ნაიარევ ნასისხლარ ტანსაც.

დღეს კიდევ შეგხვდი უცაბედად რაღად ნეტავი?
თუმც სადღაც გულში გამცრა კიდეც მესიამოვნა.
ახლა კი მჯერა რომ სიკვდილით აღარ მოვკვდები,
მე სიყვარულმა უკვდავების დამიახლოვა.

* * *

ეს რამდენიმე ღამეა,
ვერ დავასვენე კალამი.
რატომღაც სულ წერასა მთხოვს,
მშიარია თუ მაძღარი.

მეც გულს არ უტეხ ფურცლებზე,
გადამაქ მისი განცდანი.
არ მინდა რომ ჩამითვალოს,
უმოქმედობა ღალატში.

გვერდს მიდგას უღალატოდა,
როგორც ბავშვობის ძმაკაცი.
მე კალამი და ფურცელი,
სულ ვართ ფიქრებთან თამაშში.

არ მაკარგვინებს არც ერთ წამს,
უქმად ლოგინზე წვალაში.
შამბულები ვართ ხარივით,
სტროფების ყანის სახნავში.

წინ მე უდგავარ კალამი,
მაგარი არის კვალვაში.
ფიქრები გვეხმარებიან.
კვლებში მარცვალის ჩაყრაში.

ასე ვართ მე და კალამი,
ლექსების თოხნვა ბარვაში.
დრო ჟამიც გვერდში მოგვყვება,
გვშველს ჩაყრილ თესლის მარწყვაში

განა მე ვიყავ....

განა მე ვიყავ ხელის შემშლელი,
მზისთვის როდესაც გინდოდა კოცნა.
მან შეგიშალა ამაში ხელი,
დედამიწის რომ ვერ შესძელ ცნობა.

ნუ დამაბრალებ მე შენ შეცდომებს,
ჭეშმარიტების არ გესმის როცა.
მე კი პატივს ვცემ გულით შემნდობელს,
ვისაც კი ესმის რას ნიშნავს მოცდა.

მარეხი რიკაძე

ჟამთამწერალი

სადახარ ჟამთამწერალო,
რად იგვიანებ ასეო?
მოდი და ჩემი ცხოვრება
სიმართლით შემიფასეო,
რას მეტყვი აბა მითხარი,
როგორ მივლია გზებიო?
მიმიოკითხე ირგვლივა,
როგორი დადის ხმებიო,
ერთი მასმინა მავანის
როგორ გაშლიან ენასა
და დაიწყებენ დაკრულზე
თავის ენაზე მღერასა,
იტყვიან გიჟპოეტაა,
რაღაცას ჯღაბნის უვიცი,
არ დაეძებენ რომ რამე
რა გამეგება,თუ ვიცი,
ჰგონიათ ვერაფერს ვხვდები,
ხან თვალს დავხუჭავ ხან ყურსა
ვიცი ვინ რისი ღირსია
ხომ ვერ აყოლებ პანღურსა,
აი,იმ ზემოთ ღმერთია
ყველას და ყოვლის მხილველი,
სულ არ ადარდებს ბოლო ხარ,
თუ ხარ სიაში პირველი,
ყველაფერს ჩამოგიჩოთქავს
ვისაც რა ცოდვა ჰკიდია,
ვინმე გილანძღავს პირადად,
თუ გულში გაგიყიდია,
ყველას მისი აქვს საზიდი,
შენსას მიხედე ჯობია,
არ დაილევა ამ ქვეყნად
ცუდი,ან მჯობნის მჯობნია!

ფიქრები

სულში მიღიტინებს მარტოობა.
დარდებს აედევნა ფიქრები,
ასე თუ გაგრძელდა ეს უკუნი
ალბად დილით აღარ ვიქნები...
ახლა აეშალა საღერღელი
ყველა ტკივილსა და იარას,
ისე აიჯაგრა შავი ლანდი
მგონი შხამით მივსებს ფიალას..
ჩემს წინ გადიშალა უკუნეთი,
წყვდიადს ვეხიზნები ეული,
თითქოს არ მადარდებს საით წავალ,
თითქოს ამას ვარ შეჩვეული,
მერე ჩაიქროლებს ბედისწერა,
თითქოს ვერ შემიცნოს თავიდან,
მერე მოტრიალდა უკუღმართი,
ზღვაში გადამაგდო ნავიდან ...
მერე სეირობდა ჩემს ტანჯვაზე,
იმას ეგონა რომ ვკვდებოდი,
მაგრამ რაიცოდა გარეწარმა
ფეხზე ნელნელა რომ ვდგებოდი. ...
მერე დაცინვაში გათანგულმა
ცელი გადაიგდო მხარზე,
მე კი ფენიქსივით წამომდგარი
წინ გადავუდექი გზაზე,
ცხვირში ვადენინე რაც აქამდე
ასე უმოწყალოდ მაწამა,
მერე გავიგე რომ სიხარულით
წვიმამ დედამიწა დანამა,
ახლა ამ ნაომარ ტრამალებზე
დილის განთიადი ფრთებსა შლის,
მაინც შემეცოდა ბედისწერა
სული რომ სძვრებოდა კვნესაში,
ფეხზე ავაყენე და ვუთხარი:
ახლოს არ გნახოთქო არასდროს,
გახსოვდეს ადამიანში
სიცოცხლე ყოველთვის თამადობს!
მერე გაიქცა და დაიკარგა,
მისი აღარამაქვს დარდი,
ნუთუ შევძელი რომ უკუნეთში,
ეშმაკს მე მოვუგე ფანდი?!

ჩემი მუზა

მესტუმრა ისევ ჩემი მუზა,
ისევ ღამეში!
დაგავიწყდაო?-ასე მკითხა,
ჩემი თარეში?
სარკმლის კაკუნმა გამაღვიძა
-ჰა,მოვედიო!
ერთმანეთს როგორ შევეხიზნეთ,
არ გვაქვს ბედიო?!
მე ძილნარევი შევხედე და
ისიც მიცქერის!
თითქოს ფრთები აქვს ქარბუქის და
ცივი ნამქერის,
-და რა აზრი აქვს,რომ მოხვედი?
ცივად ვაჯახე!
-ეს იგივეა კარაქით რომ ლესდე ნაჯახებს!
თითქოს ეწყინა,გაიბუსა,
მითხრა წავალო!
რაც გაჩუქეო ყველაფერი
მთხოვა წავშალო!
ამან შემაკრთო,
დამენანა ჩემი ბოდვები,
ისე მიკმინა სინდისმა
ვით მკმენენ ცოდვები,
ბოლოს შევთანხმდით:
ვწეროთ ერთად ჩვენი დარდები,
ვაღიაროთ და გავარჩიოთ გულის ნადები..
იქნებ ვიღაცას უხარია,
ვიღაცას სტკივა!
იქნება ათბობს ჩვენი ლექსი
როს სულში სცივა?!
და შენ მკითხველო!
თუ ჩვენეთში შემოიარე,
და ამ ნაბოდვარს დაეწაფე
ვით მოტრფიალე,
შენ გაგიმარჯოს!
არ გენახოს ქვეყნად ვარამი!
იბედნიერე და იხარე,
კუბოს კარამდის!!!!

****

შორს გადარეკა
ქარმა ღრუბლები,
მთებს აუღიათ მეფობა,
ცას აუსხია ვარსკვლავთა მძივი
ალბად ვიღაცას ეტრფობა,
ჩაუქსოვია ვარდები თმაში
დილას კეკლუცს და ონავარს,
და საქანელას შემოსკუპებულს
მიჯნურთ ულოცავს მომავალს,
მზემ გადმოხედა დედამიწაზე,
დაგვპირდა ლამაზ დარებს,
ღამის გუშაგი კი მოფუზულა,
ქარი უხურავს კარებს..
მთვარე კი დუმს და
გულჩათხრობილი
მზეზე ფიქრები ათოვს,
მხოლოდ ის შეხვდეს
სულ ერთხელ მაინც,
მეტს სხვას არაფერს ართხოვს,
და გალაქტიკის დასაბამიდან
მზე სულ გაურბის მთვარეს,
გასაბრაზებლად და სატანჯველად
ის მას უგზავნის ღამეს,
და ასე მიდის წუთისოფელი,
მზე ხარობს მთვარე დნება,
დაიკარგება და მიილევა
მაგრამ თავიდან ჩნდება!
და სწამს რადგანაც
დღემდე მოვიდა
მზესაც შეხვდება ოდეს,
და იზეიმებს ისეთ გაზაფხულს
სასტიკ ზამთარს რომ მოსდევს!..

გიგი თეთრაძე

* * *

წვიმა მოვიდა და დაიწყო მელანქოლია,
რა დააოკებს დამშეულ სულებს,
ღამენათევებს მთვარის შუქი
რომ გაჰყოლია
და შეჰყოლია ოცნებას ულევს.

ფიქრის წუთებმა საკუთარი მოჭამეს ვადა,
წვიმა ასფალტზე ასკინკილა
ფეხებით დახტის
და მის სხეულში იღვიძებენ ოლეანდრები,
გამოიდარებს ამბობს პეპელა
თან თვალებს დახრის.

წვიმა მოვიდა, მთებმა გაშალეს
ქოლგების ჯარი,
შორიდან ისმის უიმედო ძაღლების ყეფა,
არა აქვს აზრი ყვიროდე და ბრაზობდე იმას
რაც იყო ადრე, რისიც გქონდა დართული ნება.

დღევანდელ ავდარს უეჭველად გადავურჩები
მოგონებებით გადაივსო ყველა უჯრედი,
მეკი თავნება ფიქრის ზვავებს ვეჯიუტები,
და ყველა მათგანს ინახავენ გულის უჯრები.

მოსულმა წვიმამ აურია ყველა წესრიგი,
ქაოსში ცხოვრობს სველი ქალაქი,
ვნებამ თავისი გაიტანა, დაკარგა რიდი
და მოიზომა გრძნობის ალაგი.

წვიმა მოვიდა და დაიწყო მელანქოლია,
რა დააოკებს დამშეულ სულებს,
ღამენათევებს მთვარის შუქი რომ გაჰყოლია
და შეჰყოლია ოცნებას ულევს.

ჩემი ქვეყანა

ჩემი ქვეყანა დაბოლილი
ნაპასებს ურტყამს,
ჩემი ქვეყანა მოწყენილი
ყველას, რომ უყვარს,
ყველა წამსვლელი,
გაქცევაზე თვალი რომ უდგას,
ვაი საბრალო საქართველოვ
კოსტავას უთქვამს,
„ძებნას დაუწყებს ქართველი ქართველს“
და მე არ მინდა ეს სიტყვები
ოდესმე ახდეს.
ჩემო მამულო ყველა შენი დარდის მესმოდა,
მესმოდა როგორ გტკიოდა და ჩუმად იყავი,
თითქოს მე ვიყავ შეწირული
შენთვის ზვარაკი,
ჩემო მამულო შენი წარსული მოსაყოლად რა იოლია,
თითქოს ძილის წინ წაგეკითხოს ძველი არაკი,
გარშემო ყველა, შენი კარის შელეწვას ლამობს,
ყოველი კუთხით მტრის ჯარების დგას ბასტიონი,
ჯერ არ დამცხრალა არც დიდგორი, არც ბასიანი,
მიწა მოგვიხმობს კრწანისისა და ბახტრიონის.
ჩემი სამშობლო მეომარი
ყველას რომ უყვარს,
მიძინებული ქრისტესავით,
აღდგება უმალ!

* * *

ხანდახან ფიქრი მომეძალება
უცნაური და სააუცხოო,
სული სხეულში ვერ დაეტია,
ადამიანი სულთან უცხოობს,
ნუთუ უფალო, უფალო დედავ,
სამყაროს ისევ იესოს უშობ?
შენს სახიერებს მხსნელი გვჭირდება,
თორემ კაცი კაცს, ლუკმას არ უყოფს.
დასჯილ ბავშვივით კუთხეში დგანან,
სიკეთის მქნელი და ღირსეული,
ბოროტება კი სადავეს მართავს,
ადამთა სული არის სნეული.
ჩემი იმედი სხვებისას არ ჰგავს,
უიმედობა მკვდართა წესია,
ტყუილისათვის გაგაღმერთებენ,
სიმართლისათვის ტყვიას გესვრიან.
ხანდახან ფიქრი მომეძალება
ხანდახან დარდის ზვავებს გავურბი,
ადამიანი სულის გარეშე?
ღმერთო მაშორე, ასეთებს ვუფრთხი.

ი ე ს ო

ი ესო ისმენს გულიდან ფიქრებს,
ე ხმიანება კეთილ განწყობებს,
ს იტყვა უღმერთო ჭაობში მითრევს,
ო მია ჩვენში, უნდა გვახსოვდეს!

ქ როდნენ ქარები, აუტანლები,
რ ეკდნენ ტაძრებში წმინდა ზარები
ი მეორებდა მოძღვარი ლოცვებს,
ს ულის სარჩენად, გავხდი დაუზარები.
ტ კივილებს ვითმენ მივიწევ ზევით,
ე რთი რამ მიკვირს, ცოტაც მაოცებს,

რასაც კი ვებრძვი, მე ის მაცხონებს.

***

იქნებ გავასწრო, იქნებ წავიდე, და ვინავარდო იალაღებზე,
გავცდე, გავექცე ამ საწუთროს ნისლში დაფარულს,
რაღაც სხვა მინდა, უცნაური, სუფთა, კრიალა,
ვერ გამიგია ჩემი გული ამ ცოდვილ სულში რად აგრიალდა,
მართალს ვადიდებ, მაგრამ ქრისტეს ვკლავ წუთში სამოცჯერ
და ვინ მოსთვლის წლებში რამდენჯერ,
ცოდვის მორევში გამოსასვლელ გზად მხოლოდ შენ ხარ,
მხოლოდ შენ გძალგიძს რომ ჩამკიდო ხელზე ხელები,
ქრისტეს სიკვდილში გავიწაფე
და ალბათ მალე იუდასთან დავმეგობრდები.
იქნებ გავასწრო, იქნებ გავფრინდე თორემ,
ცოდვას ცოდვაზე ვალაგებ აგურივით
და სულ მალე ერთ დიდ სასახლედ გადაიქცევა,
რომლის დანგრევა თვით უფალსაც გაუჭირდება.
ჩემი ყოველი გაფიქრება,ბილწი აზრები,
ვიცი გულს გიკლავს ჩემზე ლოცვით ხარ გადაღლილი,
ვიცი სასთუმალს თუ დავადე თავი ამაღამ
სიზმარში გნახავ, უფალო ჩემო არ გამიბრაზდე,
წუთში სამოცჯერ ქრისტეს სიკვდილს მე ვაღიარებ
და უნდა ვზიდო მძიმე ჯვარი სოფლის ბოლომდე,
გზა ხორკლიანი, გზა ეკლიანი მე არ მაშინებს
და ღვთის სიყვარულს მისთვის სიკვდილი თუ მაზიარებს!

ცხოვრება

აქამდე არ ვიცი რა იყო,
დღე ღამეს უქმად მისდევდა,
ცხოვრება მტვერით აივსო
და ხელს შორიდან მიქნევდა.
ქუჩაში ფოთლებს ვეძებდი
ისევ ხეზე რომ მიმება,
რატომ მოწყდით ხეს ფოთლებო,
რა მოგიგონეს მიზეზად?
მინდორში ყვავილს ვუმზერდი
ვხედავდი როგორ ჭკნებოდა,
ყვავილს ტირილი უნდოდა,
მაგრამ უცრემლოდ კვდებოდა,
ვხედავდი დახეთქილ მიწას
ბელტებს მიმოყრილს გორებად,
მიწა წვიმის წვეთს ითხოვდა,
იბინდებოდა გონება.
წავედი ქუჩებს გავყევი
წყვილებს დავუწყე ყურება,
ვერ ვნახე ის, რაც მინდოდა,
ვერ მოისმინეს ყურებმა.
ვიარე, ბევრი ვიარე,
ტაძარს მივადექ უმანკოს,
შევედი ქრისტეს ვეძებდი,
რომ სიტყვა მეთქვა უბრალოს,
მეთქვა რაც გულში დაგროვდა,
რაც მოვისმინე, რაც ვნახე,
ეგება მალე მოვიდეს
და დაასრულოს ეს მახე.
მისმენდა მაღალი ღმერთი,
სულით მშვიდი და მდაბალი,
ჩემი ნატვრა და ოცნება
მისთვის არ იყო ახალი.
ცხოვრების ნათელი ფერები
ისევ ხალხმა თუ დაბინდა,
ღმერთის შექმნილი სამყარო,
დღეს აღარავის არ უნდა.

* * *

ვხვდებოდით ყველგან კაფეში სკვერში
მერე ზვირთივით გაყვა დინებას
ახლა ყავარჯნით შემოგხვდა ხელში
და ახალგაზრდავ რად გეცინება

შენც დაბერდები და დამიჯერე
აიტუზები ჩაკეტილ კართან
ბრძოლა მოგიწევთ შენ და სიბერეს
ერთ მუჭა შეკრულ ვეება დარდთან

თინა ბასაძიშვილი

საით იჩქარი...

საით იჩქარი
ნეტავ ღრუბელო,
ასე ძლიერ რამ
გაგახალისა?
გულს სიამეს გვფენ
ლაჟვარდი ციდან,
ხან მზეს გვიგზავნი
და ხანაც წვიმას...
შენ შემოგყურებთ
დიდი, პატარა,
იმედის თვალსაც
მივაპყრობთ ზეცას,
სულ იკაშკაშეთ
ცავ და ღრუბელო,
თქვენი იმედი
გვავსებს და
გვლოცავს...
ციდან მონაბერ
სიოსაც ვეტრფით,
მოაქვს ხალისი
და ნეტარება,
ნუ მოგვეშალოს
ეს იდილია,
ერთად ვიაროთ
მზესთან და
ღმერთთან...

სევდიან თვალებს...

მე მოვდიოდი
შენთან ძვირფასო,
და შენს თვალებში
ვხედავდი სევდას,
სევდას...
რომელსაც
მე ვერ მიგიხვდი,
თუმც შენს თვალებში,
ცრემლი მტკიოდა...
მე მოვდიოდი...
შენთან იმედით,
მაგ თვალთა კრთომა,
გულს მიამებდა,
ცრემლი ტკივილის...
თუ სიყვარულის,
შენს თვალებში რომ,
სულ კიაფობდა...

სულის სიმებთან
იგრძნობ შეხებას,
თვალები ცრემლით
რომ ინამება,
არაფერია იმაზე
წრფელი,
მზე რომ ამ თვალებს
ელამუნება...
სიყვარულია,
ის დიდი განძი,
რომ აღგვაფრენს
და აგვამზიანებს,
სულს შეერია,
ტრფობის ზმანება,
არაფერია...
თვალებმა
გაგვთქვეს...

სევდიან ფიქრებს
ისე ვაგროვებ,
ვით მიმოფანტულ
მარგალიტის მძივს,
სულის საკინძით
ავკინძავ გრძნობებს,
და ჩვენს გულებში
დაიდებს ბუდეს...
მიჰქრიან წლები
დაუსრულებლად,
და თან მიჰყვება
ჯარი ფიქრების,
თვალებში ჩამდგარ
სევდას ერთვება,
ის ურჩი წლები,
ახალგაზრდობის...

თვალები წრფელი,
ცრემლებით სავსე,
გულს შერჩენია,
როგორც ზმანება,
დრომ ვერ წაშალა,
წარსულის გრძნობა,
და იმ ცრემლიან
თვალთა ფერება...
და სიყვარულმა,
როგორც მდინარემ,
დაე, იდინოს,
დაუსრულებლად,
სიყვარულია...
მძლეთა-მძლე
ქვეყნად,
შთამომავლობის
გადასარჩენად...

ფიქრების ზღვაში...

გადაიქროლეს
ლეგა ღრუბლებმა,
ღრუბლებს თან გაჰყვა
სევდა ურიცხვი,
ფიქრების ზღვაში
დაგეძებ კარგო,
რადგან ვარ
მარტო, მთლად
მარტოსული...
თუ შენ არ მოხველ,
ზღვას ეოცება,

ჩემი შენდამი
ღრმა სიყვარული,
დაე, სულ ენთოს
ჩემს გულში ცეცხლი,
არც ვინმე იყოს,
ჩამაქრობელი...
ვიხსენებ წარსულს,
გულიც ღონდება,
რა ამაოა შენთან
შეხვედრა,
რად მოდიოდი

ჩემთან ძვირფასო,
თუ ასე მალე,
გაქცევა გსურდა?...
იმ ძველ
სიყვარულს
და აღმაფრენას,
გულში ვინახავ,
ვით სათუთ გრძნობას,
მათ ფრთებს შევასხამ,
დაე, იფრინონ...
ძველ სიყვარულის

გადასარჩენად...
გადაიქროლეს
ლეგა ღრუბლებმა,
თან გაიყოლეს
სევდა ურიცხვი,
გულის ერთ კუნჭულს
შემოგინახავ,
მაინც რა ხდება?
თვით ღმერთმა
იცის...

ჩემო თვალხატულა...

ო, ნუ გაიკვირვებ,
ჩემო თვალხატულა,
თუკი შენს კარებთან
ვდგავარ დაჩოქილი,
ისე მომენატრე,
სული, ხორცს ეყრება,
მზად ვარ გაპატიო,
ყველა შეცდომები...
ვიხსენებ ლამაზ დროს,
ნათდება ყოველი,
თუმცა უშენობით,
მზესაც კი არ ველი,
უშენოდ ჩამქრალა,
მნათობი ყოველნი,
გულსაც ვერ უბრძანებ-
,,რომ
ამომზიანდი''...
წახვედი...

თან გაგყვა, გული ყოვლის
მთქმელი,
უშენოდ ცხოვრება,
ყოფილა რამ ძნელი,
ახლა გვიანია...
სიყვარულს,
არ ველი,
თუმც კარს ვეფერები,
შენი მონატრებით...
მივყვები დარაბებს,
ვერ გნახე გრძნეული,
გულიც არ მომყვება,
შენთან შეჩვეული,
თურმე რა სასტიკი,
ყოფილა ყოველი,
ვნებდები სიყვარულს,
დიდი რუდუნებით...
დრო გარბის...

გშორდები...
მიმატებს ნაღველი,
გზა და გზა ჩურჩულით,
ჩამესმის ყოველი,
სიყვარულს არასდროს,
არა აქვს ასაკი,
სიყვარულს
არასდროს,
არა აქვს
საზღვარი...
ცხადში თუ სიზმარში,
მაინც მელანდები,
ლამაზი დღეებით,
სულ მემახსოვრები,
დრო-ჟამს მიფერადებს,
ის ნაზი დღეები,
იმ სიყვარულისთვის,
მე ვარ მადლობელი...

დ ე დ ა...

**

დედა-საწყისი
ყველა სიკეთის,
დედა-იდუმალ
ფიქრთა მცნობელი,
დედა-ამქვეყნად
არის ღვთიური,
მისი ხატება,
მარადიული...
დედის სითბო და
დედის ალერსი,
ფიანდაზივით

გულს გვეფინება,
დედის ვედრებას,
ლოცვა-კურთხევას,
იმ ქვეყნიდან
ვგრძნობთ,
სულ თან
დაგვყვება...
თუ სულიერად
განგვეშორება,
სხვა სამყაროში
დაიდებს ბინას,

თუ დაგვჭირდება,
ხელის ცეცებით,
მოვა...
დაგვლოცავს...
გვიჩვენებს
სწორ გზას...
არაფერია
მარადიული,
რაც გადაურჩა დროის
დინებას,
ყველაზე წრფელი

და შეუცვლელი,
მარად იქნება
დედა-შვილობა...
საცქერლად
მეტად საამურია,
როცა დედა შვილს
ეალერსება,
დედა-შვილობის
მადლი ჰფარვიდეს,
მთელ საქართველოს
და ყველა ჩვენგანს...

პოეზია...

***

პოეზიაა სულის
მესაჭე,
ყველა სიავეს
იგი მავიწყებს,
თუ გამოსცალე
შარბათი მისი,
უკვდავებასთან
შეგაზიარებს...
მე,სულის საზრდოს

პოეზია მძენს,
ვერ დავიჩემებ,
არ ვარ პოეტი,
მაგრამ მიხარის,
ჩემი ლექსები,
რომ სიყვარულით
არის ნაჟური...
ლექსით მსურს
გული გავუთბო

მკითხველს,
დიდი გრძნობით,
ხან წუხილით
სავსეს,
რადგან დროება
ტკივილიანი,
მათ ლამაზ გულებს
მძიმედ არ აჩნდეს...
წუთისოფლის ვართ

ყველა მგზავრები,
ყველას თავისი
გოლგოთა გველის,
ჩემთვის ლექსია
სულის სიმშვიდე,
პოეზია კი...თვით
უფლის სახლი...

სულიკო ჯამალაშვილი

* * *

უარი ვტკიცე ტანგოს და
არცა ვიცეკვებ ვალსს
მხოლოდ ერთს გეტყვი მე შენი
ნახვის სურვილი მკლავს

გნახავ და წყურვილს მოვიკლავ
მზეს ამოვყვები თაკარას
და მერე წყაროს დავხედავ
შენი სულივით ანკარას

* * *

და როდესაც ოკეანეს
მოარღვევდა გრიგალი
ზეცა იყო მგლოვიარე
და მე ვეღარ ვიცანი
როცა გვერდით ჩამიარა
და მიკითხა ვინ არი
ჟრუანტელმა დამიარა
ცხად იყო თუ სიზმარი
როცა მისმა ავმა ზრახვამ
ამომიღო მიზანში
იდუმალი ხმა ჩამესმა
სიზმარში ხართ სიზმარში
ასე გავხდი ამ ზმანების
მარადული ხიზანი
ვარდფურცლობის დარი იდგა
ვარდფურცლობის ნიშანი
და როდესაც ოკეანეს
მოარღვევდა გრიგალი
ზეცა იყო მგლოვიარე
და მე ვეღარ ვიცანი

* * *

მზე მიილია მინებდა
ჩრდილმა დაკარგა შეგრძნება
ვხედავ სიცოცხლის ბილიკებს
ხავსი ნელ-ნელა ედება

დღე ღამეს მძევლად გაუყვა
მზეც შეელია იმიჯს და
როს მთვარემ სილა გააწნა
საუკუნეთა მიჯნიდან

თაროზე შემოვდებ ოცნების ბილიკებს

უჩვენო დღეების
ზღურბლზე
რომ კისკისებს
ვაგროვე სარჩენად
სიგარის ღერები
გითხარი მიყვარხარ
გოლგოთას შევები
ვინატრე შორი ცა
ვარსკვლავთა ციალი
ცალმხრივი ვნებები
ჯვარცმაა ტიალი
ჩამიარ უსიტყვოდ
მოკითხვა სალამი
ერთჯერად სიტყვებზე
ვაშიე კალამი
ჟამმა დროს უბოძა
გოლგოთა ნაჯვარი
თუ გინდა ჯვარს ეცვი
საშველი არარის
ოდესღაც ვიმრუშე
გავიდა რა ხანი
ხან მიწა მიტაცებს
ხან ზეცის თავანი
ლაღობდა ცრუ მრევლი
ღალატის თავი და
იღვრება გალობა
იესოს ტანიდან
გაჯიქდა ჟამთასვლა
დავუთმე ეთერი
ბიძგები მიწისძვრა
ზვავი და მეწყერი
თაროზე შემოვდებ
ოცნების ბილიკებს
უჩვენო დღეების
ზღურბლზე რომ კისკისებს

* * *
ჩავხედე ნაპრალებს
დამსკდარან გვალვისგან
ქარები უღრენენ
ვინ იცის რა დღიდან

უღრენენ ყოველ წამს
არ თმობენ არიალს
მდედრი თუ მამრია
ძუა თუ ხვადია

აწყვეტილ რაშივით
სამყარო მიქრის და
ჩვენს თვალწინ დრო და დრო
თან ფერებს იცვლიდა

ხმაური შეჩერდა
როდესაც ძარღვებში
ერთხელაც ჩავხედე
ნაპრალებს თვალებში

მზე ჩადის ტიალი
კვლავ ქარი მძვინვარებს
აფრები ავუშვი
და ქარებს მივანდე

გაძვირდა სიცოცხლე
წალკოტის ნაყოფი
გაძვირდა გოლგოთაც
არაა სამყოფი

* * *
წლები წლები დავამძიმე
მორცხვად ასაკს შევები
ზღვის ტალღათა მიმოქცევა
მარადული ჩქერები
დრო არაფერს არ დაგიდევს
დროა შეუჩერები
ფოთოლცვენით მაცილებენ
შემოდგომის დღეები
მიწამ მიძმო შემიკედლა
მდევდნენ ცეცხლის ენები
დროს კი ვერა მოვუხერხე
მის ფერხულში შევები

* * *
ახლა ხომ მზე არის
ახლა ხომ დარია
წმინდაო წმინდაო
წმინდაო მარიამ

მომწყურდა სონეტი
დაუკარ მეარღნევ
პლანეტებს მომინდა
ცრემლებად შევაშრე

ძარღვებში სისხლი რომ
მიშრება ვინ იცის
ვინ იცის ავმაღლდე
მიწიდან ზეცამდე

ახლა ხომ მზე არის
ახლა ხომ დარია
წმინდაო წმინდაო
წმინდაო მარიამ

მე ცოდვილს შემინდე
ყველა წყლულს გამოვცდი
ოღონდაც დამთავრდეს
ომები ქაოსი
გრაალის სიწმინდე
აფქვიე ზეცამდე
ამას გთხოვს სალოსი
წმინდაო მარიამ

ღვინობის თვე არის
და ერთიც დამისხი
დამტვრეულ რითმებით
პლანეტებს ვეწამო
წმინდაო წმინდაო
წმინდაო მარიამ

* * *
კავკასიონზე ნისლი წევს
ირგვლივ შეკრული რგოლია
დედისერთახარ ქართველო
შენ ძმა არასდროს გყოლია

* * *

ქრის ურაგანი ხანჯლის წვერით
და გულმკერდს მისერს
ამოდ დაეძებს ამ სტრიქონთა
ღვთაებრივ მიზეზს
ზღვათა ტალღები სიმარტოვეს
კენჭებს უმხელენ
ქალღმერთის თვალებს სევდა შვენის
გრაალს სიწმინდე
დაშრეტილ თვალთა უღიმღამო
მაცდური მზერა
აისბერგებთან გარიგებას ხმობდა
ავი ზნით
ზღვათა ტალღებმა წარიტაცეს
მაცდური მზერა
მერე ასტრალებს დაერია
ურაგანივით
როცა კაბადონს ანთებული
ვარსკვლავის ნაცვლად
დასტრიალებდა ქარაშოტი
ზმანებით ავით
უდაბნოს ლავა ცხელ ქვიშაში
ეძებდა ალხაჯს
ტკეპნიდა ალაგს უკუქცევის
დღისა და ღამის
იყუჩე მიწავ სასუფევლად
გიწვდი ამ მკლავებს
თუ ისევ გხიბლავს ჩემეული
მიეთ-მოეთი
იყუჩე თორემ ეს სიტყვები უკანვე მიმაქვს
დაშრეტილ მზერას ვეღარ ვგუობ უდაბნოეთის

* * *

ასმინე სამყაროს
ეს ხმათა ხავერდი
თუ ჟამმა მიყელა
თუ წრიდან გავედი
მე შენი კელტების
სურნელი შევსვი და
შევსვი და გითვალე
ჟამთასვლის იარა
მომძებნე წირვისა
ტოლფასი ზმანებით
სამყარო გამხდარა
კვიცივით სახედნი
ვაღვივებ ჩირაღდანს
თუმც ყმუის ქარი და
დასამტვრევ თითებით
დახშული კარისგან
გოლგოთამ გვიტოვა
სამოთხემ კი არა
ღმერთით თუ უღმერთოდ
სუყველა იარა
ასმინე სამყაროს
ეს ხმათა ხავერდი
თუ ჟამმა მიყელა
თუ წრიდან გავედი

* * *

ლექსსა ვწერ არ მყოფნის რითმები
ლექსსა ვწერ და ქარი თამადობს
იქროლოს გაუშვი მინებდი
აწყვეტილ რაშივით სამყარომ
ბინდდება და მუზავ გეძახი
და ვიცი დაგეძებ ამაოდ
ისეთი შორია შენამდის
ვერც ეს მზე ვერც ცეცხლი ვერ მათბობს
ვჭიხვინებ ისეთი საამოდ
გზადაგზა ვაგროვე რითმები
გავგიჟდი შევშალე სამყაროც
გავგიჟდი და ცეცხლში ვიწვები
ვჭიხვინებ გასახედნ რაშივით
ვჭიხვინებ და არ ვთმობ არიალს
კლდიდან კლდეს დავხტოდი არჩვივით
და ბანსაც ვაძლევდი დარიალს
შეკვეთებს მივიღებ მითხარი
რაში ვარ სივრცეთა ჭამია
დავწერო მოვასწრო ვისწრაფი
სიცოცხლე ხომ ერთი წამია
დაცხრება ეს რითმა მომენდე
დაცხრება ეს რაშიც ტიალი
დაგბურძგნის ეს ლექსი ოდესმე
ვით ზეცას ვარსკვლავთა ციალი
ლექსსა ვწერ არ მყოფნის რითმები
ლექსსა ვწერ და ქარი თამადობს
გაუშვი იქროლოს მინებდი
აწყვეტილ რაშივით სამყარომ.

* * *

ჩემს სოფელში გაზაფხული მიცდის
ჩემი სოფლის სუნი ზეცამდე აწვდილა,
წვიმამ ჩამორეცხა მტვერი ყველა ბილიკს,
იდგა გაზაფხული კარში მეკვლესავით,
ხეებს თავს ადგამდა ყვავილების გვირგვინს.

ჩემი სოფლის სუნთქვა ზეცამდე ავარდა,
ატმის ვარდისფერში ლურჯი ფერი იწვის,
იჯდა გაზაფხული მინდვრად მეფესავით,
ფერხდით ფირუზისფერ იის ედგა რიგი.

ჩემი სოფლის მადლი ზეცამდე აწვდილა,
ჩვენი ეკლესიის ძველი მადლი წირვის,
იდგა გაზაფხული მრევლის ქალწულივით,
ნისლის საბურავით დაემალა ხიბლი.

ჩემი სოფლის სითბო სულამდე ჩაწვდილა,
სისხლში მისი წყაროს ჟრუანტელი მივლის,
ჩემი სიმშვიდეა ჩემი სოფლის ფეთქვა,
იქ ხომ ყველა დროში გაზაფხული მიცდის...

* * *

ეს მერამდენედ დამხედავ
მაღლით ლოყას მომიშვერ
როგორც დიანა ნეტავ
ვიცოდე ამ ბნელი ღამით
შენ ჩემს საწოლთან
რამ მოგიყვანა გლოვის
ზარები არისხებს სიონს
წყალზე ჩასულან ქვემოთ სულები
გარეთ ყინვაა ქილიკობს სიო
შენ კი ჩემს წყლულებს ეჩურჩულები.

* * *

ახატული ჩახატული ჭირვეული
მარტოსული ნეტავ ქალავ
ვარდი იყო ჩემს ეზოში
ამოსული ლამაზი
და მშვენიერი ვით ყაყაჩო
გაბადრული ცვარნამივით
უმანკო და მირაჟივით.

* * *

ვხვდებოდით ყველგან კაფეში
სკვერში მერე ზვირთივით გაყვა დინებას
ახლა ყავარჯნით შემოგხვდა ხელში
და ახალგაზრდავ რად გეცინება
შენც დაბერდები და დამიჯერე
აიტუზები ჩაკეტილ კართან
ბრძოლა მოგიწევთ შენ და
სიბერეს ერთ მუჭა შეკრულ ვეება დარდთან.

მირანდა ზაბახიძე

პატრიარქს

წინ მიგვიძღვი უდაბნოში,
მოსესავით ვით რჩეულ ერს.
ვჯიუტობდით,თან გკიცხავდით
ჯვარს გაკრავდით ჩვენ როგორც ღმერთს.

საზეპურო ერად რაცხა,
ღვთისმშობელმა იბერია.
დალოცა და მასზედ მადლი,
ლოცვად გარდმოუვლენია.

ჰოი შვილო,ისევ გმართებს,
უერთგულო შენს წილ მხარეს.
შენ გაბარებ,უწინამძღვრე
როგორც დედას მოუარე.

ჰოდა ასეთ დანაბარებს,
აღასრულებს უწმინდესი.
მზიან ღამეს შეებრძოლა
სიტყვა გვითხრა უმტკიცესი.

მხრებით ზიდა ერის ტვირთი,
უდრტვინველად,დაუღლელად.
ასე გვმოძღვრავს სიყვარულით,
მხნედ ვიყოთ და მოუწყენლად.

საქართველო ღმერთს შევედრე,
მადლობელი დღეს ბევრია.
მრავალჟამიერ თქვენს სიცოცხლეს,
დაგვილოცე იბერია.

* * *

გზად მიდიოდა ჭაბუკი
დაღონებულის სახითა,
მიადგა ერთსა გარემოს
ჩურჩეული ესმა მალვითა.
ცოდვა და მადლი შეჰყრია
ერთმანეთს სააქაოსა.
გაუმართნიათ ბაასი
ადამის მოდგმის საქმისა.
ცოდვამ თქვა:-მე შენა გჯობნი
ნახე რასა ჰგავს ყველანი,
ერთმანეთს გლეჯენ უწყალოდ
არ წყდება ცრემლთა დენანი.
მადლმა მიუგო:-რას ამბობ?!
მადლი თან ახლავს ყველასა
ყურს არ უგდებენ,არ სმენენ
გადაჰყოლიან მღერასა.
ცოდვა და მადლის აწონის
ჩანსა დამდგარა ჟამია,
მოდი ვაკეთებ სიკეთეს
ეს არის ჩემი ვალია.
ცოდვანი ვერას დაგვაკლებს
სანამ ძე გვიზის ზეცასა
არვის დაგვაკლებს წყალობას
შემწყნარებელი ყველასა.
ასე ილოცდა ჭაბუკი:
-ღმერთო,შენ გადაგვარჩინე,
გთხოვ მაპატიე წყენანი
ვისაც კი არ შევარჩინე.
სამყარო ტურფად შექმნილი
ეს შენი დანაბადია,
გავატიალეთ ოხრებმა
რაც წმინდად შეგირაცხია.
დიდი ხანია გართულდა
ჩვენ გვერქვას ადამიანი.
ცოდვათა მონანიება
აროდეს არი გვიანი.
ცოდვა დამუნჯდა,გაწბილდა
წაუხდა ზნე და გუნება,
სჩანს სიყვარული ყოფილა,
ადამის მოდგმის ბუნება.
ხომ ხედავთ ძენო კაცთანო
რა სამართალი გვწვევია.
თხოვნაზე დაგვიანება
უფალსა არა სჩვევია.
დიდებულია სამყარო
მისი შემქმნელის თვალითა.
ქვეყნისა გამოსწორება
დაიწყე შენი თავითა.
ქვეყანავ!შენით ტკბობასა
წამიერს არ ვანაცვალებ.
მარადიიული ყოფისთვის
ცოტა სიცოცხლეც მაცადე.

* * *

ერთი გაღიმება დამიბედე
სულს ეს უშენობა არ სჩვევია.
მოდი, გული ისევ გამიმთელე
დღეებს ტკივილები ამჩნევია.
ერთი სიტყვა მაინც გაიმეტე,
მზერა ბავშვურად რომ აგმღვრევია.
ხელი მომაწოდე რომ შეგიგრძნო,
სანამ ცხოვრების გზა ამრევია.
მოდი სულ ბოლომდე მიერთგულე,
თუმცა სიყვარულზე არც მსმენია.
იცი?გული ახლა ისე მიცემს
სული ჯოჯოხეთში ჩამსვლელია.
შენ რომ ოცნებები გამიმთელე
მზესთან საუბარიც არ მჩვევია.
ახლა ლექსის მუზად დაგიჩემე
მსგავსი ქვეყნად არა,არ მსმენია.
ღმერთსაც სურნელებით შეუმკიხარ,
სულში იებად რომ გაგჩენია.
ზეცად მიმოფანტულ ვარსკვლავებში
ვფიცავ,შენი სახე ამჩნევია.
მოდი იარებზე მესალბუნე,
შენი მკაცრი მზერის ნავლელია.
ნუთუ არ გინდა რომ შემიცოდო
ნუთუ უშენობა სასჯელია.
მე რომ სიყვარულის დავიჯერე
ცრემლი ვით წყლის ნამი დამდენია.
ჩემსავ ჯოჯოხეთში მომეშველე
ვფიცავ, უშენობა სასჯელია.

* * *

გულზე საქართველო მეწვის,
მესმის უსუსური გმინვა.
თუკი ოდნავ ვინმე გშველის,
ვიტყვი: – გული აღარ მტკივა.
ღმერთსაც დაუნახავს თურმე,
ქართველს ქართველი რომ სწირავს.
ჩვენ კი უგნურებით ვამბობთ,
ღმერთიც არ გვწყალობსო, სძინავს.
მზისგან მონაფერებ მიწას,
გულს რომ დაუკოცნის ნამი.
ჩემი ქვეყნის ლურჯი ცის თაღს
ღმერთო,ნუ მანატრებ წამით.
ქარის ალერსისგან დამთვრალს,
ტალღებს მიაქანებს მტკვარი.
ღამის სილამაზე მხატვარს
ხატვას ფიროსმანს რომ აცდის.
მგოსანთ ნაბახუსევ ლანდებს,
,,მამა დავითზე'' რომ სძინავთ.
სწევენ ისევ დროის ფარდებს,
ჩემი სამშობლოსკენ მზირალს.
ბევრჯერ შემხვედრია გზაზე,
გალას სევდისფერი დილა.
სიტყვას წყაროსავით მასმევს,
მუზას მაჩვენებდა მისას.
ასე შემოვივლი წამში,
ჩემი საქართველოს მიწას.
ისევ თვალს რომ მოვკრავ ცაში
ტატოს მერანი რომ ფრინავს.
სიტყვის ინფექციას ვკურნავ,
ჩემი ნავირუსალ კალმის.
ღამის მისტერია ზრუნავს,
დღემ რომ არ შემშალოს ამით.

პასუხის პასუხი

(ვუძღვნი ქრისტიანულ-მუსლიმური მეგობრობის 15 წელს).

მეგობრობა საქებარი ბევრი თქმულა საარაკო,
როგორც ჩვენი სიყვარული მტკიცეა და საამაყო.
გულს რომ წამლად დაეფინე,
იმის მერე დად მომყვები,
მეგობრობის ფიცს არ გავტეხ,
სხვა გზას ჩემგან ნუ მოელი.
საუცხოო არის დობა,
სიყვარულით ნაფერებით.
მეტყვი ასე კარგი ციცა,
აქანე ვართ ამფერები.
რელიგიებს შორის დავა,
სიყვარულით შევიფარეთ,
ირგვლივ თითქოს მეგობრები,
მხოლოდ შენღა შემიფარე.
ღელე-ღურდან მატარებდი,
ხან იქ,ხან აქ,მთაში ბარში.
წამსვლელს ხშირად რომ მკითხავდი,
იქ მიდიხარ,შენს ქვეყანაში?
ამოხსნიდი ასე ვიტყვით:
დედა -მამა,ნენე-ბაბა,
აქ მესმოდა ჩემი ნენეს,
ნამღერები იავნანა.
აჭარული მთების მადლმა,
საქართველო შემაყვარა.
ჩემი წილი ყანის მომკა,
ვიცი დღესაც არ დამდგარა.
გულში ვფიქრობ,თან ვიოცებ,
სადაურს სად გადამყარა.
მადლიერად გულში ვლოცე,
შენებური განდაგანა.
ღმერთს მადლობას შევწირავდი,
იმერელი ქალის და ხარ,
აჭარული სულგრძელობა,
ჩემთვის დღემდე ცას ამწვდარა.
ახლა მითხარ ,როგორ გავყო,
ჩვენი რწმენა,ჩვენი წესი.
საქართველო ერის გული,
ჩვენ კი მისი დანათესი.
მე სხალთაში ზარს და დავრეკავ,
შენ ჯამეში გაიარე.
მწამს,რომ ამგვარ მეგობრობას,
იტყვის დრო და მატიანე.
თქვენ გაგზავნეთ
თქვენ გაგზავნეთ

ანზორ შერვაშიძე

* * *

ცხოვრების სიცხე როცა მაწუხებს
ვფიქრობ ცხოვრების ამ წლებს რა გალევს
შენ გამოჩნდები როგორც მირაჟი
და მე თვალებით შენს სხეულს დავლევ

თითქოს მეხსნება მეორე სუნთქვა
დამიბრუნდება სიცოცხლის ჟინი
შენთან გავმართავ ცეცხლოვან ტანგოს
თითქოსდა მესვას ვისკი ან ჯინი.

* * *

ცხოვრების სიცხე როცა მაწუხებს
ვფიქრობ ცხოვრების ამ წლებს რა გალევს
შენ გამოჩნდები როგორც მირაჟი
და მე თვალებით შენს სხეულს დავლევ

თითქოს მეხსნება მეორე სუნთქვა
დამიბრუნდება სიცოცხლის ჟინი
შენთან გავმართავ ცეცხლოვან ტანგოს
თითქოსდა მესვას ვისკი ან ჯინი.

* * *

სიყვარული ხომ ენით სრულად გამოუთქმელი
დროზე, მანძილზე, სიშორეზე ბევრად მეტია
არის დუმილი, ჩაფიქრება, ფარული ცრემლიც
მე სიყვარული გამომეცხადა როგორც მესია

ახლოს არახარ, თუმცა კი ხარ ყველაზე ახლოს
და თითქოს ვხედავ შენს გაბუტულ თვალებს ვარდებზე
რომ შემეძლოს წამითაცკი არ ვიფიქრებდი
ჩემს გულს და გრძნობებს დაგიწყობდი ოქრს ლანგრებზე

* * *

☆სვანური პეიზაჟი☆

დილით ყვავილთა ღიმილი
ნამის ბრჭყვიალა მძივებით
მზე რომ სათუთად ეხება
ცხოველმყოფელი სხივებით
ნიავი აასაუბრებს
ფოთლებს იდუმალ ჩურჩულით
კოშკების ქონგურებიდან
ისმის მერცხლების ჟღურტყლი
ტყე მოიბურავს პირსახეს
რძისფერი ნისლის რიდეთი
ნახირი ფერდობს შეჰყვება
ბალახს ძოვს კრძალვა რიდებით
ნისლ შემოფენილ ტყეებს კი
ჩუმს და მისტიკით გამმსჭვალავს
მგლის სევდიანი ყმუილი
უეცრად გულში გასჭვალავს
ღრუბელს რქით ეხახუნება
ჯიხვი კლდის თავზე შემდგარი
ნამი ღრუბელად ქცეულა
დილის მზის სხივზე შემშრალი
მდინარე კლდეზე ჩაშლილა
ქისტი აღაზას თმებივით
ქშენა-ღრიალით გზას იკვლევს
ყრია ლოდები მთებივით
კლდეებში ღრმა უფსკრულია
დაღმა ჩაჰყვება არხივით
მტრის დამარცხებას ასწავლის
აქ თავის მართვეს არწივი
საღამოს წვიმა წამოვა
დედის ცრემლივით კამკამა
თითქოსდა ზეცის ტატნობი
თავის სამყოფად არ კმარა
მერე კი ბინდი ჩაწვება
სიბნელის წინამორბედი
ფრთისქვეშ თავს ამოიდებენ
სისხლით გამძღარი ორბები
თვალს გაახელენ ვარსკვლავნი
ვერ დაიმკვიდრებს სიბნელე
ძილს მიეცემა სამყარო
სულის სიმხნეს და სიმთელეს.

* * *

თვალებით ამბობ შენს ყველა სურვილს
მაშინაც მზერით მითხარ სათქმელი
შემომეხვიე, კოცნით დამათვრე
სად დაგიგროვდა გრძნობა ამდენი

ახლაც კი მახსოვს შენი სურნელი
სხეულის სითბო, სიტკბო ტუჩების
უშენოდ თითქოს ცარიელია
როცა სავსეა ხალხით ქუჩები

დრო გაგვეპარა ჩუმად ალერსში
რამდენი რამე დარჩა უთქმელი
შენთვის რაც მაშინ მქონდა სათქმელი
დღეს გიყვებიან ჩემი ფურცლები

* * *

"არასდროს არ თქვა: აღარასოდეს
რადგან ცხოვრება მეტად ვრცელია,
ზაფხულსაც მოსდევს მუდამ ზამთარი;
ეს ცხოვრებაზე ბევრის მთქმელია.
მოვა ზამთარი ახალი ფიფქით
როცა ზაფხული ძველ თოვლს დაადნობს,
თოვლში ამოვა ერთი ყვავილი
რომელიც შენს სულს სრულად გაათბობს"

* * *

ღმერთო ცხოვრება მეტად რთულია,
მე სიმარტივეს არასდროს მოგთხოვ,
მადლობელი ვარ ამ სირთულისთვის
ბალახს ხომ ძროხაც მარტივად მოძოვს.

მე დავიბადე ადამიანად
და მირჩევნია ვიყო ბრძოლაში,
ჩემს წინაპართა კვალს ვადგე სწორად,
ჩემი სამშობლოს ზრუნვა მოვლაში.

თუ ფოლადს ცეცხლი და წყალი აწრთობს,
მეც ნუ მომაკლებ მეხსა და წვიმას,
მიმესვლებოდეს ჩემს წინაპრებთან,
როს მიმაბარონ მშობლიურ მიწას.

მხოლოდ ერთი მაქვს მე სათხოვარი:
ბევრია ქვეყნად უღონო კაცი,
საწყლებს მოხედე, მადლი მოჰმადლე,
და შეისმინე ვედრება მათი.

შეუმსუბუქე მათ მძიმე ტვირთი,
მე დამიმძიმე ჩემი უღელი
მომმადლე ძალა და შენი რწმენა,
სიკეთე გულში მქონდეს ულევი.

* * *

ზოგჯერ მეგონა რომ დავიღალე
ცხოვრების გზაზე მარტო მავალი,
ცხოვრებამ ბევრჯერ დამცა ბეჭებზე
როგორც მე ისე სხვებიც მრავალი.

მეც მომიწამლა სული კინაღამ
ადამიანთა შხამმა, სამსალამ
და ვერ ვიგუე ჩემში ბოროტი
სულს აღარ ეყო ამის მასალა

დაუფიქრებელ ნაბიჯებს ვითვლი
და მათ მივაწერ: ინსტინქტს ცხოველურს,
ეს ინსტინქტები გვმართავენ ხშირად
და ვემსგავსებით ცხოველებს ველურს.

ჩვენ სხივი მოგვცა ღმერთმა გონების
ტვინიდან გულთან კავშირის მქონე,
ამ სხივს სათუთად უნდა მოპყრობა
რომ აიწიოს ჩვენში ეს დონე.

წლები გადიან, კაცში კი მუდამ
დინამიკურად ხდება ცვლილება,
ზოგს აბოროტებს, ზოგს კი მოაქცევს,
ხშირად მომხდარა ამის მხილება.

ცხოვრება ხშირად ნიღბებს ჩამოხსნის
ადამიანებს მრავალ ნიღბოსანს
და ემსგავსება ადამიანი
უნაოდ მცურავ ოსტატ ნიჩბოსანს.

ასეთი არის ჩვენი ცხოვრება,
ზოგი პოეტობს, ზოგი კი მხატვრობს,
ზოგი ყოველდღე გაძღომით სცოდავს,
ზოგი კი პურის ხმელ ნატეხს ნატრობს

ასეთი არის ჩვენი სამყარო
შექმნილი ღმერთის გამჭოლი ფიქრით
აქ უფლის მადლი ჰფენია ყველგან
მაგრამ ჩვენ შეგვაქვს ცოდვების ფითრი.

* * *

წამწამებზე დაკიდებულ ცრემლის წვეთში,
ოკეანე ბობოქრობს და ღელავს.
ასე ხდება როცა გულში ფესვგადგმული,
სიყვარული თვალებიდან ელავს.

აჩქარებულ გულისცემის სიძლიერე,
გულისფიცარს შიგნიდან რომ ხეთქავს,
ასე ხდება მიწისძვრას გავს გულისცემა
როცა გული სიყვარულით ფეთქავს.

და ყოველი ამოსუნთქვა, ამოოხვრა,
ტაიფუნებს და ქარიშხლებს მოჰგავს,
ასე ხდება როცა სულს და სხეულს
სიყვარული ეუფლება, მოსავს.

და როდესაც სანთელივით იწვი
და შენში ცეცხლს ვერაფერი თოკავს,
ასე ხდება როცა ღვთისწყალობით
შენში წმინდა სიყვარული როკავს.

გილოცავთ აღდგომას

ნეტა რას გრძნობდი მაშინ უფალო,
გულს უფრომეტად რა გისერავდა!
ეკლის გვირგვინი, ბეჭებზე ჯვარი
თუ ის რომ ამას დედა ხედავდა?!

სალამით გაგცეს, კოცნით გაგყიდეს,
ოცდაათ ვერცხლად მტრებმა გიყიდეს,
უფალი, მათი სულის მკურნალი
ადამიანადაც კი არ მიგიღეს.

ისე მოგექცნენ, გაგასამართლეს,
რომ თითქოს მათი რამე გემართა.
უფალო, შენ ხომ ისე იცხოვრე,
რომ ამ ჯვრისგარდა არცრა გებადა.

ჯვარზე გაკრული, ნაცემ-ნაგვემი,
წყევლას გითვლიდნენ და შეფურთხებას
ყველა ბედავდა!..
ვიცი უფალო შენ ის გიმძიმდა,
რომ ამ ყველაფერს დედა ხედავდა!..

* * *

გარეთ ქარია მკაცრი, მძვინვარე
და ქარში ხეთა სასტიკი ღელვა.
ო, როგორ ძლიერ მომნატრებია,
შენი თვალების ცისფერი ელვა.
მეც ვუერთდები ფოთოლთა ღელვას,
სახეში მირტყამს წვიმა და ქარი.
შენ ხარ აქამდე რასაც ვეძებდი,
შენახარ ჩემი ოცნების ქალი.

* * *

ბუნებამ თვალი კვლავ გაახილა,
შემოეპარა მარტი თებერვალს.
ზამთარმა მშვიდად დალია სული,
თითქოს სიცოცხლე მასაც ებევრა.

და გაზაფხული ახალშობილი,
დამშვენებული ყვავილთა შარმით,
ცხოვრებას ახალ ხალისს შემატებს,
გადარეული, შეშლილი მარტი.

სამზადისშია ვით პატარძალი,
აპრილიც მალე მოიხდენს კაბას.
შემობრძანდება ჟუჟუნა წვიმით,
გამოაცოცხლებს ხესა და ბალახს.

აპრილს კი შეცვლის მაისის სიო,
გამქარვებელი ყოველგვარ დარდის.
სმენას დაატკბობს ბულბულთა სტვენა,
მოვა მაისი სურნელით ვარდის.

* * *

შემიყვარდი იცი როგორ?
შემოდგომის ფერებით,
წყნარად, მშვიდად, ნაზად, თბილად,
გულის გამოდევნებით.
შენახარ ის ვინც გულს მითბობს,
ლხენით მივსებს სამყაროს,
მეყვარები სანამ კვდომამ
იარაღი ამყაროს.
შენთან მინდა რომ ცხოვრების
ქარტეხილებს ვეომო
და ეს გული, გრძნობით სავსე
მუდამ შენ დაგემონოს.

* * *

ახალგაზრდობა გაივლის,
რომ დაღვინდება მაჭარი.
ცხოვრება გონებას გვმატებს,
ცოდნა გვაქვს ბრძენთა სადარი.

საწყალთა მიმართ წყალობა,
შეგვყრია როგორც სახადი.
ვერ მოიქცევა რაინდი,
ვით სულმდაბალი ვაჭარი.

თუმცა გვაცდუნებს დროება,
საცდურთ გვიგზავნის ფერადებს,
ხშირად ავყვებით მის ნებას,
ცხოვრება, თვითონ წერს სცენარებს.

* * *

ჩემო ქალბატონო, ჩემო სანატრელო
სევდა გულზე ისევ ნისლად დამეფინა,
ზეცამ იტირა და ის თეთრი ღრუბლები
წვიმის წვეთებად მიწას დაეფინა.

ყოველი დილის მიკვირს გათენება,
ყოველი ახალი დღე სევდის აკორდია,
დღე უღიმღამო უშენოდ მიილევა
ღამით კი იწყება ჩემი აგონია.

* * *

ირგვლივ დუმილი, სიწყნარე და
უშფოთველობა,
შუაღამეა, შუაღამე კუპრივით
შავი,
ოთახში მხოლოდ ჩემი გულის
თუ ისმის ფეთქვა,
როგორც ყოველთვის კვლავ შენზე ფიქრს
მივეცი თავი.
თმებზე რომ გათოვს ჩემო ტკბილო
ჩემი ფიქრია,
მომენატრა უსაშველოდ
შენი სხეული,
ერთხელ შეგხვდი და იმისმერე
სულ შენ დაგეძებს
ჩემი გული გადაღლილი
დარდით სნეული.
ოო როგორ მინდა რომ შენს ლამაზ
თვალებს ჩავხედო,
ჩავხედო ჩუმად, უსიტყვოდ და
ულაპარაკოდ
მინდა თვალებით შევაღწიო
შენს სპეტაკ სულში
და თვალებით, მხოლოდ თვალებით
გელაპარაკო.
მხოლოდ შენს ხმაში, შენს ღიმილში
შენს სინაზეში
ვპოვე სიმშვიდე; ჩემთვის უცხო
ბედნიერება
მუდამ მიზიდავს, მუდამ მიხმობს,
მუდამ მაოცებს
შენი ნატიფი და მწუხარე
მშვენიერება.

როგორაც ცოდვილი ხატთან სალოცავად
სული მობარბაცებს შენთან ყოველ ღამე,
ერთხელ შეისმინე ამ სულის ვედრება
ერთხელ უწყალობე მას ნუგეშად რამე.

ჩემო ქალბატონო, ჩემო სანატრელო
მე უშენობის მაკრთობს აგონია,
ყოველ დილით რომ ნიავი გეხება
ჩემი ფიქრი და ჩემი ამბორია.

* * *

სვანური ქუდი მახურავს,
ღვთის ჯვარი მადგას თავზე,
გულში სიკეთეს ვერ ვიტევ
როგორ ვიფიქრებ ავზე?

მე იმ კლდეებმა გამზარდეს,
ნისლებში რწევით აკვნის,
სივრცეა ჩემი სახლკარი
კარი არააქვს საკნის

სახურავად მაქვს კოსმოსი,
ნაჭედი ვარსკვლავთ ჯარის,
ხან მზე მიღიმის ხან მთვარე
დროც კი არამაქვს ჯავრის.

ხან ჭუნირს ავაჟღერებ და
ხან კი დაუკრავ ჩანგზე,
ხან ლოცვას წავიღიღინებ,
ხან წინაპართა დარდზე.

იქვე არწივი შეჰკივლებს,
გადიფრენს ფრთების ბათქუნით,
ხან ბანს მეტყვიან კლდეები
ექოს ჯიხვთა რქის ჯახუნის.

ვდგავარ სამშობლოს ქავ-ციხედ
გარს შემორტყმული ფარად,
შეუალია ეს ციხე
ჩემი მკერდი აქვს კარად.

იზა შუბითიძე

●

წლები არა ჰგავს ირმებს,
მიჰქრიან და ვერ ესვრი,
ხომ უნდა ვიყო ვინმე,
რაკი ამოვთქვი ლექსი.
ქარში სტვენს მუზის შოლტი,
მეჩურჩულება თითქოს :
-რაც ფიქრთა ველზე ძოვდი,
რად ვერ მიეცი სტრიქონს?
ღმერთს შეავედრე ცრემლით,
ზეცაც შეგაწევს ექოს,
რომ შენი ლექსი, ვრცელი,
საფლავს იქითაც გეყოს.

*

ვით შევადარო ქვეყნებს შორეულს,
ქვეყანა ჩემი, ათგზის ნაცემი,
ჩემი მამული ტყეს ჰგავს შერეულს,
აქა-იქ ფესვმძლავრ მუხა კაცებით.

ტყეები – ხოხბით მოგიზგიზენი,
საუფლისწულო, ხეთა – ტიტანთა,
გვქონდა დღეები მართლა ისეთი,
მხოლოდ ქართველი რომ აიტანდა.

ტევრი – ალგეთის ლეკვთა საღრენი,
გასადევარი შველთა, ირემთა,
ისევ ამაყი დგანან ბიჭები,
მსგავსი პაპების სულთა სიღრმეთა.

როცა წარსულის ხვატი მთხრის თვალებს,
და საკუთარ ჩრდილს ვეღარ ვერევი,
შერჩნენ მუხები მტერთა სიმრავლეს,
როგორც კრწანისთან არაგველები.

გიგლა ჭინჭარაული

* * * * *

სულამც აპრილობ,აპრილო,
რა სურნელი და დარია,
არც ფხიზელი ვარ,არც – მთვრალი,
არ ვიცი,რა მიხარია!..
ფეხს რომ ვარიდებ ყვავილებს,
ვაჟავ,სულ შენი ბრალია;
შენ შემდეგ მესაუბრება
კაცივით მთა და ბარია,
შენი ხმით მეჩურჩულება,
რაც მთებში ფეხზე მდგარია:
“რძეში ნავლები” არყები,
წყალი – ხევს ჩამჩუხარია...
არ მრცხვენის,ყვავილისათვის
ცრემლი დამდინდეს ცხარია,
ღმერთმა გიმრავლოს,გიდიდოს
ჯიში,ქართველი გვარია!..

* * *

ვინ გადათვალა გრძნობები,
გაბედა სიტყვა ჭკვიანი?
რამნდენი უსახელოა,
რა მცირე – სახელიანი
(ეს ალბათ,საიდუმლოა,
არც შენ გვითხარი მთლიანი),
ვაჟავ,შემინდე,დავკოცნე
შენი წაწალნი – იანი,
რა მექნა? აღარ შემეძლო,
ვკვდებოდი სურვილიანი;
რომ ვერ შევძელი,ლურჯთვალას
ვუკოცე ბაგე,ცვრიანი...
ღმერთმა გიცოცხლოს სამშობლო
სრულად,მიწიან-წყლიანი!
იქნებ კი ღმერთიც იყავი,
გვეგონე ადამიანი!
ყველასამც განაცდევინა
ეს აღტაცება ფრთიანი,
რა ცოტას ნიშნავს – “მიყვარსო”
ან “გაგიჟებით ტრფიალი”...

მინდია ზვიადაური

ელეგია

შენ რომ გიყვარდა სიმღერა ჩემი,
რომელსაც ხშირად წამებით ვმღერი,
იქნა შეკრული იმ ცხოველ გრძნობით,
რომელსაც ჩემში ვფარავდი წლობით...
ახლა კი გიმხელ ამ გულის ნადებს,
მე შენს მებადურს, მართმევენ ბადეს,
რომ შენი სულის ნაპირთან ვდგავარ
და ახალ გზათა ამბოხის ზღვა ვარ!!
კვლავ ველი ღელვას და მრუდე ფიქალს,
დავიდებ ზღურბლად და სავსე ჭიქას,
გამოვცლი, როგორც დრო მცლიდა ოდეს,
მაყრიდა წყენის მიწას, თუ ლოდებს!!
ახლა კი შენთან ვიმოკლებ მანძილს,
მპოვნელი ერთ დროს ურიცხვი განძის,
რომელსაც ჩემი ბედით და წერით,
უმეცარ ყოფით, თუ უშნო მღერით,
ვატანდი ქარს და ვაბნევდი მიწად!!
იქ, სადაც თეთრი აჩრდილი იწვა:
მე შენი ხელი მეჭირა ხელში
და რაღაც ძლიერ მეწვოდა მკერდში!!

* * *

მაგრამ ის ერთი სხვა იყო მუდამ,
ის ერთი ციცქნა, "მუყაოს ფერი"...
პირველი თოვლი და თოვლის გუნდა,
შემოღეღილი მაღალი ყელი!..

შემომტვრეული მეშვიდე კარი,
გზააბნეული აჩრდილთა რემა,
არსებობს რადგან ამ ქვეყნად ქალი,
არსებობს ფიქრი, ლტოლვა და კდემა!!

მაღალი ჩრდილი, ნატიფი რხევით,
ქვაფენილს მიჰფენს იდუმალ სევდას;
მიიწევ ზევით, ზევით და ზევით,
და ერთვი ზეცის ქვითინს და დელგმას!!

ამ ქვეყნად ერთი სიცოცხლე არის,
მრავალი ხერხი სიცოცხლის კვლისა,
არსებობს რადგან ამ ქვეყნად ქალი,
არსებობს ფერიც – მიწის და ცისა!!

ნუ განმსჯი...

ნუ განმსჯი, თუ ასე უეცრად წავედი,
ჩემს გულსაც ატყვია შენებრი იარა.
შენს ტრფობას პირველი ამბორი მოვტაცე,
მაგ თვალთა იმედით ციმციმი კი არა.
მას მერე მრავალი ზამთარი გავლიე,
რა გზებით ვეხეტე, ვინ იცის, რა მოხდა.
შენ მკითხავ: რადა გაქვს შეშლილი თვალები?
მე გეტყვი: სიცოცხლე ყოფილა გამოცდა!
რამდენჯერ სიკვდილმაც ლახვარი მიღერა,
ვერ ჰპოვა სამსხვერპლო ჩემს ახლოს ვერც ერთი.
მე ყველა სიწმინდე ფეხდაფეხ დავკარგე:
ტაძარი, წიგნი და საშენო ბეჭედი.
ჩემს დუმილს ეხშობა სულ ყველა სათქმელი,
ამ ხელებს ატყვია მაგ ხელთა ფერება.
ნაგროვებ ცოდვიდან მე ვალად დამედო,
უგონოდ გალეშილს, ღამეთა თენება.



ვოჩა ხარანაული

!!!
ქართველისთვის სულს ვღაფავ, მისთვის სული ამომდის,
დალოცვილი ქართული ამოდ ჟღერს და ამოდ დის!
რადგან უფლის ნებაა ვინ მოვა და ვინ წავა,
დამაბიჯე ქართველო, მე ხომ შენი მიწა ვარ!
დამაბიჯე ქართველო, ნაბიჯს მე არ დაგითვლი,
მერე რა რომ არა ვარ ღვთაებრივი დავითი?!
ბარში მდელო ღაღანებს, მთაში ნისლი იცრება,
დამაბიჯე თამამად ფეხი არ დაგიცდება!
არ შეგაკრთოს ქარაფმა, დაიქუხოს ხირიმმა,
არ ჩამაგდო არაფრად, ვითომ შენი ხიდი ვარ!
შენი შუბის წვერი ვარ, არ ამიღო სიცილად,
გარდა სიყვარულისა არაფერი ვიცი რა!
კამარების არწივო, ხარ სამყაროს მშვენება,
ღმერთმა არ დაგაჭირვოს
ჩემი შემოშველება!!!

ს ა დ ღ ე გ ძ ე ლ ო

გალაკტიონს გაუმარჯოს, გაუმარჯოს გალას!
ქართულ ძუძუს, ქართულ ბაგეს, ქართულ თავის ქალას!
გაუმარჯოს ქართულ მხარ – მკლავს, იმათ ბრძოლით მოღლას!
ქართულ სიტყვას, ქართულ სუფრას, ლეონიძე გოგლას!
გაუმარჯოს ქართულ ზეცას და ვარსკვლავებს უთვლელს!
უფლის შეგირდს გაუმარჯოს – გასაოცარ რუსთველს!
გაუმარჯოს ქართულ ანბანს ზღვათა შესაკრებელს!
კავკასიონს გაუმარჯოს, ქართველივით ბებერს!
და სიკვდილსაც გაუმარჯოს – სიცოცხლეთა მიზანს !
მარადიულ სიჭაბუკეს, გაუმარჯოს მირზას!
ვინც გული ალმოდებული მამულის ფერხთ დადო,
დევს შეება ასთავიანს, გაუმარჯოს ლადოს!
გაუმარჯოს ქართულ გუთანს, ქართულ ქედს და მაჯას,
რაზიკაშვილს გაუმარჯოს – სულცისკრიან ვაჟას!!
ქართველ დედას გაუმარჯოს და ნატერფალს მისას!
ხუთკუნჭულას, ხარ წიქარას,
გულთამხილველ მისანს!

დ ა ი ჩ ო ქ ე თ!! წინაპრები სათათბიროდ სხედან!
დედამიწა არ ეღირსოს
საქართველოს ცხედარს!

ლია ალადაშვილი

* * *

წლებია, ჩემს სულში სევდამ დაიბუდა
და ვცხოვრობთ ასე ცრემლებთან მარტო,
დრო-ჟამს ვერ ვკითხავ, რატომ და რისთვის,
სევდა დამეძებს და კიდეც მნატრობს,
ვიცი პასუხი ჩემი გულისა,
ბედს თავს არ ვუხრი, აღარას ვდარდობ,
სევდავ, შენ რაღამ გაგაგულისა,
მზის სხივს არც შენ და მეც აღარ ვნატრობ!

* * *

მზეო ნათელო, გააბრწყინე მთელი სამყარო,
სითბო მოფინე კვირტებმა რომ გაიზაფხულოს...
გულს რაც დარდია ერთიანად უნდა გავყარო,
ქარსაც ისედაც ვერიდები, აღარც ვნახულობ!

* * *

წლები გავიდა მრავალი,
ბედის ბორბალი ტრიალებს,
დროჟამმაც ვეღარ უშველა,
გულში ჩარჩენილ იარებს!

* * *

ამ სამყაროში
ბოროტი მძლავრობს,
მტრულად გვიმზერს და
გვიჭერს მარწუხებს,
ვდგავარ მდუმარედ,
ხმა მესმის მწუხრის,
მოძმე მოძმეს მტრობს
და ეს მაწუხებს!

გული კი,
კვლავ შემომრჩა
ცხელი!

მივალ, მივუყვები აღმართს,
ჩემი სევდიანი ფიქრით,
ისევ უკან მომდევს ქარი,
ვერ მომერევა ვიცი
ველი და ვითვლი წამებს,
თუმცა, არ ნელდება ცეცხლი,
ცეცხლი,რომელიც მწვავდა,
ვერ შევანელე ცრემლით.
ო,როდის გათენდება,
ღამე ჩამოწვა ბნელი,
სიცოცხლეც არ თავდება,
გული კი, კვლავ შემომრჩა ცხელი!

* * *

ჩემს ერს მინდა მოვეფერო,
ზამთარიც კი ვუფერადო,
გულში სითბო ჩავუღვარო,
სულს კი მხოლოდ ღმერთს მივანდობ!

სანატრელი ერთი რამ მაქვს,
ამ სანატრელს ყველა ნატრობს,
საქართველო გამთლიანდეს!
სალოცავში ერი გალობს!

ძარღვებს, კბილით, სიმწრით ვიგლეჯ,
სისხლიან ცრემლს ვეღარ ვაშრობ,
აფხაზეთო, ჩვენი ხარ და
მოდით, გელით, გავიხაროთ!

დაგვიბრუნდი, არც წასულხარ,
მჯერა, სხვის კარს ვაზს ვერ ამყნობთ,
ჩვენი სულის ნაწილი და
ღვთისმშობელის მხარის ხართო!

* * *

მე, საქართველოს ზეცას ვეკუთვნი,
მის ფრთების ქვეშ ვარ შეფარებული,
რადგან ნისლებო, შენითვე ქრები,
მიტომ მზეზე ვარ შეყვარებული!

* * *

წვიმს,ღრუბელს შეუხსნია გულ-მკერდზე საკინძე,
სევდა მერევა,არ მსურს გაწვიმდეს,
მთვარევ,მესაუბრე, თვალს რად მარიდებ,
ცხოვრება ადვილი ყოფილა არც ისე.
რაო, რას ფიქრობ, ქარო, აშარო,
სჯობს,წვიმის ღრუბელი მალევე გაფანტო,
გულს არ სურს წუხილი, ყველამ იხაროს,
მზეს ველი,სხივებით სამყარო დაათბოს.
ცისკენ ვიმზირები, მტრედს ველი მშვიდობის
სამყარომ აღიდგინოს სახელი ღირსების,
უფალო, შენ ძალგიძს გვარიდე ცოდვები,
ნება შენია, შენ შექმენ ყოველი!
უფალო,შენს სიტყვას ყველა მოველით,
გვჯერა და ყველას გვწამს,შეწყდება ომები!

ოცნებებს მივდევ ახალს

ნუ ჭირვეულობ ქარო აშარო,
ვეღარ ამირევ გზა-კვალს,
დიდი ხანია ველოდე მზეს,რომ
მოეცა სიცოცხლის ძალა.
სხივებმა მზისამ სული გამითბო,
აღარას ვდარდობ არა,
ქარო,წინ ნუღარ გადამეყრები
აღარ მსურს შენი ნახვა.
ახლა წლებს უკან ვერ დავიბრუნებ,
ოცნებებს მივდევ ახალს,
ჩემს გონებაში უკვე აღარ ხარ
ჩაფერფლილ ნაცარს გავხარ!!

ბედის ბორბალი!

რას მიღრენ, ბედის ბორბალო,
რა ვალები მაქვს მე, შენი,
ერთი უბრალო ქალი ვარ,
მამულზე შეყვარებული,

ისე წავალ მე იმ ქვეყნად,
ჩემს ცრემლს მე, შენ არ განახებ,
მაღლით უფალთან რომ მივალ,
იქ გავიყუჩებ იარებს,
ბედო,არ შეგიშინდები,
კვლავ, უფლის გზად დავიაარებ!

* * *

როცა ღრუბელი გაიფანტება,
მზე გამოჩნდება ცის კაბადონზე,
ქარი კი სადღაც გადიკარგება,
მზე ამოაშრობს ომის ნაკვალევს.
ე, მაშინ დავწერ, ისევე დავწერ,
უამრავ ლექსებს ისევ უფალზე.
ისევე დავწერ... ისევ ვიმღერებ
უფლის დიდებას მშვიდობის ხმაზე!!

არ გავიწირებით!

სამშობლო მეძახის,შენთან ვარ მამულო!
უფალი დიდია, არ გავიწირებით,
არ გვინდა ომები! არც ჩვენთან, არც სხვაგან,
არ გვსურს სისხლისღვრა,არაფრისდიდებით
დავიცვათ ლოცვებით ჩვენ, ჩვენი მიწისა,
თითო კენჭი და თითო მტკაველი,
უფალსა ვთხოვოთ, რომ შეგვაძლებინოს,
გამთლიანება ჩვენი მხარესი,
ყველას გვჯეროდეს, გვწამდეს, ვირწმუნოთ!
ღვთისმშობლის მადლით არ გავიწირებით!

დრო დგება!

ზოგჯერ, სიყვარულიც ჭკნება,
გულში ხალისი კვდება,
დრო მიდის, არ ჩერდება,
თმაში ჭაღარა ჩნდება.
გული რომ გარდაიცვლება,
სული ცოცხალი რჩება.

ეთერ ისაკაძე

ფოლადის ღვედი

შენ, რად იშენებ სასახლეებს
სტუმარო სოფლის,
ანწლიკას ღობემ დაიჭიროს
სიმდიდრე შენი,
როცა ხალხს სტკივა, დედა ეძებს
შვილების საზრდოს,
გაოცებული შემოგვყურებს
უფალი ზენით!
დღეს რა ვიფიქროთ,
რატომ ხოცავთ სკამისთვის
ერთურთს,
რომელ სახელზე მაღლა არის
ღირსება ჩვენი,
რას ეუბნებით, როცა მიხვალთ
იმქვეყნად წასულთ,
ეს ის ხალხია, ოდითგანვე
სიბრძნისა მჩენი?!...
კმარა სიხარბე,
ორთავე ფრთის ურცხვი გნიასი,
ჭკუას მოუხმეთ, არ გასწიროთ
ქვეყნისა ბედი,
დროა მოთოკოთ ცხარე ვნება,
ბოღმა ტიალი,
შემოუჭირეთ სადავეებს
ფოლადის ღვედი!

უწმინდესს

როგორც აროდეს არ დაილევა
ღრიალი თერგის,
როგორც აროდეს გამოილევა
ნისლები მთების,
როგორც აროდეს არ გაქრება
ალპებში – ყვავილების ზღვა,
ასევე იყოს თქვენი
სიცოცხლე კვლავ!
ახლიდან შეუსხამთ
კლდეებს ფიჭვები,
თქვენ არ გასვენებთ
ჩვენზე ფიქრები -
რას მოვიმოქმედებთ,
როგორ ვიქნებით ხვალ!
ყოველი დღე,
ჩვენ გვიხარია თქვენით,
იმედი ხვალის,
თქვენი ხილვაა ამბიონზე,
ღმერთმა ძალა მოგცეთ,
კვლავ ყველას დაასწარით,
ლოცვა ალიონზე!
ჩვენ თქვენთან ერთად
გვინდა ვიხილოთ
გაბრწყინება საქართველოის,
თქვენი ქადაგება
გვიკვალავს გზას,
უფალს მივეგებებით,
რიდით და კრძალვით,
დავუფენთ პალმის
რტოებს და ბზას!
დედა ღვთისმშობელი მოგვანიჭებს
გატანის მადლს,
ყოვლისშემძლე უფალი მოგვიხსნის
გულიდან დარდს,
თქვენი წინამძღოლობა,
არ მოეშალოს სამართლმადიდებლოს,
ჩვენ წინ დაგიფენთ
უდიდესი კრძალვით –
იას და ვარდს!

საახალწლო

ჩემი უბრალო სიტყვა მაქვს,
სხვისებრ არ არის კაზმული,
მკერდში გამთბარი გულ მიძგერს,
ერთ თხილს რომ იყოფს –
ცხრა ძმური!
სხვა ქვეყნად არა მინდა რა,
მაქვს უტკბილესი წადილი,
არ მინდა – გოჭი, საცივი...
მაქვს: პრასა, მჭადი, ღანძილი...
დრო მიჰქრის, ელვის სისწრაფით,
დრო, ძვირზე ძვირი საშური,
გურიას მოვეფერები,
მიყვარს ბროლოსან-ხაშური!
მრავალ ახალ წელს დაესწართ,
ძმამ ძმისთვის დასდოს თავია,
შემოგვაფარე შენს კალთას,
ამას გთხოვ დედა-მარია!
შვილებს მშობლები უცოცხლე,
შვილიშვილთ – ზეცა მზიანი,
შენ გაგვითენე უფალო,
დღე ხვალის – იმედიანი!

* * *

ბეთლემის ბაგად
ვაქციე უბე,
მოდი უფალო,
გთხოვ დაიბუდე...
ეს გზაა სწორი
სხვა გზაა მრუდე
მოდი უფალო,
შენ გაიკეთე
ჩემს სახლზე ბუდე...
ბოროტებასთან
დამღა და ზღუდე,
მოდი უფალო
ძლიერ მჭირდები
უმორჩილესად
გთხოვ დამიბრუნდე...
მსურს განვიბანო
ცრემლით აივსო
ჩემს თვალთა უპე,
მოდი უფალო
შენ მანუგეშე
დამიშრე გუბე...
ბეთლემის ბაგად
ვაქციე უბე!

სალომე გვარამიას

შენ შეგისრულდა თხუთმეტი წელი,
საოცარია...
დრო როგორ გაქრა,
გუშინდელივით ახსოვს ბებიკოს,
შენი გაჩენა, მოსვლა და გაზრდა...
პირველი სხივი შენ იყავ სალი,
მთელი სამყარო შენთვის მინდოდა,
ლექსებით გული
შენ მოგიძღვენი,
მატრიალებდი, როგორც გინდოდა!
მადლობა უფალს სილამაზისთვის,
სიკეთისათვის, რომ იშვა შენში,
ადამიანად დარჩი ბოლომდე,
იშვიათია დღეს რაიც ჩვენში!
მინდა მშვიდობა გისურვო სალი,
შენს თვალსაწიერს
ერგოს ცისფერი,
ყველა სურვილი აგსრულებოდეს,
ჩემი სალომე იყოს მზისფერი!

ჩვენი სანთლები

ჩვენი სანთლები
ტიროდა ტაოს,
ჩვენ წამოვედით
ისინი ენთო,
არ გვეთმობოდა
იქაურობა,
ქუხდა სიცოცხლე
იმქვეყნად ერთდროს!
ჩვენი გმირების
სულის საოხად,
წირავს მამაო
ტაოს,,ოთხთაში,''
საკურთხეველში
ვიხილეთ წირვა,
თურმე რა ხდება
ღმერთო ოთახში?!
უფლის სისხლს და
ხორცს
თანაზიარნი,
მამაოს თვალნი
ცრემლით სავსეა,
არ დარჩენილა
ტაძარში მრევლი,
უფლის დიდების
ყველა მაცნეა!
იქ გვერდით, ტაძრად
დიოდა წყარო,
ასკილს ეხარა
ხასხასას, წითელს,
სამი ასკილი
წირვას დაესწრო
აღდგომის კვერცხი
ინატრებს იმ ფერს!
დათლილი ქვები
გროვად დაყრილი,
მეწყერს ემძლავრა
ტაძრად
შერომსკდარს,
გადაუვლია
ვინ იცის ერთ დროს
უწკრიალია
დედა ხორეშანს!
ცრემლით დავკოცნეთ
ტაძრის კედლები,
დავტოვეთ,
ღმერთო...
მიყრილ – მოყრილი,
გუმბათში სითბო
შემოდიოდა,
შარავანდედის სხივით
მოსილი!
საკურთხეველთან
ენთო სანთლები,
იწვოდა კვნესით,
ტანჯვით, წამებით,...
აივსოს ტაოს
კლდების მშვენება,
მომლოცველით და
წმინდა მამებით!

თეა ბარბაქაძე

*

მეტამორფოზა.

შენ უნდა გამათბო,
 შემცივდა
სანამდე შენამდე მოვედი...
შენ უნდა გამალღვო,
შენს სულში
გაყინულ ღმერთივით მოვედი...

მოვარდეს ტაეპის პათოსი,
 დალეწოს ძარღვი და აორტა,
ავჟანდი აწყვიტოს ლანქერებს
კრესტანბელს შენ თვითონ გარდმომხსნი

თავიდან
და
ასე – გიჟივით,
აწყვეტილ ოცნებებს აწვალებ...
ჩემს და შენს შორისაც მანძილსაც,
ეპოქამ გაგლიჯა სადავე...

ჩაცხრეს თუ ზეცამდე ავიდეს
ღრიალი – მოვარდნილ რითმების...
რაც ასაღვლენია აღვლინდეს,
როდესაც რითმებში ვლინდები...

რითმები გზებია შენამდე,
 ვერ გიტევ – ისეთი დიდი ხარ
და
მეტამორფოზა შენამდე –
კენოზისია თუ მითია?

*

ცად ატყორცნილი სიმფონია...

დრომ ვერ ალაგმა სიდიადე შენი ნათელის,
"ცად ატყორცნილი სიმფონია" – როგორც გეძახდნენ,
ყურს თუ მიუგებ გაიგონებ შენი ქვის მთლელნი,
შენში ლოდების სიმფონიას რატომ ხედავდნენ.

გულბოროტსაც და უსისხლოსაც სულს რომ უყინავ,
ოქროცურვილი დაგთამაშებს თითქოს თვალებში,
სატრფოს მარჯვენას, შენს ქონგურზე ამოუტვიფრავს
შენი თვალები – ქარვისფერი მტევნის ალები.

ცად აზიდული წამწამები, სალი ღაწვები
და ყვრიმალები – ხელთუქმნელი შენი ხატება,
ჩანჩქერებივით ცას მომწყდარი დალალ-კავები,
თხემით ტერფამდე ჩამოქნილი სანთლის ნათება.

რარიგად მოსჩქეფს მაგ თხემიდან ეგ დალალები,
ჩამოქცეული ცის კიდეთგან თითქოს ჩანჩქერი,
ციხის ჩარდახზე გადმოფენილ სხივთა ცილება,
ნუშის გულივით თეთრ ღაწვებზე სხივთა თარეში.

შენი თვალები – ცის ტილოზე უფლის კონტური,
რამდენ ლაჟვარდებს დაიტევდა შენი ხატება,
როგორც ყინწვისის ანგელოზი, გადმოხატული,
მოდიხარ, მოგაქვს ეგ სხეული – ტაძრის სახება.

სიყრმის პირველი ცოდვასავით ტკბილიც და მწარეც
და შეურყვნელი, როგორც ფხოვის ველის ყვავილი,
ყინწვისის წმინდა ანგელოზე, როგორ არ მწამდე,
ქვა კი აღარ ხარ, სიცოცხლე ხარ შენ ქვადყოფილი.

ბოლოს გაგემეს იმ ტკბილ ნაყოფს რასაც ელოდი,
მანამდე რამდენ ჭირს და ვარამს გამოგატარებს,
ვერ დატეული ეგ მშვენება, თეძამის ლოდის,
ჩემს და შენს ნაცვლად სვეტიცხოველს ალაპარაკებს.

ორ კერპს დაიტევს განა გულში ერთი არსება?
მიჯნურობას და ხელოვნებას როგორ გაუძლოს,
მაგრამ თვალები – სულთა ჩემთა ჯავარდენები,
 გამოჭედილი ფხოვის მთებში, ლექსად საუბრობს...

და ცას შესწვდება სული ჩემი შენი სიდიდით,
და როგორ გეტყვი, შენს ლაჟვარდზე რომ ცა – მეტია...
შენს და ჩემს შორის აღმართული კედლის სიდიდე,
თვით სვეტიცხოვლის სიმაღლეზე უფრო მეტია.

აკორდების გრავიტაცია...

ამაფრიალე ფოთოლივით, ცაში ამზიდე,
რომ ჩემი ფრთებით შეგეშველო სანამ შევძლებდი,
შენი შეწევნით არც ეგ ჯვარი არ არის მძიმე,
უფრო მადლია, ვიდრე ზიდვა შეუძლებელის...

თუ არ გინახავს, არ გსმენია, არ განგიცდია,
არ შეგხებია გულზე ფერთა ჯავარდენები,
ლავგარდანებზე ლაჟვარდები თუ დაგინთია,
თუ გადაგიწვავს პალიტრაზე აკვარელები...

ფოთოლცვენაა – აკორდების გრავიტაცია
და ფოთოლ-ფოთოლ აწყობილი ეგ რაფსოდია,
ჰგავს ქვაფენილზე გადაწერილ გრავიტაციას,
სხვა დანარჩენი რა მცდარია, რა აფსურდია.

ლექსის აკვანი.

რა სტრიქონ-სტრიქონ მოფარფატებ მინდა გარწიო,
როგორც აკვანი ჩემი ლექსის – გარწევ ყრმიანად,
ისე მომინდი მთელი არსით სულში დაგტიო,
რას დაგიტევდი პაწაწინა სულში მთლიანად...

ვით ჩემი ლექსის და სტრიქონის – შენ ხარ ვენახი,
ენა, მამული, შენს რწმენაზე თვალის ახელა...
უფალმა სადღაც გოლგოთის გზას მნახა შემდგარი,
შემეყუდნა და ჯვარი მხრიდან გარდმომასვენა...

გამომეცხადე მოხატული უფლის დიდებით,
მალე თეთრ ჩოხას შემოიცმევ ტანზე ნეფურად,
გული მიმდის და შენთან ერთად ისე ვდიდდები,
ყირმიზის ყელზე მოგეხვიო ვაზისებურად.

რა სტრიქონ-სტრიქონ მოფარფატებ
საღმრთო მადლივით
და შენი სულის იავნანა მბოჭავს მთლიანად...
ლიტურღიაზე გარდამოსულ სტრიქონ შეშლილი,
ხნულში ჩათესილ მარცვალივით დამაფრთიანა.

ცამდე ასული შენი ანბანი...

შენ, ჩემი რწმენის მტკიცე ასკეზი,
ჩაუქრობელი ლოცვის შუქურა,
შენი ეტრატი – ჩემი ემბაზი,
შენ მიწინამძღვრე ლექსის ქურუმად...

შენი სამყოფი – ჩემი ტაძარი,
სტრიქონის წნული – ვაზის ჩუქურთმა,
ცამდე ასული შენი ანბანი,
ჭიგოდან მესმის ღმერთის ჩურჩულად...

ჰორიზონტს წამსკდარ მელნის ღვარცოფით,
გადმოღვრილ სტრიქონს გიქსოვ ნუსხურად,
რომ კვლავ დიოდეს მირონი ერის
ქვებსა და ლოდებს და შენს ჩუქურთმას...

აკვნის ფესვიდან ამომსკდარ ყლორტებს,
კავები ცისთვის ლექსით მიუბამს,
ჰორიზონტს წამსკდარ მელნის ღვარცოფით,
დაგრაგნილ ეტრატს ტანი მიუგავს.

ფერთა არითმია.

ფუნჯებს მოგაშველებ იქნებ დამაჯერო,
რომ ეს რეალობა ტილომ დაიტია...
გულში ისე მომხვდა შენი ქეიბური,
ბოლო რეგენტს ჰგავდა ჩემი არითმია...

ისე ჩამიქროლებს, რომ გულს გამიჩერებს,
შენი საოცარი ფერთა არითმია,
შენი პალიტრიდან ჩამოფხეკილ ფერებს,
ისე აგროვებენ ფერებს არ ითვლიან...

რაც კი ბავშვობაში ვკრიფე ვარსკვლავები,
ღმერთად ავკინძე და შენთვის დამინთია,
როგორც ჩიტებისგან აკენკილი ღმერთი –
შენი პალიტრა და ჩემი არითმია...

გალას...

ნეტავ რითი ხარ გამოძერწილი,
როგორც შტორმის დროს – ჰქუხ'ხარ
რითმებად...
დღემდე ვერავინ შესძლო შეშლილი
შენარცხებოდა მარადისობას...
დღემდე ვერავინ შესძლო ლაჟვარდში
შეგებებოდა სიკვდილს სიმღერით...
ეს ლოცვა იყო, (როგორც ქრისტეში
მღეროდა ქნარი – მრავალი
ერის გამოსახსნელად, ცას შეწირული,
მამის მორჩილი პატარა კრავი)
– მრავალ პოეტთა გამოსახსნელად...

ნანა ჩარკვიანი

მინდა გიმღერო

მინდა გიმღერო იმ სიყვარულზე
ჩვენ,რომ სიწმინდედ გადაგვქცევია
და ერთმანეთის მონატრებაში
ღამეებიც კი გვითენებია.

მინდა დავხატო ის წრფელი გრძნობა,
ფერები ფუნჯით გვიხამებია,
სიყვარული კი,ბავშვივით წრფელი
გულით სათუთად გვიტარებია.

ვწერო რითმების კორიანტელით
ჩვენს სიყვარულზე, ზღაპარს ჰყვებიან.
შეყვარებული სულები თურმე,
არც კვდებიან და არც ბერდებიან.

მინდა გიმღერო ჩვენს სიყვარულზე
ისე ლამაზად ჩვენ, რომ გვჩვევია,
თუ ვერ გიამბე ცხადად სათქმელი
ჩემი ლექსები მოგიყვებიან.

დროც კი,ვერ შეცვლის სიყვარულს ჩემო,
როცა ვნებებიც არ ნელდებიან,
მონათესავე სულები, თურმე
მთელი ცხოვრება ერთად რჩებიან.

მინდა გიმღერო იმ ლამაზ წლებზე
ერთგულებით რომ გაგვილევია,
და სიყვარულით ავსილი თასი
ერთად ბოლომდე დაგვილევია.

შემოდგომაა

შემოდგომაა და ქარი
თანდათან ძარცვავს ხეებს.
შეშინებული ფოთლები
ჩუმად ითვლიან დღეებს.

ზოგან ნისლია აჭრილი
და გაბნეული მთებში.
ზოგან რთველია,ზოგან კი
შხეფს ყრის,მაჭარი ქვევრში.

ზოგან,ლხინია ქორწილი,
ძეობა, ჭერის გახსნა,
ზოგან გლოვაა,ტირილი
სანთელი იწვის თავთან.

ჭრელია წუთისოფელი
გამგები უნდა ნათქვამს,
ხან ბედი, ხან უბედობა
ჩამოიმუხლებს კართან.

არეულია მსოფლიო,
სადღაც ისვრიან ბომბებს,
არც შემოდგომა ადარდებთ,
არც გაზაფხული ზომბებს.

უფალო,ყველა პატარა
კარგად უმყოფე მშობლებს,
რა ეშველება ამდენ ქვრივს,
რა ეშველებათ ობლებს.

შემოდგომაა, ფოთლები
სულ კანკალებენ შიშით.
დედამიწა კი ტრიალებს
დროც ჩვეულებრივ მიჰქრის.

მაინც დარდი მაქვს,ბრმა ტყვიის
სადღაც,რომ ვიღაც ისვრის.
არა ომს! არა სისხლისღვრას
არა ბომბებს და სიკვდილს!

შემოდგომაა...ბუნებაც
მარჯნისფრად ფერებს იცვლის,
ხეები დამწუხრებული
ფოთლებისცვენას სტირის...

ბავშვობის ნოსტალგია

როცა ღამე შემოიცვამს ტანზე წყვდიადს,
ცაზე როცა,სავსე მთვარე დაგორდება,
ჩემს სარკმელთან ბებერ წაბლს რომ ესტუმრება,
მაშინ,ჩემი ფიქრის გორაც აგორდება,
რითმა– რითმა,დაეძებენ ნანატრ ხანას
ამ ბოლო დროს სულ ბავშვობა მაგონდება.
ჩემი სახლის მხიარული კედელ – ყურე,
უჩემობით ნეტავ ხომ არ დაღონდება.
იმ კედლებში ჩარჩენილი სიხარული,
სიყვარული და ბავშვური დამორცხვება.

რუდუნებით გამოზრდილი ცელქი გოგო,
ნაწნავები,მხრებზე წყვილად დაფენილი,
დედისაგან შეკერილი ჩითის კაბა,
და ბაფთები,თმებში ნაზად ჩაფენილი.
აივანზე სუფრის გაშლა,ვახშმის შემდეგ,
შაირები მამისაგან დაწერილი.
მერე ლაღი,ბედნიერი სიმღერები
და გარმონი,ოსტატურად გაწელილი.

ეხლაც მესმის იმ ვერხვების შარი– შური,
ჭიშკართან რომ მცველებივით დამდგარიყვნენ,
იმ ვარდების სურნელებაც ისევ მახსოვს,
უთენია მზის სხივებთან ამდგარიყვნენ.
ცხადად ვხედავ შაშვს,ყურძენს რომ შემოუჩნდა,
და შვილებით ტარაველზე დამსხდარიყვნენ.
ალადასტურს გაუსინჯეს გემო თურმე
და ყოველდღე,მისი წვენით დამტკბარიყვნენ.
ფეხაკრეფით ვაბიჯებდი ბალახებში
ფრინველები,ჩემით რომ არ დამფრთხალიყვნენ.

სათონიდან დედას პურის ოხშივარი,
ჩურჩხელები აივანზე გაკიდული,
იმერული,დასვრეტილი ხალმის ყველი
და ქვევრებში მოჩუხჩუხე მაჭრის სუნი.
ის ბავშვები წრეში ბურთს რომ ვთამაშობდით,
ეხლა უკვე,აქეთ-იქეთ დაფანტული.
სულ სხვა არის მონატრება ბავშვობის და,
სულ სხვა არის,ნოსტალგია მშობლიური.
თუმცა,უკვე წარსულია ყველაფერი
გონებაში ფაქიზად მაქვს შენახული.

მოხუცი ბებო
(ჩანახატი)

მოხუცი ბებო იჯდა ძელსკამზე
შემოდგომის მზე ეფერებოდა,
მისი მზერა კი,სადღაც შორეთში
მოგონებებში იკარგებოდა.

იყო დრო,ისიც რომ ანათებდა
სამყაროს მისი მშვენიერებით,
მაჭარივით,რომ უდუღდა სისხლი
და ივსებოდა ბედნიერებით.

ამოხეთქილი ვით სავსე მთვარე,
ბევრისთვის იყო ნანატრი ქალი,
მისი თვალები ნაპერწკლებს ჰყრიდნენ
ეხლა არიან დამშრალ– ჩამქრალნი.

თვლემს უხმაუროდ ბაღში ძელსკამზე,
მხრებზე მოსხმული უამრავ წლებით,
მოგონებებში გადაკარგული
და მინავლული ვნებით და მზერით.

ვხედავ და გულში მეღვრება სითბო,
მინდა ვემთხვიო დამჭკნარ ხელებზე,
შემოდგომის მზე, თვალს უკრავს მოხუცს
რომ შემომჯდარა გაღმა სერებზე.

მზეს ახსოვს მისი ახალგაზრდობა,
ეს წლები თითქმის ერთად გალიეს,
ახსოვს ანშლანგი იდგა სცენაზე,
როცა მღეროდა ქალი არიებს.

თითქოს სიბერის სუნი ვიგრძენი
ქარმა ფიქრები არი დარიეს,
დღეს ვინ ვართ,ხვალ კი რანი ვიქნებით
რით გადავლახავთ ჩვენ ამ ბარიერს.

მოვა დრო, ალბათ მეც დავბერდები,
თვალში ჩადგება ფარული სევდა,
გამვლელები კი იჩურჩულებენ
ეს ის ქალია, ლექსებს რომ წერდა.

მოხუცი იჯდა ძელსკამზე მშვიდად,
ბობოქარ წარსულს ვეღარ იმეტებს,
თითქოს ისევ დგას სცენაზე,მღერის
და კვლავაც ისმენს აპლოდისმენტებს.

ღრუბლები

მთებზე ჩამოთოვა
ბარში დადო თრთვილი,
გაწოლილან ცაზე
მორევიათ ძილი.
ზოგჯერ ააქვთ ფორმა
პაწაწინა ჩვილის.
ზოგჯერ ვეფხვის, ან და,
რქადაგრეხილ ირმის.

თვით უფალი ზოგჯერ
ეტლით დაჰქრის ცაში,
ეხლაც მიყვარს ცქერა,
როგორც ბავშვობაში.
ზოგჯერ მიზოზინობს,
ზოგჯერ დაჰქრის რაშით,
ზოგჯერ ქალი ჩანს და,
ზოგჯერ გველეშაპი.

ხან აიშლის აფრებს
ზღვაა მოლივლივე,
ხან შეიყრის წარბებს
მრისხანებით გვიმზერს.
ზოგჯერ არის მშვიდი
ღუნღულა და თეთრი,
მოღერილი ყელით
ვით ლამაზი გედი.
ზოგჯერ აირევა და
არ სწყალობს ბედი.

დაიღვრება ცრემლად
წვიმა მოდის თავსხმა,
მერე ცისარტყელას
გადაიცვავს კაბად.
მშვიდად დადის ცაზე
ღრუბლის თეთრი ფთილა,
როცა გაშავდება
უნდა ვიყოთ ფრთხილად.

ღრუბლებსაც აქვთ ომი,
ზოგჯერ ასეც ხდება,
ელვა და გრუხუნი
სადღაც მეხიც სკდება.
რას გაიგებს კაცი
რა ატირებს ღრუბლებს,
მათაც სტკივათ გული
მათაც უყვართ თურმე.

ღრუბლები

მთებზე ჩამოთოვა
ბარში დადო თრთვილი,
გაწოლილან ცაზე
მორევიათ ძილი.
ზოგჯერ ააქვთ ფორმა
პაწაწინა ჩვილის.
ზოგჯერ ვეფხვის, ან და,
რქადაგრეხილ ირმის.

თვით უფალი ზოგჯერ
ეტლით დაჰქრის ცაში,
ეხლაც მიყვარს ცქერა,
როგორც ბავშვობაში.
ზოგჯერ მიზოზინობს,
ზოგჯერ დაჰქრის რაშით,
ზოგჯერ ქალი ჩანს და,
ზოგჯერ გველეშაპი.

ხან აიშლის აფრებს
ზღვაა მოლივლივე,
ხან შეიყრის წარბებს
მრისხანებით გვიმზერს.
ზოგჯერ არის მშვიდი
ღუნღულა და თეთრი,
მოღერილი ყელით
ვით ლამაზი გედი.
ზოგჯერ აირევა და
არ სწყალობს ბედი.

დაიღვრება ცრემლად
წვიმა მოდის თავსხმა,
მერე ცისარტყელას
გადაიცვავს კაბად.
მშვიდად დადის ცაზე
ღრუბლის თეთრი ფთილა,
როცა გაშავდება
უნდა ვიყოთ ფრთხილად.

ღრუბლებსაც აქვთ ომი,
ზოგჯერ ასეც ხდება,
ელვა და გრუხუნი
სადღაც მეხიც სკდება.
რას გაიგებს კაცი
რა ატირებს ღრუბლებს,
მათაც სტკივათ გული
მათაც უყვართ თურმე.

ცხოვრების წესი

მარტო მოხვედი ამ ქვეყნად
შიშველი ხელცარიელი.
დედამ მოგხვია ხელები
და დაგაპურა მშიერი.

თანდათან წამოიზარდე
ენა და ფეხი ისწავლე.
ბავშვობა ლაღად გალიე
დიდობაში კი,იწვალე.

მუდამ შენს გვერდით იყო და
დედამ სიკეთით გაგზარდა,
სიყვარულსა და სითბოში
სამშობლოს ფასი გასწავლა.

მერე შენ გახდი მშობელი
მოირგე მშობლის მანტია,
გახსოვდა ვისი გორის ხარ,
აკვანი ვინც დაგარწია.

შვილებს გადაეც რუდუნით
მოყვასი როგორ უყვარდეს.
ცოცხლებს მიაგოს პატივი
მკვდრებს კი,საკმეველს უნთებდეს.

უფლის რიდი და კრძალვა კი
ძვალსა და რბილში გაუჯდეს,
სამშობლო არვის დაუთმოს
სისხლის ფასად,რომ დაუჯდეს.

ამ ქვეყნად,მარტო მოხვედი
შიშველი,ხელცარიელი
იმ ქვეყნად ვის წაუღია,
შენ რომ წაიღო მზითევი.

ხო და იცხოვრე ისე რომ
დღეები გაიმზიანო,
სული და ხორცი გიცხონდეს
არ შეცდე ადამიანო.

თუ რამ ზედმეტად გებადოს
შენს მოძმეს გაუზიარო,
სიცოცლეშიც და სიკვდილშიც,
რომ ცხონდე ადამიანო.

იოსებ ტაბიძე

კოხტა „JIPI“

გზებს მიიკვლევს ჩემი „ჯიპი“ ხმიანი,
მყუდრო სახლი, სახლი მოტორიანი,
ჩემი ავტო, იგავ ჩემი სახლია,
ერთგულია, უშიშარი, ნაღდია.
სადაც მინდა გულით იქით მივიწევ,
ჯერთ უნახავ ადგილებში მივიკვლევ.
გზა-გზა როცა აკვანივით ირწევა,
ჩემი გული შთაგონებით ივსება.
მახსენდება უზრუნველი ბავშვობა;
სოფელი და ხეზე ჩიტის გალობა.
საქართველოს შემოვივლი ამ გზნებით.
მთის ჩანჩქერებს, ტაძრებს დავენახვები.
თან, გზადაგზა ვნახავ უცხო ადგილებს,
ჯიპს დავაბამ, ფეხით გავნაირებ.
ვივლი ასე, შემოვივლი მთა-გორებს.
გზად წავიღებ წიწიბურას და ლორებს.
ვივლი ასე უკან არ დავბრუნდები.
შინ დავტოვე ყოველგვარი ხუნდები.
    გზას მიიკვლევს ჩემი ავტო ხმიანი,
მყუდრო სახლი, სახლი მოტორიანი.
ჩემი რაში, ავტო ორხიდიანი,
როგორც სატრფო, ერთგული და თმიანი.

მინდა ათასწლეულში საქართველო გადარჩეს

მინდა ათასწლეულში საქართველო გადარჩეს,
დიდი განვითარების ფერები რომ არ ჩაქრეს
ომები და მუქარა შინ და გარეთ დამთავრდეს,
მშიერი რომ არ იყოს, უსახლკარო დასახლდეს.
მინდა ათასწლეულში საქართველო გადარჩეს,
ხეები კვლავ დაირგოს, ქალაქები გამწვანდეს,
მინდა ათასწლეულში საქართველო გადარჩეს,
ხიდები კვლავ აიგოს და საზღვრები გამაგრდეს.
კლინიკები აშენდეს, ავადმყოფი გაკაჟდეს.
მინდა ათასწლეულში საქართველო გადარჩეს.
ოჯახები ბაღები და სკოლები გამრავლდეს.
ინტელექტუალური გამოჩნდნენ და არ გაქრნენ.
მინდა ათასწლეულში საქართველო გადარჩეს.
ეს ზღვა და ეს მთა-ბარი, მტერს უომრად არ დარჩეს.
წიგნიერი განათლდეს, მუქთახორა დამთავრდეს.
მინდა ათასწლეულში საქართველო გადარჩეს.
არჩეული მთავრობა პრობლემებით დაკავდეს.
მუშა კლავ მუშაობდეს, გლეხი სოფლად კვალს ხნავდეს.
მინდა ათასწლეულში საქართველო გადარჩეს.
ჩვენი ახალგაზრდობა ცუდს არავის ბაძავდეს,
დიდ მსოფლიოს ფერხულში ჩაერთოს და დასაქმდეს.
მინდა ათასწლეულში საქართველო გადარჩეს.
მიდამო და ჰაერი გაიწმინდოს, განახლდეს,
მინდა ათასწლეულში საქართველო აყვავდეს,
ეს სიტყვა და ეს ლექსი გამრავლდეს და გამართლდეს!

გაუფრთხილდი კაკალ გულს

გაუფრთხილდი კაკალ გულს, ნუ გასწირავ სრულიად,
ზოგჯერ მას ეს რჩევები ჰაერივით სწყურია: –
გულში წლები, დარდები, შხამები და შარდები
(თუ ვერ გშველის ქალები) ჩარეცხავენ წამლები.
თან თუ ადრე დაწვები და თუ ადრე ადგები,
დიეტაზეც დაჯდები, დარდს წალეკავს შარდები.
გაუფრთხილდი კაკალ გულს, ნუ გასწირავ სრულიად,
მას უგრიმო, გულთბილი მეგობარიც სწყურია.

ნეტავ იმ დღეს მოგვასწრო

მინდა მკითველს ვუწყო ახალი დრო იწყება,
რადგან ჩვენს გოჭს მამალი თაფლობის თვეს ჰპირდება:
– მოდი ჩემო გოჭუნა, შენზე კარგი ვინა მყავს.
შენნაირი წერწეტა მე არსად არ მინახავს
მე ვარ შენი საბედო, მე ვარ შენი ვაჟკაცი.
სულ თაფლის კვერს შეგაჭმევ თუ ცოლობას დამთანხმდი.
სურვილებსაც აგიხდენ, აბა, ვინ მყავს მჭობნელი?
ჩემი იმედი გქონდეს, მე ვარ შენი ჯოკერი.
    გოჭი თავს დაიფასებს, ჰკითავს – მაინც ვინა ხარ?
ისე ტკბილად საუბრობ, მგონი მართლა მიყვარხარ.
ვუსმენ მამლის პასუხებს იმედებს რომ იძლევა.
ნეტავ იმ დღეს მოგვასწრო, გოჭი რომ გაიზრდება

ოცნება მაქვს ასეთი

ოცნება მაქვს ასეთი, მინდა ყველამ გაიგოს,
სადმე სკვერში, ფერადი ნავის წყარო აიწყოს.
მოზაიკურ ფერებში ნავში წყარო რომ ჩქეფდეს,
რომ მწყურვალეს სიცხეში მწვანე იმედს მოჰფენდეს.
ზედვე აფრად გაშლილი წიგნს შვენოდეს ნაწერი:
„გაიმარჯვებს ის ერი, ვინც არის წიგნიერი!“

მზია გომართელი

* * * * * * * * * *

ლამაზ სიყვარულის ამბავი..
ახლა არ იწყება დამთავრდა..
სევდის ნაგროვებ ნარჩენებს
სიო გაშლის და გაფანტავს!
ცხოვრება ძალიან გართულდა..
ყოველ ნაბიჯზე რად გვტანჯავს...
რაც მქონდა ბოლომდე გავეცი
ჩემზე არ ვიფიქრე სხვებს დარჩა!
ფიქრებმა დამღალა ფიქრებმა,
ქარები დაძრწიან კარ-დაკარ...
გული ვერ ისვენებს გასძახის
"სადა ხარ, სადა ხარ...სადა ხარ"!!
ფოთოლთა შრიალი ჩამესმის,
მთებს სწვდება ჩურჩული წამისა...
ნათდება, იცვლება კადრები...
სიზმარი შორეულ ღამისა...
მოხვედი გამითბე ფიქრები...
ნალღობი.. გაყინულ გვამისა.
გამისაძლისე ცხოვრება..
მაჩუქე იმედი ხვალისა.
შემაშრე თვალებზე ცრემლები..
მთებს შორის მოწოლილ ღვარისა..
გაბზარულს დაადე სალტები..
შეფუთე სიმყარე ძვალისა.
მომფინე ბაგეზე ღიმილი
აშორე ღვარ– ცოფი ძალისა!
ჩათესე სიკეთის მარცვალი
იღვივებს იმედად ხვალისა.
ხიდი ხარ ზეცისკენ მაშვრალი
ოცნება სრულდება წამისა!!

უფალო შეგვინდე!!!

ღმერთო შეგვინდე, გვაკმარე
ასე მწარედ რომ გატკინეთ...
ყველა ჩვენსას რომ ვტირივართ,
გული რომ ამოგაგლიჯეთ.
ჩვეული შეგონებებით,
რომ ვერაფერი გვასმინე,
ერთ– ერთი ჩვენთაგანისთვის.
რაც გავიმეტეთ, არ ვინდეთ.
ამით რომ შენ გაზიანეთ,
ვერ მივხვდით ბრაზი განთხიეთ.
ზეიმები და ღრეობა საჩვენებლადაც ვაქციეთ.
ნამდვილი სიყვარული კი
ლამაზ სიტყვებად ვარშიეთ!
ნაცარი თავზე კი არა-
ერთ– ურთს ვაყარეთ ვაბრმიეთ!
არ შევინანეთ " მართლებმა"
ღირსებაც ბევრი დავტიეთ!
სიმართლის მთქმელი ვაშინეთ,
ჯვარს ვაცვით ზურგი ვაქციეთ...
მერე წინ გობი დავიდგით
ცრემლებით ვავსეთ..ვერ ვწიეთ!
თუ რამე ცუდი რამ ვქენით,
სულ სხვას ვაბრალეთ გავწირეთ...
ზეცაც კი გავინაწყენეთ,
თითქოს არ გვეყო რაც ვწიეთ.
ბუნება ისე შევცვალეთ,
ძვრები, ღვარცოფი ვადინეთ.
უფალმა რაც შთაგვაგონა
ვაბრუნეთ გვერდზე გავწიეთ...
ვერ ვხვდებით, უკუღმართობას
უფალი არ გვაპატიებს!..
სიყვარულს ვერ გავუფრთხილდით,
სასწორის პინა ვარწიეთ!
თავი ცრუ არწივს ვადარეთ
მართვენი დაგვრჩნენ..ვართ წიედ!
არ გაიყიდო სამშობლოვ..
არ შედრკე მხარი ასწიე..
მართვენი გამოგვიზარდე,
გმირ არწივებად აქციე...
ღირსება კვლავ დაგვიბრუნე
თავი სამოთხედ აქციე!!
უფალო კვლავაც შეგვინდევ
ცხოველი წყარო გვასმიე!!!

ღრუბლებს მინდა შევეფარო ცხადლივ..

ალიონზე მზე ავარდა ცაზე.
მინდა დარდი მიმოვფანტო ირგვლივ,
რად მაქვს გული ასე სევდით სავსე!
დაიკარგა შინაგანი სითბო,
სხივთა წნულში მოაქცევდა განცდებს.
თანადგომა გაუცხოვდა თითქოს,
მწარე სიტყვებს ვისვრით არად ვაგდებთ!..
ვეღარ ვმალავთ ფარისევლურ ღიმილს...
ირონია არ გვცილდება მდარე
ღმერთო იქნებ მივაღწიოთ ფინიშს,
აგვაცილე ნარ– ეკლიან თარეშს!
თვითკმაყოფილს საკუთარი თავით...
სხვის ტკივილებს ვეღარ ვიზიარებთ
ქედმაღლურად თავებს არწივს ვადრით,
ნიღბები კი გვრჩება სახის გარეთ.
მოამზადეთ გუნდრუკი და მური,
თავის დროზე მზადყოფნით რომ დავხვდეთ,
უხვი მადლით დაგვათბუნოს შიგნით...
დავეთხოვოთ ამ ზერელე განცდებს!
ვიდრე ზილო წებოვანი თიხა,
სჯობს მიუვალ მთის ჭიუხვებს აჰყვე...
შეჩვევაა უფრო მწარე ხვედრი,
დაცემული კვლავაც უნდა აღსდგეს!..
არწივი ხომ ვერ ელევა მთის წვერს..
მომაკვდავი წრეს დაარტყავს სალტოს,
მეფურადაც ეთხოვება თვისთემს
არწივები სულს ღაფავენ მარტოდ!
ცისარტყელებს შევერიო ცხადლივ,
ალიონზე მზის სხივს მინდა გავყვე..
ღიმილები მიმოვფანტო ირგვლივ,
აღარა მსურს ვიყვე სევდით სავსე!...

* * *

ბედისწერასთან თუკი დამარცხდი...
არ დაიდარდო შენ ხომ იბრძოლე.
ეგრე ადვილად რომ არ დანებდი...
და არც ცხოვრება გაიიოლე.
მუზავ ძლიერო ნუ გამიწბილებ
შემიმსუბუქე სავალი გზები..
ის რაც ჩრდილშია გაამზეურე
ნაკლები დარჩეს გულსაყრელები.
შანსი არა გაქვს გერქვას პოეტი,
თუ გულის სიმი ვერ შეარხიე.
თუკი ინტერესს ლექსთან შეხების...
ვერ გამოიწვევ, ვერ გააღვივებ!
თუ ლექსთა რითმებს ვერ აწყობ რიტმში,
ასაკინძავად ვით მარგალუტებს!
თუკი მკითხველი ვერას გაიგებს,
რის თქმას აპირებ რა გაჯახირებს!
ნურც გულს მოუკლავ შენი სევდებით...
აამღერე და თან ახალისე.
ცრუ იმედებით ნუ გააბრუებ
ნურც ცაში ტყვილად ამოგზაურებ.
გრძელ დითირამბებს ნუ მოუყვები...
არ ჩაკლა ვნება, ლექსთან შეხების!
ის უნდა იყვეს ტკბილი მალამო,
სხვა სამყაროში გადასახლების!
იქნება ლექსთან დამეგობრება–
არ არის შენი სტილი მონება!
უსასრულობა, ცად აღზევება
და უანგარო შენი ქონება!
ბედისწერასთან თუკი დამარცხდი...
არ დაიდარდო შენ ხომ იბრძოლე!
ამ უმნიშვნელი უფერო დღეეს
დრო შორს წავა და თან გაიყოლებს!

* * *

რა ძალაა სპეტაკ გულში ჩამარხული...
არ აშინებს სოფლის ბოღმა მწარე შური,
მას ღრმადა სწამს მოძღვრის
სიტყვა დალოცვილი,
გულიდან სჩქეფს სიყვარულის ნაკადული!
სულ ცოტა ხნით მოდუნდება მოწყენილი...
ქარიშხალმა თითქოს შესძრა მისი გული!
დროებითი შეყოვნება, არ გეგონოთ
რომ დაეცა..ვერ აღსდგება დაძალული!
სწორედ ამ დროს ემატება უხილავად,
უზომო და ღვთისნიერი სიყვარული,
გაგაკვირვებს..ნუთუ მართლა უზენაესს,
ანგელოზის ფრთებითაა დაფარული!
შრომა დიდი სიყვარულით არნახული...
ვერ ასვენებს მზრუნველი და სუფთა სული...
სჯერა მუხას ვერ ერევა ჯარი მუმლის...
მისი ძალა ცისკენაა მიმართული...
თითეული ყლორტის ნიშას უფრთხილდება...
ნაკურთხ სითბოს უნაწილებს დაფარულში.
დიდ ალერსში ..გვიან ხვდები გაბღენძილი...
სამშვინველში ქალღმერთია (თვით "დედაა")
შეფარული!!!

გოჩა ჭაბუკაიძე

ქ ა ლ ი❤

(ჩემს ნაცნობ,ნათესავს
და მეგობარ ყველა
მანდილოსანს)

მე ვადიდებ შენს განგებას🌹
მხიბლავს სიბრძნე მრავალძალი🌹
ყოვლადწმიდაო
სამება🌹
რომელმანცა შეჰქმენ ქალი🌹

სუსტი, მაგრამ თან ძლიერი🌹
მრავალ ტკივილის წამალი🌹
თანამგრძნობი, სახიერი🌹
შეჰქმენ ღმერთო ქვეყნად ქალი🌹

სულით,ხორცით მშვენიერსა🌹
ცრემლითა აქვს სავსე თვალი🌹
გამგებს და გულისხმიერსა🌹
ძალუძს გამოცლა სამსალის🌹

რომელიცა დაენიშნა
განგებითა მაღალ ძალის🌹
სიმტკიცე აქვს საოცარი🌹
შეუპოვარ კლდისა სალის🌹

რამდენს უძლებს მისი გული🌹
დამტევნელი ცეცხლის ალის🌹
ძალუძს დიდი სიყვარული🌹
ასეთი ჰქმენ ღმერთო ქალი🌹

შენი სიბრძნის მეხოტბე ვარ🌹
მომწონს შენი სამართალი🌹
გენიოსი ღმრთაება ხარ🌹
ნეკნისგან ვინცა ჰქმენ ქალი
❤❤❤

ადამიანი ცოდვის მონაა

სიწმიდეც ვარ სიბინძურეც...
სიმართლეცა და სიცრუეც...
განა ასე მე ვისურვე?
თიხას ოქროდ კი მიყურებ...

მეორე "მე"-ს

თუ არ ჰქვია სიყვარული,
მაშ რა არის მითხარი,
ჩიტივით თუ გიკრთის გული,
გახდი თეთრი მიტკალი

თუ არ არის სიყვარული,
მითხრა იქნებ რა ჰქვია,
ყინულს რამ გაგითბო გული,
მზე გეწვია ნამქრიანს,

თუ არ არის სიყვარული,
მაშ რა არის ამიხსენი,
გტკივა სული გტკივა გული,
დაგერია მძიმე სენი

თუ არ არის სიყვარული,
მაშინ იქნებ განმიმარტო,
ბავშვივით რომ ფეთქავს გული
ასე იყავ მარტოდმარტო?

თუ არ არის სიყვარული,
მას შენ თვითონ რას უწოდებ,
თუ სულელობს შენი გული,
გრძნობს რაღაცა შეუცნობელს

აღიარე რომ ეწვია,
მაგ შენს ზამთარს გაზაფხული
და სიყვარულის მზეწვიამ
გაგიცოცხლა მკვდარი გული

ჩემს შვილიშვილს, პატარა ელენიკოს

შენა ხარ ჩემი სიცოცხლის აზრი
ღმრთის სასწაული განუზომელი
გულს ვინც მიწყლულებს როგორც ისარი
მიყვარხართ შენ და შენი მშობელი

უფალი აბორტების უნანელ წყვილს

მე რომ ვქსოვდი თქვენ არღვევდით,
სულმოკლენო რად დანებდით?
არც ნანობდით ღვაწლნი სწიეთ,
ჩემნი შვილნი რომ გასწირნეთ

გაიხსენეთ გქსოვდით თქვენცა,
სიცოცხლე რომ გადმომეცა!
დაგაკელით ვინმეს რამე?
თქვენ კი სული გამიმწარეთ!

ჰოდა ვიდრე გაქვსთ ღა ჟამი,
არ დამდგარა ჩემი წამი,
შეინანეთ ღვაწლი სწიეთ,
რომ თქვენცა არ განიწირნეთ

სულის ტკივილი

არ შეხვდე,არ მიესალმო
ეს ყოფილა ძალზე ძნელი
ამბორი იყო მალამო
აწ კი არ ჰკრა ხელსაც ხელი

არ გახვიდე,შემოხვიდე
არც მიიღო არც მიხვიდე
გიყვარდესო მოყვასიო
ღმერთს რა ვუთხრა...
რით მივიდე...

მოგვენატრა ერთმანეთის
პატივცემა თანადგომა...
ჯვარით მხოლოდ ერთადერთით
ხსნას ველით და კვლავ აღდგომას

საიუბილეო ექსპრომტი ქეთის
(ჩემს უცროს შვილს)

არ იყავ ქვეყნად
დაბადებული,
ყველა ამბობდა
რომ "არის ბიჭი",
მე კი ვიტყოდი
გაკვირვებული,
"ღმერთმა ძლიერმა
ეს უკეთ იცის"!!!

"ვინც იყავ მსურდი,
რომ მოვლენოდი
ამ ჩვენ სამეულს
წევრად მეოთხედ,
როგორიც დღეს ხარ,
ასეთს ველოდი"
თქვა შენმა დამ
და ნიჭის მეხოტბემ

აღუთქვა უფალს
რომ "ღმერთო ჩვენო
ოღონდ მშვიდობით
იქმნეს ყოველი
მუხლჩოქვით მოვალ
და მოვილოცებ
ჯვარი იყოს
თუ სვეტიცხოველი"

მახსოვს ეს აღთქმა
რომ აღასრულა,
ცრემლი მახრჩობდა
შემყურეს მისას,
დიდხანს სიცოცხლე
არ მოგიშალოთ
უფალმა ქრისტემ და
დედამ ღმრთისამ

დღეს დაბადებას
ზეიმობს შენსას,
ოცდასამი წლის
უკვე გამხდარხარ,
მისი შვილების
ხმები მოგესმა,
გილოცავენ და
როგორ უყვარხარ;

და ვუერთდებით მეც
და დედიკოც
გლოცავთ ნიჭიერს,
მოსულსა ღმრთისგან
ასი წელი და იმაზე მეტი,
გაცოცხლოს
მანვე
ჯანმრთელად,დიდხანს,

რომ შენი
ბგერით დატკბეს,
იხაროს
ღმრთის გაჩენილმა
მსგავსად შენისა,
ვმადლობ განგებას,,
ნიჭი გიმრავლოს,
სადიდებელად ღმრთის
და ერისა!!!

მ ე გ ო ბ ა რ პ ო ე ტ ე ბ ს

ვისმენ ჩუმად,
თავდახრილი
კითხულობენ პოეტები
არის თურმე წარუშლელი
ცხოვრებაში მომენტები

ნათია ჯიქურაშვილი

ელენე დარიანი პაოლოს!

როგორ მიყვარს ყველა გზა
და მწვერვალები შენი,
სულ მოვდივარ ბეწვის ხიდზე,
შენ კი გზნებით მხვდები...
მონატრების კაეშანი
დამალულა გულში
ნაეკლარი, ნახანძრალი
ცარიელი წუთი...
როგორ გინდა შენთან დავრჩე
მარადიულ სარძლოდ,
როგორ გინდა... როგორ გინდა...
და არაფერს ამბობ.
გზები მაინც მომიყვანს და
წრფელი განცდით გეტყვი:
მაინც...მაინც აქვე ახლოს
მიღამდება დღენი.
მოფრთხიალე გული ბედავს
ამოვარდეს ბუდით...
შეაჩერე მხოლოდ ჩემთან
ეს ბედკრული წუთი...
წავალ...წავალ...და ვაი, რომ
უჩემობით რჩები
ათას ქალში ვერთადერთობ
შენი გულის ღმერთი...
როგორ გინდა ახლოს გყავდე,
ვერ გაგვყაროს დრომაც...
დამიძახე და სიამედ:
მოვალ... მოვალ... მოვალ...

ატლასის კაბა

ატლასის კაბა თეთრი მაქმანით
მარგალიტის მძივს ყელზე ეკიდა,
ასე იწყება ჩემი ზღაპარი
არ დასრულებას ისიც მღერის და ...
ცას პუანტები ეცვა სიფითრის,
მზე ღრუბლებიდან ანცად მიცქერდა,
წუთებსაც აჩნდათ ნაზი ღიმილი,
ბაგეს იპყრობდნენ ლამაზ სიტყვებად.
ფერხთით ზვაობდნენ ფილაქნის ქვებიც,
გზებზე წვებოდა იდუმალება,
ეს კალმახივით ფრთხიალა მკერდი
  ფეთქავდა წუთის ამღელვარებად.
გზებს ქარი კოცნის, უცებ მოვარდა
და აწრიალებს კაბას გიჟმაჟი,
გულში ვღიღინებ : შენთან მოვალ და...
გაცისკროვნდება ყოფის რიჟრაჟი.
მოვალ და ერთხელ წასვლას ვიმძიმებ,
დავტოვებ სურვილს, რაც გულით მინდა!
მერე ეს ზეცა წადილს იტირებს
დაეკიდება ცრემლებად სიტყვა -
ართქმული... რადგან უჭირს გამხელა
ის ვერგაშვების საგალობელი,
ჩურჩულებს, კვდება ბოლოს ბაგესთან
ვგრძნობ როგორ სწრაფად გაგიშვი ხელი.
მომყვება ქუჩა შენს მზერით ნაბანს
მზე მთვარეს უხსნის გრძნობებს დღეიდან,
მისტიურ წამში გაგიმხელს, ალბათ,
რაც მსურდა, მაგრამ მაინც ვერ ითქვა.
მთვარე შეიცვლის კვლავ ყოფის ალაგს
მზეს დააბნელებს, მკერდზე მიიკრავს
მე ფილაქანზე დავტოვებ ზღაპარს
ატლასის კაბის ნათელ თილისმად.
ჩაიწერს უბის წიგნაში ნაღდად
ამდაგვარები იცის თბილისმა
არდავიწყების დარჩება კადრად
ამ გულს სიამედ, სახეს ღიმილად.

დაე...

მე მაშინ დავწერ ლექსებს ტკივილზე
როცა სიხარულს სისხლი წასკდება,
როს ღვთაებრივად ზეცის ტირილზე
უფალი ჩემი ისევ აღდგება.
ბწკარში იმედებს ამოვამღერებ,
სულის ჭიგოდ და ამ დღის საფიცრად,
მერე რა თუკი თავის წილს ითხოვს -
სევდა და მისევს დარდებს ნატყვიარს.
არ მაქვს უფლება ლექსს წამოვკიდო,
თუნდ ამ ცა-მიწის ზღვა სატკივარი,
ტაეპი ღირსობს ცას გამოვკიდო,
როგორც აღმდგარი მკვდრეთით უფალი.
შვების ჩუქურთმებს ჩავწნი რითმებად
და მერე...მერე ათას ქარაგმის,
ეს პოეზია ბოლოს იქნება
მართალ იობის გზაზე დამდგარიც.
ჰო, მე არ დავწერ ლექსებს ტკივილზე
სიხარულს გავხდი გულში საწირედ
დაე, სიცოცხლე იმად მიღირდეს,
რომ აღმაფრენის შევხსნა კარიბჭე.

მცხეთის ქალაქს...

სვეტიცხოველს ისევ ადგას საუკუნო ნათელი,
მცხეთის ქალაქს მირონის სდის სიყვარულის სახელით,
შემოიცვამს ყველა წმინდას, სალოცავს და საკმეველს
გაბრიელი საფლავიდან რწმენას ამოამზევებს.
ზღაპარს ჰყვება ტრფობა ქვაში ჩუქურთმებად ჩაწნული,
სისხლის ცრემლით ისევ სტირის ვაზი ზეცად ასული...
ისევ... ისე დგას დიდებად, უკვდავებად ტაძარი
საქართველო აქ იწყება, საქართველო აქ არი!
მეფედმეფე გიორგი თუ ცალმხრივ გრძნობით ინთება
ზოგს უმართლებს განცდებში და
ზოგიც დარდს ერკინება...
მაინც სიყვარული არის ამ ცა-მიწის სათავეც,
დიდოსტატი ქვაში ჩაწნის თვით მიჯნურის დალალებს...
საგალობელს ქარი მღერის, ქონგურებზე წრიალებს
მცხეთის ქალაქს უფლის მადლი
მუდამ თავს დასტრიალებს.
რაც კვალს სტოვებს საუკუნოს, არაფერი მთავრდება
იბადება ლეგენდებად, მითებად და ზღაპრებად.
მცხეთის ქალაქს მირონის სდის სიყვარულის სახელით,
სვეტიცხოველს სანთელს ანთებს და
უკვდავობს ქართველი!

ილიას!

წიწამურში დღესაც ტირის მიწის თითო გოჯი,
იქ ილიას სისხლი ზვავობს ღალატით და მტრობით,
არ მესროლოთ, ილია ვარ! – სიტყვა ზეცას წვდება
"ბედნიერი საქართველო" მგოსნის გულში კვდება
საუკუნებს ვეღარ წაშლის მისი ნატერფალი
მადლიანი, ღვთისსადარი ვაჟკაცობის კვალი
კაცი ცისა, კაცი მიწის, ზეკაცური სულით
ცარგვალს იქით დღესაც ფეთქავს მისი სუფთა გული...
აღდგინებას თუ ვითხოვდი მკვდრეთით მხოლოდ შენი
საქართველოს დღეს სჭირდები ნიჭითა და გზნებით
რომ სწორ გზაზე, სწორი ხედვით იაროს და ჰკვალოს
თვისი წილი მიწა-წყალი, საომარი კალო!
შარავანდედს მოგფენს ღმერთი, მართალს, ერის მუშაკს!
თვისად უნდა კარგი ჰოდა მიტომ მიჰყავს უფალს!
შენს გზა-კვალზე ია-ია ამოვა და იტყვის:
საქართველოს დაუკარგავს ღვთისსადარი შვილი!

და სამსჭვალებში...

მთებს ერთგულებენ თეთრი ნისლები,
მათში გრძნობები რარიგ მყარია,
დაცემის წილად კვლავ აღდგინებით
ტანზე მოვიხვევთ ნისლის მანტიას.
ეს გრადაცია გვაძლევს ნაპირებს,
ფერებს ერევათ მუქი ტონები,
ხშირად ლაჟვარდი გაგვინაპირებს,
სიკვდილსაც აღარ მოვაგონდებით.
დაიწურება ყველა მინორი,
ესეც გაივლის– ამბობს სიზიფე
ლოდს თუ გამოცდად მუდამ ვითხოვდი,
ჯვარიც გოლგოთის მიტომ ვიტვირთე.
ეჰ, გადაცდომა ტირის სენაკში
დრო დაუყუჩებს, ალბათ, იარებს
ზოგჯერ რას გვაძლევს თითზე კბენანი?!
პირიქით უფრო გაგვატიალებს.
მთებზე ნისლივით სულსაც დავაწვენთ
და სიყვარულის ვრჩებით ერთგულნი
ვითხოვ ამქვეყნად ისეთს არაფერს,
მარად ცის თაღზე ენთოს ეს გული.
დარჩეს ისეთად, პირველქმნილ განცდად...
ის დღეც, რომელიც მიგვიყვანს ბედთან
ჩვენ შორის მხოლოდ სიხარულს ვკვალავ
და შენით ისევ მივდივარ ღმერთთან.
რარიგ სუფთაა სულის ბსკერიც კი...
დრომ ვერ წაბილწა მზერა, ღიმილი
და შენში მკვდრეთით ვდგები ღმერთივით
და სამსჭვალებში ფეთქავს ტკივილი.

მთვარისა ზეინკლიშვილო

ვერ მოაშორე თვალი სასწაულს

დილა ადრეან გამოეფინნენ
ცაზე ღრუბლები,
ცხვრის ფარას ჰგავს, შიგ შერეულან
თითქოს ბატკნები,
რა რიგ საოცრად მოუხატავს
დღეს თვით ბუნებას,
მზესაც ბეჭფართეთ გადაუშლია
სხივთა ნეკნები.

მე კი შევყურებ, ვერ მოვაშორე
თვალი სასწაულს,
ღრუბლის ქულები სხვადასხვა ჯიშის
ცხოველებს ჰგვანან,
შორს დასალიერს, მთის წვერებზე,
ტაძრების ჩრდილში,
მარადმწვანენი ნაძვნი და ფიჭვნი
კაცნივით დგანან.

ამ ცივ ნოემბრის, კიდევ ერთ დილას
ვნომრავ ამ ლექსით,
ცხელ ყავის სურნელს შემოვახვევ
მეგობარ მუზას,
ცას მოვატარებ, ერთად შევქმნით
მცირე ნაპწკარევს,
თან მივახატავთ გულს, ჭრელ კალმახს,
უხმო მედუზას.

საოცარი დედამიწა

რა ლამაზია ეს დედამიწა,
წყლები, ტყეები, მწვერვალები მთის,
როცა ვუყურებ საოცრად ვტკბები
და უნებურად ცრემლებიც კი მდის.

რა მშვენიერით, უსპეტაკესით,
სუფთა ჰაერით ვცოცხლობთ
და ვხარობთ,
მსურს დედამიწას გადმოვაძახო,
მაღლა ზეციდან რომ მიყვარხარო.

ამ საოცარი მიწის კუნჭული,
ტურფა წალკოტი ჩვენი ხვედრია,
უფლის ხელთქმნილი ჩემი ქვეყანა,
საუკეთესო და შედევრია.

კიდევ ერთი შემოდგომა

შემოდგომის ღამე უკვე მწუხრის ჟამს
ვერ იტევს,
მის თავთით კი სავსე მთვარე ზამთრის
ელფერს იღებს,
მთა, ტყე, ველებს, არემარეს ცეცხლის
ფერი მოსავს,
ლექსიც ასეთი გამოსდის,
გულდათუთქულ მგოსანს.
ცაზე კამარა შეუკრავთ
გადამფრენელ ფრთოსნებს,
ნახატები შეუქმნიათ კლასში
ფრიადოსნებს,
კიდევ ერთი შემოდგომა გაიხურავს
კარებს,
გაძარცვული ხის ფოთლებიც
გაჰყვებიან ქარებს,
გზა კვლავ წავა თავის გზაზე,
გადაიხდის ვალებს,
მთვარის ცქერა კვლავ ახარებს,
ჩემს სევდიან თვალებს,
შემოდგომის ღამე ისევ, კვლავ ქედს
უხრის მთვარეს!
მზესაც კრძალვით ელოდება გრილად
მოელვარეს.

კინო ცაზე

ცას ცეცხლი უკიდებია,
ფერფლად ცვივა მიწაზე,
კინოსავით ვუყურებ,
ჩემს დაორთქლილ მინაზე.

ოქროსფერი ხალიჩა,
ნამს მოურწყავს ჯინაზე,
ფოთოლიც ვერ შრიალებს,
თითქმის ზამთრის მიჯნაზე.

გამხმარ ბალახს ეტყობა,
მზის ფერების სინაზე,
თუმცა მეტად იწვიან,
მის სხვივების ბზინვაზე.

ფოთლები კვლავ ჩქარობენ,
ჩამოდიან მიწაზე,
ბუნების წესი წესობს,
თითქმის ზამთრის მიჯნაზე.

შემოდგომას ვარ

შემოდგომას ვარ, მაგრამ მაინც
მივიწევთ ზემოთ,
არ დავეშვები ქვემოთ ,,ჩემით" ალბათ
არასდროს,
ჩემთვის არასდროს იარსებებს
,,ალბათ" დაღმართი,
თუმც ცხოვრებასთან ჭიდილი მაქვს
მუდამ ამავდროს.

მე შემოდგომის ფოთოლივით ქარს
ვეჯიბრები,
მყარად ვერწყმევი, შემართებით მე
ჩემს სამყაროს,
არ მივცემ ნებას და უფლებას დროის
ქარტეხილს,
რომ მე სიცოცხლის იარაღი ძალით
ამყაროს.

არ დავეცემი, მე ისეთი ჯიშ– ჯილაგის
ვარ,
ამტანობა და მოთმინება მაქვს
სისხლ -– გენებში.
ღმერთის წყალობით და მის ნებით,
დიდება უფალს!
ქართული სისხლი კვლავაც მიჩქებს
ჯანმრთელ ვენებში.

გეფერები ნოემბერო!

მომწონხარ და გეფერები,
ოქროსფერო ნოემბერო!
მინდა შენთან ვინებივრო,
მინდა სული შიეგიბერო!

აგიშრიალო ფოთლები,
მოგილექსო, მოგიმღერო,
შენი ბაჯაღლო ტყეები,
ჩემს ექოთი გავაჯერო!

შენი მოტრფიალე რომ ვარ,
მსურს ამაში დაგაჯერო,
ვისურვებდი ზეწრად ფოთოლს,
თან საბნადაც წავიფარო!

ჩაგეკონო, ჩაგისუნთქო,
ეს წალკოტი შევიფერო,
კიდევ მეათასედ გითხრა:
შემოდგომავ მიყვარხარო!

წუხელ სულ სხვა იყო მთვარე

წუხელ სულ სხვა იყო მთვარე,
ნეტავ რამეს ხომ არ წუხდა,
ცაზე თითქოს ჰქონდა ბრძოლა,
ცა კი გრუხუნებდა, ქუხდა.

ხანდახან იცვლიდა ფერებს,
მთვარე, იდუმალი მთვარე,
უცებ გადედოფლდა, ვაჰ მე!
ჰქონდა ვარსკვლავთ სავსე არე.

სარკმლით შევამჩნიე უცებ,
დიდხანს ვერ მოვწყვიტე თვალი,
თითქოს მიყურებდა შორით,
მეც ცქერის დამედო ვალი.

ვერც მე მოვარიდე თვალი,
გავხდი მოხიბლულად მთვრალი,
მარტო ვერ დავტოვე ცაზე,
გავწირე სასთუმალი.

წუხელ სულ სხვა იყო მთვარე,
სულ სხვა ჰქონდა იერფერი,
მთვარე ბრწყინვალებდა ცაზე,
ედო სვეტიცხოვლის ფერი.

გვანცა პაატაშვილი

დაღვინდი???

რეკავს ტელეფონი, უკვე გვიანია...
შენი ნამთვრალევი ხმა ოთახს ედება,
ამბობ, მაპატიე ამ დღეს უჩემობა
ეს ხმა ნაპატიებ გრძნობებად მეღვრება...
უკვე გვიანია, ვიცი, რომ ვერ მოხვალ
ნუთუ მოვიტოვეთ სიგიჟე ასეთი?
მაინც გამიელვებს ცოდვით ნაფიქრალი
თავზე ხელს აიღებ და ჩემთან გაჩნდები...
რეკავს ტელეფონი... უკვე მერამდენედ
ამივსებ სიტყვებით დაღალულ ლოდინებს
დაღვინდი? არ მჯერა ასეთი გარდაქმნის
შენი ხასიათი მრავალ ომს მოიგებს...
გარიჟრაჟს მიენდო ჩემი უძილობა,
უშენოდ სიზმრებიც არაფრით მწყალობენ
დაღვინდი? არ მჯერა ასეთი გარდაქმნის
კარი კი მივხურე, მაგრამ არ ჩავრაზე...

დეკემბერი, დეკემბერი...

დეკემბერი, დეკემებერი
იყო ალბათ დამნაშავე
შენ დამსხვრეულ სიტყვებს შორის
ყველა აზრი გადამალე...
შეღამებულ დროს არჩიე,
სიტყვის ორთქლი ლანდად ჩანდა
ყველა ნასუნთქს შიშით ვუცქერ,
იქნებ ერთი სიტყვა დაგცა.
დეკემბერი, დეკემბერი
იყო ალბათ დამნაშავე,
მე რომ სწრაფად გაგექეცი
და სიცივეს დავაბრალე.
დეკემბერი, დეკემბერი
აივნიდან ჩრდილი ჩანდა,
დეკემბერი, დეკემბერი
შენი უთქმელი დაგრჩა რაღაც...

* * *

ოცნების ფერი გაიხლართა რეალობაში
და უკვდავება მიმალული დუმს სამარესთან...

დღეს გაზაფხული ფოთოლცვენის გახდა მხილველი,
დღეს მზიან თოვლზე გვრილების დადგა რიგები...

სველი ღრუბლები დაარბიეს სხივებმა დაწვეს,
და ამ სხივებმა ჩემი ჩრდილი ასფალტს წაართვეს...

მე დავაბიჯებ ამ გადარეულ სამყაროს შიგნით
და ეს სამყარო ჩემს სხეულში ისვენებს ფიქრით...

ღამის სიმუქემ მხედველობა წაართვა მთვარეს,
და მისი შუქი ვეღარ მისწვდა ოთახის ფანჯრებს...

მე ამ სამყაროს შემოვარტყი ოცნების ბადე,
მან რეალობის იარაღით გამტყორცნა ცამდე...

დრო მიდის...

მიგორავს, ურემი მიგორავს,
თან მიაქვს ზღაპრების გუდა
გუდაში ჩამსხდარან დევი და
ჭინჭრაქა, მეფეც და წუნაც.
მიგორავს, დღეები მიგორავს,
თან მიაქვს წარსული ფუთით
ჩამსხდარან ბებია-პაპები
მეზობლის ღობეზე ჩხუბიც...
მიდიან, მიდიან, მიდიან
დღეები კადრებად, წყებად...
ვხედავ, ღიმილიან სახეზე
ნაოჭი ჩნდება და კრთება.
მიგორავს ურემი ზოზინით
თან მიაქვს შეხვდება რაც კი,
ჩამოდით! ჩამოდით! ვეძახი-
ბავშობის ფერებს და წადილს...
მიდიან დღეები, მაშ როგორ?!
ბრუნავს დედამიწა ბრუნავს...
ბავშვობის დროინდელ დარაბებეს
ასაკი ყოველ წელს ხურავს.
მოდიან ახალი წლები და
ცვდება გემოები ძველი,
დავეძებ გარდასულ შეგრძნებებს
ბალიშის ქვეშ ნაპოვნ ძღვენის.
მიდიან, მიდიან, მიდიან...
წუთები მალვით, ხან ცხადად
ჩამოდით! ჩამოდით! ვეძახი-
ბავშვობას, სილაღეს, ზღაპარს...

ელენეს

ექვსი თვეა რომ ვიცი, არსებობ,
რომ სადღაც შენი გული ხალისობს,
ვიცი რომ გავხარ თოვლის გუნდას და
მეშინია რომ ხელში ჩაგიდო...

იცი? სულ ვხვდები როდის ბრაზდები,
როდის მჟავდება შენი განწყობა.
ვშიშობ, უკვე რომ იქნები დიდი
გაბუტვა ისევ თუ გეყვარება.

პირველად ალბათ შენც დედას იტყვი,
მამის თქმა ალბათ დაგეზარება,
მაგრამ რა იცი ქარიან ღამეს
ნუშის ძებნაზე რა მემართება.

ექვსი თვეა რომ ვიცი, არსებობ,
რომ სადღაც შენი თითები ტოკავს,
ჩემი გენები შენში ყვავილობს
და ჩემი დიდი ოცნება მოგაქვს...

* * *

მედიდგულები ჩემო მზიანო
ვაზის ფესვებში ჩაწნულო მიწავ,
ღვინო შენს ძირძველ ძარღვებში მდენი
და ალაზნებით ნაკურთხი მიყვარს.
ქიზიყში შენი მცხუნვარე გული,
გობორზე შენი ცივის მთა მიყვარს,
შენი ველები იორთან ყვავის,
შენი სიმაღლე მთა-თუშეთს მისწვდა.
მედიდგულები გრემით, ნეკრესით,
შიოს მარნით და შუამთის ხედით,
შენ ალავერდის დამტევო მხარევ
ლურჯი კვეტერით თავად ცას სწვდები.
დგას ყვარლის მთები ამაყი შვილით,
დგას იყალთო და აკადემია,
ცოდნის და სიბრძნის გამომწრთობელი
გზა რომ გაუხსნა მრავალ გენიას.
გულზე მადნები ჩემო თელავო
პატარა კახის, პატარა სახლო
კავკასიონის თვალწარმტაცებას
შენგან დანახულს რა სიტყვა ვკადრო?!
სიმღერით იტყვი სათქმელს კახეთო,
ქართული სიტყვის სულით დამტარო
შენი ბებერი მხრებით მოტანილს
ჩემს საქართველოს კვლავ შენ სდარაჯობ.

ბრწყინვალე შვიდეული

მაისი მომწიფდა და სიცხით აჟრჟოლებს,
სიმწვანით იფარავს ნაზამთრალ სიშიშვლეს,
ქუჩაში მტვერია და ცხელი ხმაური
სჩანს ფერისცვალება როგორც სასწაული...

მკერდმოღეღილი და სუნთქვა აჩქარებით,
მაისი აღმართებს მიარღვევს სისწრაფით,
მე სევდით შევცქერი გაზაფხულს მილეულს
და მისი სიცოცხლის ბრწყინვალე შვიდეულს...

პოეტი ვარ???

მე?
მე პოეტი ვარ?
არ ვიცი, რა გითხრათ...
რითმები მოდის და წვიმებად მაცვივა,
ფოთლები სიტყვების პალიტრას მიგებენ,
ფიფიქები სტროფებად თოვლავენ გარიჟრაჟს.
მე?
მე პოეტი ვარ?
არ ვიცი, რა გითხრათ
ლექსები ამხელენ ყველა ჩემს ნაფიქრალს,
სულში მიძვრებიან ლურჯი აპრილები,
შინდებიც , ჭერმებიც ლექსებად ყვავიან.
მე?
მე პოეტი ვარ?
არასდროს არ მითქვამს,
თუმცა სტრიქონები მძივებად ამიბამს.
მიწიდან ზეცამდე სულ ერთი სიტყვაა
ამოვთქვამ გულიდან და სად არ წამიყვანს.
მე?
მე პოეტი ვარ?
პასუხი არც კი მაქვს,
მხოლოდ გადამწერი მიჯობს რომ დავირქვა,
ღმერთმანი, ლექსები სულ თავად მაკითხავს,
ვითომ პოეტი ვარ?
 აბა მე რა გითხრათ...
..
კარის დაკეტვის ხმა და
 დავიშალე...
კიბეზე ნაბიჯების ხმა და
 წავიშალე...
ოთახიდან შენი სუნი გაქრა
ჩემი გულიც გაყვა...
ჩემთან სევდა დარჩა...
შენ კი...
სად ხარ ?
სად ხარ?
სად ხარ?..

ვეძებ სიკეთეს...

ქუჩაში გეძებ როგორც მათხოვარს,
შენს ხელებს ვეძებ ჩემსკენ გადმოწვდილს,
ბავშვებში გეძებ მიტოვებულში,
მათ თვალებს ვეძებ ჩემსკენ გადმოხრილს.
მოხუცში გეძებ მიუსაფარში,
მჭკნარ სიბერეში ჩემს წინ დამხობილს,
გეძებ ჩემს თავში, ჩემს ზნეობაში
ცისკენ ახედვის გამბედაობით.
გეძებ ჩემს მიმართ სხვისგან მომართულს,
გეძებ ხურდებში ჯიბეს ჩარჩენილს,
გეძებ უშენოდ შექნილ ქაოსში,
ვეძებ შენს ადგილს ამ საყაროში.

* * *

ღვინისფერ დღეებს რაღა გამოლევს?..
და ეს ოხერი ქარიც რომ დაძრწის,
თითქოს სავალ გზას უფრო აშორებს,
სიცოცხლეს მხრებით მივათრევ ძალით.
გარდაცვლილ ხეეთა შიშველ ტოტებზე,
ეული ფოთლის, ეული ლანდი
ხო, მეც ასე ვარ დღეს შენს გარეშე,
ვეღარც მოვფრინავ და ვეღარც გავხმი...
უცეცხლო მზეებს რაღა გამოლევს?..
დაუმთავრებელ დღეებში ჩადის,
იქნებ არც კი ხარ, იქნებ გიგონებ?
იქნებ ლოდინად ამაოდ დავშრი?..
შეფარულ ნისლებს ავად გამოშლილს,
ნოემბრის ხელი შემირევს თმაში
ვიცი, რომ ისევ გავშავთეთრდები
ვიცი, ყველა კვალს ფიფიქები წაშლის...
ღვინისფერ დღეებს ნისლი გამოლევს
და ეს ოხერი ქარიც სულ დაძრწის,
მოდი! ძვირფასო თორემ მაშინებს,
შენ და გაზაფხულს თუ აღარ დაგხვდით.

ჩვენს ივლისებს ვერ აგრილებს წვიმები

ჩვენს ივლისებს ვერ აგრილებს წვიმები,
წლებს თითებზე მალე ვეღარ დავიტევ
ჟრუანტელი??? ისევ ზღვა მზისებრი,
სიყვარული??? ახლა სხვა აქვს მიზეზი...
ჩვენს ნოემბერს ვერ ათეთრებს ფიფქები
წლებს ელენეს ნაკვალევით დავითვლი
ჟრუანტელი? შენს ზარს ისევ თან ერთვის
სიყვარული? ახლა მეტად ძლიერი.
ჩვენს ზღაპარში ვერ იმარჯვებს გრძნეული
თუმც ცხოვრებამ მრავალ ომში გაგვიხმო,
მე ათასი მოლოდინით დაღლილი,
მეათასედ მზად ვარ კარი გაგიღო.
ჩვენს პორტრეტებს თუმც ნაოჭი შევნიშნე,
თუმც მრავალმა სევდამ გადაგვიარა,
სიყვარულმა ამ ნაოჭის მოხდენით
უფრო მეტი ეშხით გაგვამზიანა.
ჩვენს შუქ-ჩრდილებს ვერ აბნელებს ზამთრები,
წლებს თითებზე რახანია არ ვითვლი,
თუმც ჭარაღაც შეგვრევია აქა-იქ
თმას შენს გამო კვლავ თამამად გავიშლი.
ჩვენს ივლისებს ვერ აგრილებს წვიმები,
ვერ ერევა დროთა ქარტეხილები
ჟრუანტელი??? ისევ ზღვა და მზისებრი
სიყვარული? ღმერთო! როგორ ძლიერი...

პოეზია

ყველაფერს აქვს პოეზიის სუნი,
ყველაფერს აქვს პოეზიის ფერი,
ვუყურებ და ლექსად ვიბადები...
ვუყურებ და ისევ ლექსად ვკვდები...
ყველაფერს აქვს პოეზიის გემო,
ყველაფერს აქვს პოეზიის ექო,
ყველა სეზონს მოაქვს სტრიქონები,
ყველა ამინდს ლექსით ვეგებები...
ყველაფერს აქვს პოეზიის გრძნობა,
ყველა დროს ქრის პოეზიის სიო,
გავრბივარ და მაინც ვიხლართები
რითმებისგან როგორ დავეღწიო?!
დრო მიდის და პოეზია რჩება
დრო რას უზამს გალაკტიონს, ვაჟას?!
ლექსებია ჩემი სუსტი მხარე...
ლექსებია ჩემი დიდი ძალა...

სიყვარული ნუთუ ისევ აპრილია???

ლამპიონთან წვიმა ისე ნამდვილია
გარდაუვალ ზამთარს ცრის და ცრის
დაღამება ახლა ისე ადვილია
უღიმღამო საღამოც ვერ მცვლის
ლამპიონთან წვიმა ისე გაგულისდა
შუქნიშნებთან ისეთ ფერად წვიმს
უკვე წამსვლელ, ხელჩაქნეულ ნოემბერთან
დეკემბერი მშვიდად რიგში ზის.
ლამპიონთან წვიმა ისე ნამდვილია
შემოდგომის ნათითურებს შლის
გარდაუვალ ზამთარს ვეღარ ეღობება
განლეული, სუსტი სხივი მზის
დაღამება ახლა ისე ადვილია
გათენება ახლა ისე ჭირს
სიყვარული ნუთუ ისევ აპრილია
რომ ამ ზამთრის გადატანაც ღირს.

ნუ მწერ...

ნუ მწერ, რომ გახსოვარ...
ტანჯვას ნუ გამიყოფ!
ნუ მეტყვი რამდენი წელია ჩვენს შორის...
რაც იყო წაიღო, წაიღოს დღეებმა
არასდროს ვიყავით მე და შენ ჩვენ ორნი...
ნუ მწერ, რომ კვლავ მიცდი...
იმედს ნუ გამანდობ!
ნუ მაძლევ შენს სულში ჩახედვის უფლებას...
ყოველთვის, ყოველთვის, ყოველთვის
მინდოდა
ჩემზე ნაფიქრალის უკან დაბრუნება...
ნუ მწერ, რომ გიყვარდი...
ვიცოდი...მაშინაც...
ახლა უთქმელობის კედელს კვლავ აგიგებ,
არასდროს, არასდროს ვიყავით ჩვენ ორნი,
ვყვიროდი მაშინაც,
მაგრამ ვერ გაიგე...
ნუ მწერ, რომ გახსოვარ...
ნუ მწერ, რომ კვლავ მიცდი...
სინდისის ქენჯნისგან ბოლომდე დამცალე
რაც იყო წაიღო, წაიღოს დღეებმა
შენს თავს უჩემობით ცხოვრება ასწავლე...

* * *

ჩემს სოფელში გაზაფხული მიცდის

ჩემი სოფლის სუნი ზეცამდე აწვდილა,
წვიმამ ჩამორეცხა მტვერი ყველა ბილიკს,
იდგა გაზაფხული კარში მეკვლესავით,
ხეებს თავს ადგამდა ყვავილების გვირგვინს.

ჩემი სოფლის სუნთქვა ზეცამდე ავარდა,
ატმის ვარდისფერში ლურჯი ფერი იწვის,
იჯდა გაზაფხული მინდვრად მეფესავით,
ფერხდით ფირუზისფერ იის ედგა რიგი.

ჩემი სოფლის მადლი ზეცამდე აწვდილა,
ჩვენი ეკლესიის ძველი მადლი წირვის,
იდგა გაზაფხული მრევლის ქალწულივით,
ნისლის საბურავით დაემალა ხიბლი.

ჩემი სოფლის სითბო სულამდე ჩაწვდილა,
სისხლში მისი წყაროს ჟრუანტელი მივლის,
ჩემი სიმშვიდეა ჩემი სოფლის ფეთქვა,
იქ ხომ ყველა დროში გაზაფხული მიცდის...

დავით მოდებაძე

პირველი სიყვარული

მთვარის შუქი მოჰფენია ქალაქს,
ქუჩის ბოლოს თვლემს ეული ვერხვი,
გული მწყდება იმ საღამოს გამო,
სამწუხაროდ აღსარება ვერ ვთქვი...
ჩავცქეროდი მის უძირო თვალებს,
ხის კენწეროს აწვალებდა სიო,
მერხის კიდეს დაყრდნობილმა გოგომ,
სიყვარულზედ ჩუმად მითხრა, – კიო...
ისევ მესმის მისი გულისცემა,
თითქოს ბზარი შეჰპარვოდა ხმაში,
დავიბენი, სული გასცდა სხეულს,
მთვარის შუქი ჩაბნეოდა თმაში...
გევედრები, ძალა მომეც, ღმერთო,
ვიტანჯები, ვერ ვპოულობ სიტყვებს,
მისმა სითბომ გამიძნელა სუნთქვა,
ჩემი მზერა შეუერთდა სივრცეს...
დრო ჩერდება, იკარგება სადღაც,
მაკანკალებს, გულმა რეჩხი მიყო,
ახლა ვხვდები, გამიმართლა მაშინ,
ის პირველი სიყვარული იყო...

გადადებულა მზის დაბადება

(არა ომს)

დაწრეტილია გრძნობები ხალხში,
გადაუმალავთ სადღაც გონება,
დაასამარეს ცისკრის ვარსკვლავი,
გამოხვეულა კვამლში ბუნება...
მიწებებია სახეს ნიღაბი,
მონატრებიათ სისხლის აღება,
სიცარიელე ავსებს ყველაფერს,
გამეფებულა მახის დაგება...
შემართულია ყველგან ჩახმახი,
გასჭირვებიათ სხვისი გაგება,
ჩარაზულია ყველგან კარები,
დავიწყებულა გულის გაღება...
დავიწყებულა უფლის სახელი,
გულშემზარავი ისმის გოდება,
დაკარგულია სიმართლის გზები,
გადადებულა მზის დაბადება...

ჩნდები არსაიდან

ვერ ვუმხელ ვერავის, ვენდობი მხოლოდ ქარს,
ბედის გამგებელი მიგზავნის საჩუქარს...
ჩნდები არსაიდან მორცხვი თვალხატულა,
მსგავსი სილამაზე ჯერ არ დახატულა...
ერთი გამოხედვით მიბინდავ გონებას,
შორიდან მეძახი, ვცდილობ გაგონებას...
ცდუნებას დაუძვრეს, წვალობს ჩემი სული,
თუმც არაფერს ისმენს გრძნობა თავგასული...
ვებრძვი მონატრებას, გარბიან წამები,
სიმშვიდეს მოითხოვს, გული ნაწამები...

ჩურჩული

ბნელეთის უძირო სიჩუმეში შემზარავად წკრიალებს ჩურჩული,
ქარისგან დამსკდარი ტუჩების შრიალი, ხმა ნაცნობი და ხმა გაბზარული...
ყველა უჯრედი შენი გონების ყალყზეა შემდგარი და შემართული,
ტკბილ-მწარე მოგონებებს დაუკითხავად მზის შუქზე მეჯლისი აქვთ გამართული...
დრო გარბის, არ გიცდის, არ გისმენს, წამზომი სიცოცხლის კი არის ჩართული,
გრიგალმა წალეკა ყველა წინაღობა, შუაზე გაიპო კერპი წარმართული...

სიზმარში გეწვევი

სული გამიფატრე,
არსად არ მინატრე,
ჩამიქრე სინათლე,
ვეღარ ვთქვი სიმართლე...
მე გონდაბინდული,
მყოფადს გარიდული,
გრძნობებს ვერ ვერევი
და შენ ვერ გელევი...

ისევ იმალები,
გეძებენ თვალები,
ბნელშიც გიხედები,
რად მინდა ხედები...
გულს მადევს ლოდები,
მაინც გელოდები...
მინდა შეგაჩერო,
სწორი გზა გაჩვენო,

გზაზეც გაცილო,
ცოდვას აგაცილო...
სიზმარშიც გეწვევი,
შენ თუ შემეჩვევი,
მოველი განაჩენს
და გეტყვი დანარჩენს...

მუხამბაზი

ანგელოზო, ციდან ჩამოფრენილო,
საჩუქარო, ღვთისგან გამოგზავნილო,
მარგალიტო, ზღვიდან ამოღებულო,
უკვდავების სულო, გალაღებულო...
ქარისაგან მოტანილო ნამქერო,
მწვერვალებზე მონავარდე ჩანჩქერო,
ლაჟვარდებში მოფარფატე ფანტელო,
სიბნელეში მოციმციმე სანთელო...
მოჩუხჩუხე ნაკადულო ანკარა,
მოკაშკაშე მზის სხივებო თაკარა,
ალიონის ცვარ-ნამივით ხალასო,
შენმა ცქერამ სიყვარულით ამავსო,
ვარსკვლავივით მოელვარე ალმასო,
კუპიდონმა გულს ისარი დამასო...
ფერი შენი ცისარტყელას ფერია,
ამის მსგავსი ქვეყნად არაფერია,
სამოთხიდან მოფრენილო ფერია,
ნახვა შენი ჩემთვის ყველაფერია...

სად ისვენებს სიჭაბუკე

შუა ღამით მწარე ფიქრი რატომ მოსულა?!
ზღვის ქაფიდან შენი სახე რად გამოსულა?
მონატრების თეთრი ნისლი არსად წასულა,
კლდის ნაპრალში ყოჩივარდა კვლავ ამოსულა...
სად ისვენებს სიჭაბუკე, სად გაპარულა?!
სიყვარული სულში ღვივის, არ დაკარგულა,
მინდა მაგრად ჩაგიხუტო, გული გაგიხსნა,
არ ჩადენილ შეცდომისგან ისევ დაგიხსნა...
თუ გინდივარ ოდნავ მაინც, ხელს ნუ გამიშვებ,
გეფიცები, ამის შემდეგ არსად გაგიშვებ,
მე ვიქნები ამჯერადაც ისევ შენი ხსნა,
წლების შემდეგ სიყვარული მინდა აგიხსნა...

გვინდა არ გვინდა

ჩვენი ცხოვრება სადღაც გაქრება,
ადამიანი არ ტოვებს კვალს,
ორიოდ წამი ღმერთმა გვაჩუქა,
გვინდა არ გვინდა, მას ვუხდით ვალს...
არც დასაწყისი, არც დასასრული,
კითხვა ბევრია, ვერ ვიღებთ ხმას,
ბედის ვარსკვლავი არ გველოდება,
გვინდა არ გვინდა, მივყვებით მას...
სამყარო ბრუნავს, სპირალებს ხაზავს,
ხან გათოშილს და ხან ვხედავთ ცხელს,
ძალზედ ბნელია, ძალზედ შორია,
გვინდა არ გვინდა, ვერ ვაწვდენთ ხელს...
სული მიჰყვება უსასრულობას,
უნდა, დაეყრდნოს რაღაცას მყარს,
მიწაზე დაყრილ სხეულთა გროვას
მიწაც არ ერგო, იხრწნება, ყარს...
ვართ მცირე მტვერი, ერთი წერტილი,
ვერ ვცვლით ვერაფერს, რაც გინდა ვთქვათ,
უნდა მოვძებნოთ და გამოვკვეთოთ,
- გვინდა არ გვინდა, – საფლავის ქვა...

ბედი

მუხთალი ბედი აღმა-დაღმა,
ისევ დამათრევს,
ჩემს გულს და ჩემს სულს ათამაშებს
როგორც კამათლებს...
არ დავნებდები არასოდეს,
განვაგრძობ ბრძოლას,
ვიწყებ თავიდან ცხოვრებასთან
მე გიჯურ რბოლას...
არ ვიცი დაღლა შუა გზაზე,
არ მაქვს ტკივილი,
ღმერთთან ვსაუბრობ მომავალზე,
არ მსურს ჩივილი...
იმედს ვიტოვებ, ბოლოს მაინც
ბედი დამითმობს,
გზებს მომიძებნის და სევდიან,
გულსაც გამითბობს...

ეთერ გაჩეჩილაძე

დადგა დრო

დადგა დრო, როცა უნდა გითხრა ჩემი სათქმელი,
წრფელი სურვილი როგორ მოდის ფრენით შენამდე,
დროა გავაღო გულის თუნდაც ერთი სარკმელი
და შემოვძახო მხოლოდ გრძნობის ხმებით ზეცამდე.

დადგა დრო,რადგან დაუნდობლად მიჰქრიან წლები,
მე კი, კვლავ იქ ვარ დარჩენილი, სადაც დამტოვე,
თუმცა დამშორდნენ, მაგრამ კიდევ მიდიან მთებიც,
ასვლა რომ მსურდა და შენ მაინც დაბლა ჩამტოვე.

ახლა გავყურებ ცის კიდეს და ნამცეცი მოჩანს
სხივი,რომელმაც გზა იპოვა გროვა ღრუბლებში,
ის ოცნებაა, რომ ვერ ვნახე, ნამსხვრევიც მორჩა
და დარჩა ასე, სტრიქონებად ქროლვა ფურცლებში.

როგორ მინდოდა, მოგეხვია ხელი და მეგრძნო,
რომ ეს სამყარო ლამაზია, ბუნებით წრფელი,
ჩემი იმედი ყოფილიყავ წლები და ეგრძნო,
გულს შენი სითბო, დამერქმია მუზების მხსნელი.

აი, გითხარი... ამოვღერღე რაც მქონდა გულში,
ამოვაყოლე ჩემი სითბო წრფელი და წმინდა,
ხომ ხვდები თურმე, ვერ ნათქვამი დამქონდა სულში,
ამიტომ ახლა შენს მოსმენას ველი,რაც მინდა.

მინდა მიყვარდე

შენს დანახვაზე თვალებს დავხრი და
ვერ გაგისწორებ მზერას ნაღვლიანს,
არვის წინაშე არსად დავხრილვარ,
შენს წინ კი ვგავარ, დეკას ნამიანს.

არ გაჭირდება ჩემი შეცნობა,
რადგან გულს ისე ღიად გაგიშლი,
ვიცი, გულის ხმა უკვე გეცნობა
და მის მოსმენას როგორ დაგიშლი.

ნატყვიარია, ფრთხილად შეეხე,
აღარ გაუხსნა ძველი ჭრილობა,
მადლობა ღმერთს, რომ ჯერ არ შემეხე
სულზე და გამკობს შენი ზრდილობა.

გულს თუ ჩასწვდები, შემიყვარდები,
სახეს გაირბენს გრძნობის ხმაური
და სურნელებაც თეთრი ვარდების
მომეფინება, როგორც ზღვაური.

თავზე მაყრია ფიქრი ულევი,
წვიმის წკაპუნში წვეთად ნაწყვეტი,
როდის იქნება ტყვიის ღრმულები,
რომ აღარ იყოს გულის ჩამწყვეტი.

მინდა მიყვარდე, მაგრამ უფლება
ეულს და ობოლს ნეტავ ვინ მომცა,
თუმცა ყველა დღეს, უკვე უკლებლად
გულმა გრძნობები შენთვის გამოსცა.

ისევ წვიმა და კვლავ ავდარია,
გული იმედებს ებღაუჭება,
ზამთრის პირისკენ რაღა დარია,
როცა დრო მზის სხივს ელამუნება.

დილის მზე მიყვარს

ნისლი მოადგა რიჟრაჟზე ფანჯრებს,
სველმა ღრუბლებმა ჩამოჰკრეს ზარი,
გული ეტკინათ იმ წამსვე ფარდებს,
მიხვდნენ, რომ ვეღარ ჩამოჰფენთ დარი.

წვიმამ დანამა ფოთლები ხმელი,
დაცვივდნენ სველი კაბებით დაბლა,
უმწეოები, ობლები, ძველი
და წამს შეეტყოთ დარდებით დაღლა.

მეც გადმომედო ნაღველი, სევდა,
გული ჩამწყვიტა წარსულის განცდამ,
რადგანაც წლები დამღლელი მდევდა,
ყველა სურვილი ჩათქმული ამცდა.

სიახლე არ ჩანს... არც ხდება რამე,
დავეძებ ხელის ცეცებით ნატვრას,
ფიქრებით სავსე მთავრდება ღამე
და მიწევს მეტი ცრემლების დაღვრა.

შემოდგომაა ახლა და წვიმაც,
ცრემლებად მოდის, მისველებს ფიქრებს,
სიცივემ დღესაც ვერ გამაღიმა
და ვერც თოვლისას ვიფერებ ფიფქებს.

დილის მზე მიყვარს, ცელქობა სხივის,
მაშინ ვხალისობ, ღიმილი მიპყრობს,
მაგრამ როდესაც მემხრობა ცივი
ნიავი, მხოლოდ ტირილი მიჯობს.

თბილ სხივებს მინდა ვუმხელდე გრძნობას,
სიყვარულისგან ბედნიერს ვგავდე,
სიამტკბილობას ვურჩევდე ნდობას
და აქ თუ არა, ზეციერს მყავდე.

რა ლამაზია ხეობა

დილით მტკვრის ჩურჩულს ვუსმენდი,
თითქოს სიყვარულს მიხსნიდა.
ტალღების დუდუნს ვუთმენდი,
რადგან სიხარულს მიძღვნიდა.

თუმც დილაობით გამვლელებს,
გულში მწველ ისრებს უყრიდა.
ნაპირზე ხეებს ჩამვლელებს
უნდობლად ძირებს უთხრიდა.

ტირიფს, ვერხვსა და ალვის ხეს
ფოთლები კვნესით სცვიოდათ
და დარდით ყველა ნაწვიმ დღეს,
ნიაღვრად ცრემლი სდიოდათ.

თავს ნისლი დაჰფარფატებდა,
ეფერებოდა მძინარეს
მზის სხივიც დასთამაშებდა
მოჭიატე და მცინარე.

გვიან ზოზინით თვალები
გამოახილა მზის დარზე.
აახმაურა ტალღები
ამოთენებულ ცისკარზე.

რა ლამაზია ხეობა
ნაპირზე მდგომი ხეებით.
ყველას მოჰყვება მეობა
შემონახული დღეებით.

გაყვითლდა ფოთლები

შეხედეთ, ეს როგორ გაყვითლდა ფოთლები
და მწვანე სამოსმაც იცვალა ფერები.
ხიდანაც უმიზნოდ ცვივიან ობლები,
ეჰ,როგორც უდედოდ ნამყოფი გერები.

არავის არ ესმის მდუმარე ტკივილის,
არც ცრემლი არ სცვივათ დროული სიკვდილის,
გამხმარი ფოთლების ამაო კივილი,
მწუხარე განაჩენს მაგონებს მისჯილის.

ზაფხულში პრანჭია მორთული ხეები
შიშველნი რჩებიან-შესცივათ ზამთარში.
თანდათან ელევათ სიცოცხლის დღეები,
ზოგს თავი ისევე ჰგონია ზღაპარში.

დრომოჭმულ ფოთლებზე დადიან მავანნი
და გამხმარ ხერხემალს უმსხვრევენ ჩამოყრილთ.
რომ აღარ არიან წარმტაცნი, ლამაზნი,
არავინ უყურებს უმწეოდ ჩამოშლილთ.

ზამთარი თეთრ საბანს დააფენს გარემოს,
ტკბილ სიზმრებს ნახავენ მძინარე ტოტებიც.
სუსხი და სიცივე არ არის საჩემო,
კვლავ ველი გაზაფხულს ახალი ნოტებით.

თუმც მტკივა იღბალი დაყრილი ფოთლების,
ვერ ვშველი, მაგრამ ფეხს მათ არსად ვაბიჯებ.
განვიცდი-ალბათ ეს ბედია ობლების
და დიდი სიფრთხილით მაინც ვდგამ ნაბიჯებს.

გიორგი ჯავახიშვილი

* * *

ასე გავიგე ჩემითა,
ხშირად რჩევა და სმენითა,
ბევრსაც ვერაფერს მოიგებ
დროის ტარებით, ლხენითა.
ვერც უჟმურობით მოიგებ,
მეგობრის მწარედ კბენითა,
ვერც, მეზობლების ჯინაზე,
ფართედ გაშლილი ხელითა.
ვერც ბოღმა-შურით მოიგებ,
დილა საღამო ღრენითა,
ვერც უფროსების წინაშე
კუდის ქიცინით, ქნევითა,
ვერც უმცროსებზე ძახილით,
შენზე მეტივარ ბევრითა,
ვერც ქლესაობით მოიგებ,
სიმართლის დაჭრა -კერვითა,
ვერც ინტრიგნობით მოიგებ,
საჩივრის კარგად წერითა,
თუ ასეთი ხარ, იცოდე,
პასუხი აგე ზევითა,
აქ კი, ჭურჭელი აავსე
თავმდაბლობით და თმენითა!

* * *

ხევსურეთმა სთქვა, მიყვარხართ,
მიცვნიხართ, როგორც შვილნია,
ხანდახან შემომიარეთ,
ნუთუ არა ხართ გმირნია?
მარტო ვარ, დავღონებულვარ,
ხშირად ვზივარ და ვტირია,
გლოვის ზარებმა ჩამოჰკრეს,
შატილს მოედო ჭირია,
კოშკები ჩამონგრეულა,
იქნებ, მოგვფინოთ ლხინია!
თვალი აღარ სჭრის, რაღა ვჰქნა,
აღარც მუხლი და კბილია,
ვეღარც როშკაში გავსულვარ,
დევებმა ჰყარეს წილია,
ლოდები მიმოფანტული,
ნახეთქი გადაჭრილია!
გონთ არ ამოდის ნანახი,
მოსაგონებლად ტკბილია.
ნეტავ, რას შვრება, არ ვიცი,
ჩემი ძმა, ბლოველ კვირია,
ყველა მის გახსენებაზედ
ციმციმებს, სახე პირია!
აბუდელაურს ზემოდან
ჭაუხნი გადმოჰყვირიან,
სადა ხართ, ხევსურთ შვილებო?
დარდისგან სვავნი ჰკივიან,
არწივი ბუდეს არ ჯდება,
მუდამ ბარტყები წივიან,
სადა ხართ, ხევსურთ შვილებო,
სად არის აბჯარ- ხმალია?
იორღა ისევ ჭიხვინებს,
ვინღა იქნიოს მკლავია!
იქნებ შიათ და არ ვიცით,
იქნებ ყველასა სძინია,
იქნებ საომრად წავიდნენ,
პირველ- მეორე გმირნია?
ხევსურეთმა სთქვა, მიყვარხართ,
მიცვნიხართ, როგორც შვილნია
ხანდახან ბილიკს შამოჰყეთ,
გულზედ მომფინეთ ლხინია!....

* * *

ავმეხსიერმა შეიპყრო
ჩვენი გული და გონია,
ადამიანზე ძვირფასი
ხან ოქრო, ხანაც ბროლია.
შურისძიებას საფუძვლად
დაუდეთ ხშირად, ჭორია,
ჭეშმარიტების კვალამდე
მანძილი ჩვენი შორია,
მდუღრად მეცემა ტკივილი
როგორც წიწილას ქორია.

+++

მოძღვრება ჩემ თავს.....

ბრძოლას ვუცხადებ ჩემ თავსა,
რათა გავგლიჯო გველია,
ბოღმა და დარდი მახრჩობდა,
უკვე რამდენი წელია.
ზოგსაც ვურჩევდი სისწორეს,
ვითომ შევუწყე ხელია,
ზოგის ტვირთიც კი ვიტვირთე,
სურვილი მქონდია ბევრია.
სულმთლად უძლური აღმოვჩნდი,
გული არ დამრჩა მთელია,
უსამართლობა მიწაზედ, ადამიანთა სენია.
ამაზედ ბევრსა ვფიქრობდი,
თითქოს მე ვიყავ მხსნელია,
სხვაში სინათლეს ვეძებდი,
თავად ვყოფილვარ ბნელია.
ბრძოლას ვუცხადებ ჩემ თავსა,
მტკივნეული და ძნელია,
სანამ სხვებს ვეომებოდი,
ღმერთმა აიღო ხელია.
ყველამ თავისთავს მიხედოს,
წერილიც ამის მთქმელია.
დავფიქრებულვარ, მიმხვდარვარ,
თვალს არ მშორდება ცრემლია.
ზოგისთვის ნათელ ვიქნები,
ზოგისთვის კიდე ბნელია. საკუთარს ვებრძვი,
სხვებს არა, ღმერთო, შემიწყე ხელია.
სამართლის – უსამართლობის, სიტყვა გამრჩევი შენია.

ბეღურა

ერთხელ ჩიტები შევნიშნე,
ხის კენწეროს და მწვერვალსა,
ვესროლე, გავიხალისე,
ერთს მოხვდა, ასცდა ყველასა,
მახსოვს, ბეღურამ რა შეძლო,
ვერ ვახერხებდი მზერასა,
სიკვდილით როგორ შეუდგა
ჩემს გულზე დარდის წერასა!
რა დაგიშავე, რა გინდა,
რატომ არ მაცდი ლხენასა,
ჩემს მეგობრებში ჭიკჭიკს და
მაღლა, ზეცაში ფრენასა?
ვეღარც კი შევეჭიდები
ნიავის ქროლვა სტვენასა,
ვეღარც ჩემს ბარტყებს მოვუსწრებ
ნისკარტით ბუდის კერვასა,
საკენკსაც ვეღარ მივუტან,
მე არა ვზრდიდი ყველასა?
თვალები გადააბრუნა,
თითქოს ითხოვდა შველასა.
თავი ვიმაგრე, ჩავძახე
ყველა ჩიტს, არწივს, ძერასა,
ჩემი მარჯვენა აგიგებთ
სიკვდილის ბედისწერასა,
სინამდვილეში ვერ უძლო
გულმა ტკივილს და თმენასა,
თვალმაც მოუკლო ცრემლების
შეკავებას და ჭერასა,
ყელიც ნელნელა უშვებდა
ხმააჭრილ, მწარე ბგერასა,
სულ ერთი ლუკმა არ იყო,
კბილი დავადგი ენასა,
რას ვიფიქრებდი ოდესმე,
საკუთარ თავის კბენასა!
მაშინ ვთქვი, დედის სიკვდილი
ხომ აგვატირებს ყველასა,
აღარ ვისურვებ არასდროს
ბარტყების გულის ტკენასა,
ეფრინა, მეყურებინა,
ფრთებით ცას როგორ სერავსა,
იმ დღიდან გადავეჩვიე
შაშხანის ხელში ჭერასა!

* * *

გამწყრალა ღმერთი ჩვენზედა,
ცხოვრების წესით ვაშავებთ!
ხელს კი გავიშვერთ სხვებზედა
ხატში დავდივართ ლოცვისთვის,
მთების ბილიკზე, წვერზედა.
თუ არა გჯერათ, შეგვხედეთ,
ჯვრებიც გვკიდია ყელზედა.
ერთხელ ხარიც კი დავკალით,
ბევრი ვილოცეთ ბევრზედა,
სანთლები ვანთეთ ქადებზე,
ყანწიც შევიბით ხელზედა.
ღვთის სადიდებლად ისე ვსვით,
ღვინოც დაგვადგა ყელზედა.
ბევრი ვუამბეთ, უთხარით,
იმედს ვაყუდებთ შენზედა.
იქნებ წყალობა მოიღოთ,
მწარედ დატანჯულ გლეხზედა.
გამწყრალა ღმერთი ჩვენზედა,
ცხოვრების წესით ვაშავებთ!
ხელს კი გავიშვერთ სხვებზედა.
ხშირად ენა გვაქვს ისეთი,
შხამით მეტნი ვართ გველზედა.
მიწა გვჭამს, მიწას ვერა ვთმობთ,
ძღვნად რომ მიგვერთვა ღმერთზედა.
გვაქვს ცოდვა-ბრალი კისერზე,
ვეღარც კი ვიტევთ მხრებზედა.
ამდენი მლიქვნელობისგან,
გული მიფეთქავს მკერდზედა.
კარგი იქნება დავფიქრდეთ,
რითი ვართ მეტნი სხვებზედა.
მოდი, დღეიდან ვიზრუნოთ,
ჩემზე შენზე და ერზედა!

+++

ვერასდროს სოფლობს სოფელი,
ძირს ფეხთან მახის გებითა;
უნდა გვახსოვდეს ყოველთვის,
როდისღაც ყველა ვკვდებითა.
რად გვინდა ჩვენი ცხოვრება,
გართულებული დღენითა;
ვის აწყობს ლუკმა ნაშოვნი,
სიმწარით, ვერ შერგებითა.
ნუ დავაღონებთ ერთმანეთს,
ხშირხშირად ჭანჭყარ-რყევითა;
ძირს არ დავეცეთ არასდროს,
ჩვენი ქართული გენითა.
წუთისოფელი იხარებს,
ერთად ბოროტზე ძლევითა;
ნათელს ვერ გავცვლი, არ ვიცი,
ჯოჯოხეთური ბნელითა.
ხელს გიწვდი, ხელი მომეცი,
შენდობით, გულით, რწმენითა!

* * *

ხანაც შემთხვევა დადგება,
ვერა ვძლევ საკუთარ თავსა,
ჩემი ქცევების შემრცხვება,
ვახ, დედაჩემის ბრალსა!
ხანაც დადგება შემთხვევა,
ყველას მოვავლებ თვალსა,
ფართედ, ალალად გადავხსნი
ამ ჩემი გულის კარსა,
ხან მოძმეს შავეხიდები,
ერთად გავიტანთ კვალსა,
ხან ცრემლს დავაღვრი მიწაზედ,
პაპათა ნამარხ ძვალსა!
იმათ სახელი კამკამებს,
ჩემი ლეშივით ყარსა,
ოხვრას ძახილი ამოსდევს,
ვახ, დედაჩემის ბრალსა!
მჯერა, მოვიგებ, დავხვდები
ცხოვრების სასტიკ ზვავსა,
სამშობლოს ჩავეკონები,
უფალს დავუხრი თავსა!..

ნელი საგინაძე

დამხატე

დამხატე ცხოვრებავ, რა ფრადაც შენა გსურს ,
მეც მინდა გავიგო შენს ნიჭს ვის ადარებ,
განგებ არ მიზავო ლამაზი ფერები,
მხოლოდ იმ ფრად მხატე, რომელსაც ვატარებ!

დამხატე, რას უცდი, ტილო შენს ხელშია ,
გაზაფხულს შეუკრავს ზეცაში კამარა,
შეხედე, ამ ჩემს სულს ზედ შემოვლებიან
გვირილის, ვარდების, იების ამალა!

დახატე თუ გინდა ის ჩემი წარსულიც,
სიყრმის და ბავშვობის ფერებში ამრიე,
ტილოზე ფუნჯებით ნახატი ხაზები
რაც კი შეიძლება, ერთურთში არიე!

არიე, აზავე დროის საღებავი,
ოღონდაც მუქ კოლორს გთხოვ ნუ მიაკარებ,
სიმართლე რომ გითხრა, მეც მაინტერესებს
ნეტავ ამ ასაკში მე, რა ფერს ვატარებ!!!

**

აქ სხვანაირი იცის აპრილი

აქ , სხვანაირად გაზაფხულდება
აქ, სხვანაირი იცის აპრილი
აქ ,ყვავილია ღმერთო, იმდენი
თვალი ფერებით გაქვს გადაღლილი!

აქ, სხვანაირი გაზაფხულია
გვირილით, იით, ვარდით, ნარცისით,
ამოენთება ძოწისფრად დილა
ატმის კაბისფრის გვაქვს აქ, დაისი!

მართლაც , სულ სხვაა აქ გაზაფხული
სხვა ფერის ტონი აქვთ იასამნებს,
დაუპენტიათ ლილისფერი ცა
ტყემლის, ალუბლის ფერთა სამანებს!

აქ გაზაფხული მთლად გაზაფხულობს
მარტით, აპრილით, თავის მაისით,
აყვავებული ბროწეულისფრად
ამონთებული ცეცხლის აისით!

აქ, სხვანაირად სუნთქავს სამშობლო,
აქ, სულ სხვა არის მიწაც და ზეცაც,
სამყაროს თვალი, რომ შემოვავლე
საქართველოსკენ სული გამექცა!!!

**

უფლისციხე

აქედან უფრო კარგად ვხედავ ჩემს საქართველოს,
აქედან უფრო ღრმად ჩავწვდები მის ისტორიას,
აქედან უფრო კარგადა სჩანს მთელი სამყარო
მზე, როცა თავის ზენიტში და სხივთა სწორშია!

სადაც ფეხს დასდგავ, ალმასები შემოგცინიან,
ოქროს სკივრიდან მატიანის სულმა იფეთქა
ლოდი, რომელიც დაწუნებულ არს დღესამომდე
ამენ,
მართლაც, რომ აქ ქცეულა მთლად თავკიდეთა!

აქედან თითქოს ჩემს ქართულ ცას ხელით ვეხები,
მგონია უკვე ჟამთაბრუნვის მირონი ვიცხე,
იქ ვდგავარ, სადაც ზღაპრად ფარულს მიმხელს სამყარო
და ქვა- ლოდების სიმფონიით ჟღერს უფლისციხე!!!

**

ვერ დაგთმობ უფალო

იყივლე მამალო და შემოუნათე
ამ, შებნელებულ თვალს სინათლის რიჟრაჟი,
იყივლე მამალო, თორემ ცას შეასკდა
ეს გაუხედნავი, სულის ლურჯა რაში!

იყივლე და დილას მოადგი გვირგვინი
ნათელით შემოსე ამ დღეთა პერანგი,
იყივლე, იჩქარე განთიადს ხმა მიეც,
რომ ბნელი მოშორდეს შლეგი და ვერაგი!

იყივლე, რომ ცისკრის ჟამნები დაიწყოს,
ამ ლოცვით, ბნელისგან სინათლის ხაზსა ვყოფ
მესამედ კი არა, გინდ ოცჯერ იყივლე
ვერაფრით უფალო, ვერაფრით უარგყოფ!!!

**

ლექსები

სადაც გინდა იყო, თვითონ მოგძებნიან
თავისი ჩვეული ნარნარით,
მერე სტრიქონებად იკინძებიან და
ლექსად იკვრებიან ამ კალმით!

შემდეგ უფრო ვრცლად და უფრო დიდ აზრებად
გთხოვენ დაგვწერეო ,რა მოხდა?!
ხათრს ვერ ვუტეხავ და ამ ჩემს ფერად კალმებს
ლამის წერით სული ამოხდათ!

მერე პოეტობას დაგაბრალებენ და
ამ დროს, მთლად უბრალო ქალი ხარ,
ხან გაზაფხულით და ხანაც შემოდგომის
ფერთა სუნით გადამთვრალი ხარ!

ასე, ფურცელ-ფურცელ წიგნად იკვრებიან
მათაც უხარიათ ცხოვრება,
ადრე ვერ ვხვდებოდი, მხოლოდ ახლა მივხვდი
სულის, ეს ყოფილა ქონება!!!

გალაქტიონი

უფლის მადლია როცა, რომ მშვიდად
აქ, ჩემს ედემში კვლავ დის რიონი,
რამდენი უნდა ვიცოდეთ ჩვენ, რომ
აღმოვაჩინოთ გალაქტიონი!

მიდი მეეტლევ, "ლურჯა ცხენები"
არწივებივით ზეცად აფრინე,
გალაქტიონის "მშვიდობის წიგნი'
ცხოვრების გზებად გადაგვაფინე!

უშიშარნო და ზეცად მფრენებო,
არ შედრკეთ არა "ლურჯა ცხენებო',
თქვენ ,იმედი ხართ ავთან ბრძოლაში
ბევრის მცოდნენო, ბევრის მთმენებო!

ნიშანს ელოდეთ ჩემო მცველებო,
თქვენი სისწრაფე აღმოაჩინეთ
"ლურჯა ცხენებო," წიგნის ფურცლებით
გალაქტიონი გამოაჩინეთ!

წყნარდება ღამე და "პეგასებიც"
თვის მეეტლესთან დაეშვებიან,
თუ ბოროტება რამეს გაბედავს,
ცად ლომებივით აეშვებიან!

რკალად აღარ ხრის ქარი ხეთა რიგს,
"ლურჯა ცხენების" ფრენაც სრულდება,
გალაქტიონმა , რაც დაგვიწერა
სულ, სიტყვა სიტყვით აგვისრულდება!

მწუხრის ნისლებიც შორს გაიფანტნენ,
ჯვრისწერის ღამეც შედგება ვიცი,
"მეფე ლირივით" არვინ იტირებს
აქ ძლიერებმა კვლავ დადეს ფიცი!

გენია როცა დაიბადება
ცხოვრება მისი არ არს იოლი
ქართველო, უნდა გახსოვდეს მუდამ ,
ნიჭთა ნიჭი გყავს -გალაქტიონი!!!

მწამხარ უფალო

ჩემში ნაბადი სული არის ო, რა უბრალო,
საუკუნიდან საუკუნემდე მწამხარ უფალო,
თავმდაბლობაა განძზე განძი ჩემთვის უბადლო
ამისთვის გამჩენს, იმ მაღალ ღმრთს უნდა ვუმადლო!
ჩემში რა სულიც გიბადია ქრისტე უფალო,
ამ სულით მხოლოდ, ჩემს მიწა-წყალს გულით ვუგალობ,
არ ავყოლილვარ მაცდურ სიტყვებს, ქცევებს უგვანოს
გპირდები ღმერთო, საქართველოს უნდა ვუქალო.
უნდა ვირწმუნოთ, უვაჟკაცოთ, უნდა ვუქალოთ,
საუკუნიდან საუკუნემდე

ჩემი საქართველო

ვერ ვაპატიებ საქართველოს ღალატს ვერავის,
გინდ შურითა და ღვარძლით სავსე ქალი მიწოდონ,
ალბათ სამყაროს ამოვქექავ ამ ჩემი კალმით,
გადამალული სიმართლე რომ სადმე ვიპოვო!

ვერ დავუხუჭავ თვალს ჩემს ქვეყნის ძირძველობას და
არც ღმერთო, არვის გროშ--ვერცხლებად გავაყიდინებ,
ათა-პაპიდან ქართველ გმირთა სიცოცხლის ფასად
წინაპრის სისხლი მომავლისთვის აქ, კვლავ იდინებს!

ვერ ვაპატიებ მე, ვერავის დაცემულ კრწანისს
სამშობლოს ღალატს ვერ შევარჩენ მათ მზაკვრულ თვალებს,
ვერ დავივიწყებ "გმირთა ვარამს" , "უქარქაშო ხმლებს",
მარაბდის ომში, ბინდზე ამოსულ "ნამგალა მთვარეს"!

ხვიჩას და გოჩას ატირებულ თვალს ვერ ვუყურებ,
სტამბოლს გაყიდულს ქალ-ვაჟთა გულს ცრემლი სისხლად სდის,
კოლხი დედების გულგაგლეჯილ მწუხრ წუთისოფელს
ვიღაც იუდა ვერცხლებად და ხელის ჭუჭყად ხდის!

ვის ვაპატიო ჩემს მამულში ვაზის აჩეხვა
მეფე დემეტრეს გადადებული ქვეყნისთვის თავი,
პატარა ქეთოს მოტაცება ვის შევარჩინო,
ყველა მტარვალს რომ საქართველოსკენ ეჭირა თვალი!

არა ბატონო, შუშანიკზეც ვერ ვაპატიებ
რწმენა შეცვლილმა მორწმუნე ქალი რად უნდა საჯოს,
მე, ვერ შევუნდობ ქართველი ვინც მკაცრად გაწირა
მოღალატეა?--განიკვეთოს და დაისაჯოს!

აწიოკება ქრისტიანთა, ძირძველ ქართველთა,
როგორ შევუნდო ქვეყნის მზაკვარს იქნებდა მითხრათ,
რომც დამიმალოთ ქეთევანის ტანჯვა--წამება
გაცრეცილ მელნით შემომიტოვა შირაზის მითმა!

ვის ვაპატიო, ალბათ ვერვის და არც არასდროს ,
სიბრაზისაგან ლამის სისხლი ჩამექცა გულში,
იმ მოღალატე ფეოდალს რომ ვერცხლი ჰქონოდა
პაატას სპარსეთს რატომ უნდა ელია სული!

მოხუცი მეფის ღალატს თვალი ვით მოვუხუჭო,
ან ახალგაზრდა, სამას არაგველ გმირთა სიცოცხლეს,
მტერო, კალამთან ნუ დაიწყებ თავის მართლებას,
როგორც მართლობდე, მაგ სიმართლით ისე იცოცხლე!

ვერ გაპატიებ გინდა ფეხქვეშ ცხრად გამეფინო
მტარვალო, მაგ შენს სიბოროტეს მთლად ვერ მოიშლი,
მზაკვარო მიდი, მსურს გიყურო სადამდე შესძლებ
ვერ ხედავ?!- ჩემი საქართველო დღეს ფრთებს რომ იშლის!

ვაჟას "არწივი" უბრუნდება თავის საბუდარს
როგორ არ გითხრა---სიმართლეა ესე ყოველი,
ვერ მომერევი, მიტომ ვდგავარ სალი კლდესავით,
რადგან მფარველად ჯვარი მყავს და სვეტიცხოველი!!!



ნელი გიუნაშვილი

ილია ჭავჭავაძეს

ალაზნის ველად შობილი,
ყვარლის მთებს ეფერებოდა,
მთის ცრემლით ჩამომდინარე,
დურუჯსაც ეგებებოდა.

და როგორც წყალი დურუჯის,
გრგვინავდა, ტალღებს სერავდა,
ისე ილია ფიქრებით...
სამშობლოს ტანჯვით ღელავდა.

ტყით შემოსილა ფერდობი,
ბრწყინავს ნეკრესის კალთაო,
ნეკრესის მონასტრის ჯვარი,
და სამლოცველო ხატთაო.

ხატს ავედრებდა ქვეყანას,
ილია "დედა ღვთისაო!"
"შენი ხვედრია ქვეყანა,
მაჩვენე შველა ხსნისაო."

წიწამურს მოკლეს ილია,
ცრემლების წვიმამ ინამა,
მოკვდა ის, ვინაც სამშობლო,
ღმერთივით გულით იწამა.

როს განგაშებდა სიონი,
ზარის ხმა ჰგავდა მზაობას,
ეს ხმები ღმერთსა სწვდებოდა,
ისმენდნენ უფლის გალობას.

სისხლი დაიქცა წიწამურს,
ცაში გაბრწყინდა სულიო,
მარად იცოცხლებს სახელი,
წმინდანად შერაცხულიო.

მოიპოვე სიყვარული

კაცი კაცად მაშინ ფასობს,
მორჩილია, არ ამაყობს
მოწყალეა, ღვთისნიერი,
არვის ერჩის და თავმდაბლობს.

როდი უყვარს უფალს, როცა...
როცა ვინმე ამპარტავნობს,
სხვას აუგად იხსენიებს,
თავის თავზე არას ამბობს.

ბოროტებით და სიავით,
სადმე ხიდი ჩაგიტყდება,
უფალი არ მოგიწონებს,
ფიქრი ცუდად აგიხდება.

მადლი თესე, მადლს მოიმკი,
შენ, ხომ არა წაგიხდება,
მოიცალე სიკეთისთვის,
სიკეთე წინ დაგიხვდება.

შენი რწმენით, თავმდაბლობით,
ხალხს მოჰგვარე სიხარული,
მოიპოვე ხალხის ნდობა,
მოიპოვე სიყვარული.

მამულო ჩემო

მამულო ჩემო! მთად აზიდულო,
მრავალ ფერთა და მრავალხმიანო,
აყვავილება და გალაღება,
იქნება აღარ დააგვიანო,

კვირტთა რუდინებს ვხედავ შენს ბაღში,
აყვავებულან, ათქვირებულან,
და მზის ოქროსფერ სხივებთან ერთად,
გაღიმებულან, გაბრწყინებულან.

მე გულის სითბოს გამოგიგზავნი,
ცათა ქულებით მოვწნავ გვირგვინებს
და ეს ფაფუკი, თეთრი ქულები,
ჩაეწვნებიან მინდვრის გვირილებს.

გამოგიგზავნი თავნება წვიმას,
მოიხიბლება ვერხვის შრიალით,
და დაცვარული ვარდის კოკრები,
შარბათს შესვავენ ღვინის ფიალით.

მერე კი ცაზე, ჯვარს გადავსახავ,
ჯვარს გადავსახავ, შენს გასახარად,
მამულო ჩემო! ულამაზესო,
მოვა უფალი, შენს დასაცავად.

პოეტის გული

როცა პოეტი იბადებოდა,
მას დაანათლეს სიკეთე მძევლად ,
ცრემლის ქარაფი და განსაცდელი,
სიყვარული და ფიქრები სევდად.

ბევრჯერ უფულო, ხშირად ღარიბი,
ბევრჯერ უძილო,
არასდროს მხდალი,
სულით მდიდარი, გულით ხალასი,
სიყვარულისგან უგონოდ მთვრალი.

აბჯარ ასხმული, შეუპოვარი,
ხან დარდიმანდი და ნაღვლიანი,
ღვთის მოშიში და ღვთის
მოყვარული,
ტკბილ სიტყვიანი და მადლიანი.

ძმისთვის მზად არის თავი გასწიროს,
საკუთარ თავზე არასდროს ფიქრობს,
და გასაჭირში მყოფი პოეტი,
სხვისგან არასდროს,
არაფერს ითხოვს.

პოეტები, ხომ სიყვარულისთვის,
სინანულისთვის იბადებიან,
მათ სიყვარული
აცოცხლებთ მხოლოდ,
და სიყვარულში იფერფლებიან.

ფერფლს კი მიჰყვება
მამულზე ფიქრი,
მწუხრი და დარდი მომავალისა,
პოეტს თან მიაქვს ერის ტკივილი,
ჯავრი ამ ქვეყნის წუთისოფლისა.

ჭადარი

იყო და არა იყო რა,
იყო პატარა ზღაპარი,
ბევრის მომსწრე და მნახველი
ცხრაას წლოვანი ჭადარი.

ცად აზიდულა ამაყად
ჭადარი ფოთლებშრიალა,
ხის ძირში მუდამ ისმოდა
ხმები ლაღი და წკრიალა.

სიცოცხლედ ორი ათასი
წელი არგუნა უფალმა,
კედარიც ვერ დაჩრდილავდა,
იცოდა მისმა გუმანმა.

წმინდა მცენარედ აკურთხეს,
წმინდაა მისი ფესვები,
მომაჯადოვა მშვენებით
და მუდამ ვეალერსები.

მადლმოსილია ჭადარი,
არის ბუნების მორჩილი,
სიდიადით და მშვენებით
ღვთის სიყვარულით მოსილი.

ალაზნის ველად შობილა,
მის გულზე გამოზრდილია,
მის სანახავად ყოფილან
ვაჟა, აკაკი, ილია.

ბევრ საიდუმლოს ინახავს,
იქ ოცნებები სრულდება
და თუ სურვილებს ჩაუთქვამთ
უდაოდ აგისრულდებათ.

დედის გული

დედის ფიქრებს უსასრულო...
უსასრულო დარდები აქვს,
სიხარულის დღეები და...
სევდიანი ბზარები აქვს.

დედის გული, მძლეთა მძლეა,
ამორძალის სადარია,
დედის გული, უსასრულოდ
შვილის ტკბილი წამალია.

არჩევანი, რომ ფასობდეს
შვილის ნაცვლად მოკვდებოდა,
დარდიანი დედის გული
ცრემლად არ დაიღვრებოდა.

როცა დედა ტოვებს შვილებს,
შვილი უხმობს დედის სულსა,
არ არსებობს, არსად თქმულა,
ოქრო სჯობდეს დედის გულსა.

დედას შვილის დასაცავად
ხელში ხმალი აუღია,
სისხლით ნაჟღენთ ფეხის გულით
ნარ – ეკლებზეც გაუვლია.

დედის გული არის მეტად
მზეზე თბილი, უთბილესი,
დედის გულში სიყვარული
დაქიზია, უწმინდესი.

დედა ჩემთვის სალოცავი
ხატია და ქალღმერთია,
უფლისთვისაც სიტყვა დედა...
მოწიწებით სათქმელია!!!

შენს გარეშე გზების გავლა ძნელია

შენს ნაკვალევს, მე ფეხდაფეხ მივყვები,
შენს გარეშე, გზების გავლა ძნელია,
შენს გარეშე, ვიკარგები ამქვეყნად
ეს სამყარო, დიდია და ვრცელია.

ძალებს ვიკრებ... ჩემს თავს თავად ვამხნევებ,
ხშირად მინდა, ჩემს ფიქრებს, რომ გავექცე,
ეს ცხოვრება, ხიფათებით სავსეა,
ვფიქრობ, არსად წავიქცე და დავეცე.

შენ იყავი იმედი და კარიბჭე,
ხილული და უხილავი გრძნობები,
მაგრამ უკან არვინ დაბრუნებულა,
ამიტომაც ვსევდიანობ, ვღონდები.

ნეტავ! ისევ ჩემთან იყო იმედად,
რომ ამქვეყნად შიშით აღარ ვიარო,
ამოვწურე მეც ცხოვრების ფიალა,
ჩემო სწორო, გულის თანაზიარო!!!

ლამზირა შეყილაძე

ვიცი, წამია წუთისოფელი

სიცოცხლევ ჩემო! რად ეძებ მიზეზს,
ასეთი ჩვევა ნეტავ რადა გაქვს?
მოხვალ, მომიტან უამრავ იმედს,
წახვალ და ჩემი სიცოცხლე მიგაქვს.
მაოცებს შენი დროის ტრიალი,
სიცოცხლეს იწყებ დასასრულიდან...
შენ გაშლილი გაქვს ფრთები მზიანი,
მე კი წარმტაცე სითბო გულიდან.
ასე მგონია ეს ყოველივე,
ხან ოცნებაა, ხანაც სიზმარი,
ვიცი, წამია წუთისოფელი...
და დამშლის დარდი, ვითარც ფიქალი.

ცისა და მიწის მანათობელი

ვინა სთქვა ნეტავ, ცივია მთვარე?
უგულო არის კაჟი ქვასავით.
მაშ რად შეჰყურებს იმედით ღამე,
რატომ უღელავს გული ზღვასავით.
თუ ცივი არის და უკარება,
მაშ მთელი ღამით რატომ გვდარაჯობს.
როდესაც ღრუბელს მიეფარება,
მისი წყურვილი კვლავ რატომ გვახრჩობს?
კრთის და ელვარებს ლაჟვარდებიდან,
გრძნეულ თვალებით შუქის მთოველი.
გადმოთანთქარებს ზეცის უბიდან,
ცისა და მიწის მანათობელი.
ვინა სთქვა ნეტავ, ცივია მთვარე,
ან უჩვეულოდ არის მაცდური.
მაშ რად ივსება ნათელით ღამე,
რად იცის მთვარემ ჩვენი წარსული...

სიკვდილსაც უნდა შევხვდე ღირსებით

უცნაურ სენით ვარ შეპყრობილი,
და გამიჩინა თმაში ჭაღარა.
რაც არ მიყვარს და რასაც ვერ ვიტან,
ვდარდობ რომ მიწევს იმის ატანა.
დაუნდობელი წუთისოფელი,
ყოველდღე ცრემლით მიტბორავს თვალებს,
თვალხილული და კაეშნურ ძილით,
ვგევარ ჯალათთა ნაგვემ-ნაწამებს...
მახრჩობს ავ ყოფის ცრუთა ჭაობი,
ვერ ვიტან შურს და ვერ ვიტან ღალატს.
სიმართლისათვის, ერთგულებისთვის,
ვარდების ნაცვლად მესვრიან ტალახს.
ვის ეკითხება ჩემი ცხოვრება,
ჩემს ჩანაფიქრსაც მყისვე მისნობენ...
მე ჩემი თავი თავად ვერ ვიცან,
ისინი, ნეტავ, როგორ მიცნობენ.
არაფრად მიღირს ასეთი ყოფა,
თუ არ ვიცხოვრებ ჩემი მიზნებით.
თვით სიკვდილისაც არ მეშინია,
სიკვდილსაც უნდა შევხვდე ღირსებით!

ო, როგორ მინდა

ხანდახან მინდა შეშლილი ვიყო,
ისეთი, როგორც გიჟი მარტია,
ქარის სიმძიმეს უღრანში წავყვე,
და გაზაფხულის მეცვას მანტია.
ნეტავი ვიყო დილა მზიანი,
ჩამომჩქეფარე ლურჯი ზეციდან.
გულზე მეფინოს ფოთოლთ შრიალი,
მოვკვდე და აღვსგდე ისევ ფერფლიდან...
ხანდახან მინდა, ვიყო ზღაპარი,
ან თუნდაც ვარდზე მბრწყინავი ცვარი,
მინდა რომ ვიყო თეთრი ტაძარი,
ყველას ტკივილის თავშესაფარი.
მინდა რომ ვიყო, ხანდახან გიჟი,
გადავიფხრიწო თავზე ნისლები,
ძარღვებში რბოდეს ცისფერი სისხლი,
სპეტაკი ვიყო, როგორც ფიფქები.
ო, როგორ მინდა, ვიყო ნათება,
სიცოცხლესავით მჩქეფარე წყარო...
მინდა რომ ვიყო ცა ლურჯთვალება,
რომ ჩემს სამშობლოს გულს ვუმკურნალო.

მუზის ხმაური

მსურს შევიმეცნო სიცოცხლის ფასი,
უმწყურვალესი შევსვა სურვილი...
მუზის ნაჟურით ამივსეთ თასი,
რომ დავიოკო ლექსით წყურვილი.
სიცოცხლის გემო შევიგრძნო ლექსით,
შემიზანზაროს ლექსმა სხეული...
და გულს მდაგავდეს მარადი ცეცხლი,
მარადი ცეცხლი გადარეული.
ამივსეთ თასი ლექსის ნაჟურით,
რომ ლექსით შევსვა ზღვა საზღაური...
მინდა სიცოცხლე ვიგემო ლექსით,
ლექსში ჩავტიო გულის ხმაური.

დედა ენა

დედა ენა და ქართული სული,
შემოუნახავთ დღემდის წინაპრებს.
ღვთიური სიტყვა, მირონცხებული,
დასაბამიდან გზა-კვალს გვილამპრებს.
დედაო ენავ! სულო დიადო,
ზე-ღვთაებრივი შუქით დაგვნათი.
ქართველთა ერის საგანთიადოდ,
გვესაკმევლები კვარი სულმნათი.
შენა ხარ ჩვენი ამაყი სული,
ჩვენი გულების წმინდა კანდელი,
დიდი საუნჯე, მრავალძარღვული,
დედის ნანა და მზე პირნათელი.
წმინდა ლაზარე, მკვდრეთით აღმდგარო,
რა ქარტეხილი გამოიარე.
ასომთავრულო, ზე-აღმართულო,
გონების თვალი გაგვიმზიანე.
ღრმა წარსულიდან მოედინება,
სიტყვა ღვთისა და ენა ქართული.
სამყაროს შუქად მოეფინება,
ათი ათვლა და ასომთავრული.
კოსმიურ მთებში ამოდ შრიალებს
ღვთიური ენა მრავალხმიანი...
მარადისობის წრეზე ტრიალებს,
ღმერთების ენა, მზისებრსვიანი.
მალე დაჰბერავს მეორედ მოსვლის,
მკვდრეთით აღდგომის საკმევლის სიო...
ღმერთისგან რჩეულ ქართული ენით,
ამეტყველდება მთელი მსოფლიო.
❤

მზეო მარიამ

„დედაო ღვთისა, მზეო მარიამ“

იესოს შობით ხომ გაგვახარე.
ქვეყნად არსობა მიჭირს ძალიან,
გთხოვ, შენი კალთა გადმომაფარე.
დედამიწაზე ზღვა ქაოსია.
შური, მტრობა და ძალა დამძლევი.
შენ რომ არ იყო ჩემში, დედაო,
ნეტავი ქვეყნად როგორ გავძლებდი.
წრფელი ცრემლები გულში ჩავღვარე,
სული ამევსო წმინდა ლოცვითა.
მითხარ, დიადო, ხომ არ დაგღალე,
ჟამსაწუთროში ჩემი ყოფნითა?
დედაო ღვთისა, წმინდა ქალწულო,
უმზეოდ ყოფნა მიჭირს ძალიან,
ჩემი ცოდვები, გთხოვ, მაპატიო,
“დედაო ღვთისა, მზეო მარიამ!”

იწვის აგონია

ახლა, შუაღამის მკენწლავს ჩუმი დარდი,
მთვარემ გადმომხედა რაღაც გაფითრებით.
ასე უსაშველოდ რატომ შემიყვარდი,
რატომ მენატრები ასე გაგიჟებით.
შენი სიყვარულით ღამე გადავღალე,
ცხადი თუ სიზმარი მგონი ამერია,
ცათა ბილიკები ფიქრით მოვიარე,
შენი მონატრების ჟინმა გადამრია.
გულში შენანთები ცეცხლით ვიფერფლები,
მაკრთობს შემოდგომის ჩუმი ფოთოლცვენა.
ზღვის შმაგ ტალღებივით ფიქრებს ვეხეთქები,
შენ ერთს შეგიძლია ჩემი გადარჩენა.
,,ახლა შუაღამის იწვის აგონია“,
გული იფერფლება გრძნობაშენანთები.
შენაოცნებები სიზმრებს გაჰყოლია,
ურჩი სიყვარულის ცეცხლში ვიფერფლები.

ანამარია ლილუაშვილი

ნეტავ რომელი საათია?

ნეტავ რომელი საათია ? რას ფიქრობს ძილი?
გამოღვიძების დრო ყოფილა მამალი ყივის
ახალი წელი, ახალი დღე, ახალი ძალა,
გამოუვიდა განაჩენი რაც ცუდი წავა.

აბა სიცოცხლე შეაფხიზლეთ და რწმენის ხანა,
რომ ვერაფერი ვერ დააკლოს პირველის დარად.
შეჰკარ ერთობა ,სამართალი და გულის ფარად
წამოაყენე სიყვარულის კედელი მარად..

ნეტავ რომელი საათია? დარდის დრო გაჰქრა,
უკეთესი რომ აირჩიო ის დროღა დადგა.
ერთობისა და მიზნებისკენ იმედით სწრაფვა,
ბედნიერების, წარმატების, წინსვლის დრო დადგა.

სიყვარულისთვის გაჩენილა

სიყვარულისთვის გაჩენილა ყველა სულდგმული,
სიხარულისთვის შეუქმნია უფალს სამყარო;
გახსენით გული, არ დაადოთ კარებს ურდული,
ნაწამებ სხეულს იარები უნდა აკმარო.
ფრთები ფარფატა ანგელოზის ბეჭზე აშლილი,
მზის სხივის შუქზე ბზინვარებით არის გაშლილი;
ამოირჩიეთ სილამაზის გულში ადგილი,
ცხოვრება რთულიც გაგიხდება უფრო ადვილი;
სიტყვა უთქმელად გასაგები ხდება სულისთვის,
სიმაღლე სხეულს სიმსუბუქით არ ეძნელება;
მხოლოდ საზღვარი დაადგინე სუსტი გულისთვის,
დაგვიანებულს სავალალოდ არ ეშველება.
სიყვარულისთვის გაჩენილა ყველა სულდგმული,
სიხარულისთვის შეუქმნია უფალს სამყარო.
გახსენი გული არ დაადო კარებს ურდული
გრძნობებს უსიტყვოდ ამოფრქვევა უნდა აცადო.

ოცნებები აახდინე

ყველა ბავშვის ოცნებები აახდინე,
ფრთებგაშლილი მწვერვალამდე ააფრინე.
ცისარტყელის ფერად ჰქონდეთ მათ სამყარო,
აღიმილე შეეცადე დარდს გაჰყარო.
გულღიად და მეამატი გამოხედვით
და ბალღური ოინებით ანავარდე,
ბედნიერი ღიმილი რომ დიდსაც გაჰყვეს,
ცხოვრებაზე სიამაყით ათამადე;

რა მშვენიერი დილაა

რა მშვენიერი დილაა,
ნისლი სდებია მთა-ველსა,
და სირიუსის ვარსკვლავი
სულს აუმაღლებს მნახველსა.

მზის სხივი საზღვარს მოადგა
ხელს ჩამოართმევს ღამესა,
დამშვიდობების სალამით
გამოაღვიძებს ცათმბჯენსა.

ღრუბლის ქულებში ჩაფლულა
თავი არ უსჩანს მთვარესა.
მიიპარება მალულად ,
აღარ ვუჯერებ თვალებსა.

მომდევნო სხივის ნათება
მთას შემოეკვრის სარტყლითა
ყელზე ფერადი მანდილით,
წელს ნაირფერი მაქმნითა.

ტყე-ღრეს შეაღწევს ნათელი
ფერი გადაჰკრავს მარჯნისა,
წყლის მოჩუხჩუხე ნაკადებს,
ხალისს და ძალას აწვდისა.

სამყარო დღეს რომ ათენებს,
დამდგარი წამის ჩათვლითა ,
ახალ სიცოცხლეს არიგებს
და არ იღლება მართვითა.

დილის გეწიოთ მადლი და
მზის ენერგიით აღივსეთ
ეს მშვენიერი ცხოვრება
სიტკბოებაში გალიეთ.

სამყაროს უგულობა ვინასთქვა

სამყაროს უგულობა ვინა თქვა?
ფერებაც იცის და სუნთქავს.
სამყაროს დაინახავ სხვა თვალით,
თუ დააკვირდები გნუსხავს.

თუკი გაუგზავნი მესიჯებს
პასუხს დაგიბრუნებს იმ წამს.
ფართედ გადაგიშლის ყველა გზას
მისი ერთგულების თუ გწამს.

მიენდა აუღე ალღო და
გაიგებ მისივე სუნთქვას
ყველას შეგოსრულებს სურვილებს
თუ მისცემ დაწერილ ნუსხას.

ატომის მსგავსი ხარ მის თვალში
ანგარიშს კი გიწევს უტყვად
მისი სხეულიდან მოდიხარ,
ნუ გადაექცევი ურჩად.

სამყაროს საოცრებებს უყურე
ჩაწვდე შეიძლება მის არსს
თვითონ გიფრთხილდება ზრუნავს და
მასაც ყურადღება უყვარს.

გახსენი, გაუშვი შენიდან,
უკანვე მიიღებ უხვად.
მხოლოდ სიყვარული არიგე
ნუღა გაჩერდები უბრად.

მე ცივ სამყაროს შევცვლი

ცრემლის წვეთების წვიმას ავაწყობ,
ღრუბლების ქულებს შევქმნი;
ჰორიზონტს დამცავ ბადეს მოვუქსოვ,
ხედვის ბილიკებს შევცვლი.

ჩემს საიდუმლოს მთვარეს გავანდობ
და სულ ყველაფერს ვეტყვი;
ქარს ვეცეკვები ნაბიჯს ავუწყობ,
მზის სხივი სალამს მესვრის.

ზღვის მოლივლივე ცისფერ ტალღებში
გემების აფრებს ავშლი.
სულს სიმშვიდეში დავაბინავებ,
წარსულ ტკივილებს წავშლი.

მოვხატავ ზეცას ცისარტყელებით
იმედის დილას შევქმნი;
გავანაწილებ სითბოს ფერებით
და ცივ სამყაროს შევცვლი;

❤❤

შობა გათენებულაო – ალილო

შობა გათენებულაო -ალილო,
აუნთია ცას ლამპარი -ალილო,
ანგელოზები გალობენ- ალილო,
უფლის შობას გვაუწყებენ- ალილო,
ძღვენით მოგვები მოდიან- ალილო,
ვარსკვლავი კი გზას ასწავლით- ალილო
უფალს ბაგა უკადრია- ალილო,

აქ შობა არ უდარდია- ალილო;
შობა გათენებულაო- ალილო,
მხსნელი სოფლად მოვნელილა- ალილო,
მამას გამოუგზავნია -ალილო,
ანგელოზების გალობით- ალილო
მწყემსებმა პირველად იცნეს- ალილო.
შობა გათენებულაო- ალილო,
უფლის შობას გვაუწყებენ- ალილო.

ია მაჭარაშვილი

* * *

სიზმარში ვნახე ღმერთი ძლიერი
გადმომყურებდა ნაზი თვალებით,
მერე მოვიდა სულ ახლოს ჩემთან
ჩუმი ალერსით და მოკრძალებით.

სულში ნათელი ჩამიდგა თითქოს
და გულმა იგრძნო ბედნიერება,
თვალებზე მომწყდა ჩუმი წვეთები
ღმერთმა წაიღო ზღვას შეუერთა.

სანთლებს ვანთებდი ღმერთის წინაშე
ვილოცებოდი, ვიცრემლებოდი,
გულში სინათლე მეღვენთებოდა,
ჩუმად იწვოდა წმინდა სანთლები.

გული გამითბო, სული დამიტკბო,
იმ სანთლებივით ჩუმად ვიწოდი,
იყავ კეთილი, იყავი სათნო,
ყველას ესმოდა ეს მოძახილი.

მერე წავიდა, დამტოვა მარტო,
ვეღარ ვასმინე ჩემი ძახილი,
სანთლებით ხელში ვდგევარ ხატის წინ
და ვილოცები მე თავდახრილი.

წმინდა სანთლები იწვის ნელ-ნელა
და ჩემი გულიც თანდათან თბება,
არა არ ჩაქრეთ წმინდა სანთლებო,
თორემ ეს გულიც თქვენთან ჩაქრება.

* * *

როგორ მინდა ჩაგიხუტო გულში,
გითხრა როგორ მყვარებიხარ ძლიერ,
მომენატრე, მომენატრე, დედა,
ვეღარ ვუძლებ ამ საშინელ ფიქრებს.

შენს ჭაღარას მსურს შევავლო ხელი,
შრომისაგან შენს დაკოჟრილ თითებს
როგორ მინდა მოგეფერო დედა,
მაგრამ
ვაი, რომ
ზეციდან მიმზერ.

* * *

წუხელის ღამით ვაზი სტიროდა
და ყვავილობა იდგა აპრილის,
სადღაც ხევებში ქარი კიოდა,
მართვეს უხმობდა მთებში არწივი.

წუხელის ღამით ატმის ყვავილობა
ნამი დაეცა გაზაფხულისა
სადღაც ხევებში კვნესა ისმოდა,
გადმომჩქეფარე ნაკადულისა.

წუხელის ღამით დედაც მღეროდა
გაღიმებული ჩვილის აკვანთან
და გადახოკილი თესლი ეკიდა
გადახნულ ყანის გახსნილ ნაპრალთან.

წუხელის ღამით ბადურა მთვარის
და ვარსკვლავების იდგა ნათელი,
ვიღაც შევიდა ტაძარში მარტო
ჩუმად აანთო ღმერთთან სანთელი.

ჩუმად ილოცა სამშობლოს ბედზე,
გამიზარდეო მართვე არწივი,
წუხელის ღამით ვაზი სტიროდა
და ყვავილობა იდგა აპრილის.

* * *

ბაღში გაფურჩქნულ იას მაგონებ
და გაზაფხულის თოვლიან დილას,
მოფრენილ მერცხალს მტრედს მოღუღუნეს
ბაღში შემოჭრილ შრიალა ნიავს.

შენ სიცოცხლე ხარ, შენ ხარ ხალისი,
რომელიც მინდა გულით გატარო.
შენ შემაყვარე მამული ჩემი,
შენ შემაყვარე მთელი სამყარო.

დედავ, ლამაზო და გულკეთილო,
ხეხილიც შენი სიცოცხლით სუნთქავს,
შენი ნანინა ტკბილად ნამღერი,
ცხოვრების გზაზე გამყვება მუდამ.

შენი სიტყვების ძალა ვიწამე,
გულში ჩარგულმა ფესვი გაიდგა.
ვითარც სამრეკლოს ზართა წკრიალი
მამულის მთაზე ისე გაისმა.

შენა ხარ შუქი მანათობელი,
როგორც ავდარში ანათებს ელვა
და არ გასვენებს შვილების დარდი,
ჩემო ლამაზო, თმათეთრო დედა.

შენ ხარ სიცოცხლის ტკბილი საწყისი
და უკვდავების მთელი სამყარო,
შენ რომ ამაყობ შენი შვილებით,
შენი შვილები შენით ვამაყობთ.

შენი შვილების დარდით დაღლილი,
შენს სიცოცხლეზე ფიქრობ? აღარა
ასე მგონია, შენ ჩვენზე ფიქრმა
და იავნანამ გაგაჭაღარა.

მე მარად მინდა მარად მწყურია
ის ტკბილი ნანა ისევ მათრობდეს,
ჩემო ლამაზო, ტკბილო დედიკო,
ბაღში გაფურჩქნულ იას მაგონებ.

* * *

ცის ლაჟვარდებში დავიწყე ფრენა,
მსურს ჩემი მზერა ყველგან მივიდეს,
ვუმზერ გადაშლილ ველებს, მთაგორებს,
თვით უკვდავების ვუმზერ ბილიკებს.

თვით უკვდავსბის მადგას გვირგვინი,
რაღაც შორეულს დავეძებ ჩემში,
მინდა ავიდე სულ მაღლა,
რომ ცივი წყარო მეც შევსვა პეშვით.

ირგვლივ ყველაფერს ვუმზერ და ვხედავ,
სად ყვავის ია, სად ფრენს არწივი.
დრო უსაზღვროა, ცა უსასრულო
და თვალთახედვას არ აქვს მანძილი.

ვუმზერ ყველაფერს, რაც კი არსებობს,
ქვა, ხე, თუ კორდი, მდინარე, მიწა,
თვით უკვდავების ვუმზერ ბილიკებს,
ჩემი დედიკოს ჭაღარას ვფიცავ.

* * *

ერთიც

მინდა მზე ვიყო ამომავალი,
დაგათბო, ყინვამ რომ არ დაგზაფროს,
მინდა, რომ ვიყო პატარა ქისა,
რომ გულის ჯიბით შენთან მატარო.

მინდა ვიფრინო მაღალ მთებს თავზე,
როგორც არწივი როგორც მიმინო,
მინდა მამულის ლამაზ მთა ველზე
ორთავემ ერთად ლაღად ვიფრინოთ.

ან მთვარე ვიყო, რომ წყვდიად ღამეს
სხივი მოვფინო, გზა გაგინათო,
შხაპუნა წვიმამ არ დაგასველოს
და ყინვამ გული არ დაგიზაფროს.

და მინდა კიდევ ვიყო პოეტი
შენი სიცოცხლის დღეები ვწერო,
ბევრი რამ მინდა, ბევრი რამ მხიბლავს,
ჩემო სიცოცხლევ, ხვთაებავ ჩემო.

❤ ❤ ❤ ❤

ნინო უძილაური

ბოლო წვეთი

წვეთი კმარა ჯამის ასავსებად,
წვეთიც მერე ისევ დასაცლელად,
სული, მამის და ძის ერთ მსგავსებად,
მერე ამ მსგავსების დასაცველად.

ბოლო წვეთი?.. ცაში ფრენა მინდა,
ვნატრობ, იმედია წამიერი,
მამა, ძე ღმერთი და სული წმინდა,
მერე?...ჩვენი მრავალჟამიერი.

ბარბარობა დღეს

შუა ქალაქში, ბარბარობა დღეს,
მუხლზე დამხობილს შევხვდი მათხოვარს,
გამვლელს ცრემლებით უჩრდილავდა მზეს,
გამვლელი მზერით კლავდა მის თხოვნას.

ჰყიდდნენ ვაჭრები ბრჭყვიალა ნივთებს,
სრულიად მცირეს, სრულად უსახოს,
ითვლიდნენ ციფრებს, ახშობდნენ სივრცეს,
არ ადარდებდათ ქალი უსახლო.

გამვლელი ვაჭრებს ფულს უყრის ხელში,
პატივმოყვარის საფეხურიდან,
სინდისს სიტყვები უჭერდა ყელში,
როცა ითხოვდნენ ხურდას ხურდიდან.

არც ერთი გროში თანაგრძნობისთვის,
არ დავარდნია მათხოვარს მხარზე
და გაოგნებულს უგრძნობ გრძნობისთვის,
ცრემლი მოადგა მომზირალ თვალზე.

...დამძიმებულმა და თავდახრილმა,
ვყლაპე ცრემლები ბეჩავად ყოფნის,
არც ერთი კითხვა... ვის ვემართლები,
ჩემი ცოდვები მე თავად მყოფნის.

ხუთი წუთი

ხუთი უსასრულო წუთი,
დროში ჩაიშალა უმალ,
სტროფებს უკოცნიდა სხივი,
ლექსად შემორბენილ სტუმარს.

იჯდა ტახტრევანზე მუზა,
წუთი გადაკარგა წამით,
პოეტებს ჩაეშვათ ღუზა,
აქ მზე ანათებდა ღამით.

ღვთის კაცი

ღმერთივით გამოჩნდა ღვთის კაცი მიწაზე,
ყველაზე სუფთა და ყველაზე მართალი,
ხურჯინით დაჰქონდა სიტყვების სინაზე,
სახეზე ეფინა ღიმილი ალალი.

სიცოცხლე ფიანდაზს უფენდა სხივებით,
სიყვარულს აფრქვევდა სიამის მარცვლებად,
სამყაროს ქარგავდა ფერადი მძივებით,
გალობდა, სიკეთეს ჰყვებოდა ზღაპრებად.

ღმერთკაცი, ღვთისკაცი, ზეკაცი მიწაზე,
სიკვდილის ბგერები უსიტყვოდ დადუმდა,
სიცოცხლის მუსიკა აჟღერდა იმ მთაზე,
იმედს რომ სიცოცხლე არასდროს არ სურდა.

ღმერთივით გამოჩნდა ღვთის კაცი მიწაზე,
სპეტაკი, გულღია, სუფთა და ალალი,
ხურჯინით დაჰქონდა სიტყვების სინაზე,
კაცად დადიოდა თვით ღმერთი მაღალი.

მამა

როცა მყავდი, ვერც ვერავინ მაბრაზებდა,
მამა ჰყავსო... ჩურჩულებდნენ ჩუმად,
ძლიერი და გულმაგარი ფშაველია,
პირშიმთქმელი ვაჟკაციო, უთქვამთ.

როცა მყავდი, არაფერიც არ არ მტკიოდა,
ცას ვწვდებოდი, ვთამაშობდი მზესთან,
ვიყავ ლაღი, არ მციოდა, არ მშიოდა
და არაფრის მეშინოდა შენთან.

როცა მთაში ლექსის კოცონს დაანთებდი
და ზღაპრებად იღვრებოდა ზეცა,
ჩემთვის ღამით უკუნსაც კი ანათებდი,
უდარდელი წლები სად გამექცა....

როცა მყავდი, მამის ძლიერ ხელებს ვგრძნობდი,
მამის სიბრძნეს, მამის გულის ხმობას,
ნეტავ მყავდე, არაფრისთვის არ დაგთმობდი,
არ დავთმობდი მამაშვილურ გრძნობას.

ძნელია

ძნელია,
როცა ნასუფრალზე მოხვდება კაცი
და იქ სხვისია ხელსახოცი დასვრილი ტუჩით,
როცა თხა ჯდება სუფრის თავში და როგორც ვაცი,
უცოდინრობით გიმხედრდება და ხდება ურჩი.

ძნელია,
როცა უწიგნური გზომავს საკვებით,
ან...და მდიდრული სამოსელი ჰგონია მეტრი...
სწორედ ასეთებს სავალ გზაზე როცა შეხვდებით,
ერთხელ აჩუქეთ გამარჯობა...სხვა არც რა მეტი.

ძნელზე ძნელია,
სამზეურზე გამოტანილი,
უსახურ ფიქრთა მოხაზული ქება-დიდება,
უამურ თვალით დანახული ბეწვი სხვის თვალში,
მხოლოდ და მხოლოდ უგუნურთა გულმა ინება.

გაუმარჯოს

გაუმარჯოს სიძულვილის დასრულებას,
სიყვარულის გამარჯვებას გაუმარჯოს,
ფარისეველ მედროვეთა დამუნჯებას
და წრფელ ღიმილს,
ღმერთივით რომ გულში მარჯვობს.

იმ მეგობარს
და იმ ნაცნობს გაუმარჯოს,
ტყუილს, ღალატს, ორპირობას რომ არა სცნობს,
გულში აუგს არასოდეს არ გაივლებს,
ზურგში ლახვარს არასოდეს არ ჩაგასობს.

ღვთის ტრაპეზზე ღმერთის სიტყვას გაუმარჯოს,
სიყვარულით სული სადაც დაპურდება,
ფლიდებს, ოქრო-ვერცხლის მონებს რა გამოლევს,
ღვთის სუფრაზე მათი სიტყვა დასრულდება.

გაუმარჯოს სიძულვილის დამარცხებას,
სიყვარულის გამარჯვებას გაუმარჯოს!

სურნელო ვარდის

სევდამორეულ გრძნობებს
კვალი დაჰყვება დარდის,
როგორ მიყვარხარ ახლაც,
ჩემო სურნელო ვარდის.
ნეტავ დაბრუნდეს წლები,
სადაც ბავშვობა ქროდა,
შენი თვალების ცქერით,
გული საგულეს თრთოდა,
ვარდს ედებოდა ნამი,
ია ხარობდა ტყეში,
დაბრუნდებოდეს წამით
ის სიყვარულის თქეში,
როცა გიცქერდი შორით
და ვერ გიმხელდი ტრფობას,
ამ იდუმალი გრძნობით,
დრო მაძალებდა მოცდას.
ვერსად ვერ ვპოვე მსგავსი,
შენი დალალის ფერი,
მაგ თვალთა სხივის ელვამ
დღე გამინათა ბნელი.
ახლაც ვიხსენებ იმ დროს,
როგორ ვხარობდი როცა,
ერთი პატარა გოგო,
შემიყვარდა და მორჩა.
შემიყვარდა და მაშინ,
იყო ფიქრები წრფელი,
მოვიტაცებდი რაშით,
მერე ცხოვრება მთელი,
აენთებოდა ჩემთვის,
იმ ჩაუქრობელ ცეცხლად,
გულში რაც ენთო დღეს კი,
გადამქცევია ცრემლად.
სევდამორეულ გრძნობებს
კვალი დაეტყო დარდის
ძლიერ მიყვარხარ ახლაც
ჩემო სურნელო ვარდის.

მზიური დათიაშვილი-აფციაური

ქალი – პოეტი

როს ღმერთმა შექმნა სამყარო,
გათვალა ყველა ძალები,
ცაზე მოუხმო ვარსკვლავთა,
ცნო წყობა გასახარები,

ადამიანის შექმნისთვის,
თიხა მოზილა – ტალახი,
და გამოკვეთა უსულო,
ძლიერი, როგორც ბალახი.

შთაბერა სული უფლების,
უარყო მასში სალახი,
მხოლოდ მას – ადამს მიუძღვნა,
სამოთხე ჯერ არ ნანახი.....

სამყარო კაცით სუნთქავდა,
შრომობდა სულ თავდახრილი,
წვრთნიდა მხეცებს და არ აკლდა,
არც საჭმელი და არც ხილი .....

და სულის გამხნევებისთვის
ქალი მოუძღვნა ბუნებამ ---
ნეკნები ამოაცალა,
შეუქმნა კეთილ – გუნება,

უფლის ნაბოძებ წიაღში
ხარობდნენ სულნი კეთილნი,
სამყაროს იდუმალება --
სივრცეში გამოკვეთილნი .....

და ცნობისმოყვარეობამ
სული მიანდო ეშმაკსა,
გარემო შიშით კანკალებს:
რა ცოდვა ადევს ეს, მასა? –

რომ, განუსჯელი სინაზე,
მფრთხალი, ფხიზელი, წევს ასსა --

დიდფურცლოვან ველს გაშლილსა,
თხზავს სინარნარეს მხლებს ხმასა --

წვეთთა წკაპუნის ჩვენებით,
უხმო ჩურჩულით ყვავილთა,
ფრინველთა ჭიკ-ჭიკ – გალობით,
შველთა უმწიკვლო ხავილთა .....

სიცოცხლი რიტმის მატება,
მოქნილ სხეულით განივლტა,
და ქალმა ნოტი წარმოქმნა,
ცის მუსიკალურ აირთა ! ....

გადააბიჯა ღვთის სამწყოს,
ედემის ბაღს და ჭალებსა,
სიცოცხლის შენარჩუნება,
მიანდო ვეფხვის ბრჭყალებსა,.....

სამყაროს შეუვალობა
გზას უმზადებდა მწარესა -
დაათმობინა ედემი
ცნობადი მზიურ მხარესა,

სინათლის შუქმა გაჰყარა
სინმენელს მიმწუხარესა;
მთვარის მკრთალ შუქზე ეძებდა
მეგობარს ხმა – მქუხარესა,

ჭეშმარიტებას ფარულად
ემალებოდნენ არესა ....
მიხვდნენ მაცდურმა დაგესლა
არ შესწევთ ძალა, ცა- მწესსა,

მიუახლოვდნენ ..... მიტომაც
გესლთაგან მწყესმა განწესნა ....
და რომ გარემოს შერწყმულთა
ღრმა ტანჯვა გაიარესა

დასაბამიდან ცრემლებით
წარიხოცავენ იარებს,
თუმცშეუშინდნენ თვის პარტონს
ცოდვები მთლად ადიარებს ....

სინანულს ნაზ ხმოვანებით
გალობენ ვითარ ფრინველნი;
ბულბულთ, იადონთ, სირინოზთ
მინამსგავსთ ხმა საკვირველნით....

კაცობრიობამ პირველი
სიტყვა „ნანა"-თი შეცვალა,
როს მერცხლის ჭიკ – ჭიკს სიცოცხლე
ამ სამყაროში ეცნა – რა!...

და ქალმა შეთხზა ბწკარები,
სინაზით, სულთ რომ ეხარა, -
პირველ ცდუნებულს – ევასა
კაცთა თაობა ებარა .....

შეუპოვრობამ წარმოშვა:
გრძნობათა ყველა დუღილი,
რვა ათასი წლით განსაზღვრა
დღემდე სამყაროს ქუხილი,

კაცობრიობის ცხოვრება --
ერათა დიდი უღვლილი --
სამიათას წლით მსოფლიომ
კულტურა იცნო უხილი --

ძველ ბერძენთ პოეტი ქალი --
კუნძულ „ლესბისის" მშვენება
ქალაქ „ეროსის" მკვიდრი და
„მიტილენისა" შენება --

პირველი პოეტი ქალი --
საფო – ღმერთს ასე ენება:
„მე-10 მუზა" – პლატონმა
უწოდა, რადგან ქვე – ნება:
სამყაროს ჩვეულ ნიჭს ეპყრა -
სიტყის რომ შეძლო ჩვენება ! ...

****

განსდა ხმა მხარი აუბეს,
არაბ, ირანთა ქალწულთა,
ბატონიშვილმა თეკლამ --
ქართული სიტყვა – აწურთა! ...

ვით შველსა ტყე – ველი გაჭრილსა,
მუზა, წყალივით მოწყურდა:
თავისუფლების მძებნელსა,
საქართველოსთვის, რომ სურდა --

შვილები: ვახტანგ, ალექსი
პატიმარ დედის თავს სწუხდა:
რა მწარეაო ცხოვრება დაჭკნა,
სასრულდა ...
ვარდივით დაჭკნა, დასრულდა.....

მაგრამ – შენ ქართულო ცაო;
ისე ღრმა ხარ! -- წერს ანაო
ყველას სიცოცხლის დედა ხარ --
ახარე ეს ქვეყანაო ! .....

****

თანამედროვე პოეტის
ვრცელო გაშლილო ყანაო,
მადლი წყალობის გვაპნიე,
აღმოგვიჩინე თანაო,
რამეთუ სიტყვა სიბრძნეა
დასაბამითგან განაო ! –
არ იკარგება არც ბგერეა --
სიყვარულისა „ნანა"-ო! .....

ლეილა გაზრინდაშვილი

სიბრძნის სავანეში

არ მივცეთ თავსა უფლება ვარჩიოთ გზა კეთროვანი:
„სჯობს სოცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“.

თავი ხელში აიყვანე, შეერკინე გასაჭირსა:
„ჭირსა შიგან გამაგრება, ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა“.

ღმერთის რწმენა გადაგვარჩენს,
დრო არ არის განრისხების:
„რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების“.

არ დამორჩილდე ცდუნებას, შეგიძულებს სოფელია:
„უმსგავსო საქმე ყოველი,მოკლეა, ვით ოხერია“.

კაცი ერთგული, მოყვასი, ღვთისგან გაწვდილი ხელია:
„ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თვისა მტერია“.

კაცი ბოროტი შეიცან, ვინც მოგაყენებს ზიანსა:
„ვგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა“.

ენამწარე, ავყიობით სხეულზე გაგავლებს მუსრსა:
„ავსა კაცსა ავი სიტყვა, ურჩევნია სულსა, გულსა“.

სიკვეთეს თბილი გული აქვს და ცისარტყელას ფერია:
„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

ვერ მომერია მომხვდური, ძმამ გადმიგრიხა ხელია:
„მოყვარე მტერი ყოვლისა, მტრისაგან უფრო მტერია“.

მატყუარა, ფლიდი კაცი,მოგიშხამავს ტკბილსა გულსა:
„სიცრუე და ორპირობა, ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“.

თბილმა სიტყვამ შეარიგოს, მოსისხლე და მოჩხუბარი:
„ გველსა ხვრელით ამოიყვანს, ენა ტკბილად მოუბარი“.

მრავალსიტყვაობას სჯობნის, ერთი ციცქნა ფრაზა, ვარგი:
,,გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი“.

სიკვეთე დაუმახსოვრე, კაცს ერთგულსა და ჭკვიანსა:
„ არ დავიწყება მოყვრისა, აროდეს გიზამს ზიანსა“.

სიტყვას მიეც გზასავალი, თუკი საქმე არ შავდების:
„ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“

სურვილმა იმარჯვა

/გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტერი. მამა ნეოფიტეს/

მტკიოდა, მიჭირდა, სურვილმა იმარჯვა...
რწმენით ავიარე მონასტრის აღმართი,
კლდეში გამოკვეთილ კომპლექსს, საოცრებას,
ფიქრებში ქართული სამოთხე დავარქვი!

სად, მამა-პაპათა ნაშენი, ნაღვაწი,
კლდეზე განფენილა სამშობლოს დარაჯად.
ხელში (და გულშიაც) მინთია სანთელი,
სულმა აქაური მოისხა ფარაჯა.

მაცხოვრის რჩეული ვიხილე მამაო,
უბრალოებაში სიმდიდრე ზეობდა,
მიწის ქვეშ, მღვიმეში, მლოცველთა თვალებში
ღვიოდა ნათელი, უფლის სამზეოდან!

ლოცვამ, აღვლენილმა, დარდი დამიამა,
სმენით დავეწაფე და სულში მოვკვირტე,
ღვაწლით, ერთგულებით, მონასტრის განძი ხარ,
მხნეობას გისურვებ, მამა ნეოფიტე!

არწივს გულს, ლექსით მოვუგებ

როგორ მიყუჩებს იარას,
ჩემი მთა-ველის სურნელი,
ტყეში ფრინველთა გალობას
მოსდევს ხალისი, ულევი!
ვინ დამიშალოს ოცნება?
მეტწილად მიუწვდომელი...
ცაში მოვხაზე ირაო,
ჩემი მგონია ყოველი!
ფერად ყვავილთა ხალიჩას
იალაღებზე აფენილს,
ლექსი ვაფინე გულმკერდზე,
ოცნებას მზემდე ავყევი...

*

არწივს გულს, ლექსით მოვუგებ,
იქნებ მეც ფრენა მასწავლოს-
ავისრულებდი ჩანაფიქრს...
გადავუფრენდი სამყაროს!

ვაჟა ხურციძე (ჩორჩანელი)

ვაჟა ხურციძე (ჩორჩანელი) დაიბადა 1991 წლის 5 იანვარს, ქალაქ სამტრედიაში.

დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (2009-2013) "ენერგეტიკის და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი..."

2013-2015 წლებში უნივერსიტეტი „გეომედი ჯანდაცვის მენეჯ-მენტის ფაკულტეტი, მინიჭებული აქვს მაგისტრის ხარისხი.

ჩორჩანელის შემოქმედებით სულს კვალდაკვალ მოყვება სამად-ლობელი სამტრედიის საჯარო სკოლის ყოფილი პედაგოგის, ფილოლოგის, ღირსების ორდენის მფლობელის, უკეთილშობილესი ქალბატონის – ნონა ნაცვლიშვილისა, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა მის ნათელ-ზნეობრივ ჩამოყალიბებაში, შეაყვარა ლიტერატურა, პოეზია, რის შედეგადაც მე-6 კლასიდან ეზიარა საკუთარ შემოქმედებას.

ვაჟა 2023 წლიდან იმყოფება აშშ-ში

გთავაზობთ ვაჟა ხურციძის (ჩორჩანელი) პოემას „მხატვარი და პოეტი“

თეა კანდელაკი

მხატვარი და პოეტი

ალბათ ერთ წამში შევიგრძნობდი სამყაროს ძგერას,
თვალდახუჭული მოვუსმენდი ბულბულის სტვენას
ამღვრეულ სულით ვეცდებოდი გრძნობების ცქერას
რადგან თვალები ვეღარ ამჩნევს ამ წამის რხევას...
რაღაც მაღვიძებს, ტკივილია თითქოს მახვილის
ვიგრძენი შავი სილუეტი – თავზე დამტირის
ვიღაც ფეხებით გულზე მადგას, თანაც ჩამყვირის
ჩახერგილ ნამტვრევს უფრო ბზარავს, ხმა აქვს საყვირის
– მოვიდა წუთი, წუთზე წამი, აღარ გრძელდება,
შენთვის სხვა ფერი უსახოა, მხოლოდ თეთრდება,
მიწა იყავი, მიწად იქეც, ყველა მტვერდება,
შენ კი ყველა ხარ, ბოლო დღეა, აღარ თენდება...
სიცოცხლე სწრაფად დაგიმჭკნარდა ვეღარ რთველდება...
მივნებდი ბგერას, მიყრუებულს, ფოთოლთა ცვენას,
ავყევ სახლიდან მიმავალი ამ სისხლის დენას,
მდინარეს ვხედავ, მიდის გეზით უფსკრულთა მხარეს,
როგორ დავნებდე, დამაშორონ ჩემს ღამეს, მთვარეს,
მხოლოდ თითებით მოვეფერო, დავთმობდი თვალებს ...
მაშინ ვინატრე, ღმერთო ჩემო, მომეცი რწმენა,
არ მინდა ზეცად სილამაზე, არც ცეცხლის ენა,
მინდა პატარა ქვად მაქციო, ვარსკვლავთა ცქერა
მიყვარს, ერთხელაც მომისროლონ, შევიგრძნო ფრენა.
გამომეღვიძა, ვეღარ ვხედავ სამყაროს ნაჩვევს,
სხვა რამე ჩემთვის ამაოა სურვილის ნარჩენს
ცივ ბაგეს მითბობს, მთვარის ლანდი ვნებისგან ამცვრევს...

ჩურჩულით მიხმობს, მაგრამ ქვა ვარ და ვეღარ მამტვრევს...
თურმე აღსრულდა ჩემი ნატვრა, მარგუნა ღმერთმა,
მაგრამ სხივებით მაინც მათბობს, უნდოდა ეთქვა:
–ღამეს ნატრულობ, როდესაც მქონდა ათასი ფერი,
გინდოდა ყოფნა, დაე იყავ საფლავის მცველი...
თავსხივოსანი მზე ხომ მათბობს, ღამეს კი – ბნელი
სასწაულმქმნელი თავზე მადგას ამ სულის მხსნელი,
წვიმა თითებით მეფერება და ჩუმად ვმღერი,
გავიდა წელი, მე ისევ ქვა ვარ და იმ წამს ველი.
დღეს კი ამ ადგილს შეიყარა ორი ფრთოსანი,
სქელ წვერ-ულვაშით, საღვთო სახით და ხშირ-თმოსანნი,
რჩეულთ კამათი ბნელს ანათებს ვეფხვის ხმოსანნი,
დუმილს არღვევენ მხატვარი და სიტყვის მგოსანი.
მხატვრისგან მესმის, რასაც იტყვის, არ იმჩნევს ღელვას,
თვალებით სანთლად ანთებული მიდამოს ზვერავს,
ნოემბრის ტყვეთა სიმარტოვის არც ერთ ფერს არ გმობს,
თითქოს და ხელებმოკვეთილი განცხრომით ამბობს:
–უკვდავთა ძვლები ზეცას ართმევს ცის ზღვათა ნათელს,
ყვავილთა ტოკვა გრძნეულს აცმევს ქვის ხავსთა ნადებს,
დილა თენდება, რომელიც დალევს იდუმალ მთვარეს,
დღე სარკმელს აღებს, გდებულ მანდილს უნდობლად დახევს.
თითქოს ბრძანებას ელოდება ეს გმირი მთები,
ჭაღარას გახდის, მერამდენედ, მყინვარის თმები,
ანაზდად მისი გამოხედვა ყინულსაც ამსხვრევს
ამიტომ აღარ ეომება, უთქმელად ავსებს.
როგორ შვილივით გაუზრდია ამ კლდეებს რიწა,
მშიერი ბევრჯერ დააპურა, აჭამა მიწა,
ამ სილამაზეს მოუხდება ლამაზი ქალი,
ვგონებ, საერთოდ ვეღარ შევძლებ, მოვწყვიტო თვალი.
იდუმალებით აღსავსეა უზომოდ ვრცელი,
მიტაცებს გვიან შემოდგომა, პირველ თოვლს ველი,
თუ ეს წალკოტი არ დავხატე, გამეხრწნას ხელი,
ქვა გულზედ მედოს, იყოს ჩემთვის უკუნის მცველი.
მკრთალი ღიმილი ნათელს იწვევს და უკუნს თელავს,
მხატვარმა ნათლად დამანახა, ის რასაც ჰხედავს...
აშკარა ჩუმი მღელვარებით აღუდგა ამ გზას,
პოეტი მხატვარს ვერ გაუგებს და მშვიდად ნათქვამს,
ასე გულაყრით ვერ დაუცდის მძვინვარე ზამთარს,
ვგრძნობ, როგორც ჩიტის გულის ფეთქვა, ისე აქვს ახლაც.

აფეთქდა მდუღრად დაგროვილი გრძნობათა ბრძენი,
–მომიხმეთ მთებო, მშველელი ვარ ამჯერად თქვენი,
აღარ გაბედოთ დანებება, იგრძენით წვენი
ბრძოლის, რომელსაც ესაზღვრება სიკვდილის ბჭენი.
დღეს მე მომინდა, შემეჭამა კბილებით მიწა,
აღმართულ კლდეთა მონობისგან დამეხსნა რიწა,
თვალებში ცქერის წამი მომცა მომაკვდავ ღამის,
ას წელს მეყოფა ეს ერთი წამი, მაფეთქებს ლამის...
თუნდაც თვალები დაემსგავსოს ვარსკვლავთა სიამს,
წყეული ტანი გაგონებდეს სამოთხის ტიალს
და როგორც ნიავს ერგებოდეს თითები ფლიდი,
რად მინდა მარტო სილამაზე, საოცრად მშვიდი.
ალბათ ყველასთვის ვისურვებდი მდუღარე სეტყვას,
მაგრამ მდუღარეც ვერ აკლებდეს და აბჯრად ერტყას
ჩურჩულით მღერა, მოგაგონებთ ტალღათა ხეთქვას,
ვარდის გაფურცვლის სიგიჟის და ჩუმ-ჩუმით ფეთქვას.
ვერც ამ ქვას ვიტან, გაჩენის დღიდან–საოცრად მშვიდი,
იყო და არის, სიყვარულს ვერ გრძნობს და პასუხს ვყიდი
ცხელ გრძნობის ფასად, რატომ შვა ღმერთმა, ყველაზე მეტმა,
საფლავზე დგომა არგუნა წილად, ვაქციო თბილად
ეს ცივი მიწა, რომელიც ითმენს საოცრად მშვიდად...
ეს თქვა და ხელი დამტაცა უცებ, ტკივილი ჭამის
დარდი ნამდვილად არავის ჰქონდა ცრემლების მალვის,
გული სიცოცხლით ამიჩქროლდა მოსული ჟამის,
ჰაერში სწრაფად გამისროლა, ვიგრძენი ქარის
შეხვედრა ნამის, უკან კარგვა მშიერი გვამის,
სილაღით ფრენის წამი სუნთქავს, სურვილის ღამის,
ას წელს მეყოფა ეს ერთი წამი, მაფეთქებს ლამის,
ალბათ ერთ წამში შევიგრძნობდი სამყაროს ძგერას,
თვალდახუჭული მოვუსმენდი ბულბულის სტვენას
ამღვრეულ სულით ვეცდებოდი გრძნობების ცქერას
რადგან თვალები ვეღარ ამჩნევს ამ წამის რხევას...

დარეჯან მაჭარაშვილი

***

სახე, ღიმილით ნაფენი,
სხვათა და კიდევ სხვათა,
დილით მზის ამობრწყინება
გადაძახილი მთათა.
ბებოს ფუსფუსი ეზოში
ამოწეული კალთა,
ზეცას ასული ყიჟინი
განებივრებულ ბალღთა.
სიყვარულით და სიკეთით
ამოვსებული გული
საძმოდ გაწვდილი მარჯვენი
დამარცხებული შური.
არ დავიწყება მოყვარის,
გული ბავშვურად სუფთა,
ბევრი "ნანინა" აკვანთან
ბევრი სალხინო სუფრა.!
ცად ცისარტყელას ღიმილი
დილით მბრწყინავი ცვარი,
ბარში ვაზი და ხეხილი
მთაში ძროხა და ცხვარი,....
ღმერთო, მოგვეცი სიკეთე
და სიყვარული ბევრი,
რომ თვალზე მუდამ გვდიოდეს
სულ სიხარულის ცრემლი.
ვკოცნიდეთ მამის ნაკვალევს
დრო რომ ვერაფრით წაშლის,
არ ვარდებოდეს ძმათ შორის
განხეთქილების ვაშლი.!
რწმენა, იმედი მოგვმადლე,
გვიმრავლე გოგო–ბიჭი,
მოგვეც სიმართლის უნარი
და სიყვარულის ნიჭი!!!.

საჩხერე❤❤

ჩემს საჩხერეს შევადარებ ვერვის,
თუმცა კუთხეს ვენაცვალე ბევრს,
გორიჯვარზე გზას აივლი ფეხით,
აიწევ და ცას შეახებ ხელს!

მოდინახის სილამაზეს თუკი,
ნახავ, – მერე მოუყვები სხვებს,
თუკი ერთხელ ნახავ გარიჟრაჟი
როგორ ახვევს რძისფერ ნისლებს მთებს

სიყვარულით აძგერდება გული
ასაფრენად გამოისხავ ფრთებს,
დაუკოცნი ზურმუხტისფერ კალთას,
და მოუხრი მოწიწებით ქედს!

ყვირილას ხმა გაგაღვიძებს ადრე,
სათავეს რომ იღებს სადღაც შორს,
ყვირილით და ფრენით ჩამოგივლის
მოვიყვება მართალსა და ჭორს!

სხვიტორში თუ ოცნებები დაგძლევს,
თვალს შეავლებ დიდი მგოსნის ლანდს,
სავანეში კაკლის ჩრდილში სუფრას
გაშლი, მერე დარდს გაატან ქარს!

შემოდგომა უნდა ნახო ჩვენში,
ვერსად ატევ ზვინებსა და ძნებს,
საწნახლიდან მირონს ადენს გლეხი,
თან სიმღერას დააყოლებს ზედ!

აქ სტუმარი ღმერთის ტოლი არის,
ჭიშკარს შიგნით მტერიც კია ძმა,
მოკითხვას და სალამს სანამ იტყვის,
ხაჭაპური უკვე არის მზად!

მთა სოფლების სილამაზეს ნახავ
დაგატყვევებს და მოგტაცებს თვალს,
სალოცავი, უფლის ძალის მქონი
ჯვარს დაგწერს და დაგილოცავს გზას!

ჩემს საჩხერეს შევადარებ ვერვის,
თუმცა კუთხეს ვენაცვალე ბევრს,
გორიჯვრამდე გზას აივლი ფეხით,
აიწევ და მზეს მიაწვდენ ხელს!!!

დედ-მამიშვილების ხსოვნას

ბევრი გასულა წლები,
უთქვენოდ რიგორ გავძელ,
დავდივარ, დამაქვს მხრები
მოგონებებით სავსე,
თქვენით და თქვენთან ერთად
მსურდა დამეძრა მთები.
ახლა შევწყვიტე ფრენა
ჩამომაჭერით ფრთები!
სიხარულს აფერმკრთალებს
ის უთქვენობა რთული,
დიდი ხანია მოკვდა
თქვენი წილადი გული.
მოვალ მოგიტანთ ამბებს,
რომ უთქვენობა მიჭირს,
რომ მონატრება მომკლაცს,
ორი ვაჟკაცი ბიჭის!
გულზე დაგიწყობთ იებს,
გეტყვით სათქმელი რაც მაქვს,
რომ უსუსური მხრებით
სულ მონატრება დამაქვს!
წლები მიფრიბავს, თუმცა,
დრო ნაფეხურებს ვერ შლის,
სიზმარში მოდით სანამ
ეს მონატრება შემშლის!

*****

ვიღაცა დაგგესლავს გველივით,
ვიღაცა დაგიგებს გულს,
ვიღაცა თავს გესხმის მგელივით,
შენი "გადასანსვლა" სურს!
ვიღაცა სიყვარულს გაჩუქებს,
ვიღაცა აგირევს გზებს,
მავანი იქით გთხოვს საჩუქრებს,
სხვა – ბნელში გაჩუქებს მზეს!
ხანდახან "მერევა" გონება,
ცოდვებით ვიმძიმებ სულს,
ვიღაცის ტყუილი მომწონს და
ვიღაცის სიმართლე მძულს!
ზოგჯერ ჩემი თავი მერევა,
ქალური სისუსტე მძლევს,
როგორაც ვენდიბი მოყვარეს,
ისევე ვენდობი მტერს!

***

ვერ ვიყენებთ წუთებსა და წამებს,
ამ ქვეყანას ვიდრე ვართ და ვცოცხლიბთ,
თვალებს ვხუჭავთ რაც არ მოგვწონს – მასზე,
უნებურად სიცრუეში ვცხოვრობთ.

პრობლემების ზღვაში სასაცილოდ
თავწარგული – სირაქლემას ვგავართ,
სულ დავეძებთ რაღაც გამოუცნობს,
ამ ძებნაში საკუთარ თავს ვკარგავთ,

ღირსეული დავამდაბლოთ, გვინდა,
სამართავი მთის მწვერვალზე აგვყავს,
ერთმანეთის ქიშპობას და ჭორში
ღმერთმა იცის, რომ ბადალი არ გვყავს,

საღი აზრის სმენა როდი გვინდა,
მივატოვეთ ტაძარიც და ხატით,
სულ ყოველ დღე ღმერთს ვშორდებით, მიტომ,
გვემტერება ბუნებაც და კაციც.

როს არასდროს, მახსენდება ახლა
ის არაკი, – მგელისა და კრავის
სადღა არის სამართალის ძალა,
ან გარჩევა მტყუანის და მართლის.

გვსურს უეკლოდ რომ მივკრიფოთ ვარდი,
ხელებს ხომ არ დავიკაწრავთ აბა?
არაფერი არ გვადარდებს მეტი,
არაფერი – ჩვენი ტყავის გარდა.

"სხვისი ჭირი" მოგვიმრავლდა ისევ,
ცრუ სიკეთის მოგვირგია როლი,
სხვისი აზრი არ გვადარდებს დიდად,
ჩვენს კარებში ისევ გაგვაქვს, გოლი.

_ _ _ _ _ _ _

სანამ კიდევ სისხლი გვიდუღს ძარღვში,.
სანამ კიდევ დღეებს ვითვლით მზიანს,
დავაფასოთ ერთმანეთი,
გავახაროთ ერთმანეთი,
შევიყვაროთ ერთმანეთი – დღესვე,
რომ არ იყოს ხვალ ძალიან გვიან!!!!

ეკა სურამელი

მაშ რა ყოფილა წუთისოფელი

ნამიან ბალახს თუ ფეხშიშველი არ შეხებიხარ,
არ შეხვედრიხარ განთიადს ლოცვით,
თოვლსა და წვიმაში თუ არ მოხვედრილხარ,
მაშ, რა ყოფილა წუთისოფელი...

თუ არ მოგირბენია მთა-ველ- მინდორი,
არ შეგრჭობია ტრფობის ეკალი,
თუ არ ტიტინებს შენს სულში ბავშვი,
მაშ, რა ყოფილა წუთისოფელი.

სხვისი ტკივილი თუ არა გტკივა
და სიხარულსაც თუ ვერ განიცდი,
მაშ, შენში სუფევს რაღაც ბოროტი,
გთხოვ, მოიშორე, განთავისუფლდი...

ახარე შენში კდემა, სიკეთე
და სიყვარულით გული იჭერე,
შემოირბინე მთა-ველ-მინდორი,
მშობლიურ მიწას მკერდი უკოცნე.

მტკიცედ დადექი მამულ-დედულში,
მუდამ გახსოვდეს „ვისი გორის ხარ“,
არ დაივიწყო სამი ღვთაება -
ენა! მამული! სარწმუნოება!

* * *

გაზაფხულის თბილმა სიომ დაბერა
და სურნელი შემოიჭრა შენი,
აქ გრძნობები აიშალა თავნება
და ფიქრებშიც გაჩნდა სახე შენი...

ჩემს სიხარულს მზემაც სული შთაბერა,
ცისარტყელა გამოსახა ცაზე,
საიდანღაც სიომ ისევ დაბერა,
შენს მაგივრად მომეფერა მხარზე.

ჩვენს შეხვედრებს ვითვლი ახლა თითებზე
და ვცლი კიდეც მოლოდინის ფიალას,
შემოხვალ და მკლავებს მომხვევ წვრილ წელზე,
გაამრთელებ განშორების იარას...

გაზაფხულის თბილმა სიომ დაბერა...

* * *

ჩემო ზღვისფერ თვალა გოგო..
ალვის ხის სადარო ტანით..
თეთრ ვარდს გადარებ იცი..
მისი სურნელი აგდის..
ოქროსფერ კულულებით..
ვარდის კოკორივით ნაზი....
უფალს ვავედრებ შენ თავს
რომ სანთლად მენთო გულში...

ჩემი მოკრძალებული მოფერება
დედი..□□ ე. სურამელი..

* * *

ღრუბლების ჯარს დაუფარავს ცამრგვალი,
მზე გამქრალა, ცის კიდეზეც არ ჩანს,
შემოდგომა დადგა ნისლით, ავდარით, -
ალბათ, ასე კარგა ხანი გასტანს...

მალე მოვა სუსხიანი ზამთარიც, –
ძარღვში სისხლი მეყინება სულმთლად.
ვნატრობ იმ დღეს, თაკარა მზე რომ გვწვავდა,
სიყვარულის მორევში რომ გვხვევდა,

სარკმელიდან თეთრი ღამე მდარაჯობს,
სიზმარად გნატრობ, უძილობა დამჩემდა,
თუმცა, იქნებ, რული მომერიოს... გდარაჯობ...
სიზმრად მაინც, რომ მოხვიდე ჩემთან...

დრო მოვა და კვლავ ვიქნებით ერთად!..

მენატრები დედა სამშობლოვ

ჩემი ტურფა საქართველოს ვერსად ვნახე სადარი, –
ერთი მუჭა ერი ვართ და ისტორიით ამაყნი
სამშობლოსთვის თავგანწირვა...გმირობებიც მრავალნი,
ვიამაყოთ ქართველებო ჩვენი მამა- პაპანით.

სტუმარმასპინძლობით ვქუხვართ,
პურ-მარილით ქებულით,
მოძმეს სიყვარულით ვხვდებით,
მტერს დავხვდებით მახვილით.

დედამიწა მოვიარე, მთა-ბარი შევაჯერე.
,ჩემო დედა საქართველოვ შენი დარი ვერ ვნახე
ცხადში მუდამ თვალწინ მყავხარ,
სიზმარშიც ხშირად გნახე...

ბევრჯერ ღამე მითევია მე შენს მონატრებაში,
ბევრი ცრემლიც დამიღვრია ოხვრასა და კვნესაში,
მწყურვალივით მომწყურდები, ჰაერივით მჭირდები,
ვნატრობ იმ დროს, იმ სანუკვარს, როდის ჩაგეხუტები...

* * *

ძალიან მინდა ამიხდეს სურვილი, –
მთის მორაკრაკე წყაროს ჩუხჩუხი
რომ მაღვიძებდეს დილას.

შორს, სადღაც, მთის ძირში,
ტყის პირას ქოხს ვნატრობ
ისე, უბრალოს, ხისას...

ვსუნთქავდე ტყის ჰაერს,
მსტუმრობდნენ მუზები
და ვწერდე სანუკვარ ბწკარებს...

მინდვრად ნაირფერ ყვავილებს დავკრეფდი,
ჩვენს გრძნობებთან ერთად თაიგულს შევკრავდი
სურნელს მოვფენდი ჩემს ქოხს...

ნატვრა მაქვს...სურვილი,
შენი ამბორით რომ მაღვიძებდე
წყაროს ჩუხჩუხთან ერთად...

შორს, სადღაც, მთის ძირში, ტყის პირას, ქოხს ვნატრობ...

იზოლდა მოშიაშვილი

გულნაზ ხარაიშვილს

გაზაფხულის ამ მშვენიერ დღეს,
ყვავილების თაიგულსა ვკრავ,
შიგ ჩავაქსოვ ჩემს უზომო სიყვარულს,
და მოგიძღვნი დიდსულოვან ქალს.

მოგილოცავ დაბადების დღეს,
ღვინით ვავსებ თასს,
მსურს მოგიძღვნა სურვილები ულევი,
ფოლადივით გამოწრთობილ ქალს.

გულში იკლავ სევდას განუზომელს,
გრძნობებს მძიმეს, ვით მღელვარე ზღვას,
და მიჰყვები ქვეყნის აღმართ-დაღმართებს,
უკან სტოვებ შენ სიკეთის კვალს.

დაგელოცოს სიტყვა თქმული მართალი,
კალმის წვერით ლეგენდებს რომ თხზავ,
უხვად გასცემ დედა-შვილურ სითბოს,
ვით ღვთაება, ერთად-ერთი ხარ.

დაგილოცავ წარსულს, აწმყოს, მომავალს,
სიყვარულით რომ იკაფავ გზას,
ამავ გრძნობით ყველა მივეფერებით,
შენით დარგულ სურნელოვან ვარდს.

დედას

მუდამ მინათებს გზას ბნელს,
დედის ლოცვანი წრფელი,
ჩემთან დარაჯად მდგარი,
ვით მეგობარი მხსნელი.

არა არის რა ამ ქვეყნად,
დედის ამაგის ფასი,
მინდა დაგლოცო დედი,
მისთვის ავავსე თასი.

გისურვებ,იყო დღეგრძელი,
გულს არ გჩენოდეს ბზარი,
გვქონდეს უღრუბლო სახე,
შენთვის სულ იყოს დარი.

სახე გქონოდეს უჭკნობი,
ლამაზ ყვავილის დარი,
დღენი შთენილი სიცოცხლის.
მხიარულ, სანუკვარი.

შენი ცხოვრება მუდამ,
იყოს მშვიდი და წყნარი.
საუკუნეთა მანძილზე,
გაგმრავლებოდეს გვარი.

გზად ია-ვარდი გეფინოს,
ედემის ბაღის დარი,
მანამ იყავი დღეგრძელი,
სანამ იდინებს მტკვარი.

მუხლში გქონოდეს ძალა,
შენ, სალი კლდისა დარი,
თვალში გქონოდეს შუქი,
ცისა მნათობის დარი.

მინდა შიგ ჩავაქსოვო,
სტრიქონებს ჩემი გული,
დედა-შვილური სითბო
და წმინდა სიყვარული.

წუთისოფელი ასეა

როგორ სწრაფად მიფრინავს,
ამ ცხოვრების წლები,
ზღაპარივით ყოფილა,
თურმე კაცის ბედი.

კიდევ მოვა ხვალინდელი დღე,
ცად ინათებს მოკაშკაშე მზე,
სიყვარულით ავამღეროთ გული,
რომ არ გავხდეთ სევდა, დარდის ტყვე.

წუთისოფელს ვერც შენ შეცვლი, ვერც მე,
მის კანონებს, შეუცნობელ გზებს,
ეს ქვეყანა შენც გეკუთვნის მეც,
ცოტაც გვეყოს არ მივსდიოთ ბევრს.

ჩემო საქართველო.

ბუნების მადლს მოზღვავებულს
უკვდავება შეუქმნია,
სიყვარული ორ ერს შორის,
გზად და ხიდად გაუდია.

ჩემო ტკბილო საქართველო,
მოველ რომ კვლავ მოგეფერო,
და ნატვრის ხეს მარად უჭკნობს,
ჩემი ცრემლი დავაპკურო.

მსურს მიარო ძველ ქუჩებში,
მართლაც რომ მომნატრებია,
სადაც ოდესმე ფეხი დამიდგამს,
მრავალი ღამეც მითენებია.

არ ჩამქრალიყვეს ის ცეცხლი,
გულში კვლავაც რომ ანთია,
სიყვარულით ნაშენი,
ფუძე მუდამ მძლავრია.

ერთი მუჭა სიყვარული,
ჩემით ნაფერებია,
ყველას გაგინაწილოთ,
ეს ხომ ჩემი ვალია.

მე და ღამე.

იდუმალი ოცნებით,
არის სავსე ღამე,
ვარსკვლავთა ციმციმი,
და ნამგალა მთვარე.

ირგვლივ სუფევს სიმყუდროვე,
არის მშვიდი ღამე,
ავკინძე და მთვარეს ვუთხარ,
რაც ვიგრძენ და ვნახე.

გავიხსენე კვლავ წარსული,
ბევრი ვრემლიც ვღვარე,
ვგრძნობ მკურნალი ჩემი გულის,
არის მხოლოდ ღამე.

ფიქრებს ვებრძვი დიდი ხანი,
ძალზედ დავიღალე,
მაგრამ მაინც კვლავ ვოცნებობ,
რადგან არის ღამე.

ვოცნებობ და გულით ვნატრობ,
დიდ ხანს იყოს ღამე,
რომ კვლავ ვიყოთ მარტო ერთად,
მე და წყნარი ღამე.

დარეჯან ღონღაძე

* * *

დედა-შვილობის მადლით და ძალით,
გზებს გაგინათებ ლოცვით და ჯვარით,
შემოვიფანტავ ცუდ ფიქრებს ღამით
და გავაგრძელებ ცხოვრებას სხვა დღით.
დედა-შვილობის ძალით და ხათრით,
მე და შენ ერთად გავივლით ამ გზით,
ვერ შეგვაჩერებს ვერავინ წამით!
ვერ შეგვაშინებს ვერავინ რამით!
შენ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მადლით,
სულ იმოსები დღითა და ღამით,
მეც ამ მადლით ვარ დედა და ამით
მადლობას ვწირავ ღვთისმშობელს, ამინ!

* * *

შეგვეძლო გვეცხოვრა მთებში,
ჩვენს დღეს დამწყემსავდა ღმერთი,
ფეხით მოვივლიდით ტყეში,
რწმენა იქნებოდა ჩვენში...
ცხენებს დავქანცავდით მზეში,
ჯირითს გავმართავდით ხევში,
შეგვეძლო გვეცხოვრა მთებში,
სახლი გვექნებოდა ტყეში...
გრძნობა იმღერებდა ჩვენში,
დავიბადებოდით ლექსში,
მუზა გვექნებოდა გენში,
აზრს გამოვაწრთობდით ცეცხლში...
ბევრს ვისეირნებდით თქეშში,
წვიმის ხმაურში და მზეში,
დაგვიღამდებოდა ხევში,
გაგვითენდებოდა მთებში...
დღე დაითვლებოდა წლებში,
ფიქრი დაგვათოვდა თმებში,
შეგვეძლო გვეცხოვრა მთებში,
შვებას ვიპოვნიდით ღმერთში!

* * *

მთებზე ჩამოწვა ნისლის საფარი,
შემოძარცვულა ხმელი ჭადარი,
მინდა მომიყვე ძველი ზღაპარი,
ოღონდ, ბავშვობის დროის სადარი.
მინდა მომიყვე წრფელი ამბავი,
ოღონდ ბავშვობის, არა ახალი,
არა ახალი, არა წარმტაცი,
ისე, უბრალოდ ძველი ზღაპარი.
არ მინდა ვიყო დროის კამათში,
გთხოვთ დამაბრუნეთ მწყემსის ფარაში,
შეხიზნული ვარ ახლაც სარდაფში,
დაკარგული ვარ სადღაც ავდარში.
მთებმა ჩაიცვა თეთრი ხალათი,
მოიქარგება მალე ზამთარი,
მე დავბრუნდები ისევ ზღაპარში,
ოღონდ ბავშვობის დროის სადარში.

* * *

და აიწყვიტეს რითმებმა ლექსში,
ვეღარ ვპოულობ სიმშვიდეს ჩემში,
აღარც სიტყვები მხიბლავენ შენში,
მხოლოდ სიჩუმე მიზიდავს ხმებში.
ამოუხსნელი ფიქრების ფსკერში,
ქანცგაწყვეტილი ჯირითი მთებში,
აღვირახსნილი ცხენები მზეში,
მოაგელვებენ სურვილებს ჩემში.
გავხედნი ცხენებს, ავდარში, ცეცხლში,
ურჩ ფიქრებს, ისევ მოვლეწავ კევრში,
ამ სურვილებსაც გამოვწვრთვნი ჩემში,
არ მოვექცევი არასდროს წნეხში.
გამოანათებს ნათელი ბნელში,
შევიმოსები სინათლის ფერში,
სიმართლის მახვილს ავიღებ ხელში,
ვეზიარები სიცოცხლეს ღმერთში!

* * *

ამინდი კარგია, განწყობაც მზიანი,
ფოთლების შრიალში, თამაშობს ნიავი,
ცელქობს და იცინის, უხდება ტრფიალი,
ნოემბრის დღეები, დილაა ცვრიანი.
განწყობა ხალასი, ფიქრები ფრთიანი,
დღე ისევ მზიანი, შორს, სადღაც
წყვდიადი,
ფერადი ფერების იწყება ციალი,
რძისფერი ნისლები, ღრუბლები დიადი,
სიყვარულს უხდება შორიდან ტრფიალი,
ნოემბერს ფოთლების სიყვითლე,
შრიალი.

* * *

სიყვარულით რას არ იზამ, გაიმარჯვებ
უდაოდ,
აფრინდები მეცხრე ცაზე, ცას მოხატავ
უბადლოდ,
თუკი გულში რწმენა არის, გზებს გაივლი
უსაზღვროდ,
სიყვარულით რას არ იზამ, ლექსებს
დაწერ უბრალოდ...

* * *

და აიწყვიტეს რითმებმა ლექსში,
ვეღარ ვპოულობ სიმშვიდეს ჩემში,
აღარც სიტყვები მხიბლავენ შენში,
მხოლოდ სიჩუმე მიზიდავს ხმებში.
ამოუხსნელი ფიქრების ფსკერში,
ქანცგაწყვეტილი ჯირითი მთებში,
აღვირახსნილი ცხენები მზეში,
მოაგელვებენ სურვილებს ჩემში.
გავხედნი ცხენებს, ავდარში, ცეცხლში,
ურჩ ფიქრებს, ისევ მოვლეწავ კევრში,
ამ სურვილებსაც გამოვწვრთვნი ჩემში,
არ მოვექცევი არასდროს წნეხში.
გამოანათებს ნათელი ბნელში,
შევიმოსები სინათლის ფერში,
სიმართლის მახვილს ავიღებ ხელში,
ვეზიარები სიცოცხლეს ღმერთში!

* * *

წითელფეხება, გულთბილი მტრედი,
მოფრინდა ჩემთან, დღეს, როგორც მხსნელი,
მითხრა, რომ ბევრი არსებობს მტერი,
მაგრამ გმფარველობს მაღალი ღმერთი,
ნუ გეშინია, იყავი ბრძენი,
ვერაფერს გავნებს მხოხავი გველი,
გთხოვ, ღმერთს მიანდე შენ შენი ბედი,
მე აივანზე ყოველდღე გელი!

* * *

მონანიება უნდა შეძლო ცოდვების გმობით,
შენივე ცოდვის სინანული, დაიწყე გლოვით,
საკუთარ თავთან გაიმარჯვე სიმართლის თხრობით
და არ დაუშვა სინდისის ხმა დადუმდეს ბოდვით.
შეძელი გზები გაიკვალო, რწმენით და ბრძოლით,
ყველა გზის ბოლოს დაინახო ტაძარი თრთოლვით,
წარსულის ცოდვებს განერიდე, გაშორდი შორით,
მშიერს, მათხოვარს, დაეხმარე, სულ ერთი გროშით,
ეცადე, ცოდვის მორევიდან ამოძვრე ფორთხვით
და გზას გაუყვე, ტაძრისაკენ, მიმავალს, ლოცვით.

"რა საჭიროა გზა, თუკი ტაძართან არ მიმიყვანს" ... მონანიება...

ლელა ბერძენიშვილი

****
ხევ,-სით მოსულხარ ტიალო,
რა ჯიშისა ხარ, რა ფესვის,
მო, გულშე-მოგი-ფრიალო,
გულ, სიყვარულით რო კვნესის.
მადლ ტყე-ზღვა, მთა-ბარ მზიანო,
სულში სამშობლოდ ჩამესვი!

ამამღერე

ამ ნიავს არ მოაქვს მტვრის მეტი არაფერი,
ქარის დაკავებით,დავიღალე.
სულო,
ჩამომაგდე ციდან,
ანაფრენი.
უდაბნოში ვარ და...
ამამღერე!

ცხელი სიმშვიდება ამ ცხელ მტვერში.
ვერ გუობს ჩემნაირი ცხრათავა.
ასჯერ ჩამოვიხრჩობ სურვილოს ცხრა წყაროში,
სანამ ეს მზე ცას გადავა.

ღმერთო, გამახარე, მადლი ჰქენი,
ზღვა კიარადა,
იყოს ღელე,
სული ჩამომიგდე ციდან,
ანაფრენი.
უდაბნოში ვარ და
ამამღერე!

გურჯი მგელი

გურჯოოგოვ,-მაპატიე
უნდა გითხრა რაღაც მწარედ.
მე შემინდე ჩემო კარგო,
რომ ქართველად ვერ ვიქალე.

ვერ ვამრავლე გურჯი მგლები,
არ ვეცადე, არ ვიწვალე,
ახლა შენ გთხოვ ,-გადმოგვხედე,
შენ გვიშველე გენაცვალე!

გურჯო გოგოს დღეს ის დროა,
რომ ვიღაცამ უნდა გითხრას,
თუკი სადმე ზღვარს გასცდები,
ნუ დარჩები სხვაგან დიდხანს.

გურჯო გოგოვ, ჯერ არ იცი,
რა ფასი გაქვს გენაცვალე.
სანამ ხორცი დაგიჭკნება,
ქართველობა შეისწავლე.

კატის კნავილს უფრო მოჰგავს
დღეს ქართველის ხმა,ზვიადი,
მგლები ყმუის ჩვენს ირგვლივ და
თავზე გვადგას სხვა წყვდიადი.

გურჯო გოგოვ,შენს მარიფათს,
ვენაცვალე ,გენაცვალე.
გაგვიმრავლე ბოკვერები,
გაგვახედე თვალში მალე.

არ დახარბდე საყვარელო,
არანაირ სხვა სიმდიდრეს,
დარჩი სახლში,დედა გახდი,
 იქნებ შენაც გაგიკვირდე,

დრო ისეთი დადგეს მალე,
ეს ქვეყანა ოქროდ იქცეს,
სხვები უშნო აღრევებით,
ნახატებად გადაიქცეს.

გურჯო გოგოვ,დღეს შენ გიცდის,
მცხეთის ჯვარი,ვაზის ფესვი.
მე უსტარი მოგწერე და
სხვა დანარჩენს ღმერთი გეტყვის!

ამო მზეო!–

დამილოცე ჯერ დედა და მერე შვილი
დამანახე ქართულ ჯიშზე,
საქართველო როგორ ღვივის!

ისევ ისე გაგვიზარდე
მიწის მცველი, მურჯიკნელი,
სახლში მომხვდურ მგელს რომ დახვდეს
მგლის ხროვა და ...გურჯი მგელი!

ველური ტბის ნიჟარები

დღეს ველურ ტბებში ვეძებ ნიჟარებს,
და ქარიშხლებში მესმის ფლეიტა,
მე რომ არავინ არ შემიფარებს,
იმ გაზაფხულს და იმ დღეს ვერვიტან.

ველური ტბების ნიჟარებს ვხსნი და
ვარდისფერია იქ მარგალიტი.
ყელი დამიჭკნა მისდა სამშვენად,
ვერ აგისრულე რასაც დაგპირდი.

ვლანდავ ტბებმა რომ გახსნა ნაპირი,
ჰყრია ელვარე მარგალიტები,
ლამაზმანები შარიშურობენ,
ნიჟარებიდან მოაქვთ აპრილი.

სხვა სევდა მიპყრობს რომ ვერ დაგხვდები,
დაცარიელდა ჩემი სახლი და
ნელა ირწევა თოკზე ყვავილი,
სული წავიდა ჩემი კაბიდან.

სხვა ველურ ტბებში ვეძებ ნიჟარებს,
უჩემო ყელმა რომ აირიდა.

***
როგორ მიყვარხარ?
-შეუდარებლად!
რა სათქმელია ცის სიმაღლე,
ვარსკვლავთ მიწვდენა,
იების კონა,
გაზაფხული
ან
ფიფქთა ცვენა.
რა სათქმელია
რომელიმე გრძნობის გაცვეთა შესადარებლად.
-როგორ მიყვარხარ?
-ყველაფრისგან შეუდარებლად!

ცეკვა

ვიცეკვებ შენთვის!
ჩემს მაგივრად,
შენს მაგივრად,
ყველას მაგივრად!

ვიცეკვებ ღრუბლებზე,
ნისლზე,
ფოთლებზე,სანთლის ცვილზე,
ცეცხლის ალზე
დილის ცვარზე,
გველის პერანგზე...

ვიცეკვებ ქართულ მუსიკაზე,
ჯაზზე,
მთის ჰანგზე,
ცის ნატეხზე,
მიწაზე,გზაზე...
თითის წვერებით ვიცეკვებ...
უსამოსო ფორმით,
უხერხემლოდ,
სულის ძარღვებით,
გახელებით,
ჭრელი ამბებით,
წიპწიპოთ მთვრალი, ჟინის ქალი,
ვნებებზე სკვერში ცეკვით გავწვები
მთის ბროლზე,-
ჩრდილები გადაატარებენ აშლილ თმებს,
დაწყობილ ფიქრებზე,-წაშლილზე
არევენ, დარევენ მთვრალი ფეხით
აქამდე არსებულ ქალ-ხატებს.... ნახატებს.
მიქსით, ტვიქსით, ბლუზით...
ვიცეკვებ სამყაროს ცენტრში,
იქნება სადმე გნახავდე...
ვიცეკვებ ყველას თვალწინ და
ყველა ენაზე.
რომ სისხლის ყივილით მგრძნობდნენ და
თვალებით ვერავინ მხედავდეს.
ვიცეკვებ შენთვის,
მარტო შენთვის...
და მხოლოდ
ჩემს ნებაზე!

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

ღმერთო გევედრები

როგორ მიყვარს ცა ლურჯი და კამკამა,
დღე მზისფერი ღამე ვარსკვლავთ ნათებით,
ჩემი ლოცვა ღმერთო თუკი არ კმარა,
გლოცავ ჩემი წმინდა ათინათებით.
მიწა მიყვარს ხვავითა და ბარაქით,
თოვლიც მიყვარს, ზამთარიც და ზაფხულიც,
მიყვარს სიო ქარივით რომ არ დაქრის,
ღმერთო, გავხდი ამ ყველაფრის ნატრული.
შემაშინა წვიმებმა და ზაფხულმაც
რომ ჩაყლაპა შოვის მიწამ ბავშვები,
გაიხარონ ჩემი თვალით ნახულმა,
არ დამიფრთხოს ტყეში ქარმა შაშვები.
კიდევ ერთხელ შეგაწუხებ უფალო,
გთხოვ სიმშვიდემ ერში დაისადგუროს,
ნონოს ჯვარო სულის წმინდის წამალო,
დაგვიფარე რომ არ გაგვანადგურონ!

მგოსანთა მხარე

,,რად უწოდებენ საქარღველოს მგოსანთა მხარეს"
ტაბიძის სიტყვებს ვკითხულობდი როს ვიყავ ბავში,
და სულ მიკვირდა ვარსკვლავები რად ეტრფის მთვარეს,
ან ეს მამული რატომაა ორპირა ქარში.

იქნებ ომები გვაწერინებს, ან ტყის შრიალი,
ანდა გრძნობებით გათანგული რომ დავბარბაცებთ,
ყურში ჩამესმის დედამიწის ღერძის ტრიალი,
გული მატკინეს თუმც არ მინდა აუგი დამცდეს.

ბედის ბრალია? რომ გვინგრევენ მგოსანთა კარავს,
როგორ შებედეს უფლის რჩეულთ, ბუდის ჩამოშლა,
ვტირი მას შემდეგ და ჩემს ცრემლებს
თვითონვე ვკრძალავ,
წლები გავიდა პატრონი კი კვლავ არ გამოჩნდა!

მასპინძელი

უმასპინძლე ჩემს ავტორებს გენაცვალე,
გაახარე... დაავიწყე დარდი,
მე ხომ იცი რამდენჯერმე გარდვიცვალე,
გეფერები... მაინც შემიყვარდი.
ეს ლექსები ყველა ჩემი შვილებია,
ზოგიც იქნებ კოკორ-ვარდსაც გავდეს,
ერთად ყველა გულში დამიწყვილებია,
ყველა ერთად კარგად უნდა მყავდეს!

ბედის ბორანი

ბედის ბორანში ვზივარ და მივსდევ,
სხვა არჩევანი ისეც არამაქვს,
ხან ვეკითხები გულში რა გიდევს,
სიკვდილისთვისაც უკვე მზადავარ.
დუმს თევზივით და არა მპასუხობს,
დედამიწას გავს ბრუნვით საერთოდ,
იქნებ დამინდოს აღარ დამსუსხოს,
ორიმტრიალში იქნებ გაერთოს.
მზის ქვეყანაში მოვხვდი ამჯერად,
ოდნავ ვიღიმი მნათობთ სივრცეში,
იქა ვარ მაინც თითქოს არ მჯერა,
ავდრების შემდეგ ვიწვი სიცხეში!

გაურკვეველი ფერები

იმედის მარცვლებს ვთესავ და ვთესავ,
ცოტა ხომ მაინც აღმოცენდება,
ისევ მომიწევს კამათი მზესთან,
უბრძოლველად რომ
ღრუბლებს ნებდება.
გაურკვეველი ფერები მაკრთობს,
გადაგვარებულს
ვხედავ სამყაროს,
ვწუხ რომ მომავალს
ღრუბლები ართობთ,
მარტოს მომიწევს
სადღაც გავყარო.
ჭიაკოკონა უნდა დავანთო,
ცეცხლში გამოვწა უიმედობა,
ვითამადო და ეს დრო დავათრო,
სანამ ჩემს სიტყვას ხალხი ენდობა!

*

ვფიქრობ რითი მოგეშველო მამულო,
რით გიწამლო ვეღარ გამიგია რა,
ლამის მტერმა სულ მთლად შეგახრამუნოს,
ამიტომაც დარდმა არ გამიარა.
ისევ წარსულს მივწვდი მივქექ- მოვქექე,
და თამარის ხანას შევეხმიანე,
ახლანდელი წლები ხელით მოვხერხე,
დარდი მზეზე ვეღარ გავამზიანე.
მე გიშველი, გაკივიან გზადაგზა,
როგორ გავძლო ამდენ ჩხუბს და ხმაურში,
შენ საშველად მე მამულო მზადაა ვარ,
როგორ?... ალბათ ჩაიცინებს მავანი.
ღარიბია იტყვის უმრავლესობა,
გული არის საქართველო მთავარი,
ერთგულება მტერს ეკლებად ესობა.
მდიდარი ვარ, სხვებს ვგონივარ ღარიბი,
თუ რამე მაქვს შემიძლია გაცემა,
თუ დაგჭირდე დამიწესე თარიღი,
თუ ბრძოლაა არ ვაპირებ გაქცევას!

გიორგობა

გიორგობას მოგილოცავ საქართველოვ,
გიორგობას მივულოცავ გიორგიებს,
ქართველებო, ყველამ უნდა იქართველოთ,
გაუფრთხილდით თქვენი ფესვის გიორგინებს.
ვინც შორსა ხართ ემიგრანტის სტატუსებით,
ღვთით უფალმა გამძლეობა დაგაბედოთ,
შექმნილიყოს საშობლოში რესურსები,
და მის მერე სხვაგან წასვლა არ გაბედოთ.
ზეცა ტირის, ცრემლი წასკდა თვალებიდან,
მიწის ღერძი მორყეულა, დაღრჭიალობს,
გასუფვდეს საქართველო ვალებისგან,
ჩასაყლაპად გველეშაპი დაღრიალობს!

გამეგბუტა ფეისბუქი

რა დაგიშავე მინდა ვიცოდე,
სახლი დავგავო ნება მომეცი,
ლექსი სიცხეში როგორ იწვოდეს,
კბილჩაფშვნეული ენის მოკეცვით.
გთხოვ მომიტევე ეს შეცდომები,
თვალით სიბრმავე ასაკს სცოდნია,
ფეისბუქშიაც ხდება ომები,
ბრმა ლექსი იწყებს მიტომ ბოდიალს!

ცდებით თუ გგონიათ სხვისი

მზის სხივი ცისკარს ამოყვება,
ფაქიზად გადაკოცნის ცვარნამს,
ღამე დილასთან დამოყვრდება,
ღიღილო შეიღებავს წამწამს...
ღამის ლოცვები დამთავრდება,
ზეცა გამოახელს თვალებს,
ცრემლი ბედისწერას დაბრალდება,
მოიკრებს დედამიწა ძალებს.
ამოვა იმედის იები,
ვარდიც გაიშლება ისევ,
შეწყდება თოვლი და წვიმები,
სამყარო ჩემს ლოცვას ისმენს.
ბუნება დამშვიდდება, დაწყნარდება,
ქარიც შეანელებს სისინს,
ჩემი საქართველო აყვავდება,
ცდებით თუ გგონიათ სხვისი!

უსასრულობა

სულმა არ იცის საზღვარი,
უხმობს ყოველთვის, სული- სულს,
პოეტმა იცის სად არის,
კარს უღებს უფლით გადმოსულს.
ღვთის საჩუქარი მივიღე,
ომი რომ გულმკერდს მწიწკნიდა,
სანთლის დანთება მიღირდა...
ლოცვები წმინდა მიწიდან.
ისრაელს ღმერთი დაიცავს,
ომმა არ გააცამტვეროს,
მტერი თვითონ თუ გაიქცა,
მას აღარ გადავემტეროთ.
მსოფლიო იქნებ დამშვიდეს,
ჩაყლაპა მიწამ ცოცხლები ,
ცრემლები თუ არ დამცვივდა,
კვლავ ისევ გამოვცოცხლდები!

ლექსის პასუხი

სიყვარული გადაარჩენს სამყაროს,
ეს ვთქვი რწმენით აალებულ სანთელთან...
შენ პოეტო, ქართულ ვაზის ნაყარო,
ასი წელი დედას ყავდე ჯამრთელად.
ეს სახლია სადაც სიყვარულია,
ლოცვაა და რწმენით სანთლის დანთება,
აქ, შვილებო, მუდამ სულ აპრილია,
დედის ლოცვით შვილებს გზა გინათდებათ!

გულის სანთელო

არ ჩაიფერფლო გულის სანთელო,
მარტო ეული არ მიმატოვო,
ისევ მინდა რომ გამაჯამრთელო,
თოვლმა ზეციდან არ დამათოვოს.

გულს ჩაიღვარა ლოცვა ხალასით,
დამასაჩუქრა რითაც მამაომ,
მხრებს შემოვისხი სხივის ხალათი,
შემომციცინა თბილმა საღამომ.

მონატრებულებს თვალით ვეძებდი,
ლამპიონები ცაზე აინთო,
მეფერებოდნენ ეკლის ძეძვები,
გარეჯის მადლმა გული გამითბო.

იქ, სიახლოვე ვიგრძენი ზეცის
ვარსკვლვთმრიცხველი რაღაცას წერდა,
წამით უეცრად ცოტათი შევცბი,
ვგრძნობდი რომ რწმენა გადამარჩენდა!

უფლის მსახურნი არიან გმირები

ვინ იცის დედის ცრემლის წვეთებით
გამონაჟონი ჭაში ჩაგროვდა,
ოდეს გამყიდველ იუდევლებით,
წარსულის დარდი გარეჯს დარბოდა.

აქ რამდენ დედას შვილი მოუკლეს,
კლდე და მინდორი მწარედ გლოვობდა,
იმ ბილიკებზე გზას მივიკვლევ და...
გზადაგზა ფიქრი მტერთან ომობდა.

ხმა მომაწვდინეს წყლის აჩრდილებმა...
კლდის აკლდამებში სევდის ახოა,
და საიდუმლოდ მითხრეს დილებმა,
აქ ნეოფიტეს სამოსახლოა.

დავდარდიანდი, ნუთუ მოკვდება,
ქარი იქროლებს განაპირებით,
მწამს ფენიქსივით ბერი აღსდგება,
უფლის მსახურნი არის გმირები!

გადავინაცვლებ

ბევრჯერ ვტირი და ვეფერები კედლის სურათებს
აქ, ამ სამყაროს ყველა დროის ტკივილს ვანაცვლებ,
მათი დანახვა მზის სხივივით გამომინათებს,
ბოლო ჟამის დროს სულით მათთან გადავინაცვლებ.
აგერ შვილია, ჩემი ძმები სხვებიც მრავალი,
სანთლი იწვის სიმართლის და რწმენის ნათებით,
სიკეთე არის წინაპარათა შთამომავალი,
ჩემი სიცოცხლე დღეს გრძელდება „ათინათებით“!

მივყარ-მოვყარე

თქვენ დუმხართ მე კი ვსაუბრობ,
ეალესებით სიმშვიდის ღამეს,
დღეს მინდა მხოლოდ მე მესაუბროთ,
აღარ ვესტუმრე ზეცაში მთვარეს.
ყვავილთ სინაზის ფერების ეშხით,
დავაიმედე დროის ტკივილი,
ააშრიალა ნიავმა ვერხვი,
გათენდა... ისმის მამლის ყივილი.
ცვრიან მინდორზე ცეკვავს სხივები,
გამოახილა დილამ თვალები,
ცრემლი შევცვალე თეთრი მძივებით...
მივყარ- მოვყარე დარდის ვალები!

თქვენ რომ იცოდეთ

თვალში მიმალულ სევდას რა ვუთხრა,
ამხელს ჩემს ტკივილს ურცხვად,
როცა მამაომ მე დად მაკურთხა,
დარდს გული არ გაუხრავს.

თქვენ რომ იცოდეთ რა მადლს ვატარებ,
სიყვარულს ვმალავ ჩანთით,
ვურიგებ დიდებს ვაძლევ პატარებს,
სიკეთე მიდევს თავთით.

ყელზე შევიბი თეთრი მძივები,
ზღვის თეთრი მარგალიტი,
რატომ ნურავინ ჩამეძიებით,
მაინც არაფერს ვიტყვი.

* * *

ნაზამთრ ხეზე
შემორჩენილ ფოთოლს,
როგორ ვგავარ
დიდ ყინვას რომ ვუძლებ,
მოთმინება მართებს
დედა მშობელს,
ნიავს ქარი წინ რომ არ გაუძღვეს.

ვინც გავზარდე

არა ევნოს ვინც გავზარდე უფალო,
არ დასაჯო ჩემზე ცუდის მთქმელიც კი...
ცის მსაჯულო, შენ ყველაზე მართალო,
გთხოვ დაინდე ჩემი გულის მკვლელიც კი.

მე ვპატიობ შეცდომებს და ანცობას,
მაჯობონ და მთა და ბარი დაიბყრონ,
ერთგულება არის კაიკაცობა,
ერთი ლუკმა ძმებმა უნდა გაიყონ.

შევეჩვიე, უბედობას ტკივილსაც,
შევეჩვიე, დიდ თოვლიან ამიდსაც...
ბევრჯერ სუსხი მოყოლია ივლისაც,
მაინც ცუდი არავისთვის არმინდა!

აი, სიცოცხლე

ჩამოვარიგე თუ რაც მქონდა ჩემი ნაშრომი,
სული დავტოვე საარსებოდ ამაღლებული,
დარდის მწვერვალო, შენს ნაცრემლებს
                  რწმენით ვაშრობდი,
მოგიშორე და გადაგცვალე წიგნის კრებულით.
აი, სიმდიდრე, სიბრძნის გონის მატარებელი...
აი, სიცოცხლე, ზეციური, ვარსკვლავთ ნათება,
ბედით ნათოვი მზის სხივებით ატირებული,
დილის ცისკარი გადაბრწყინდა ათინათებად.
სულის ტაძარი მზის მკვალევებით ვამოგზაურე,
მოვირთველე და გამოვწურე წიგნის მტევნები,
ღამის ცრემლები ალიონზე გავამზიურე...
დარდის მდინარეს არასოდეს არ დავნებდები !

არ გამაბრაზოთ

არ ვარ გოშია, არც მელა ვარ კვალი დავმალო,
არც თამარი ვარ ვიდედოფლო ჩემს საუფლოში,
დედა ვარ დედა, ტკივილების ტკბილი მალამო,
ყოჩივარდებმა იქეიფონ სოფლის ბოლოში.
უმადურობას ვითმენ, ვდგავარ თოთო ბავშვივით,
ვდუმვარ თევზივით სათქმელი
კი ბლომად დაგროვდა, დროს მოვუბრუნდი
არ შევშინდი ღელის შაშვივით,
მართლაც გავოგნდი მელიები სადღაც გარბოდა.
გამოვეკიდე, დავეწიე... ვარდიც ვაჩუქე...
მათმა სანაცვლოდ თავის კუდი შემომთავაზეს,
მზეო სადახარ ღრუბლებიდან გამოაშუქე,
თორემ ერთხელაც შეიძლება დედაც გაბრაზდეს!

იმედის სიმფონია

რა სჯობს იმ სურნელს მთებში ტყის პირას,.
გოგო-ბიჭები რომ კეკლუცობდნენ,
ახლა ბუნება იმ ტკივილს ძირავს,
მინდვრები რაცხას ფაციფუცობენ.

ქარი უაზროდ იწყებს ხეტიალს...
თქვენ მთის კლდეებო მიტომ ბრაზდებით,
მიწა მიწაშიც არ დაეტია
და გადაყლაპა ახალგაზრდები..

ისევ იზრდება გზის პირს ტიტები,
მზე კვლავ ამოდის და ისევ ჩადის,
სადღაც ჭიკჭიკობს ტყეში ჩიტები
და სადედოფლოდ გაშლილა ვარდი!

ვეძებ ქართველებს

კარგახანია ვძებ ქართველებს,
ვეღარ ვნახე და უფალს შევთხოვე,
ყველა ქალაქი გავდა ნართველებს,
იმასაც ვწუხდი ნეტავ რად ვთხოვე.
რადგან ვიცოდი უცხო მიწაზე,
დაფანტულიყვნენ თავის სურვილით,
გულს ვეღარაფრით ვეღარ ვუწამლე,
რადგან წასულებთ კლავდათ წყურვილი.
წყლის ქვეყანაში წყალი არ ქონდათ,
ამომხვრჩალიყვნენ ბანკის ვალებით,
ჩვენი დოვლათი უცხოს გაქონდა,
ოჯახს ტოვებდა ქართვლის ქალები.
გარიყულიყვნენ წყლის ნაფოტივით
ნარინჯის წალკოტს წასვლოდა ფერი,
ღმერთო, იმ ძველ დროს მიტომ მოვტირი,
ვინ გააბრუნოს მოსული მტერი.
მიწა ვინ მოხსნას, თუმცა სადღაა,
გაყიდულია მიწაც და წყალიც,
მტკივა ქართველი იმ წყლის გაღმაა,
წასულებია ბავშვიც და ქალიც.
მძულს პოლიტიკა რადგან თილისმით,
ხალხი გაძარცვა ბანკის ვალებმა,
ქართველს დავეძებ ქართველს თბილიში,
არ დაიძინა მიტომ თვალებმა!

მომავლისათვის

მომავლისათვის კედლებს ვაშენებ,
აგურებია გრძნობის მასალის,
ყოველ წელიწადს ამ სახლს ვამშვენებ,
არ მეშინია ენის სარსალის.

როგორ მიყვარხართ კიდევ არ იცით,
ეკლესიაა ეს ჩემი გული,
ზოგი შორსა ხართ ამას განვიცდი,
არც დავიჯერებ თუ გაორგულდით.

მე არ ვიღლები და არც ვიცვლები,
ჩემთან ღმერთია და ღამის მთვარე,
როცა ბედისწრით გარდავიცვლები,
მზე გულზე სხივებს გადამაფარებს.

ჩემს აშენებულ დიდ გრძნობის სახლში,
მადლი საძირკვლად ჩავაქვიტკირე,
გაღიმებული დავდივარ ხალხში,
დარდი სულ ჩუმად გამოვიტირე.

მაინტერესებს

ფიქრებთან მშვიდად სადილს მივირთმევ
ერთად დავლიეთ ამ დილით ჩაი,
მზე ჩასასვლელად ფეხს ძლივს მიითრევს,
მაინტერესებს საითკენ ჩადის.
მთვარესთან მიდის? იქნებდა არა,
იქნებ აქვეა ჩემს სულის ახლოს,
ნისლმაც არაფრით არ დაიდარა,
მზე სად იძინებს რომ დავინახო .
კარგახანია მაინტერესებს,
ცის მნათობების იდუმალება,
ან თუ ჩემსავით უძლებენ სტრესებს,
ჩემდენი შრომა თუ ევალებათ.
მაინტერესებს ტყეს რა ახარებს,
როცა ტაშს უკრავს, ტოტის ხელებით,
ნაკადულები რატომ ხარხარებს,
ქარისგან ასე განახლები.
ბუნების ყველა დროს ვაკვირდები,
დროს ერთნაირი კაბა აცვია,
გაზაფხულს შვენის ნაზი კვირტები,
ზამთარს ფოთლები შემოძარცვია.
მე მაშინ დამწყდა ერთად ძარღვები,
ჩრდილს რომ ეძებდა გულის ზაფხული,
ბედმა მღრნა ისე როგორც ძაღლები,
იმედს კი ვყავარ გადანახული!

იდინე წყაროც

იდინე წყაროვ, შენს სიცოცხლეს უფალს ვაბარებ,
შენც არა გევნოს ქარიშხალი თვალებს აცეცებს,
წყარო დავითის ქართვლის მოძმის სახელს ატარებს,
მშვიდად იარე ისრაელი რომ არ აცრემლდეს.
ომით ძარღვები თუ დაგისკდა მიმოიფანტო,
შორს წასულ შვილებს გადაუსხი შენი წყლის ძალა,
მშვიდობა მინდა მსოფლიოში
სხვა რა ვინატრო და სიყვარული
სატანამ რომ გადამიმალა!

მიძღვნები

გაგონდება



(გიული ერგემლიძეს)

საფრანგეთის მზისფერ დაისს ციურს...
უამრავლჯერ შეღაღადებ ლოცვით,
საღომოს კი სევდით სავსე დღიურს,
მოგონებას სიყვარულით კოცნი.
ცრემლით ნამამ საქართველოს მიწას,
საგანგებოდ რომ ინახავ ჩუმად,
გაგონდება სოხუმი და რიწა,
ურემი რომ მწარედ გადაბრუნდა.
ჩემი ლექსი აამღერე კარგო,
გადაღლილი გული დამიმშვიდე,
გულში მინდა ჩუმად ამოგქარგო,
სულიერად დედი არ მოგშივდეს!

მე მჯერა შენი

/დიანა შუბითიძეს/

ბორბალის კლდეებს
ამოზრდია მარადიულად,
ულამაზესი ტოტი ჩემი გაზაფხულების,
მოგეფერები უნაზესო ყოველდღიურად,
მოგეფერები... ბებიკონა სიერთგულებით.
შენ უბიწო ხარ, ისე როგორც დილის ცვარნამი,
მზის სხივებივით აბრდღვიალებ,
დედის სიცოცხლეს,
ცეკვაც გიხდება დასრიალობ
 ნაზი ნარნარით,
მე შენი მჯერა, რომ
შენ მშობლებს გამომიცოცხლებ!

ხომ არ მენდური???

/თემურ ჩალაბაშვილს/

გლოცავ როგორც ძმას, სულიერს და
ძმის თანაკურსელს...
არა გეტკინოს ასი წელი დიდო პოეტო,
როცა გადაშლი მოგონების ცელქ ლამაზ ფურცელს,
უცებ შენიშნავ შენი ლექსი რომ კაპოეტობს.
ლექსის სანთელი ყველა ქართველს
პირჯვარს გადაწერს...
უნდა იცოცხლო ასი წელი ძმაო თემური,
რაც შენ გეკუთვნის უდიდესო, აბა რას დავწერ,
რომ ვერა გნახე ძამიკონა, ხომ არ მენდური???

ლექსის ზედაშე

(მზია გირგვლიანს)

რამ გაგაკვიროს სვანეთში გაზრდილს,
როგორ მოგხიბლავს ბაღის სკვერები,
დავლოცავ შენი სიწმინდის მანდილს,
ლამარიას და შხარას ფერებით.
ნაძვნარის ტოტებს მესტიის მთებში,
გამოუზრდია რამდენი მართვე,
მერცხლსაც ბარტყი შეუსხავს ფრთებში,
ყველაფერ ამას შენ ხატავ ლექსში.
დარდიც ბლომად გაქვს ცხოვრების ბედის,

/ნანა სხირტლაძეს/

გულის სამყარო

შენს განვლილ გზებზე ყვავის ენძელა,
ტყის შროშანები, ვარდი და ია,
მოსატაცებლდ სხივი გეძებდა,
ადევნებოდა ცისკარის ნიავს.
გულის სამყარო გადაშლილიყო,
ღიღილოები, ლურჯი მთიები,
მზე შენს ძებნაში გადაღლილიყო,
მგზავრიც გეძებდა გადამთიელი.
ზურგის შექცევით პასუხობ არას,
ცოდნის ბილიკებს აგრძელებ დინჯად...
წარმატებებმა მეც გამახარა,
წიგნი დედოფლად გულს გაემიჯნა!

ნინი ხერგიანი

უნდა მოგეფერო ნინი,
ცელქი ხარ ხანაც სათნო,
ჯერ შეიყვარე წიგნი,
გზები რომ გაანათო.
მიყვარხარ კარგო გოგო,
ტკბილად იძინე ღამით,
დილით რომ შემეგებო,
სიმშვიდე ვიგრნო წამით.
დაგლოცოს ლამარიამ,
გფარავდეს მადლი მისი,
მზე საბნად გაფარია,
როგორ გეფერება ისიც.
ვარსკვლავებს
ჯობნი ციცქნავ,
სითბოთი სიკაშკაშით,
მიყვარხარ ნინი ვფიცავ,
ხარ საყვარელი ბავშვი!

დინჯი პედაგოგი

მოსაუბრე ნანა დინჯი,
გიხსნის იმას რაც არ იცი,
სწორი არის მის ნაბიჯი,
სადაც მიდის არ განვიცდი.
კერავს, ქარგავს, პედაგოგი,
წიგნებიც კი მომიქარგა,
ფულსაც ხარჯავს გამოზოგვით
ბევრ საკითხზეც მიქადაგა.
აცხობს, ქადას, ხაჭაპურსაც,
ოქროს ხელი აქვს ჩემს გოგოს,
ბებო ბევრჯერ დააპურა,
მეფერება თანაც როგორ.
თუ რამ მტკივა წამალს მაძლევს,
ვით ექიმი მიხსნის ისე,
ასი წელი ალბათ გავძლებ,
ფულს არა მთხოვს თუ არ მივცემ.

არ დამიჯერებს ბევრი

მზის ელვარების ცის ქვეშ,
დინჯად დადიხარ ბებო,
მე როგოც ბავში გისმენ,
რწმენით რომ მაარსებო.
არ დამიჯერბს ბევრი,
დიდ საქმეს ერთად ვწყვიტავთ,
ხარ ჩემი გულის წევრი,
ჩემი სიმშვიდის დვრიტა.
არ მეშინია ქარის,
არც წვიმის, არცა თოვლის,
შუქი ხარ ღამის მთვარის,
გული გაქვს როგორც ბროლი.
გიყვარს ყველა და სხვებიც,
შეგციცინებენ თვალში,
მაშინ იძინებ შვებით,
ცოდნას რომ იძენს ბავშვი.
სხირტლაძეების გოგო,
რაჭაა შენი ფესვი,
მსურს კარგი ბედი გერგოს,
გათხოვდი როგორც წესი.
გაქვს ცოდნა საკმარისი,
თავს შენი შრომით ირჩენ,
ხარ კარგი ბედის ღირსი,
ბედს ღმერთი გამოგიჩენს!

/ირინა ბერიანიძეს/

ბედით ორეული

(ირინა ბერიანიძეს)

ვიპოვნე ბედით ორელი,
ღიმილს რომ ახლავს დარდი,
სიტყვა სულ ცრემლებმორეული,
ცოცხალმკვდარი რომ დადის.
სხვას შველის თუკი ჭირდებათ,
გვერდში დგომით და საქმით...
ეხმარება და პირდება,
რა შეეშლება ექიმს.
მისი ცრემლები ჩემსას გავს,
თვალს შიგნით რომ სულ წვეთავს,
ეპოტინება მწვანე ხავსს,
რა ქნას შვილმკვდარმა დედამ.
იღიმის სხვათა საამოდ,
გულს კი ბედთან აქვს ომი,
ელის შვილს ყოველ საღამოს,
ვაი, რომ ის არ მოდის.
შეხვედრაც ასე დასრულდა,
სხვა მოვიკითხეთ კრძალვით,
სიცილი არც ერთს არ გვსურდა,
კვლავ ვიღიმოდით ძალით!

გიკვირს

რამდენი სევდა... მაინც იმედი,
მაინც ღიმილი ირგვლივ,
ტკივილები გაქვს ასჯერ იმდენი,
როგორ ვუძლებო გიკვირს.
უძლებ იმას რომ შვილი ცაში გყავს,
აუგს არ ამბობ ბედზე,
ცრემლებს უმშრალებ ვიცი ბევრჯერ სხვას,
ბეჩავს არ მისწევ გვერდზე.
სამაგიეროდ შენი შვილის სულს,
სამარადისოდ შველი,
ყლორტს ეფერები ახლად გამოსულს,
ხარ კეთილი და წრფელი.
გესმის რას ნიშნავს სხვას რომ აამო,
იცი სიკეთის ფასი,შენ ხარ ტკივილის
ტკბილი მალამო, არვინ მინახავს მსგავსი!

შენი იმედები მასვი

/ვახტანგ სხირტლაძეს/

ჩემო საყვარელო ვახო,
შენი სიყვარულით მკვებე...
მინდა ხშირ-ხშირად გნახო,
სანამ მოფერებას შევძლებ.
მუდამ დაიხსომე ერთი,
დედას შენი სუნთქვაც ესმის,
მისთვის ხარ ხარ ბებო ღმერთი,
ჩემი კი ... შვილის ფესვი.
ჩემზე მაღალი ხარ კარგო,
გულზე მიგეწებე მიტომ,
რაცა მაქვს მინდა რომ გარგო,
ჩემთვის არაფერს ვიტოვ!

(მზია კვირიკაშვილს)

სამშობლოს ერთგულს

ვარდის სურნელს გავს შენი ნაშრომი,
ერი გინდა რომ წარმოაჩინო,
რაც საქართველოს შვილო, დაშორდი,
სულის საკვებით ცდილობ გვარჩინო.
ნიჭიერებით რითმებს მირთავდი,
გულის ვარსკვლავო, აღარ დამშორდე,
შენ ავტორების ლექსებს მითარგმნი.
დრო არის უკვე ცრემლებს ვაშრობდე.
გიგზავნი ვარდებს შენსავით ფაქიზსს,
გამოუსხია ყვავილს ყლორტებიც,
სიყვარულს ვატან ჩვენეულს ნარგიზსს....
გულიც მოყვება ნატურმოტებით!

თუ დამჭირდება

აკადემიის სულის მესაჭევ,
ამომზიანდი დილის მზესავით,
შენთვის ცის მნათობს ასე ვევაჭრე,
არ შეგიყვაროს მთვარემ ჩვენსავით.
განა მარტოდ მე.... ყველა შეგხარის,
მათ სულში რწმენამ დაისადგურა,.
ახალი მიწა მიტომ დავხანი,
ბედმა წარსული გამინადგურა.
ახლა რა მიშავს შვილო შენ მყავხარ,
ცივი ზამთარი აღარ დამსუსხავს,
ჩემთვის მად არა, აგერ აქახარ,
თუ დამჭირდება სისხლსაც გადმისხამ!

გულის ბუხარი

/ბექა მექვაბიშვილს/

რა გაოცებით მიყურებ,
ბებო ვარ შენი პატარა,
დარჩენილ წლებსაც მიპურებ,
ბედმა ცრემლები მაკმარა.
შენი თვალების ჭირიმე,
ცელქო და ხანაც ჭკვიანო,
დედის იმედის პირიმზე...
ჩემ გელას სახლში ხმიანობ.
ცელქობ არასდროს გაავდე,
გაგებუტები იცოდე,
დედა თაფლივით დაატკბე,
მაშინაც როცა ბიჭობდე.
სამყარო არის დედიკო,
სიცოცხლე უნდა გაგიყოს,
რომ გაიზრდები ბებიკო,
დამპირდი ცუდი არ იყო.
დედას და მამას უთხარი,
ერთი დაიკოც გაჩუქონ,
ხარ ჩემი გულის ბუხარი,
მზედ მინდა გამოაშუქო!

შვილო თემური



დამოგზაურობ გალაქტიკაში,
დედამიწიდან შორს ხარ ძალიან,
არ მინდა იყო პოლიტიკაში,
შენ ამისთვის არა გცალია.

ჩემი შვილი ხარ ძალზე კეთილი,
ხალხის დამცველი, სამართლიანი,
გთხოვ შეიმეცნე ეს გაკვეთილი,
ყველა არ არის ადამიანი.

 რაა ამ ქვეყნად შენ რომ არ იცი,
 სიტყვა საფირმო ხატვა და ლექსი,
დედი შვილი ხარ გულდანაფიცი,
ცის და მიწიდან შენი ხმა მესმის.

დიდ ხელოვნებას ისე უხდები,
როგორც სამრეკლოს ზარი თემური,
სიტყვით არასდროს არ გახუნდები,
შენ ძლიერი ხარ როგორც ენგური.

ნახვის ბილიკი

(ცაგო აბაშმაძეს)

გული დღე და ღამ
        იმოძღვრვება
ტკბილი ლოცვებით,
        ჩემი ჰობია თბილი
სიტყვით შეფაქიზება,
        ფიქრით დავფრინავ
მარადიულ მზისფერ ოცნებით,
იმედების ხე უსათუოდ წამოიზრდება.
გამოგიგზავნი მზისფერ
ბარათს გულის სალბუნად,
ია-იაებიც საქართველოს შეგეხმიანა,
ნახვის ბილიკი საყვარელო,
                ისევ შორს არის
და მოფერება
                ემიგრანტო დამაგვიანდა!

საჩხერელ ქალბატონს

(დარეჯან მაჭარაშვილს)

მე შემიძლია ლოცვა დარეჯან,
არც ძილს არ მიფრთხობს წვიმა შხაპუნის,
მასპინძელი ვარ სიტყვის დარაჯად,
მიიღე ლექსით ეს ხაჭაპური.
რაც კი მებადა სიტყვა მოვხიკე,
ვარდიც მოგართვი სულის ნაწილო,
სანამ ეს წლები წელში მომხრიდეს,
გულიც მინდა რომ გაგინაწილო.
ამჯერად სანთელს ვეჩურჩულები,
ვარდის სურნელი ერთად ვაფრქვიოთ,
გვეცვას სიკეთის ფაჩაჩუნები,
მტრებიც მოყვრებად გადავაქციოთ!

უნდა მოგეფერო შვილო

/შორენა ჩხიკვიშვილს/

ექიმს ნიჭიერს დ სათნოს,
უნდა მოგეფერო შვილო,
გული არასოდეს დაგთმობს,
ჩემო ლამაზო და ტკბილო.
ამ დღეს მოგილოცავ... გლოცავ,
ზამთრის ფიფქებივით სუფთავ,
ფიქრით გამოვგზავნი კოცნას,
ფიქრით წამში გავშლი სუფრას.
დღეს მე ზეიმი მაქვს რადგან,
შენი დაბადების მზეა,
ვახშმად დიდ სიყვარულს ვადგამ,
გლოცავ ჩემი სულის ზიარს.

*. *. *. *

/გულიკო კაპანაძეს/

თვალებს ახსოვს გაზაფხულის აფეთქება,
ბედმა გული დაადუმა ბედისწერით,
ეს დროც უკვე აქეთ-იქით ეხეთქება,
დღეს ათენებ ცრემლებით და პირჯვრისწერით.
უფლის რწმენამ გაცოცხლა და გამოკვერა,
სული ცოცხლობს გარდაცვლილი არა კვდება,
ვინც გულიკო დე გულნაზის დაუჯერა,
წაქცეული ხელმეორედ ფეხზე დგება.

სანთლის ალში

/ნატო გაბარაევა-ხარაიშვილს/

სანთლის ალში იწვებოდა წლები,
მოგონებას ჩაეცეკვა ქარი,
წმიდა სული სულმთლად ხელუხლები,
ის რაც იყო ისევ ისე არი.
როცა გენში გამჯდარია იყო,
უბიწო და წმინდანივით სუფთა,
უპოვარი გვერდზე არ გარიყო,
გაუშალე მადლით სავსე სუფრა.
ცხოვრების წლებს ხარშავს ბედისწერა,
ნება-ნება სანთელივით იწვის,
ყველა დედას პირჯვარს გადავწერავ,
ვინაც იცის ფასი ქართულ მიწის.
დღეს მე ნატომ მზის სხივებთან ერთად,
შემახსენა, ის არ შეიცვლება,
გულის-გულში ის ფესვები ფეთქავს,
ოქრო-ვერცხლში რომ არ გაიცვლება.

ქართველი ქალი

/ხათუნა ჩიტაძეს /

შენა ხარ სახე ქართველი ქალის,
პოეზიით და კარგი დედობით,
გაზაფხული ხარ და ფირუზ-ლალი,
მოგეფერები თუკი მენდობი.
როგორ შეგაქო ვარდივით ქალო,
პედაგოგო და სულით პოეტო,
ქარმა არ გაავნოს შენ ნატვრისთვალო,
გაშლილი ფრთებით რომ კაპოეტობ.
ლიამ შენს ლექსზე სიმღერა შექმნა,
გთხოვ, რომ ნაშრომი არ დაუწუნო,
ხათუნა არა... მზე უნდა გერქვას,
შენი ქალობა როგორ ავწონოთ?

გილოცავ

/ივერი ჭელიძეს/



შენს დიდ ღირსებას ყვება წარსული,
თოვლივით სუფთას, კლდესავით ძლიერს...
რამდენი დროა უკვე გასული
დარდი ეტყობა სახეთა იერს.
ვინ გადაგითვლის მადლის ბილიკებს,
ახალგაზრდობის გზამკვლევს შეგაქებ,
ოჯახს ვერავინ გაგიქილოკებს,
ლექსაც საქებრად ვალაპარაკებ.

გიგზავნით ქორონიკონებს

/ლოლა და აბრამ-პაატა იოსებაშვილს
და იზოლდა შაიშმელაშვილს/

გარეჯში თქვენთვის ვილოცე,
მზის სხივსაც მოკითხვას ვაბარებ,
ღმერთო, ისრაელი მიცოცხლე,
ცრემლი ააცილე პატარებს.
იზოლდა, ლოლა და პაატა,
გნატრობთ და მოგელით თბილსში,
თქვენ წიგნებს არავის გავატან,
ყინწვისში ვილოცებთ ივლისში.
თქვენია გული და ეს ლექსიც...
შევფუთავ სათუთად სტრიქონებს,
გიგონებთ ბავშობის ფესვი და...
გიგზავნით ქორონიკონრბს!

შენ რომ გეცოცხლა



/ბეჟან ხარაიშვილს/

ორმოცი წელი ღმერთთან ბინადრობ,
ოცდათი წლის წახვედი ცაში,
ხუთი ძმა ერთად როგორ გიდარდოთ,
როგორ ვიარო ბედისწრის ქარში?
შენ რომ გეცოცხლა განვლილ ბილიკებს,
მზეთა სხივებით მორთავდი ხშირად,
ახლაც ვერავინ გამაქილიკებს,
თუმცა მტერსაც კი არასდროს ვწირავ.
სული ძამიკო არა ბერდება,
გადავიქეცი რკინის კედელად,
თუმცა ეკლები ფეხზე მედება.
ქარსაც გაუძლებ თუ გახელდება .
შენი თბილისი თბილისს აღარ გავს,
ვერც ქართველს იცნობ იერსახებით,
ცის ცისარტყელის ფერად-ფერად რკალს,
უერთდებიან სევდის არხები.
დასეირნობენ უცხონი უხმოდ,
ვიღა დაითვლის ასეთებს ძმაო,
ცრემლმორეული კვლავ უფალს ვუხმობ,
გადამთიელი ქართველთან დაობს.
შავი ყორანი ნისკარტს ილესავს,
კენკავს და კენკავს გულს სევდით ნათალს,
ვერავის ვხედავ ქართვლის იმედად,
ერთ სკამზე სვამენ მტყუანს და მართალს!

ხომ მაპატიებთ

ყველას დაგლოცავთ, შვილს დავითს და ცირას და ნანას,
ლევანის ცალკე შევავედრებ რადგან შორს არის...
ტკბილად ვიმღერებ სიყვარულით იავნანას და ...
ბედზე ვიმარჯვებ არ დავდივარ მე ცოცხალმკვდარი.

გარეჯს ვილოცებ შევავედრებ გელას ცოლშვილს და...
ეკას, თამარის, თეონას და ჩემს ვაჟკაც ვახოს,
შვილთაშვილებზე სანთლის ალის ტკბილ სიტყვის ლოცვით,
ღმერთს ვუჩურჩულებ თაფლაკვერები ყველამ რომ ნახოს.

ჩემს ერს დავლოცავ, ქართველებს და ყველა ემიგრანტს,
აკადემიას, ნათესავებს, წიგნთა ავტორებს,
ჩემი გჯეროდეთ... ერთიანად ჩემში დაგიტევთ,
ხომ მაპატიეთ თქვენ გულებს, რომ დავეპატრინე!

იზა ჭიკაიძე

ნუგეშის ხმით
(გულნაზ ხარაიშვილს)

ჩემი ,,სამსუნგის" დაზიანებამ,
გულზე იმდენი დარდი შემყარა,
ცხოვრების გზაზე მგონი, პირველად
ვფიქრობ, თუ როგორ მოვალ შენთანა...
შიშით და წყენით სავსე გულისგულს,
როგორ ჩავხედო... რა ვუყო დარდებს...
შემინდე ცოდვა ეს უნებლიე...
და ნუგეშის ხმით გულს გიწილადებ!
ჩემი ,,სამსუნგის" დაზიანებამ
დარდით ამავსო ისევ ყელამდე...
ცხოვრების გზაზე, ალბათ, პირველად
არ ვიცი, როგორ მოვალ შენამდე...

პასუხი იზა ჭიკაიძეს

ცეკვავს სტრიქონი სამაიას მადლობა იზას,
მოგონებები ღრუბლებივით დაფარფატობენ,
მეც გეფერები საყვარელო აბა რას ვიზამ,
შენთან შეხვედრას ფიქრებიც კი ბევრჯერ ნატრობენ.
დიახ! მე მოვკვდი ბევრჯერ კარგო ერთხელ კიარა,
გარდავიცვალე, ფენიქსივით მკვდრეთით აღვსდექი,
მტკივა და ვითმენ ტკივილებმა არ გამიარა
და კვლავ ჩემს მოყვასს გასაჭირში გამოვადექი.
,,სიტყვაუკმარისობას" კი ... გზად ავედევნე,
ვერ დავეწიე, გამასწრო და გამოვეკიდე,
გაფასებ კარგო გიერთგულებ, გჯეროდეს, მენდე...
დასაბამიდან, სიცოცხლემდე და კიდითკიდე!

თარგმანები

ირმა კეკელიძე
Irma Kekelidze

მზია კვირიკაშვილი ლოურენსი –
მთარგმნელი, ფილოლოგი, პოეტი.
Mzia Kvirikashvili Lawrence – Translator,
Philologist, poetess.

ექვთიმე

2023 წლის 19 ნოემბერი. ოზურგეთის 156 წლოვანი, სახელმწიფო თეატრის გასტროლი, შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნულ თეატრში...მიყვარს საუბარი თეატრზე და განსაკუთრებით ქართულ თეატრზე. არა აქვს მნიშვნელობა, იქნება ეს დედაქალაქის რომელიმე აკადემიური თეატრი, თუ რეგიონის (ქალაქის, რაიონის) რომელიმე ქართული თეატრი. სამწუხაროდ, ყოველთვის არა გვაქვს ფუფუნება იმისა, რომ ვეწვიოთ რეგიონებს და ადგილზე მივიღოთ ის სიამოვნება, რასაც მათი თეატრები გვთავაზობენ – ტრაგედიების, კომედიების, ტრაგიკომედიების და ა. შ. სხვადასხვა ჟანრის სპექტაკლების სახით... რაც შეეხება თემას, რაზედაც მსურს ლაპარაკი "ექვთიმეა"..."ექვთიმე", ეროვნული ღირებულებებით, ფასეულობებით, დატვირთული (დახუნძლული) სპექტაკლი, რომელიც ჩვენი ქვეყნის, თანამედროვეობის, უნიჭიერესმა რეჟისორმა- გოჩა კაპანაძემ გვაჩუქა, ოზურგეთის ალ.წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დასთან (შემოქმედებით ჯგუფთან) ერთად... ხშირად მსმენია, რომ ქართულ თეატრს მაყურებელი აკლია, მაყურებელი არ ჰყავს. ზოგ შემთხვევაში ეს აზრი მართალია, ზოგ შემთხვევაში არა. 2023 წლის 19 ნოემბერს, რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში, სრული ანშლაგი იყო... და არა მხოლოდ ანშლაგი, თუ შეიძლება ითქვას, რაღაც ანშლაგზე მეტი- ზეანშლაგი... მაყურებლით გადავსებული იყო პარტერი, იარუსები. მრავლად იყვნენ ფეხზე მდგომი მაყურებლებიც...



სპექტაკლის სახელწოდება "ექვთიმე" მიგვანიშნებს, რომ თემატიკა ეხება ექვთიმე თაყაიშვილის – ქართველი ისტორიკოსის, არქეოლოგის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებლის (მისი ხელმოწერა დაფიქსირებულია საქართველოს დამოუკუდებლობის აქტზე), დიდი საზოგადო მოღვაწის, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანის ცხოვრებას... ექვთიმე თაყაიშვილი, "ექვთიმე ღვთისკაცის" სახელითაა შესული, ქვეყნის უახლეს ისტორიაში... 2002 წლის 17 ოქტომბერს, საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ წმინდანად შერაცხა და

წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი უწოდა... 2013 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა...

სპექტაკლში მთელი სიცხადით და სიმწვავით არის გადმოცემული, ბოლშევიკური რუსეთის წითელი არმიის მიერ, საქართველოს ანექსიის პროცესი. ემოციურად, ძალიან ამაღელვებელია ის სცენა, როდესაც ექვთიმე თაყაიშვილმა (მეუღლესთან, ნინო პოლტორაცკაიასთან, ერთად) 1921 წლის მარტის თვეში, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად სამშობლო დატოვა. გახიზნულმა მთავრობამ, თან წაიღო საქართველოს განძის, ისტორიულად, განსაკუთრებით ღირებული ნაწილი...სპექტაკლის მსვლელობისას საოცრად დასამახსოვრებელია ის სცენა, როდესაც ექვთიმეს მეუღლე ნინო, აღელვებული ამცნობს მის თანამეცხედრეს, რომ ისინი მოატყუეს და არ აუშვეს გემზე ("ერნს რენანზე"), რომელზეც განძეულობა იყო. აღელვებული ექვთიმე და ნინო(მსახიობები გიორგი დოლიძე და თამარ მდინარაძე) თანხას აგროვებენ, ქირაობენ კერძო გემს, რომლითაც გაყვნენ ერის საგანძურს კონსტანტინეპოლამდე, სადაც დიდი ბრძოლის და ძალისხმევის შედეგად განძი გადაიტანეს სხვა გემზე (გემ"ბიენ ჰოა-ზე)...ექვთიმე და მისი მეუღლე, განძთან ერთად, ჩავიდნენ მარსელში. საფრანგეთში ჩასვლის შემდეგ, განძით სავსე 39 დაბეჭდილი ყუთი, ბანკში იქნა შენახული.

ისტორიულად ცნობილია, რომ ექვთიმე თავდაპირველად დასახლდა პარიზში, შემდეგ გადავიდა ლევილში. 1924 წლიდან ჩამოშორდა პოლიტიკურ საქმიანობას...პოლიტიკური საქმიანობიდან ჩამოშერების შემდეგ, განსაკუთრებით დაიძაბა ურთიერთობა ექვთიმესა და ემიგრაციაში მყოფ ხელისუფლებას შორის...ეს დაძაბულობა ხშირად ძალიან დიდ კომფლიქტსა და ურთიერთდაპირისპირებაში გადადიოდა, რაც მთელი სიცხადით ჩანს სპექტაკლში...სცენაზე ვხედავთ დევნილი მთავრობის ხელმძღვანელს ნოე ჟორდანიას (მსახიობი ვახტანგ ჩხარტიშვილი) და მის დამქაშებს, თუ როგორ ეპყრობიან გაჭირვებაში მყოფ ექვთიმეს, რომლის მიზანი

(ცხოვრების არსი), ემიგრაციაში ყოფნის დროს, სამშობლოდან გატანილი განძის დაცვა და გადარჩენაა... დაპირისპირებული მხარე აძალებს ექვთიმეს გაყიდოს განძიდან თუნდაც მცირე ნაწილი, რითაც მათაც ეშველება და ექვთიმეც სულს ამოითქვამს...თუ არა და ექვთიმეს ის "გამოხეული ნიფხავიც" აღარ ეცმევა, რომელიც აცვია და საერთოდ "უნიფხვოდ" დარჩება... ექვთიმეს თქმით კი "მისი ჯვარიც ეს არის და მისი გოლგოთაც... განძს კი ვერავინ შეეხება!"...

საინტერესოდ ვითარდება სპექტაკლის მსვლელობა, როდესაც რეჟისორს ქაქუცა-ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი (მსახიობი ლევან საღინაძე) შემოჰყავს სცენაზე... ადრეც მითქვამს და ისევ ვიტყვი, რომ გოჩა კაპანაზე, სცენაზე ორიგინალური, ინოვაციური მიგნებების, თემატიკის, დიდოსტატია...რეალურად სპექტაკლი დატვირთილია, გაჯერებულია, ექვთიმესა და ქაქუცას, ორი ეროვნული გმირის, თემატიკით. მათი დიალოგი თხემით ტერფამდე შემძვრელი და გულის ამაჩქარებელია, ქართველი მაყურებლისათვის. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მსახიობებმა, ამ გამოწვევას საოცრად დამაჯერებლად და პროფესიონალურად გაართვეს თავი...ისტორიულად ცნობილია, რომ ქაქუცა 1924 წლის ოქტომბერში (26 თანამებრძოლთან ერთად), თურქეთის გავლით საფრანგეთში წავიდა. საქართველოში დარჩენილი მისი სიმამრი, ილია მეღვინეთუხუცესი დახვრიტეს, მეუღლეს ნინოს ასევე დახვრეტა მიუსაჯეს, მაგრამ შემდეგ ქალიშვილებთან, 7 წლის თამართან და 3 წლის ქეთევანთან ერთად გადაასახლეს...1930 წლის 27 ივნისს ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი ტუბერკულოზით გარდაიცვალა. თაცდაპირველად პარიზის მახლობლად დაკრძალეს, შემდეგ ლევილში გადაასვენეს...სცენაზე რეჟისორმა თვალნათლივ დაგვანახა, სამშობლოს სიყვარულს ზვარაკად შეწირული, ორი ადამიანის ტკივილი, განცდა, ტრაგიკული ბედი...

სპექტაკლში კარგად ჩანს, რომ ექვთიმე საფრანგეთში, თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე მოღვაწეობდა, სადაც იგი უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობდა. 1931 წელს, მეუღლის, ნინო პოლტორაცკაიას, გარდაცვალებამ კი საოცრად დაამძიმა მისი ცხოვრება...სპექტაკლში ძალიან შთამბეჭდავია ნინოს (ექვთიმეს მეუღლის) ავადმყოფობის და გარდაცვალების ეპიზოდი... რეჟისორის არაჩვეულებრივმა ხედვამ, ნინოს ავადმყოფობის და გარდაცვალების სცენაც, საოცრად ლამაზ ფერებში, ლამაზი მუსიკის ფონზე, ლამაზი ცეკვით წარმოგვიდგინა...საოცარი სცენაა, აგრეთვე, როდესაც მთაში მცხოვრებ გოგონას, მზექალას (მსახიობი ციცი ბუცხრიკიძე), ბოლშევიკები ვერაგულად კლავენ...სიკვდილს ახალგაზრდა ქალიც ცეკვით ხვდება და იმქვეყნიურ ცხოვრებასაც ცეკვით აგრძელებს...დამდგმელმა რეჟისორმა და სცენური ვერსიის ავტორმა, საოცრად ლამაზად დაგვანახა, ერისა და ქვეყნის მოყვარე, ალალ- მართალი, ახალგაზრდა გოგონას სიკვდილის სცენაც...

სპექტაკლში ძალიან შთამბეჭდავად არის წარმოდგენილი, ის ისტორიული თემა, თუ როგორ სურდათ ევროპის სხვადასხვა მუზეუმებს განძის ცალკეული ექსპონანტების ყიდვა. მაგრამ საქართველოს "მეჭურჭლეთუხუცესი" (ექვთიმე) არ თანხმდებოდა...შთამბეჭდავია ის სცენა, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის 150 წლის თავის აღსანიშნავად, ექვთიმეს შესთავაზეს, შეერჩია ექსპონატები გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ მან უარი განაცხადა. გაუძლო, ემგრაციაში მყოფი ქართველი ჩინოვნიკების ზეწოლას, შეურაცხყოფას, დამცირებას, არა მხოლოდ სულიერ, ფიზიკურ შეურაცხყოფასაც კი...ექვთიმემ უარი უთხრა ნიუიორკის მეტროპოლიტენ, ბრიტანეთის, გერმანიის და მრავალი ქვეყნების ისტორიულ მუზეუმებს... მოწინააღმდეგე ძალებთან ბრძოლა, ექვთიმეს მძიმე ყოფა, საოცარად დამაჯერებელად და სცენიური ოსტატობით აქვს წარმოდგენილი რეჟისორს და სპექტაკლში მონაწილე მსახიობებს...

სპექტაკლში შთამბეჭდავია ის სცენა, სადაც ექვთიმეს აწუხებს და გულთან მიაქვს, ებრაელი ადამიანების ბედი. საფრანგეთსაც, ისევე როგორც ევროპის სხვა ქვეყნებს, შიშის ზარს სცემდა, მეორე მსოფლიო ომის დაწყება და ფაშისტური გერმანიის მიერ მათი ოკუპაცია...განსაკუთრებით მძიმე დღეში იყვნენ ევროპის ქვეყნებში მაცხოვრებელი ებრაელები...რეჟისორი, გონივრული ხერხებით, გვაჩვენებს, თუ როგორ დაეხმარა ექვთიმე განსაცდელში მყოფ ებრაელებს...

მეორე მსოფლიო ომის მიწურულს, 1944 წლის ნოემბერში, ექვთიმე შეხვდა სსრკ-ს ელჩს საფრანგეთში- ბოგომოლოვს, განძის საქართველოში დაბრუნებასთან დაკავშირებით და გადასცა ვრცელი მოხსენება გენერალ დე გოლის სახელზე. დე გოლმა განკარგულება გასცა საქართველოში განძის დაბრუნების თაობაზე, რაც 1945 წელს, განხორციელდა კიდეც.

ძალიან მძიმე და ამავე დროს შთამბეჭდავია ის სცენა, როდესაც ხანშიშესული, დაუძლურებული ექვთიმე, უშიშროების სამსახურის მისაღებში ელოდება, მინისტრთან შეხვედრას. დამამცირებელი და ამაზრზენია, ჩინოვნიკი ქალის, ცომაიას (მსახიობი თეა კეჭაყმაძე), ქცევები და დამოკიდებუ-

ლება, საქართველოს "მეჭურჭლეთუხუცესის" მიმართ. კიდევ უფრო დამამცირებელი და გასაოგნებელი იყო, მინისტრ რუხაძის (მსახიობი ირაკლი ვადაჭკორია) ქცევები და მანერები, როდესაც ექვთიმე სთხოვს უკანონოდ დაპატიმრებული შვილობილის, ლიდა პოლტორაცკაიას, გათავისუფლებას... მინისტრის, რომელიც ერთი შეხედვით ვარლამ არავიძის პროტოტიპს გვაგონებს (ფილმიდან "მონანიება"), ვერაგულმა, არაადამიანურმა დამოკიდებულებამ, საბოლოოდ დაასრულა, დიდი ერის კაცის, ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება... მინდა ავღნიშნო რეჟისორის ღრმა ჩანაფიქრი, ანგელოზის პერსინაჟის მიმართ (მსახიობი შორენა სიხარულიძე), რომელიც დასაწყისიდან ბოლო სცენამდე, ლეიტმოტივად გასდევს სპექტაკლს, რითაც ექვთიმე ღვთის კაცის სულის სახეს და უფლისკენ მიმავალ მართალ გზას ვხედავთ...სპექტაკლის ფინალში საოცრად შთამბეჭდავი და ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის გულის ამაჩქარებელია, ექვთიმეს შესვლა, ქართული საგალობლების ფონზე, ეკლესიის ლამაზ კარიბჭეში,... რითაც რეჟისირმა ხაზი გაუსვა და უსიტყვოდ, ლამაზად დაგვანახა, იმქვეყნიურ ცხოვრებაში გადასვლის შემდეგ, წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის სახე...

ზოგადად სპექტაკლის მსვლელობისას, მაყურებელსა და მსახიობს შორის, დაუნდობელი ბრძოლა მიმდინარეობს. უზარმაზარი ძალა, ნებისყოფა, პროფესიონალიზმი სჭირდება რეჟისორს, მსახიობს, არ დამარცხდეს, არ დამორჩილდეს მაყურებელს. რეჟისორის, მსახიობის უდიდესი და უპირველესი მისიაა დაიმორჩილოს მაყურებელი...ამ მისიას კი, გოჩა კაპანაძის მიერ, ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში დადგმულმა სპექტაკლმა, დიდი წარმატებით გაართვა თავი...გოჩა კაპანაძისულმა რეჟისორულმა ხედვამ, მსახიობების აქტიორულმა ხიბლმა და ოსტატობამ, სრულად დაიმორჩილა, რუსთაველის თეატრის, მაყურებლით გადავსებული დიდი დარბაზი... სპექტაკლში, საოცრად შთამბეჭდავი და დამაჯერებელი სახეები შექმნეს მსახიობებმა: შორენა გვეტაძემ, ბელა კიკვაძემ, გენადი ნიკოლაშვილმა, მარი ხანთაძემ, მარიკა ასათიანმა, ჯაბა მორჩილაძემ, ირაკლი ურუშაძემ, გიორგი ჩაველეშვილმა, დავით კვერღელიძემ და სხვებმა...

სპექტაკლის თითქმის ყველა სცენა გაჯერებულია, საოცარი გემოვნებით შერჩეული, ლამაზი მუსიკით...სპექტაკლში ღვთისმშობლის (ქართულ) საგალობელთან, გურულ ნანასთან ერთად, გამოყენებულია- შოსტაკოვიჩის, ვერდის, მოცარტის, შოპენის მუსიკა და ედიტ პიაფის ლამაზი სიმღერა...სპექტაკლი გაალამაზა და ტანთ შემოსა, სცენა ფერებით აამეტყველა, უნიჭიერესმა მხატვარმა- ლომგულ მურუსიძემ...

როგორც რიგითმა, ქართული თეატრის მაყურებელმა, თავს უფლება მივეცი, რომ გამომეხატა ჩემი ემოცია და შთაბეჭდილებები სპექტაკლის გარშემო... მინდა აგრეთვე თავს უფლება მივცე და მიულოცო სცენური ვერსიის ავტორს და დამდგმელ რეჟისორს – გოჩა კაპანაძეს, იდეის ავტორს და დადგმის ხელმძღვანელს – ვასო ჩიგოგიძეს, რეჟისორს ლალი თაბაგარს, მხატვარს – ლომგულ მურუსიძეს, კოსტუმების მხატვარს- ქეთი ციციშვილს, მუსიკალურ გამფორმებელს – დალი დოიჯაშვილს, ლოტბარებს – ტრისტან სიხარულიძეს და ლაშა ჩხარტიშვილს, ტექნიკურ რეჟისორს- ეკატერინე ანთიას, თეატრის დასს, მთელს შემოქმედებით ჯგუფს, წარმატებული სპექტაკლის დაბადება!.. თამამად შემიძლია ვთქვა, რეჟისორმა გოჩა კაპანაძემ და მასთან ერთად მთელმა დასმა, სპექტაკლის სულის ჩადგმით, არა მხოლოდ შემოქმედებითი სახე გვაჩვენეს, არამედ დიდი ეროვნული ნაბიჯიც გადადგეს, თანამედროვე საქართველოს რეალობაში...

როგორც ცნობილია, სპექტაკლი დაიდგა, საქართველოს კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის სამინისტროს და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით..მათაც ვულოცავთ, პროექტის გამარჯვებას, რითაც თავისი წვლილი შეიტანეს დიდ ეროვნულ საქმეში, ღირებული ქართული სპექტაკლის შექმნაში, რომელიც მიეძღვნა წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის დაბადებიდან 160 წელს და წმინდანად შერაცხვიდან 20 წლის თავს...შეგვეწიოს წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის მადლი და ძალა, სრულიად საქართველოს!..

... და ბოლოს მინდა ვთქვა, რომ ეროვნული სპექტაკლი "ექვთიმე", რომელმაც ღირსეული ადგილი დაიკავა, გოჩა კაპანაძის მიერ დადგმულ, წარმატებულ სპექტაკლთა შორის, ასევე ღირსეულად შევა ქართული თეატრის ისტორიაში...

პატივისცემით, მადლიერებით
ირმა კეკელიძე

Irma Kekelidze

EKVTIME

November 19, 2023.

The 156-year-old Ozurgeti State Theatre is on tour at Shota Rustaveli National Theatre. I love talking about theatre, especially Georgian theatre.

It doesn't matter if it is an academic theatre in the capital or a Georgian theatre in its regions (city, district). Unfortunately, we don't always have the pleasure of visiting the districts and enjoying on the spot what their theatres offer us – tragedies, comedies, tragicomedies, etc... in the form of performances of different genres.

The topic I want to talk about is "Ekvtime"..."Ekvtime", a performance loaded with national values, which was presented to us by the most talented director of our country, – Gocha Kapanadze, together with the creative group of the State Drama Theater named after Al. Tsutsunava of Ozurgeti... I have often heard that the Georgian theatre needs an audience or usually has no audience. This opinion is valid in some cases; in others, it is not. On November 19, 2023, the audience filled the big hall of the Rustaveli Theatre. Administration sold out all tickets... and not only. More than that, the parterre and all the tiers of seats were filled with spectators. There were many standing spectators, too.

The name of the play, "Ekvtime", indicates that the theme concerns Ekvtime Takaishvili – a Georgian historian, archaeologist, one of the founders of Tbilisi State University, one of the founders of the National Democratic Party of Georgia (his signature is recorded on the Act of Independence of Georgia), a great public figure, Georgian Orthodox The life of the saint of the church... Ekvtime Takaishvili has entered the country's recent history under "Ekvtime God's Man"... On October 17, 2002, the Orthodox Apostolic Church of Georgia canonized him and called him Saint Ekvtime God's Man. On October 26, 2013, he was awarded the National Hero of Georgia title.

The process of the annexation of Georgia by the Red Army of Bolshevik Russia is conveyed in the play with all clarity and intensity. Emotionally, the scene when Ekvtime Takaishvili (with his wife, Nino Poltoratskaya) left his homeland in March 1921, together with other representatives of the government of the First Republic of Georgia, is fascinating. The migrated government took a precious part of the Georgian treasure.

In the course of the play, the scene when Nino, the wife of Ekvtime, excitedly informs her spouse that they were deceived and were not allowed to board the ship ("Erns Renan"), on which there was an estate of Georgia. Worried, Ekvtime and Nino (actors Giorgi Dolidze and Tamar Mdinaradze) collect money and hire a private ship, in which they follow the nation's treasure to Constantinople, where, as a result of great struggle and effort, the treasure is transferred to another ship (ship "Bien Hoa")... Ekvtime and his wife, along with the treasure, arrived in Marseilles. After arriving in France, 39 sealed boxes filled with the treasure were deposited in a bank.

Historically, it is known that Ekvtime settled in Paris and then moved to Leville. In 1924, he withdrew from political activities. After his withdrawal from political activities, the relationship between Ekvtime and the government in exile became particularly tense. This tension often turned into a massive conflict and confrontation, as seen in the play. On the stage, we see the head of the government in exile, Noe Jordania (actor Vakhtang Chkhartishvili) and his henchmen, how they treat the poor Ekvtime, whose purpose (the essence of life) during his stay in exile is to protect and save the treasure taken from his homeland. The opposite party forces the Ekvtime to sell at least a small part of the treasure to make them survive, as they are going through a tough time, encouraging him to do it also on his behalf. They are left even without enough wearing, and Ekvtime himself wears a scraped underdress. But Ekvtime's firm decision is that this is also his cross and Golgotha. And no one can

touch the treasure!

The course of the play develops interestingly when the director introduces Kakutsa-Kaikhosro Cholokashvili (actor Levan Saghinadze) to the stage. I have said it before and will repeat it: Gocha Kapanadze is a master of original, innovative findings and themes on the stage. In reality, the play is busy, saturated with the theme of two national heroes, Ekvtime and Kakutsa. Their dialogue is heart-pounding and heart-accelerating for the Georgian audience. I can confidently say that the actors coped with this challenge compellingly and professionally. It is historically known that in October 1924 (along with 26 comrades), Kakutsa went to France through Turkey. His father-in-law, Ilia Megvinetukhutsesi, who remained in Georgia, was shot. His wife Nino was also sentenced to be shot, but then he was deported together with his daughters, 7-year-old Tamari and 3-year-old Ketevani. On June 27, 1930, Kaikhosro (Kakutsa) Cholokashvili died of tuberculosis. At first, he was buried near Paris, then transferred to Leville. On the stage, the director portrays the pain, feelings, and tragic fate of two people sacrificed for the love of the motherland.

In the play, it is seen that Ekvtime worked in France for almost a quarter of a century, where he lived in extreme poverty. In 1931, the death of his wife, Nino Poltoratskaya, made his life extremely difficult. The episode of illness and death of Nino (his wife) is awe-inspiring in the play. The extraordinary vision of the director, the scene of disease and death of Nino, in gorgeous colours, with beautiful music in the background, presented us with a beautiful dance. There is also a fantastic scene when a young girl living in the mountains, Mzekala (actress Tsitsi Butkhrikidze), is brutally killed by the Bolsheviks. The young woman also faces death with dance and continues her beyond life with dance. The stage director amazingly showed us the scene of the death of a young girl who loved the nation and the country, who was honest and righteous.

The play very impressively presents the historical theme of how various European museums wanted to buy individual exponents of the treasure. But the Georgian treasure custodian potter (Ekvtime) disagreed. The scene is impressive when Ekvtime is offered to choose exhibits to participate in the exhibition to celebrate the 150th anniversary of the independence of the United States of America, but he refuses. He withstood the pressure, insults, and humiliation of the Georgian officials in emigration, not only spiritual but even physical abuse. Ekvtime declined to visit the New York Metropolitan, British, German and many other historical museums. The fight with the opposing forces, Ekvtime's complicated life, is amazingly performed. The director and actors in the play presented convincingly and with stage skills.

In the play, there is a scene where Ekvtime worries and takes the fate of the Jewish people to heart. France, as well as other European countries, was frightened by the start of the Second World War and their occupation by fascist Germany. Jews living in European countries had a tough time. Using reasonable methods, the director shows us how he helped the Jews.

At the end of the Second World War, in November 1944, Ekvtime met with the ambassador of the USSR in France, Bogomolov, regarding the return of the treasure to Georgia and gave an extensive report on behalf of General de Gaulle. De Gaulle issued an order to return the treasure to Georgia, implemented in 1945.

It is severe and, at the same time, impressive the scene when an elderly, already weakened Ekvtime is waiting for a meeting with the minister in the reception area of the security service. The behaviour and attitude of the official woman Tsomaya (actress Thea Kechakmadze) towards the "Treasure potter" of Georgia are humiliating and disgusting. Even more humiliating and surprising were the behaviours and mannerisms of Minister Rukhadze (actor Irakli Vadachkoria) when Ekvtime asked for the release of his illegally imprisoned adopted daughter, Lida Poltoratskaya.

The minister, who at first glance reminds us of the prototype of Varlam Aravidze (from the movie

"Repentance"), The inhuman, perfidious attitude finally ended the life of the great nation man, Ekvtime Takaishvili...

I want to mention the director's deep thought towards the character of the angel (actress Shorena Sikharulidze), which is the leitmotif of the play from the beginning to the last scene. Thus, Ekvtime is the face of the soul of a man of God and a righteous person going to the Lord. We see the way. In the play's finale, Ekvtime's entrance into the beautiful gate of the church is imposing and heart-accelerating for all Orthodox Christians. It happens against the backdrop of Georgian hymns with which the director emphasized and, without words, beautifully showed us the face of Saint Ekvtime after he transitioned to worldly life.

In general, a relentless battle between the audience and the actor is going on during the performance. A director and actor need enormous strength, willpower, and professionalism not to be defeated and not to submit to the audience. The most significant and noblest mission of a director or actor is to subdue the audience, and this mission, the play staged by Gocha Kapanadze in the Ozurgeti State Theater, coped with great success. The directorial vision of Gocha Kapanadze and the acting charm and skill of the actors completely subdued the large hall of the Rustaveli Theater, filled with spectators. In the play, the actors Shorena Gvetadze, Bela Kikvadze, Genadi Nikolashvili, Mari Khantadze, Marika Asatiani, Jaba Morchiladze, Irakli Urushadze, Giorgi Chaveleshvili, Davit Kverghelidze and others created imposing and convincing faces.

Almost all the play's scenes are saturated with beautiful music, chosen with excellent taste. Together with the Georgian hymn of the Virgin Mary, with Nana Guruli, the music of Shostakovich, Verdi, Mozart, and the beautiful song of Edith Piaf are used in the play. The scene was embroidered with colours by the most talented artist – Lomgul Murusidze.

As an ordinary viewer of the Georgian theatre, I allowed myself to express my emotions and impressions about the performance. I also want to congratulate the author of the stage version and the stage director – Gocha Kapanadze; the author of the idea and the head of the production – Vaso Chigogidze; director Lali Tabagari, painter Lomgul Murusidze; costume designer Keti Tsitsishvili, music designer Dali Doijashvili, lot bars Tristan Sikharulidze and Lasha Chkhartishvili, technical director Ekaterine Anthia, the theatre troupe, the entire creative group, the birth of a successful play! Director Gocha Kapanadze and the whole troupe, together with him, not only showed us a creative face but also took a big national step in the reality of modern Georgia by embodying the spirit of the play.

As is known, the play was staged with the support of the Ministry of Culture, Sports, and Youth of Georgia and the Municipality of Ozurgeti. We also congratulate them on the victory of the project, thus contributing to the great national cause and the creation of a valuable Georgian play, which was dedicated to the 160th anniversary of the birth and 20 years after canonization. May the grace and power of the saint Ekvtime of the man of God reach us, all of Georgia!..

And finally, I want to say that the national play "Ekvtime", which took a worthy place among the successful plays staged by Gocha Kapanadze, will also be placed in the history of Georgian theater with dignity...

With respect and gratitude
Irma Kekelidze

მაყვალა გონაშვილი
Makvala Gonashvili

ფერიცვალება

ეძებდნენ ერთ-ურთს, ვით გამართლებას,
ღმერთი და კაცი, კაცი და ღმერთი,
მე კი დაჭრილი ფრთები მეჭირა,
თქვენ რომ მარაო გეგონათ თეთრი.

მე არც კი მახსოვს, როგორ შემაჭრეს
ფრთები და ზეცის კარი დამიხშვეს,
ჯერ ამიხილეს თვალები, მერე
ზეცის ეკლიან მკერდზე გამიშვეს.

და მიწა, როგორც დაღლილი კაცი,
ჩემგან ითხოვდა შველას და ალერსს,
ხან მიწყრებოდა სულ უმიზეზოდ,
ხან მპირდებოდა ზურმუხტს და ლალებს.

ეჭვიანობდა უზომოდ ქარზე,
ხანაც მიგებდა ფეხთ იის ნოხებს,
მე ვიცი, თუკი ერთხელ დავეცი
ანდა დავხარბდი, გულს მოიოხებს.

ზეცა ხარხარით და მუქ-ლურჯ თაღებს
შეზარავს ჩემი ქალთან მსგავსება,
მუხლი სუსტი და თვალები ხარბი
და წამიერი ვნებით ავსება.

ნუთუ არ იცის ცამ ყოვლისმცოდნემ
ფერიცვალება რისი ბრალია,
რომ ფრთებდაჭრილი და თვალხილული
თვით ანგელოსიც სუსტი ქალია.

ეძებდნენ ერთ-ურთს, ვით გამართლება
ღმერთი და კაცი, კაცი და ღმერთი,
მე კი დაჭრილი ფრთები მეჭირა,
თქვენ რომ მარაო გეგონათ თეთრი.

TRANSFIGURATION.

One looked for another as justification,
Heaven and a man, a man and heaven.
I was holding cut wings in my hands.
It wasn't, as you thought, a white fan.

I don't remember how they got me,
Cut my wings and shut heaven's gate.
First, they opened my eyes widely, and then
They left me on the thorny chest of unhappiness.

And the land, as an exhausted man,
He was asking me for caresses and help,
Sometimes, crossing without reason,
Sometimes promising rubies and emeralds.

Was jealous endlessly about the wind,
Sometimes, it spread the rugs under me.
But if I kneel and break at least once,
I know it will be relieved, and I will be glad.

Heaven with blue vaults will be surprised,
I will be startled by my resemblance to a woman.
With the weak knees and with greedy eyes,
It will be filled instantly with the passion of the heart.

What could be the reason for transfiguration?
Doesn't it know the Lord Almighty?
The woman, enlightened but with cut wings,
Even Angelus itself can be gentle and weak.

Looking for each other to justify
A Man and Heaven, Heaven, and a Man.
I was holding the wings, ruthlessly cut,
And you thought it was a white fan.

ღვთისმშობლის მონოლოგი

რატომ დამხატეთ მწვანე წალკოტში?
ბაგით მღიმარით, თვალებით მშვიდით?
თქვენ ხომ არ იცით, როგორ გავრბოდი?
ნაკვალევს ცრემლით როგორა ვშლიდი?

თქვენ ხომ არ იცით, როგორ ვეწამე?
როგორ ვთრთოდი და როგორ ვტიროდი,
და ჩემს სარკმლიდან შემოსულ ლანდებს.
ჰგონდათ პროფილი დიდი ჰეროდის.

ვნება, ზმანება, შვილი, სიშორე,
სისხლის ცრემლებით გამოტირება,
რწმენა, სიმაღლე, გოლგოთა, ჯვარცმა...
მამა-უფალმა ასე ინება.

ჰო, აღასრულა, რაც გადაწყვიტეს,
რაც დაუწერა განგებამ ბედად,
თქვენთვის ის ღმერთის ძეა, მაღალი,
მაგრამ მე მაინც დედა ვარ, დედა.

და მეც ვიტვირთე თქვენი ცოდვები,
მეც რწმენის ჯვარზე ათასჯერ მაცვეს,
ზეცის ბილიკზე დამზრალ შროშანებს,
ცრემლებით რწყავდა შემკრთალი მაცნე,

სხივი, რომელიც გინათებს გზაწვრილს
ჯვარზე გაკრული ღმერთის წულია,
ხეებს რომ ასე აკვნესებს ღამით,
ქარი კი არა, დედის გულია.

თუ განსაცდელი ელის ქვეყანას,
დღეები სევდით თუ დაიბინდა,
გფარავდეთ ჩემი ტანჯული შვილი,
მამაუფალი და სულიწმინდა.

VIRGIN MARY'S MONOLOGUE

Why did you paint me in paradise greenery,
With a charming smile and calm eyes?
You don't know how I was running,
How I was erasing footprints with tears.

You don't know how I was suffering,
crying and trembling on insomniac nights,
And the shadows coming from my window,
looked like a profile of the ruthless Herod.

Passion and illusions, child and distance,
Lamenting with bitter tears of blood,
Faith and Height, Calvary, Crucifixion,
all the things that were Father's decisions.

Yeah, he complied all, predestined him,
All that by fate has decided,
For you, he is the high Son of God,
But I'm his unhappy mother, still!

I carry your sins, also, with my son,
I've been on faith cross a thousand times,
The frostbitten lilies on the trail of Heaven,
watered with tears, the startled messenger.

The beam that lights your narrow way,
It's the cross-crucified the son of Heaven,
But the power that makes trees moan at night,
It is not the wind but the mother's heart.

If the country awaits perils,
If sorrows and grieves will mist your days,
Let guard you all, my afflicted son,
The Holy Spirit and our Father.

შენს საუფლოში

გადამიარეს გულზე წვიმებმა,
სიმარტოვეში ჭკნება აპრილიც,
რად მახსენდები ასეთი ელდით?
სიზმრის ახდენას რატომ დამპირდი?

ვიცი, ჩემს ყოფას ჰქვია ცხოვრება,
ვიცი, ამ კედლებს ოჯახი ჰქვია,
იქ კი, საოცარ შენს საუფლოში
სულ სხვანაირი ქარები ქრიან.

სულ სხვანაირად თენდება დილა,
სულ სხვანაირი ფერი აქვს ნისლებს,
იმ ნისლებივით ჩამოვიღვრები,
ღმერთი შენს ხილვას თუკი მაღირსებს.

იმ ტკივილისთვის, იმ სიშორისთვის,
იმ სიგიჟისთვის გიხდი მადლობას,
მოდი, გააღე გალიის კარი
და გამახსენე ახალგაზრდობა.

იცი, რა ტანჯვა გამოვიარე?!
მთელი წელია ვცხოვრობ ულექსოდ,
მოდი, მომხვიე მხრებზე ხელები
და გამაცოცხლე, სულზე უტკბესო,

წუთივით წავა წუთისოფელი,
მალე ვიქცევით უსულო ქვებად,
შენ შემოგევლოს ჩემი სიცოცხლე,
რომელიც ახლა სხვის ჭერქვეშ ქრება.

IN YOUR KINGDOM

The rains poured over my heart,
April is fading in its solitude,
Why do I remember you with such shock?
Why did you promise me to fulfil my dreams?

I know my life is just existence,
I know these walls' name is family,
But, there in your beautiful abode,
Blow utterly contrary winds.

You have utterly different dawns,
With you different colours have fogs,
Like those fogs, I will melt away,
If God will allow me to see you.

For those pains and this distance,
For that madness, I wish to thank you,
Come and open the door of the cage,
And remind me of my youth.

Do you know what suffering I went through,
I've been living a year with no verse,
Come and put your hands on my shoulders,
And revive me, my sweeter than soul.

As a second run of this transient world,
Soon, we will become lifeless stones,
I can give up my life for you,
But it's vanishing under others' roofs.

ვალი

არა მარტოდენ მამულის, ანდა,
არა მარტოდენ წინაპრის ვალით
საქართველოში ათგზის ძნელია
იყო პოეტი და იყო ქალი.

ეს იმას ნიშნავს, რომ ცალი ხელით
აკვანს არწევდე, სად სხივი ჩადგა,
ხოლო მეორით კემსავდე ძველი
მეტაფორებით გაცვეთილ ფარდაგს,

იყო ერთგული ცოლი და დედა,
თანაც ფეხდაფეხ სდიო ქარაშოტს,
ეს იმას ნიშნავს, ვით ცეცხლს ფარვანა
სიკვდილს ბავშვივით შეეთამაშო

DEBT

Not because of the duty of fatherland,
Not only because of the ancestral debts,
In Georgia, it isn’t straightforward,
To be a poet and to be a woman.

It means you should with your one hand
Rock baby cradle, shining with your son,
And with your second hand, you too darn
worn-out and metaphorically faded rug.

To be a devoted wife and mother,
And at the same time follow the hurricane.
It means with a lantern-like night fly,
As a child with death, you would play.

და სხვა კეკლუცი ქალების დარად,
არ შეგისრულდეს ნატვრა არროდეს,
არ იყოს ვინმე სიმარტოვიდან,
შენს დასახსნელად მოუხაროდეს.

ეს იმას ნიშნავს არ წაიჩოქო,
სანამდის ძალა გიდგას მუხლებში,
ეს იმას ნიშნავს, იყო ქალღმერთი
კაცის და მიწის მძიმე უღელში.

არა მარტოდენ მამულის, ანდა
არა მარტოდენ წინაპრის ვალით,
საქართველოში ათგზის ძნელია
იყო პოეტი და იყო ქალი.

And like other smart women-dreamers,
You would never achieve your heart's wish.
Would not be someone from his solitude
To rush with joyfulness to save you?

It means you do not need to kneel anyone
As long as you feel stronger yourself.
It means you need to be a goddess
To be in the yoke with man and land.

Not just with the name of your fatherland,
Not only for the ancestors' debts.
In Georgia, it is much more difficult
To be a poet and to be a woman.

შურისძიება

თქვენ შემოხვედით და ქარებს ჩემსას,
როგორც სიზმარმა, მუხლი მოჰკვეთეთ,
ის კი, ვინც მართლა მიღირდა ჩირად,
ენამჭევრობდა, როგორც მოკეთე.

მიკრავდა გულში, გამვლელ-გამომვლელს
აკრთობდა ჩემი ღიმილი წრფელი,
თვალებში – სხივი-მზეანაწური,
გადამსხვრეული მკლავებზე წელი.

მე ვნებდებოდი და ამბორს ჩემსას
ერქვა მტრობა და შურისძიება
და ნატერფალზე ჩემი ცრემლები
ამოდიოდნენ მზისფერ იებად.

მე უარგყავით, რადგან მიყვარდით,
დაგტოვეთ, რადგან უთქვენოდ ჩემს დღეს
არ ჰქონდა ფასი,
ტანთ გავიძარცვე დიბა-ატლასი,
ჩავიცვი ხამი ტილო და ფლასი.

ვერ დავივიწყე ვერაფრით მაინც
თქვენი თვალების სიღრმე და მწუხრი,
რადგან თქვენ ერთხელ შეჩერდით ჩემთან
და ქარებს ჩემსას მოჰკვეთეთ მუხლი.

REVENGE

You entered in, and the winds of mine,
Like a dream, it left me with trembling knees.
And the one who didn't mean anything to me
He was talking too much as if well-wisher.

He embraced me; the people, passers-by
Were surprised by my sincere smile,
With my eyes—as if extinguished beams—
And my crushed years, damaged by life.

I was obeying, but my embracing,
It was called only hostility and revenge.
And on my footprints, tears of mine
As sun-coloured violets had been rising.

I denied you because I loved you.
As without you, I had no value,
I stripped off my valuable clothes,
And I put on a canvas and plaid instead.

I could not forget, despite the trying,
The depth of your eyes and your sadness,
Because my fate stopped you with me,
And it caused bitterly to tremble my knees.

გულნაზ ხარაიშვილი
Gulnaz Kharaishvili

***

სევდა მზის სხივებმა მკლავზე გადიწვინა,
ზღვები მოატარა, მიწვდა ოკეანეს,
გულმა უშენობით ისევ მოიწყინა,
როგორ გელოდები, მოსვლას აგვიანებ.

ახლა ზაფხულია იქნებ ზღვაში ცურავ,
ცოლს არ უღალატებ მჯერა ცის მნათობთან,
თუმცა ზეციდანაც ვიცი მასზე ზრუნავ,
ვიცი სიზმრად მაინც ისევ მას გაათბობ.

შვილო, წლებია არის გელი უშედეგოდ,
ქართულ ადათ წესით შვილნი მრავლდებიან,
ვცდილობ დიდმა დარდმა მე არ გამომგუდოს,
ჩემი იდეები იმ მწამს მოკვდებიან.

შენ არ დაიდარდო, დედა გენაცვალოს,
მე თავს ვანაცვალებ ერის სიდიადეს,
მინდა სიყვარულში სულ მთლად დავიცალო,
ხომ ცნობ დედას შვილო, რომ არ აზვიადებს.

პურიც დავთესე და ყანა ვაჯეჯილე,
დედა გენაცვალოს სახლიც ავაშენე,
გული გამძლეობას შენთვის შევაჯიბრე,
ბედი გელას დედას როგორ შეაშინებს.

როგორ დამასუტებს ღმერთი სიკეთისთვის,
ღვთის მადლს ღვთის მოშიში როგორ გადუდგება,
იქნებ მოესმინათ გულის სიმებისთვის,
თუმცა მე რას ვფიქრობ სხვას რა გაეგება!

* * *

Sun tried to calm sadness in her arms,
She took it overseas, and an ocean they reached.
My heart bored again, couldn't find peace,
Now I am waiting for you, but you are too late.

Now it's summer, maybe you swim in the sea,
You don't betray your wife with stars, I believe.
Though even from heaven, you care for her,
And you'll warm her even in your dreams.

My son, I wait for you, but it is all in vain,
According to the life rules, children multiply,
I try not to be defeated by deep pain,
In this case, my ideas instantly will die.

Your mother is still brave. Don't worry, my son,
I can sacrifice myself for the greatness of my land.
I want to empty myself utterly in love,
I can keep my promise, you know your mum.

I sowed bread and harvested the field,
I built a house to my children's benefit,
I've put my heart to the test for you
How can fate scare Gela's mother?

How will God make me weak for good things,
How can God-fearing stop the God's grace?
Maybe some could listen to my heartstrings,
But how do others know what my mind thinks?

ანარეკლი
(მზია კვირიკაშვილს)

შენი ღიმილის ლაბირინთებში,
ვარდის ანარეკლს ბინა დაუდევს,
მზია, მზის ცეცხლის ალით ინთები,
ასი წლის მერეც რომ არ დადუმდე.
    უნდა იღვაწო სამარადისოდ,
    ერს მოევლენე სულის კელეპტრად,
    სურნელი აგდის ლამაზ ვარდისო,
    ამაზე მეტი გულს რა ენატრა.
ჩემთვის კი არა ერის წყლული ხარ,
გზებს აფერადებ ძვირფასო ნიჭით,
გამოვიცანი… მზის ნათლული ხარ
და შეფასებაც იმიტომ მიჭირს!

ბედით ორეული

ვიპოვნე ბედით ორეული,
ღიმილს რომ ახლავს დარდი,
სიტყვა სულ ცრემლებმორეული,
ცოცხალმკვდარი რომ დადის.
სხვას შველის თუკი ჭირდებათ,
გვერდში დგომით და საქმით…
ეხმარება და პირდება,
რა შეეშლება ექიმს.
მისი ცრემლები ჩემსას ჰგავს,
თვალს შიგნით რომ სულ წვეთავს,
ეპოტინება მწვანე ხავსს,
რა ქნას შვილმკვდარმა დედამ.
იღიმის სხვათა საამოდ,
გულს კი ბედთან აქვს ომი,
ელის შვილს ყოველ საღამოს,
ვაი, რომ ის არ მოდის.
შეხვედრაც ასე დასრულდა,
სხვა მოვიკითხეთ კრძალვით,
სიცილი არც ერთს არ გვსურდა,
კვლავ ვიღიმოდით ძალით!

გაურკვეველი ფერები

იმედის მარცვლებს ვთესავ და ვთესავ,
ცოტა ხომ მაინც აღმოცენდება,
ისევ მომიწევს კამათი მზესთან,
უბრძოლველად რომ ღრუბლებს ნებდება.
    გაურკვეველი ფერები მაკრთობს,
    გადაგვარებულს ვხედავ სამყაროს,
    ვწუხ რომ მომავალს ღრუბლები ართობთ,
    მარტოს მომიწევს სადღაც გავყარო.
ჭიაკოკონა უნდა დავანთო,
ცეცხლში გამოვწა უიმედობა,
ვითამადო და ეს დრო დავათრო,
სანამ ჩემს სიტყვას ხალხი ენდობა!

REFLECTION
(To Mzia Lawrence)

In the labyrinths of your sad smile
The rose reflection finds its haven,
Mzia, you shine as sun radiance,
Let shine even after a hundred years.
    Must live forever, work for the public good,
    You are for the nation as a candle of soul,
    You have the fragrance of a beautiful rose.
    What can adorn you more than such words?
You are the nation's sore, not only mine,
You colour roads with your precious gift,
I guessed you are the Godchild of the Sun,
And that's why it's difficult for me to evaluate.

DOUBLE BY FATE

I found a double of my fate,
With a smile accompanied by pain,
With words endlessly full of tears,
Heart destroyed a walking dead.
A carer of others if it is needed,
By standing by and doing good things.
helping others and caressing them,
What a mistake a doctor can make!
Her tears are exactly like mine,
Constantly dropping into eye depths,
She wants to rely only on green moss,
What can a son-lost mother do more?
She smiles for others to please,
Her heart constantly fights with fate,
She waits every day at the door-gates,
Alas, the son is not coming yet.
So, the mother's meeting ended like this:
We talked about other mums' life,
None of us wanted heartily to laugh,
We stood there with painful smiles!

UNCERTAIN COLOURS

I keep sowing the seeds of hope,
I expect germination of it at least a bit,
I'll have to argue with the sun again
She surrenders to the clouds without a fight.
    Unclear colours quivers me so much,
    I see the world turned degenerated,
    I'm sorry that clouds rule the future,
    I will have to go and disperse them.
I have to light a bonfire, flame,
All my hopelessness to cast there off.
I must act as chairman of a feast
As long as people trust my word!

თუ დამჭირდება
(მზია კვირიკაშვილს)

აკადემიის სულის მესაჭევ,
ამომზიანდი დილის მზესავით,
შენთვის ცის მნათობს ასე ვევაჭრე,
არ შეგიყვაროს მთვარემ ჩვენსავით.

განა მარტოდ მე.... ყველა შეგხარის,
მათ სულში რწმენამ დაისადგურა,
ახალი მიწა მიტომ დავხანი,
ბედმა წარსული გამინადგურა.

ახლა რა მიშავს, შვილო, შენ მყავხარ,
ცივი ზამთარი აღარ დამსუსხავს,
ჩემთვის მანდ არა, აგერ აქა ხარ,
თუ დამჭირდება სისხლსაც გადმისხამ!

If I Need
(To Mzia Lawrence)

Helms-woman of the spirit of the academy,
You shine on us like the sun of dawn,
I've concurred with the luminary of the sky,
Not to let the moon love you like we do.

Not only am I the one, but everyone loves you,
Faith settled to reign in their hearts,
That's why I tilled this new ground,
Fate destroyed my well-built past.

I've got you now, and I can go on,
The winter frost won't bother me anymore,
You are too far, but I feel you near me,
If I need your blood, you'll give it to me.

მზია კვირიკაშვილი ლოურენსი
Mzia Kvirikashvili Lawrence

LEAD ME TO THE END.
(ლექსი დაწერილია ინგლისურ ენაზე).

Go on, musician, make your violin cry,
My most loyal and trustworthy friend!
Let take this life, stressful and puzzling,
Do not let me down; lead me to the end.

Play, musician, play, make me cry,
This time I won't be for you a passer-by,
Let me cry out the bitterness of life,
Empty and re-free my exhausted sigh.

Go, ahead, musician, play your violin,
Let me next to you stay overnight,
Try with magic rhythms ennoble the shade,
Following me from the early twilight.

Play, play, musician, speed up your tunes,
Do not let a death angel prevent my way,
Invade his world, rule with your music,
I do not want to leave this universe yet.

გამიძეხ ბოლომდე!

(ლექსი ქართულად თარგმნილია ქალბატონ მეგი მოლოდინის მიერ, რისთვისაც უსაზღვროდ დიდ მადლობას ვუხდი მას!)

მიდი, მაესტროვ, ვიოლინოს აკვნესე სიმი,
უერთგულესო მეგობარო, ნაცადო მცველო,
გთხოვ, მიმეგზურო თანაგრძნობის ნათელი სხივით,
ნუ მიღალატებ, გავიტანოთ ბოლომდე ლელო.

ისე დაუკარ, ამატირო ცრემლებით ვინძლო,
ამჟამად შენთვის არ ვიქნები მე მხოლოდ მგზავრი,
ჩემს კრულ ცხოვრებას მივსტირი და მწუხარედ ვიგლოვ,
თუმც შენგან შვებას ველოდები, განმიგდე ჯავრი.

მაშ, დაუკარი ამაღამაც, ათრთოლე ჰანგი,
მომეცი ნება, გვერდით გედგე მაგიურ მაშველს,
მდევარი ლანდი გააბრუე რიტმების ბანგით,
სიკვდილის აჩრდილს მიუზღავი, სიმშვიდის წამშლელს.

მიდი, მაესტროვ, დიდებულო მევიოლინევ,
არ დაანებო ჩემი თავი მუხანათ არესს,
დაიმორჩილე ეს სამყარო მისნური შანთით,
მე შენთან ვრჩები, არა ვგავარ არსაით წამსვლელს!

***

ჩემი სახლიც ხარ, ჩემი გულიც ხარ…
შენ რომ დაეძებ, მე ის ქალი ვარ…
უცხო ცრემლები აკვნესდა ჩემში,
ჩამამალვინე თავი შენს მკერდში.

ის რაინდი ხარ, მე რომ ველოდი,
როგორ მინდოდა, დაგბედებოდი,
შემოგისახლე, ვერსად გაგიშვებ,
შენი დათმობით ჭირს ვერ გავიჩენ.

შენს სუნთქვასაც ვგრძნობ, კანსაც ვეხები,
ვერავინ შეძლო… შენ ეს შეძელი.
გულის კარები ღიაა ფართოდ,
მხოლოდ შენია, შემოდი მარტო.

ჩემი ედემიც ხარ და სამოთხეც,
ოთხი ნაწილის შენ ხარ მეოთხე…
იქნება მომწვდე …სრულმყე, მაცოცხლე,
მკვდარი სურვილი გამომიცოცხლე.

ცრემლები ტკბილი საბნად მახურავს,
ნისლში ოცნებამ სახე დაბურა…
მთვრალი ვარ… სხვისი ლექსებით მხოლოდ…
ჩემი სად არის, ბოლოს და ბოლოს?

ხ ი დ ი

ხიდი, რომელზეც მე და შენ შევხვდით,
იდო უფსკრულზე უმოაჯიროდ…
იყო უძირო და უნაპირო,
წყალი, რომელზეც ეს ხიდი იდო.

შენმა გამჭოლმა ჩემზე ნამზერმა
შემაბარბაცა ჩემდა საჭიროდ…
უფსკრულისათვის ვერ გამიმეტე,
მეტი ფიქრისთვის დრო აღარ იყო:

ხელი წარმტაცე და… ამიტაცე.
გადამატარე ცხრა ზღვა და ცხრა მთა…
მაგრამ მეცხრე ცას ვერ მიმაწვდინე.
მაოცნებე და, ჩამომანარცხე.

მე გელოდები ისევ იმ ხიდთან…
დაგელოდები იმ ხიდზე ისევ…
დროს აღარ ვითვლი ამიერიდან,
არც მანძილს ვზომავ…არც ფიქრებს მივსდევ.

***

You are my heart; you are my home,
I am the woman you are looking for,
Love troubles me, strange and unknown.
Let me find peace in your warm bosom.

You are the man I've waited for long,
How I wanted to be the fate of yours.
You are in my heart; I won't let you go.
I can't give you up; I've tried though.

I feel your breath, the smell of your skin.
You are the one who could subdue me.
It is opened for you the heart of mine.
It is only for you; visit it, just, please.

You are my Eden, my paradise,
The only hope of this soul of mine.
Try to reach for me, fulfil me, alive.
Return my desire; Extend my life.

Sweet tears cover me like a fur blanket.
All dreams of mine dimmed in foggy mist.
I am drunk with lyrics written for others.
Where is mine? Grant me one, please.

THE BRIDGE

The bridge where you and I met,
Laid over the abyss, had no handrails,
It was bottomless and without borders,
The valley over which my dream bridge lay.

Your staring, with a compelling gaze,
You made me falter, fearful of my fate.
You couldn’t doom me to the precipice.
There wasn’t much time or decisions to make.

You grabbed my hand; you whirled me away.
You flew with me over nine mountains and seas.
But you could not make me reach the ninth sky.
Dazzled and dashed me down with my sweet dreams.

I am still standing at the same bridge,
And I am ready to wait forever.
I neither count time any more,
And won't measure the distance from now on.

SINS AND TRUE SCENES OF WAR
(ლექსი დაიწერა ინგლისურ ენაზე)

Scene 1:
Georgian father and Abkhazian mother:
Between them lies their wounded son.
Two kneeling bodies – fear, despair:
Will he survive? – A hand is held by hand.

Scene 2:
An old woman, exhausted and worn,
Walks around the house confused and lost.
With faded hope, with pouring tears,
begging the Lord: "Please end me here…
It is my home; it is my land.
It is my Georgia, my only beloved.
Where can I go? Who will heal my soul?
End this bloodshed; return me, my hope!"

Scene 3:
A mother by the road tries to bury sons -
Chasing hungry pigs – mad and desperate.
Soil is rough, stony, and Mother is alone…
Woman hides bodies under heavy stones.

Scene 4:
There is my mother, beaten to death.
Who knows for what? Does war have a sense?
War needs no reasons to destroy your mind.
A drop of blood enough to turn you blind.

Scene 5:
A young man there tries to rape a girl.
She is his hostage, feeble and weak.
She cries and begs: "Have mercy on me!"
In the end, at last, she is saved from him.
But then, then nature works its weird way.
A girl all her life is searching for his breath!
Where disappeared the victim of the war?
Who erected hatred's hard-defeating wall?

Conclusion
A man to this world arrives for love,
But instead of love, he chooses blood.
Where is a solution? The secret is locked!
To whom you entrust it? Answer me, my Lord!

ირაკლი ნადარეიშვილი
Irakli Nadareishvili

ჩემი სამარის ალაგი

ამ აღმართს იქით ბორცვი და ჩემი სიმშვიდის ყურეა,
ჩემი სამარის ალაგი ლოდინით გადმომყურეა.
ყოველ ასვლაზე ვუღიმი, ღიმილით მხვდება ალაგიც,
ვეიმედებით ერთმანეთს, გულში არ გვიდევს ღალატი...

გახსნილი მკერდით დამხვდება შიგ ჩავეკვრები, ზვარაკი,
როგორც კი გამითავდება ჩემი სიცოცხლის მარაგი.
როცა ბოლოჯერ განგება ამ აღმართს ამომატარებს
და სახლიკაცი ჭიქაში ჩამატევს, ჩამომატარებს...

მხოლოდ მე და შენ დავრჩებით იმ ღამით, ჩემო ალაგო,
და მკერდზე შავი ნაწნავი შენ უნდა ჩამომალაგო...
შენ უნდა მექცე ქვეშაგად, ჩემი ცოდვების სამარხო,
სახელის გარდა სხვა ჩემი ჩემთან ერთადვე დამარხო.

მაგრამ სანამდე სიცოცხლის ზენამ მარგუნა მარაგი,
ღიმილით ვხვდებით ერთმანეთს მე და ის ჩემი ალაგი.

10.11.2023.

THE PLACE OF MY ETERNAL PEACE.

There's the hill, beyond this ascent, the haven bay of my peace,
It waits for me with the expectation of the eternal resting place,
Whenever I go up, the hillock grants me with its warm smile,
We provide hope to each other and feed each other with beliefs.

As soon as my life supply is exhausted, and it finally ends,
My grave will meet me as a sacrificial lamb, with its open chest,
When my creator, for the last time, will take me up this ascent
My houseman places me in a glass and will offer it to Men.

Only you and I, two of us, will stay that night, my haven,
Devoted to me, on my heart, you have to spread your black braid,
You have to be my only bedding, the burial place of my sins,
Bury with my corpse anything, but leave on Exception my name.

But till the saviour gives me the supplies enough for life,
I and my eternal place, we meet each other with a smile.

10.11.2023.

რამდენი დამრჩა?

კარგა ხანია გადასცდა თორმეტს,
აკვიატებულ ფიქრს ვეღარ ვმალავ,
ვისველებ ტუჩებს წითელი ღვინით
და საკუთარ თავს ძილის დროს ვპარავ.

და მაინც, ნეტავ, რამდენი დამრჩა?!
ერთი თვე?! წელი?! ან, იქნებ ხვალე...
იმ დროში, რაც მე აქამდე მერგო,
ჩემი თავისთვის ვერ მოვიცალე...

თვალს ვავლებ წარსულს, ფოტოკადრებად
ზღუდედ აღმართულ დროის ტიხარებს,
თითო-ოროლა სახელი შემრჩა,
ღიმილს რომ მგვრის და კვლავ გულს მიჩქარებს.

თითქოს, გუშინდელ დღესავით მახსოვს
გზა, გამოვლილი სკოლის მერხიდან,
ყველა ის, ვინც და რაც დღემდე გზაზე
გადამიდგა და გადამეხიდა...

ყველა ტკივილი, ყველა სიმწარე
და სიხარულის ეიფორია,
თურმე, რა ცოტა დღეები მქონდა,
ჩემი თავისთვის რაც მიცხოვრია...

და მერე, ისევ, მომავლის გეგმებს
კვლავ ინსტინქტურად ვაწყობ და ვძერწავ
და ამ ღამესაც, სხვა ღამის მსგავსად,
დარდის კალოზე ვტეხავ და ვლეწავ.

კარგა ხანია გადასცდა თორმეტს,
კიდევ ერთი დღე ზურგს უკან დარჩა
კითხვა კი ისევ არ უშვებს მომენტს:
და მაინც, ნეტავ, რამდენი დამრჩა?!

02.10.2023.

HOW MUCH DO I HAVE LEFT

Time passed away. It's late midnight,
The obsessive thought I can no longer hide,
I wet my lips with scarlet red wine,
And I steal from me my sleeping time.

And yet, how much do I have left?!
One year? A month?! Or perhaps one day?
In the time I've had so far, until today,
I have never had time for myself.

I look at the past as photo scenes,
Erected as walls, the time barrier,
I have left for me one or two names,
Warming my smile and hastening my heartbeat.

I remember it like it was yesterday,
The way I have walked since my school desk,
All the reasons that have prevented my ways,
Barring and bridging, or turning away.

All the pain and all the bitterness
And euphoria of joy, and merriment,
Turns out, how few days I had
What I have lived for only myself.

And then, again, my plans for the future,
I still instinctively organize and sculpt,
And this night, too, like any other night,
I break into pieces at the pain field.

It's pretty long go after twelve,
Another day farewelled the present,
And the main question again remains:
And yet, how much time do I have left?!

02.10.2023.

სოსო მამალაძე (ალავიძე)
Soso Mamaladze (Alavidze)

* * *

წმინდა მთის თავზე მზე ჩაესვენა,
აღარ ჩანს, მაგრამ დატოვა კვალი,
საღამოს ბინდმა შემოუბერა,
იქნებ გაიხსნას გონების თვალი.

სინაგოგა და მეჩეთი ერთად,
შუაში დგას ციხე ნარიყალასი,
იქვე წყლის პირას ჩვენი სიონი,
აზრი ერთი და რწმენა ათასი.

ამხედრებულა ცხენს გორგასალი,
ხმალით და თასით დედა ქართლისა,
გავყურებ მე ამ იდუმალებას,
მართლაც მძიმეა ხვედრი კაცისა!

***

Beyond Mtatsminda, the sun has gone to rest,
It is no longer visible, but it left its trace,
In the evening, a breeze blew around,
Maybe it opens now – the eye of mind.

Synagogue and mosque side by side,
Narikala Castle stands in the middle,
There, by the river, is the Zion temple:
One sense and one thousand beliefs.

Gorgasali mounted his beloved horse,
There's Kartli's mother with a sword and a cup,
I look at this miraculous mystery and
It is so hard, the destiny of Man.

***

წყალი, მიწა, ცეცხლი და ჰაერი,
ხე, ლითონი, ეთერი და ალი,
უცნაური ურთიერთკავშირი
მათში ერთი დასაბამი არი!

გველის სიბრძნე, შველის სიმშვენიერე,
ნაკადულის იდუმალი ხმანი,
უფრო ვრცელი ზეცა გამჭვირვალე,
ცხვრების ფარას ერეკება ქარი.

სიხარული, სევდა, აღმაფრენა,
განცდების და შეგრძნებების ზღვანი,
თუ ვერ ხედავ ამ მშვენიერებას,
ვერ გიშველის ნოეს კიდობანი!

***

Water and Earth, Fire and Air,
Wood and Metal, Ether and Flame,
A strange, a queer relationship
They all have one origin beginning.

The beauty of roe, the wisdom of the serpent,
The mysterious sound-dispersing stream,
The transparent sky, immense and clear,
And the flock of sheep, blown by the wind.

Joy-merriment, sadness and inspiration,
The oceans of feelings and sensations,
If you can't feel the beauty of your ground,
The ark of Noah cannot save you!

ბიორიტმები

მოსიყვარულე სხივები ფოთლებს
სხვა სიყვარულით ეტყვიან სალამს!
სიო საამოდ სულს ააშფოთებს
და ტრფიალების გაშლიან კარავს!

ამწვანდებიან, განაზდებიან,
პატარძალივით დახრიან თვალებს,
სხივები სულში ჩაეკვრებიან,
სიო სარეცელს დაუთმობს ალერსს!

ნაფერები და ნაალერსები
სიმორცხვისაგან გაწითლდებიან,
მზისა სხივებთან შეყვარებულნი
ღამით მთვარესთან ერთად წვებიან!

ღამის ფოთლების ჩუმი ჩურჩული
ააციმციმებს ვარსკვლავნი სმენას,
სიზმარს იხილავს ხეზე ბულბული
და ალიონზე დაიწყებს სტვენას!

მზისა სხივები დაიღლებიან,
ხისა ფოთლები გაყვითლდებიან,
ფერით მზის სხივებს ემსგავსებიან
და მთვარის შუქთან ვეღარ წვებიან!

შემოუბერავს ქარი უხეში,
ფოთოლს შეაკრთობს,
გააფერმკრთალებს,
შარახვეტია სხეულს უსერავს,
ფოთოლი ვეღარ გაახელს თვალებს!

ისევ მოვლიან მზისა სხივები,
მოუალერსებს მომაკვდავ ფოთოლს,
განაწამები და ნატირები
სხივთა ხელებში სულს დალევს ობოლს!

გარინდებულა, ხე გლოვობს მარტო,
მზე სასოებით გაუთბობს ფესვებს.
თოვლის ფიფქები დიდი და ფართო
ხეზე ფოთლების ადგილებს ეძებს!

შავი სხეულის შავი ფიქრები,
პატარძალივით გამოწყობილი,
შემოადნებათ სხივებს ფიფქები,
კარს მოგვადგება კვლავ გაზაფხული!

BIORHYTHMS

Affectionate rays give their greetings,
To the leaves with a delicate love feeling,
A breeze pleasantly emotes spirits,
And they will spread a tent of yearning!

They become green, they turn refined,
They lower their eyes like a bride,
The rays penetrate the soul and
A breeze gives her a bed for a game of love.

Possessed by passion and being well-caressed,
They blush from shyness in their cheeks,
And have been in love with the sun's rays,
They rest and sleep with the moon at night!

The silent whisper of night leaves,
Stars hear, and they greet them by blinking,
A nightingale will see a dream on a tree,
And at early dawn, she will start whistling!

But soon the sun rays become warned,
And the leaves of the tree turn yellow,
They resemble the sun rays in their colour,
And they can't sleep under
the light of the moon.

Blows around, rough and vagrant wind,
And it shakes the leaf, makes it pallid,
The wandering wind cuts it piece by piece,
The leaf can no longer open its eyes!

The sun's rays will appear again,
And they will caress dying leaves,
And the orphaned leaf tortured and tearing,
Will leave its souls in the hands of rays!

It's silent, and the tree mourns alone,
The sun warms its roots with great caring,
And big and wide flakes of snow
Look for places of the leaves on the tree!

Black thoughts disturbing a black tree,
Dressed now all in white as a bride.
Sun rays will melt flakes little by little,
And spring will be upon us again!

***
გაზაფხულს მოსდევს ზაფხული
შემოდგომას კი ზამთარი,
და მეორდება უსაზღვროდ
როგორც ნამდვილი ზღაპარი.

ყოველთვის ასე იყო და,
ყოველთვის ასე იქნება,
ჰარმონიაა ნამდვილი,
მიხვდები, გაგიკვირდება.

ამ დროებათა ტრიალში,
ჩაბმულან მცენარეები,
ცხოველები და ფრინველნი,
და კაცის გამრჯე ხელები.

მოდის და მიდის სიცოცხლე,
ჩვენ ვერაფერში ვერევით,
ყველაფერს დავთმობთ ამქვეყნად,
სიცოცხლეს ვერ შეველევით.

გაზაფხულს მოსდევს ზაფხული,
შემოდგომას კი ზამთარი,
ნეტავი გამაგებინა,
მათი საწყისი სად არის?

***
Summer follows spring,
And winter changes autumn,
Its repeating is unvarying,
Like an accurate fairy tale.

It's always been like that and
It will always be the same,
It obeys some harmony
If you guess, you'll be surprised.

In times moving to and fro,
Participates in all kinds of plant,
Wingy birds and all animals,
And the hands of Man and diligence.

Life comes and goes in its way,
We can't interfere with its rules,
We give up everything in this world,
But we can't give up ourselves.

Summer follows spring,
And winter changes autumn,
I wonder what way they work,
Where is the beginning of origin?

***
ალიონს ელოდება ვარსკვლავი ცისკრის
ირგვლივ სიმშვიდეა, დრო აღარ იძვრის,
ეყრება ღამე დღეს, მთვარე შეჰხარის მზეს!
რა სიყვარულმა გშვეს? რა უკვდავება ძევს.

***
Wenus waits for dawn, Venus, the morning star,
There's peace around as if it does not move time,
The night parts from a day; the Moon rejoices with the Sun!
What love created you? What immortality do you hide?

***
მომეხვიენ ფიქრები,
გადავშალე წიგნები,
ვფრთხილობ, რომ არ დაგაფრთხო,
გულში მუდამ იქნები.

მომეჩვენე, მეზმანე,
აღარ შეგიშინდები,
თავანკარა წყარო ხარ,
კლდეში გამოდინდები.

***
Thoughts surrounded,
I leafed through the books,
I don't want to scare you,
You are in my soul.

Appear in visions,
I won't fear any more,
You are the pure source,
You flow from the rock.

* * *
კლდეო ქვიანო, სვიანო,
გულნაღვლიანო,
ცრემლნი გდიანო,
ვის სტირიანო?

* * *
Rock, staunch, steadfast,
Heartbroken, grieving,
Why are you in tears?
Whose funeral is it?

მანანა სამყურაშვილი
Manana Samkurashvili

მასთან ცის მზე მკრთალია...

ნუ გამიშლი ცაო, ნისლის კაბას,
დამაცადე,მზესთან ერთად ჩავალ,
ცრემლიანი თვალით არ მატარო,
მოციქულად? გსურს უფალთან ავალ!

ამერევა ნისლში ცაო გზები,
კიბედა მაქვს ხედავ? ირმის რქები,
ეს ყოფილა რთული, მაგრამ
უმოკლესი გზები.

გულს რა ვუყო უკურნებელს,
სიყვარულით მთვრალია,
ჩემი გულის მზე კაშკაშებს,
მასთან ცის მზე მკრთალია.

მზეო! რა ვქნა, უშენობამ
სადარდებელს შემყარა,
ფიქრი ზღვაში მაცურავებს,
ნიჩაბები გამტყდარა.

გეზი ნაპირისკენა მაქვს,
ციდან მზე რად გამქრალა!
მთვარის მკრთალი სხივებიც კი
ზღვის ფსკერამდე ჩამწყდარა,
რა უგულო რამ ყოფილა
მზე ჩემთან რად გამწყრალა...

იქნებ ვეცადო

სადღაც დაბნელდა, სხივი ჩამოწვა,
დარდის ღრუბელი მზემ ვერ ამოწვა.
 გულმა დარდები ექოდ გამოსცა,
ეს იყო ალბათ უფლის გამოცდა.

ვფიცავ, ყოველი ნაღდი, მართალი სიტყვა ამომხდა,
ვთქვი,მერე, რატომ მემდური, რა მოხდა?
გავინაპირე, მეც განზე გავდექ,
მზესა და მთვარის შუაში ჩავდექ.

მთვარე დადუმდა, მზეს გაებუტა,
ღრუბლის საბანი გადაიფარა, მას ჩაეხუტა.
სხივნარევ გულში ცეცხლი აინთო,
იქნებ ვეცადო ხელი გავითბო.

რომ შემდგომისთვის კალმის წვეროთი სხივი გავფინო.
ჩემდა გარშემო სულ სატრფიალო სიტყვა გავფინო.
თავისუფლებას მოწყურებულმა მშვიდობის მტრედი ვაფრინო.
ო როგორ მინდა ყველგან მოდარდე გულები ვალხინო.

THE SUN IN THE SKY IS DIM.

Sky, don't spread my misty dress, yet,
let me go down with the sun, at sunset!
Please, don't make me, eye teary walk,
But as an apostle? I'll ascend to the Lord!

The fog will confuse my roads, sky,
Do you see? I use antlers as stairs,
It has been too difficult and unsafe,
But it is the shortest way to get my aim.

What can I do with my incurable heart?
It is in flame and drunk with love.
The sun of my heart is shining, and
It is much fiercer than the sky sun.

What can I do, the sun of my heart?
It worries me that you are too far.
Thoughts make me swim in the vast sea,
Paddles are broken and can't reach the aim.

I am setting a course for the shore,
I wonder, why is the sun of the sky gone?
And even the faint rays of the moon
Cannot reach the bottom of the sea.
How heartless the sun appeared,
And how could she sacrifice me?

I MAY TRY.

Somewhere, it got dark, and a ray lay down,
The sun could not scorch out the sorrow cloud.
The heart emitted sadness as an echo,
It may be a test of the Lord.

I swear every single word burst out from my chest,
I said, what happened then? Why are you upset?
I moved aside and made a few steps;
Between the sun and moon, I put myself.

The moon fell silent, offended by the sun,
He covered himself with a cloud blanket and hugged.
A fire was lit in the beam mixed heart,
And now I can try to warm my hands.

To spread the beam with a pen tip for the next time,
To spread constantly a word of love all around me.
Long for freedom, to let me the dove of peace fly,
Oh, how I want to give joy to sorrowful hearts.

თენგო ფანცულაია
Tengo Panculaia

სიკვდილით შეწუხებული სიკვდილი

რატომ გინდებათ ერთურთს ესროლოთ
მკვლელი სიტყვები, ქვა და ტალახი?
სამოთხისაკენ მიმავალ გზაზე,
გასათიბია უკვე ბალახი...

შემოგვითვალა თურმე სიკვდილმა:
მარტო მე რად ვარ ბოროტი მკვლელი,
რად ვეღარ ხედავთ ირგვლივ არ დარჩა,
მამულის, ენის და რწმენის მცველი!..

რად დაივიწყეთ ადამის მოდგმამ,
ქვრივი, ობოლი და გვერდში მდგომი?
თქვენი ბინძური ზრახვებისათვის,
რად გააჩაღეთ ამდენი ომი...

რად გაგიცივდათ ადამიანებს,
ადრე თბილი და კეთილი გული?
რატომ არჩიეთ მოძმის ფერებას,
თქვენი სიხარბე, ვერცხლი და ფული?

თავად თქვენა ხართ სიკეთის ნაცვლად,
სიკვდილის თესვით დაკავებული!
რატომ არ გინდათ გადაარჩინოთ,
მოშიმშილე და გაჭირვებული?

PS:
მჭედელს შესტირა, თურმე საწყალმა,
ყოფილა ძალზე შეწუხებული:
თავად თქვენა ხართ სისხლს და მკვლელობას,
სხვების დაღუპვას მოწყურებული...

მე, გაცილება, არა ვინმეს კვლა,
მქონდა უფლისგან დავალებული!
სამოთხის კართან რომ მიმეყვანა,
უფლისა ნებით მიცვალებული...

თავსაბურავი ჩამოვიფარე,
არ დამინახოთ ატირებული...
თეთრი სამოსი შავით შევცვალე,
სისხლი არ ნახოთ იქ მიცხებული...

აღარ ყოფილა მარტო სიკვდილი,
ადამიანის მტერი და მკვლელი,
თურმე სამოთხის გზის გასათიბად,
სჭირდება ჩვენთვის ცნობილი ცელი!

DEATH TROUBLED BY DEATH.

Why do you want each other to damage
With killing words and stones and mud?
It's already time on the way to heaven
To clean your road, to prepare your way.

It is the message sent to us by death:
- Why do you call me an evil killer?
Why can't you see it? There's none left,
To guard estate, language and faith!..

Why did the people of Adam forget
A widow, an orphan, or your bystander?
For your dirty aims and evil intentions,
Why have you curried so many wars?

What made your heart cold to people?
Why was your warmth and kindness changed?
Why did you choose more on your brother
Silver and wealth, immense greediness?

You are yourself, busy around
Instead of goodness, sowing of death.
To hungry and needy, and a street beggar
Why don't you want to give your help?

PS:
Offended and disquieted over blaming,
He said with tears to a blacksmith:
You are yourself thirsty for blood,
But you love to put your sins on others.

Not killing anyone, but seeing off,
I have been assigned by the Lord!
To lead the deceased to heaven's gate,
And introduce souls by the Lord's will.

I covered my head with a handkerchief,
I don't want anyone to see me at this stage.
I changed my white clothes into black
Not to be seen with the blood smeared.

Death seems to be no longer alone
the only enemy and murderer of man,
It turns out to clean the heaven's way
He requires the famous sharpened scythe!

გიორგი ჯავახიშვილი
Giorgi Javakhishvili

***

გამწყრალა ღმერთი ჩვენზედა,
ცხოვრების წესით ვაშავებთ!
ხელს კი გავიშვერთ სხვებზედა
ხატში დავდივართ ლოცვისთვის,
მთების ბილიკზე, წვერზედა.
თუ არა გჯერათ, შეგვხედეთ,
ჯვრებიც გვკიდია ყელზედა.
ერთხელ ხარიც კი დავკალით,
ბევრი ვილოცეთ ბევრზედა,
სანთლები ვანთეთ ქადებზე,
ყანწიც შევიბით ხელზედა.
ღვთის სადიდებლად ისე ვსვით,
ღვინოც დაგვადგა ყელზედა.
ბევრი ვუამბეთ, ვუთხარით,
იმედს ვაყუდებთ შენზედა.
იქნებ წყალობა მოიღოთ,
მწარედ დატანჯულ გლეხზედა.
გამწყრალა ღმერთი ჩვენზედა,
ცხოვრების წესით ვაშავებთ!
ხელს კი გავიშვერთ სხვებზედა.
ხშირად ენა გვაქვს ისეთი,
შხამით მეტნი ვართ გველზედა.
მიწა გვჭამს, მიწას ვერა ვთმობთ,
ძღვნად რომ მიგვერთვა ღმერთზედა.
გვაქვს ცოდვა-ბრალი კისერზე,
ვეღარც კი ვიტევთ მხრებზედა.
ამდენი მლიქვნელობისგან,
გული მიფეთქავს მკერდზედა.
კარგი იქნება დავფიქრდეთ,
რითი ვართ მეტნი სხვებზედა.
მოდი, დღეიდან ვიზრუნოთ,
ჩემზე, შენზე და ერზედა!

***

God is displeased and incensed on us,
We curry wrongly with our life way!
But our finger we point at others,
And we go to the temple, to an icon to pray.
When we walk up to the mountain top,
We wear crosses around our necks.
look at us, if you don't believe us,
We sacrificed even a bull once.
We prayed a lot, pouring of tears,
And we lit candles on divine bread,
We tied horns with wine to our wrists,
And the glory of God, we blessed this way.
Despite the wine almost choking us
We spoke a lot to God, begging him much,
As we are counting on him just,
We hope he'll have mercy over us.
Our kind God is upset with us,
On the poor, bitterly suffering peasants,
We are sinning with our way of life!
But we point our hands towards others.
We often have too bitter speech,
Our venom is much more than that of snakes.
The land eats us, but we cannot give up it,
To grant it to God, to sacrifice it to him.
We have sin-guilt on our conscience,
We can't even hold it with our shoulders.
From so much flattery and play,
My heart moved almost from my chest.
It would be good if we thought it better
What makes us feel more than others?
let's take care from today over us,
About me, you, our nation and land.

გოჩა ჭაბუკაიძე
Gocha Chabukaidze

ქ ა ლ ი
(ჩემს ნაცნობ, ნათესავს და
მეგობარ ყველა მანდილოსანს)

მე ვადიდებ შენს განგებას
მხიბლავს სიბრძნე მრავალძალი
ყოვლადწმიდაო სამება
რომელმანცა შეჰქმენ ქალი

სუსტი,მაგრამ თან ძლიერი
მრავალ ტკივილის წამალი
თანამგრძნობი,სახიერი
შეჰქმენ ღმერთო ქვეყნად ქალი

სულით,ხორცით მშვენიერსა
ცრემლითა აქვს სავსე თვალი
გამგებს და გულისხმიერსა
ძალუძს გამოცლა სამსალის

რომელიცა დაენიშნა
განგებითა მაღალ ძალის
სიმტკიცე აქვს საოცარი
შეუპოვარ კლდისა სალის

რამდენს უძლებს მისი გული
დამტევნელი ცეცხლის ალის
ძალუძს დიდი სიყვარული
ასეთი ჰქმენ ღმერთო ქალი

შენი სიბრძნის მეხოტბე ვარ
მომწონს შენი სამართალი
გენიოსი ღმრთაება ხარ
ნეკნისგან ვინცა ჰქმენ ქალი.

WOMAN
(To all my acquaintances,
relatives and friends)

I praise your omnipotence,
With your powerful wisdom,
Magnificent Holy Trinity,
Woman-deity's creator:

Weak, but strong at the same time.
The balm of many illness-decease,
Beautiful and compassionate,
You created my Lord, woman.

Beautiful in spirit and flesh,
Filled with tears and emotions,
Sensible and understanding,
Cures souls from evil venom.

She was awarded this gift
With the decision of High Heaven,
The strength is given amazing,
She's the rock – unyielding, undefeated.

How much can her heart take?
She is resistant to all kinds of flame,
She is capable of great love, and
It's what looks like your creation.

I'm an adorer of your wisdom,
I love your mind, sense, and law,
You are the genius deity-creator,
of a woman from the rib of a man.

ლია ალადაშვილი
Lia Aladashvili

ჩვენი სამშობლო!

ჩვენი სამშობლოს მთა-ბარი,
სამოთხის ბაღი მგონია,
სულის სიმდიდრე აქ არის,
ყველგან იების მოლია.

აქ ხორნაბუჯის ციხეც დგას,
ქვებით ნაშენი მაგარი,
რაც შემიძლია ვპატრონობ,
ჩემთვის სამოთხე აქ არის.

იდუმალებით მოსილა,
დღევანდელობა, წარსულიც,
ვლოცულობ, დღის და ღამითაც,
თვალი არ ეცეს ავსულის.

ღვთისმშობლის ლოცვა კურთხევით,
ბევრჯერ გვქონია წყალობა,
მეც, რომ ქართველად დამბადა
და ლექსით დამაწყალობა!

ARAGVI!

I look at the flow of the river,
And I think of my broken heart,
Is it worth it living even then,
If you feed yourself only with the past.

Aragvo, you can't reach my heart depth,
Because you rush with wave-roaring,
Tears turned my cheeks scarlet red,
With worries and whirling of the raging wind.

You go so fast, with rush and dash,
I'm chasing you, but I can't catch you,
You don't more like me, I see it,
A bit, and triumphs over me the avalanche.

OUR HOMELAND!

Our homeland's mountains and fields,
All are gardens of paradise, so I think,
The wealth of the soul is only here,
Here's Violets Meadows everywhere.

Here is erected Khornabuji fortress
Built with stone, and pride and grace,
I look after it as much as I can,
Heaven is here, around this castle.

It is shrouded in strange mystery,
Its past and even its present,
I pray day and night for my shrine,
To keep it off from evil-doer eyes.

With the bless-praying of Saint Mariam
We have had mercy many times,
Me too, as I was born a Georgian
She blessed me with poem writing!

არაგვი!

მდინარის დინებას გავცქერი,
ხანაც კი დაჭრილ გულს ვუყურებ,
ღირდა კი ცხოვრება მაშინაც,
როცა გულს ფიქრებით აპურებ.

არაგვო, ამ გულს ვერ ჩასწვდები,
მიდიხარ ტალღების ღრიალით,
შეწითლდა ცრემლებით ღაწვები,
დარდის და ქარის ტრიალით.

შენ ისე სწრაფად მიდიხარ,
მოგდევს და ვეღარ გეწევი,
ვხედავ, რომ აღარ გინდივარ,
დამლამავს ფიქრის მეწყერი!

გვანცა პაატაშვილი
Gvantsa Paatashvili

***

ვზივარ და ჭრიჭინებს გაუდით ფერხული,
წინ შემოდგომურა ფერებმა იფეთქეს,
ცაში ჩაკიდული საღამოს ნისლები,
ათასგვარ სანატრელს, ოცნებას მიჩენენ.

სულშეგუბებული იღამებს აგვისტო,
მიდის და ნამზეურ ნაკვალევს მიტოვებს.
ამ კარალიოკებს ჯადო აქვთ უთუოდ,
მათი სიმყუდროვე შენს სურვილს მიორებს.

მთვარე შემოუჩნდა ჩრდილებით ფანჯარას,
რამდენჯერ დამებნა მის შუქზე ფიქრები,
შეყვარებულივით დამივლი ჟრუანტელს
და ლექსის რითმებში დილამდე იღვრები.

ვზივარ და ჭრიჭინებს ბოლო არ მოუჩანს,
უღმერთოდ მტოვებენ უძინარს, უფერულს.
ზაფხულის სიზმრები წავიდნენ შორეთში,
გარეთ შემოდგომა მოსულა უშენოდ.

***

I'm sitting, and dragonflies are feasting,
Bursting autumn pours colours ahead of me,
Hanging in the sky, an evening mists
In my mind wake myriad daydreams.

August is leaving, with its silent brief,
After scorching suntan, she enters twilight.
These dates seem to have different magic,
Their cosiness doubles my love thirst.

The moon insists on the window with shadows,
How many times its beam confused my thoughts,
You go through my soul and fear-inspiring
Until the morning, you pour into poem rhymes.

Dragonflies chirping doesn't have an end,
They leave me godlessly, sleepless, colourless,
Summer dreams have gone far away, too,
Autumn is arriving, loveless, without you.

ნინო მოსაშვილი
Nino Mosashvili

აშემოდგომდა.

ბიისფერ ნისლში გაეხვია ხეზე ფოთლები,
მერე წითლად და ლიმნისფრად ფერი იცვალა,
ყვითელ ფიფქებად ჩამოთოვა ნაზად მიწამდე,
დაეცა და ჩუმი კვნესით გარდაიცვალა...
ჭირისუფლობდა სიყვარული იქვე მდუმარედ,
ჩუმი ქვითინით აყრუებდა ღამის სამყაროს,
სანთლად დაადნა გაფითრებულ ფოთლებს მომაკვდავთ,
და ჩაიხუტა სიცოცხლესთან რომ არ გაყაროს!
ჩანისლულ თვალმა სიკვდილისფრად ფერი იცვალა,
ვიღებ სამძიმარს, სანუგეშო მითხარით რამე,
აღარ ვუყვარვარ, უსირცხვილოდ სხვაში გამცვალა,
და ,,პლატონური" სიყვარული გარდამეცვალა!
აბა, დაასხით ,,წინანდალი"- ტატოს ცრემლები,
უკანასკნელად მათრობელა უნდა ვიგემო,
ეჰეი, ამიჟღერეთ შტრაუსის ვალსი,
ჩემს გარდაცვლილ სიყვარულთან უნდა ვიცეკვო.
კიდევ დამისხით ,,წინანდალი", მერიქიფენო,
იქნებ როგორმე ჩამიყუჩოს გულის იარა,
ყარაჩოღელნო, გამაგონეთ სამგლოვიარო,
ჩემი ,,შეშლილი" სიყვარული გარდაიცვალა.

AUTUMN AT GATE

The leaves on the tree wrapped in a quince mist,
Then they changed colours to orange and pink,
They fell to the ground gently like yellow snowflakes,
And then they fell on the earth with a silent sigh.
Love was performing mourning rites, silent reigned,
It was deafening the night world with a quiet cry,
Melted as a candle, over withered leaves,
And hugged them tightly so as with life not to part!
The lifeless eyes turned deathly, colourless,
I accept my condolences, please make me calm,
He shamelessly left me for someone else,
And my "platonic" love died and has disappeared.
Well, please, pour "Tsinandali"- the tears of Tato,
I have to taste it for the last time, like sherbet-bang,
Oh no! Play and sound for me a Strauss Waltz,
I have to dance with my deceased love.
Give me another "Tsinandali", hey, wine-pourer,
May it somehow calm the pain in my heart,
Karachoghelno, hey, ash-ugh-minstrels,
Say something mourning, died my mad love.

ხათუნა ელიაშვილი
Khatuna Eliashvili

***

მე ვარ გული ცისა, ხე ვარ ნაძვის ხისა,
სიყვარულის ცეცხლი დამაქვს მზის სხივისა.
მე ვარ ქრისტე ღვთისა, შობა დეკემბრისა,
გულში ვიმყოფები გზა ვარ სიცოცხლისა.

და ცისარტყელა ფერების მოცარტი
ცის კიდეს ხილული ამბორად კიდია,
ხასხასა ბალახი მადლით გავსებული
მიწის წიაღიდან ზღაპრების ხიდია!

***

I'm a Christmas tree, and the heart of the sky,
I am carrying the love fire of the ray of the sun,
I'm the Christ of God, Christmas of December,
And I am the life way, and I live in the heart.

And the rainbow, the colours of Mozart,
It hangs at the sky arch like a visible kiss,
And the emerald grass that's filled with grace,
It's a fairy tales bridge from the depths of the earth!

გულიკო კაპანაძე
Guliko Kapanadze

შეხვედრა

მე იგი შემხვდა გზაჯვარედინზე.
მოხუცებული, მუხლის კანკალით.
კაცი, რომელიც მომწონდა ერთ დროს,
აღარ ბრწყინავდა ძველებურ ალით.

მე შევაჩერე, მინდოდა ვეცნე.
სამაგიეროს სურვილი მკლავდა.
ფეხზე ძლივს იდგა. მე ახლა ვჯობდი,
შემომხედა და...იფეთქა ალმა.

ისევ ისეთი თვალები ჰქონდა.
ისევ ის მზერა და ხმა იგივე.
უმალვე მიცნო, წელში გასწორდა
თითქოს დაფერთხა წლების სიმძიმე.

მერე გაჩერდა ქუჩაში ხალხი.
აღარც მანქანის კოლონა ჰქროდა.
ჩვენ კი ვიყავით სადღაც წარსულში,
სალაპარაკო ორივეს გვქონდა.

დამშვიდობება ჰგავდა პანაშვიდს.
ვეღარ მნახავდა, ვეღარ ვნახავდი.
ჩვენს პანაშვიდზე ვუთხარით ერთურთს,
გულში ამდენხანს რასაც ვმარხავდით

MEETING

At the crossroads, I met him,
Aged already, with trembling knees.
The man I once liked very much,
No longer shone with the old flame.

I stopped him, thirsty for revenge,
Now I looked more attractive than him,
He could barely stand on his feet.
He looked at me and burst out feeling.

His eyes sparkled like in the old days,
He had the same look and voice again.
As he recognized me, he straightened up,
As if he was relieved from the weight of years.

Then people as if stopped on the street.
It was as if there was no more car traffic.
We were somewhere in the deep past.
We both had a lot to talk to each other.

Farewelling was like a requiem dirge.
He wouldn't see me, I wouldn't see him,
At our requiem, we told each other,
What we so long buried in our hearts.

ვერიკო პარწიკანაშვილი
Veriko Partsikanashvili

სამყარომ გაიგოს

ეს ლოცვა, ჩურჩულით ნათქვამი,
უფრო რომ ვედრებას წააგავს,
ვის არ შეგადარე ამ ქვეყანად,
შენ სხვა ხარ და არვინ არა გგავს.

ამ იებს, მზის გულზე გადაშლილს,
ჩურჩული ჩვენი რომ ჩაესმის,
შენ-ჩემი ყოველთვის გესმოდა,
სხვას-ჩემი, არასდროს არ ესმის.

ბოდვებით ვიწყებდით განთიადს,
ვიტანდით ცრემლებს და ტკივილებს,
ირმის ყვირილობის ჟამი დგას,
ახლა მეც, ხმამაღლა ვიყვირებ:

ჩვენი ტკივილები წარსულის,
მინდა, რომ ნისლებმა წაიღოს
და უფრო ძლიერ რომ მიყვარხარ,
მინდა, რომ სამყარომ გაიგოს!

LET THE WORLD UNDERSTAND.

It is my prayer, whispered with pain,
More like a heart-touching on-icon plea,
Who didn't I compare to you in this world?
You are different, and no one is like you.

The violets spread over the sunbeams,
Hearing of our whispering.
You have always understood me
No one else ever understands.

We were starting dawn with delusions,
We endured tears and pains.
It's time for the deer to fertilise.
Now, I will also shout out loud:

I want the pains of our past,
Fogs to take all of them far away,
I like the universe to know it,
That I love you more and more every day.



ბეჟან ხარაიშვილი
Bejan Kharaishvili

***

მომიახლოვდი, როგორც არასდროს, მომიახლოვდი!
–ვყიდი ვარძიას, – ვყიდი ხერთვისს, – ვყიდი არხოტს და – ვყიდი ხოშარას...
მე აღარ მინდა თქვენი ლიბანი, ისრაელი და მთელი კამბოჯა,
მე საკუთარი დარდი გამბოჭავს, მე საკუთარი ბოღმა მომშხამავს,
შენ კი ჯიბეზე ხელებს იფარებ, მე ამიტირდა მუხრანი... ანა...
მე რომ გავყიდო, იყიდი განა? მე რომ გავგიჟდე, მომკლავდი განა?
მე თვალებდათხრილ დიდ ფრესკებს გიცვლი,
მხარჩამოკვეთილ ამ ხერთვისს გიცვლი იმ პირველადქმნილ საოცრებაზე.

***

Come closer to me, like never before, approach me, please,
I am selling Vardzia, Arkhot, Khoshara, Khertvis...
I don't longer want your Cambodia, Lebanon, Israel,
My pain will trouble me, that is poisoned by my own grief.
You cover your pockets with your own hands... Mukhrani, Anna drowns in tears.
If I sell it, will you buy it? If I got mad, would you kill me?
I offer you the giant murals with eyes gouged out, and no eyeballs.
I exchange this shoulder-cut Khertviss for the original wonder the first ever created.

* * *

სამოცს გადასცდაო, – თქვა ერთმა დანანებით,
– რას იზამ, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, –
თქვა მეორემ და ხელები გაშალა,
ღმერთმა აცხონოს, – ჩაურთო მესამემ, –
აპა, გვიჭამია ხაშლამა!..

წადი, გაასწარი ტყისკენ,
გაასწარი ჩემო სისხლისფერო მოზვერო,
ყელში ჩაგიკლავენ სიცოცხლეს ხანჯლებით
არც შენ დაგინდობენ, ოხერო!

***

– He passed over sixty, said one with regret.
– What can we do? We are all children of death! -
said the other, spreading his arms widely.
Wishing him eternal rest! – Said the third:
It looks like we will have eaten "khashlama" beef!

– Hurry up to the forest, hide yourself!
Rush, speed up, my scarlet red bullock calf!
They will kill your life with swards in the throat.
They will destroy you without mercy.
Run, bullock, run!

რომელი ჯობნის

გამოზაფხულზე, მოგიხმობს როცა, სხვა მაისობის თეთრი ლანდები,
ლეღვივით მწიფე ნაკვთების რხევით დიდი სარკის წინ შეტრიალდები.
გარეთ კი სიო ალუბლის რტოზე ღამეულ ცვლათა ცვლილებებს არკვევს,
– რა ლამაზი ვარ – ფიქრობ სარკის წინ, – რა ლამაზი ხარ! – გიღიმის სარკე.
ოთახში უხმოდ შემოდის ლანდი და წარმოდგენით ცოცხლდება წამსვე,
რომელი ჯობნის? – გაიფიქრებ და – შენი მწიფობა იწყება ასე.
ფიქრი კი შორეთს მიჰყვება ისე, როგორც მწევარი წვიმიან ნაკვლევს,
– რა თვალები მაქვს? – იფიქრებ ისევ, – რა თვალები აქვს? – იფიქრებს სარკეც!
ვეღარ შენიშნავ რა ხდება გარეთ, სიზმრისეული სიამე გავსებს,
გადაირეკავს გული სადარდელს როგორც მთის ჩქერი ნაპრალთა ხავსებს.
ოთახში უხმოდ შემოდის იგი და ორეულთან მესამე ჩნდება,
– როგორ მიხდები! –დახედავ კაბას, – შენ კი გამიქრი! – გპასუხობს დედა!

WHICH ONE IS BETTER?

In the spring, when usually calls you the white phantoms of other May,
You will turn around in front of the big mirror with the swaying fig-ripe face.
Outside, a breeze on the cherry branch learns the changes of the night shifts.
- How beautiful I am! – You think in front of the mirror.
- How beautiful you are! – The mirror is smiling at you.

The phantom enters the room silently, and momentarily, it comes to life.
Which one is better? – You will think, and – your maturity begins like this.
And your thought follows the distance like a hunting dog on a rainy trail,
- Oh, what eyes do I have! – You will think again,
- What eyes does she have? – And the mirror to itself will think!

You can't notice what happens outside; a dreamy pleasure delights you,
The heart disperses worries like the mountain's clefts do with mosses.
A third enters the room without a word, and she appears next to the two.
– How do you fit me! –You look at your dress.
– Oh, my grown-up girl! – Your mother answers you!

ნატვრა

და როგორც ლოთი, ლუდის ჯიხურთან
ფულით ამოვსილ ძველისძველ ჯიბეს,
ისე ვინატრებ შორენა გერქვას,
ცერზე წითელი მიმინო გეჯდეს.
და ვაშენებდე გაღმა-გამოღმა,
ორივე მკლავის დასაჭრელ კედლებს,
რომ სამოთხეში, გინდ ჯოჯოხეთში
თავთან დაკლული სიკვდილი მედოს,
ანდა ვაჟაის მთაში ჩამმარხა,
ხმელი წიფლისთვის სანედლო ფესვად,
ო, როგორ მინდა შორენა გერქვას,
ცერზე წითელი მიმინო მესვას!

DAYDREAM

And like a drunkard at the alehouse,
Dreams about pockets filled with pounds,
Oh, so I want you to be called Shorena,
And a red sparrow-hawk to sit on your thumb.
And I to build from my side to beyond,
Walls where I stretch my arms for cut,
That is the heaven or even in hell
To lay defeated death at my head.
Or to be buried on the Vazha's mountain,
As a sodden root for dried beech,
Oh, how I want you to be called Shorena
And a red hawk on my thumb to sit!

მარინა თოფურია
Marina Topuria

გული მფეთქავი

გული მფეთქავი არ ფასდება... განა ველოდი?
დრომ რომ გამწუროს, მაინც მოვალ საქართველომდი...
წუთისოფელო, შენ გეგონა წლებს თუ მპარავდი?
– მაშინ ვაშენე სიყვარულის ფართო კარავი.

ღმრთის არსებობა სიყვარულის ტანჯვით ვისწავლე,
ჰო, სწორედ მაშინ, როს გავწამდი უცხო მიწაზე.
სიყვარულს ახლავს–ტანჯვა, ნატვრა, დარდი, ვარამი,
გულ– ერთგულებით სატარები ზეცის კარამდი.

გულო მფეთქავო, იოლად ფასდები, ეგ არ გეგონოს?!
უნდა დაგწურონ სისხლიდან და დაგაგემოვნონ ...
ოო საწუთროო, რაგინდ მმარხო, მიმსვა ბნელობში..
მე სიყვარული ჩამომიყვანს საქართველოში.

გულმოერთგულე, უნდო, უნდობ დროში ვკვნესოდე.
გარინდება მწადს ერთგულების მყუდრო ჩეროში,
მყეს –ძარღვთ გავაბამ ბაგირებად არ წავფორხილდე,
ასე ვიწამებ, ტკივილი რას დამიმორჩილებს.

არა, თვალმარჯვედ ვიმზირები, კი არ ვზოზინებ...
არ მომიკვეცო მამულო დროულ თუ ვერ მოგიველ.
საყრდენად ვიხმარ სიყვარულის წრიაპ საყრდენებს,
თუ დაგეღალო შენს ბილიკზე ჩამომასვენე.

მფეთქავი გულიც დაიღლება, განა ლოდია?
სად სიყვარულის კარავი ვაგე, ცალად მოვდივარ,
მეგზური კი არ დამკარგვია, სულაც არ მყავდა,
ვიდოდი მარტო და ეულად შემომაღამდა.

სად სიყვარულის ტაძრისთვის ვრანდე გულის ფიცარი,
საქართველოა ის ადგილი – დასაფიცარი.
სად სხვაგან ვცადე, სიყვარულის ვაგე ხუხულა,
გულ–სიერთგულით არც არვინ არ გადამიხურა.

ღვთის იმედად ვვალ, ჩემს–შიდ წეს–რჯული მყარად თაველობს,
ემიგრანტობით ვეზვარაკე ტკბილს საქართველოს.
არ წავფორხდები, გული მფეთქავი გამწევს ლელომდე,
ვენებს– სისხლძარღვებს ვაბაგირებ საქართველომდე.

გულო მფეთქავო, იოლად ფასდები, ეგ არ გეგონოს,
სისხლიდან უნდა დაგწურონ და დაგაგემოვნონ.

POUNDING HEART.

Love is not appreciated at all. I didn't even expect it.
If even time wring me out, I will still come to Georgia.
Have you thought you were stealing years from me?
No, my instant world, I built a broad tent of love.

I learned about the existence of God through love, suffering,
Yes, it was then when I'd been tortured in a foreign land.
Love is accompanied by missing, filth, sorrow, and grief,
It is the treasure to have been carried to heaven by heart.

Don't think you are easily judged, my beating heart,
It would be best if you were drained off and tasted your blood,
Oh, my instant world, no matter how much you keep me in the dark,
Love will bring me to Georgia, the love of my motherland.

Heart-cleaned, I sighed the unloyal, in distrustful times.
I wish to rest in the cosy atmosphere of devotion,
I will bridge my tendinous vessel's ropes to avoid a fall,
It is how I will suffer; pain can't subjugate my inner world.

No, I'm not dawdling and mumbling, I am courageous,
Don't cut off my land if I can't come on time.
I use the pillars of love as a support,
And if I am got tired, rest me off on your path.

A beating heart will also get tired. It isn't stone.
Where I've pitched the tent of love, I come alone.
I have yet to lose my guide, and I didn't have one.
I was walking alone, and it got darker in solitude.

Where for love temple, I clean my heart plank,
Georgia is the place to light a candle and prayers.
Where else haven't I tried to build an abode of love?
No one has ever accepted it with a sincere heart.

I walk hope in God. The law is firmly established in me,
I sacrificed my motherland love with my emigration years,
I won't give up. My heartbeating will lead me to the end.
I am wiring veins and blood vessels as a bridge to Georgia.

My beating heart, you don't think you are easily judged,
You should be drained through the veins and tested like that.

გივი გოგნაძე
Givi Gognadze

მე ვფიქრობ შენზე
(ეძღვნება მზიას!)

ტყის პირას ხმება ბებერი ფიჭვი,
სევდა მძიმე ფეხს გულზე მაბიჯებს…
დღეს მე უშენოდ სუნთქვაც კი მიჭირს,
შენს ბადალ ღიმილს ვინ მომანიჭებს.

შენი ღიმილი მე ისე მიპყრობს,
რომ ჩემში ჰქრიან ნატვრის ქარები…
მე ვფიქრობ შენზე,
მე შენზე ვფიქრობ
და სულ ფიქრით მაქვს სავსე თვალები.

მე არ ვატარებ ტანჯულის ნიღაბს,
არც ვარ შლეგივით ველად გაჭრილი…
მე შენი სულის სიწმინდე მიყვარს
და შენ ხარ ჩემი გულის ნაწილი…

შენი ღიმილი მე ისე მიპყრობს
რომ გულში რეკენ ნატვრის ზარები…
მე ვფიქრობ შენზე,
მე შენზე ვფიქრობ
და სულ ფიქრით მაქვს სავსე თვალები.

ტყის პირას ხმება ბებერი ფიჭვი,
სევდა მძიმე ფეხს სულზე მაბიჯებს…

დედას

მე დამესიზმრა იანვრის დილა,
მწარე ფიქრით და წუხილით მოღლილს,
შენ მიდიოდი თოვაში ფრთხილად,
მხრებით მიგქონდა სიჩუმე თოვლის.

ცა ნაღვლიანი ფანტელებს ჰყრიდა,
დღეც ნაღვლიანი მეჩვენა ყოვლად…
შენ მიდიოდი თოვში ფრთხილად და
თან მიგყვებოდა ფეხდაფეხ თოვა.

I THINK ABOUT YOU.
(To Mzia)

An old pine dies at the forest edge,
Sadness is stepping firmly on my heart.
Today, I can't hardly even breathe,
Who will grant me your kind bestowal?

Your smile causes me self-oblivion,
The winds of dream blow inside the soul,
I think about you,
I think about you
And my eyes are full of queer hope.

I don't wear a suffering man's mask,
And like crazy, neither in fields run,
It's the purity of your soul I love,
I feel now you're part of my heart.

Your smile captures me so much
That thoughts of longing ring in my heart.
I think about you,
I think about you,
And my eyes are full of sweet hopes.

A pine gets dried at the forest edge,
And on my soul, sadness has entered.

TO MOTHER

Tired of bitter thoughts and worries,
I dreamed of a January morning,
You walked in the snow with some peace,
Your steps were cautious, your face – enfeebled.

The sorrowful sky was throwing flakes,
And the whole day seemed bilious, too.
You were walking with cautious steps,
And snow followed you on your foot.



ბეგი (ბეგლარ) მამალაძე
(პოეტი და მომღერალი, მოკლეს
2015 წლის მაისში, 18 წლის ასაკში)
Begi (Beglar) Mamaladze
(Poem writer and singer,
was killed at age 18 in May 2015).

***

დილის სითბოა, ზაფხულის დილის,
ისეთი ჩუმი მე რომ არ მახსოვს,
ამ დილით უკვე ეშმაკი ტირის,
ძალაც აღარ აქვს მას რომ დალახვროს.
ისეთი მშვიდი დილაა, ვგონებ,
ჯოჯოხეთშიაც გათენებულა,
დილის სითბოში ამბორებს ვტოვებ,
სანამ ქალაქი აფეთქებულა.
იმ სიყვარულით გავალ კლასიდან,
რომ გიტოვებდი წერილს დაფაზე,
ვერ მოვაცილე შენი სურნელი
ყვავილებს ჩემი ფანჯრის რაფაზე.
ბოლო ნაპასი ბოლო ღერიდან
მისი ბოლით რომ თმები აგევსო,
დავწერე ლექსი არაფერიდან
და საგიჟეთში გამაქანესო.
კიდევ ერთი დღე უქმად იწყება,
ვცდილობდი მუდამ მე შენთვის ახსნას,
თუ ეს ღიმილი როგორ გიხდება,
როდესაც იწყებ ღილების გახსნას.
მოდი იყავი დღეს მხიარული,
ხუთ წუთში დილაც გარდაიცვლება,
და ჩვენც გვექნება ეგ სიყვარული,
როცა მოდაში აღარ იქნება.
ჩვენთან ჯერ ისევ ზამთრის სიცივე
და სუსხიანი აისი სუფევს.
ჩვენთან ყოველდღე ხდება იგივე,
აქ ვიტევთ ცოდვებს, თქვენთვის დაუტევს.
აქ ვერ იპოვი საჭმელს და სარჩოს,
აქ ჩაქუჩისთვის ზიზღია გრდემლი,
აქ დედა შვილებს მტკვარში დაახრჩობს
და ტირილისგან უშრება ცრემლი.
თქვენთვის სიკვდილი საშიშროებას,
ჩემთვის შვებას და ცხონებას უდრის,
რატომ დავუთმოთ ეს დრო მოწყენას,
ეს მათთვის ვისაც ცხოვრება უღირს.
ჩვენთან გაზაფხულს იქამდე ძინავს
სანამ ზამთარი მეორედ მოთოვს,
იმედი მოაქვს ზაფხულის წვიმას,
მაგრამ კვლავ ატანს სექტემბრის ფოთოლს.
აქ ხომ ადგილი არა აქვს მუზებს,
ვახსენებ გრძნობებს, იტყვით: “მიდი, რაა!”
თბილისი წვიმას ისევ ვერ უძლებს
და ქართლის დედამ ისევ იტირა.

***

It is morning warmth, it's summertime,
I haven't yet felt such a silent peace,
This morning makes even the devil cry,
As he lost his strength to do any harm.
I think so, and I want it to be this way,
The glow of the dawn lit up even hell,
I leave kisses in the morning warmth,
Until my city starts ringing of bells.
I will leave my classroom with the love,
With a letter on the board, as I usually did,
I couldn't get rid of your fragrance,
From the flowers on my windowsill.
The last nap taken from the last cigarettes,
When your hair is filled with ashes of smock,
I wrote a poem out of nothing
And they put me to a psychiatric ward.
It's another day that begins idly,
I tried to say it to you, to explain it,
How your smile suits your pinky face,
When you start to unpin the buttons of your shirt.
Be merry today, be happy... delight,
In five minutes, the morning also dies,
And we'll have that love on the time,
When it won't more fashionable.
We still have winter hearty and hale,
Cold is reigning in frosty mornings,
The same thing happens to us every day -
We forgive sins, for you unforgiven.
You won't find food and sustenance here.
Here, a hammer dislikes an anvil,
Here, a mother drowns her children,
And endless tears dry her eyes.
If your life means cautions of death,
It's for me a relief, bliss and salvation.
Why waste this time on worries and grief?
It is for those who value sense of life.
Here spring have long and a deep sleep,
Until winter snow comes a second time.
Summer rain brings hope to humans,
But it is still sent with the September leaf.
There is no place for muses here
I mention the feelings; you say: "Go away!"
Tbilisi drowns in the pouring rains,
And Kartli's mother has one more wail.

მარი ჟღენტი
Marie Zghenti

ადამიანი!

შენი ქვითინი - სამყაროსთვის "ჩიტო-გვრიტოა",
შენი გზა ქვეყნად... განსაზღვრულად - სატრანზიტოა!
დრო ფრთად შეგაბეს, ის მიფრინავს, შენ კი - ბერდები...
გინდა შეჩერდე!.. მაგრამ ვერსად ვერ შეჩერდები!

რადგან შობითვე ბედისწერის გახალეს ტყვია
და ამიტომაც - წუთისოფლის სტუმარი გქვია!
ამ ტყვიით გულში, ვიწრო წრეში, დახეტიალობ,
ტკივილის დარად - ხან მხეცობ, ხან ადამიანობ!

ზოგჯერ ახერხებ: რომ არ იყოს ლოცვა ტყუილი,
სულის ამოთქმა: ხან სიმღერა, ხანაც ყმუილი...
შენც: რა ძალა გაქვს, ხან "მასპინძლობ",
ხანაც კი - სტუმრობ,
ხან ბრაზი გახრჩობს, ხან კბილს აჩენ:
ვითომდა, ხუმრობ...

ო, როგორ გინდა... ვინც გიყვარდა, თან წაიყოლო
და... სამუდამო ავგაროზად გვერდით იყოლო!..
კი გინდა, მაგრამ სურვილის ცეცხლს ვინ შეგისრულებს?!
ტუჩებზე იგრძნობ მონატრების მხოლოდ სისრულეს.

ასეა, ყოფამ შეგაჩეჩა "კანფეტის ფოჩი",
შენ არას გატანს, თვითონ მიაქვს სიცოცხლის მორჩი.
საწყისს და ბოლოს შენი "ფრენის" "ვაიმე" ქვია,
რადგან შობითვე წარბთა შორის გახალეს ტყვია.

ყველაფერს ტოვებ! მიჰქრი! სწრაფვა - ეჟვნად შეგაბეს!
და ყველა ვალი საწუთროსი იქაც შენ გადევს!
სუსტი ლელი ხარ, წვიმის შემდეგ ამონაღერი,
წახვალ, დარჩება შენი სიმწრით ამონამღერი:

ჩემს მოკლე სცენარს ბედისწერის თამაში ქვია,
ამოსუნთქვამდე რადგან გულში მახალეთ ტყვია...
მიყვარხართ! მიყვარს! სიყვარული ეჟვნად შემაბეს!
და ყველა ვალიც საწუთროსი - ყველგან მე მადევს!

16.08.2019

CHILD OF ADAM

For this Universe, your sobbing is as the light song,
It is definite and just transit, your road in this world.
Time harnesses on you; it is flying; you're getting old.
You want to stop! Trying to, but you cannot stop!

As were fired with fate's bullet from the day of your birth…
You're the guest of this transient world for a reason of this.
In a tight circle, you are wandering with a bullet in your heart,
Like the pain - sometimes gentle and sometimes too hard.

Sometimes, you can manage your praying not to be a lie,
The soul's respite: singing or howling from time to time…
Don't have other ways: sometimes visit, sometimes host,
Strangling from anger, show bare teeth as if you're joking.

It's only your wish to take with you the one you so loved,
To keep it with you, as an amulet, omnipotence charm.
You do want so, but your desire? Who will fulfil it?
You will feel the fullness of all you miss on your lonely lips.

So, you were tricked with "candy floss" by your fate...
Sends nothing with you, takes itself the source of life.
The starting of life and its ending are called just "mourning",
As from your birth was the bullet fired midst of your brows.

You leave everything; you rush, flee, speed ties on you as a bell!
Debt of this transient world you are taking with you as well!
You are a weak reed, which germinated after rain,
You will go, and your bitter tune will here remain.

My short scenario, my story is called The Game of Destiny,
As you shot my heart at the time of my birth before I exhaled.
I love you all! I love! Love is tied as a bell on me,
And all my debt of this transient world I'm carrying on me.

16.08.2019

დედას

მეგი მოლოდინი (მედეა გადელია)
Megi Molodini (Medea Gadelia)

წვიმის წვეთებს რომ ჩამოჰყევი ამ დილის ცრემლით,
მაინც მზის სხივით მაწერინებ, ძვირფასო, სათქმელს,
ნიავივით რომ გზას მიკვალავ, ხომ ვიცი, დედი,
და ძველებურად აკვნისფერი რიჟრაჟით მარწევ...

ზღვის მშვიდ ტალღებში მეგულები, ნათელო, დღესაც,
იღიმები და ვით ჩემს მოძღვნილ გვირილის ფურცლებს,
წყლის თეთრ მაქმანებს, იფერებ და ჩაუმქრალ სევდას,
მიტოვებული ნაპირისას, ფერმკთალი, უცქერ...

ვით შევეგუე ,,შეგუებას'' მე უშენობის,
შენი სარეცლის, ცარიელის, ცივ მდუმარებას...
დედამიწაც კი დაიშანთა ძეთუღმერთობით,
ლამის ცოდვები აღიარონ თვით ცრუ ვარდებმაც...

და მომიტევე ყველაფერი, გთხოვ, მაპატიე,
თუ ვერ შევძელი შენი ზამთრის კვლავ გათენება,
რომ გაზაფხული ვერ ვიხსენი ავი მარტისგან,
წუთისოფლის ხე რომ დანაცრდა, წამგაელვებად...

ზღვის მშვიდ ტალღებში მეგულები, ნათელო, დღესაც
და შორს ღიმილით სეფექალობ უშრეტ ყრმობასთან,
ხელს რომ ვერ გიწვდი და ვერ გშველი, დედილო, ნეტავ,
თუ მაპატიებ ,,შეგუებას'' ... უშენობასთან?

MOTHER

This morning, you followed the raindrops with tears,
But you make me write with the sunlight, my dear,
You are paving my ways, as the gentlest breeze,
Rocking me in the dawn cradle, as in the old days.

I expect you in the peaceful waves, my darling mother,
Giving me smiles, and as my gift to you, the petals of a daisy,
Embroidering white laces of waves and eternal sadness
Of the abandoned shore, you are looking with a pallid gaze.

How could I adapt to living without you, your absence?
I still cover your bed in your room with cold silence.
Godless blasphemy has punished even the earth,
And, the false roses almost confessed to their sins.

Please, forgive me all, I beg you, I feel so harsh,
If I couldn't lighten your winter with my love again,
If I could not save the spring from the evil March,
If burned to ashes, the tree of your transient existence.

I expect you in the calm waves of the sea today,
You are my light, my honour from my youth, from far away,
I can't touch you, can't reach you, can't give you any help,
Will you forgive me for my adaptation to your absence?

კოტე თავართქილაძე
Kote Tavartkiladze

გ ზ ა

განვლე გზაშარა, ახლა მივსდევ ვიწრო ბილიკებს,
ეჭვით დამაშვრალს ნაღვლიანი მიმაქვს დარდები,
ტყის მირაჟიდან მესმა ტანგოს ნაზი მუსიკა,
თავზე მადგას ცა, წყნარი და ნაფერმკრთალევი.

ალვის ხეებთან უმოწყალოდ ამებნა გეზი,
მონუსხულ რითმებს შეერია მწყრალი ქარგები,
წავიბარბაცე... დამატყვევა მწარე ფიქრებმა,
აღარ ვჭირდები?!.. უგზო-უკვლოდ დავიკარგები.

ელდით გონებაარეულმა ვსდიე სიმართლეს,
პირჯვარს ვიწერდი თავდახრილი და მომდურავი...
ფერი იცვალა, გაეცინა სადღაც სიჩუმეს,
გულში გამიჩნდა სინანულის ვეება ბზარი.

ბოლოს მალულმა ძალამ ჩემი უცოდველობის,
გულახდილობის მწყალობელმა სპეტაკ ფიქრებად,
გამომაფხიზლა, გზა მიჩვენა იმედად ხვალის,
შემოფეთებულ გულგრილობის დასავიწყებლად.

THE ROAD

The high road ended, and I now follow a narrow,
I carry my sorrowful grief full of doubts,
The rhythms of tango have reached me in the twilight,
The sky lies over me - calm and pallid.

At white poplars, I realized I had lost my way,
The bewitched rhymes mixed with the wrathful embroidery,
The bitter thoughts that suddenly captured me staggered me:
She doesn’t need me any more?!... I will disappear forever.

I realized the truth, confused and stricken by grief,
Slouching and upset, crossing myself emotionally,
The colours changed. The silence was laughing somewhere,
A pain appeared in my heart - a huge crack of regret.

In the end, the heavenly strength of my innocence,
The benefactor of saints and honest thoughts,
It woke me up with hope and showed me the way to follow,
To forget the cold-hearten rejection, I stumbled on.

ისევ შორეა ჩემი ოცნება

ვგრძნობ, დახარჯულმა წლებმა შეაკრთო
ძირს დაუხრელი ჩემი ჭაღარა,
ბედმა, მებრძოლმა წუთისოფელთან,
ჩემს დროსთან თითქოს შეკრა კამარა.
ხვედრის ხსენება ეხლა არ მინდა,
რაც იყო იყო, გაქრა ბინდები,
განვლილი წლები შემორკალულა,
სიყვარულის და სევდის ფიქრებით.
თუმცა ცა ისევ მოქუფრულია,
ძილს კვლავ მიტეხავს ფიქრი ვერანი,
სულს მიმღვრევს ისე, როგორც არასდროს,
სამყარო ანცი, მოუსვენარი.
ისევ შორეა ჩემი ოცნება,
სხვა გზით მოვედი მე ამ მიჯნამდე,
გულწრფელი ფიქრით გატაცებული,
ეხლაც ჯიუტად ვილტვი მიზნამდე.

MY DREAM IS TOO FAR AWAY, STILL.

My fate, fighting with my transient way,
Tied with my time by the dome of heaven.
My silver age with my silvered hair -
I felt it caused fear for my future years.
I don’t want to mention the fate now,
Whatever it was disappeared in the dusk,
The past years have shattered the arch,
With the thoughts that were painfully sad.
The sky is still moody and gloomy, though,
Disturbs my sleep the treacherous thoughts.
My soul is devastated as never before,
The uneasy, restive, irreplaceable world.
My dream is too far away, still,
I come to this point in other ways,
With sincere thoughts, full of energy,
Even now, I stubbornly aspire to my aim.

13.08.18

ხაბავშვო განყოფილება

ცაგო აბაშმაძე

აბა გამოიცანით

*

ღრუბლებს როცა გადარეკავს
და ჩადგება ქარი,
ასეთ ამინდზე იტყვიან:
გამოვიდა--???
(დ.....)

*

ყველა ოჯახს რომ სჭირდება,
გინდ მთაში, გინდ ბარადა,
ტანსაცმელი რომ შევაწყოთ,
დაგვჭირდება ???
(კ....)

*

ყავისფერი, მართკუთხედი,
არც სკამია, არც რაფა,
სკოლის კედელს რა ამშვენებს?
რათქმაუნდა ???
(დ.....)

*

ჭრელ კოლოფში თავს იწონებს,
ფერთა უხვი ლაშქარი,
ფისუნია რომ დავხატოთ,
რა გვჭირდება???
(ფ.....)

*

მამამ ბავშვებს მოუტანა
დიდი, ჭრელი ბურთი,
კენწლაობენ: ერთი ორი,
სამი, ოთხი..?????
(ხ.....)

თავს ამოყოფს ბუჩქებიდან,
სილამაზით არნახული,
ზამთრის შემდეგ რა დრო მოდის?
რათქმაუნდა.....
(გ.....)

ცხელა ქალაქს, ცხელა სოფელს,
ზღვაზე მიჰყავთ ზაზული,
გაზაფხულის შემდეგ მოდის...
მიკარნახეთ.....
(ზ.....)

ეხმარება გიო მამას,
საწნახელში უყვარს დგომა,
ყურძენს დაჭყლეტს, ღვინოდ აქცევს,
როცა დგება.....
(შ.....)

თოვლის ცელქმა ფანტელებმა,
თეთრად ქარგეს მთა-ბარი,
ვინც ყველაზე ყოჩაღია
თქვას: რა დროა?
(ზ.....)

საქართველოს მდინარეა,
წყალუხვი და მტკნარი,
დედაქალაქს ორად გვიყოფს,
რა ჰქვიაო?....
(მ.....)

*
სკოლისაკენ მიდიოდა,
გზაზე სულ არ ჩანდა,
წიგნებით და რვეულებით
სავსე ჰქონდა ???
(ჩ.....)

მასში მხოლოდ ვწერთ და ვხაზავთ,
არის გამორჩეული,
ის შორიდან წიგნს ჩამოჰგავს,
რა არის და .....
(რ.....)

თხილის ჯოხი ჩამოთალეს,
დაამსგავსეს წვერებს რაკი,
საახალწლო ნაძვის ხესთან
დააბრძანეს .....
(ჩიჩი.....)

მთელი წელი შრომობს გლეხი,
რუდუნებით ნაყოფს ელის,
ყურძენს კრეფენ ზვრებში ნადად,
ამ დროს ჰქვია ალბათ.....
(რ.....)

ვაშლს დათლიან, გაახმობენ,
როცა მოვა ზამთრის პირი,
ის ნუგბარად გადიქცევა,
ტკბილია და ჰქვია.....
(ჩ.....)

გამოცანა ვისაც უყვარს,
მას მოვიწვევ მხოლოდ ჩემთან,
ანბანური რიგით მერვე:
ან, ბან, გან, დონ, ენ, ვინ, ზენ,
(თ.....)

მთის გულიდან მოჩხრიალებს,
ამოავსო გზა-გზა ხარო,
დაარწყულა კაციც, ბავშვიც,
აბა რამო? ცივმა .....
(წ.....)

როცა კაცი გულგრილია,
არ წუხდება, სხვა რომ ტირის,
ის ამართლებს ამ ანდაზას,
,,სხვისი ჭირი, ღობეს...
(ჩხ.....)

სანამ წვიმას დააპირებს,
ცა წინასწარ ღელავს,
დაიქუხებს და ღრუბლებში
განათდება....
(ელ.....)

მარცხენათი წერს და ხატავს,
მეზობელი--კაცია,
მერე რაა, წეროს, ხატოს
ის ხომ არის.....
(ც.....)

მარინა დიერაშვილი

თვალის დახამხამება, პირობითად წამია

წამი, წუთი, საათი...
დროის ათვლა იწყება,
თუ სწორად გაიაზრებ,
აღარ დაგავიწყდება.

სამოც წამს რომ აითვლი,
მან წუთი შეადგინა
და სამოცი წუთი კი -
ერთ საათს დაედგინა!

დღეში თორმეტია და
იმდენივე ღამეში,
მთლიანად ოცდაოთხი
კი არის დღე -ღამეში!

ერთი დღე,რომ გაივლის,
სხვა ახალი იწყება,
დღეებით კი კვირა და
თვეები იკინძება!

თვეები კი წელიწადს
შეადგენენ ახლიდან,
შემდეგ სხვა წელს იწყებენ
ისევ,ისევ თავიდან;

წელიწადის ბრუნვა კი
არასოდეს ჩერდება,
დროთა მონაცვლეობა,
საუკუნოდ გრძელდება!

სად ცხოვრობენ?

იმისთვის, რომ მონადირეს
გადაურჩეს, ბოროტს,
მელაკუდას დაიფარავს
გამოთხრილი ს– – – ი

ტოტებს შორის ჩამალულა,
თითქოს იყოს უბე,
ჩიტი ბარტყებს სად გამოზრდის?
თქვი რა ჰქვია? ბ– – ე

დათუნიას გზაში შეხვდა
ხე, მას ესხა უნაბი,
ჭამა და სად დაიძინა?
მის სახლს ჰქვია ბ– – – -ი

ჩვენს შინაურ ფრინველებს
არ შესცივდეთ,არც დასცხეთ;
ის პატარა სახლია,
თქვი რა ჰქვია ? ს – – – – -ე

ციყვი, ხეში სად შეძვრება?
გინდა ნახო, უყურო,
ბებერი ხის გული არის
და მას ჰქვია ფუ– – – ო

კუს ამბავი

კუ კლდიდან ჩამოგორდა და
ჭირადაც ეყო, ლხინადაც,
დაუზიანდა ბაკანი
ვეღარ იძინენს მშვიდადა!

ტყის ექიმს გამოუძახა,
გულისტკივილით უამბო,
ექიმმა კარგად გასინჯა,
გეგებზარაო, უბრალოდ.

მალამო გამოუწერა,
წაისვი დღეში ორჯერო
და ახლა მაინც გაფრთხილდი,
რომ აღარ ჩამოგორდეო!

...და სანამ რამეს დაგეგმავ,
გარემო კარგად დაზვერე,
ჯერ კარგად აწონ – დაწონე,
საქმეს შეუდექ მას მერე.

ციყვი და თოვლი

ციყვს ზამთარში ნეტავ სძინავს?
თათი ხომ არ მოეყინა,
ფუღუროში გირჩები აქვს,
ჭამა, კი არ მოიწყინა.
თოვლის მოსვლა უხარია,
დაქრის ხეზე კუდფუმფულა,
უკვირს ფიჭვის ხის წიწვებზე,
თოვლია თუ ბამბის ქულა!
მთელი დღე ხომ ითამაშა,
აირბინა, ჩაირბინა,
საღამოს კი ფუღუროში,
ისევ ტკბილად დაიძინა!

ჯუჯები

კი ვართ გამრჯე ჯუჯებიო,
არ გეგონოთ მუნჯები,
სურვილებსაც აგისრულებთ,
ამისათვის ვირჯებით!

ცუგრუმელა გოგო-ბიჭებს,
აბა, რა გაქვთ ნატვრაში?
ჩაიჭყიტეთ: სურვილები
რა გიყრიათ აბგაში;

ჯერ ორ სურვილს გამოვარჩევთ,
მერე სხვებს დავუმატებთ,
რას, როგორ გამოიყენებთ ...
მთავარია გიყვარდეთ;

არასოდეს დაიზაროთ,
გაჭირვებულს– აჩუქეთ,
გასცემ და დაგიბრუნდება,
შენც მიიღებ საჩუქრებს!

ერთმანეთის დახმარებით,
გაილევა სოფელი,
დალოცვილი იქნებით და
გაიხარებს მშობელი!

ჩვენ თქვენ დაგეხმარებით და
მერე ყველა– ერთმანეთს
და ურთიერთსიყვარული,
გადაწონის ყველაფერს.

კურდღელი თუ ყურგრძელი?

საით გარბის კურდღელი,
მოუპარავს სტაფილო,
გრძელ ყურებს, რომ ვერ მალავს
შევამჩნიეთ მაგიტომ.

აქეთ -იქით სირბილში
ნაქურდალი დაკარგა,
ბაღის ბოლოს, კუთხეში,
გასაძვრომი დალანდა.

ქურდობა რომ ცუდია,
დედამ კიდევ ასწავლა,
შავი დღისთვის აგროვებს,
არ დაჩაგროს ზამთარმა.

...
ერთხელ თუ დაგიჭირე,
გალიაში ჩაგამწყვდევ,
გაზაფხულზე გაგიშვებ,
როცა გამოგაზამთრებ!

ამინდი და ჭია-მაია

ხვალ როგორი ამინდია?
ჭია, ჭია მაიაო,
ხელის გულზე თუ დამისვამ,
გიპასუხებ, დაიაო!

თუ გავფრინდი დარია და
თუ დავრჩები – ავდარიო?
მაგრამ სინამდვილეში კი
ფოთლებისკენ ვიჩქარიო;

თუკი საფრთხე დაემუქრათ
ბუგრებისგან ვასუფთავებ,
წვიმაში კი მიჭირს ფრენა,
მზეში – არ დავაგვიანებ!

სანიტარსაც მეძახიან,
ჩამოვივლი ბოსტანს როცა,
წითელკოპლებიან კაბით
ჩიტმა მნახა, გაიოცა!

გადაფრინდა, გამეშორა;
სასარგებლო გაქვსო საქმე,
ყველა კმაყოფილი დარჩა...
დამლოცეს, რომ გავისარჯე!

არდავიწყება მოღვაწეთა



მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი)

გილოცავ მეუფეო

ზოგჯერ ისე არაფრის მთქმელად დაღამდება დღე, ფიქრით ავბუზღუნებივარ ჩემს მეს. ეს დღე უშედეგო და არაფრისმთქმელი იყოთქო. გუშინდელი დღეზე ასე არ ითქმის. აკადემიაში ხვთის კაცი მესტუმრა. ხატმწერი და მოქანდაკე გელა ლარიაშვილი. ვისაუბრეთ გარდასულ დღეებზე. გავიხსენეთ მეუფეო შენი ლოცვაკურთხევით ჩატარებული საღამოები. ვისაუბრეთ გარდაცვლილებზე. ბატონმა გელა ლარიაშვილი მოყვა იმ გამოცხადებაზე, რაც მას გასულ წლების წინ ქონდა. თითქოს ისევ ხედავდა, ისე აღწერდა ბეჟანის გარეგნობას. მან გამოცხადებით შექმნა ბეჟან ხარაიშვილის ქანდაკება. გაგიკვირდება მეუფეო რასაც ახლა გეტყვი. შენ გარდაცვლილებში არ გიხსენებდით. ვამბობდით, რომ დარჩი ყველა იმ ადამიანების გულში, რომლებიც სიცოცხლეში გიცნობდა. რამდენჯერ გვიპოტნია მე და ლამზირა შეყილძეს ხელებით მიწა, სიონის ეკლესიის იმ საფლავზე, სადაც შენს გადაღლილ სხეული ასვენია, შენი წმინდა სული კი ხიდან დატრიალებს. საფლავზე აგვინთია სანთლები და წაგვიკითხია შენი ლექსები. გელა ლარიაშვილის წასვლის შემდეგ ფიქრებში ჩავიძირე. თვალწინ დამიდგა, მწერალთა კავშირი. ზუსტად რომელი წელია აღარ მახსოვს . მიმყავს საღამო და თქვენ და ბატონი ჯუმბერ ლეჟავა ფეხზე დგახართ. არ დაჯდომის მიზეზი ხალხმრავლობა იყო. თქვენ ორმა დიდაულოვანმა მეუფემ და მოგზაურმა,ქალბატონებს დაუთმეთ ადგილი. ორივე მითბინებით გაჩერდით ღონისძიების დამთავრებამდე. რამხელა ადამიანები არიან, თქვა სერგი ლომაძემ, ოოო ნამდვილად ასეა დაემოწმა კახა ბაციკაძე. დღეს კახას დაბადების დღეც არის მეუფეო. ვიცი ზეციდან დალოცავ მას, მის კალამს და ზღვარელებს ერთად.

მეუფეო, წელს შენზე მიძღვნილი საღამო ჩავატარე პარლამენტის ბიბლიოთეკაში, საღამო მამა ამირან ამირანაშვილმა გახსნა. შენობით მოგმართავ იმიტომ, რომ უბრალოებით ცხოვრობდი და უბრალოება გიყვარდა. ამიტომაც უყვარდი ხალხს. რამდენჯერ ერთად ჩაგვიტარებია საღამო რუსთავში მოხუცთა თავშესაფარში. რომლის დირექტორია ამჟამადაც ბატონი მალხაზ კვინიკაძე.

ახლა კი იმერში გილოცავ დაბადების დღეს და შენივე ლექსს უწმენდსზე მიძღვნილს მივაწოდებ ფეისბუქის მკითხველებს

*. *

ყოველთა ქართველთა
სინანულის აღსარების,
შერიგებისა და სიყვარულის დღე .
დღე უწმინდესის აღსაყდრებისა
1999 წელი 25 დეკემბერი
########

**

ერი ჟამთა ხსოვნაში,
ჩუქურთმებს რომ აქსოდეს,
თავის თავის პოვნაში,
ეს დღე უნდა ახსოვდეს .
... ის რაც არის მთავარი,
ნურასდროს შეგეშლება,
გლოცავს ერის მთავარი,
გულში ვარდი გეშლება .
ჩაეჭიდე ღვთის კალთას,
იცან დიდი მშობელი,
ამომავალ ცისკართან,
აღვთქვი საგალობელი.
ვიდრე არ ჩაკეტილა,
ცის აღსავლის კარები,
იღვაწებდე კეთილად,
მადლით ნანეტარები .
გულის მწყემსი მზრუნველი,
მას გაუხსენ ეგ გული,
ვინც სიცოცხლე გაჩუქა,
იყავ მისი ერთგული .
ნუ გაცდუნებს ბოროტი,
სულთა მკვლელ-წარწყმედელი,
ურიცხვ მახის დამგები,
სულ სიავის მჭედელი .
სიყვარული გიყვარდეს,
შუქს ნუ ეტყვი ბნელი ხარ,
ბინდში მყოფო ცხოვარო,
ნათლის საპოვნელიხარ.
...ის სჯობს ყველა საფიხარს,
კაცი მადლით იზომვის...
გელოდება ნათლის ცა
და მზე მარადისობის!

პროზა

რევაზ მიშველაძე

ფამეგა

რომანი
(გაგრძელება)
(დასაწყისი იხილეთ ჟურნალ „ათინათის“ №28, 29, 30, 31, 32, 45-49-ში)

სამწუხაროდ, ტყვია მიზანს არ აცდა.
ქართველი ქართველს ჯერჯერობით
ზუსტად ახვედრებს.

ბატონო სტუდენტებო

ეს ორი ნოველა სამასი წლის წინანდელი ქართველებისთვის რომ წამეკითხა, ვერაფერს გაიგებდნენ.

თქვენ მიხვდებით.

შიგადაშიგ გაგელიმებათ, თუმცა მე ისინი სასაცილოდ სრულიადაც არ დამიწერია.

უფრო იმაზე დამიფიქრდით, რა მიზეზმა აქცია ერთი მოქალაქე უნდოდ (ანუ „ურწმუნო თომად“), ხოლო მეორე მოქალაქე კრებიდან კრებაზე მორბენალ ორატორ-მოხალისედ.

* * *

აღმოსავლეთი ღრუბლის გრძელ ქარავანს დაეფარა.

მზე არ ჩანდა, მაგრამ ნარინჯისფრად შეღებილ ცას ეტყობოდა, რომ მნათობი უკვე ამოსულიყო და მაღლამაღლა მიიწევდა.

მსხლის ტოტებში შაშვი შეფრთხიალდა.

ერთხანს უყურა აივანზე გადმომდგარ, პერანგისამარა, ქარბორბალაში მოყოლილი პურის ყანასავით თმამიმოწოლილ ქალს და გაფრინდა.

ამ ქალის სანახავად რომ არ შეიწუხებდა შაშვი თავს, აშკარაა, მაგრამ რისთვის მოფრინდა ამ დილაადრიან, რა უნდოდა უიმედოდ მკვახე, ქვამწვანე მსხალზე; ჩემთვის გაურკვეველი დარჩა.

– რაღა დღეს მეიღრუბლა მაინცდამაინც, – ჩაილაპარაკა ქალმა და ფეხის თითით ქუსლი მოიქავა.

– ვის ელაპარაკები? – გაეპასუხა ცოლს კანცელარიის ყოფილი მრჩეველი პეპია ტყაბლაძე, რომელიც საწოლზე წამომჯდარიყო და გუშინწინდელ „ახალ თაობას“ კითხულობდა.

– რაღა დღეს მეიღრუბლათქვა, მზის დაბნელების დღეს.

– რავა?

– ვერ დავინახავთ, მეტი რაი.

– ნუ სულელობ რაღაცას. მეტი არა აქვს საქმე ამერიკას. ნამდვილ მზის დაბნელებას გაჩვენებს აქანა. მაინც ვერ შევამჩნევდით ვერაფერს.

ცოლს არ უკითხავს, რა შუაშია ამერიკა მზის დაბნელებასთანო. იცოდა ვისთან ჰქონდა საქმე. ფოსტლებში წაჰყო ფეხი და თავისი ოთახისკენ გაფშლატუნდა.

პეპიამ პიჟამოს შარვალი ამოიცვა და სარკეს დააჩერდა.

თვალის უპეები ორი თითით ჩამოქაჩა და რაკი დარწმუნდა, რომ თვალმოდებული სიწითლე არ გამქრალიყო, სამი დღის წინათ ექიმის გამოწერილი „ოფტანი“ ერთხანს ატრიალა ხელში. მერე უწვრილესი ასოებით დაბეჭდილ „მოხმარების წესში“ გაახვია და ფანჯრიდან ბაღში მოისროლა.

– არ იციან, არაფერი არ იციან, ამ მკვდარძაღლებმა.

უჯრა გამოსწია, ქაღალდი ამოიღო, შუაზე გახია და დიდი ასოებით დააწერა: „კეთილო... ლიფტში შესვლის დროს გაიხსენე, რომ ღორი არა ხარ!“

ჭიკარტი მოძებნა, სადარბაზოში გამოვიდა და ლიფტის ღილაკს თითი დააჭირა. კარს ფეხი

დაუხვედრა და ქაღალდი მარჯვენა მხარეს გააკრა.

ასეთ წარწერას იგი ყოველდღე აკრავდა ლიფტში და ყურადღებიანი მეზობლები ყოველდღე ხსნიდნენ.

როგორც ჩანს, მეზობლებს არ სურდათ, ზედმეტი ლოზუნგით დაემძიმებინათ ცხოვრება.

თორმეტს აღარაფერი აკლდა, ქუჩაში რომ გამოვიდა.

ცხელოდა.

ცხვირსახოცი ამოიღო, ოთხმხრივ განასკვა და თავზე
დაიხურა. ერთხანს უცადა ტროლეიბუსს.

სამარშრუტო ტაქსების აბეზარ დგომათხოვნას ვერ გაუძლო და მძღოლის გვერდით მოკალათდა.

– არის რამე?

– ვერ გავიგე? – საყელოში ცხვირსახოცჩაფენილმა მძღოლმა ზარმაცად გამოხედა.

– არის მუშაობა?

– პურის ფული... მეტი არაფერი... ბევრი ვართ ნამეტანი.

– რავა დააქციეს, რავა დეიყვანეს ქვეყანა თხლეზე.

დანიელ ჭონქაძის პარკთან გააჩერებინა.

ფილარმონიის კიბეებთან ლატარიის გამყიდველი ბღაოდა;

ყოველი მესამე ბილეთი მომგებიანია, იყიდეთ და აუცილე

ბლად გაგიმართლებთო.

„ისე აშენდა შენი პატრონი“, – გაიფიქრა პეპიამ.

ჯერ შორიდან დააკვირდა პარკში „სკამეიკებზე“ ხუთხუთად განაწილებულთ.

ყოველთვის ასე იქცეოდა.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვისთან მოუწევდა დაჯდომა. აქ დაუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმა არ შეიძლებოდა.

ძველი ჭონქაძელები აღარ ჩანდნენ. პარკი ახლებს დაეპყროთ.

პეპიას ახალგაზრდებთან კამათი არ უყვარდა. ეგონა, პარკის ახალუხლები ცოტა არ იყოს თამამად, თავდაჯერებულად და ოდნავ დაცინვითაც ელაპარაკებოდნენ.

– ბატონ პეპიას ვკითხოთ, – მოისმა ნაცნობი ხმა და ნაძვის ძირას, ხის მწვანე სავარძელში, სამ თანამეინახესთან მჯდომმა ხუტა ფარცვანიამ ხელი დაუქნია.

ხუტა ცხოველთა და ფრინველთა ფიტულების დამზადების სპეციალისტი იყო და ამით ირჩენდა თავს. ამ ბოლო დროს ხალხს ფიტულებისთვის რომ არ ცხელოდა, ხუტამ ახალი საქმე წამოიწყო. ფიტულების მოძრავი გამოფენის პატენტი აიღო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფიტული“ დაირქვა.

წამოწყებას ჯერჯერობით არა უშავდა. სკოლებში და კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლებში საფიტულგამოფენო ათ თეთრს არ იშურებდნენ. ეგ იყო, ახალფეხადგმულ ფირმაში საგადასახადო ინსპექცია არ ასვენებდა.

მივიდა და შემოთავაზებულ ადგილზე, განაპირას ჩამოჯდა.

– ბატონო ხუტა, ახლანდელი „ბორჯომი“, „ბორჯომია?“

– აშკარა იყო, ხუტას ყოფილი მრჩეველის მოსვლამდე დიდხანს ეკამათა ამ პრობლემაზე და პეპიაც, ღმერთო შეგცოდე, თავისი პოზიციის გასამაგრებლად ეხმო.

– გადამიშენე იქით, – მშვიდად თქვა პეპიამ.

– ესეც მე ვარ? – ხუტა წელში გაიმართა.

– ასე ხომ არ შეიძლება, – ცხარობდა სათვალიანი, წითური კაცი, – მე არ ვუარყოფ, ფალსიფიცირებულიც არის ცოტა.

– რას გეტყვი, ბიძია, იცი? ნამდვილი „ბორჯომი“ გათავდა, გამეილია. აღარ ამოდის მიწიდან... რა გაცინებს, ლიკანში რომ ამოდიოდა სანატორიუმში, რვა წელიწადია, ისიც აღარაა ნამდვილი. შეზავებულია ხელოვნურად. ნამდვილ „ბორჯომს“ შენ ვინ დაგალევინებს, რაცხა ხუთას ლიტრს ასხამენ და მსოფლიოს პრეზიდენტებს ვერ ოუდის. დანარჩენ „ბორჯომს“ ეგერ ასხამენ ე, ჩემი სახლის გვერდით გარაჟში. სოდა, კრანის წყალი, გაზი და მისი ჯანი.

– ასეც არ შეიძლება, – ხმა გაებზარა წითურს. არ უარვყოფ, ფალსიფიცირებაც არის...

– ისე, რომ იცოდე, ამბობენ, ნამდვილ „ბორჯომს“ დეგუსტაციის დროს ხელოვნურმა აჯობაო. მე გეტყვი ერთს, ჩვენ, ვინც ვზივართ აქანა, შეიძლება, არც ერთს არ დაგვილევია ნამდვილი „ბორჯომი“.

– რაც უნდა თქვა, ახლა, არჩევანი მაინც არის, – მცირე პაუზის მერე დაიწყო ხუტამ.

– რაის არჩევანი? – ჰკითხა პეპიამ.

– იყიდება, არის საქონელი. არ გახსოვს? ტელევიზორს, დუბლიონკას და ტუფლს ცეკა რომ ანაწილებდა?

– დუბლიონკას კი არა, ჩეხურ ლუდს და ტარანსაც ცეკა არიგებდა, მერე რაი?

– რაი და ამ დემოკრატიამ, თუ ფული გაქვს, რაღაცრაღაცების შოვნის საშუალება მოგვცა, რათ უნდა ლაპარაკი.

– კიდო კაი, ფული რომ არა გვაქვს და ვერც ვყიდულობთ. პეპიას ამ ნათქვამმა ოთხივე ერთნაირად დააინტერესა.

– ნახე, რა შემოდის, არ კითხულობ გაზეთს? „E“ რასაც აწერია, არ დააკაროთ პირიო. შემოიარე ყველა მაღაზია – ჯიხური და თუ იპოვი რამეს, „E“ რომ არ ეწეროს. პავიდლო პავიდლოა? წებოსგან და ნაძვის გირჩისაგან აკეთებენ აგერ ა, თურქეთში, ძეხვი, ავიღოთ, თუ გინდა; დაგავიწყდა, ამ ორი თვის წინ მტკვარი რომ ვერ იტევდა, იმდენი ძეხვი რომ გადაყარეს და გაანადგურეს? რა ყოფილა – ნახერხი, ანწლის საღებავი, ჩაწოლილი შავი პური და მუხუდოს ნარჩენი... ა, ბატონო, ესეც შენი ძეხვი. ყველაფერ ამას საწამლავ E27ს უმატებდნენ, რომ არ გაფუჭებულიყო. ახლა კარაქი ნახე, რისგან აკეთებენ, თუ იცი? ყვითელი ტყემლისგან, მკვახე ხურმისგან და კოპიტის ფიცრებიდან. იყიდე და ჭამე, კაი დახლი დაგიდგება. ე ნაირნაირი შოკოლადები რომ შემოაქვთ, ზოგს ბელგიური, ზოგს გერმანული და ზოგს თურქული რომ აწერია აყალო მიწისაგან, ცელოფნის პარკებიდან და საზამთროს კანებიდან ამზადებენ თურმე. ცოტა შაქარსაც ქე ურევენ ისე, ფასონათ. დავანებოთ სასმელს თავი; ტუფლს რომ ყიდულობთ, თქვენ გგონიათ, ტყავი ან რეზინია მართლა? ბლის ქერქისგან, მდოგვისგან და მუყაოს ნარჩენებისგან არის გაკეთებული.

– ქეც იმიტომაა ორ კვირაში რომ პირს დააღებს, – ჩაურთო, როგორც იქნა, ხუტამ.

– ქსოვილი? ნაირნაირი ქსოვილი რომ ყრია. ბაბუაჩემი შარშან მოკვდა ასი წლის და 1921 წელს ჰოლანდიაში ნაყიდი დრაფის პალტო ეცვა. არც გამოხუნებულა, არც გაცრეცილა. იყიდი ახლა კოსტიუმს და ორ კვირაში გადაგასკდება მუხლზე.

– ამბობენ, მკვდრებისთვის შეკერილს გვიგზავნიან, იმიტომაა ასე იაფი, – თქვა ხუტამ ისეთი ინტონაციით, რომ მთლად არ იყო დარწმუნებული თავის სიმართლეში.

– შენ იხუმრე და დღეს რომ შალს ეძახიან, ხომ იცი, რისგან ქსოვს ამერიკა: კაპროლაქტამის ძაფისა, ყავის ხმელი ფოთლების, ცხვრის ჩლიქების და მესამეხარისხოვანი სამშენებლო ცემენტის შეზავებით გაკეთებული ძაფისაგან.

– კაპროლაქტამი რაკი ურევია, სიმაგრით არა უშავს.

– სიმაგრით არა უშავს, მარა სამოთხ წელიწადში კიბოს აჩენს.

– რაის კიბოს? – იკითხა ვიღაცამ.

– შენთვის სულერთი არაა? მოგიძებნის სუსტ ადგილს; ან კუჭის, ან ელენთის, ან პროსტატის, თუ ვერაფერი მოგიხერხა, ყურის კიბოს დაგმართებს, – უკამათოდ თქვა პეპიამ.

– შეიძლება, მზის დაბნელებას მიწისძვრა მოჰყვესო, – თქვა და, რატომღაც, დაამთქნარა ხუტას მარჯვნივ მჯდომმა, მსუქანმა, სუფთად გაპარსულმა ბიჭმა, რომელიც აქამდე ჩუმად იყო.

– მოჰყვება, რატომაც არ მოჰყვება, ნოტა გოუგზავნე რუსს, რავა გაბედე ჩემი საზღვრის დარღვევათქვა და ნახავ, ვარესს გიზამს.

– არ დაარღვია, არ გადმოყარა თუშეთში ბომბები?

– მერე... კაი ერთი, თუ ძმა ხარ... რომელ საზღვარზე

მელაპარაკები. ან საზღვარი ვინ მოგვცა, რას ვმაიმუნობთ. რომელი საზღვარი გვაქვს, მითხარი ერთი, გამაგრებული? ჩვენ იმ თვითმფრინავების ჩამოგდება კი არა, სურათის გადაღებაც ვერ შევძელით და ვმარჩიელობთ ახლა; რაკი რუსეთის მიმართულებით გაფრინდნენ, ალბათ, რუსების თვითმფრინავები იყვნენო. გაიგეთ, ერთხელ და სამუდამოდ; ჩვენ მესაზღვრე კი არ გვყავს, ჩვენ მებაჟე გვყავს და რავარც ახლა ირკვევა, თურმე, ამხელა ქვეყანაში, მებაჟეც ვერ გვიპოვია, კაცი და მანქანა რომ წესიერად გაჩხრიკოს, ამიტომ ინგლისელს უნდა დავუძახოთ თურმე, ჩამოდი და შენ გაგვიწიე მებაჟეობაო, ჩემს თავს არ ვენდობიო, ესაა საქმე?

კარგა ხანს ხუთივენი ჩუმად იყვნენ.

მოჭადრაკეთა სახლის სახურავზე ეული ჭრიჭინობელა ერთგულად ებრძოდა აგვისტოს ხვატს.

– აბა... ნამდვილად იცი, რუსი აკეთებს ამ მიწისძვრებს?

– სხვისი ხმით იკითხა სათვალიანმა წითურმა.

– არა, ბიჭო, მე ვაკეთებ, — პეპია ამას რომ ამბობდა, მაღლა, მამადავითზე სატელევიზიო ანძის თავზე ანთებულ ერთადერთ წითელ ნათურას გაჰყურებდა.

...პეპია ტყაბლაძეს 1999 წლის 11 აგვისტოს, ზუსტად სამ საათზე, როცა მზის ნაწილობრივ დაბნელებამდე სულ რაღაც ნახევარი საათი რჩებოდა, ჭონქაძის პარკიდან დაბრუნებულს, თავის სადარბაზოსთან აგური დაეცა თავზე.

აგური, როგორც შემდეგ გაირკვა, მეოთხე სართულზე მცხოვრებ შერვაშიძის აივნიდან ჩამოცურდა. აგური დაიმსხვრა (კიდევ კარგი), მაგრამ არც პეპიას დადგომია კაი დღე.

როცა სასწრაფოში მიჰყავდათ, პეპიამ თავი ასწია და ამოილაპარაკა:

– აგურიც არ გვივარგა.

– რა თქვა? – ჰკითხა სასწრაფოს ახალგაზრდა ექიმმა, შუბლაძემ, პეპიას ღაწვდახოკილ თანამეცხედრეს.

– აგურიც არ გვივარგაო, – განზე გაიხედა ტყაბლაძის მეუღლემ.

„ესე იგი, გადარჩება“, გაიფიქრა ექიმმა.

თქმით არაფერი უთქვამს.

ქუჩა თითქმის ცარიელი იყო.

გაჭვარტლულმინებმომარჯვებული მოქალაქენი თავიანთი ორსამოთახიანი ულოჯო ბინების აივნებზე გადმომდგარიყვნენ და სახეზე უჩვეულო მოლოდინში გარეული სევდაც ეხატათ.

***

ეროვნულგანმათავისუფლებელი მოძრაობის ყოფილი ბელადთაგანი და ყოფილი საზოგადო მოღვაწე, ამჟამად მენეჯერი, ჯიმშერ კაპანაძე, მეორე სართულის შემინული აივნიდან ტროტუარზე აფრთხიალებულ მტრედებს პურს უფჩხვნიდა.

ნაცრისფრად განათებულიყო.

შეცივებულ, შეჩერებულ გაზაფხულს არც დღეს ეწერა განავარდება, რაკიღა დამსკდარ კვირტებს ყინვა მოსძალებოდა, ხოლო უძოზე და მადათოვზე წუხანდელი თოვლი ჩანდა.

– მელენტი! — დაუძახა მენეჯერის წყალსნიკერსის ყუთთან (ჯიხურში არ აგერიოთ, ჯიხური ვაჭრობის უფრო ცივილიზებული ფორმაა) მობოლთავე (ბოლთისმცემელ) დევნილს, რომელიც წამდაუწუმ ხელებს იორთქლავდა და თავის დევნილურ ფიქრებში ჩაძირულიყო.

– ბატონო! – მეორე სართულს ააჩერდა მელენტი.

– ერთი, თუ კაცი ხარ, აიღე კეტი და დრუზე თავში მაგ გათახსირებულ მტრედს.

– ამას?! – დაინტერესდა მელენტი.

– ხო, მაგას, მაგ მხეცს, მაგ ხულიგანს, მაგას!

ერთი ბოლოფრთახაზული მსხვილთავა მტრედი (რუსები რომ „სიზაბლაკას“ ეძახიან) ასფალტზე გულმოსული დაღუღუნდაბუღრაობდა, ჯიმშერის მიერ ჩამოფჩხვნილ პურს არც თვითონ ჭამდა და არც სხვებს აჭმევდა. თუ თავგანწირულმოშიებული, შეუპოვარი მტრედი ტროტუარზე ირაოთი დაეშვებოდა, გაჯიუტებული მივარდებოდა და ნისკარტს ჩაჰკრავდა თავში.

მელენტიმ გათამამებულ „სიზს“ აუქშია, მაგრამ ფინჩხას დადარაჯებული სხვა მტრედებიც დააფეთა, ხოლო „ხულიგანი“ მაინც პირველი დააცხრა ტროტუარს და ფინჩხაზე მონადირე თვისტომთ კვლავ შიშისქარი ჩაუყენა.

მენეჯერმა პურის ფხვნა შეწყვიტა, ხელები დაიფერთხა და ის იყო ფანჯრის მიხურვას აპირებდა, რომ დევნილის კითხვის ქამანდმა შეაჩერა.

კითხვა არცთუ მოულოდნელი და, როგორც პატივცემული მკითხველი ხვდება, არცთუ ორიგინალური გახლდათ.

– ბატონო ჯიმშერ, როგორ იქნება ჩვენი საქმე, როდის დაგვაბრუნებენ ჩვენს სახლებში?

კაპანაძემ ინანა, რომ ფანჯრის მიკეტვა ვერ მოასწრო და პირველად თავის სიცოცხლეში, მტრედებისთვის პურის ფჩხვნაც ფუჭ საქმედ მიიჩნია.

რა ეგონა. სვეგამწარებული დევნილი კონკრეტულ პასუხს ითხოვდა, თორემ ზოგად ფრაზას („აუცილებლად დავბრუნდებით!“) იგი ყოველდღე უთვალავჯერ ისმენდა ჯიუტი ოპტიმიზმით შეპყრობილი მოქალაქეებისაგან.

... და ჯიმშერ კაპანაძემ თავის სიცოცხლეში არცთუ პირველად იცრუა:

– ექვსი თვე კიდევ უნდა მოითმინოთ, მელენტი ბატონო.

– რა ამბავია, შე კაცო, ექვსი თვე?! – მელენტი დაბრუნების უტყუარი ვადის შეტყობით აშკარად უკმაყოფილო დარჩა.

„ახია ჩემზე, ან ეს ექვსი თვე რა ჯანდაბამ მათქმევინა“,

– გაიფიქრა ჯიმშერმა და „ალიონს“ მიშტერებულ, მარილებისაგან სახსრებდაზრულ მეუღლეს შეეხმიანა:

– შე ქალო, ვერ დამიძახე? რას მისჩერებიხარ დილაადრიან მაგ დასაწვავ ტელევიზორს. წამოსულა შუადღე. დღეს ოთხ სხდომაზე ვარ დაძახებული.

– არც ერთგან მისვლა არაა საჭირო, – ჩაილაპარაკა ცოლმა იმგვარი ინტონაციით, როცა მთქმელი დარწმუნებულია, რომ მის ნათქვამს, სულერთია, მაინც არ შეასრულებენ.

განა ყოფილმა საზოგადო მოღვაწემ თვითონაც არ იცოდა ის ჭეშმარიტება, რაც ბრძენი მეუღლის პირით ეუწყა, მაგრამ იგი ხათრიანი კაცი გახლდათ და სხვაგვარად არ შეეძლო.

ძველთაძველი, ძმასავით შებერებული ჟიგულის დაქოქვა დღესაც გაუჭირდა. თუ „შემწოვს“ დიდხანს აქანავებდა კარბურატორი ბენზინს „გადაყლაპავდა“ და ძრავას ვეღარ ამუშავებდა, თუ ცოტა ხანს არწევდა „შემწოვს“, ბენზინი არ ჰყოფნიდა და დაქოქვისთანავე ქრებოდა. ერთი სიტყვით, დღესაც თავდაღმართზე დაგორების ნაცად ხერხს მიმართა.

ვარაზისხევთან წითელზე გავიდა და სასტვენმაც არ დააყოვნა.

გააჩერა.

ავტოინსპექტორთან ურთიერთობის გარკვევა დამუშავე

ბული ჰქონდა. თუ გააჩერებდნენ, სანამ ავტოინსპექტორი ბრალდებას წაუყენებდა, რაღაც უნდა ეკითხა მისთვის, ახლაც ასე მოიქცა.

– თუ ძმა ხარ, პროპაგანდის სახლი რომ ერქვა, ახლა რა ჰქვია მაგას?

– ვერ გეტყვით, – მოწყენილი სახით უპასუხა პოლიციელმა, რომელიც უკვე მიმხვდარი იყო, რომ ამ ჰალსტუხიანი მძღოლისგან ხუთ ლარს ვერა და ვერ მიიღებდა.

– სიტყვა მაქვს სათქმელი, ეს ოხერი, დამაგვიანდა. რომელია შენთან?

– ათი სრულდება, – კიდევ უფრო მოწყენილი სახე მიიღო გზის გუშაგმა და ზურგი შეაქცია.

– გმადლობთ, ყოველ შემთხვევისათვის დაადევნა ჯიმშერმა, თუმცა მიხვდა, რომ ეს გულისგარეთ ნათქვამი „მადლობა“ ორივე მხრისთვის ზედმეტი იყო.

დააგვიანდა.

რამპით გაჩახჩახებულ სცენაზე ორატორი იდგა და იუგოსლავიის კონფლიქტის მოგვარების რეალურ გზებზე ლაპარაკობდა.

იქვე, კარებთან, იღბლად დარჩენილ სკამზე ჩამოჯდა და სმენად იქცა.

მოქადაგეს თვითონვე უკვირდა, რომ ასე უბრალოდ და დიდებულად შეეძლო საკითხის გადაწყვეტა, რომ სრულებითაც არ გასჭირვებია იმ გზების გამონახვა, რაზეც მსოფლიოს პრეზიდენტები და საგარეო საქმეთა მინისტრები თავს იმტვრევდნენ.

იუგოსლავიის კონფლიქტის მოგვარების სპეციალისტმა სიტყვა დაამთავრა თუ არა, თავმჯდომარემ ხავერდოვანი შთაგონებული ხმით გამოაცხადა:

– ბატონ ჯიმშერ კაპანაძეს ვთხოვთ პრეზიდიუმში.

სცენაზე რომ ადიოდა, ჯიმშერს ასი წლის კოლაუ ნადირაძის ფუნაგორია გაახსენდა: „ქანაობს პრეზიდიუმში, როგორც საკუთარ ჰამაკში, ღმერთო, რა ჭირად ჩამაგდე ამ ოღრაშების ბანაკში“.

სხვა დროსა და ვითარებაში სხვა მოვლენაზე თქმული ეს ფუნაგორია ახსენდებოდა ყოველთვის, ჯიმშერს, როცა პრეზიდიუმში უხმობდნენ.

სხდომის თავმჯდომარემ გვერდით მოისვა.

– შეგვაშინეთ, ბატონო ჯიმშერ, – უჩურჩულა.

– მოვედი კი. რა ხალხი შეგიკრებიათ, ყოჩაღ, მე ხომ გითხარი, მხარს დაგიჭერთ, მაგრამ პარტიაში ვერ შემოვალ, ჩემთვის უხერხულია.

– მაგაზე შემდეგ ვილაპარაკოთ, ბატონო ჯიმშერ. დღეს მარტო სიტყვა გვითხარით.

– სიტყვა, კი, ბატონო, მერამდენე გიწერივარ მანდ?

– მეშვიდე, გნებავთ, წინ გადმოგწევთ.

– არა, ბატონო. ბოლოსკენ მირჩევნია.

შესცქეროდა დარბაზს ჯიმშერ კაპანაძე და ფიქრობდა: ღმერთო ჩემო, რა გვეშველება, ამ კვირაში უკვე დავესწარი ცხრა პარტიის და სამი მოძრაობის დაფუძნებას. რა დოღია გამართული, კარგი არაფერი მოჰყვება ამ ამბავს.

მეო, ორატორი ტიროდა, დამშვიდებული ჩავალ საფლავშიო. მთელი სიცოცხლე ველოდი ამ პარტიის შექმნასო, თუ რამე გადაარჩენს ქვეყანას, სწორედ ეს პარტია გადაარჩენს, რა ჭკუას

უნდა ემსახურებოდეს ქართველი კაცი, რომ ჩვენი პარტიის არსებობა იცოდეს და სხვა პარტიაში შედიოდესო.

„მეშვიდე... თითო მოქადაგეს ათათი წუთი მაინც უნდა. შვიდი აიღე თუ გინდა... მოვასწრებ... უსათუოდ მოვასწრებ...“

ელვისებურად მუშაობდა მენეჯერის გონება. ახლავე მოვალო, თავმჯდომარეს დაუბარა და დინჯი ნაბიჯებით გაეშურა კულისებისკენ, დაცვის მუშაკს დაეღრიჯა, თუ ძმა ხარ, როგორმე გამაგებინე, როგორ გავიდე აქედან ქუჩაშიო, დაცვის მუშაკმა ხელის ტელეფონს რაღაც ჩაულაპარაკა და წინ გაუძღვა.

მთელი საბურთალო სახანძრო ფარეხჩართულმა სიგნალსიგნალ გაირბინა, მანქანა ორჯონიკიძის ნაძეგლართან კარებდაუკეტავად მიაგდო და კიბეზე შევარდა.

– საით? – არ შეიძლება – დაედევნა კარისკაცი.

– სხდომა რომელზეა?!

– მეხუთეზე! – მხნედ ასძახა კარისკაცმა, რომელიც პირველივე საფეხურებზე დარწმუნდა, რომ ჯიმშერ კაპანაძის დამწევი არ იყო.

სცენაზე მის გამოჩენას კანტიკუნტი ტაში მოჰყვა. ოვაცია არ გამართულა, ვერ მოგატყუებთ. განაპირა სკამზე მოკალათდა და გვერდით მჯდომს ჰკითხა:

– თუ ძმა ხარ, ხომ არ გამოვუცხადებივართ?

– არა, – დაუფიქრებლად მიუგო მიმგებმა, თუმცა არ იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე და საერთოდ, უხასიათოდ გახლდათ იმ არცთუ უბრალო მიზეზის გამო, რომ თავმჯდომარე სიტყვის მიცემას უგვიანებდა და მთლად დარწმუნებული არც კი იყო, საერთოდ მისცემდნენ თუ არა სიტყვას.

დრო, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, ჩვეულებრივზე ჩქარა გარბოდა.

ორი ოქროპირი გამობრძანდა ჯიმშერის იქ ყოფნაში და სიტყვა ორივემ ერთნაირად დაიწყო; მეო არც ერთი პარტიის წევრი არ გახლავართ და არც ვაპირებ რომელიმე პარტიის წევრობასო.

„ყველა ჩემზე ჭკვიანი რავაა“, გაიფიქრა კაპანაძემ და თავმჯდომარეს წერილი მისწერა; შეთანხმებისამებრ, როგორც ხედავ, მოვედი, თუ მაძლევ სიტყვას, დროზე მომეცი, დროში ვიწვები, ცეცხლი მიკიდიაო.

თავმჯდომარემ წერილი წაიკითხა და თავი დაუქნია.

– თუ ძმა ხარ, რა მოძრაობა ფუძნდება აქ?

– არ იცით? – ფეხი ფეხს შეუნაცვლა შეკითხვის მიმღებმა.

– როგორ არ ვიცი, სახელი გადამავიწყდა. მერევა ერთმანეთში.

– ეს მოძრაობა არ არის – პარტიაა. „გულიგულს და ღონეღონეს“ ჰქვია.

– აგაშენა ღმერთმა. ჯიმშერმა მეტი შეკითხვის მიცემა ვერ მოასწრო, ომახიანი სიტყვის სათქმელად ეს ინფორმაციაც საკმარისი აღმოჩნდა.

მისი გვარი რომ გამოაცხადეს, სწრაფად წამოდგა, მიკროფონს თავი აუწია და ფრიად ორიგინალურად დაიწყო.

– აღსრულდა!

ამ სიტყვით დაწყება საუკუნის დასაწყისშიც და ახლაც, საუკუნის დასასრულს, ორატორს ფანტაზიის გაქანების დიდ საშუალებას აძლევდა.

მეო, ამ მოძრაობას გულით ვესალმები, გულისფანცქალით ამოვდიოდი კიბეზე, აფერუმ, თქვენს მოფიქრებას; ან სახელწოდება რა დიდებული შეგირჩევიათო. ისე, ჩვენ შორის დარჩეს და, არა მგონია, ყველას გსურდეთ საქართველოს გამთლიანებაშერიგებაო. ელიავას რომ ეუბნებით, შეგვირიგდი, გამოდი ტყიდან, ჩაგვბარდი, ჩაგსვამთ, მოგცემთ ათ წელიწადს... ამას რომ ეუბნებით ელიავას, ეს რა შერიგებაა. შერიგება იმას ჰქვია, ორივე მხარე რომ ერთმანეთს აპატიებს, თორემ დამჭერის და დასაჭერის შერიგება სხვანაირად არ მოხდებაო.

ეს ნათქვამი დარბაზში მყოფ ოფიციალურ პირთაგან ზოგს არ მოეწონა, მაგრამ ტაში ბატონ ჯიმშერს მაინც დაუკრეს, აქაოდა დემოკრატიაა, ადამიანს რაც სურს, იმას ამბობსო.

– ძალიან ხომ არ გამიგრძელდა? – ჰკითხა ჯიმშერმა გვერდით მჯდომს, როცა შუბლზე ოფლი შეიწმინდა და სული მოითქვა.

– არა, – მოკლედ მოუჭრა შეკითხვამიცემულმა.

– ელიავაზე ხომ კარგად ვთქვი?

– კი.

საათს დახედა. გვერდით მჯდომს არ დამშვიდობებია (რაც აბეზარი „თანაპარტიელისაგან“

შეწუხებულს დიდად არ უნაღვლია), წამოდგა და უკანასვლით კულისებში გაუჩინარდა.

კულისებში უკუნი სიბნელე იყო.

დაკვირვებული თვალი (თუმცა სადღაა დაკვირვებული თვალი) შეამჩნევდა, რომ შავი ფარდის მიღმა ბეჰემოთის მსგავსი რაღაც ცხოველი სწრაფად მოძრაობდა. იგი იქეთაქეთ აწყდებოდა და, ფარდის ბადეში გახვეული, ეტყობა, გასასვლელს ეძებდა.

ბოლოს, რაკი ყველაფერი მთავრდება ხოლმე, ფარდაც დაცხრა.

თბილისის საპატიო მოქალაქის, ევგენი პრიმაკოვის, ქუჩაზე რომ ჩაუხვია, მხოლოდ მაშინ დახედა საათს.

ორმოც წუთზე მეტი გასულიყო.

საბჭოს მოედანზე გასვლის და შემობრუნების დრო აღარ იყო, მანქანა საავადმყოფოს ღობეს მიაყენა, გასაღები იქვე მდგომ პოლიციელს გადაუგდო და ყოფილი პროპაგანდის, ამჯერად (ჩრდილოკავკასიელ ჯიგიტთა და ერაყიდან ლტოლვილ ქურთთა მეგობრობის საზოგადოების) სახლის კარებში დურთა თავი.

პრეზიდიუმში ჯიმშერ კაპანაძის გამოჩენისას თავმჯდომარემ შვებით ამოისუნთქა, გაწამებულმა დარბაზმა კი არცთუ მრავალმნიშვნელოვნად ამოიხვნეშა.

– კაცმა რომ თქვას, სალაპარაკო არც აღარაფერია – ასე დაიწყო ჯიმშერმა და დარბაზიდან რამდენიმე ძილგატეხილის მადლიერი მზერაც დაიმსახურა, – ჩემზე წინ გამომსვლელებმა მშვენივრად ილაპარაკეს მოძრაობის მიზნებსა და ამოცანებზე. ახლა მთავარია, სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთ. საქმე კი, ჩემი წინა გამომსვლელისა არ იყოს, მართლაც ბევრია. აქ სწორად აღნიშნა ყველა გამომსვლელმა – მოლაპარაკებით და მხოლოდ მოლაპარაკებით... შეხვედრები, როგორც წინა გამომსვლელებმა აღნიშნეს, უფრო ხშირად და ინტენსიურად უნდა გაიმართოს...

სკამისკენ რომ მიდიოდა, ტაშის გრიალმა ისე გააკვირვა და გაახარა, რომ კინაღამ მიკროფონისკენ შებრუნდა, ბარემ ბოლო ლოზუნგსაც ვტყორცნი აუდიტორიასო, მაგრამ გადაიფიქრა და სწორადაც მოიქცა.

ხალხი ტაშს ძირითადად იმიტომ უკრავდა, რომ კამათი დამთავრდა. ეს ტაში ნაწილობრივ, რასაკვირველია, კაპანაძესაც ეკუთვნოდა რეკორდულად მოკლე და ბუნდოვანი სიტყვის გამო.

თავმჯდომარემ რეზოლუციის პროექტის კითხვა დაიწყო.

„ჯერ სამიც არ არის... ორზე დაიწყებდნენ. ზუსტად ორზე ვერ დაიწყებდნენ. ჩვენთან ზუსტად არასოდეს არაფერი იწყება. მომხსენებელი ნახევარ საათს მაინც ილაპარაკებდა... მივუსწრებ... უსათუოდ მივუსწრებ...“

პოლიციელი მოძებნა. გასაღები გამოართვა და საჭეს მიუჯდა. სიჩქარეში კარბურატორს ზომაზე მეტი ბენზინი გადააყლაპა. პოლიციელს სთხოვა, რაკი ამხელა სიკეთე მიყავ, ბარემ მოაწექი ამ დასაწვავსო.

ციხეს გაცდა. ტრიკოტაჟის აწ გაძარცვული ფაბრიკის კლუბის მიგნება არ გასჭირვებია. აქ „ოქროს ხანაში“ ერთიორჯერ იყო „ცოდნიდან“ ლექციის წასაკითხად.

„მოვიდა!“ – დაიძახა ვიღაცამ და სხდომასმოწყურებული საზოგადოება სკამებს მიაწყდა.

თურმე საზოგადოება „კერეკერეს“ დამფუძნებელ კონფერენციაზე ჯიმშერ კაპანაძე მთავარ მომხსენებლად იყო მიტყუებული და ეს პატიოსანი ხალხი მთელი საათი მოთმინებით ელოდა.

რა გაეწყობოდა. უარის თქმა და, მით უმეტეს, გაქცევა უკვე გვიან იყო.

ვიღაცას დასაფუძნებელი საზოგადოების სახელწოდება ჰკითხა. ტრიბუნაზე შედგა, ბოდიში მოიხადა მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო დაგვიანებისთვის და მოხსენება დაიწყო.

მოხსენება რომ ჩაამთავრა და „კამათი“ გაჩაღდა, გვერდით მჯდომ საინიციატივო ჯგუფის თავკაცს ჰკითხა:

– ხომ არ გამიგრძელდა მოხსენება?

– არა, ბატონო. ყველაფერი დიდებულად ჩამოაყალიბეთ.

– ერთი ეს მითხარი, განძის გატანაზე რა აზრის ხარ შენ?

– უნდა გაიტანონ, რასაკვირველია.

ჯიმშერს გული შეეკუმშა.

– დაბადების მოწმობაში ეროვნულობის გრაფის აღდგენაზე რას იტყვი?

– ბატონო ჯიმშერ, იმას ვიტყვი, რაც პროგრამაში გვიწერია. რაღა დროს ეროვნულობის ხაზგასმაა. რა საჭიროა, თვარა კი.

ჯიმშერს ენა გაუშრა. მიხვდა, რომ ამჯერად სულ სხვა პარტიის დამფუძნებელთა შორის აღმოჩნდა, მაგრამ რაღას იზამდა.

ენაწყლიანი გამომსვლელები შეუფერხებლად რატრატებდნენ, მაგრამ კაპანაძეს ერთი სიტყვაც არ გაუგონია. ვიღაცები ხელს ართმევდნენ, ვიღაცები კოცნიდნენ და მადლობას უხდიდნენ. გასასვლელში ორი სხვადასხვა პარტიის ლიდერის ქიჩავქიჩავს შეესწრო.

– გეშინია და იმიტომ! – ყვიროდა ერთი.

– ჩვენ არაფრის გვეშინია! – ყვიროდა მეორე, – ჩვენ შვიდპროცენტიანსაც გადავლახავთ და თხუთმეტპროცენტიანსაც.

– თქვენ ნაყარნუყარი პარტია ხართ! – ისევ ყვიროდა უშიშარი პარტიის მამაცი ლიდერი. მისმა ოპონენტმა, ჩანს უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა და ენა გამოუყო.

***

ღამდებოდა.

დილიდან ემზადებოდა საწვიმრად, მაგრამ ქალაქის თავზე ჩამოწოლილ ჯანღს გაწვიმება დღისით ვერა და ვერ მოეხერხებინა.

ღამით უსათუოდ იწვიმებდა.

ძველთაძველი „ჟიგულის“ ზეთგამშრალი ძრავის ჩხაკუნქშუტუნით შინ ბრუნდებოდა გულდამძიმებული ჯიმშერ კაპანაძე;

ჯიმშერს სისხლს უშრობდა იმის გაფიქრება, რომ მისდაუნებურად იგი დღეს უკვე მეხუთე პარტიის წევრი გახდა.

...მაღლა, ოქროყანის პირდაპირ, ჟანგისფერი შენობის მეხუთე სართულზე, ერთი პარტიის გენერალური მდივნის ნაცადი ხელით დინჯად, სვენებსვენებით იწერებოდა მომავალი პარლამენტის ზუსტი სია.

ბატონო სტუდენტებო

რა ჩემი ახსნა გინდათ, რომ მხედავთ, თქვენ თვითონვე ხვდებით, რომ თუ მეტი არა, სამი თქვენი ხნის მაინც ვარ.

ეს იმას ნიშნავს, რომ სამჯერ თქვენზე მეტ ხანს მიცხოვრია და სამჯერ თქვენზე მეტი მინახავს.

თქვენ საბჭოთა კავშირს არ მოსწრებიხართ.

ღმერთმა დამიფაროს საბჭოთა იმპერიის მონატრებისგან, მაგრამ რომ იცოდეთ, რამდენი დადის ჩვენში დღესაც ბოლშევიკური ნოსტალგიით შეპყრობილი.

სწორედ იმათთვის დავწერე ეს ნოველები.

***

ორმოცდამეშვიდე ქარხანა ქვეყნის გიგანტურ საწარმოთა რიგს არ განეკუთვნება. მომცრო ქარხანაა. რაღაც უშველებელი და ულტრათანამედროვე დანადგარისთვის („დანადგარი“ ხომ მოგწონთ) პატარა დეტალს აკეთებს. რა არის და რისთვის გამოიყენება ის დანადგარი, მხოლოდ ქარხნის დირექტორმა და მთავარმა ინჟინერმა იციან. დარაჯმა კოსტა ღვალაძემ დანადგარის რთული დანიშნულება კი არა, ისიც არ იცის, სად, რომელ ქალაქში გროვდება სხვადასხვა პატარაპატარა ქარხნების მიერ დამზადებული ნაწილები და სად აწყობენ დანადგარს (ან აწყობენ თუ არა საერთოდ). დარაჯს ჰგონია, მთავრობამ, უბრალოდ, საქმე გაუჩინა კოსტას საყარაულო დაწესებულებას. ორმოცდამეშვიდესაც ხომ უნდა გამოეშვა რაღაცა.

ცხრა აპრილია. თოვლუხვი, ზვავსაშიში ზამთარი იყო წელს და თუმცა ახლა ქალაქის ქუჩები მშრალია, ეზოებში და ჩრდილიან ადგილებში ისევ დევს ჭუჭყიანი, ნაწვალები თოვლი. მზემ დილიდანვე კეთილად, ერთგულად გამოანათა და დღეს პირველად გაერიდა თავის ჯიხურს კოსტა. სკამი ქუჩაში გამოდგა, დაჯდა და მზეს მიეფიცხა. არტელ „უსინათლოს“ მიერ მწყემსებისთვის სპეციალურად გამოშვებული, თექაამოკრული ქურქი ბოლომდე აქვს შეკრული და თავზე შინნაქსოვი ჩაჩი სათვალემდე ახურავს. სათვალის ცალი საყურე მოსტეხია და ძაფით მიუბამს მარჯვენა ყურზე. გაბურძგნულ, თეთრ წვერულვაშზე ხანდახან ხელს ისე გულდაგულ ჩამოისვამს, თითქოს ნიკაპის დაგრძელება სურსო. არ ენდობა ახალი აპრილის მზეს კოსტა და მართალიც არის. გუშინაც, დილით მზე გამოვიდა, მაგრამ ნაშუადღევს ცა მოტყვიავდა, ქარმა დაუბერა და სეტყვაგარეული წვიმა კარგა ხანს უტყაპუნა ყინვისგან ალაგალაგ დაგლეჯილამოჭმულ ასფალტს.

კოსტას სითბო ძვალრბილში გაუჯდა, ჩათვლიმა და მაშინ გამოერკვა, როცა კლუბის საწყობის გამგე თამაზ გალოგრე მოუახლოვდა და მოსალმების ნიშნად ლამის ყურთან ჩაუხველა.

– შენ ხარ? – კოსტამ ცალი თვალით გახედა.

– არ გამიჩერა ავტობუსმა, მაგ უპატრონომ.

– ხანდახან აჩერებს, ხანდახან არა.

– უკან ვიჯექი. შოფრამდე ვერ გავედი. ჭედვა იყო შიგნით. ვიყვირე, მარა ვერ გავაგონე.

ეს იყო სულ მათი მოკითხვამისალმება. თამაზმა ჯიხურიდან ტაბურეტი გამოიტანა, გვერდულად დაჰკრა ასფალტს და ფრთხილად, წელკავიანი კაცივით დაეშვა.

– გამოიტანე ნაჯახი და დალეწე ეგ დასაწვავი ბარეღამ. გალოგრეს გაეცინა.

– რა გაცინებს? არ შეგიძლია ნელა დადვა? მაინც, არ დაიმტვრა ერთხელ და სამუდამოდ და არ დაგასვენა შენც.

– მეტი არაფერი დაგმტვრევია, ჩემო კოსტა. სკამის მეტი რა ყრია საწყობში. მიკითხა ვინმემ?

– გიკითხა კი არა, თმას იბდღვნის ის კაცი.

– ვინ კაცი?

– დირექტორი. ამ დილითაც დამიბარა, რას შვრება საწყობისასო. აღმასკომიდან წამდაუწუმ მირეკავენო, ხვალზეგ დანგრევას იწყებენო.

– დაგახმარ ვინმესო, არ უთქვამს? მე დავცლი ამხელა საწყობს, ჩემი წელის პატრონი?

– რომ დაპირდი, უნდა გააკეთო. შუადღისთვის დაცლილი რომ არ დახვდეს, ერთ ამბავს იზამს. მე რომ მეუბნები, იმას რატომ არ უთხარი, ვერ შევძლებო. ახლა რავარცხაა, უნდა გააკეთო. რა გაქვს ამნაირი შით.

– შენ გგონია, მე ვიცი? რამდენი ხანია შიგნით არ შევსულვარ. გამოტენილი რომაა ვხედავ და რა ყრია, მახსოვს?

მკითხველს შეიძლება ცოტა უცნაურად და ხელოვნურად მოეჩვენოს გალოგრეს პასუხი. როგორ, საწყობის გამგემ არ იცის, რა აქვს საწყობშიო? მაგრამ ახლავე აგიხსნით ყველაფერს. ნეტავ, ასე ადვილად ასახსნელი ის მთავარი რამ იყოს, რაც ამ ნოველაში გათამაშდება. რისთვისაც რამდენიმე მილიონი კაცი მოვაცდინე და მართლა კარგი ნოველების წასაკითხად განკუთვნილი ოქრო დრო კინაღამ ფუჭად დავახარჯვინე.

ჯერ ერთი, თამაზი ყასიდად ამბობს, საქმის გასაძნელებლად ამბობს; არ ვიცი, რა ყრია შიგო, თორემ როგორ არ ახსოვს. ომი დამთავრებული არც კი იყო, რაც ეს საწყობი ჩააბარეს და დღემდე ერთგულად ასრულებს საწყობის გამგის, ამ შემთხვევაში, არცთუ ძალიან რთულ მოვალეობას. სხვა საწყობებისგან განსხვავებით, შედარებით იოლი იმიტომ გახლავთ ორმოცდამეშვიდე ქარხნის კლუბის საწყობის გამგეობა, რომ ქარხანაში კლუბი საერთოდ არ არის. სხდომებს და კრებებს ფიზკულტურის დარბაზში ატარებენ. თამაზის საწყობში, ძირითადად ყავლის გასვლის გამო ჩამოწერილი ნივთები და საპარადო ინვენტარი ინახება, თუ გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდა: ქალაქში დიდი სტუმარი არ ჩამოვიდა, ან რუსეთთან საქართველოს ნებაყოფლობითი შეერთების მორიგი ზეიმი არ გაიმართა, ძირითადად წელიწადში ორჯერ იღება საწყობის რკინის კარი – შვიდ ნოემბერს და პირველ მაისს. პარტკომის მდივანი და ადგილკომის თავმჯდომარე სამი დღით ადრე ქაქანით მოვარდებიან, გადაარჩევენ სურათებს, ლოზუნგებს და ტრანსპარანტებს. ზოგს უწაუწა აქვე, ქარხნის შესასვლელთან და ზევით, ფანჯრებზე გააკრავენ და ზოგს ცალკე გადააწყობენ, რომ დღესასწაულის მზიან დღეს, დილის რვა საათზე, თხოვნადაშინებით მოქუჩებულ, პარადზე თვალსაჩინოებით გასვლას არცთუ ძალიან მონატრულ მშრომელებს მისცენ ხელში და თან მკაცრად გააფრთხილონ, რომ საზეიმო ნივთი პარადზე გავლის მერე უკანვე, საწყობში მოიტანონ. ეს გაფრთხილება უსაფუძვლო რომ არ არის, განსაკუთრებით ის მკითხველი დამეთანხმება, ვისაც პარადში მონაწილეობის მრავალწლოვანი გამოცდილება აქვს. შემჩნეულია, რომ მესამეჯერ „ვაშას“ დაძახების და ხელმძღვანელი ამხანაგებით დახუნძლულ ტრიბუნასთან მარშის გრიალში ამაყად, თავაწეულად გავლის შემდეგ მოპარადეს სევდა იპყრობს. სევდას ვინ დაეძებს, ეჭვიც კი ჩნდება მის სულში, საერთოდ პარადის ამგვარი მასშტაბით ჩატარების საჭიროებამიზანშეწონილობის შესახებ. ხელში არაჩვეულებრივად დაუმძიმდება ხოლმე წუთის წინ მაღლა შემართული რომელიმე პასუხისმგებელი პირის ჩარჩოიანი პორტრეტი, ან გამამხნევებელი ლოზუნგტრანსპარანტი და თავში ცუღლუტური ფიქრი გაუელვებს; ხომ არ შეატოვოს ეს საყვარელი, საზეიმო ნივთი რკინადუღაბიანი ღობის შვერილს, ან რომელიმე მაღაზიის მინისაქეთა ვიტრინას. ეჩვენება, რომ რამდენადაც ბუნებრივი და ლამაზი იყო დამამშვენებელი აგიტაციის საგნით გავლა პარადზე, იმდენად უხერხული და ცოტა სასაცილოც კია პარადის დამთავრების შემდეგ თავიანთ მწარე ფიქრებში გართულ მოქალაქეებს შორის ახლო ნათესავის გადიდებული სურათივით მოგქონდეს მორიგი ბელადის პორტრეტი, ან რაც უარესია, სიტუაციას საეჭვოდ მისადაგებული, საამურ ცხოვრებაზე მიმანიშნებელი მყვირალა ტრანსპარანტი. თქვენ წარმოიდგინეთ, პარადზე გატანილი საზეიმო ნივთების ოცდასამი პროცენტი იმავე საწყობში აღარ ბრუნდება, სა-

იდანაც დილით წაიღეს. მაგრამ ამგვარ ინვენტარზე მოსახლეობის არცთუ მაინცდამაინც დეფიციტური მოთხოვნილების გამო ღობევიტრინებზე ღვთის ანაბარა მირჩენილი ეს ნივთები, ყურადღებიანი ამხანაგების მეცადინეობით, მაინც არ იკარგება. საბოლოოდ აღმასკომის ერთ დიდ საწყობში გროვდება და მერე აღმასკომის ენერგიული მუშაკები კვლავ გადაანაწილებენ ხოლმე მათზე დაქვემდებარებულ საწარმოებსა და უწყებებზე.

რაკი თამაზ გალოგრე დარწმუნდა, რომ დღეს მაინც ვეღარ გაექცეოდა საწყობის დაცლის უსიამოვნო მუშაობას, ისეთივე ტემპით, როგორც დაჯდა, წამოდგა, ტაბურეტი ისევ ჯიხურში შეიტანა და ჯიხურიდან ერთთითა, ჯვალოს ხელთათმანებმორგებული გამოვიდა. ჯერ წინ გაიშვირა ხელები და ხელთათმანებს დახედა, მერე მარჯვენაზე წაიძრო ხელთათმანი, იღლიაში ამოიჩარა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ბუკის მოყვანილობის ცხვირი ხმაურით მოიწმინდა. სუფთად გაპარსულ ყბებზე ცხვირის ენერგიულად მოხოცვის გამო მიმართულებადაკარგული, თავმსხვილი, თეთრყვითელი ულვაშები ხელით გულდასმით გაისწორა და მეგობარს მიმართა:

– ჩავალ, აბა, დავიწყებ ნელნელა.

– ჩამოგყვე? – ისე, ზრდილობისთვის შესთავაზა სამსახური კოსტამ, თორემ, ჯერ ერთი, პოსტს ხომ ვერ მიატოვებდა და მეორეც, აშკარად ჩანდა, რომ მტვრიან საწყობში ფათურის მაინცდამაინც დიდი სურვილი არ ჰქონდა.

გალოგრე მიუხვდა.

– რას მომეხმარები. აქაურობასაც მოცდები ტყუილად, თუ ნამეტანი გამიჭირდა, დაგიძახებ.

– შენ იცი.

რამდენი წელია გასული ათას ცხრაასორმოცდაოთხი წლის შემდეგ? თუ არ ვცდები, ორმოცდაოთხი. ორმოცდაოთხი წელია გალოგრე და ღვალაძე ერთმანეთს იცნობენ. თამაზი რომ აქ მოვიდა, კოსტა ორი თვის დაყენებული იყო დარაჯად. ისიც, დაჭრილკონტუზირებული, ადრე გამოედემობილიზირებინათ. ამ ხნის განმავლობაში ლამის ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს. გრუზათმიანი ბიჭები წლებით დამძიმდნენ და ერთად იქცნენ თავთეთრა ბიჭებად. ერთად დადიან ვეტერანთა შეკრებებზეც და ერთად იღებენ ომის ინვალიდთა მაღაზიის ტალონებს ვეტერანთა საბჭოში. ღვალაძე თავის გამოჩენის დიდი ტრფიალი არ გახლავთ, გალოგრე კი პირიქით, სიამოვნებით იკეთებს ხოლმე წითელ არშიას მკლავზე და ხან ფრონტელთა მაღაზიის კარებში დგას, ხან ქუჩაში სახალხორაზმელობს. მხოლოდ აქ შორდება ერთმანეთს ორი ღვაწლიანი კაცის დამოკიდებულება მოვლენების მიმართ. სხვა მხრივ, ისინი ერთმანეთს ძალიან ჰგვანან. დიდი მოლაპარაკე არც ერთი არ გახლავთ და ერთმანეთისა ხშირად უსიტყვოდაც ესმით. ხელფასის აღების დღეს, ტრადიციულად, შჩორსის ჩიხში პატარა სახელდახელო სამწვადეში შედიოდნენ, თითო ბოთლს დაიდგამდნენ, იჭუკჭუკებდნენ და შემხნევებულშეზარხოშებულნი შინ ბრუნდებოდნენ. შარშან სამწვადეში ღვინო რომ აკრძალეს, ვეტერანებს ჩვეულების მოშლაზე არც უფიქრიათ. მეგობრულ ტრაპეზს ფორმა უცვალეს, ხელფასის დღეს მორიგეობით ყიდულობენ ორ ბოთლ თეთრ ღვინოს (შავს წნევის გამო ერიდებიან), ჯიხურში ტაფაზე საეჭვო ტექნოლოგიით დამზადებულ ნახევარფაბრიკატების მაღაზიის კუპატს შეწვავენ და მანამ არ გაუყვებიან შინისკენ, სანამ პატარა, სათითურისხელა ჭიქებით იმ ორ ბოთლს წირვას არ გამოუყვანენ და აუცილებელ სადღეგრძელოებს (მათ შორის პირველი ვერდაბრუნებულთა მოსაგონარია) არ იტყვიან.

დაბერდა ორმოცდამეშვიდე ქარხანაც და დაბერდნენ ნაფრონტალი ბიჭებიც. ორმოცდამეშვიდე ამ მხარეში ინდუსტრიის ერთერთი პირველი მერცხალია. იგი ათას ცხრაას ოცდაშვიდ წელსაა აშენებული. ამ ხნის განმავლობაში სახელიც ბევრჯერ შეეცვალა და დანიშნულებაც. როგორც ამბობენ, თავიდან რძის ბიდონებს და ვენახის სარწყავ მანქანებს უშვებდა. მერე ჭაბურღილის ცილინდრის საწარმოოდ გადააკეთეს, ომის დროს ხელყუმბარების სასხლეტს ამზადებდა. გალოგრეს მოსვლის დროს, პნევმატური წნეხის გორგოლაჭების ქარხანა ერქვა, ათას ცხრაას ორმოცდაჩვიდმეტი წლიდან გამაგრილებელი წყლების ურიკებს აკეთებდა, სამოცდაცხრიდან, რატომღაც აირწინაღების სერიული დამზადება დაიწყო, ხოლო ეს მეხუთე წელია, „ორმოცდამეშვიდე“ უწოდეს და, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, რომელიღაც უნიკალური დანადგარის წრესამსახურში ჩართეს.

თინათინ ჭედია

* * *

სულ ორჯერ შევხვდი ერთ ქალბატონს. სტუმრად მისულებს არ დაგვენახა, სასტუმრო ოთახის კარს მიღმა სამზარეულოში ფუსფუსებდა, მერე კარს მოკრძალებით შემოაღებდა და მეუღლეს დაბალი ხმით, ლამის ჩურჩულით ეძახდა. ქმარი ჩვენთან საუბარს წამით სწყვეტდა, ბოდიშის მოხდით ოთახიდან გადიოდა, ბრუნდებოდა სხვადასხვაგვარი კერძებითა და ნუგბარით ხელდამშვენებული. ის თბილი ქალბატონი ჩვენს საამებლად ირჯებოდა.

სახალხო მწერლისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატის, ბატონი რევაზ მიშველაძის აზრების, ფიქრების გამზიარებელი, ნამდვილი მეგობარი და თანამეცხედრეა, ქალბატონი სვეტა, იგივ ნათელა გოგორიშვილია.

ბოლოს რომ ვესტუმრე ოჯახს, ქალბატონი ნათელა შემეგება, როგორც ახლობელს ან სულაც დიდი ხნის უნახავ სისხლით ნათესავს, მაგრამ რატომღაც, წამოსვლისას, მასთან დამშვიდობება გადამავიწყდა, არ ვიცი რა დამემართა, უზრდელი არ ვარ, მაგრამ ალბათ ის, რომ ბატონი რეზოს საუბარმა იმედიანი მაგიის ნისლში გამხვია. სახლიდან გამოვედი და დიდმა მწერალმა ეზოს ჭიშკრამდე მოგვდია მე და ნიკო ბაღაშვილს, გულიანად გაგვაცილა და ქუჩაში მიმავალს გული მომეწურა, სულით ხორცამდე ლამაზი ლამაზ ქალს რომ არ გამოვემშვიდობე. ახლა კი, უნებური უზრდელი საქციელის გამოსწორებას ვცდილობ. ყველა დედამიწური სიკეთე მემეტება ამ ქალბატონისთვის. უღრმესი პატივისცემითა დაკეთილი სურვილებით ვუძღვნი მას ამ ნოველას!

შემთხვევა ქვეგრიალაში



დილით, კარგად გათენებულზე უბანში გამოვიდა ორმოცდაათ წელს გადაცილებული გრძელფეხება აშხვართული, შავგრემანი, შავთვალა, შავ-ნაწნავიანი, ახალგაზრდობისას ოთხმოციანი წლების ბოლოს, სტუდენტ გოგონათა შორის სილამაზის კონკურსში გამარჯვებული, კარგი ბიჭის მიერ მოტაცებული და აგერ უკვე ოთხი წარმოსადეგი ვაჟკაცის დედა, უკვე ცნობილ სამხედრო პირად ქცეული კარგი კაცის ცოლი, ფილოსოფოსი ცაგო. ამაყად მიმავალი გან-გან და უმეტესად წინ მაცქერალი უბნელებსა და არაბ რესტორატორებს ვერანდაზე მდგომებსა თუ დამსხდრებს, ჩილიმს რომ თვალმილულულნი ტუჩებით ხარბად ექაჩებოდნენ, ქართული სილამაზის მქონე ქალის დანახვისას ფეხზე წამოდგომით სალმის ნიშნად თავებს აკანტურებდნენ, უკვე იმდენი მოგროვილყვნენ საქართველოს დედაქალაქში და კერძოდ ამ უბანში, რომ რესტორნები ისევ და ისევ თავისიანებისთვის გაეხსნათ, ვინაიდან ცაგოს მრავალი თბილისელის მსგავსად, მაგათ არცერთ ბარსა და რესტორანში, არამც თუ არ უსადილ-უვახშმია, ჭიქა წყალიც არ შეუსვამს, მიუხედავად იმისა, რომ არაბები და ზოგი ინდოელიც ისე, უბრალოდ, საპატივსაცემოდ, ცაგოს შვილებითურთ ეპატიჟებოდნენ მსუბუქი თუ მძიმე უცხოური კერძების დასაგემოვნებლად, მარტოდ მომავალს სუფრასთან მიპატიჟებას ვერასდროს უბედავდნენ, გულის სიღრმეში ლამაზი ქალის მეუღლისა და ვაჟებისა ეშინოდათ, შვილების გვერდით მდგომი ამაყი ცაგო, ყოველთვის თავს მოწიწებით ხრიდა და ინგლისურად უარობდა, შვილებიც თავაზიანად ეთანხმებოდნენ დედას და გზას განაგრძობდნენ, გაღიმებული და ნაზად განაწყენებული უცხოელი რესტორატორები მაშინვე მიმოიფანტებოდნენ.

ცაგო ნაკითხი, მოაზროვნე ადამიანი გახლდათ, უმაღლესი განატლების დასრულების შემდგომ ცოტა ხნით იფილოსოფოსა და ვერავის ვერაფერი გააგებინა, გაფსიქოლოგდა, საბოლოოდ კი ხელოვნებათმცოდნედ ჩამოყალიბდა. განსაკუთრებით კინო და თეატრი უყვარდა, ბოლო ჟამს თბილისის თეატრებში ახლად დადგმული სპექტაკლების შესახებ მშვენიერი რეცენზიების წერას მიჰყო ხელი, ქართულ კინოზე ვერაფერს წერდა, ვინაიდან ამ ეტაპზე კინო თთქმის

დასამარებული იყო. თეატრებში კი ცოტა ხალხი დადიოდა, ვინაიდან უხეირო 2023 წელი იდგა, არა მხოლოდ საქართველოსთვის, მსოფლიოსთვისაც მძიმე ეკონომიკური მოცემულობითა და დამანგრეველი ომების, სისხლმდინარე პერიოდი.

შუათანა ვაჟის ოჯახში მიეჩქარებოდა ცაგოს, თავის სეხნია, სამი წლის მოტიკტიკე გოგონას რომ ჩახუტებოდა,ეცვენებოდა, რომ ამ ქვეყნად მასზე ძლიერ აღარავინ უვარდა. პატარა ცაგო იყო მიზეზი და საიდუმლო ბებოს უბერებლობისა, მზე გოგოს გულისთვის არაფერი ენანებოდა ბებოს, უკვე მას უძღვნიდა დარჩენილი სიცოცხლის წოველ წამს, ის ამ პაწიწკინტელას გამო გაასმაგებულად, სიამოვნებით უვლიდა თავს, რომ პატარა ცაგოს ბებოსთვის აღფრთოვანებულს ეთქვა, რა ლამაზი ხარ, მიყვარხარო. ახლა მაღალფეხება ტანკენარ ცაგოს ყველაზე მეტად ტიტკიცა ცაგოს სიყვარული სჭიდრებოდა. გარდარეული და დაფეთებული სიყვარული ჰქონდა შვილიშვილის მიმართ და ეს იყო ძალზედ საამო გრძნობა, საინტერესოც, თითქოს თავიდან დაიბადა! ისე კი, ბევრჯერ დაიბადა თავიდან, როცა მართლა ძლიერ შეუყვარდა მრავალ-ომ– გამოვლილი და სიკვდილს გადარჩენილი ქმარი, რომელიც ეუბნებოდა, ყოველთვის შენს მიმართ არსებულ სიყვარულს გამოვყავარ ყველანაირი ჭირ-ვარამიდანო.მაშინაც თავიდან დაიბადა, როცა ოთხი ვაჟი გაუჩნდა და მაშინაც, ნაბოლარა ბიჭის ნათლია საქართველოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე რომ გახდა. ის ჩვილ შვილებს ტკბილი ქართული იავნანას მაგივრად შავლეგოს უმღეროდა, ცოტა რომ წამოიზარდნენ, ოტია იოსელიანის „დაჩის ზღაპრებს“ უკითხავდა, რომ ისინიც უშიშარ, ძლიერ, კეთილ ბიჭუნებად ჩამოყალიბებულიყვნენ. მართლა ყოველმხრივ კარგები გაიზარდნენ, სამშობლოს გულმხურვალე მოყვარულები, შეუპოვრები, მებრძოლები. ოთხივემ თავისსავე ქვეყანაში ცხოვრების გზა გაიკვალა, საზღვრებს გარეთ კი ტურისტებად ან უბრალოდ დასასვენებლად, არაუმეტეს ორი კვირით გადადიოდნენ, ხშირად თავიანთ მშვენიერ მშობლებთან ერთადაც. მოკლკედ, ახლანდელ დროში გარშემო მყოფებისგან განსხვავებით, შესაშურად და უიშვიათესად ბედნიერი იყო ცაგო, რასაც თავადაც თვალნათლივ გრძნობდა და უფალსაც ჰმადლობდა. ახლა, ამ წუთს ქმარი ენატრებოდა, რომელიც მივლინებით იყო გამგზავრებული ამერიკის შეერთებულ შტატებში და გულისფანცქალით ელოდა. თავჩაქინდრული მიდიოდა მომხიბვლელი ქართველი ქალი, რომელსაც გზად შემხვედრი ახალგარდები ყურადღებით შესცქეროდნენ და თვალს აყოლებდნენ. ადამიანური სილამაზე ყველა ასაკში მიმზიდველია, ვერ მოითმენ არ აღფრთოვანდე, გაიფიქრებ აუჰ, ახლა რა კარგია და ახალგაზრდობაში მზეთუნახავი იქნებოდაო და ადამიანს სულიც თუ მშვენიერი აქვს, ღრმა მოხუციც მიგიზიდავს დახვეწილობით, კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით, გულისხმიერებით, მის გვერდით ყოფნა სევდასა და ნაღველს დროებით მაინც რომ შეგიჩერებს, მოგელამუნება, ასეა ეს, ის გინდა ქალი იყოს და გინდაც კაცი.

კიევის ქუჩის ასახვევს გასცდა ცაგო და უკნიდან ხმა შემოესმა:-ნოდარიჩ, გაჩერდი გოგოო!

ხმა ეცნო ცაგოს, შეჩერდა, თანაკლასელი და დღეს უკვე ცნობილი მსახიობი ჭორფლა, იგივე ალეკო იყო, დოინჯშემორტყმული მისკენ შეტრიალდა და ნაწნავი მხარზე დაწვენილი ნაწნავი თავის აქნევით ზურგისკენ მოისროლა, უღიმოდა მისკენ ქოშინით მომავალ ჭორფლას.

-რამდენი ხანია მოგდევ გძელფეხებავ, მინდოდა მოგპარვოდი და მოგხვეოდი, შე ლამაზო, შენა!-ხელები გაშალა მსახიობმა და ბავშვობის მეგობარს მოეხვია, ლოყა ლოყაზე კი ვეღარ მიადო, ქალი მასზე ბევრად მაღალი გამხდარიყო, მიუხედავად იმისა, რომ დაბალძირიანი თეთრი ბოტასები ეცვა, ალეკოს კი მაღალი.

– შე ჭორფლა შენა!-ხელი მხარზე დაჰკრა ცაგომ.

– კარგი რა, სახელი არ მაქვს მე?

– შენ ახლაც ჭორფლიანი ხარ ბიჭო და მაგიტომ მოგმართავ მაგრე. შენ რად მეძახი „ნოდარიჩს,“ „ნოდაროვნა“ მაინც მიწოდე, კაცს ვგავარ ახლა მე?!

– ჩვენი რუსულის მასწავლებლის მოსაგონრად, მაგან არ შეგარქვა ეგრე? ცოცხალია,ხომ იცი!

– კი იქნება 90-ს მიტანებული ხო?-იკითხა ცაგომ.

– 96 წლისაა გორშკოვა!

– დედაჩემი ყოველთვის წუხდა, რუსული, რომ არ ვიცოდი და იცი, რატომ არ ვსაწვლობდი?

ვგრძნობდი ნინა გორშკოვასგან აგრესიას, ერთხელ დედაჩემს უთხრა, პრინციპში რად უნდა შენს გოგოს სწავლა, ისედაც ლამაზია და სკოლის დამთავრებისთანავე გათხოვდებაო და ამის გამო ორი დღე ტიროდა დედაჩემი, ეს რა მითხრა ამ რუსმაო!

ალეკოს გაეღიმა და თქვა:-ვფიქრობ, მაგ ქალს შენი შურდა, გახსოვს, მეათე კლასში დავით გარეჯაში რომ ვიყავით ექსკურსიაზე კლასი და ეგეც რომ წავიყვანეთ?

-ჰო, კი, როგორ არ მახსოვს!

-გორშკოვამ გვკითხა, როგორ ფიქრობთ ბიჭებო, ვინაა თქვენს კლასში ყველაზე ლამაზი გოგონაო? ჩვენ შენზე ვუთქხარით და ის დაიჭყანა, – უკვე ცხენს ჰგავს და მერე რაღა იქნებაო!

ცაგომ ხელი ჩაიქნია და ალეკოს დაუცაცხანა: – ტემპს მოუმატე, შვილიშვილთან მიმეჩქარება!

– რაღა მოვუმატო ქალო, სირბილით მოგდევ!

ცაგომ ხელი ჩაჭიდა ალეკოს, არიქა, ჩქარა, ქვეგრიალაშიო! ეგ რაღააო, გაიკვირვა კაფანდარა ჭორფლიანმა რიჟა კაცმა. ქალმა კი დასცინა:-კაცი ქართულ სცენაზე დგახარ და მეტროს ქართულად რომ ქვეგრიალა ჰქვია არ უნდა იცოდეო?! დედის სულს გეფიცები, პირველად გავიგე და დავიმახსოვრებო.

მირბოდნენ,შევიდნენ კოტე მარჯანიშვილის სახელობის ეგრეთ წოდებულ ქვეგრიალაში, ყველა რომ მეტროს ეძახის. წყვილი ხალხის ყურადრებას იქცევდა, გაღიმებულები თვალს აყოლებდნენ და, სადგურისკენ ჩამავალ კიბეზე რომ დადგნენ, ალეკო გაიპრანჭა-:დახე, როგორ მიყურებენ, იმიტომ, რომ ცნობადი სახე ვარ!

– და, მე არ მიმზერენ?

– ჩემი დამსახურებაა! – გაიბღინძა ალეკო. ქალს ჩაეღიმა და ჩაილუღლუღა, კაი, ბატონო, ეგრე იყოსო და ამაყად მიმოიხედა. ექსკალატორიდან გადმოვიდნენ, მატარებელიც მოსულიყო, ვაგონებიდან გამოსული ხალხი მოაწყდა მაღლა ამავალი მოძრავი კიბისკენ მიმავალ გზას. მოზარდები მოვიდნენ ალეკოსთან და მასთან ერთად ფოტოების გადაიღება მოითხოვეს. სელფი არ მინდაო, თქვა ალეკომ, ეშმაკურად გაიხედა ცაგოსკენ და წარმოსთქვა: – ეგე, ჩემი აგენტი და პროდიუსერი გადაგვიღებს ფოტოებსო. ბავშვებს ჭორფლას ნათქვამი მართალი ეგონათ და ცაგოს მოწიწებით მიაწოდეს მობილური ტელეფონი. ქალმა ცნობილ მსახიობს მიტმასნილ ახალგაზრდებს რამდენიმე ფოტო გადაუღო, ამასობაში მატარებელიც წავიდა. ცაგო შეწუხდა და ალეკოს მკლავზე უჯიკა, თან ყურში ჩასძახა: – აუ, გაგვასწროო!

– მეორე არ მოვა გოგო?! – ტაბლოს შეხედა მსახიობმა და შუბლზე ხელი იტკიცა:-რა ხდება ტო, ოცდაათ წუთში მოვა, რა ამბავია!

– ჰო, დიდი ინტერვალია, მაგრამ ვინაა ბიჭო შენი აგენტი!-წარბი აწია ცაგომ.

ალეკოს ხარხარი აუტყდა:-რაო, გაგიტყდა? – სათვალე ცხვირის ქიმზე ჩამოიცვა და გვირაბისკენ გაიხედა:-რაღაცა მოდის, რაღაცა, მაგრამ არა მატარებელი!

– უჰ, კაი ერთი, ნუღარ რატრატებ!-გაუბრაზდა ცაგო.

მსახიობმა ცაგოს ზურგი შეაქცია, ტელეფონი ჩართო და ახლო ხედი დააყენა:-დაიცა, გადავიღო, არ ვხუმრობ, რაღაცა მოდის!

ცაგოს შეეშინდა, ვინაიდან, მეტროს ჩვეული ხმაური შეწყდა, ყველას მზერა და ტელეფონმომარჯვებული მარჯვენა გვირაბისკენ იყო მიმართული. სპილო მოდისო აღნიშნეს, მაგრამ ცაგომ არ დაიჯერა. ბაქანზე მდგომ ხალხს მეტროს თანამშრომლები და საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებიც შემოუერთდნენ, თანაც ყველამ ზარი გაუშვა ახლობელთან, ატყდა იდუმალი ჩურჩულებიც. ცაგო დაიბნა, სურდა იქაურობას გასცლოდა, მაგრამ ალეკოს მიტოვება არ იკადრაა. მართლაც, ბაქანზე მატარებლის მაგივრად თეთრ-ეშვებიანი, უზარმაზარი სპილო შემობრძანდა. სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა, ალეკომ ქალის ხელს ხელი ჩასჭიდა და მკერდზე მიიკრო:-აი, ხომ გეუბნებოდი, გოგო!

სპილომ დინჯად გაიარა გარკვეული მანძილი, ცენტრში შეჩერდა და ხალხს თვალი მოავლო, კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ცაგოს პირისპირ აღმოჩნდა, ქალს მოეჩვენა, რომ სპილომ გაუღიმა. ცაგოს შიშმა გადაუარა და მის შუბლზე ხელის შეხების სურვილი გაუჩნდა. ალე-

კო ქალს წინ კედელივით აეფარა და სპილოს მობილური ტელეფონი მიუშვირა, ცხოველმა კი ხორთუმი ჭერისკენ აღმართა, მსახიობს ლამის ტელეფონი ხელიდან გააგდებინა და საყვირივით დასჭექა, იმ წამს ყველამ გაიფიქრა, მეტროს მატარებლების გამოძახილს ჰბაძავსო. ვიღაც წლამდე ბავშვმა ხელი სპილოსკენ გაიშვირა და კისკისით ბგერები წარმოსთქვა, ატა, ატა, და, მე!

ხალხის მიმართ კეთილად განწყობილმა ცხოველმა ხორთუმი დაუშვა, თავი ჩაქინდრა და გზა განაგრძო. გვირაბის მეორე ნახევარში შევიდა, ცოტა ხანს ჩანდა, მაგრამ მალევე გაჰქრა. ამგვარი რამ გასული საუკუნის 70-80-იან წლები რომ მომხდარიყო, ატყდებოდა ჩოჩქოლი, ზედახორა, წივილი, კივილი გულის-წასვლები... ახლა კი, არაფერი მსგავსი. ცაგოს ის გაუკვირდა, რომ ადამიანებს გაოცების უნარი თითქმის დაჰკარგვოდათ. ვიღაცამ წამოიყვირა:– „ფეიკია," უეჭველად ჩვენს შორის მყოფ მსახიობ ალეკოს მოწყობილი!

– მეე?!– დაიყვირა მსახიობმა,-არა ხალხო, არაფერ შუაში ვარ!

ისევ სიჩუმემ დაისადგურა. ცოტა ხნის შემდეგ ხალხი ალაპარაკდა, აშკარად მოჩვენება იყოო, საერთო ფსიქოზის გამოვლინება იქნებოდა, ამიტომ ყველას ერთნაირად მოგველანდაო, ზოგს სპილო მეტროში შემთხვევით მოხვედრილი უცხო პლანეტელი ეგონა, ზოგიც ასკვნიდა, სპილოს გამოჩენა კარგის ნიშანიაო, ანუ დაგვიბრუნდება წართმეული ტერიტორიები, გავბრწყინდებით და ავშენდებითო, ის ხომ ძლიერია, მშვიდი, ბარაქის და გამრავლების სიმბოლოო. ერთმა თქვა, იქნება და, არაბებზე მეტი სპილოებიანი ინდოელები მოდიან ჩვენს წასალეკადო და უფალმაც არ იცის, კიდევ რა დოზანასთან გამკლავება მოგვიწევსო, მოკლედ, წამში ხალხი გაპროფესორ-გააკადემიკოსდა. მოღუშულ სახიანი ადამიანებიც იღიმოდნენ, უკლებლივ ყველა გათავაზიანდა, ერთურთს ეღუღუნებოდნენ მატარებლის მოლოდინში.

უცბად გაჩნდნენ ეზოთერიკები, ასტროლოგები, ნუმეროლოგები, ვიღაც „გამტარები," წინასწარმეტყველები და ჯადოქრებიც. ხალხს სთხოვდენენ, გადაღებული მასალა გადმოგვიგზავნეთ, რომ მომხდარს ანალიზი გავუკეთოთ, ეს მოვლენა სწორად ავხსნათო. რამდენიმე წუთში ტიკტოზეც დაიდო სპილოს მეტროში გამოჩენის და გაქრობის კადრები სხვადასხვაგვარი კომენტარებით და მთელი საქართველოს, შესაძლოა მსოფლიოს მასშტაბით ატყდა აურ-ზაური. მატარებელიც მოვიდა, მაგრამ გადაქანცული ალეკო ჩაიცუცქა და ბავშვობის მეგობარს ქვემოდან ახედა, ცაგო გაოცებული დაჰყურებდა:-რა მოხდა, ეგრე რად მიცქერი?!

- ჭორფლი გაგიქრა ალეკო!

ვიღაც კაცი გაიძახოდა, ფსორიაზი მჭირდა და გამიქრაო, ერთი ბიჭიც შუბლზე ხელს იტყაპუნებდა, აკნეს კვალიც კი გამიქრაო. იმ ბავშვის მამა, საყვარელად ბგერები რომ წარმოსთქვა, ამტკიცებდა, იდაყვზე ყავისფერი ლაქა ჰქონდა და სადღაც დაიკარგაო.

ჩაცუცქული ალეკო აქეთ – იქით იცქირებოდა და გაიძახოდა, აჰა, ხალხო, ხომ ხედავთ, მე არაფერი სანახაობა არ მომიწყვიაო.

ცაგო ალეკოს წამოდგომაში დაეხმარ, ჩანთიდან პატარა სარკე ამოიღო და ჩაახედა. აღფრთოვანებულმა ალეკომ წარმოსთქვა: – უცნაურია, დაუჯერებელია, კარგია, საყვარელი სპილო! – ცოტა ხნით ხალხის ფუსფუსს, მოძრაობას უმზირა, მერე სარკე ცაგოს მიაწოდა და სახეზე მიაშტერდა, რომელსაც ისედაც შესანიშნავი კანი ჰქონდა და სპილოსაგან განსაკურნი არაფერი სჭირდა.

– ცაგო, მითხარი თუ ქალი ხარ, რა ჟანრში ვართ?

– პოსტმოდერნში!

– რაგვარ პოსტმოდერნში?

– მაგიურში, ჩემო ალეკოში!

ირაკლი ნადარეიშვილი

„მკუხე“ სიყვარული

- გიოქიტა! გამეგზავნე ერთი,,პაპიროსზე“, თუ კაცი ხარ – გადმოსძახა რთხმელის ძირას მჯდარ ყმაწვილს ოდიდან აპოლონმა.

არ გაუგია გიორგის გადმოძახილი, იჯდა თავჩაქინდრული და ჯოხით აგორავებდა მიწაზე რიყის ქვას.

- გეყურება, ბიჭო! – კეფაზე წაკრა ტორი, მოულოდნელად თავზე წამომდგარმა აპოლონმა.

- რაი?! – ისეთი თვალებით ახედა გიორგიმ, იმ მოგორიალე ქვასაც კი აატირებდა.

- აწი, აღარაფერი... პაპიროსზე მინდოდა გამეგზავნე, მარა... რავა, ბანკეტი გაქვს გიოქიტა, თუ გასართობად მოგიხატია მაგ პერანგი?!

- პერანგების გასართობად მოხატვიზა მაქვს საქმე მე, აპოლონ ბიძია?! – კითხვაზე კითხვა შეუბრუნა გიორგიმ ისე, რომ თავი არ აუწევია და გააგრძელა ჯოხით ქვის,,წვალება“.

- ჰოო...აბა, მაშვინ, ვინ დაგმდუღრა ასე, რომ ბანკეტზე ჭიქების გორიალს, მიწაზე ქვის გორიალი არჩიე, ბიძიკო?!

- არავინ... – ჩაიდუდღუნა გიორგიმ.

- ჰოდა, თუ არავინ, ადექი ახლა და შეუერთდი თანატოლებს, ნუ გამოიტირებ ამ დღეს ბრონცხი მოხუცივით, დამიჯერე, ბიძიკო, შენზე ორი პარასკევით მეტი მიცოცხლია და შეისმინე. ჰე, ადექი აწი, გეყურება?!

- ვერ მივალ ასე, აპოლონ ბიძია, დამანებე თავი, თუ კაცი ხარ.

- ასე, რაია, ვითამ?

- ე, ასე – თავი მიატრიალა და ლოყა მიაუშვირა აპოლონს გიორგიმ.

ახალ ამოშანთულივით ამობურცვოდა და ნამეტნავად, თვალში მოსახვედრად, წითლად ულაპლაპებდა ხუთი თითი მარცხენა ლოყაზე გიორგის.

- ვინ ქნა მაგ? – წარბები ჭეეჭმუხნა აპოლონს. ჩხუბის დრო იყო ახლა, ამ გაგანია ბანკეტისას, შე მამაძაღლო?

- არ მიჩხუბია მე...

- აპა, ნასიცხია, ხომ?!

- ვარესი...

- ქალის ამბავია მაგ, ხომ?! – ჩეაცინა აპოლონს. რას გეტყვი, ბიძიკო, თუ იცი?! ტარიელობა თუ გადაგიწყვეტია, საცხა, წყლის პირას ჩამომჯდარიყავი, რთხმელის ძირას მოტირალობას – გადაიხარხარა აპოლონმა. რა ქენი, გიოქიტა, ამისთანა, ასე გამეტებით რომ დოუდაღიხარ ვინცხა შეჩვენებულს?

- ვაკოცე...

- ვის, ბიძიკო?

- თოფურიების ნანიკოს.

- ხოხ! ძალით აკოცე,ბიჭო?

- არა, ჯერ ვუთხარი, მიყვარხარ– თქვა. იმან, მეც მომწონხარო... ჰოდა, ვაკოცე და მტკუცა...

- ჰოო... მკუხე იყო,ეტყობა – ჩაეცინა აპოლონს.

- რა იყო მკუხე ? – დაბნეულმა ამოხედა გიორგიმ.

- რა და მაგ შენი სიყვარული. მოუმწიფებელ სიყვარულს დოუმწიფებელი ხურმის გემო აქვს, ჩემო გიოქიტა. თვალს მოგტაცებს, მიგიზიდავს, მარაა... რავარც კი დააგემოვნებ, პირს მოგშუშხავს და ენას გადმოგაგდებინებს. ჰოდა, მერე შენც გულმოსული და იმედგაცრუებული

მოისვრი ბარდში იმ ნაადრევად მოწყვეტილ ხილს. არადა, ცოტა რომ გეცლია, სიყვარულის მზის სხივები აეკრიფა და სურვილით შეფაკლულიყო, ხომ თაფლად დაგადნებოდა ტუჩზე?! ასეა, ბიძიკო, სულწასულობამ – გულწასულობა იცის მერე – გადაიხარხარა აპოლონმა.

- დაგინახათ ვინმემ?
- არამგონია. სკოლის უკან ჭყონი რომაა, იქ მყავდა გაყვანილი, მარაა...
- რა, მარა?
- რა და იმფერი ხმა იყო, რომ მტკუცა, გზის გადაღმა ჭადარზე ყვავი დააფრთხო და ააფრინა– თავის ნათქვამზე გაეცინა გიორგის.
- ტიტუუ... შეხედე, რამფერი მწარე ხელი ჰქონია თოფურიების ქალს, ჰაა... ბეწვზე ხარ შენ გადარჩენილი, ბიძიკო, წიხლი რომ არ ამოგცხო ამოუცხობში, თვარაა, ჩემი დაკოდილი ბურვაკივით მოგიწევდა განდაგან ფეხების თრევა – სიცილისგან ვეღარ სუნთქვდა აპოლონი. ასე, ორ ხმაში იცინეს გვარიანი ხანი.
- ისე, ბაბუის სახელს ტყვილად არ გეძახდი, თურმე, ბიძიკო. კვიცი გვარზე ხტისო და აგერ, ბატონო! მაგ ჭყონის ძირში აკოცა ბაბუაშენმა გიოქიტამ პირველად ნათელას და ქეც გახდა ბებიაშენი. ჰოდა, მარიფათიც თუ ბაბუის დაგყვა, იცოცხლე, მოინადირებ ნანიკოს.
- წამოდექი, ახლა, ფეხზე და მყარად დადექი, თუ კაცი ხარ.
- რეიზა, აპოლონ ბიძია?
- წამოდექი – თქვა, რომ გელაპარაკები...
- ის იყო წელში გაიმართა გიორგი, რომ ზემოდან ქვემოთ ისეთი ალიყური გააწნა აპოლონმა, ორჯერ ადგილზე დაატრიალა ყმაწვილი.
- რას შობი, აპოლონ ბიძია, რეიზა მკლავ?! – ამოიღნავლა გიორგიმ.
- შენ კი არა, შენს სირცხვილს ვკლავ, ბიძიკო– თვალი ჩაუკრა აპოლონმა. ნამეტანი ქალის თითების კვალი გაჩნდა ლოყაზე და ერთნაერად გადიფარება ახლა. დამიგდე ყური, რას გეტყვი, გადადი ახლა ჩემთან, ნალიის უკან უნაგირია ჩამოკიდებული, „არაბოც“ მანდვეა საცხა გაშობილი... ჰოდა, შეკაზმე ცხენი და გასწიე ბანკეტზე, რაფრაც,,სასიძოს“ შეეფერება, ისთე. თუ ვინცხამ გკითხოს, რა დაგმართნიაო – უთხარი, ცხენმა ჩამომაგდო აპოლონის ჭიშკართან და ბეწვზე გადავრჩი, სული რომ არ გამაცხებია – თქვა – გაიგე, ხომ? ჰოდა, მიდი ბანკეტზე, არ შეიმჩნიო არაფერი და არც იმ შენს დამფსებს აარიდო თვალი. იმასხრე, იცინე და დრო რომ მოვა, ქეც გამეიცეკვე ის შენი,,ნესტან-დარეჯანი“. თუ დაგყვა, ხომ კაი, ესე იგი გაპატია და ყვარებიხარ, თუ არადა, სხვა იქნება მერე რაცხა მოსაფიქრებელი.

ცოტა ხანს იყოყმანა გიორგიმ და მერე უკანმოუხედავად მოწყდა ადგილს...

- ნამეტანს ნუ გამეიბრუჟები ახლა, გეყურება?! არ უხდება სიყვარულს სიმთვრალე, გიოქიტა! – ზურგში მიაყოლა სიტყვა აპოლონმა და სოფლის მაღაზიისკენ გაემართა ღიღინით.
- აპოლონს გოუმარჯოს, აპოლონს – მიესალმა ნოქარი. გვარიანი ხანია არ გამოჩენილხარ და ვიფიქრე, ხომ არ გააცხებია სული პაპიროსის წევამ – თქვა, მარა, რავარც ვხედავ, ულვაშების გაყვითლების გარდა, ვერ დაგაკლო ვერაფერი – პირი გადაედღლიზა ხუტაია ნოქარს.
- კარგად ვარ, ჩემო ხუტა, მოყვრის გასახარად და შენი გულის გასახეთქად, მარა, სხვა საქმეზე ვარ ახლა მოსული...
- რა საქმეზე? – სახე დაასერიოზულა ხუტამ.
- რაზე და წუხელ, შვაღამეს იქნებოდა გადაცილებული, ასე, ოცი სული მომადგა ოდაში...
- ხომ მშვიდობაა, აპოლონ, ვინ იყვნენ და რა უნდოდათ?
- რაი და ხუტაია მათხოვარს გამოვექეცით, ხაფანგში დასაგები მჭადი არ აქვს ოდაში და სანამ შიმშილით დავმწყდარვართ, სოციალური თავშესაფარი მოგვეციო-მეხვეწნენ შენგან გამოქცეული ვირთხები... ჰოდა, დავუყარე, სამადლოდ, სიმინდი და შენთანაც გამოვატანე ორი პეშვი, რავა, არ მოუტანიათ, თუ? – ახლა აპოლონს გადაეხსნა პირი ყურიდან -ყურამდე.
- ახია ჩემზე, მეტი მომიხდება, აქნობამდის ჭკუა რომ ვერ ვისწავლე, ჩაიდუდღუნა ხუტამ და გაწითლებულ შუბლზე მოიწმინდა სიმწრის ოფლი. რამდენი კოლოფი ნებავს დამაშვრალ

ვირთხების შემწეს და მწყალობელს? – თაროზე დაწყობილი პაპიროზისკენ წაიღო ხელი ნოქარმა.

- ჰოო... ერთს შენი ვირთხების გუშინღამ დაპურებაში გაგიქვითავ და ზევიდან კიდო სამი დაამატე, მაინც ჩემი სარჩენი ხართ ვირთხიან-კაციანად ყველა, თქვენს კუთხეში – გადაიახარხარა აპოლონმა.

- მიატიე ახლა, მე შენ გეუბნები – ბრაზი გაერია ხმაში ხუტას. სხვა გნებავს რამე?

- ერთი კილო ძეხვი მომიწონე კიდო და ნახევარი კილო,,პაჩენია", გევიგე, ანგელინა ბოზის ვალი დაგდობია და იმასაც გაგისტუმრებ გზად – არ ცხრებოდა აპოლონი.

ახლა ხუტასაც აუტყდა სიცილი. შენც გაიგე ანგელინას დაგლახავების ამბავი, ხომ?! იმ შეჩვენებულს პროდუქტით რომ დოუწყია საზღაურის მითვლა?! წინა კვირას შვიდი კილო კალბასი გავყიდე და სამი კიდო ნისიათ გავატანე ვინცა-ვინცხებს... ვფიქრობდი, რამ დაგეშა და გაამწარა ეს ხალხი ამ,,კალბასზე" და,,პეჩენიაზე"– თქვა და გამოვტეხე მერე ერთი-ორი.

- კაი, წავედი ახლა ხუტაია მე და ოჯახობა მომიკითხე, ოჯახობა – კარისკენ დაიძრა აპოლონი.

- სად მყავს ოჯახობა მე, შე სულგასაცხებო....

- შენი არა, ვირთხების, ვირთხების, ხუტაია – ბოლოში მაინც წაუმწარა აპოლონმა.

გვარიანი გარიჟრაჯებული იყო უკვე, ცხენი რომ შემოაგელვა გიორგიმ აპოლონის ეზოში.

– რაფერაა საქმე, გიოქიტა? – თვალი ჩაუკრა აპოლონმა ყმაწვილს.

– ბიჭია, აპოლონ ბიძია, ბიჭი! შენ გენაცვალე და გეხუტუნე მე ... თვალებში ნაკვერჩხლები უღვივოდა გიორგის.

– რაფრა? ასე ერთ კოცნაში ? – გაემასხრა აპოლონი. რაიო ბიჭო, ბოლო-ბოლო.

– რაიო და... ქეც ვიმასხრეთ, ქეც ვიცეკვეთ, ქეც მოვილხინეთ და მთვარის გაშუბისტარამდე, ქეც ვირონიეთ შენი „არაბოთი" ჭალა-ჭალა და შუკა-შუკა. თავიდან, ზედ არ მიყურებდა, მარა, რაფრაც შენ დამარიგე, არც მე შევიმჩნიე არაფერი. მერე, მივედი და ბოდიში -თქვა ვუთხარი სიყვარულით მომივიდა– თქვა... ჰოდა, კიდო, რაცხა-რაცხა მივაყარე, თუ სადმე გაგონილი და წაკითხული მქონდა და გეეცინა. მერე, იმანაც ბოდიშიო, ნამეტანი მომსვლიაო და ნაზად მომეფერა შენგან დასიებულ ლოყაზე, აპოლონ ბიძია. ეგ არაფერი,,,მკუხე" ხარ ჯერ – თქვა ვუთხარი, ჰოდა, ჯერ იწყინა და მერე, ქე ოუტყდა სიცილი და ჩამეხუტა. ჰოდა, თუ მასე ჩამეხუტება და მომეფერება, აგერ, მეორე ლოყაზეც შემომკარი და არ დამინდო, თუ ჩემი ბიძია ხარ – ვეღარ ჩერდებოდა სიხარულით აღტყინებული გიორგი. მაგ თუ ცოლად არ მევიყვანო წლეულს სწორს, მე არ ვიყო გიოქიტა – მკერდზე აკოცა აპოლონს ყმაწვილმა. თავისი ვეება ტორებით მიიხუტა ყმაწვილი აპოლონმა და ქუთუთოზე მომდგარ ცრემლზე ამხედრებულმა საკუთარმა ახალგაზრდობამ ჩაუქროლა თვალწინ. იმ დილით, სულ ხვა ხმაზე ყიოდნენ მამლები აპოლონის ეზოში და სულ სხვაგვარად ტკბილი იყო გიოქიტას,,მკუხე" სიყვარულიც.

12.11. 2023 წ.

-

ნინა გაჩეჩილაძე



ლოდი

...ერთი მაღალი მთის თავზე ქვის ლოდი იდგა შეურყევლად. მრავლისმომსწრე იყო...წვიმა, ჭექა-ქუხილი, თოვლი და ყინვა, მცხუნვარე მზე, ქარიშხალი...რა არ ენახა და რა არ გადაეტანა მის გლუვ, სარკესავით პრიალა ზედაპირს. მრავალჯერ მოუსველა და მოულბო წვიმამ სამყოფელი, უხვად ათოვა ზამთარმა. დაუნდობელმა ყინვამ დააზრო და ყინვის ლოდად გადააქცია– მრავალგზის. მზემ კი...მანაც კი გამოიჩინა გულცივობა– ცეცხლის ქურაში გამოატარა.ლოდი ღვთის ნებით ინარჩუნებდა ადგილს. მისი სიმტკიცე აოცებდათ მთის კალთაზე მდგარ მაღალ ხეებს, ხევში ღრიალით მიმავალ მდინარეს,ტყის ბინადართ. მგელიც კი გაკვირვებული იყო როგორ უძლებდა ლოდი ამდენ ჭირ-ვარამს. შემოდგებოდა ლოდზე და ყმუილით ამცნობდა მთვარეს მეგობრის სიძლიერეს. მთვარე ღიმილით ჩამოხედავდა, ნათელ სხივებს მოაფენდა ლოდს და ზედაპირს ვერცხლისფრად აუელვარებდა.

წვიმებმა დაიჭირა. ცა ფეხად ჩამოდიოდა ძირს. კოკისპირული წვიმა არ ინდობდა ლოდს, უშენდა და უშენდა გამეტებულად. სულ მოულბო სამყოფელი, ღრმად შეაღწია მიწის შრეებში და შეარყია-– ერთხელ, მეორედ, მესამედ. ძლიერმა რყევებმა სამყარო სხვაგვარად დაანახა მრავალჭირგამოვლილს და გამოცდილებამიღებულს. ირყეოდა ლოდი და ირყეოდა ირგვლივ ულამაზესი ბუნება. სისწრაფით ქროდნენ მწვანედ შემოსილი ხეები. ცაზე ღრუბლები საქანელასავით ქანაობდნენ, მზე სწრაფად მიქროდა ჰორიზონტზე. ცოტაც, ცოტაც და ნელი სრიალით დაცურდა, აღარ იყო ძლიერი, პირიქით -– უსუსური და დაუცველი, უმწეო გახდა... საოცარი სისრაფით დაეშვა ფერდობზე, სულ გადაქელა ლორთქო ბალახი, გზად შემხვედრი ხეები, ბუჩქები, ცისფერი კესანები. ხრიალით ჩაეშვა ადიდებულ, მღვრიე მდინარეში– ლოდის სიმძიმემ კიდევ უფრო რომ ამოაგდო კალაპოტიდან.

მთის წვერზე გაისმა მგლის ყმუილი, უფრო მკვეთრი, უფრო მძვინვარე და მარტოსული.

მოლოდინი

...საოცარია ბუნება ადამიანისა...როგორც კი მახსოვრობა იწყება, მოლოდინიც გაჩნდება. პატარა ბავშვის თვალები მუდამ ელის თბილ სიტყვებს, მოფერებას, ალერსს, საჩუქრებს, მშობლებისგან თუ ახლობელი ადამიანებისგან. ირგვლივ ყველაფერი აინტერესებს, ეცნობა სამყაროს და მის კანონებს. დგას გაზაფხული პატარას გულში.

მოზარდ ასაკში ელოდება მზის ამობრწყინებას, ზაფხულის ცხელი დღეებივით გამთანგველს, ალმურის მომდებს...სიყვარულს, ბედნიერებას. წინ ოცნებების ფართო შარაა გადაშლილი. ყოველივე თვალწარმტაცია და მშვენიერი მისი ნორჩი სხეულივით.

მწიფობისას ელოდება რგოლის გაშლას-– შემოდგომის უხვი მოსავალივით, ხვავ-დოვლათს,სიმრავლეს. ბედნიერია ირგვლივ შემოკრებილი მონაგარის ცქერით. ყოველი დღის გათენებით ხარობს და მეტს ცდილობს მათი გახარებისთვის. მოლოდინიც მეტია...ელოდება და ელოდება.

მალე ზამთარი დგება, თეთრი ფანტელებივით ჩნდება თმებში ჭაღარა. სახეზე ნაოჭების წყება შემოიპარება, მუხლი ახალგაზრდულად აღარ ემორჩილება, თვალიც აღარ უჭრის და სათვალეს ხმარობს. იცვლება ყველაფერი სხეულში...ცხოვრების ახალი ეტაპი იწყება, ცდილობ შეინარჩუნო სილამაზე, ყურადღებით ათვალიერებ საკუთარ თავს სარკეში და გეღიმება...ხვდები რომ ახლოსაა სიბერე... არ დრკები და მოლოდინით გასცქერი მომავალს-– ქარიზმატულს, ახალი ოცნებებით და იმედებით სავსეს. როგორც არასოდეს ისე გჯერავს საკუთარი თავის, ცეცხლში გამოწრთობილი ხმალივით მჭრელი ხარ. მეტი სიდინჯით, გულისყურით ლოცულობ და რწმენით გაძლიერებული ხელს უქნევ მოლოდინს. მთელი გულით ელოდები კვლავ და კვლავ,-– ულამაზეს წუთებს.

ყოველ კაცს დაულოცე ღმერთო მოლოდინი, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდება -– წელიწადის ოთხი დროსავით.

ირმა კეკელიძე

სახლი ზღვისფერი ფანჯრებით

სექტემბრის თვე იდგა. თბილისური მზიანი დილა გათენდა. წინამძღვრიშვილის ქუჩაზე ჩქარი ნაბიჯებით მიაბიჯებდა საშუალო სიმაღლის, ოდნავ ჩაფსკვნილი, თეთრი, მრგვალი პირისახის ქალბატონი, რომელიც დიდ, ცისფერ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. ხელში დიდი, შავი, გაბერილი ჩანთა ეჭირა. ახალადაშენებული კორპუსის დიდ, შავ ჭიშკართან გაჩერდა. ღრმად ამოისუნთქა, ჭიშკარი ჭრიალით გააღო და ეზოში შევიდა.

– მერი მოვიდა, მერი! – შესძახა ეზოში მდგარ ხის გრძელ სკამზე ჩამომჯდარმა მოხუცმა ქალბატონმა ზიზიმ და სიხარულით ტაშიც შემოჰკრა. მისი ხმის გაგონებაზე, ახლადაშენებული კორპუსის ეზოში, პირველი სართულის, ეზოს მხარეს არსებული რკინის კარებიდან ხანში შესული მამაკაცი, ვახტანგი გამოვიდა. მერის დანახვაზე მასაც გაეღიმა და ხელგაშლილი მიეგება.

– მოხვედი, მერიკო?! მთელი კვირაა არ გამოჩენილხარ. ძალიან დავდარდიანდი. ვიფიქრე, რამე ხომ არ შეემთხვა-მეთქი. როგორც ჩანს მძიმე ჩანთა გიჭირავს, დაგეხმარები, – უთხრა ვახტანგმა მერის და ჩანთა ჩამოართვა. მერი ქოთქოთით შევიდა მოხუცთა სახლში, რომელიც ახალადაშენებული კორპუსის პირველ სართულზე განთავსებულიყო.

– ოჰ, როგორც იქნა, მობრძანდა ჩვენი დაკარგული ქალბატონი, – ფეხდაფეხ მიაგება პანსიონის დირექტორმა მერიკოს და თან თვალებით ანიშნა, ტახტზე ჩემს გვერდით ჩამოჯექიო. მერიკო გვერდით მიუჯდა და თან ცისფერ თვალებს აქეთ-იქით ინტერესით აბრიალებდა.

– როგორ არიან მოხუცები?... ხომ ყველაფერი წესრიგშია?... ღერღილი, მჭადის ფქვილი და მეგრული სულგუნი მოგიტანეთ. გუშინ მომიკითხა ზუგდიდიდან ჩამოსულმა ნათესავმა, – ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობდა მერი და თან ინტერესით პანსიონის დირექტორს, ქალბატონ ლალის შეჰყურებდა. ლალიმ მხარზე ხელი დაადო და მშვიდად უპასუხა:

– წესრიგშია, ყველაფერი წესრიგშია. შენ როგორა ხარ, მერიკო, რა ჰქენი, მოაგვარე პრობლემები?

მერიკომ ორივე ხელი მუხლებზე დაიწყო. ცოტა ხანს დუმდა. შემდეგ ლალის თვალებში შეხედა და ხმადაბლა ჩაიბურდღუნა:

– მოვაგვარე, თუ ამას მოგვარება ჰქვია, მაგრამ აღარ დავეძებ. ხელმეორედ გადავაგირავე სახლი. მე და ჩემი ავადმყოფი, უსინათლო ძმა ისევ იმ პატარა სამზარეულოში ვიქნებით, სადაც აქამდე ვიყავით. ცოტა უფრო მეტად მინდოდა გადამეგირავებინა, მაგრამ არ გამომივიდა. სვანეთის უბანში, მაღლობზე მეტი არ მომცეს. ეჰ, რა ვქნა, რაც არის, ეს არის!...

– ბიჭისგან რამე ისმის, მერიკო? – შეეკითხა პანსიონის მობინადრე ვახტანგი და თან იქვე სავარძელში ჩამომჯდარმა სიგარეტი გააბოლა. ამის შემყურე ლალი სიბრაზით წამოწითლდა და მერიკოს პასუხის გაცემაც აღარ დააცადა, ეტაკა ვახოს და სიგარეტი ხელიდან წაგლიჯა.

– რამდენჯერ გთხოვეთ, ბატონო ვახტანგ, სიგარეტი აღარ მოგეწიათ. ორჯერ მყავდა თქვენს გამო სასწრაფო დახმარება მოყვანილი და ისევ იგივეს აკეთებთ?!

– არა, ქალბატონო ლალი, როგორ გეკადრებათ, რამდენი ხანია სიგარეტი აღარ მომიწევია. დღეს, მერიკო რომ დავინახე, ზედმეტი ემოციისგან თავი ვეღარ შევიკავე. მაპატიეთ, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, სიგარეტს აღარ გავეკარები, – ემუდარებოდა ბავშვივით დაბნეული ვახტანგი პანსიონის დირექტორს.

– კარგი, ლალი, გეხვეწები, აპატიე. ყველა გაგანერვიულეთ ჩემი ოჯახური ცხოვრებით და პრობლემებით... კიდევ კარგი, ჩემი ბიჭი მშვიდობით ჩავიდა ადგილამდე. ძალიან ვნერვიულობ

და განვიცდი, მაგრამ სხვა საშველიც რომ არ გვქონდა. არ მინდოდა ჩემი ერთადერთი შვილი სადღაც უცხოეთში გადახვეწილიყო. თან როგორ ვზრდიდი... წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი. განათლებული ბიჭია, პროფესიით ისტორიკოსი, მაგრამ ვის რად უნდა შენი ისტორია და განათლება, – თქვა გულმოკლულმა მერიკომ და ტახტიდან ყოჩაღად წამოდგა. იქვე სამზარეულოში შევიდა, ცოცხს და აქანდაზს ხელი წამოავლო და მოხუცების ოთახების დაგვა დაიწყო.

შუადღემ მოატანა. პანსიონის კარები ახალგაზრდა, სანდომიანი სახის ქერათმიანმა ქალმა შემოაღო. აქეთ-იქით მიმოიხედა. ფოიეში არავინ იყო. გეზი სამზარეულოსკენ აიღო. სამზარეულოში შესულს ჭურჭლის რეცხვაში გართული მერიკო ზურგშექცევით დახვდა. ქალი მერის ზურგს დაჟინებით მიაშტერდა. შემდეგ მკაცრი ხმით მიმართა:

– მერი!

მერიმ ჭურჭლის რეცხვა წამით შეწყვიტა და სახე ქალისკენ მიაბრუნა. ქალი თავს აქნევდა და გაბრაზებული უყურებდა მერის... ქალმა მკაცრად გააგრძელა და მერის შეკითხვები მიაყარა:

– მერი, რატომ მითიშავ ტელეფონს? რატომ არ მპასუხობ? – მერიმ პასუხი არ გასცა. ჭურჭლის რეცხვა განაგრძო.

– მერი, შენ გელაპარაკები! პასუხი გამეცი! მასხრად მიგდებ ამხელა ქალს?!... რა გჭირს, ავად ხომ არა ხარ?!

მერიმ თავი ვეღარ შეიკავა, ჭურჭლის რეცხვა შეწყვიტა, ხელები საგულდაგულოდ დაიკაპიწა, შემდეგ დოინჯი გაიკეთა, გამეხებული სახით მოტრიალდა და მკვახედ უპასუხა:

– რა გინდა, ნანა, რას გადამეკიდე, რატომ გინდა, რომ წყობიდან გამომიყვანო? რატომ გინდა, რომ შეურაცხყოფა მოგაყენო?!... იცი, შენ როგორ მიყვარხარ!

– ვიცი, ამაში ეჭვიც არ მეპარება, მაგრამ ძალიან მწყინს, რომ არ მიჯერებ, ყურს არ მიგდებ და ჩემს რჩევას არაფრად აგდებ! – უპასუხა ნანამ და მერის მისდაუნებურად მიუახლოვდა. ხელი ხელზე მაგრად წაავლო და სთხოვა, რომ სამზარეულოში მდგარ მაგიდასთან რბილ სავარძელზე ჩამომჯდარიყო. მერი დაემორჩილა. თავჩაქინდრული სავარძელში დაეშვა და ჩუმად მიმართა ნანას:

– მითხარი, რა გინდა, რატომ დამდევ? აქ ჩვენი სამსახურია, ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ. რატომ გინდა, რომ გული მატკინო?! მელაპარაკები იმაზე, რისი მოსმენაც არ მინდა და რასაც არასოდეს დავთანხმდები.

– მერიკო, ძალიან კარგად იცი, რომ შენთვის სიკეთე მინდა. გეხვეწები, მომისმინე და დამიჯერე! – არ ეშვებოდა ნანა.

– მოგისმინო, დაგიჯერო! რა ადვილად და უბრალოდ ამბობ... რა მოგისმინო, რა დაგიჯერო!... ან რატომ უნდა მოგისმინო? რატომ უნდა დაგიჯერო? – არ ცხრებოდა მერი.

– რისი იმედი გაქვს, მერიკო? ღმერთმა შანსი მოგცა, რომ მდგომარეობიდან გამოხვიდე და უარს ამბობ? რითი ვერ გაიგე, რომ აფხაზეთში მთელი არქივი განადგურებულია, ის სახლი ისედაც აღარ არის შენი!... იქ ჩვენი აღარაფერი არ არის!...

ნანას სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ სამზარეულოში მათ ცხარე კამათს პანსიონის შეფი, ქალბატონი ლალი შემოესწრო. ორივე გაისუსა. ლალიმ ინტერესით გადახედა ორივეს და შუბლშეკრულმა ოდნავ მკაცრი ტონით მიმართა:

– რა ხდება, რატომ კამათობთ?... სადაცაა მოხუცები უნდა ვასადილოთ და რას ფიქრობთ, დიდხანს აპირებთ კამათს?

– არა, ჩემო ლალი, ახლავე მივხედავთ ყველაფერს, ახლავე!... გაიგე, გოგო?!... მიხედე საქმეს, – დაუქაქანა მერიკომ ნანას და სამზარეულოში ციბრუტივით დატრიალდა.

***

შუადღე გადასული იყო. მერიკო პანსიონის ფოიეში ტახტზე ჩამომჯდარიყო და თავისთვის თვალებდახუჭული თვლემდა. უცებ მობილური ტელეფონის ხმამ გამოაფხიზლა. დაბნეულმა მობილური ტელეფონი ყურთან მიიდო და ხმამაღლა უპასუხა:

– გისმენთ!... კი ბატონო, გისმენთ!... რომელი ხართ?... ლეილა?... ჰო, გისმენ, ლეილა! – მერიმ სერიოზული სახე მიიღო და გაირინდა. რამოდენიმე წუთი უხმოდ ჰქონდა მობილური ტელეფონი ყურთან მიდებული და გამეხებული სახით თავზე წამომდგარ ზიზის უაზროდ მიშტერებოდა. ამასობაში ფოიეში ნანა და ლალი ხელში ხილით სავსე თასებით შემოვიდნენ. მათი ყურადღება მერის მკაცრმა და ხმამაღალმა ლაპარაკმა მიიპყრო.

– ლეილა, ძალიან მიხარია, რომ ბავშვი კარგად არის!... ძალიან ვნერვიულობდი... მაგრამ ჩემიც მოისმინე!... რას მთხოვ, ლეილა, რას?... ჩემი სახლი როგორ მოგყიდო, როგორ? ... ის ჩემი სახლია!... იცხოვრე, ისედაც ხომ ცხოვრობ, მაგრამ გაყიდვას ნუ მომთხოვ!... რა გინდა, ლეილა, ცოცხლად გინდა დამმარხო?!...დამანებე თავი, ლეილა, ჩემი გაჭირვება მეყოფა!... – გაბრაზებულმა მერიმ მობილური გათიშა და იქვე ტახტზე მიაგდო. ფეხზე წამოდგა, პანსიონის კარი გააღო და გარეთ ქაქანით გავიდა. ლალიმ და ნანამ ხილით სავსე თასები პანსიონის ფოიეში მდგარ მაგიდაზე მოათავსეს. დირექტორმა მერის თვალი გააყოლა, შემდეგ ნანას მიუბრუნდა და ჰკითხა:

– ამიხსენი, რა ხდება, განერვიულებული ჩანს, რაღაცას მიმალავთ, მითხარი, რა ხდება? ხომ მშვიდობაა მერის ოჯახში?

ნანამ ლალის შეხედა და თითქმის ხვეწნით მიმართა:

– ქალბატონო ლალი, იქნებ თქვენ დაელაპარაკოთ, იქნებ თქვენ შეაგნებინოთ რამე.

– მითხარი, რა ხდება და მოგიკვდეს ჩემი თავი, აგერ არა ვარ?!... რა არის ისეთი, რომ მერიმ მე არ დამიჯეროს?... – ინტერესით ჩაეკითხა ლალი. ნანამ მზერა პანსიონის კარისკენ გადაიტანა, მერი ხომ არ დაბრუნდაო და დაიწყო:

– რა, ქალბატონო ლალი, და სოხუმიდან მერის აფხაზი მეზობლები, ლეილა და ნატო ჩამოვიდნენ თბილისში. რძალ-მული არიან. ლეილას ბავშვი არ ჰყავდა კარგად და აქ, თბილისში გაუკეთდა ოპერაცია. ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ბავშვი გამოკეთდა. ლეილა ოჯახთან ერთად, ამჟამად სოხუმში, მერის მამისეულ სახლში ცხოვრობს. უვლის იქაურობას. მერიც კმაყოფილია, რომ ლეილა ცხოვრობს მის სახლში. ლეილას ცხონებული ქმარი, მერის ნათესავი, ქართველი იყო. ლეილამაც კარგად იცის ქართული. მერისთან ურთიერთობა არ გაუწყვეტიათ. ტელეფონით აქვთ ერთმანეთთან კავშირი. გუშინ დილით ლეილა სახლში მეწვია და მთხოვა, რომ მერის დავლაპარაკებოდი და მეთხოვა, სახლი მისთვის მიეყიდა.

– რომელი სახლი? ვერ გავიგე, – ჩაეკითხა ლალი.

– რომელი სახლი და სოხუმის სახლი, სადაც ახლა ლეილა და ნატო თავისი ოჯახებით ცხოვრობენ. – ლალიმ მხრები აიჩეჩა და ისე უპასუხა:

– რა უნდა მიყიდოს, ისედაც მათი არ არის?

– ჰოდა, მეც ამას ვეუბნები. ისედაც დაკარგული აქვს ყველაფერი. იქ ჩვენი კანონმდებლობა არ მოქმედებს. მადლისთვის ლეილა წესიერი ადამიანია და სთავაზობს გარკვეულ თანხას, რისი შესაძლებლობაც აქვს, აიღე და მეც მშვიდად ვიქნებიო. მხოლოდ მინდობილობას სთხოვს, რომ თანახმაა მერი, მისი სახლის მესაკუთრე ლეილა იყოს, მისი აფხაზი ნათესავი და მეზობელი. თანაც იმ ფულით, ქალბატონო ლალი, დაგირავებულ სახლსაც გამოიხსნიდა ეს საცოდავი, ვალსაც მთლიანად გაისტუმრებდა და იმდენიც დარჩებოდა, რომ კარგა ხანს პრობლემაც აღარ ექნებოდა. მაინც დაკარგული აქვს ყველაფერი და ეს იმ თანხის სანაცვლოდ, რასაც ლეილა სთავაზობს, მინდობილობასაც არ აძლევს. ვერაფერი ვერ გავაგებინე, ვერაფერი ვერ შევაგნებინე. იქნებ, თქვენ დაელაპარაკოთ, ქალბატონო ლალი, ძალიან მეცოდება. სოხუმში ჩვენი ოჯახი მეგობრობდა მათ ოჯახთან, დიდ პატივს ვცემდით. თვითონაც ვუყვარვარ, იმიტომაც მომიყვანა თქვენთან სამუშაოდ, მაგრამ ხომ ხედავთ, რა ჯიუტი ქალია, რა ქვის ნატეხია, – სულმოუთქმელად ლაპარაკობდა ნანა და ლალის მუდარის თვალებით შესციცინებდა. ლალი გაოგნებული იჯდა და ხმას არ იღებდა. შემდეგ თავზე ხელი გადაისვა, ნანას შეხედა და გაოცებულმა უპასუხა:

– კარგი, დაველაპარაკები. შევეცდები დავითანხმო.

ამასობაში პანსიონის დერეფნის კარი მერიმ ქოთქოთით შემოაღო, ხელში პოლიეთილენის პარკი ეჭირა, რომელშიც რამოდენიმე თონის პური საგულდაგულოდ მოეთავსებინა. გეზი სამზარეულოსკენ აიღო, მაგრამ ლალის ხმამ შეაჩერა:

– მერი, პური სამზარეულოში შეინახე და მოდი, აქ დამიჯექი, შენთან სალაპარაკო მაქვს.

მერი სწრაფად შევიდა სამზარეულოში და, როგორც იტყვიან, თვალის დახამხამებაში ლალის გვერდით, ტახტზე, ყელმოღერებული წამოსკუპებულიყო. ფოიეში ვახოც შემოვიდა და იქვე სავარძელში ჩამოჯდა. ხელში გაზეთი მოიმარჯვა და ჩუმად კითხვა დაიწყო. ლალიმ ვახოს გახედა, შემდეგ მერიკოს მიუბრუნდა და დაუყვავა:

– მერიკო, რა ხდება, ბინა ხომ გადააგირავეთ?

მერიმ გაკვირვებულმა შეხედა და უპასუხა:

– ამ დილით, ყველაფერი ხომ მოგახსენეთ, ქალბატონო ლალი?! ბინა არა, სახლი, სახლი გადავაგირავე ხელახლა.

– მერიკო, ნანამ ყველაფერი მითხრა. რატომ ჯიუტობ? რატომ იტანჯავ თავს? ისედაც კარგად იცი, რომ ყველაფერი დაკარგული გაქვს. ვინ დაიბრუნა სოხუმში სახლი, რომ შენ დაიბრუნო?... შენი ნათესავის ცოლი, შენი ყოფილი მეზობელი, აფხაზია? – ჩაეკითხა ლალი და მერის პასუხს სულმოუთქმელად დაელოდა.

– დიახ, აფხაზია, კარგი ქალია, არაფერი მეთქმის, ის მისას მთავაზობს...

ლალიმ მერის ლაპარაკის დამთავრება არ დააცადა და თვითონვე გააგრძელა:

– როგორც ჩანს, წესიერი ქალია, თორემ სხვა, მის ადგილზე მყოფი, ვინ რას შემოგთავაზებდა? სოხუმში შენი სახლის იურიდიული მესაკუთრე ვინ არის?

– იქაური კანონმდებლობით ლეილაა, ქალბატონი ლეილა, მაგრამ მასაც უნდა, რომ ჩემთან მართალი იყოს და მეც ვისარგებლო რაღაცით. მხოლოდ მინდობილობას მთხოვს, მაგრამ არ შემიძლია, ქალბატონო ლალი, არ შემიძლია, მისგან მე ფულს ვერ ავიღებ, ვერ გავყიდი ჩემს სახლს, მამაჩემის სახლს, თეთრ სახლს, ზღვისფერი ფანჯრებით! ასჯერ მეტიც რომ მომცეს, არ მინდა! – მერიმ ორივე ხელი ზემოთ ასწია და ჭერს ახედა. გაოგნებული ლალი მერის მიშტერებოდა. დუმილის შემდეგ ლალიმ მერის მიმართა:

– მერიკო, ძალიან გთხოვ, ყველაფერს რეალურად და ჯანსაღად შეხედე. გაიაზრე, რა დღეში ხარ. შენი ხელფასით თვიდან თვემდე ვერ გაგაქვს თავი. თან ავადმყოფ ძმას უვლი. შენი შვილიც იძულებული გახდა უცხოეთში წასულიყო და არც კი იცი, რას შეძლებს და რას მოახერხებს. სახლიც დაგირავებული გაქვს... აიღე ფული და მოიგვარე შენი პრობლემები. რისი იმედი გაქვს, მერიკო, დაფიქრდი!

მერიმ თვალზე მომდგარი ცრემლი მუშტით მოიწმინდა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

– იმედი ღარიბი ადამიანის სანოვაგეა, არც დაგანაყრებს და არც მშიერს დაგტოვებს.

ლალიმ თანაგრძნობით შეხედა მერის, შემდეგ ვახოს და ნანას გადახედა. დუმილის შემდეგ ისევ მერიკოს მიუბრუნდა და ჰკითხა:

– კარგი სახლი გქონდათ სოხუმში?

უცებ ნანამ თავი ასწია და მერის მაგივრად უპასუხა:

– ქალბატონო ლალი, მათ ოჯახს ყველა იცნობდა სოხუმში. გამორჩეულად შეძლებული ოჯახი იყო. ვისთვისაც არ უნდა გეკითხათ, ყველა სოხუმელმა იცოდა, ვინ იყვნენ კანკავები. ყველაზე პრესტიჟულ და ძვირადღირებულ ადგილზე ცხოვრობდნენ, ლესელიძის ქუჩაზე. საკუთარი სანატორიუმი ჰქონდათ, ედემის ბაღით და სამი ულამაზესი აუზით.

– აუზებს ნუღარ გამახსენებთ. მიწით ყოფილა ამოვსებული და ზედ პომიდორი, ქინძი და ოხრახუში მოჰყავთ თურმე. ბაღში იმდენი ჯიშის კაქტუსი და სხვადასხვა დეკორატიული მცენარეები მქონდა, რომ ვერც ვითვლიდი. სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტი მაქვს დამთავრებული. გამწვანების დიზაინერ-დეკორატორი ვარ პროფესიით და რა უფლება მქონდა, ედემის ბაღი არ მქონოდა, – ისევ აქაქანდა მერი.

– მერი, ვიცი, რასაც გრძნობ, რა განცდაც გაქვს, მაგრამ დაფიქრდი, ცივი გონებით იმსჯელე და ისე მოიქეცი, როგორც შენს მდგომარეობას სჭირდება. ის ფული, რასაც ლეილა გაძლევს,

დაკარგულ სოხუმის სახლში, რეალურად შენთვის ხომ საჩუქარია?! – უთხრა ნანამ და ლალის შეხედა გადიდებული თვალებით. მერის არც კი შეუხედავს მისთვის და თითქოსდა მისი ნათქვამი არც კი გაუგიაო, ისე განაგრძო:

– ვიცი, რასაც ფიქრობთ ჩემზე, თქვენს თვალში ალბათ დებილს ვგავარ, მაგრამ დებილი არ ვარ!

– რას ამბობ, მერიკო, დებილი კი არა, საოცარი ადამიანი ხარ, – თავი ვერ შეიკავა ვახომ, გაზეთი გვერდით მაგიდაზე გადადო და მერის გაოცებული თვალებით შეხედა:

– მე შენი ძალიან კარგად მესმის. მეც ჩამაცივდნენ ჩემი ოჯახის წევრები, შენი ვალტორნა გაყიდეო, მაგრამ არ გავყიდი! ასაკში ხარ, არ მუშაობ, ვეღარ უკრავ, რად გინდა, ტყუილად რომ გიდევსო. კარგი კლიენტი გვყავს და, გინდა თუ არა, გაყიდეო!

– მერე, გაყიდე, რატომ არ ყიდი, თუკი მაინც არაფერში აღარ იყენებ? – დაუფიქრებლად მიახალა ნანამ.

– რაო? ხომ არ გასულელდით თქვენ, ჩემს ვალტორნაში მთელი ჩემი ახალგაზრდობაა დარჩენილი... მე სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრში ვუკრავდი, მუსკომედიაშიც ვმოღვაწეობ-დი. სულ ასეთი კი არ ვიყავი, – გაბრაზებულმა უპასუხა ვახომ.

– რატომ გაბრაზდით, ვახტანგ ბატონო, მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ რა ინსტრუმენტია ეს ვალტორნა ასეთი, რომ გასაყიდად ვერ იმეტებთ-მეთქი. მაჩვენა მაინც რა არის და როგორია, – დაუყვავა ნანამ ვახოს და თვალის მზერა ისევ მერიკოსკენ გადაიტანა. ვახო მისი ასაკისთვის შეუფერებელი სისწრაფით წამოდგა და ფოიე დატოვა. შემდეგ ისევ სწრაფად დაბრუნდა და ხელში ვალტორნას პატარა, ოქროსფერი მოდელი ეჭირა... მოდელი ნანას თვალებთან მიუტანა და უთხრა:

– აი, ეს არის ვალტორნა, ეს მისი მოდელია, ჩასაბერი ინსტრუმენტია. საქართველოში ყველა პროფესიონალი მუსიკოსი მიცნობდა მე, ვახტანგ იაშვილს, როგორც ვალტორნის საუკეთესო დამკვრელს. საკმაოდ რთული საქმეა ვალტორნაზე დაკვრა, ადვილი არ გეგონოთ. უცხოეთში ათი ათასი დოლარი აქვთ ხელფასი, ვინც ვალტორნაზე უკრავს, ხოლო, როდესაც პენსიაზე გადიან – საამური და უზრუნველყოფილი ცხოვრება... მე კი რა, საცოდავად 180 ლარი მაქვს პენსია. როდესაც ჩემი პატარა შვილიშვილი მოდის ჩემს სანახავად, სირცხვილით ვიწვი. ბავშვისთვის ვერაფერი ვერ მიჩუქნია.

– გამაგიჟებს ეს ხალხი. ერთს დაკარგული სახლის გაყიდვა არ უნდა, მეორეს კი გამოუყენებელი ვალტორნის! – გაოცებას ვერ მალავდა ნანა და ხან ვახოს და ხანაც მერის გაბრაზებული სახით მიშტერებოდა. ლალიმ ნანას შეხედა და სევდანარევი ღიმილით მიმართა:

– ვერ განვსჯით, ნანა, ჩემო კარგო! ხომ ხვდები, მათ გულებში რა ტკივილიც არის ჩაბუდებული. ნუღარ გავანერვიულებთ. იყოს ისე, როგორც მათ უნდათ!

ვახომ ლალის მადლიერების თვალით გადახედა. შემდეგ ისევ მის ხელთარსებული ვალტორნის ოქროსფერ მოდელს დახედა და პანსიონის ფოიე ნელი ნაბიჯებით დატოვა. მერიმ თვალი გააყოლა ვახოს და თავისთვის წამოიწყო ლაპარაკი:

– მე ჩემს სახლს არც სოხუმში გავყიდი და არც მაჭარკაში.

– მაჭარკა სადღაა? – ჩაეკითხა ლალი.

– მაჭარკაშიც გვქონდა სახლი მე და ჩემს ქმარს, ალექსანდრე ბეჭვაიას. ღმერთმა ნათელში მიმყოფოს მისი თავი. მაჭარკაში პორტიც იყო და სვანეთში მიმავალი გზაც. მაჭარკასთან ახლოს იყო აგუძერაც, დრანდაც, გუმისთაც, მაიაკიც... როდესაც მაიაკი დაიბომბა, ვინც კი გადარჩა, თითქმის ყველა ჩვენთან გვყავდა სახლში. ზოგმა სვანეთის გზით დატოვა იქაურობა, ზოგიც გემით ფოთის გზას დაადგა. ჩემი სახლი ყველას თავშესაფარი იყო. ყველაფერს ვაკეთებდით მე და ჩემი ოჯახი, რომ მიგვეხედა მათთვის... ბევრი კონსერვები მქონდა გაკეთებული, სურსათიც ბლომად გვქონდა მომარაგებული. ვინც შევიფარეთ, არავინ არ გვიშიმშილებია. მაინც ბედნიერი ვარ, რომ ყველაფერი მათ მოვახმარე, ღმერთმა შეარგოთ!... ბოლოს, როცა იქ გაჩერება შეუძლებელი იყო, ჩვენც დავტოვეთ იქაურობა. მთელი ოჯახი გემით ფოთში წამოვედით. ჩემი შვილი შალვა ძალით ავიყვანეთ გემზე, საიდანაც გადმოხტომა სცადა და ძლივს გავაკავეთ... ჩემი

ბიჭი ოცნებობს, რომ მის სახლში ჩავიდეს, მისი სახლი ნახოს და მისი ოცნების სახლი როგორ გავყიდო? ჩემი ხელით დავწერო მინდობილობა და დავადასტურო მისი საბოლოოდ დაკარგვა? – მერიმ თავი ჩაღუნა და ლამინირებულ იატაკს უაზროდ დაუწყო ცქერა. ლალიმ თანაგრძნობით გადაუსვა თავზე ხელი და მორიდებით ჰკითხა:

– ძალიან გენატრებათ იქაურობა?

– მე ხომ ფიქრებით იქ ვცხოვრობ. იქ ვიძინებ და იქ ვიღვიძებ, სოხუმში, ჩემს სახლში, ჩემს ლამაზ ეზოში... ჩემი ბაღის, ჩემი ყვავილების, ჩემი ზღვის სურნელი მენატრება. ჩემი ოცნება, ჩემი მონატრება, ჩემი იმედი როგორ გავყიდო? – მერის ცრემლები რომ დაემალა, სავარძლიდან წამოდგა და სამზარეულოში გავიდა...

***

საღამოს, როდესაც მოხუცებმა ივახშმეს, მერიმ პანსიონში ყველაფერი სწრაფად მიალაგ-მოალაგა, იატაკი მოწმინდა და მოაპრიალა, ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა და წასასვლელად მოემზადა.

– მიდიხარ, მერიკო? ხვალ ისევ მოხვალ? – ფეხდაფეხ მიაყოლა შეკითხვების კორიანტელი მოხუცმა ზიზიმ. მერიმ თანხმობის ნიშნად უსიტყვოდ თავი დაუქნია და გასასვლელისკენ გაემართა.

– მერი, მოიცადე, არ წახვიდე! – მოესმა ლალის ხმა. მერი შეჩერდა. პანსიონის დირექტორი მიუახლოვდა და ხელში სავსე ჩანთა შეაჩეჩა.

– რა არის ეს, ქალბატონო ლალი? – ჩაეკითხა მერი პანსიონის შეფს.

– რა არის და საჭმელია. ცოტა ხილი, ცოტა ხორცი, ცოტაც ღვინო, თონის პური და ცოტა ტკბილეულიც. შინ რომ მიხვალ, დაღლილი იქნები, ძმასთან ერთად ივახშმე და დაისვენე! – ხმადაბლა უპასუხა ლალიმ. მერიმ მადლობის ნიშნად უხმოდ გაუღიმა ქალბატონს და პანსიონი დატოვა...

***

სექტემბრის თბილი საღამო იდგა. წინამძღვრიშვილის ქუჩაზე ნელი ნაბიჯებით მიაბიჯებდა საშუალო სიმაღლის, ოდნავ ჩაფსკვნილი, თეთრი, მრგვალი პირისახის, ცისფერთვალება ქალბატონი და ფიქრობდა: „მე განა არ ვიცი, რომ ჩემთვის სიკეთე გინდათ. განა არ ვიცი, რომ ყველაფერი ისედაც დაკარგულია?! მაგრამ ჩემს გულს რა ვუყო?! ჩემს თავს არ ვჩივი, ამქვეყნიურ ცხოვრებასაც არ ვჩივი! მთავარია, უფალთან ვიყო მართალი!... ან რა უნდა დავიჩივლო?...არა, მე არაფერს არ ვჩივი, რაც ჩემს თავს ხდება. მე მხოლოდ ვტირი, ისე, უბრალოდ ვტირი, მეტი არაფერი!... საკმარისი არ არის, რაც ძალით წამართვეს?! ჩემი ხელით, ჩემი ნებით როგორ მივცე დასტური იმის გაცემაზე, გაყიდვაზე, საბოლოოდ დაკარგვაზე, რაც ჩემია?! ყველამ იცის, რომ მართალი ვარ!... ჩემთვის კი სიმართლე ყველაფერია!... ძველი არქივი განადგურებულიაო! იქ შენი არაფერიაო! შენი თეთრი სახლი ზღვისფერი ფანჯრებით და ეზო-კარი მაინც დაკარგულიაო!... რაში მაინტერესებს მაგათი ოხერი არქივი?! მთავარი ის არის, უფლის არქივში რაც წერია! უფლის არქივს ვერავინ წაშლის, ვერავინ გაანადგურებს! უფლის არქივში ყველაფერი სიმართლე წერია!... სიმართლე კი მჩქეფარე წყალივითაა, დიდმა მორმაც რომ ჩაუხერგოს გასასვლელი, თავის გზას მაინც იპოვნის!“

ფიქრებში წასულმა, მძიმე ჩანთით ხელში, ვერც კი იგრძნო, როგორ აუყვა ნელი ნაბიჯებით სვანეთის უბნისკენ მიმავალ აღმართს. როგორ უნათებდა მთვარე ჩამობნელებულ, დადუმებულ, შინისკენ მიმავალ მტვრიანი ქუჩის ოღროჩოღრო გზას... შინ მარტოდ დარჩენილ უსინათლო ძმას კი მისი ფეხის ხმის მოლოდინში სული და გული ელეოდა... გარეთ კი უკვე ბინდმორეული, სექტემბრის მშვიდი, თბილისური საღამო იდგა...

ხათუნა ჩიტაძე

ნაძვის ხე

ქაოსში ძლივს ვართმევ თავს, რომ ნივთებს ადგილი მივუჩინო... მერე კი სევდის მძივები მებნევა ყელზე, მოგონებების ჯარი მოდის ჯარად! ერთ წუთს ვყუჩდები და ოთახის კუთხეში დატუქსული ბავშვივით სკამზე ჩამომჯდარი მოგონებების წამიერ, უსიერ ტყეში შევდივარ... ვგრძნობ, რომ ყველა მენატრება გაღმა გასულთა საუფლოდან, მაგრამ მამა... მამა უფრო ძალიან მენატრება ახლა, ამ წუთში, ამ წინა საახალწლო დროს.

ბავშვობაში, ახალი წლის წინა დღეებში მამის ხელით საგანგებოდ მოჭრილი ნაძვის ხე ირთვებოდა. როგორ ველოდი, როდის შებინდდებოდა, რომ მამის მანქანა გამოჩენილიყო ჩვენი ქუჩის თავიდან. უზარმაზარი ნაძვის ხის მოსართავად მთელი ჩვენი ნათესაობა მოდიოდა, იყო ზეიმი, ჟრიამული და მამის სიხარულით, ბავშვივით ანთებული გიშრის თვალები. თვალწინ მიდგას სხვადასხვა ზომის ყუთები და შიგ ფაქიზად, დედის ხელით ჩალაგებული ულამაზესი ნაძვის ხის სათამაშოები. მამა კიბეს ამოიტანდა და ყველა, დიდი თუ პატარა, მისი განკარგულების ქვეშ ვიმყოფებოდით. როგორი მადლიერი ვარ შენი, მამა. ახლა, აქედან გეუბნები იმას, რომ დამიტოვე ულამაზესი მოგონებანი... მიყვარხარ! ისევ ისე, როგორც ყოველთვის. კინოფილმის კადრებივით იშლება ის დეტალებიც კი, რაც იქ, იმ წუთებში ხდებოდა და ბოლოს, აბრიალებული ნაძვის ხე! ყველაზე ლამაზი და სრულყოფილი! ისეთი, როგორიც არასდროს, არსად მინახავს და ვერც ვერასოდეს ვნახავ, – მამისეული ნაძვის ხე! ოთახის სურნელი მახსოვს... წიწვების ფერი... და ის ფერი, რომელიც აღარასოდეს განმეორებულა იმ ბავშვობის მერე...

წერილი უცნობს

შენ ის ხარ, რომელსაც არასდროს შევხვედრივარ, არადა მთელი ცხოვრებაა, მიყვარხარ, მენატრები, ვფიქრობ შენზე... ნეტავ, ერთხელ მაინც მენახე, მცოდნოდა, თუ ვინ, როგორი იყავი, რა ფერის თვალები გქონდა.

უცნაურია არა?... ეს ისტორიაც ძალიან უცნაურია.

მაშინ ათი-თერთმეტი წლის ვიყავი, ძალიან მგრძნობიარე, სხვებზე მზრუნველი გოგონა, რომელიც დედას გვიანობამდე ეხვეწებოდა, რომ კიდევ ერთი შვილი გაეჩინა, იქნებ, როგორმე და მყოლოდა, რომელიც მთელი ცხოვრების ნატვრად შემომრჩა... განსაკუთრებით ამ ასაკში ვიყავი გაფაციცებული, იქნებ დედას ჩემი საოცნებო სიტყვა, – ფეხმძიმედ ვარ!– ეთქვა.

დიდი ოჯახი გვქონდა, დიდი და რთული. ჩემთვის არავის ეცალა, ყველას თავისი საქმე და საზრუნავი ჰქონდა. მახსოვს, განსაკუთრებით ძმებს „ვედებოდი ფეხებში“. ალბათ, ამიტომ სულ ვეძებდი პატარას, რომ ჩემთვის განკუთვნილი ყურადღება – რომელიც სახლის კუთხის კუნჭულში მიგდებულიყო, იქნებ როგორმე სხვაზე გადამეტანა და გამომეყენებინა.

ერთ დღეს, როგორც ყოველთვის, მამა სამსახურიდან ძალიან დაღლილი დაბრუნდა. სისხლიანი ხალათები ამოიტანა და დედას მიაწოდა – გამოხარშეო. მერე სავარძელში ჩამჯდარი უჩვეულოდ დიდხანს იჯდა და რაღაცაზე ფიქრობდა, ჭერში იყურებოდა გაშტერებული თვალებით. მე, როგორც ყველაზე ნაბოლარა და ერთადერთი გოგონა, მამას გამორჩეულად ვუყვარდი და ხშირად მეთამაშებოდა. ახლაც, როგორც ყოველთვის, მოსვენებას არ ვაძლევდი და სათამაშოდ ვიწვევდი. ისიც გამიკვირდა, შეპირებული თოჯინა რომ არ მომიტანა, რადგან თითქმის ყოველ კვირაში მოჰქონდა თოჯინა, ხშირად სახელით „ნასტია“.

მამა ვერ ავიყოლიე თამაშში და დავრჩი გაოცებული. იგი თითქოს ვერც კი ამჩნევდა ჩემს შემაწუხებელ და ზღვარგადასულ ხვეწნა-მუდარას. ცოტა ხანში მშობლების საუბარს მოვკარი ყური, რომ საავადმყოფოში რომელიღაცა ბავშვთა სახლიდან ერთი ძალიან კარგი, პატარა გოგო მოეყვანათ. მამას სასწრაფო ოპერაცია გაუკეთებია მისთვის – „აპენდიციტის“, ძალიან მოწონებია ბავშვი და დედას სთხოვდა, რომ სახლში მოეყვანათ და ერთად გაეზარდათ. წამის სისწრაფით შევვარდი ოთახში.

– ესეიგი ჩემი და იქნება?!

– კი, ვიშვილებთ და დაიკოც გეყოლება.

– ორ დღეში უნდა გაწერონ და სახლში მოიყვანთ?

– აუცილებლად, – დამაჯერებელი ხმით მითხრა დედამ.

ასეთი ბედნიერი წამები, წუთები და საათები არასდროს მქონია! მახსოვს, სამყარო უცბად შეიცვალა ჩემთვის, ის ჩემი მეგობარი გახდა. მთელი უბანი მოვირბინე, ყველას ვუთხარი, რომ ასეთი რამ ხდებოდა ჩვენს ოჯახში, რომ მეყოლებოდა პატარა და და ამ სიტყვების გამეორებისას სრულყოფილ ბედნიერებას ვგრძნობდი.

– ვალაგებდი ჩემი სამოსის კარადას, ვათავისუფლებდი ადგილს, თუ სად რა უნდა დაეწყო, ისიც ვიფიქრე, რომ მას ბევრი ნივთი არ ექნებოდა, ამიტომ ჩემი ნივთების გაყოფაც დავიწყე. ფული მქონდა შეგროვებული, გონებაში უკვე ვყიდულობდი მისთვის ჭრელ კაბას, სხვადასხვა ნივთებს, თმის სამაგრებს, მას რაც გაუხარდებოდა. დაახლოებით ორი ან სამი წლით პატარა უნდა ყოფილიყო ჩემზე, როგორც მამამ თქვა, მე უფროსი ვიქნებოდი და ვფიქრობდი, თუ რო-გორ კარგად მოვექცეოდი მას, როგორ ვივლიდით სკოლაში ერთად, როგორ დავეხმარებოდით გაკვეთილების მომზადებაში. ყველაზე ლამაზი სასკოლო ნივთები ექნებოდა და, ჩვენ მისაბაძი დები ვიქნებოდით.

სახელი არ მახსოვს.... ეტყობა არ თქვა მამამ, დაზუსტებით არ იცოდა რა მოხდებოდა, თორემ არ დამავიწყდებოდა მისი სახელი. ღამეები არ მეძინა. განსაკუთრებით ბოლო ღამე, უთენია ავდექი და ოთახში კიდევ ერთხელ ვასწორებდი მისთვის გადარჩეულ ნივთებს.

ზაფხული იყო, ცხელოდა, აწრიალებული და მოლოდინით გატანჯული ახლა სათამაშოებს ვყოფდი შუაზე, უფრო მეტი მისთვის მქონდა გადაწყობილი. თმის სამაგრები, როგორები იყო, ახლაც მახსოვს, რადგან ძალიან მძაფრად აღვიქვამდი ყოველივეს.

მამა ერთსა და იმავე დროს ბრუნდებოდა შინ. მის მოსვლამდე ორი საათი ქუჩაში ვიდექი გაუნძრევლად. აი, ახლა ამოუხვევს მამა, აი, ახლა, აი, ახლა...

გულს ბაგა-ბუგი გაუდიოდა. ერთი სული მქონდა დამენახა როგორი იყო, როგორი სახე ჰქონდა, თმა, თვალები, ხმა...

მანქანამ ამოუხვია. მამა მარტო მოდიოდა...

– სად არის !!!

– დაგვასწრეს...

ისეთი ნაღველი იყო მის ხმაში

მე ვეღარ დავწერ იმას, რაც განვიცადე.

შენ ის ხარ, რომელიც მთელი ცხოვრებაა მიყვარხარ!...

წამით!

იცით, რას ვფიქრობ წამიერის გაელვებით სიყვარულზე? ამას, მხოლოდ მაშინ გაიგებ და შეაფასებ, როცა დრო გავა...

სიყვარული, მაინც, ერთად ყოფნაა... წელიწადის ყველა დროის ერთად თანაცხოვრებაა, ყველა წამის, კარგი იქნება ეს თუ ცუდი, ერთად გატარებაა, ყველა დროის თანამონაცვლეობაა! სიყვარულია, ადამიანს თვალებში რომ უყურებ და შიგ შენ მკაფიოდ რომ ჩანხარ...

სიყვარულია, როცა ყოველდღე იღვიძებ და გრძნობ! – რომ არჩევანში არ შემცდარხარ! ან შეცდი, მაგრამ მაინც გიყვარს!

სიყვარულია, როცა თუნდ ძალზედ გულნატკენი მეუღლისკენ მიდიხარ და გულს, ოხ ამ გულს მაინც ბაგა-ბუგი გაუდის, რომ დაინახო და ერთ წამში ჩამშვიდდება...

რამდენი რამაა...

რამოდენაა...

სამყაროსა და უსასრულობაზე დიდია...

მაინც ვერ ახსნი, ვერ დატევ!

ეს საიდუმლოა, რომელსაც მხოლოდ მაშინ გაიგებ, როცა დრო გავა...

ეს ძღვენია, უფლის მორთმეული, რომელიც ისევ უფალთან მიგვაქვს....

ანზორ შერვაშიძე

გათენდა

საკანში ყველა ნარიდან მძინარეთა მშვიდი სუნთქვის ხმა ისმოდა, მშვიდი თქო ვამბობ თუმცა შიგადაშიგამ თანაბარ სუნთქვას გულის გულიდან ამოხეთქილ გმინვსა და ოხვრას ამოაყოლებდნენ ხოლმე, ფიქრი და დარდი ძილშიც ჩაჰყოლოდათ ფიქრითა და დარდით დაღლილ პატიმრებს.

წყლის ონკანის გვერდით დიდი შავი კატა მოკუნტულიყო და პურის ხმელ ნატეხს ფხაკუნით, მადიანად ხრავდა, სარკმელის ზემოთ სახურავის ძირში მერცხლებს გაეწყოთ ბუდე, როგორც ჩანს ბარტყები ჰყავდათ რადგან დედ-მამა მატლებს და ხოჭოებს ეზიდებოდნენ, დროდადრო სარკმელთან გაიელვებდნენ რითაც კატის ყურადღებას იქცევდნენ, ეს უკანასკნელი ისე სწრაფად გაიხედებოდა მათკენ თითქოს თვალებით სურდა მათი დაჭერა, დიდხანს მიაჩერდებოდა ხოლმე სარკმელს თითქოს რაღაც ფიქრმა გაიტაცაო, ალბათ თავის ოცნებაში სიამოვნებით შეექცეოდა მერცხლის ახალ, თბილ, სისხლიან ხორცს. გარკვეული დროისმერე გულდაწყვეტილი მოსწყვეტდა სარკმელს მზერას და ისევ თავის ხმელ ულუფას შეექცეოდა.

ერთი პატიმარი ნარზე ჩამომჯდარიყო, ზურგით კედელს მიყრდნობილი ერთ წერტილს მისჩერებოდა, სიცოცხლის ნიშანწყალი მხოლოდ სუნთქვისდროს ზემოთ-ქვემოთ მოძრავ მკერდზე თუ ეტყობოდა, გამხდარ, ცვილისფერ სახეზე ენით აღუწერელი ტკივილიანი სევდა დაჰფენოდა, ფიქრთა ფორიაქს შორს გაეტაცებინა.

გარედან მტრედების საამური ღუღუნი ისმოდა, თითქოს ახალი დღის გათენებას ამცნობდნენ ეს ღვთისნიერი ჩიტები პატიმრებს.

მალე მზის სხივი შემოიჭრა სარკმლიდან და ოქროსფრად გაანათა პირქუში საკანი

მზემ პირდაპირ თვალებში მიანათა ერთერთ პატიმარს, მძინარე უსიამოდ შეიშმუშნა, სცადა თავი აერიდებინა სხივებისათვის მაგრამ ვერ მოახერხა და გამოაფხიზლა მზის სხივთა თამაშმა მის დატანჯულ, მზეს გადაჩვეულ სახეზე, გამოღვიძებულს ესიამოვნა მზე, თვალები დახუჭა და სახე მიუშვირა, დახურული ქუთუთოებიდან სისხლისფრად მოჩანდა მზის შუქი, თვალები აუცრემლიანდა, წამოიწია გაიმშრალა თვალები და სიამოვნებით,ზანტად გაიზმორა, მიიხედ-მოიხედა საკანში ყველას ეძინა გარდა ერთისა

ახალგაღვიძებული ყურადღებით დააკვირდა უძრავად მჯდომარეს, კარგახანს უყურა მერე უკმაყოფილოდ გაიქნია თავი აქეთ-იქით და წამოდგა, ტანთ ჩაიცვა, ნარზე დაფენილი ქვეშაგები კოხტად გაასწორა და ფეხაკრეფით კატასავით უხმაუროდ მივიდა ონკანთან რომ მძინარე პატიმრები არ შეეწუხებინა და გაეღვიძებინა

ხელპირი დაიბანა და მაშინვე ჩიფირის მოდუღებას შეუდგა

--- ჯერ ისაუზმე --- მისალმების ნაცვლად ამ სიტყვებით მიმართა ნარზე მჯდომმა პატიმარმა --- რამდენჯერ უნდა გითხრა რომ უზმოზე ნუ სვამ ამ დაწყევლილ სითხეს, უკვე ჩიფირის ფერი გადევს სახეზე.

მეორემ ხელი ჩაიქნია და უსიტყოდ გააგრძელა თავისი საქმიანობა, რამდენიმე წუთში ფინჯანში გადაწურა მომზადებული სითხე, სიგარეტს მოუკიდა და გვერდით მიუჯდა მწუხარე პატიმარს, რამდენიმე წუთი ასე იჯდნენ, ორორო თუ სამსამი ყლუპი უსიტყოდ მოსვეს ერთი

ფინჯნიდან შავად მოლივლივე ჩიფირი თან სიგარეტს ისე აბოლებდნენ თითქოს მთელი დარდი სიგარეტის ბოლში უნდა ჩაახრჩონო ან ბოლს უნდა ამოაყოლონო.

საუბარი ახალგაღვიძებულმა წამოიწყო

--– მეგობარო --– დაბალ ხმაზე თითქმის ჩურჩულით დაიწყო ლაპარაკი

მან --– გიყურებ და ვდარდობ შენზე, სულ ჩაფიქრებული ხარ, დამწუხრებული, საკუთარ თავში ჩაკეტილი

უკვე წლებია ერთ საკანში ვცხოვრობთ, უცხოები არ ვართ ერთმანეთისთვის და ბუნებრივია მაწუხებს შენი ასეთი მდგომარეობა, ვერ გამიგია რა გჭირს. აქ ციხეში ყველა გიცნობს, ყველა პატივს გცემს, კარგი სახელი გაქვს, იმასაც ვერ ვიფიქრებ რომ ჩაკეილში ყოფნა ასე გიჭირდეს, ახალი პატიმარი არხარ, მიჩვეული დაშეგუებული ხარ აქაურობას ამიტომ ვერ გამიგია რა არის შენი ასეთი ძლიერი მწუხარებისა და სევდის მიზეზი.

--– ეეჰ --– მძიმედ ამოიოხრა პატიმარმა რომელიც ყურადღებითა და ოდნავ გაოცებით უსმენდა მოსაუბრეს შემდეგ კი ირონიული ღიმილით წაარმოთქვა შემდეგი სიტყვები:

--– საქმე იმაშია რომ მე მკვდარი ვარ.

--– როგორთუ მკვდარი, რას გულისხმობ?

--– მე მომკლეს იმ ადამიანებმა ვინც გარეთ დავტოვე: ჩემმა ახლობლებმა, ნათესავებმა, მეგობრებმა

მათ საკუთარ თავში, საკუთარ ცნობიერებაში მომკლეს

როდესაც ამდენი წელი მომისაჯა სასამართლომ იმათმა ალბათ იფიქრეს რომ მე ცოცხალი ვერ გავიდოდი ციხიდან და უკვე მკვდრად ჩამთვალეს, დამივიწყეს, წამშალეს მიუხედავად იმისა რომ ყველა მათგანს ჩემგან სიკეთისგარდა არაფერი ახსოვთ.

ადამიანები ასეთები არიან, თუ რამეს აკეთებენ მხოლოდ იმიტომ რომ სამაგიეროს მოლოდინი აქვთ, საკუთარ სარგებელზე ფიქრობენ, ყველაზე კარგი ადამიანებიც კი სიკეთის კეთებისდროს ქვეცნობიერად მაინც საკუთარ სარგებელზე ფიქრობენ, თუკი მატერიალური სარგებელი არ აინტერესებთ თავისი სიკეთით ქვეცნობიერად სამოთხეში ინაღდებენ ადგილს. არ არსებობს უანგარო სიკეთე, სიყვარული, მეგობრობა. უანგარო სიყვარული მხოლოდ დედას შეუძლია, აქედან რომც ვერ გავიდე ცოცხალი დედა მაინც ზრუნავს, დარდობს

მარტო დედას ვახსოვარ, მარტო დედა მელოდება.

ალბათ ამიტომ ვარ ჩუმად და საკუთარ თავში ჩაკეტილი, ანკი სად გინახია მკვდარი ლაპარაკობდეს?

--– მაგრამ შენ მკვდარი არ ხარ, მე ვხედავ: შენ ზრუნავ საკუთარ ჯანმრთელობაზე, თავს უვლი, ფიზიკურად ვარჯიშობ კიდეც.

თუკი ასე ჩაიქნიე ხელი ყველაზე და ყველაფერზე რა გაძლევს ამის ძალას და ენერგიას?

--– ხომ გითხარი --– გაბზარული ხმით წარმოთქვა მწუხარე პატიმარმა --– დედა მელოდება.

ვერა აბდუშელიშვილი

სამოთხის ხმებით სავსეა გონება... არაფრით წყდება
გალობა:,,წმინდათა თანა განუსვენე ქრისტე, სულსა მონისა შენისასა,
იუზა იგივე გიორგისა, სადა იგი არა არს ჭირი, მწუხარება, არცა ურვა,
არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი...
სულმან მისმან კეთილთა შინა განისუენოს და ნათესავმან მისმან
დაიმკვიდროს ქუეყანა.
ალილუია, ალილუია, ალილუია".
...
დიდხანს ვუყურებდი შემოდგომის ცის ცრემლთცვენას... მერე ვუსმენდი მათ ხმაურობას სახლის სახურავზე, თითქოს ღრუბელამოფარებულ, მღელვარე მზეს შეაწყდაო ბროლის მძივები... უწინდებურად აღარაფერი მეჩვენა... დაცარიელდა ქვეყანა... დაცარიელდა ქალაქი, სახლი... დაცარიელდა ოთახი, საწოლი... ტანსაცმელიც დაცარიელდა... უშენობის მდუმარებას იზიარებს ეულად დარჩენილი ეტლი, რომელმაც შვიდი წელი გიერთგულა... ყოველი ნივთი, საგანი ინახავს შენი დიადი სიცოცხლის ანაბეჭდს... ინახავს იმ დროს, იმ წუთსა და წამს, როცა თვითსრულყოფის გზას გასაოცარი სიმტკიცით შეუდექი და განწმენდისათვის ღვთისგან ბოძებული,,სულის შემუსვრილობა" საყვედურის, სამდურავის გარეშე მიიღე... კიდევ ერთხელ ვირწმუნეთ ჩვენი უწმინდესის სიბრძნე:,,თუ შენ ღმერთთან ხარ და ღმერთი შენშია, სულიერ სიმშვიდეს შეინარჩუნებ ავადმყოფობის დროს". არ დაგიჩივლია განსაცდელი... დაითმინე და ამაღლდი კიდეც ...

შენ გაგვხადე ეპისკოპოსის, მართლაც სასწაული ღვთის კაცის, წარუხოცელ მადლთან მრავალგზის ზიარების ღირსნი... დიდებული მღვდელმთავრის სტუმრობას სიცოცხლის ხე ამოჰყავდა ჩვენს სულსა და გულში... იმედითა და სიხარულით განგვმსჭვალავდა... შენს მართალ თვალთაგან კი გამოკრთოდა,,მიუაჩრდილებელი ნათელი"...

80 წლის რომ გახდი, დავწერე კიდეც – სიბერეს ბორკილები აჰყარა და დაგროვილი წლები სულის საზრდოდ ზეცისკენ აფრინა-მეთქი... ვერ წარმომედგინა, რომ,,სულდგმულთ სიცოცხლის მტაცი" ჯერ წაგიყვანდა... ეს არც შენს შვილიშვილებს სჯეროდათ... გიორგიდან დავითამდე და დავითიდან გიორგიმდე, შენი ჯიშის, გენის, სისხლის ბიჭებს, გამორჩეულად უყვარდი, ეიმედებოდი, ეამაყებოდი, სწყუროდათ შენი დღეგრძელობა... უკვდავი მეგონა ბაბუაჩემიო, – არ გამკვირვებია ეს სიტყვები. ოლიმპიელი ღმერთის გარეგნობასთან შერწყმული წმინდა გულისა და სიწრფელით გამორჩეული სულის მარადიულობას ვინ არ ირწმუნებს?! არ გაგვცრუებია ეს რწმენა. სულიერი ცხოვრებით, კეთილი საქმეებით, სიყვარულით, მართლმადიდებლური აღსრულებით, დაამარცხე სიკვდილი და ,,მართალთა სავანის მკვიდრი" გახდი...

სამი დღე უხრიდნენ ქედს შენს სპეტაკ, სანთელივით ცხედარს და ვგრძნობდით, ვხედავდით, რომ,,ერთი მრავალია და... მრავალი ერთია"... ცხადი იყო, რომ სამყაროს ერთიანობის, ჰარმონიისა და მშვენიერების წყარო არის სიყვარული... სიკეთე არ იკარგება, მარადიულია... შენი სიკეთის ნაწილები ასობით, ათასობით ადამიანში იყო გაბნეული... მოდიოდნენ შენი სამაგალითო ცხოვრების პატივისცემით, ღირსეული წარსულის ხსოვნით სავსე ადამიანები და ჩვენს ტკივილს იმ სიკეთის შუქით ანთებული ყვავილებით ამკობდნენ... მოდიოდნენ და შენი არყოფნის მწუხარებით, დანანებით, თვალცრემლიანნი იხსენებდნენ გულისხმიერების,

თანაგრძნობის, თანადგომის, მხარდაჭერის, მეგობრობის, ერთგულების, ალალმართლობის ისტორიებს...

სხვას რას შეეძლო უშენობის ტკივილი და ტანჯვა შეემსუბუქებინა, თუ არა მეუფე დანიელისა და საჩხერე-ჭიათურის ეპარქიის მღვდელ-მონაზონთაგან შენი სულის საოხად ჩატარებულ ღვთისმსახურებას, გადახდილ პანაშვიდსა და საგანგებო წირვას... წმინდა ანგელოზთა დასთან აღწევდა,,დავითის ქნარის" მგალობელთა ხმატკბილობა... ნეტართა სამყოფთ სწვდებოდა საცეცხლურიდან გამოფრქვეული საკმევლის სურნელებას გაყოლილი ლოცვა... ფრესკებიდან გადმოსულ წმინდანებს ჰგავდნენ სასულიერო პირები... არაამქვეყნიური ბრწყინვალებით ელავდნენ ოლარები და სამკლაურები... მგზნებარედ ენთნენ სანთლები... ამ დროს სასოებითა და შვებით ვმადლობდით უფალს, რადგან ჩვენ შორის ტრიალებდა ზეციური მადლი, რამაც გაგვიძლიერა რწმენა, რომ სამოთხის ბინადარი ხარ... რომ გაგვიკვალავ სასუფევლის გზას და განგვიმზადებ წმინდა ტაბლას... გაგვიადვილებ გარდაუვალ შეხვედრას სიკვდილთან... ნამდვილად არის,,სიცოცხლე სიკვდილში და უკვდავებაც არის!"

წუთისოფელშივე მზიანობდი – მზეშვილი, მზეძმა, მზემეგობარი, მზეკაცი, მზემამა, მზებაბუა მზე... მზე... მზე... და მზისფერი შეიქმენ... მზეღმერთს ეახელ... წარუშლელია შენი სახელი... დაუვიწყარი დღეები დაგვიტოვე ღირსსახსოვრად... ვიცით, რომ ისევ ჩვენთან ხარ... ისევ გვლოცავ გულდამტკბარი, გულმოწყალე, გულკეთილი, გულმართალი, გულწრფელი, გულღია, გულგახსნილი, გულჩვილი, გულთბილი, გულთამხილავი, გულანთებული, გულქართული, ერთგული... ვიდრე ვარსებობთ, ყოველთვის ისეთივე სიყვარულითა და აღტაცებით გაგიხსენებთ... შენით ვიცით, რომ,,წარსული ყოველთვის წინ გველოდება"... შენთან შესახვედრად მოვიხვეჭთ სულიერ ცხოვრებას, რომ ვიდღესასწაულოთ შარავანდიან სიცოცხლის წყაროსთან შეხვედრა... მივეგებოთ უშრეტ ნათელს, შენ რომ აგიტაცა...

შენმა უსაყვარლესმა შთამომავლებმა ჯვრითა და სურათით ხელში შეაღეს მთავარანგელოზთა ტაძრის ჭიშკარი და წინაპართა უტყვ საფლავებს ამცნეს ბაბუას მიბრძანება... დიადად შემოგატარეს საყდარს... გამეხებულ სახეზე ემჩნიათ გულის ახალი ნაიარევი... შენ კი უდრტვინველად ესვენე სასახლეში... გეიმედებოდნენ ,,კუბოსამწევნი"... უზღვავი იყო უსიტყვო ცრემლი... უსაზღვრო ტანჯვის წუთები ჩამოდგა ეკლესიის ეზოში... ერთად უნდა მიდიოდნენო იმქვეყნად ცოლ-ქმარი, – ხმიანობდა მეუღლის გამოსათხოვარი მწარე ქვითინი... ნახევარ საუკუნეზე მეტხანს ნაგროვები მოგონებები მარტოს ჰქონდა სატირალი... გულის გამგლეჯი სანახავი იყო ეულგოდება...

ფიზიკური განშორების მარადიულმა წამმა ჩამოჰკრა... ყვითლად შეფოთლილმა ქარმა გაისრიალა ჭირისუფალთ შორის და სადღაც მიყუჩდა... ნოემბრის ქარები არ მოუსვენებენ ყვავილბორცვიან სამარეს, მაგრამ ვერაფერს დააკლებენ... მჯერა ავდარშიც ამოვა ცხრათვალა მზე...,,ოღონდ იქიდან კი არა, საიდანაც ამოდის ხოლმე. გუშინდელი საფლავიდან... აიწევა, აიწევა და დაჯდება ცაზე"... სწორედ მაშინ მოიკუნტება სიკვდილი, სიჩუმე და სიცარიელე, როცა სიხარულიანი მნათობი ღიმილით გადმოხედავს არემარეს, გადმოაყრის ოქროვან სხივებს და ნეტარებით, ბრწყინვითა და სითბოთი აავსებს გარემოს...

...

გონებაში გამომწყვდეული სასუფევლის ხმები არ ჩუმდებიან... უწყვეტად ჩამესმის:,,წმინდათა თანა განუსვენე ქრისტე, სულსა მონისა შენისასა, იუზა იგივე გიორგისა, სადა იგი არა არს ჭირი, მწუხარება, არცა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი...

სულმან მისმან კეთილთა შინა განისუენოს და ნათესავმან მისმან დაიმკვიდროს ქუეყანა.

ალილუია, ალილუია, ალილუია".

❤❤❤❤❤

გიული ერგემლიძე

სიტყვა სამადლობელი არ არსებობს თქვენ ჩემთვის რაც გააკეთეთ, სიცოცხლე გამილამაზეთ და აზრი შემატეთ ჩემს არსებობას!

ღმერთმა დაგლოცოთ! გახაროთ გაჯამრთელოთ მრავალი წელი სულ ასე მხნედ იყავით ადამიანების იმედად!

გეხვევით დიდი სიყვარულით გულში გიკრავთ,

გიკოცნით თბილ გულს, ძვირფას ხელებს და მზესავით გაცისკროვნებულ სახეს!

უბედნიერესი ვარ ღმერთმა შემახვედრა თქვენს თავს ისე არ გამიყვანა სოფლიდან...ესეც ექსტრომტად

დიდი სიყვარულით

ის მზე ხართ გულს რომ მითბობთ,

დარდით რომ დამაქვს სავსე,

უცხო მიწაზე ეულს,

მარტოობაში დაღლილს.

ღმერთო გიწამე კიდევ...

ისედაც მარად მწამდი,

გამომიგზავნე მშველად

ქალღმერთი, დედა-ქალი.

მომიალერსა გულით

და მარად ჩამიბუდა,

ისე ალალად, ტკბილად,

ოღონდაც გამამხნეოს არასდროს მაკლებს სითბოს.

ასეთი სიხარული რაც კი ვიცხოვრე წლები, ეჩუქებინა ვინმეს, გულში ჩავეკარ შვილად, ეზრუნა ჩემზე მუდამ,ეს არ მომხდარა ჯერაც!

მადლიერებით გული მიფეთქავს სიხარულით,

ღმერთსა ვთხოვ მუხლმოდრეკით დედა წმინდამარიამს დალოცონ აჯამრთელონ აჩუქონ წლები დიდხანს!!!

ლია ჩუქოვანი-გოგრიჭიანი

ახდენილი ოცნება

გაგრძელება (დასაწყისი ანთოლოგიის #13-ში)

3

შინ მოსვლამდე მირზა ტაძარში შევიდა, ჯიბიდან უკანასკნელი ოცი თეთრი ამოიღო, ორი სანთელი იყიდა. ერთი ღვთისმშობლის ხატთან აანათო. ხატის წინ მუხლი მოიყარა, პირჯვარი გადაიწერა და დედა ღვთისმშობელს შესთხოვა – მიეცა ძალა თავისი მიზნების განსახორციელებლად. მეორე სანთელი თავის გარდაცვლილ ბებოს დაუნთო და უფალს მისი სული შეავედრა. შემდეგ გზა განაგრძო. ის იყო ჭიშკარს მიუახლოვდა, რომ თითქმის მის ფეხებთან დაამუხრუჭა მანქანამ. ბავშვი შეკრთა და უნებლიედ გვერდზე გადახტა.

– ნუ გეშინია, მირზა.

ბიჭმა ხმა იცნო და თავის საქციელზე გაეცინა.

– დედა, დედიკო, როგორ შემაშინე.

– მაპატიე, შვილო, არ მინდოდა. ბაზარში ვიყავი. თუ არ გეზარება, დამეხმარე, სახლში შევიტანოთ ყველაფერი, რაც ვიყიდე.

– თქვენს გამო ყველაფერს გავაკეთებ – თვალებში შესცინა ბიჭმა.

– აბა, შვილო, ეს ჩანთა სამზარეულოში დადე, მეორეს მე წამოვიღებ.

– არა, დედი, არ წამოიღოთ. მე ამოვიტან. თქვენ არ დაიღალოთ.

– რა კარგი შვილი მყავხარ, გენაცვალოს დედა!

მირზამ სწრაფად აირბინა კიბე, ჩანთა სამზარეულოში დადო და მარგოს მეორე ჩანთა გამოართვა. ისიც სამზარეულოში შეარბენინა.

ქალმა მადლობა გადაუხადა და ნაზად გადაუსვა თმაზე ხელი, თანაც ჰკითხა:

– აბა, მომიყევი სად იყავი ამ დრომდე?

– ჭაბუკამ სკოლაში წამიყვანა. ერთ გაკვეთილს დავესწარი, შემდეგ მასთან ერთად სხვა მასწავლებელი ვნახეთ.

– როგორ მოგეწონა სკოლა, ბავშვები და გაკვეთილი, ან რა თემაზე ესაუბრა ჭაბუკა მასწავლებელს?

– დედი, იცი რა, ვფიქრობდი, რომ ბავშვები უკეთესები უნდა ყოფილიყვნენ.

– და მაინც როგორი?

– ისეთი, როგორიც ჩემი ძმაა, კეთილი და მოსიყვარულე.

– რატომ ამბობ ასე შვილო?

– იმიტომ, რომ დამცინეს მეც და ჭაბუკასაც. დამამცირეს იმის გამო, რომ მათხოვარი ვარ!

– ჩემო პატარავ, ყურადღება არავის მიაქციო. შენ ყველა მათგანზე უკეთესი ხარ და კიდევ უფრო უკეთესი იქნები, როცა ბეჯითად ისწავლი.

– მეც ეს ვუთხარი მათ. მე არ მადარდებს ვინა ვარ, მხოლოდ ის მადარდებს ვინ ვიქნები-თქო.

– ყოჩაღ შვილო!

– კი, მაგრამ შენმა ძმამ არ დაგიცვა?

– კი, როგორ არა. უთხრა, რომ მისი ძმა ვარ და პატივისცემა უნდა გამოიჩინონ ჩემს მიმართ.

– ჩემი ანგელოზები ხართ თქვენ! ასე უნდა გააგრძელოთ ცხოვრება, შვილო. მუდამ გახსოვდეთ „ძმაო ძმათა ხარ ძლიერი და ბედნიერი“. ერთმანეთის დახმარებით და სიყვარულით იცხოვრეთ შვილო ორივემ და ვერავინ ვერაფერს დაგაკლებთ.

– ჭაბუკამ მასწავლებელს სთხოვა, რომ წერა-კითხვა მასწავლოს. ნახე, ვახსენე და კიდეც მოვიდა.

– მოხვედი, შვილო? გენაცვალოს დედა, აბა მომიყევი როგორ ჩაიარა დღევანდელმა დღემ.

– დედი, იცი? გახანგრძლივებულ ჯგუფში შეიძლება რომ მირზა მივიყვანოთ, მაგრამ შენ უნდა დაელაპარაკო მასწავლებელს.

– კარგი, ხვალ მოვალ სკოლაში. სიხარულისგან თვალებგაბრწინებული ბავშვები აქეთ – იქიდან ერთად ჩაეხუტნენ ქალს.

– ახლა კი, ბავშვებო, ხელები დაიბანეთ. მე სუფრას გავშლი, ვისადილოთ, შემდეგ კი საწერ მაგიდას მივუჯდეთ და დღედან მთელი დატვირთვით ვიწყებთ სწავლას მე და მირზა. შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ, იმეცადინე, მე კი შევამოწმებ შენს ცოდნას.

მირზა პირველი შევარდა, ხელები დაიბანა და თავისი ადგილი დაიკავა. ჭაბუკამ თავის ოთახში შეირბინა, ჩანთა სკამზე მოისროლა, ტანსაცმელი გამოიცვალა, ხელები დაიბანა და ისიც მაგიდას მიუჯდა. მარგომ ბავშვებს სოუზით სავსე თეფში დაუდგა, თავად ცოტა ამოიღო და სუფრასთან მჯდომთ შეუერთდა. მირზამ სულმოუთქმელად დააცარიელა თეფში. დესერტზე საერთოდ არც მიუქცევია ყურადღება.

– დედი, მე მზად ვარ სწავლისთვის!

– ცოტა დამელოდე, შვილო. ჭაბუკაც მორჩება, სუფრა ავალაგოთ და შემდეგ ვიმეცადინოთ.

– კარგი, დაგელოდები.

მირზას დიდი ხნის ლოდინი არ დასჭირვებია, მარგომ სწრაფად მიალაგა სამზარეულო. თეფშები ჭურჭლის სარეცხ მანქანაში ჩაალაგა, ჭაბუკა თავის ოთახში გაუშვა სამეცადინოდ, მირზა კი საკუთარ ოთახში შეიყვანა, საწერ მაგიდასთან დასვა, თავადაც გვერდით მიუჯდა, მაგიდაზე იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“, რვეული და საწერკალამი დადო და მირზას გახედა:

– ყურადღება მოიკრიბე და დაკვირვებით ადევნე თვალი.

– კარგი, დედა.

მარგომ წიგნი გაშალა და ბავშვს ჰკითხა:

– ამ ყვავილს რა ჰქვია?

– ია.

– ყოჩაღ!

-დღეს ჩვენ შევისწავლით "აი იას", თან ასოებიც დავწეროთ. მე გამოგიწერ, გაჩვენებ როგორ იწერება და შენ იმეცადინე, რომ ხელი მიაჩვიო, კარგი, საყვარელო?!

თან კერძო მასწავლებელთან მოგამზადებ, რომ შენს ტოლებს დაეწიო. -მადლობა, დედი, რომ ზრუნავ ჩემზე–

მირზას სახე სიხარულისგან ბადრი მთვარესავით ანათებდა. ეს გრძნობა აძლევდა შემართებას ,რომ ყოველდღე მეტი და მეტი ეშრომა, რათა ახალშეძენილი ოჯახის ნდობა გაემართლებინა.

-ახლა კი წადი და გაერთე, ბურთი ითამაშე– უთხრა ბავშვს მარგომ .

თავად ტელეფონით საუბარი გაბა მასწავლებელთან, ვისთანაც მირზას მიყვანა სურდა .

მეორე დღის 10 საათზე ჩაინიშნა შეხვედრა.

მარგო ხვდებოდა და უხაროდა ,რომ მისი შრომა ფუჭად არ ჩაივლიდა .

საუბარის

შემდეგ ჭაბუკას ოთახში შევიდა, მის საშინაო დავალებებს გადახედა, გაკვეთილები ჩაიბარა და ისიც სათამაშოდ გაუშვა გარეთ. აივანზე გამოსულმა, -მირზა – გასძახა

-აქა ვარ ,– გამოსძახა მან.

– მოდი აქ დავსხდეთ .

–კარგი.

ორივენი ხის ჩრდილში დადგმულ სკამზე ჩამოსხდნენ.

– რა ქენი, იმეცადინე? – ჰკითხა ჭაბუკამ.

– კი და იცი რა ბედნიერი ვარ ?!

დედამ წერა დამაწყებინა და საერთოდ არ გამიძნელდა.

–ყოჩაღ, ჩემო ძამიკო.

-შენ ყველაფერი მოამზადე?

– რა თქმა უნდა . ჩვენ ორივემ კარგად უნდა ვისწავლოთ , რომ ბევრი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა შევძელოთ.

–ჩვენ საუკეთესო ექიმები გავხდებით და საკუთარ კლინიკას გავხსნით – უთხრა მირზამ და თავისივე გულუბრყვილო ნათქვამზე გაეღიმა, თანაც გაიფიქრა– კლინიკის ფულს ვინ მოგცემს , შენ პატარავ.

-რატომ გეღიმება მირზა?

-ჩემს ოცნებას ფრთები ასე ადვილად რომ შევასხი.

– ნუთუ ასე ადვილია კლინიკის გახსნა?

-ამას მამა გაგვიკეთებს არ იდარდო. მთავარია ჩვენ სწავლა შევძლოთ.

მარგომ ქმარს დაურეკა და სთხოვა სასწრაფოდ დაეწყო მირზას საბუთების მოგვარება .

– რაც შეიძლება მალე უნდა მოვაწესრიგოთ მისი შვილად აყვანის საკითხი .

– ნუ ნერვიულობ, ჩემო ძვირფასო მეუღლევ, მე უკვე დავიწყე ეს საქმე და ვეცდები ძალიან მალე მოგვარდეს.

დილით მარგომ შვილი სკოლაში გაუშვა. მირზა ლამაზად გამოაწყო და წინასწარ შეთანხმებულ შეხვედრაზე წაიყვანა.

დანიშნულ ადგილამდე დროზე მივიდნენ. მარგომ კართან მიმაგრებულ ზარის ღილაკს თითი ნაზად დააჭირა. კარი გააღო ახალგაზრა, ელეგანტურად ჩაცმულმა, ლამაზმა ახალგაზრდა ქალმა. სტუმრებს მიესალმა და შინ შეიყვანა.

მარგომ მირზა წარუდგინა:

– აი, ეს ახალგაზრდა იქნება თქვენი მოსწავლე. ძალიან ყოჩაღი ბიჭია, მწამს, რომ თქვენ ბევრად უკეთესს გახდით.

– ქალბატონო მარგო, შესაძლებლობის მაქსიმუმს გამოვიყენებ მისი წინსვლისთვის. ამ ზაფხულს თუ კი მომყვება და არ იზარმაცებს, კარგი მომზადებული წავა სკოლაში.

– არა, მასწავლებელო, არ ვიზარმაცებ. რასაც დამავალებთ პირნათლად შევასრულებ. ყოველა თქვენს სიტყვას გულისყურით მოვისმენ და შევისწავლი. მინდა, რომ ჩემი დედიკო ჩემით ამაყობდეს.

– ყოჩაღ, ყმაწვილო! თქვენგან მართლაც კარგი ვაჟკაცი დადგება.

– მე დაგტოვებთ. როცა მეცადინეობას დაასრულებთ, გთხოვთ დამირეკოთ

– ქალბატონო მარიამ!

-კარგით, ქალბატონო მარგო!

4

– გაგაცილებთ.

– არ არის საჭირო, გმადლობთ.

მარგომ კარი გამოიხურა, თავის მანქანაში ჩაჯდა, ძრავი ჩართო და სკოლისკენ წავიდა შვილის მასწავლებლების სანახავად.

ჟაბუკას კლასის ხელმძღვანელმა მოიკითხა. შეხვდა. შვილის ამბები გამოჰკითხა. მისი კარგი სწავლითა და ყოფაქცევით გულგახარებულმა მირზას შესახებაც მოუთხრო და თან დასძინა, რომ სურდა მომდევნო სასწავლო წლიდან აქ შემოეტანა მისი საბუთები.

– ქალბატონო მარგო, თქვენ საბუთების საქმე მოაგვარეთ, დანარჩენი ჩემზე იყოს. მე დაველაპარეკები სკოლის დირექტორს, – დაპირდა კლასის დამრიგებელი.

მარგომ მადლობა გადაიხადა და შინისკენ აიღო გეზი, თუმცა, ტელეფონის ზარმა მას მიმართულება შეაცვლევინა და ისევ მირზასთან დაბრუნდა.

ქალბატონმა მარიამმა კარები გაუღო და მირზას ნიჭიერებით აღფრთოვანებულმა ქალს შემოსვლისთანავე მიახარა:

– ეს რა ბავშვი გყოლიათ, ასე თუ გააგრძელებს ერთ თვეში გამართულ წერა-კითხვას ისწავლის. გასაოცარი ათვისების უნარი აქვს. მას შეუძლია ერთხელ გადმოცემული ლექსი მოსმენით ისწალოს. ბარაქალა თქვენს ქალობას რომ ასე ზრუნავთ მასზე და ამ ნიჭს უხსნით ფართე გზას ცხოვრების ასპარეზზე.

მარგომ მადლობა გადაუხადა მას, ბავშვს მხარზე ხელი მოხვია და სახლი დატოვა.

– რადგან, ასეთი კარგი შვილი ხარ, მე დღეს პარკში წაგიყვან, მანქანებზე და ეშმაკის ბორბალზე დაგსვამ.

– რა არის დედა ეშმაკის ბორბალი და რატომ უნდა დამსვა იქ?

– ნუ გეშინია, შვილო, მხოლოდ სიდიდის გამო ჰქვია ეს სახელი.

იქედან ხელის გულივით მოსჩანს მთელი ქალაქი. მეც შენთან ერთად დავჯდები.

– მაშინ აღარ შემეშინდება, – თქვა ბავშვმა და სავარძელში კომფორტლად მოკალათდა.

მარგომ მანქანა თეთრ ხიდთან ახლოს პარკინგზე დატოვა, პარკში შევიდა იქვე მდებარე საბაგიროს სადგურის სალაროში ბილეთები შეიძინა და რიგს დაელოდა, თანაც ბავშვს უთხრა:

– აი იმ დიდ კაბინაში შევალთ.

– მერე რომ ჩამოვარდეს?

– ნუ გეშინია, შვილო, ეს მრავალი წელია ასე მოძრაობს, მაგრამ არ ჩამოვარდნილა, დამშვიდდი.

მარგომ ხელი ჩაჰკიდა ბავშვს და ორივენი შევიდნენ საბაგირო კაბინაში. მირზა ხელისჩასაჭიდს ჩაეჭიდა, დედას მიეყრდნო. ასე უფრო მშვიდად გრძნობდა თავს. საბაგირო ნელ-ნელა დაიძრა. ბავშვმა ძირს გადაიხედა და გული შეუქანდა.

– დედი, ნახე მდინარე რიონის თავზე ვართ, ხომ არ ჩავარდებით შიგნით?

– არა შვილო, ცოტაც და ავალთ პარკში. მშვიდად იყავი და გადახედე რა ლამაზია ქუთაისი.

– მართლაც ლამაზია, მაგრამ შიშით ვერაფერს აღვიქვამ.

– აი, მოვედით. საბაგიროს კაბინა გაჩერდა. ხალხი ერთმანეთის მიყოლებით ჩამოვიდა. მარგომ ხელი მოჰკიდა და ფრთხილად ჩამოიყვანა. გორის პარკში შევიდნენ.

– შვილო, მითხარი რა გირჩევნია პირველად – მანქანები თუ ეშმაკის ბორბალი?

– მანახე, დედი, რა არის ეშმაკის ბორბალი?

– აი, აიხედე. ის მრგვალი დიდი რკინის ბორბალი რომ არის, იმას ეძახიან ეშმაკის ბორბალს.

– და იმ სიმაღლეზე უნდა ავიდეთ ?

– რა თქმა უნდა, ჩემო პატარავ.

– კარგი. მინდა იმ მწვერვალიდან გადმოვიხედო, ისე, როგორც ერთ დღეს ცხოვრების მაღალი საფეხურიდან გადმოვიხედავ.

– შენ ძალიან მიზანდასახული და თვითდაჯერებული ხარ შვილო,

ღმერთმა ქნას, რომ მიზნები აგსრულებოდეს.

მარგომ ბილეთები შეიძინა, ბავშვს ხელი ჩაჰკიდა და სკამზე დასვა, თანაც ქამარით მჭიდროდ გადააკრა, . ისინი თანდათან მიიწევდნენ მაღლა და მაღლა. მირზა ემოციებს ვერ მალავდა.

– ვაუ, რამხელაზე ამოვედით. რა კარგია?! ალბათ მეც ასე ნელ– ნელა მივაღწევ დასახულ მიზანს და ყველაზე მაღალ სიმაღლეს შენთან ერთად და ჩემს ოჯახთან ერთად ვიზეიმებ.

მარგო უსმენდა ბავშვს და უხაროდა, რომ მას ამ მიზნების განხორციელაბაში ეხმარებოდა. თანაც, უკვირდა ათი წლის ბავშვს ასეთი დიდი ენთუზიაზმი რომ გააჩნდა.

– უკვე ძირს ვეშვებით?

– აბა, აქ ხომ არ დარჩებით შვილო?

– აღმასვლა მომეწონა და ძირს დაშვება არა!

– შვილო, მუდამ გახსოვდეს – ყველა აღმართს დაღმართი მოსდევს.

– ეს ცხოვრების კიბეს მაგონებს. ესე იგი, ძალიან გრთხილად უნდა ვიყო, რომ ძირს არ დავეშვა. ყოველთვის უნდა ვეცადო, რასაც მივაღწევ, ღირსეულად შევინარჩუნო.

– დიახ, რომ სიფრთხილე და ცოდნაა ამისთვის საჭირო შვილო.

ეშმაკის ბორბალი გაჩერდა. ორივენი ძირს ჩამოვიდნენ. შემდეგ მანქანაზე დასვა. ბავშვის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

როდესაც შინ დაბრუნდნენ ჭაბუკა ნასადილევი და ნამეცადინები დახვდათ. უკვე ალიკაც სახლში იყო.

– კი მაგრამ, სად დასეირნობთ მთელი დღე?– ჰკითხა მარგოს.

დღეს მირზა ქალბატონ მარიამს მივუყვანე და გაოცებულია მისი მონდომებით და ნიჭით. შემდეგ პარკში წავიყვანე.

ვერ წარმოიდგენთ როგორ აზრიანად მესაუბრებოდა.

– ხომ გითხარი მაგისგან კარგი ვაჟკაცი დადგება– თქო და ასეც იქნება.

– კი მაგრამ, მე რატომ არ წამიყვანე პარკში?– ჰკითხა მზეჟაბუკმა დედას. – შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ და მეგობრებთან ერთადაც წახვალ, თანაც სახლში არ იყავი. შენ თოთხმეტი წლის მანძილზე რამდენჯერმე მყავდი, ეს კი იქ პირველად იყო.

– შვილო, კარგად მომისმინე და დაიმახსოვრე – საუბარში ჩაერთო ალიკა – ჩვენ ორივენი, დედიკოც და მამიკოც, ჩვენი შვილების კეთილდღეობისთვის ვიბრძვით და არასოდეს არ იწუწონოთ არცერთმა იმაზე, თუ როდისმე რომელიმეს ერთი კარამელით მეტი გერგოთ, ანდა დედამ ერთი შარვალით მეტი გიყიდათ ან ერთს, ან მეორეს. ამის გამო ნუ ჩამოუშვებთ ცხვირს – ხვალ შეიძლება პირიქით მოხდეს და მუდამ გახსოვდეთ: "ვინც მოითმენს ის მოიგებსო"– ნათქვამია.

– მამიკო, მე არასოდეს დავიწუწუნებ არაფერზე, რადგან თქვენგან იმდენი სითბო და სიყვარული მაქვს, ყინვაში შიშველმა რომ ვიარო, მაინც არ შემცივდება და ბევრად იმაზე მეტი მაქვს ყველაფერი, რაზედაც ოცნებაც კი არ შემეძლო.

– მოდი ჩემთან მირზა, – უთხრა ალიკამ.

– იცი, რომ ყოველდღე უფრო და უფრო მიყვარდები, იმდენად კარგი შვილი ხარ!

– მე ყველანი მიყვარხართ, – უთხრა ბიჭმა და მკერდზე მიეკრა.

– მირზა, წამოდი ბურთი ვითამაშოთ, – უთხრა ჭაბუკამ.

– კარგი, წავიდეთ.

ორივენი სირბილით გავიდნენ ეზოში და თამაშში გაერთნენ.

ალიკამ მეუღლეს უთხრა, რომ მირზას დაბადების მოწმობა გაუკეთა და გაარკვია, რომ მის მშობლებზე არავითარი ინფორმაცია არ მოიპოვება.

– რადგან ბავშვი მიუსაფარია და მასზე არავინ არ ზრუნავს, არა მგონია მისი შვილად აყვანის საკითხი გაგვირთულდეს – თქვა ფიქრიანად – იცი, შინაგანად თავს ბედნიერად ვგრძნობ, რომ იგი ჩვენი შვილი გახდება. გული მიგრძნობს დიდებული კაცი დადგება.

– იცი ალიკა ამ ბავშვისგან საოცარი სითბო მოდის. ზოგჯედ ერიდება, თორემ სურს რომ უდიდესი სიყვარული მოგანიჭოს და თავადაც იგივე მიიაღოს.

– სხვაგვარად ვერც კი წარმომიდგენია. ბავშვი, რომელიც მშობლების სითბოს არის მონატრებული...

– ამ მოკლე დროში თავი ისე შემაყვარა, ზოგჯერ ვფიქრობ რომელი უფრო მეტად მიყვარს: ჭაბუკა თუ მირზა...

– იცი მარგო ნამდვილად არ ვნანობ, რომ ეს ბავშვი მოვიყვანეთ.

– აკი არ გინდოდა?

– რას ვიფიქრებდი, რომ ესეთი იქნებოდა. უამრავი მასავით ქუჩაში დარჩენილი ბავშვი ათას სისაძაგლეს სჩადის. ეტყობა, აღმზრდილი ბებია კარგი ქალი იყო!

– ალიკა, მირზას სკოლაში შეყვანის თაობაზე ჟაბუკას ჯგუფის ხელმძღვანელს ვესაუბრე და მისგან ველოდები ინფორმაციას, თუ არადა, მე თავად დაველაპარაკები დირექტორს. შვილად აყვანის საბუთების მოგვარება რომ დაგვიგვიანდეს, არ მინდა ბავშვი სკოლის გარეთ დაგვრჩეს.

– საყვარელო, შევეცდები, რაც შეიძლება მალე მოვაგვაროთ ეს საქმე.

ბავშვები აივანზე შემოცვივდნენ.

– მორჩით თამაშს? – ჰკითხა მათ ალიკამ.

– იმდენი ვითამაშეთ, დავიღალეთ.

– აბა ახლა ორივენი აბაზანაში შედით, წყალი გადაივლეთ და დაიძინეთ – უთხრათ მარგომ.

ბავშვებმა დედის ნათქვამი შეისმინეს.

ალიკა თავის სამუშაო კაბინეტში შევიდა, მარგომ ბავშვებს დახედა ძილის წინ, ორთავეს მოეფერა და თვითონაც დასაძინებლად მოემზადა.

ღამემ მშვიდად ჩაიარა. დილით, ჩვეულებისამებრ, ყველანი თავიანთი საქმით დაკავდნენ.

მირზა ამ ლამაზ ოჯახთან ერთად ბედნიერად მიუყვებოდა ცხოვრების ბილიკებს. მარგო კი ხმალშემართული უკაფავდა ეკალბარდებს სწორი და ნათელი მომავლისკენ.

დრომ სწრაფად გაირბინა. ბავშვმა სკოლაში სწავლა დაიწყო. მირზა კლასში ასაკით ყველაზე უფროსი იყო.

ქალბატონმა მარიამმა მას მთელი პირველი კლასის მასალა შეასწავლა, ამიტომ კითხვაც კარგად იცოდა, წერაც და ასევე მრავალი ლექსი ზეპირად.

სკოლის პარალელურად მორზა ისევ განაგრძობდა მარიამ მასწავლებელთან სიარულს.

იგი წარჩინებული მოსწავლე გახლდათ და აღარც არავინ დასცინოდა თავისი წარსული ცხოვრების გამო.

ხუთი წლის შემდეგ იგი შემდგარი, დინჯი და მისი ასაკისთვის საკმაოდ განათლებული გახლდათ. დღედაღამე სწავლით ან კლასგარეშე ლიტერატურის კითხვით იყო დაკავებული. თითქმის არც კი თამაშობდა, რის გამოც, ჭაბუკას გული სწყდებოდა პირველ ხანებში, შემდეგ კი შეეჩვია.

ბიჭები გაიზარდნენ. ჭაბუკა, ხშირად, მეგობრებთან ერთად ატარებდა დროს. შეყვარებული ჰყავდა და სახლში გვიან ბრუნდებოდა. სამეცადინოდ ცოტა დრო რჩებოდა, რის გამოც, სწავლას ცოტათი ჩამორჩა.

მშობლები ძალიან განიცდიდნენ შვილის ასეთ მდგომარეობას, მაგრამ ვერაფერს გახდნენ.

ალიკა ხშირად ტუქსავდა შვილს:

– ხომ გახსოვს რომ ექიმი უნდა გამოხვიდე, მუდამ ოცნებობდი...

– აზრი შევიცვალე. მთავარია, რომ ოჯახში ერთი ექიმი მაინც გვეყოლება მირზას სახით, მე კი სხვა სპეციალობას ავირჩევ.

– მაგალითად ვინ გინდა გამოხვიდე? სადაცაა სკოლას დაამთავრებ და არ იცი რა გინდა.

– მამა, სული ნუ ამომხადე, რაღაცას მოვიფიქრებ.

– დრო მიდის შვილო, შენ კი არ გელოდება. ამ დროს ვერასოდეს დაიბრუნებ. გამოფხიზლდი, ხომ ხედავ შენს ძმას, წუთს არ კარგავს უქმად, იმიტომ, რომ მან იცის, რას ნიშნავს უსწავლელობა და სიღარიბე, შენ კი ფუფუნებაში ცხოვრებამ გაგაყოყოჩა.

– საკმარისია მამა. ვიცი რომ ჩემზე მეტად აფასებ მირზას. საჭირო არ არის ეს შემახსენო!

– გთხოვ, ვიდრე სიტყვას წარმოსთქვამ კარგად დაფიქრდე! იქნებ მიხვდე, რომელ მშობელს სურს მის შვილზე უკეთესი არსებობდეს ქვეყნად?!

– კარგი, მე წავედი გარეთ, უმჯობესია, მამა. ასეთ საუბარს აზრი არა აქვს.

– ცდები, შვილო. ეს დრო გამოიყენე. მოგამზადებ და სცადე ბედი უნივერსიტეტში.

– დავფიქრდები. ახლა კი დროებით, მამა.

ჭაბუკამ კარი გაიხურა, ტელეფონი ამოიღო და შეყვარებულს შეხვედრა სთხოვა. ისიც სიამოვნებით დაეთანხმა. შეხვედრა პიონერთა პარკთან დათქვეს.

ადგილზე ორივენი დათმულ დროს მივიდნენ. ჯერ პარკში ისეირნეს, შემდეგ ქალაქის ცენტრალური მოედნის მიმართულებით ავტობუსს გაჰყვნენ.. ის დღე ისე ბედნიერად გაატარეს, რომ ჭაბუკას ერთხელაც არ მოსვლია აზრად მამის ნათქვამზე დაფიქრებულიყო და რაიმე არჩევანი გაეკეთებინა. მზეჭაბუკი სახელს აღარ ამართლებდა.

5

ჭაბუკას ყოველდღიური ხასიათის ცვლილება და უპასუხისმგებლობა მარგოს გულს უსერავდა. ყოველივე ხერხს მიმართავდა იმისათვის, რომ შვილი სწავლისკენ შემოებრუნებინა, მაგრამ თავგასულ ვაჟს მშობლების საუბარი არაფრად მიაჩნდა. თუმცა, შინაგანად მირზასი შურდა, რადგან იგი ძალიან სწრაფად მიიწევდა წინ – ყველგან და ყველაფერში სულსა და გულს დებდა, რის გამოც ყველას უყვარდა და ყველა აფასებდა.

სკოლაში მასწავლებლის მარჯვენა ხელი იყო. მეგობრებში კი, ყველა ახალი წანოწყების ორგანიზატორი.

მირზამ წარმატებით დაამთავრა სკოლა. მეგობრებს გული სწყდებოდათ. იმის გამო, რომ ხშირად ვეღარ შეხვდებოდნენ საყვარელ ადამიანს.

მირზამ თანაკლასელებთან შეათანხმა, რომ ყოველი წლის ბოლოს შეიკრიბებოდნენ, გაიხსენებდნენ სკოლაში გატარებულ წლებს და ერთმანეთს გაუზიარებდნენ იმ ერთწელიწადში თავსგადამხდარ ამბებს.

დადგა დღე, რაზეც ძილშიც და ღვიძილშიც ოცნებობდა მირზა – დღე მისაღები გამოცდებისა.

ვიდრე გამოცდები დამთავრდებოდა, მარგომ იგი თბილისში თავის დასთან დააბინავა.

ალიკას და მის მეუღლეს გადაწყვეტილი ჰქონდათ, თუ იგი სამედიცინო ინსტიტუტში მოხვდებოდა, მისთვის ერთსაძინებლიანი ბინა ეყიდათ.

მირზამ პირველ გამოცდაში მაღალი ქულა მიიღო, ჭაბუკას მთელი ის დღე დანა კბილს არ უხსნიდა. ყველაფერი უარყოფითად მოქმედებდა მის ნერვებზე. ხშირად აგონდებოდა მირზას ნათქვამი – ჩვენ ორივენი კარგი ექიმები გამოვალათო... ახლა მიხვდა, რომ დააშავა და მისმა დაუდევრობამ უკან დახია. აღარ იცოდა, როგორ აღედგინა დაკარგული წლები, უქმად გატარებული დრო და ძალით დახშული გონება როგორ და რა ძალებით მოეკრიბა.

მირზას მაინც დაურეკა და მიულოცა.

– მადლობა, ძამიკო, მაგრამ ჩვენ ხომ ორივეს ერთი სურვილი და მიზნები გვქონდა, რატომ ჩამომაჭერი მხარი, მე ხომ უფრო ძლიერი და ამაყი ვიქნებოდი შენს გვერდით, ჩვენ ხომ ერთმანეთს გავუზიარებდით აზრებსა და გამოცდილებას და ჩვენი მშობლებიც ხომ მეტად გაიხარებდენ.

– რა გითხრა მირზა, მთელი ეს ოთხი წელი დროსტარებას დავუთმე სიყვარულმა ამიყოლია, მაგრამ ღრუბლებიდან დედამიწაზე ისე დამაბერტყა, რომ გულმკერდი დღესაც მტკივა!

– ჭაბუკა, გთხოვ, კარგად აწონ– დაწონე განვლილი და გასავლელი გზა და მიხვდები, რომ კიდევ უამრავი რამ გვაქვს გასაკეთებელი. ჯერ ახალგაზრდა ხარ, უთხარი მამას მოგამზადოს. ერთად ვიცხოვროთ. დატოვე მანდ, შენს ბავშვობასთან ერთად, შენი წარსული და მეც გვერდით დაგიდგები ისევე, როგორც შენ დამიდექი გვერდით. მე ხომ შენი წყალობით მივიწევ წინ...

– კაცმა წინ რომ იაროს ამისათვის წარსული არ უნდა დაივიწყოს. არც დღევანდელმა კარგმა მდგომარეობამ და არც მომავალში ფუფუნებით ცხოვრებამ არ უნდა გააკვირვოს.

– სწორედაც ფუფუნებაში ცხოვრებამ გამაფუჭა მე – არაფერი მქონდა საზრუნავი, დროსტარების გარდა.

– ჩემო ძვირფასო ძამიკო, გაიხსენე რა მდგომარეობაში მიპოვე და საიდან ამომიყვანე. ეს ის ადგილია, სადაც არა მარტო ღარიბები, არამედ ფუფუნებისგან გაფუჭებული ადამიანებიც ხვდებიან და მერე ერთად იზიარებენ ქუჩაში ყოფნის სიმწარეს. ახლა დაფიქსირდი, თუ საკუთარ თავზე არ იზრუნებ დღეს, როცა მშობლები აღარ იქნებიან, შესაძლოა ცივ ქვაზე მოგიწიოს წოლამ.

ჭაბუკას ქუჩაში ღამის გათევის გაფიქრებაზე ტანში სიცივემ დაუარა.

– თუმცა, მჯერა ეს არ მოხდება. მაგრამ

რომ მოხდეს, შენ ისეთი სამეგობრო გყავს, ლუკმა პურს არ გაგიყოფენ,

ჩამოდი აქ, როდესაც ბინა გვექნება, ერთად ყველაფერს დავსძლევთ.

– დავფიქრდები მირზა მაგ საკითხზე. ჯერ შენ ჩააბარე გამოცდები ბოლომდე.

– მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩავაბარებ.

შენ კი ყველა ღონე უნდა იხმარო, რომ ჩემს გვერდით იყო.

– გპირდები, რომ დავფიქრდები მაგ საკითხზე სერიოზულად და რა გადაწყვეტილებასაც მივიღებ, გაგაგებინებ..

– კარგი, ველი შენს პასუხს, რაც შეიძლება მალე.

ჭაბუკამ ტელეფონი გათიშა და ფიქრებს მიეცა:

"სწორს მეუბნება მირზა, მართლაც უნდა დავტოვო აქაური სამეგობრო. ესენი ვიდრე ფული მაქვს, მანამდე იმეგობრებენ ჩემთან. მხოლოდ ხვიჩა არ გამწირავს. ის იმათ არ ჰგავს, მაგრამ ამდენ უსაქმურს მაინც გავეცლები.

უმჯობესია მირზას დავუჯერო, მომავალი წლისთვის მოვემზადო და მეც მის გვერდით ვიყო. "

ფიქრებიდან კარების ხმაურმა გამოიყვანა.

ალიკამ კარი მთელი ძალით შემოაღო, მკვახედ გახედა შვილს:

– რაო, რას ფიქრობ? იქნებ მირზას წინსვლამ შენს ფსიქოლოგიაზე იმოქმედა, იქნებ გაგეხსნა ტვინი?

– შენ დამცინი მამა, მაგრამ მინდა იცოდე, რომ მე და მირზამ ვისაუბრეთ, მპირდება ძალღონეს არ დაიშურებს, რომ მეც მის გვერდით ვიყო და მასთან, ინსტიტუტში ვსწავლობდე.

– არც მე დავიშურებ ძალღონეს, ოღონდ შენ მიიღე გადაწყვეტილება.

– მამა, მე მასთან საუბრის შემდეგ მივხვდი, რომ აქაურობას უნდა გავეცალო და ახალი ცხოვრება დავიწყო.

– ღმერთო, ეს რა მესმის, ნუთუ შენა ხარ ეს ?

ნუთუ შენი ძმის წარმატება უნდა ყოფილიყო შენი ცხოვრების შეცვლის საწინდარი?

რამდენს გევედრებოდი რომ გეფიქრა მომავალზე, მაგრამ ვერაფერს გავხდი.

– მამა, მირზამ სხვაგვარად დამანახა ცხოვრება და არ მინდა უსუსურობის მსხვერპლი გავხდე. მე მან მომცა ძალა, რომ ავირჩიო გზა, რომელიც ცხოვრებას გამიკაფავს!

ალიკა მოლბა. შვილის სიტყვები გულზე მალამოდ მოეფონა. კიდევ ერთხელ შესწირა ღმერთს მადლობა მირზას პოვნისთვის და შვილს აღუთქვა, რომ ყველაფერს გააკეთებდა მისი კეთილდღეობისათვის.

მარგომ ქმარ-შვილი სუფრასთან იხმო. ორივენი სასადილო ოთახში შევიდნენ. სუფრას განსაკუთრებული ელფერი დაჰკრავდა.

– რა ხდება, მარგო, ვზეიმობთ რაიმეს?

– რა თქმა უნდა, ჩვენი ბიჭის პირველ ნაბიჯს!

– იცი? კიდევ ერთი რამ გვაქვს ოჯახს საზეიმო.

– რა ხდება ალიკა, ნუთუ რაიმე გამომრჩა მხედველობიდან?

– დღეს მირზასთან საუბრის შემდეგ ჩვენმა შვილმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ მომავალი წლის მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად მოემზადოს. ძმა დაჰპირდა დახმარებას, თან სურს ამ მუქთამჭამელებს გაეცალოს!

– როგორ გამახარეთ?! მგონი მეორედ დავიბადე.

მართალია, ჩემი მზეჭაბუკო?

– მართალია, დედა. მე და მირზას პატარაობიდანვე ერთი ოცნება გვქონდა, ექიმები გავმხდარიყავით და ჩვენი კლინიკა გაგვეხსნა. ვფიქრობ, დადგა დრო რომ ბავშვობის პირველი ოცნება ავიხდინო. დანარჩენს ცხოვრება გვაჩვენებს.

– შენ ისწავლე, შვილო და მე, ვიდრე პირში სული მიდგას, თქვენს გვერდით ვიქნები.

– თუ არ მოვკვდი, მეორე ოცნებას მე აგიხდენთ.

– გმადლობთ, მამა.

ორივემ მაპატიეთ, რაც ამ დროის მანძილზე გაგაწვალეთ. უაზროდ ვხარჯე თქვენი ნაშრომი. გპირდებით, რომ აუცილებლად ისეთი შვილი ვიქნები, როგორზეც თქვენ ოცნებობდით რომ გყოლოდათ.

– ჩემო ძვირფასებო, დროა მიირთვათ, თორემ გაცივდა ყველაფერი. – იმდენად გამაბედნიერა ჭაბუკას სიტყვებმა, შიმშილის შეგრძნება გამიქრა.

– მეც იგივე შემიძლია ვთქვა, მაგრამ ღამე გრძელია და გვიან შეგაწუხებს შიმშილი, უმჯობესია წავიხემსოთ.

– კარგი. მომაწოდე და გადავიღებ. მარგომ ჯერ მეუღლეს, შემდეგ შვილს მიაწოდა კერძი და თავადაც გადაიღო. თითო ჭიქა შამპანური შესვეს, შვილების მომავალი ცხოვრება დალოცეს, თბილისში ბინის ყიდვის საკითხზე ისაუბრეს. ჭამას მორჩნენ.

მარგომ სუფრა აალაგა, გასარეცხი ჭურჭელი ჭურჭლის სარეცხ მანქანაში ჩაალაგა და მეუღლესთან ერთად საძინებელში შევიდა.

ჭაბუკამ ტელეფონი აიღო და მირზას დაურეკა:

– გისმენ, ჩემო მზეჟაბუკო,

გული მიგრძნობს რომ კარგი გადაწყვეტილება მიიღე.

– გულთმისანი ხარ ძმაო.

გადავწყვიტე, რომ ვისწავლო ვიშრომო და მუდამ ერთმანეთის გვერდით ვიყოთ.

მირზამ სიხარულისგან დაიყვირა:

– ვაუუუ, რა მაგარია?! ჩემი საუკეთესო ძმა ხარ !მიყვარხარ! მიყვარხარ!

– მეც მიყვარხარ, მირზა. შენ რომ არა, არასდროს დავფიქრდებოდი ჩემს საქციელზე და არასოდეს შევცვლიდი ჩემს ცხოვრებას.

შენ დამანახე ცხოვრების მაღალი მწვერვალიცა და ცხოვრების უკიდურესი გზაც, რამაც ჩემზე დიდი ზეგავლენა მოახდინა და დამეხმარა გადაწყვეტილების მიღებაში.

– გილოცავ ძმაო და ასევე ვულოცავ ჩვენს მშობლებს რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღე.

– აბა, ამაღამ მშვიდად დაიძინე მირზა,

ხვალ გამოცდა გაქვს და შენ იცი როგორ გვასახელებ.

– ცოტა კი მეშინია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ჩავაბარებ.

– კარგი, ტკბილი ძილი და წარმატებები. ხვალ როგორც კი გამოხვალ, დამირეკე.

– კარგი, კარგად.

ქალაქს მშვიდი ძილით ეძინა. მოწმენდილ ცაზე ვარსკვლავები პატარა ნათურებივით ანათებდნენ. სავსე მთვარე ჩირაღდანივით დაჰყურებდა ქალაქს. მთვარის შუქი ჭაბუკას ოთახში შეპარულიყო და ნაზად ეალერსებოდა სახეზე.

ვაჟმა, თითქოს სხივის ლიცლიცი შეიგრძნო, თვალი გაახილა. სხივი ხანჯალივით გაეყარა თვალში. მხარი იცვალა. თავზე საბანი წაიფარა და ისევ ძილს მისცა თავი.

სიზმრად თავისი მეგობრები ნახა, რომლებიც ხელს უშლიდნენ მთაზე დაკიდებულ ბილიკზე ასვლაში და უფსკრულისკენ მიაქანებდნენ. მხოლოდ ხვიჩა აწვდიდა თოკს, მაგრამ იმდენად მძლავრობდნენ დანარჩენები, რომ ხვიჩა ვერაფერს ხდებოდა. საიდანღაც მირზა გამოჩნდა, ხვიჩას მხარში ამოუდგა და ჭაბუკა მთის მწვერვალზე აიყვანეს. მწვერვალზე ასულს ხელში საქართველოს დროშა ეჭირა და ძირს დარჩენილი მეგობრების დასანახავად გამარჯვებას ზეიმობდა.

მეგობრები ცდილობდენ მთაზე ასვლას, მაგრამ რაღაც ძალა მათ ამის საშუალებას არ აძლევდათ!

ჭაბუკას გამოეღვიძა. მიმოიხედა. "ოჰ ეს სიზმარი ყოფილა, მე ცხადი მეგონაო" – გაიფიქრა და გაეღიმა.

შემდეგ ისევ ფიქრს მიეცა. "თუ სიზმარს რაიმე დაეჯერება, მგონი კარგი რამ უნდა მოხდეს ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ ის მეგობრები რამხელა წინააღმდეგობას მიწევდნენ. იქნებ, უმჯობესია საერთოდ არ გავუიზიარო მათ ჩემი ჩანაფიქრი. ასეც მოვიქცევი. რა საჭიროა ყველამ იცოდეს, რას ვაპირებ. "

ფიქრს თავი დაანება. ფანჯარას გახედა. მზე საკმაოდ მაღალზე ამოწვერილიყო. წამოდგა. ფანჯრები გააღო. ოთახში სუფთა და გრილი ნიავი შემოიჭრა. ჭაბუკამ აღმოსავლეთით გაიხედა. "ოჰ, ღმერთო, რა ლამაზია აისი. როგორი სიცოცხლის ფერებითაა მოფენილი ცა. მზე გავარვარებულ ცეცხლის ბურთს ჰგავს. მადლობა სამყაროს შემომქმედს, ასეთი სილამაზე რომ გვაჩუქა"– ფიქრობდა და გული რაღაც აუხსნელი სიხარულით ევსებოდა.

აბაზანაში შევიდა. ცხელი შხაპი მიიღო. ტანთ ჩაიცვა და სამზარეულოში შევიდა. დედას მიესალმა. მანაც სალამი მისცა შვილს.

– მამა სად არის? – იკითხა

– დილაადრიან წავიდა შვილო, საქმე მაქვსო თქვა...

– დედი, მე ყავას დავლევ, თუ მომიმზადებ.

ხომ იცი, რომ შენი მომზადებული მიყვარს.

– ახლავე, დედა გენაცვალოს.

მარგომ ყავა და ნამცხვარი მიართვა შვილს.

– ო, რა გემრიელია ორივე დედი. შენ ოქროს ხელები გაქვს!

– მადლობა, შვილო.

6

ჭაბუკა წამოდგა, დედას მოეხვია აკოცა და ჰკითხა: – დედი, მაპატიებ ჩემს დაშვებულ შეცდომებს?!

– შვილო, დედა შვილს ყველაფერს პატიობს და მე რა გამონაკლისი ვარ,

მაგრამ, თუ სწავლას მოინდომებ, იმ შემთხვევაში, სრულიად დავივიწყებ წყენას.

ხომ შეგპირდით დედი, მე სიტყვას არ გადავალ!

– ხომ არ იცი, მირზამ რა ქნა? დღეს ჯერ არ გამოსულა კონტაქტზე. უეცრად კარზე ზარის ხმა გაისმა. ვაჟი წამოდგა.

ჩუმად გაიჭყიტა, უკან მობრუნდა და დედას ჩუმი ხმით უთხრა:

– დედა, გახედე და უთხრი რომ სახლში არა ვარ.

ქალმა კარები გააღო. კართან იმავე უბნის ეგრეთ წოდებული "კაი ბიჭი" იდგა. მარგოს არ ესიამოვნა მისი დანახვა. ნაძალადევი ღიმილით მიესალმა.

– გამარჯობა, კობა.

მანაც სალამით უპასუხა და ჭაბუკა მოიკითხა.

– შვილო, ცოტა ხნის წინ გავიდა სახლიდან და არ ვიცი, სად, ალბათ, უბანში იქნება.

– ვეძებთ და ვერ ვიპოვეთ!

– ხომ მშვიდობაა შვილო, რატომ ეძებთ, ხომ არაფერი დააშავა?

– არა, დეიდა, არ იდარდოთ. ბიჭებმა შეკრება გადავწყვიტეთ და ამიტომ.

– თუ დაბრუნდება, გადავცემ, რომ იყავით აქ.

– გმადლობთ, დეიდა, კარგად ბრძანდებოდეთ. კობა წავიდა.

მარგომ კარი კარგად ჩაკეტა და შვილი იხმო:

– აბა ერთი მითხარი, რა საერთო გაქვს კობასნაირ ბიჭებთან? შენ სად უნდა გაჰყოლოდი მათ დასალევად, თუ საქურდავად?

– დასალევად დედა, მაგრამ მაგ მუქთამჭამელების დანახვაც აღარ მინდა!

– და შენ ფიქრობ, რომ ასე ადვილად დაგანებებენ თავს?!

– დედა, უთხრი დეიდას, თუ შეუძლია, დროებით, მეც რომ წავიდე მასთან. მინდა აქაურობას გავეცალო, ვიდრე ჩემი არსებობა არ დაავიწყდებათ.

– მოვა ალიკა და ერთად ავუხსნათ სიტუაცია.

– არა დედა, მე მათი დაჭერა კი არა, მათგან წასვლა მინდა!

– და ვინ გითხრა რომ დავიჭერთ? უარესად ხომ არ გადავიკიდებთ. შენს წასვლაზე დაველაპარაკები.

– გმადლობთ, ჩემო საყვარელო დედიკო.

უეცრად ტელეფონი აწკრიალდა. მარგომ აიღო და ყურმილში ჩასძახა : – გისმენთ!

– დედა, მირზა ვარ.

– რა ქენი დედა გენაცვალოს?

– ყველაფერი გავაკეთე. დარწმუნებული ვარ ერთი შეცდომაც კი არ მექნება!

– ჩემი საამაყო შვილი ხარ შენ.

ჭაბუკა სკამიდან წამოდგა, დედას ტელეფონი გამოართვა, ძმა მოიკითხა და მისი გამოცდის შედეგით დაინტერესდა.

– შედეგები მოგვიანებით გამოცხადდება. მე კი ვფიქრობ, რომ ყველაფერი სწორად. გავაკეთე.

– ყოჩაღ, ძმაო. გილოცავ!

– ჯერ ნაადრევია მოლოცვა, რამდენიმე დღე მოცდა მოგვიწევს.

– შენ რას ფიქრობ?

– მე დედას ვთხოვე, რომ დეიდასთან გამომიშვას. დაელაპარაკება და ვნახოთ, როგორ გადაწყდება.

– ძალიან გამახარე, ჩემო მზეჭაბუკო, თუ კი ჩამოხვალ, ერთად ვიქნებით და ერთობით უფრო ადვილად გავიტანთ ცხოვრებას.

კარებში ალიკა შემოვიდა. ოჯახს მიესალმა, თანაც იკითხა:

– რა ქნა მირზამ?

– ახლა ვესაუბრები ტელეფონზე, მამა.

– მომაწოდე ტელეფონი, მასთან საუბარი მინდა.

ჭაბუკამ მამას ტელეფონი გადასცა.

– ალო!– ჩასძახა ალიკამ.

– გამარჯობა მამა. როგორ ხართ?

– მე კარგად. შენი ამბავი მაინტერესებს, თუმცა, გული მიგრძნობს, რომ ყველაფერს კარგად გაართმევდი თავს.

– არ გამჭრვებია. იმედია, რომ რამე შეცდომა არ მაქვს დაშვებული.

– შენი იმედი კი მაქვს შვილო და დარწმუნებული ვარ, რომ იმედს არასოდეს გამიცრუებ. მინდა მადლობა გადაგიხადო იმისთვისაც, რომ შენს ძმას დაეხმარე ცხოვრებისთვის სხვა თვალით შეეხედა.

– მე ის გავაკეთე, რაც მან ჩემს მიმართ გააკეთა. ეს დასაწყისია და თუ დამიჯერებს, მთელ ჩემს შესაძლებლობას, სულსა და გულს არ დავიშურებ მისთვის.

– ჩემი ლომები ხართ და ლომის სიძლიერით და ქართველი კაცის ვაჟკაცური სულით უნდა იცხოვროთ შვილებო. მე კი, როგორც ბებერი ლომი, თქვენს გვერდით მიგულეთ და არ დაგავიწყდეთ, რომ "ბებერი ხარის რქანიცა ხნავენ. "

ვიდრე ეს გული ფეთქვას არ შეწყვეტს, მამა, სულ ასეთი მემახსოვრებით: სიმპათიური, კეთილი, თბილი, ძლიერი პიროვნება – ისეთი, როგორიც გაგიცანით. მიუხედავად წელთა სიმრავლისა, არ შეცვლილხართ, კიდევ უკეთესი გახდით.

– შვილო, შენ მე და მთელი ჩვენი ოჯახი შეცვალე. შენმა სითბომ, სიყვარულმა და შემართებამ ჩვენი გულები კი არა, სახლის კედლებიც კი გაათბო და გაახალისა. მადლობა ღმერთს, რომ შენი თავი მაჩუქა. ახლა კი, ჩემო მიზანდასახულო ბიჭო, არ მოგაცდენ, იმეცადინე. წინ დიდი და რთული გამოცდა გელის, მაგრამ შენი დანახვის დღიდან მწამდა, რომ ყველა ბორკილს დაამსხვრევდი და დღესაც ასევე მწამს. აბა, წარმატებები მირზა.

– გმადლობთ, მამა. დედა დამიკოცნე.

– კარგი, ჩემო ვაჟკაცო.

ალიკამ ტელეფონი დადო და ცოლს მიუბრუნდა:

– მარგო, თუ კი იმ ქვეყნად მართლა არსებობს სამოთხე, აუცილებლად იქ მოვხვდებით.

– კი, მაგრამ რატომ?

– იმხელა მადლი გავაკეთეთ, მირზა რომ აღვზარდეთ, მხოლოდ ეს გვეყოფა სამოთხის კარში შესასვლელად.

– მარტო ეს არ გვეყოფა, ალიკა.

მითუმეტეს, შენი საქმიდან გამომდინარე ბევრი ადამიანი შენი მადლიერი თუ არის ბევრიც უკმაყოფილო და შენზე გაბრაზებულია. ბევრჯერ გიწევს სხვისი მითითებების შესრულება. სამწუხაროდ, დღევანდელ ცხოვრებაში სასამართლო არ არის დამოუკიდებელი და მესმის შენიც, რომ გიწევს მძიმე ტვირთის ზიდვა, მაგრამ თუ სამოთხის კარში გინდა შეხვიდე, მაშინ უდანაშაულო კაცს ნუ დასჯი ტყუილად, ნუ გაუნადგურებ დედას და ნურც მას ნუ გააუბედურებ.

– განა მე მინდა ამის გაკეთება, საყვარელო? მაგრამ რა ვქნა, სისტემის წინააღმდეგ ვინ წასულა, რომ მე გავილაშქრო? ანდა, რას მოვიგებ სიკვდილის გარდა. ამიტომ, მივყვები დინებას გულდამძიმებული, ვიდრე გული გაუძლებს უსამართლო სამართალს!

– მე ჩემი სათქმელი გითხარი, ახლა კი მომისმინე – ჭაბუკას ჩემს დასთან უნდა წასვლა. უნდა რომ აქაურ სამეგობროს ჩამოშორდეს. დღეს სახლიდან ფეხი არ გაუდგამს და კობამ მოაკითხა

– ვინ არის კობა?

– არ გახსოვს შენ რომ მიუსაჯე სამი წელი? ახლა თავისუფალია და ჩვენს შვილთან მეგობრობს!

– რა საერთო აქვს მასთან?

– რა საერთო აქვს არ ვიცი, მაგრამ დღეს აქ იყო მოსული და ეძებდა. მითხრა, რომ ახალგაზრდები ვიკრიბებით და იმიტომ ვეძებო.

– არ მომწონს აქ მოსვლა რომ გაბედა. მართლაც უნდა გავაშოროთ ქალაქს, ვიდრე რაიმე ცუდი მომხდარა.

ხვალვე ავიყვან ორ დაცვის თანამშრომელს სადღეღამისოდ.

სანდო ხალხია. მგონი სპეციალურად დაუმეგობრდნენ მას, რომ რაიმეში გამოიყენონ...

– მე ახლავე დავურეკავ ჩემს დას და ვთხოვ, თავისთან აცხოვროს.

– არ არის საჭირო სულ შენს დასთან დავტოვოთ. მხოლოდ რამდენიმე დღე ისტუმროს. თუ უარს არ იტყვის, ხვალვე გავუშვათ.

მეც გავაქტიურდები, დავუკავშირდები საამშენებლო კომპანიებს და ბინას ვიყიდი თავისი ავეჯითა და ტექნიკით აღჭურვილს,

შენ კი, ფრთხილად იყავი, როცა მარტო იქნები, თუ ისევ მოვა, კარები აღარ გაუღო მანამ, ვიდრე დაცვა არ გვეყოლება.

– ნუ მაშინებ, საყვარელო...

– არ გაშინებ, გაფრთხილებ! იმიტომ, რომ ესენი არიან კრიმინალები, რომლებიც ჩვენი შვილისნარ ახალგაზრდებს იკედლებენ. შეიძლება ჩემი გამწარების სურვილიც ჰქონდეს რომელიმეს გულში, ამიტომ გველი სახლში არ უნდა შემოუშვა, თორემ არ იცი როდის გიკბენს.

– მივიღე შენგან დამოძღვრა. ახლა კი ჩემს დას დავურეკავ.

– ნახე, აბა რას გეტყვის.

მარგომ ტელეფონი აიღო. ნომერი აკრიფა. რამდენი ზარის შემდეგ ქალის ნაზი ხმა გაისმა:

– გისმენ, მარგო.

– როგორ ხარ ციცი?

– კარგად. ხომ მშვიდობაა, ასე გვიან რომ მირეკავ?

– ციცი, იცი რა მინდა გთხოვო?

– რაც გინდა მთხოვე, ან რა თხოვნა გჭირდება ჩემთან, შორეულივით რომ მეუბნები.

– ჭაბუკას უნდა ჩამოსვლა თქვენთან და მერიდება, ორივე ბავშვი მანდ რომ იქნებიან.

– მაგას შემოევლოს დეიდა, როგორ გამახარე?!

როცა უნდა მოვიდეს.

– ხვალვე გამოვამგზავრებ. დანარჩენს სხვა დროს აგიხსნი.

– კარგი, მარგო, ველოდები ხვალ. როცა ჩაჯდება ტრანსპორტში, დამირეკოს და სადგურზე დავხვდები.

– კარგი, ციცი. ღამემშვიდობისა.

– ღამემშვიდობისა დაიკო!

მარგო წამოდგა. სახლის ყველა ფანჯარა, აივნები და შემოსასვლელი კარები შეამოწმა კარგად იყო თუ არა ჩაკეტილი. საძინებელში შევიდა.

– ხვალ დილით გავუშვებ ჭაბუკას თბილისში, – უთხრა ქმარს.

– ძალიან კარგი. ახლა კი დავიძინოთ, თარემ პირველი საათია, დილით, როგორც ყოველთვის, ადრე უნდა წავიდე.

– კარგი, საყვარელო. ტკბილი ძილი.

– შენც ასევე.

მარგომ შუქი გამორთო და დაწვა.

ჭაბუკას არც კი წარმოედგინა, კობა და მისი ძმაკაცები კრიმინალური ბანდის წევრები თუ იყვნენ, ისე ქეიფობდა და დროს ატარებდა მათთან. ისინი კი, იმის გამო მეგობრობდნენ ჭაბუკასთან, რომ ფული ჰქონდა და თითქმის ყოველთვის ის იხდიდა რესტორანსა თუ საქაბაბეში.

კობას კი, ყველაზე ახლობლად რომ თვლიდა, შურისძიების წყურვილი არ ასვენებდა. ოცნებობდა: ჭაბუკა, ადრე თუ გვიან, მათნაირი გამხდარიყო, რითიც ალიკაზე იძიებდა შურს.

მიქაუტაძეების ოჯახს ღამით მშვიდად ეძინა. დილით ამოსულმა მზემ ფანჯრის მინა შეამსხვრია, ოთახში ქურდივით შეიპარა, მძინარე ჭაბუკას დახედა და თავისი მოელვარე სხივი თვალში გაუყარა. ბიჭი შეიშმუშნა, გაიზმორა. თავდამსხმელმა თავი არ მიანება – ახლა მეორე სხივი ჩაანაცვლა... სხვა რაღა გზა ჰქონდა, წამოდგა საწოლიდან. ფანჯარა გამოაღო. დილის გრილი ნიავით გაივსო ოთახი და მზეჟაბუკს სიხალისე შემატა. – დაილოცოს ბუნების განგება, – თქვა მან, ერთი კი მოავლო თვალი ამწვანებულ ეზოს და აბაზანაში შევიდა. შხაპი მიიღო. ხალათი შემოიცვა და საუზმის მისაღებად სამზარეულოს მიაშურა.

მარგოს სუფრა უკვე გაეშალა და შვილს ელოდა.

– დილამშვიდობისა, დედა.

– დილამშვიდობისა, შვილო.

– რა ადრიანად გაგიწყვია სუფრა.

– მიირთვი, დედა გენაცვალოს, მოემზადე და თბილისში უნდა წახვიდე. სადგურამდე მე გაგაცილებ.

– რად მინდა გაცილება, დეე...

– ალიკამ დამიბარა მარტო არ გაუშვაო.

– კარგი რა, დედა. პატარა ხომ არა ვარ.

– ყურადღება არც დიდებს ვნებთ!

– კარგი, რადგან არ იშლი, იყოს ნება შენი.

ვაჟმა ყავა და ახლად გამომცხვარი შუ შეჭამა, ხელები დაიბანა. თავის საძინებელში შევიდა. საშუალო ზომის ჩემოდანი აიღო და თავისი ნივთების ჩალაგებას შეუდგა.

მარგომაც გაიხადა საშინაო ტანსაცმელი, კარადიდან ფრიალა აბრეშუმის სარაფანი ჩამოხსნა, გადაიცვა და შვილს გასძახა: – მზად ხარ?

– დიახ, დედა.

– აბა, გავიდეთ. იქნებ თერთმეტ საათზე გამსვლელ რეისს გაჰყვე.

– კარგი, – გამოსძახა დედას ჭაბუკამ, ჩემოდანს ხელი დაავლო და აივანზე გამოვიდა.

ქალმა ხელჩანთა იაიღო, სახლის კარები საგულდაგულოდ დაკეტა, ერთხელ კიდევ შეამოწმა დანარჩენი კარ-ფანჯარა და შვილთან ერთად მანქანასთან მივიდა.

საბარგულის სახურავი ახადა, ვაჟმა ჩემოდანი შიგ მოათავსა და დედას გერდით მიუჯდა.

ქალმა გასაღები მოარგო, გადაატრიალა, თუმცა, მანქანა არ ჩაირთო. ბევრი ეცადა, მაგრამ ვერაფერს გახდა.

– ტაქსს გამოვიძახებ, – უთხრა შვილს.

– არა, დედა, რა საჭიროა, ფეხით წავალ. განა პირველად გავდივარ მარტო გარეთ...

– კარგი, მაშინ წადი, რა გაეწყობა.

დედას დაემშვიდობა. ქალმა ხელჩანთა გახსნა, შვილს რამდენიმე ასლარიანის კუპიურა მისცა, თანაც დასძინა:

– ჭკვიანად იყავი. ყოველ კვირაში გადმოგირიცხავ თანხას. ახლა კი ეს იკმარე.

– კარგი, დედა. გმადლობთ. რომ ჩავალ დაგირეკავ. – ბედნიერი გზა შვილო, – უთხრა მარგომ და შინ შევიდა კი მაგრამ მანქანაზე ფიქრო აეკვიატა :"რა ჯანდაბა დაემართა ამ მანქანას, თანაც დღეს?

ეხლა ვიდრე ალიკა არ მოვა, ვერაფერს გავხდები. მოთმინება იქონიე და ნერვები დაიმშვიდე, მარგო!" – უთხრა თავის თავს და აივანზე ჩამოჯდა.

სახლიდან წასულ ჭაბუკას დიდი მანძილი არ ჰქონდა გავლილი, ხმა მოესმა. უკან მოიხედა. პირკატა ეცა, როცა კობა და მისი ორი მეგობარი დაინახა.

– საით გაგიწევია, ძმა? – ჰკითხა კობამ.

– თბილისში მივდივარ.

– მერე, სიმონ, ისე მიდიხარ რომ არც კი გვეუბნები და არ გვემშვიდობები?

რა დედაშენმა არ გითხრა რომ გეძებდით გუშინ?

– კი, მითხრა, მაგრამ გვიან მოვედი სახლში.

– სად იყავი ისეთ ადგილზე, რომ ვერ მოიცალე ჩვენთვის?

– ახლობელთან.

– კაი, ბიჭო, წამოდი აგერ, გზას დაგილოცავთ.

– არა, კობა, ვერ წამოვალ, მაპატიეთ, დამაგვიანდება.

– რა იყო ბიჭო, ერთ დღეში ისეთი ხელმომჭირნე გახდი, რომ ერთი ჭიქის ფული არ გინდა გადაუხადო ძმაკაცებს?

– არაა მასე საქმე. უბრალოდ, მაგვიანდება.

– რა იყო ბიჭო, გაგვირბიხარ, სიმონ?

– რატომ უნდა გაგირბოდეთ, უბრალოდ, გამიგეთ, რომ მაგვიანდება.

– ვა, ჩემი კაი, მე უნდა გაგიგო შენ? კი მაგრამ ვინა ხარ და რითი ხარ ჩემზე მეტი, რომ გაგიგო თუ ძველი განაბი ხარ?

– კარგი რა, კობა. რად გინდა ამდენი ამბავი. გაუშვი კაცი თავის გზაზე, – საუბარში ჩაერთო ხვიჩა.

– შენ ვინღა გკითხავს? მე მასთან ჩემი ანგარიშები მაქვს, – კბილებში გამოსცრა კობამ.

– კობა, მე რა დავაშავე შენს წინაშე, ასე რომ მესაუბრები?– ჰკითხა ჭაბუკამ.

– შენ არაფერი, მაგრამ ბაბუას ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოკვეთა კბილიო– ხომ გაგიგონია...

– და მერე ვინ ჭამა ტყემალი, რომ მის მაგივრად მე ვაგო პასუხი?

– კარგად იცი, ვისაც ვგულისხმობ.

– მამაჩემმა გაწყენინა რაიმე და პასუხს მე მთხოვ?

– აბა რა, ბაბუაჩემს ხომ არ მოვთხოვ?

– ახლა კი ვხვდები რატომ დამიმეგობრდი, მაგრამ გვიანია.

– აბა, რა ჩემი მეგობარი შენა ხარ?

– გმადლობთ, კობა...

ჭაბუკა ახლა მიხვდა, რატომ ფრთხილობდა დედა. გაანალიზა ისიც, რომ თუ აქაურობას არ გაეცლებოდა, ცუდად დასრულდებოდა – მიუხედავად ხვიჩას თანადგომისა, თავს ვერ დააღწევდა აქაურობას. თავი ასწია, ირგვლივ მიმოვიხედა. მისკენ მომავალი ცარიელი ტაქსი დაინახა და ხელი დაუქნია. იღბლად, მამქანა მის ფეხებთან გაჩერდა.

– აბა, ბედნიერად დამხვდით, – მიაძახა გაოგნებულ ბიჭებს და ტაქსის მძღოლს უთხრა სადგურზე გაეყვანა, რაც შეიძლებოდა სწრაფად.

კობა ბრაზისგან ცოფებს ყრიდა, მაგრამ იმედს არ კარგავდა, რომ ადრე თუ გვიან, ალიკას თავისას მიუზღავდა.

გაგრძელება შე,დეგ ნომერში

ლეილა გაფრინდაშვილი

შერიგების მარში

ტკივილიანი ფიქრებით ჩამეძინა, ვფორიაქობდი... გამთენიაა, თითქოს ყურში ჩამესმა: „შერიგების მარში“, აიტაცა ეს ჩაძახილი გონებამ და წერას შევუდექი.

დაიღალა ჩვენი ღვთითბოძებული ქვეყანა ამდენი ჭირით, ტკივილით, დაპირისპირებით, სიძულვილით, შურით, ბოროტებით, გაუტანლობთ, მლიქვნელობით, ერთმანეთის ტალახის სროლით, სიცრუით, გადაბრალებით.

რა თქმა უნდა, არსებობს საწინააღმდეგო ქმედებანიც, მაგრამ ამჟამად პირველი სჭარბობს მეორეს. ვეღარ დასძლია სიკეთემ ბოროტება, რომელიც ბობოქრობს და წალეკვას გვიპირებს. დაიღალა შოთა რუსთაველის პროსპექტი, ამდენი რყევითა და ჯანჯღარით.

ჩემო საქართველოვ, ჩემო ქართველო და არაქართველო მოსახლეობავ,

ჩვენ ყველანი ხომ შვილები ვართ ამ მადლიანი მიწისა, რომელმაც ,,იავნანათი“ გაგვზარდა, მადლი გვაპკურა, დაგვაპურა და დაგვაფრთიანა.

მოდით, ერთად დავძახოთ: “შერიგება“ და დავგეგმოთ „შერიგების მარში“. დავიწყება ძნელია, მაგრამ წარსულის სკივრში გამოვკეტოთ ცუდად გასახსენებელი ყოველი დღე, მერე ეს სკივრი მაგრად დავლუქოთ, მიუვალ სივრცეში გადავისროლოთ, ახლიდან დავიწყოთ, ფორმალურად კი არა, მართლა. წარსულიდან მხოლოდ კარგი გავიხსენოთ, თუ როგორ გვიყვარდა, გვიხაროდა, ვმეგობრობდით, ვსტუმარმასპინძლობდით, ლუკმას ვიყოფდით, ვგულშემატკივრობდით, ერთიმეორის წარმატებით ვხარობდით.

მოვინდომოთ, შეუძლებელი არაფერია, მოვინდომოთ ჩვენი ქვეყნის სიყვარულისთვის, მამულის გულის დამშვიდებისთვის, ჩვენი შვილების მომავლის გადარჩენისთვის, წინაპართა სულებისთვის, რომელთაც სამშობლო ბრძოლითა და სისხლით დღემდე მოგვიტანეს, პატივისცემისთვის.

იქნებ შევძლოთ: დავაწესოთ დღე, თარიღი, ყველანი ერთად რუსთაველზე, მიუხედავად მრწამსისა, ეროვნებისა, პოლიტიკური შეხედულებისა, პირადი ინტერესებისა. შევქმნათ სიმბოლიკა, ჰიმნი და ხმამაღლა შევძახოთ ღვთისმშობელს, რომ ჩვენ გავერთიანდით სამშობლოს სიყვარულისა და პატივისცემის გამო, რომ ჩვენ გვიყვარს და გვიხარის!

მტერმა რა უნდა დაგვაკლოს,
ღვთისმშობლის მადლი გვმფარველობს.
მამულის დედა დაგვძახის,
არ ჩაიმუხლოთ ქართველნო!

სიყვარულისთვის ვიცხოვროთ,
იმედის ნერგი ვახაროთ,
ჩვენი პატარა სამშობლო
დიდია, ვიდრე სამყარო!

მამულს შევმატოთ სიცოცხლე,
ნუ მოვეპყრობით უგულოდ,
„შავლეგო“ „მრავალჟამიერ“,
ზეცამდე ავაგუგუნოთ!

ღვთისა და მთვარისა
/ზღაპარი/

ერთ პატარა ქალაქში მდიდარი კაცი ცხოვრობდა, ერთი შვილი ჰყავდა, სახელად მთვარისა ერქვა. მამას ძალიან უყვარდა თავისი გოგონა, მას თავს ევლებოდა, საჩუქრებით ანებივრებდა და სასეირნოდაც ხშირად დაჰყავდა.

მეზობლად ერთი ღარიბი ოჯახი ცხოვრობდა, ბევრი შვილი ჰყავდა, ბავშვები ძალიან ჭკვიანები, ლამაზები, ზრდილობიანები იყვნენ, მაგრამ შესამჩნევად ღარიბულად ეცვათ. უფროსს სახელად ღვთისა ერქვა, განსაკუთრებულად გამორჩეული იყო, დინჯი და საქმიანი.

ვიდრე პატარა იყო, მამა მთვარისას უფლებას აძლევდა, თანატოლებთან ეთამაშა, მაგრამ, როდესაც წამოიზარდნენ, მან შენიშნა, მთვარისას და ღვთისას შორის განსაკუთრებული სიახლოვე. „ღარიბი ოჯახის შვილია, უნდა ჩამოვაშორო, ერთმანეთი არ შეიყვარონო“ – გაიფიქრა და გოგონას ეზოდან გასვლა აუკრძალა!

დადარდიანდა ღვთისა, აივლიდა, ჩაივლიდა მეზობლის ღობესთან ახლოს, იქნებ მთვარისასთვის თვალი მოეკრა. ამ ხეტიალში, ერთ დღეს მთვარისას მამას, ფულისას გადაეყარა: „აქ რას დაეხეტები, შენ ღატაკოო“-შეუყვირა ვაჟს და ბეჭდიანი ხელით ისეთი სილა გააწნა სახეში, ვაჟს ლოყაზე სამუდამო იარა დაამჩნია.

იუკადრისა ღვთისამ ეს შეურაცხყოფა, შერცხვა, აღარ უნდოდა ქალაქში გამოჩენა, იფიქრა, იფიქრა, შეკრა პატარა ბოღჩა და სახლიდან გადაიკარგა.რადგან თევზაობა ეხერხებოდა, ტყესთან ახლოს, მდინარის პირას ხის ტოტებისგან ქოხი ააგო, ისლით გადახურა და იქ დაბინავდა. თევზაობდა, მადლიანი ადამიანები პურს და მცირე სანოვაგესაც მიაწოდებდნენ ხოლმე და ასე ირჩენდა თავს. ამასობაში დავაჟკაცდა, ტანი აიყარა, კუნთები დაუმსხვილდა, შრომა შეიყვარა, სხვისი მოწოდებული პურის აღება იუკადრისა, ხორბლის თესლი იშოვა, დათესა, მერე კი ზეცისაკენ დაიწყო ცქერა და ვედრება:

სახელად მქვია ღვთისაო,

მადლი მომეცი ცისაო!

შეისმინა უფალმა ღვთისას ვედრება, მოვიდა წვიმა, გააჯერა მიწა, ამობიბინდა ჯეჯილი, მიიღო უხვი მოსავალი და ახლა თვითონ აწვდიდა პურს მშიერ, ღატაკ ადამიანებს.

„ მადლი მომეცი ცისაო“... ხშირად იმეორებდა ღვთისა, ღმერთი ხედავდა მის ყველა კარგ საქციელს, ისმენდა მის ვედრებას და ხელს უმართავდა! ღვთისამ ბაღ-ბოსტანიც ააბიბინა, ცხვარ-ძროხაც გაიჩინა და ბარაქა დაუტრიალდა. განსაკუთრებული ხატვის ნიჭიც აღმოაჩნდა, შეიძინა ფუნჯები, საღებავები და ხატვა დაიწყო.

მთვარისაზე ფიქრი არც ერთი წუთით არ ტოვებდა. ხშირად ტიროდა კიდეც.

მთვარისაც სულ მასზე ფიქრობდა, მამის მალულად ლექსებს წერდა ღვთისაზე. მის სახლთან რომ გაივლიდა, მორიდებით იცქირებოდა-ხომ არ გამოჩნდაო.ისეთი ლამაზი იყო, მზერას ვერ მოსწყვეტდი. სავსე მკერდზე ხალი ამშვენებდა, მწვანე თვალები უციმციმებდა, მაგრამ სევდიანი ჩანდა, ვაჟების მალულ მზერას თითქოს არც გრძნობდა, მხოლოდ ღვთისას ეძებდა ფიქრშიც და სიზმარშიც. გაახსენდა, ბებია ეტყოდა ხოლმე: „შენ ხომ მთვარისა ხარ, ჰოდა, ახალი ნამგალა მთვარე რომ ამოიწვერება, ცას ახედე, სურვილები ჩაიფიქრე და აგისრულდებაო“. მთვარისასაც მეტი რა უნდოდა, ყოველ ახალ მთვარეზე ცისკენ ეჭირა თვალი და მამას რომ არ გაეგო, ჩუმად ბუტბუტებდა:

მთვარეო, მთვარეო,
მადლი მომეც ცისაო,
დამიბრუნე ჩემი საოცნებო ღვთისაო!

გავიდა წლები, ქალაქში ხმა გავარდა: მდინარის ნაპირას ვიღაც ბრგე ვაჟკაცი დასახლებულა, ისეთი წალკოტი გაუშენებია, ისე მოუწყვია ეზო- კარი, თავისი ნამუშევარი ნახატები გამოუფენია, ყველა მას შენატრისო!

ხატავდა ღვთისა, ყველაფერს ხატავდა, მაგრამ განსაკუთრებით ერთ ნახატს ელოლია-ვებოდა, ქალის ფიგურა იყო, ოქროსფერთმიანი, აშოლტილი ტან-ფეხით, მწვანე თვალებით, სევდიანი გამოხედვით, მკერდზე ხალით, საოცარი ლამაზი ფერებით შერჩეული სამოსით. ო, როგორ უყვარდა ღვთისას ეს ნახატი, დროს მოიხელთებდა თუ არა, ისე გადაუსვამდა თმებზე ხელს, თითქოს ცოცხალ არსებას ეფერებოდა!

ვრცელდებოდა ამბები იდუმალი ვაჟის შესახებ. მიდიოდნენ, ინტერესით იცქიერებოდნენ მის სამფლობელოში.

მთვარისას მამამდეც მიაღწია ამ ამბავმა. ჩემზე მდიდარი არავინ მეგულებაო, თითქოს შურით აღმოხდა მას. დაინტერესდა, ეტლში ჩაჯდა, მთვარისა გვერდით მოისვა და გაუდგნენ გზას. ნახატების გამოფენა მოეწყო მხატვარს. ხალხი ირეოდა, ნახატებს ყიდულობდნენ, მაგრამ გოგონას ნახატზე განსაკუთრებით იხვეწებოდნენ-სიყვარულს არ ვყიდიო- პასუხობდა მხატვარი. მას იმდენ ფულს შევთავაზებ, როგორ მეტყვის უარსო, დაიტრაბახა ფულისამ და მხატვარს მიუახლოვდა. ნახატის დანახვაზე გულისცემა აუჩქარდა – როგორ ჰგავს ჩემ მთვარისასო, გაიფიქრა, ხოლო, როდესაც მხატვარს ახლო ჩახედა თვალებში, იცნო, ლოყაზე იარამ მთლად შეაშფოთა, შერცხვა, ხმა ვეღარ ამოიღო, თითქოს ენა ჩაყლაპაო და და სახეალეწილი გაეცალა იქაურობას. მთვარისა კი იდგა გაფითრებული, სახეშეცვლილი და ღვთისას შეხვედრით გამოწვეული მოულოდნელი სიხარულის ცრემლები უსველებდა სახეს.

მთვარისა, მთვარისაა, ბედნიერი ვარ, ბედნიერი! აწ, მუდამ ერთად ვიქნებით, ოჯახს შევქმნით, შვილებს გავაჩენთო, ცას სწვდებოდა ღვთისას შეძახილი!

შეიკრიბნენ ახლობლები, გაჩაღდა ქორწილი!

მრავალწლის განშორებით ნაწამები სიყვარული, ლამაზი წყვილის ბედნიერების დღეს ზეიმობდა!

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

მადლობა უფალო!

ის რაც ხდება ჩემსა და სამყაროს ირგვლივ ყველაფერი ზეციდან მოდის. ჰო, უცხოა ცის სამყარო თვალთ უხილავია, მას ცის გალაქტიკას უწოდებენ. ლექსი რომელიც ჩემს სულიერ შვილს თემურის მიუძღვენი დღეს დავდე. ამბავი ცოტა შორიდან იწყება. ჩემი ძმა თამაზ ხარაიშვილი (დათას ბაბუა) და თემურის დედა საჩხერის სავადმყოფოში ერთად გადიოდნენ მკურნალობას. ჩვენ ერთმანეთს ვკითხულობდით. თემურ შვილო, დედაშენი როგორ არის? – რა ვიცი დედი უფლის ნებაა ყველაფერი იყო ერთიდაიგივე პასუხი თემურის მხრიდან. მოხდა ისე, რომ თემურის დედა გარდაიცვალა. მას შემდეგ თემურის სულში ასეთმა რწმენამ შემოღო სულის სარკმელი. მე გავხდი მისი სულიერი დედა. თემური როცა მივლინებიდან ჩამოდის, პირველი ჯერ შვილიშვილს ურეკავს კითხულობს მის ამბავს და მერე კი მე. დედი, როგორ ხარ? – მეც ვპასუხობ, კარგად შვილო. როცა ჩემი ძმა გარდაიცვალა ზამთრის პერიოდი იყო, უამრავ ხალხთან ერთად, თემურიც მოვიდა. გარეთ თოვდა. ყველა მომსვლელი, მანქანებში ან სახლის კუთხეში თბილ ღუმელს აფარებდა თავს. თემური იდგა გარეთ და ხვანის ზეციდან ჩამობარდნილ ფიფქებს ეფერებოდა. ვინ იცის თემური ამ ფიფქებში თავის დედის სიწმინდეს ხედავდა. ზოგი ცნობდა საკმაოდ ცნობილ ადვოკატს და თხოვდა სახლში შემოსვლას, ზოგს კიდევ უკვირდა თოვლის ფიფქებში გახვეულ თემურის ყინვაგამძლეობა. რა იცოდნენ მათმა, რომ თემურ გოგსაძე, იქიდანაც თავის სამსახურეობრივ მოვალეობას ასრულებდა და იმედიანი სიტყვებით აპურებდა იმდგაცრუებულ ხალხს. ასეა ცნობილი ადვოკატის სამსახური. თემურიმ ბოლომდე სცა პატივი ჩემი ძმის სულს და ალბათ თავის დედასთანაც მოკითხვა დააბარა. სუფრაზე ის აღარავის უნახია. ეს ერთი ნამდვილი ამბავი და რამდენი დედაშვილური ტკივილი თუ სიხარული გვაკავშირებს ერთმანეთთან. ზუსტად თემური, ლამზირა შეყილაძე, ეთერ ჭელიძე, ეკა ბრსგვაძე ჩამოვიდა ჭალვანში, დათას მარადისობის გზის გასაცილებლად. თემური იყო დიანას, რომ მოძღრამდა რწმენით. დათა უფლის ანგელოზიაო ჩასძახოდა დიანას და თხოვდა, რომ სული არ დაუმძიმბინა ძმისთვის. დღეს როცა, ლექსი მიუძღვენი და ფეისბუქზე დავდე, ლია ალადაშვილს წამებში ქონდა სიმღერა გაკეთებული. ესეც უფლის ნებაა, ქალბატონი ლიას ტვირთია ეს. ამიტომ ნუ ჩაგვითვლით ბავშურ მიამიტირ სულსწრაფობაში, ნურც ლექსის გამოქვეყნებას და ნუცა ლექსის დადებას. ბედნიერი დღე დაგიღამდეთ ყველას. მრავალჟამიერი ვინც ამ პოსტს კითხულობს.

ჩემი ხვედრიც სხვათა ყურადღებაა.

გარეჯის ერთი ბალახის ღერო, ერთი წლის შენახულ მიმოზის ტოტებს შეხვდა. ეს ამბავი ასე მოხდა. ათ ნოემბერს შარშანაც და წელსაც ქალბატონი ირმა კეკელიძის ხელმძღვანელობით ვეწვიეთ გარეჯს, რომელიც წმინდა იოანეს სახელს ატარებს. რა ტკბილი გალობა იყო, ყველანაირი წირვის დროს შესრულებული საეკლესიო რიტუალები. სმენად გადაქცეული მრევლი და წმინდა სანთლის ალების სიკაშკაშე. წირვის დამთავრების დროს აღსაერბა და ზიარება. მამაოს გამასპინძლება, სამარხვო ტრაპეზი. ბოლოს ეკლესის გარეთა ხედის დათვალიერება და თვალით ხილული სასწაულები.

შარშან მამაომ მიმოზის ტოტები მაჩუქა. წელს კი გარეჯის ერთი ბალახის ღერო. ათ ნოემბერს ნაჩუქარი საჩუქარი დიდი სიფრთხილით და მოწიწებით ჩავიტანე აკადემიაში და გარეჯის ბუნების მეგობრები ერთმანეთს შევახვედრე. ცოტა ხნით გულს დავიბნიე სიყვარულის ნიშად და ბოლოს კი სანთელი ავანთე, ვილოცე და ერთად მოვათავე უჯრაში გამხმარი მიმოზის ტოტები და ერთი ღერი გამხმარი ბალახი. მე რწმენით ვცოცხლობ. რწმენაა ჩემი გადამრჩენი. რა ბდნიერებაა, როცა გჯერა, რომ შენგან არავინ წასულა. თუმცა ვერ ხედავ მაგრამ ისინი შენ გხედავენ. აღარ მაშინებს ცალუღელობა. არც ძმების დეფიციტს განვიცდი. ხუთი ძმა ციდან მპატრონობს. ჩემი ძმიშვილიშვილი, დათა შუბითიძე და ჩემი შვილი გელა ძირულის მდინარის

სანაპიროზე ცეცხლის კოცონს ანთებენ და კეცებზე გარეულ ქათმებს წვამენ. ჩემს წარმოსახვაში ასე ხდება. დიახ! ეს ასეა. მადლობა ქალბატონო ირმა რწმენის სიმდირით, რომ დამაპურე და მამოგზაურე მეხუთე საუკუნის საქართველოში.

დიახ, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო ჯგუფმა, ხელმძღვანელი (ქალბატონი ირმა კეკელიძე) გადავწყვიტეთ ათ ნოემბერს გარეჯში წავსულიყავით. დაგველიცა საქართველო და ჩვენი საახლობლო. ასეც მოვიქეცით. მივდიოდი და შარშანდელი ათი ნოემბრის საოცრებები თვალწინ მიტრიალებდნენ. მამა ნეოფიტეს შეხვედრა. ეთერ ისაკაძის ხელში ასანთის გარეშე ანთებული ოთხი სანთელი და უამრავი თვალთხილული საოცრებები. გზად მიმავალს ანგელოზის ჩრდილები მიმაცილებდნენ. გზადაგზა ვისვენებდი სასიამოვნო ერთი წლის მოგონებებთან ერთად. გამახსენდა ხუთი მაისი. ექვს საათზე ჩემს კარებზე დილის ცისკარის ალიონზე ახმაურებული ზარი. უფლის გზავნილების მოსვლა. ჩემი სტუმრები, ღმერთთან მოსაუბრეები, უფლის რჩეულები იყვნენ. გარეჯის ბერი მამა ნეოფიტე, რუთაველის მსახიობი თენგიზ გიორგაძე (ჩემი საყვარელი ირმა კეკელიძის მეუღლე), თვალებციმციმა ლამაზი სოფო და უახლოესი მეგობარი ლამზირა შეყილაძე. ეს შარშან... ახლა უდაბნოს ძლიერი ქარი ჩემს მოგონებებს წინ და უკან ატრიალებდა. ჩრდილის ანგელოზები კი მიმიძღოდა წინ მეექვსე საუკუნოვან საქართველოში. ჩემს წინ მიდიოდნენ აკადემიის წევრები ბატონები და ქალბატონები. მათ თვალებში იმედის სხივები ბრწყინავდა. ძალიან მიხაროდა მათი სიხარული. გამახსენდა წინა წლების ,,ათინათი ", ირმა კეკელიძის ხელით მირთმეული ჟურნალი მამა ნეოფიტესთან. მერე და რა დიდებული ლექსი მომიძღვნა მამა ნეოფიტემ.

,,მეც შენსავით ლაღ სტრიქონებს ვქარგავ,
რა შეგარქვა ენძელა თუ ია?
რასაც ფიქრში ვპოულობ თუ ვკარგავ,
შენს ენაზე,, ათინათი " ჰქვია!

ვინ მოთხარა, ისევ მოვრწყავ, დავრგავ
და მოუვლი როგორც შემიძლია,
პატარაა, ისევ მორწყვას ითხოვს,
მერე რა რომ მინდვრის ყვავილია.?!

ვეფერები ვარგა თუ არ ვარგა,
სხვისთვის ყალბი, – ჩემთვის ნამდვილია,
ნეტავ იმას ვინც ასე შეგარქვა,
ათინათი ზედგამოჭრილია.

ათინათი ხომ იმისთვის გქვია,
რომ ხანდახან გამინათო გზანი,
რომ მაისში სიხარულით დამხვდნენ,
მერხეული ჭალვანი და ხვანი!

ვინც ფიქრობს, რომ სხვის სტრიქონებს ვძარცვავ,
მას მკითხველის არაფერი სცხია,
დამეჭიდოს დავღლი და დავქანცავ,
ცივი წყალის სმა თუ შეუძლია.

ხელს ჩაგჭიდებ რომ არ დავიკარგო,
კიდევ კარგი არ ვარ თვითმარქვია,
მახსოვხარ და თან იგივეს არ გთხოვ,
მეც შენსავით ათინათი მქვია.

პატარა ხარ არც ერთ ყვავილს გავხარ,
და სიმართლე გწყურია და გშია,
ჯორკოს სკამზე თუ დადგები სჩანხარ,
ყველა ია – ხარაიშვილია!

იას ვუვლი ვუთოხნი და ვმარგლავ,
და ჩიტების ატყდა რიარია,
მეზობლებთან საზღვარსაც არ ვფარგლავ,
რატომ არ გწყინთ ვეღარ გამიგია.

დევკაცებო, მომეშველეთ სად ხართ?
ვინ მაჩუმებს ღაღადებენ ქვანი,
დღეს ძირულას მძევლად გაჰყოლია,
მერხეული, ჭალვანი და ხვანი.

კაკალ გულში პაწაწინა მყავხართ,
თავი ვისთვის როდი დაგიხრიათ?!
ვაი იმას, ვისაც არ უყვარხართ,
ათინათი, ენძელა და ია!

ეს ლექსი მამა ნეოფიტემ, გამომიგზავნა ირმა კრკელიძის ხელით. დღეს როცა გადავწყვიტეთ გარეჯში წასვლა, ღამის სამ საათზე ინტერნეტიდან შეტყობინების ზარმა მამცნო, რომ ლონდონში მცხოვრებმა ჩვენმა საყვარელმა ქართველმა ქალბატონმა მზია კვირიკაშვილმა, მამა ნეოფიტეს

ლექსი ინგლისურად ნათარგმნი გამოუგზავნა. თარგმანი აუცილებლად შევა ათინათის 50-ე ნომრში. სასწალების უკვე აღარც მიკვირს. სასწაული არაა? მამა ამირან ამირანაშვილმა ამაღლების ეკლესიაში ხარაიშვილების საგვარეულო ლომისის წმინდა გიორგის ხატთან დად რომ მაკურთხა? სასწაული არ არის? 53 წლის ასაკში, მამა გაბრიელის საფლავიდან ლექსების წერის მადლი, რომ გამომყვა? მე ხომ მანამდე 30 წელიწადი ბიბლიოთეკის გამგე ვიყავი და ლექსი ერთი სტროფიც კი არასოდეს დამიწერია. დედა – ბებიობის ხანაში, ცამეტი წიგნი შევქმენი. სასწაული არაა? ყველასთვის სიკეთე, რომ მინდა? იმსახურებენ თუარა მაინც?

მივდივარ და ვფიქრებ ამ ყველაფერზე, ადევნებული ჩრდილის ანგელოზებთან ერთად. ეკლესიის კარებში შარშანდელი ათი ნოემბერის დღესავით კვლავ მამა ნეოფიტე შემომეგება.,, დღეს ხუთი მაისია" მითხრა და თვალწინ დამიდგა 2023 წლის ხუთი მაისი. მამა ნეოფიტეს ნათქვამი რეალურად ახდენილი სასწაულები. ეკლესიაში შევედით, წირვას მამა დავითი ატარებდა. სანთლები ავანთე. ღმერთმა იცის ის, რომ ყველა დავლოცე. დავლოცე ჩემი ოჯახი და აკადემიის წევრები, ნათესავები და ემიგრანტები. დავლოცე ისრაელი. ავანთე წინა დღის ჩემი თამუნას გამოტანებული სანთლები, რომელიც ჩემ რძალს ისრაელიდან ჩამოუტანია, ეკატერინე ფხიკიძეს. უფალს შევავედრე ჩემი აწ გარდაცვლილი შვილის ცოლი და შვილები. გარეჯში ეს სალოცავი, იოანე ნათლისმცემელის სახელობისაა. ჩემი უფროსი შვითაშვილის სახელია იოანე. წელს ის პირველ კლასში შევიდა. ღმერთო, კარგად მიმყოფე და სახელოვანი ვაჟკაცი გაზარდე. იწვოდა სანთლები და მე ვლოცავდი ყველას. სათქმელი ბევრი მაქვს, რომელსაც უსათუოდ დავწერ. ეს მხოლოდ მწირი მასალაა დიდი და მადლიანი დღიდან გამომდინარე!

და მაინც... ყველაზე ბარაქიანია ოქტომბრის თვე. მზის სხივებში გახვეული ოქტომბერი თავდახრილი დგას. ტოტებს ბარაქის სიმძიმე აწევს. გამომცემლობაში წიგნები გამოდის. მოსავლიანობით გაჯერებულია მიწის ნაკვეთები. სხვადასხვანაირ ხილითა და ბოსტნეულით აბარაქებულ ბაღებს ფუტკრებივით შესევიან მეპატრონეები. დღისით მზის სხივები ეალერსება დედამიწას და ღამე კი მთვარე. სრულყოფილების იდილიაა შექმნილი. ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთადორისო აკადემიაში ანთოლოგის მეცამეტე ტომს დასტრიალებენ აკადემიის წევრები. პოეტები პოეზიით ცეცხლს ანთებენ. სხვადასხვა დარგის სპეციალისტები მასალების განხილვით არიან დაინტერესებულნი. ყველაზე აქტიურია თარგმანაების განყოფილება, რომლის რედაქტორია ქალბატონი მზია კვირიკაშვილი. ისტორიას განიხილავს ბატონი გოჩა ჭელიძე. სამართალის განყოფილება და ეკონომიკა 5 ნოემბერს იქნება განხილული აკადემიაში. ათ ნოემბერს კი აკადემიის გამგეობის ჯგუფი ვეწვევით დავით გარეჯს, რათა ბერმა მამა ნეოფიტემ დაგვლოცოს. მირზა გელოვანის ბიბლიოთეკაში კი ღონისძიება მიმდინარეობდა მამა ამირან ამირანაშვილის ლოცვა კურთხევით. თითქმის მირზა გელოვანის სახელობის ბობლიოთეკაა მასპინძელი სისტემატიურად აკადემიის წევრების. დირექტორი ქალბატონ ქეთევან ნიკურაძეში და თითეულ თანამშრომლებში იგრძნობა მაღალი სულიერი იდეოლოგია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ გაყინულ დროში ბიბლიოთეკის მომსახურეობის დონე მიწიდან ცამდეა ამაღლებული.

როცა გიყვარს, როცა აფასებ, როცა გიხარია მასთან შეხვედრა კიდეც ელოდები. ელოდები მოთბინებით... საუბრობ მასზე. ყვები თავგადასავლებზე. იგონებ წარსულს, ფიქრობ აწყმოზე . ასე სიყვარულით ველოდებოდით დღეს ქალბატონი მზია კვირიკაშვილის ოჯახის წევრებს. ველოდებოდით საკმაოდ ცნობილ პიროვნებას ბატონ სოსო მამალაძესა და მის საყვარელ მეუღლეს. ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის სამუშაო ოთახში იწვებიდა გულში ანთებული სიყვარელის სანთელი. სანთლის ალი წვდებოდა ამერიკაში ქართველ ქალბატონს მზია კვირიკაშვილს.

*. * * * *

როცა გიყვარს ელოდები კიდეც,
ელოდები მოლოდინის გრძნობით,
ისე გიყვარს ცდილობ ხელით მიწვდე,
ელოდები, შეხვედრის წუთს წლობით.

კლდე კაცი
/გარდაცვლილი მეუღლე/

ცუდი ადამიანი არ იბადება. მთავარი ის არის როგორ გაზრდი. ადრეც მიიღო ჩემგან ეს ინფორმაცია ჩემმა მკითხველმა. როცა მამა დაბადებულა, დედამისი მართა მახათაძე გარდაცვლილა. იმ დროს, სოფელ ხვანში არავინ არ ყოფილა მეძუძური დედა. ტირის უმწეო ბავშვი, დედის სითბო უნდა. დედის ცივი გაყინული სხეული ვეღარაფერს გრძნობს. სული ხედავს, მისი მუცლიდან დაბადებული პატარა ბიჭი როგორ ეძებს ტუჩების ცმაცუნით დედის ძუძუს, მაგრამ დედის გაყინული მკერდი ვეღარ იხუტებს შვილს. ამიტომ იყო, რომ ჩემს პაპას მამაჩემი გუდაში ჩაუსვამს და გასდგომია გზას, მეძუძური დედის საპოვნელად. ძალიან დიდი თოვლი ყოფილა, ვინც იცის ეს მხარე უდაბნოს ჰგავს. ერთი მთა მეორე მთაზეა გადამბული, მეორე მთა მესამეზეა და რომ გახედავ, გაშლილ ზღვის ტალღებს ჰგავს. წარმოიდგინეთ, ამ დროს, თოვლი და ქარბუქი. გაუკვალავ თოვლში მიდის პაპა, გუდაში ჩასმული ბავშვით ან რა ნერვები შერჩა, ეს ხომ წარმოუდგენელი ამბავია. მკითხველო, გადაჭარბებული მითებიდან მოყოლილი ზღაპარი არ გეგონოთ. რეალურად მომხდარ ამბავს გიყვებით. ეს ადრე ლექსითაც გადმოვეცი, მაგრამ ლექსი ვერ იტანს სიზუსტის ფრაგმეტებს. ლექსი მეტაფორაა, ახალი სახის შექმნაა, რითმია, რიტმია. ლექსი მუსიკალური ჟღერადობით უნდა იყოს მორთულ-მოკაზმული. გადავწყვიტე, პატარა ნოველის სახით მოგაწოდოთ ეს დაუჯერებელი ამბავი. თან იმიტომ ჩავთვალე საჭიროდ, რომ დამეწერა, თუ ადამიანს სიცოცხლე უწერია, გადარჩება. თქვენთვის ვწერ, რომ იმედი მოგცეთ, ამ შიშის დროში, სიძულვილის და გაუტანლობის დროში, მწირი იმედი შემოგაწოდოთ.

გავაგრძელოთ ამბავის მოყოლა, პაპას გადაუვლია ერთი მთა, მეორე მთა. ანუ ხვანიდან გორაძირი და ჩასულა სოფელ ნიგვზარაში. სადაც ხარაიშვილები, ხარშილაძეები და ციხისელები ცხოვრობენ. შეიძლება სხვა გვარებიც არიან, მაგრამ მე არ ვიცი და როცა არ ვიცი, აჯობებს არ დავწერო ის, რაც არ ვიცი. იმ დროს სოფელ ნიგვზარაში ერთ-ერთ ქალბატონს მერვე შვილი დაბადებია. როცა მისი მერვე შვილი ატირებულა, ეს ქალბატონი ძუძუს მოსაწოვებლად ზეზე ამდგარა. კარში მეზობლის ძაღლებს, უცხოს ფეხის ხმა შეუგვრძნია და აყეფებულან. ქალბატონს გარეთ გაუხედია და დაუნახავს ვიღაც მგზავრი, თოვლის კაცი, მოდის გუდით. სახლში შესულა და მეუღლესთვის უთქვამს ვიღაცა თოვლში მოდის, ძაღლები უყეფენ, ეტყობა რაღაცა უჭირს და სახლში შემოიყვანეო. მეუღლეც გასულა, მაპატიეთ მკითხველო, სახელები აღარ მახსოვს, რომ მახსოვდეს დიდი სიამოვნებით დავწერდი. ისინი ყველა გარდაცვლილებია და მათმა სულმაც მაპატიოს. ამ დროს სანამ ამ ქალბატონის მეუღლე გარეთ გასულა, ძაღლებს წრეში ჰყავთ პაპა და გარშემო, ძინძგილაობენ. ბედად მიუსწრო ამ ღვთის კაცმა და ეს ნატანჯი თოვლში ამოგანგლული პაპა, უცებ აალებული ბუხრის გვერდით მოხვდა. გუდაში, მამაჩემს, უკვე ტირილის თავიც აღარ

აქვს და ოდნავ ღნავის. სასწრაფოდ ქალბატონს გუდაში შეფუთული პატარა ამოუყვანია და ჯერ თავისი გულმკერდის სითბოთი გაუთბია, მერე ძუძუ მიუცია და უცებ პატარა ობოლს მშვიდად დაუძინია. ქალბატონს წყალი გაუთბია, მამაჩემი დაუბანია, თავისი შვილი აკვნიდან ამოუყვანია, მამაჩემი ჩაუწვენია და ასე გაუთენებიათ ღამე. პაპა კი იმ ღამით წამოსულა, რადგან სახლში გარდაცვლილი მეუღლე ჰყავდა მიტოვებული.

პაპამ, რადგან დაინახა რომ გუდიდან ამოყვანილმა პატარა უსუსურმა არსებამ ძუძუ მოწოვა და აკვანში მშვიდად განაგრძო ძილი, წასვლა გადაწყვიტა. ეს ამბავი იანვრის სუსხიან ღამეს ხდებოდა. მამაჩემი საღამოს შვიდ საათზე დაბადებულა და ამ დროს ზამთრის ღამე საკმაოდ დაბნელებულია. ღამე გავიდა სახლიდან და ისევ ღამით გადაუწყვეტია უკან დაბრუნება. კეთილი მასპინძლები თხოვდნენ დარჩენას. პაპას უთქვამს, ოღონდ ჩემი შვილი გამიზარდეთ და არაფერს მოგაკლებთო. მე საკუთარი წისქვილი მაქვს და ჩათვალეთ, რომ რაც კი სარჩო მექნება არაფერს დავინანებ, თუკი ჩემი შვილი გაიზრდებაო. ერთი დღის შვილი დაუტოვებია ბედის ანაბარა და ისევ ზამთრის ქარბუქში, უკვალავ თოვლში, ნიგვზარიდან ხვანში გაუდგა გზას. რა თქმა უნდა, სველი და ტანზე შემოყინული ტანსაცმლით. თოვლიანი ღამე ყოველთვის შუქიანია, გზა ჩანს. ქარი ალაგ-ალაგ ღრმად აგროვებდა თივის ზვინივით ნამქერს. ნამქერში ჩავარდნილი პაპა დიდხანს უნდებოდა თოვლიდან ამოსვლას. ალაგ-ალაგ კი ისე გასარკული გზა იყო, გეგონებოდა ასფალტი დაუგიათო. ამ სიტყვებს ახლობლების ნაამბობიდან ვიმეორებ. ასე წვალებ-წვალებით მოატანა თოვლის კაცმა სახლს, სანამ სახლამდე მივიდოდა, სანთელის მთებიდან მდინარე ძირულამდე, გორიალ-გორიალით მოდიოდა, ხან ღელეში ჩავარდებოდა, ხან ეკლებში. როგორც იქნა მდინარემდე მივიდა. მდინარე გაყინული იყო, ფეხით მოსინჯა თურმე. ჩემს წონას გაუძლებსო უთქვია და ზედ შემდგარა. შუა მდინარემდე, რომ მისულა გამტყდარა ყინული და შიგ ჩავარდნილა. მისი სხეული უკვე ვეღარეფერს გრძნობდა, ძალა მოუკრეფია და ნაპირსკენ ყინულებს აქეთ-იქით ხელით ყრიდა და ნაპირზე მიუღწევია. თავისივე გათოშილი ხელებით ტანსაცმელი ტანზევე შემოუწურავს და ახლა უკვე სახლისკენ აღმართს შეუდგა. აღმართზე მსვლელობისას, სიხლმა მოძრაობა დაიწყო და უფრო გაუადვილდა სიარული. ახლა ცოტახნით დავუბრუნდეთ ქირისუფლებს, რომლებიც ცხედარს დასტიროდნენ. ბუხარში დიდი ცეცხლი აუნთიათ და შეშფოთებულები ელოდებიან გათენებას. გარდაცვლის არა, ახლა უკვე ცოცხალ პაპაჩემს დარდობდნენ. ერთი ამბობს, მგლები შეჭამდაო, მეორე ამბობს, ბავშვი გაიყინებოდა და თვითონ თავის თავს არაფერი აუტეხოსო. ჩემო მკითხველო, თქვენ მე არ დაგამძიმეთ. წინასწარ გავაშუქე ის ნამდვილი სიუჟეტი, რომ თოვლთან და ბუნებასთან ჭიდილის დროს, პაპაჩემი გადარჩა. ამიტომ თუ ვინმეს განსაცდელი შეხვდება, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უნდა იბრძოლოს. თუ სიცოცხლე უწერია, აუცილებლად გადარჩება. მამლებმა იყივლეს, ერთ-ერთ ქირისუფალს გარეთ გამოუხედია, ამ დროს პაპაჩემს დაბლა აღმართიდან ამოუძახია: მშვიდად წადი ჩემო მართა, შვილი გადაგირჩინეო. რა თქმა უნდა, ეს არც ერთმა ქირისუფალმა არ დაიჯერა და პაპას თურმე დუმილით შეხვდნენ.

სიხარულის დილა გათენდა, საჩხერის რაიონ სოფელ ნიგვზარაში, ციხისელების ოჯახში. კიდევ ვიმეორებ, სახელები რომ ვიცოდე, დიდი სიამოვნებით დავწერდი. ვიცი, ბევრი წაიკითხავს ამ თოვლის კაცის ამბავს. აუცილებლად მივა ეს ინფორმაცია მათთან. დარწმუნებული ვარ, აუცილებლად გამომეხმაურებიან. რვა შვილის მამამ

დილაადრიანად მეზობლები შემოიარა. ერთ-ერთი ოჯახის სახლის კარები შეაღო. – რაზე შეწუხებულხარო? – მეზობელმა სახლიდანვე გამოძახა, რადგან თოვდა და გარეთ გამოსვლა დაეზარა. – აკვანი მჭირდება ჩემი ახლად დაბადებულ ბიჭისთვის და მათხოვე. თქვენ ერთი თვეა შვილი შეგეძინათ და ამდენი ხანს თუ აკვანში ბავშვი არ ჩაგიწვენიათ, ახლა ვეღარ მიაჩვევთ აკვანს, – ოთახიდან შეეხმიანა მამაკაცის მეუღლე. ძალიან ეწყინა მამაჩემის გადამრჩენელს, ეწყინა რვა შვილის მამას და მიაძახა: – თუ გენანებათ მითხარით, ამ თოვლში რომ მაჩერებთ, მეუღლე მელოდება. ორი ბავშვი უაკვნოდ როგორ უნდა გაზარდოს, სხვაგან წავალ და სხვას ვთხოვ. – მეზობლებმა ერთმანეთს გადახედეს, თავი გადააქნიეს, იფიქრეს ამ საცოდავს რაღაცა სხვა აწუხებს, ალბათ, კარგად ვერ არისო. აკვანი გამოიტანა მეზობლის ქალბატონმა და თან ჩაფიქრებულმა უთხრა: – მეც გამოგყვებიო. ასე სიჩუმით შეაღეს სახლის კარები. მამაჩემი აკვნიდან ამოეყვანა კეთილ ქალბატონს და ძუძუს აჭმევდა. თავის საკუთარი შვილი კი ტირილით არღვევდა მშვიდი ოჯახის მყუდროებას. პატარა და-ძმები ხის საწოლს აჯაყჯაყებდნენ, მაშინ სად იყო ზამბარიანი საწოლები და კარგი ცხოვრება. შეშფოთებული მეზობელი კარებში გაჩერდა. – ხალხო, არ მეტყვით რა ხდება? ეს მეცხრე ბავშვი საიდან, ეს ნედლი სიმიდის ტაროსავით ჭყინტი ბავშვი ვინ მოგცათ? – რა თქმა უნდა, ის ამბავი, რაც უკვე იცით, მეზობელს სიტყვა-სიტყვით უამბეს კეთილმა ცოლ-ქმარმა და მამაჩემი აღმოჩნდა მეორე დედის (გამზრდელის) ხელში.

ძალიან ბევრ რამეს გამოვტოვებ. გამოვტოვებ ყოველდღიურ ყოფით ცხოვრებას, გავასწრებ წლებს. ამ ამბის მოყოლის მიზანია უფალთან მიახლოვება. დღევანდელი მდგომარეობის უიმედობა, არიქა, დამთავრდა ყველა და ყველაფერი. არაფერი არ მთავრდება და არაფერი არ იწყება. ყველაფერი იქნება კარგად. თუკი დავფიქრდებით, თუკი ვიწამებთ, გადაგვარებულები გადმოვგვარდებით და ასე შემდეგ. დღე ღამეს არ ჰგავს. ღამე კიდევ დღეს. ჩვენც, ადამიანები, ერთმანეთს არ ვგავართ. ყველას გვაქვს რაღაცა დადებითი და რაღაცა უარყოფითი. უნაკლო ადამიანი არ არსებობს. უნაკლო მხოლოდ ღმერთია. მთავარია, გვიყვარდეს ერთმანეთი და ერთმანეთს ბედისწერით ნაისრალ გულს უნდა უშუშებდეთ. უნდა ვცდილობდეთ, ისეთი შეცდომები არ დაუშვათ, თაობებს რომ გაყვება. აი, მაგალითად, ჩემმა პაპამ სად დაუშვა შეცდომა და აქ ძველ ანდაზას მოვიშველიებ, „პაპის ნაქამმა ტყემალმა, შვილიშვილს მოჭრა კბილია“.

ერთი სიტყვით, რა მოხდა ექვსი წლის შემდეგ. მამაჩემის გამზრდელმა, რვა შვილი გაზარდა და მეცხრე შვილი კი მამაჩემი. პაპა ყოველ წელს დატვირთავდა ურმებს და

წლის მოსავალი ჩაჰქონდა ნიგვზარაში. რა თქმა უნდა, რაც შეეძლო, ალბათ, იმას მიაწოდებდა. თვითონ ფიზიკურად ძლიერი ყოფილა. ომებ გამოვლილი, რუსული კარგად ცოდნია. ეს კი ნოე ხარაიშვილმა მიამბო. პაპაშენის საკუთარ წისქვილში ძალიან ბევრი ხალხი ვიყრიდით თავსო და იქ იმაზე ვსაუბრობდით, ვინ ობოლი იყო, ვის უფრო უჭირდა ფიზიკურად, რომ ზოგს თოხნაში მივხმარებოდით, ზოგს მოსავლის აღებაში. წისქვილი ერთი დიდი აკადემია იყოო, სადაც მხოლოდ სიკეთეზე ვსაუბრობ-დითო. ეს ნაილი და ნათელა ხარაიშვილების მამამ აწ გარდაცვლილმა ნოე ხარაი-შვილმა მიამბო. რომელიც ახლახან გარდაიცვალა და ას წელს თითქმის აღარაფერი აკლდა, როცა მისი სული ზეცას შეუერთდა. ეს ის ნაილია, ნაილი ხარაიშვილი-ხეთერელი, რომელიც გერმანისტი იყო (პოეტი), ბოლოს საპატრიარქოში მუშაობდა და მალამოებს ამზადებდა. ბევრმა იცის ან ახსოვს ნაილი ხეთერელი. ზოგს ისევ ცოცხა-ლიც ჰგონია. მან ისე ატარა მძიმე დაავადება (სიმსივნე), ფეისბუქზეც აქტიურად მონაწილეობდა, არავის ამძიმებდა, თავისი ტკივილით. იქით მოგიკითხავდა, – როგორ ხარო. პანდემიის გამო ერთმანეთს ვეღარ ვნახულობდით, მონაზვნად აღკვეცილა, ამ სამოსშიც ფეისბუქზე ვნახე. მისმა დამ, ქალბატობმა ნათელამ, მითხრა, დედათა მონასტერში დავკრძალეთო. ღმერთი შემაძლებინებს მის საფლავზე მისივე პოეზიის საღამოს ჩატარებას. დავუბრუნდები პაპას დაშვებულ შეცდომას. მამაჩემი თავის გამზრდელს, თავის შვილებზე მეტად შეყვარებია. თუ რამე კარგი ოჯახში მოიპოვებოდა, ის მამაჩემის იყო. რვა დედმამიშვილი სიმართლის დასამტკიცებლად მამაჩემს იფიცებდა. ექვსი წელიწადი ასე ჰქონდა პაპას გატკეპნილი გზა, ნიგვზარასა და სოფელ ხვანს შორის. პაპას გაჭირვებია შვილების მოვლა და ერთ წელში დაქორწილებულა, რუსი ქალი შეურთავს, (ოლა). სახლში სამი შვილი ჰყოლებია, ნიკიფორე, შუშანა და ორი წლის ლუბა.

გარდაცვლილი მეუღლე, მართა ბაბო, მეორე ცოლი იყო პაპაჩემის. პირველი ცოლი რითი გარდაეცვალა არ ვიცი, ერთი ქალიშვილი (შუშანიკა) და ერთი ვაჟი (ნიკიფორე) დარჩენია პაპას. მართა ბაბოს მოყოლია (ლუბა). ხომ წარმოგიდგენიათ, ასეთი შვილების მოსიყვარულე პაპაჩემს, რომელმაც მკვდარი ცოლი დატოვა და ახლად დაბადებული შვილი გაიტაცა, მეძუძური დედის საძებნად. მარტოდ, თოვლში, უღრან მთებში, ერთი სოფლიდან მეორე სოფელში, სადაც არც გზა იყო და არც ადამიანის კვალი, რომ ვინმეს იმედი მიცემოდა. მიდიოდა გუდაში ჩასმული ბავშვით, რომელიც მერე მამა გახდა ჩემი. პაპას ოჯახში იზრდებოდნენ ორი ნამდვილი და-ძმანი და მეორე ლუბა, რომელიც ამ და-ძმის არაფერი არ იყო. ბებიაჩემს საზიარო პაპაჩემის სახლში, არაფერი დარჩებოდა, მამაჩემი რომ არ გაზრდილიყო. მას დარჩებოდა მარტო ხვანის წმინდა გიორგის ეკლესიაში დაკრძალული უიღბლო ძვლები. როგორც აღვნიშნე, პაპაჩემს საკუთარი წისქვილი ჰქონდა და ეკონომიკურად არ უჭირდა. სულიერად კი მასთან უიღბლობა დაფათურობდა. ისეთი ძლიერი და უშიშარი ყოფილა, უბრალოდ სიავკაცით მასთან ვერავინ დაილაპარაკებდა. ნოე ხარაიშვილის, ნათელას და ნაილის მამას სიტყვებს მოვიშველიებ, – წისქვილში სოფლის საკეთილდღეო საკითხები წყდებოდაო.

ერთხელ პაპაჩემთან უშვილო ცოლ-ქმარი მისულა და ლუბაზე დალაპარაკებიან, მოგვაშვილეო. ლუბა დედას ძალიან ჯავრობდა. ბავშვებსაც უმიზეზოდ ებუტებოდა, ჭირვეულობდა, დედა მინდაო ტიროდა. პაპაც სულ გარეთ ტრიალებდა. ამიტომ, ამ

საკითხზე დაფიქრებულა და უთქვამს. იმ პირობით გაგატან, თუ ჩემს ბიჭს უკან რომ მოვიყვან ლუბას დამიბრუნებთო.

კაცო, თუ უნდა გააშვილო, უკან რატომ უნდა დაგიბრუნოთო – მკვახედ უპასუხიათ ლუბას წასაყვანად მოსულ ცოლ-ქმარს. – მაშინ არ გაგატანთო, – მკაცრად უთქვამს პაპას. ეს საუბარი ესმოდა თურმე ლუბას და მისულა და ამ ქალბატონს კალთაში ჩაუჯდა. – მე შენი გოგო ვიქნები ხომ? წამიყვანე და ყოველთვის ყვავილებს დაგიკრეფ და მოგიტან. ყვავილების დაკრეფა ეგონა ლუბას პატივისცემა. რა ექნა, მეტი არაფერი ახსოვდა, ერთ წელიწადში დედა გარდაეცვალა. ხვანში ყვავილების და სოკოს მეტს პატარა ლუბა ვერაფერს ხედავდა. ბებია მართა და პატარა ლუბა (მამიდა), ახლა მამიდას ვიტყვი, მკითხველი რომ არ დავაბნიო. პაპას ძალიან ყვარებია მართა ბაბოს (ლუბას), ძალიან თბილი და მგრძნობიარე გული ჰქონია. უფიქრია, თუ ვერ გაძლებს, ისევ უკან წამოვიყვან, ჩემი მართას შვილსო. ერთი სიტყვით, ლუბა წაიყვანეს, უშვილო ცოლ-ქმარმა. გოგონა ანუ (მამიდაჩემი) ისეთ ფეხზე მისულა იმ უშვილო ცოლ-ქმარს, ათი წლის უშვილოებს, შვილი გაჩენიათ. ჯერ ერთი, მეორე, მესამე და ასე გაფუფუნდნენ შვილებით. მამიდაჩემი ლუბა, საკუთარ შვილებზე მეტად შეყვარებიათ. მამიდაჩემი მათი ფუძის ანგელოზი გამხდარა. უშვილო ცოლ-ქმარი ბავშვების ნამატით თავს ბედნიერად გრძნობდნენ. თუ რა ხდებიდა ნიგვზარაში ნაწილობრივ გითხარით.

პაპაჩემი ყოველ დღე მოსვენებას კარგავდა, როგორ დაებრუნებინა თავისი შვილი. სინდისი აწუხებდა, რამდენჯერმე ჩამოუგდო საუბარი თავისი შვილის გამზრდელს, ბავშვის წაყვანაზე. თან იმის შიში ჰქონდა, პატარა ჭიჭიკო საკუთარი დედასავით იყო მიკრული გამზრდელის მკერდს და ბავშმა არ იჯავროსო. ამის ფიქრსაც გულში აანალუზიბდა და თავისთავად დარდობდა. მოსვენება დაკარგა, შვილი თავისთან უნდოდა. თან ცოლის სულის წინაშე სინდისი ქენჯნიდა, ცოლის შვილი გააშვილა. თუ ვაჟკაცი იყო, თავისი გაეშვილებინა. არა, თავისას როგორ გაიმეტებდა. ჰოდა, კაცი ვარ ახლა მე? – ძალიან ხშირად საკუთარ თავს ესაუბრებოდა. – არა ვარ კაცი. ეს კარგი ვაჟკაცის საქციელი არაა. თვითონაც როგორ გაიწია ლუბამ და კალთაში ჩაუხტა უცხო ქალს. ნუთუ ჩემი შვილები არჩევდნენ ლუბას და არ ეფერებოდნენ? ან დედინაცვალი ხომ არ ავიწროებდა? – მერე ისევ დაფიქრდებოდა, – არა ახლა ამაზე ფიქრს აზრი არ აქვს. ამ საქმეს აღარაფერი ეშველება. მაგრამ ჭიჭიკო? მაინც რა ლამაზია. დედას ჰგავს, შავი ხუჭუჭა თმებით. გამზრდელმა მამამ ერთმანეთს დააჭიდა. ჩემმა პატარამ ბეჭებით ძირს დასცა. ენაცვალოს მამა, ჩემი გუდის კაცი. ყველაზე ცუდი ის არის, მე რომ ბიძას მიძახის. ვეტყვი აუცილებლად ვეტყვი, მე რომ მამა ვარ. გული რომ ეტკინოს? რომ იდარდოს? არა, ჯერ ისევ მოვითმენ, მაგრამ ვაი ამ მოთმენას. – ასე ფიქრებდამძიმებული ბრუნდებოდა სახლში. ჯერ წისქვილში შეივლიდა, მერე ოჯახს მიხედავდა, იკითხავდა რა უჭირდათ, რა უნდოდათ. ისე ხშირად ბავშვებს ესაუბრებოდა ლუბაზე, აინტერესებდა რა რეაქცია ექნებოდათ ბავშვებს. მაინც და მაინც არ გამოხატავდნენ დიდ სიმპატიას. ბავშვების ეგოისტობას ვერ იტანდა, მაგრამ ამის დროც არ ჰქონდა. თავის რუს ცოლს გადაულაპარაკებდა რუსულად, ალბათ მოსაფერებელ სიტყვებს. მისი ქალ-ვაჟი ამას ვერ ხვდებოდა. ნიკიფორე უკვე წამოიზარდა და რუსულ ჯარში გაიწვიეს. ომმაც მოუსწრო და ერთ-ერთი ბრძოლის დროს დაღუპვის

შეტყობინება მოსვლიათ. პაპას გული რკინის გრდემლში გამოუჭედია და კვლავ სიცოცხლეზე და შვილებზე ფიქრობდა. დარჩა ერთი შუშანიკა მამიდა. ძილშიც თავისი გუდის კაცზე ფიქრი არ ასვენებდა. წელი წელს მისდევდა. ნიგვზარაში სიყვარული იზრდებოდა, ხვანში კი იმისი ფიქრი, თუ როგორ დაებრუნებინა შვილი.

ექვსი წელი იარა, პაპამ ნიგვზარასა და ხვანს შორის ფეხით. ექვსი წელი აანალიზებდა იმას, თუ როგორ დაებრუნებინა შვილი თავის სახლში. ბოლოს გადაწყვეტილება მიიღო. ტყუილი უნდა თქვას, უნდა მოატყუოს თავისი შვილის გადამრჩენელს. უნდა მოატყუოს იმ ქალს, რომელმაც რვა შვილს, არჩია სხვისი შვილი. შვილი, რომელიც ღმერთმა მისცა. – მეც არ ვიცი, რატომ მომინდა ამ ამბის დაწერა. მე ხომ პოეტი ვარ. რატომ ავირჩიე დამეწერა ეს პროზის სახით, თან პირდაპირ ტელეფონში, ესეც უფლის ნებაა და ამიტომ. იმედი უნდა მიმეცა ხალხისთვის. უნდა გადმომეცა ნამდვილი ამბავი, რომ ხალხისთვის რწმენით შიშის სინდრომი გამექრო. დედამ შვილი გააჩინა, თვითონ კი გარდაიცვალა. გუდაში ჩასმული ჩვილი ბავშვი, თოვლი, ქარბუქი, ღამის წყვდიადში სიარული, მთა-მთა, ღელე-ღელე, მიდიხარ და გგონია სწორი გზა, თოვლით ისეა გადაფარული, ჩავარდები და მომწივარი პატარა ბეჭებიდან დაგჩხავის. მერე სოფელში შეღწევა, აყეფებული ძაღლები, ჰა, დაგძიძგნონ თუ არა ძაღლების წრეში მოქცეული ყინულისლოლოებდაკიდებული ადამიანი, მერე სახლში მისვლა. რვა შვილის მეძუძური დედა, აკვანი, გუდიდან ამოყვანული ბავშვი. მერე უკვე გადარჩენილი და გაზრდილი. ესე იგი, თუ არ გიწერია არაფერი არ მოგივა. დარწმუნებული ვარ, როგორ შეუყვარდებოდა მამაჩემი თავის გამზრდელს. ბუნებრივიცაა, აღარ დაუბრუნებდა ოჯახს. აქ არის დედაშვილობაზე კიდევ უფრო მაღალი რაღაც, ისეთი უცხო ძალა, სიყვარულის გრძნობა, რომელსაც მე ვერ ავხსნი. მეორე მხრივ, პაპას, რომელსაც ამდენი ტკივილი შეხვედრია, ყოფილა თვითონ ძალიან ძლიერი, მშრომელი, იმ დროში ყველაზე განათლებული, სხვისი დამპურებელი. ერთი მეუღლის გარდაცვალება, მეორე მეუღლის გარდაცვალება. კვლავ მადლისა და სიკეთის კეთება და მერე კი გამოუსწორებელი შეცდომის დაშვება. შეცდომა ტყუილით დაიწყო. გადაწყვიტა, რომ

რადგან შვილს არ აძლევს, თავისი შვილის გამზრდელი მოატყუოს. ხშირ-ხშირად დაიწყო სიარული, სოფელ ნიგვზარაში. ჩაქონდა თუკი რამე ჰქონდა. არ ზოგავდა არაფერს. ეფერებოდა თავის შვილს. მამაჩემიც თურმე კისერზე შეაჯდებოდა და ასე კოტრიალებდნენ მამა-შვილი. ამ ხერხმა რომ არ გაჭრა, ბოლოს უთქვამს, – წამოდი შენც და აჩვენე, რომ მას სახლში და ჰყავს, მე ისედაც დაჩაგრული მამა ვარ. ცოლი რომ გარდამეცვალა დიდხანს ვიგლოვე, ჯარგამოვლილი და ომგამოვლილი კაცი ვარ. საძეოც აღარ შემანარჩუნა ჩემმა ბედისწერამ, დედმამიშვილები ერთმანეთს ხომ უნდა ცნობდნენ? – მეუღლესაც ნება დაურთია: – წადი, ოჯახს მე მივხედავ ჩაიყვანე ბავში თავის კუთვნილ სახლში. როცა გაიზრდება ოჯახს შექმნის და სულ ასე გულჩახუტებული ხომ არ გეყოლებაო. პაპაჩემსაც მეტი რა უნდოდა და გაუდგნენ ხვანის გზას, მამაჩემი თავის გამზრდელი დედა და პაპაჩემი. ასე ეწვია თავის სახლს მამაჩემი.

უკვე წამოზრდილ მამიდაჩემ შუშანიკას და ჩემი ბებიის ნაცვალ რუსის ქალბატონ ოლას, ექვსი წლის მამაჩემი თბილად მიუღიათ. წინასწარ დაგეგმილ სუფრას შემოუსხდნენ. მამაჩემი კი საგანგებოდ გაფრთხილებული დიდი ბავშვებისთვის ჩაუბარებია პაპას. ფული უჩუქებია, რომ შორს წაეყვანათ, გაერთოთ და დაემალათ. მამაჩემი აღარ უნდა გაეტანებინა, გამზრდელისთვის. ბოლოს ყველაფერს მიხვდა თურმე ეს ქალბატონი, ჯერ თხოვნით, მერე ყვირილით, ბოლოს ეს დედაღვთისმშობელივით კეთილი ქალბატონი წყევლაზეც გადასულა, დამუქრებია კიდეც. ვერანაირმა ხერხმა ვერ გატეხა თურმე პაპაჩემი. მამაჩემის გამზრდელის ტირილი და კივილი ხვანის მთების ექოში იკარგებოდა. შებინდებისას იძულებული გახდა ქალი წასულიყო, თავის ნამდვილ რვა შვილთან და ექვსი წლის ამაგი დაეტოვებინა. ის გზა, რომელიც პაპამ გაიარა, ზამთარში, თოვლიან ქარში. როცა ბუნებაც ტიროდა პაპაჩემის ცოდვით, იმ დღეს მზიან ამინდში, მამაჩემის გამზრდელი ტირილით და წყევლით ტოვებდა ხვანს და მას შემდეგ, მამაჩემი იმ ქალბატონს თვალით აღარ უნახია. თუმცა მერე კიდევ საინტერესო თავგადასავლები მოხდა, მაგრამ აქ, ვაპირებ უკვე გაჩერებას.

რა მოხდა ათი წლის შემდეგ, გავაგრძელებ თხრობას. ათ წლამდე მამაჩემი ძალიან დარდობდა, როცა გამზრდელზე საუბარს დაიწყებდა თურმე, ცხენზე შეაჯენდა პაპა და ხვანის მთებში დააჯირითებდა. სადილობის დროს, ძალიან კეთილი პელო და ქრისტინა ბიცოლა კალთაში ჩაიჯენდნენ და ეფერებოდნენ. მერე თავის შვილებთან ათამაშებდნენ. კოლიასთან, ანიჩკასთან, დაშასთან, მაროსა და გალინესთან. გალინა ახლაც ცოცხალია და თბილისში ცხოვრობს. კოლია ბიძია და მისი მეუღლე თამარა ბიცოლა მასწავლებლები იყვნენ (ეს წლების შემდეგ). ჩვენ მათი დაზრდილები ვართ. ისინი ჩვენი მასწავლებლები გახდნენ წლების შემდეგ.

მამაჩემი უკომფლიქტო ბავშვი ყოფილა, ძალიან ძლიერი. ადრე ახალგაზრდები თვითონ ირჩევდნენ რჩეულებს, მინდორზე ნახერხს დაყრიდნენ და ქიდაობის დღეს დანიშნავდნენ. იქ ქიდაობაში ყოველთვის მამა პირველობდა თურმე, მაგრამ არასოდეს დიდგულობდა. ყოფილა ძლიერი და კეთილი. ერთი სიტყვით მამას გამზრდელის მონატრების საშუალებას ბიცოლები არ აძლევდნენ. ბიძაშვილებს დედმამიშვილებზე ძალიან მამაჩემი უყვარდათ. თავის დას შუშანიკას ხომ სულ ზურგით დაჰყავდა და

უყვებოდა ზღაპრებს. თექვსმეტი წლის მამაჩემი სოფელს ბრიგადირად აურჩევიათ. ძალიან დიდი ორგანიზატორი და ხალხთან ურთიერთობის ნიჭი ჰქონია. სიყვარულით შეურთავს დედაჩემი დონიკა შუბითიძე, ცხრა დედმამის შვილი. დიანოზ შუბითიძის და აღათი ტაბატაძის ქალიშვილი. მკითხველს, მაინც გამზრდელის ამბავი აინტერესებს. მასზეც გიამბობთ. ახლა რა მოხდა ერთ-ერთ ქორწილში, სანამ მამა დაქორწილდებოდა. ეს ამბავი ხაშურის რაიონ სოფელ კლდისწყაროში მოხდა. მამაჩემის მამიდაშვილს, რომელსაც შაქრო შუკაკიძეს ანუ პაპას დიშვილს შეურთავს ხვანელი მაჭარაშვილის გოგო. მამაჩემი მაყრად წაუყვანიათ. ადრე ქორწილში მეფისა და დედოფლის მაყრებს ერთმანეთთან აჭიდავებდნენ. ქორწილში თამადა მამაჩემი ყოფილა, ფიზიკურად ლამაზი და სიტყვით მჭერმეტყველ მამაჩემს დიდი მოწონება ახალგაზრდა გოგონებში დაუმსახურებია. აქ ყოფილა ის გაშვილებული ლუბა მისი და, მაგრამ დაძმანი ერთმანეთს ვერ ცნობდნენ. დილით ჭიდაობა გამართულა, საჭიდაოდაც მამაჩემი გამოიყვანეს თურმე. უკვე ნიკიფორე ხარაიშვილი და არა (ჭიჭიკო) პაპამ ომში დაღუპული შვილი ამით აღადგინა. ის თურმე თავისებურად ასე აცნობიერებდა. ნიკიფორე ომს შეეწირა და ისევ მომცა უფალმა შვილი ჭიჭიკოს სახითო და მამაჩემში ორ შვილს ხედავდა. თავის გაგებით ნიკიფორე, ჭიჭიკოთი გააცოცხლა. ამიტომ მამაჩემს ხან ჭიჭიკოს უძახოდნენ და ხან ნიკიფორეს. დაუბრუნდეთ ქორწილის მეორე დღეს. დაიწყო ჭიდაობა, ვინც გადმოვიდა მამაჩემს ვერავინ გაუძალიანდა. ყველა რჩეული გოგო თავისად ნათლავდა მამაჩემს და მამიდაჩემი ლუბას წინათგრძნობა კი რაღაცა სხვა იდუმალებაში იძირებოდა. ვინც ჩემს ნოველას კითხულობთ, მიგანიშნებთ, რომ რუსთავში მამა ანდრია აბაშიძის მეუღლეა დედა ანა. ანა, მამიდა ლუბას შვილიშვილია. სისხლი-სისხლს გრძნობდა, ალბათ. ნამდვილმა და-ძმანმა თითი გაიჭრეს და ერთმანეთს დაძმობა შეფიცეს. დანარჩენ გოგოებს გაეხარდათ, ლამაზი ლუბა მათი მეტოქე აღარ იქნებოდა.

პაპა სულ ცდილობდა თურმე მამა დაეტვირთა. როგორც ადრე აღვნიშნე, საკუთარი წისქვილი ჰქონდა. მაშინდელი მეწისქვილე მდიდრად ითვლებოდა. ყველას ეხმარებოდა და როგორც იქნა დამშვიდდა ოჯახი. რუსის ცოლი, ოლა, ძალიან კეთილი იყო, ოლა ბებიას ხელში დავიზარდეთ ბავშვები. მამაჩემმა დედაჩემი სიყვარულით შეირთო. შუბითიძეებს დიდი შტო ჰქონდათ. ბევრი დედმამიშვილებს ბევრი შვილები ჰყავდათ. ხელოვნების მოყვარულნი იყვნენ. ზოგი დოლს უკრავდა, ზოგი სალამურს, ზოგი ფანდურს. მღეროდნენ ხმებში. მათთან ყოფნას არაფერი ჯობდა. გამზრდელ დედასთან იქნებ კიდევაც ჰქონდა მამას ურთიერთობა, მაგრამ რაც არ ვიცი ვერ დავწერ. ამასაც იმიტომ ვაქვეყნებ, იქნებ გამომეხმაურონ. ამ პატარა ეპიზოდების ძირითად დანიშნულებადაც ის ავიღე, რომ ამ ეტაპზე ხალხი დათრგუნულია, შიშმა შეიპყრო კაცობრიობა, ცხოვრებამ სიხალისე დაკარგა. ერთი მირეკავს, – მორჩა, დამთავრდა ყველაფერი. შე დალოცვილო, თუ დამთავრდა, მე რას მირეკავ, ჩემი სიცოცხლის დანიშნულება მე კარგად ვიცი. სანამ ვიცოცხლებ სიკეთე უნდა დავთესო, ხალხს იმედი უნდა მივცე. ყველას ტკივილის მალამოდ მინდა გადავიქცე. სულიერად განვკურნო უიმედონი. ახლა კი მართლაც, ძალიან შევცურდი პაპიდან მამის ცხოვრებაში. სიცოხლის ბოლომდე მამა ბრიგადირი იყო, ბოლოს სამ ადგილზე მუშაობდა. კაცური კაცი იყო. სტუმარიც უყვარდა და მასპინძლობაც. თავისი შრომით ჭიათურაში ბინები აიღო. სოფელიც გვქონდა და ქა-

ლაქიც. გაჭირვებაც გვინახია და დალხინებაც. ყოველი დღე სიყარულით იწყებოდა ჩვენს ოჯახში და სიყვარულით მთავრდებოდა. მამა იყო ჩვენი მესაიდუმლე. მე როცა გავთხოვდი და უკვე ორი შვილი მყავდა, გამაგებინეს დედის ავადმყოფობა. ჩემი მეუღლე მუშაობდა ქალაქ რუთავის აბანოს დოლომიტების ქარხანაში. შუა კვირა იყო. სამსახურიდან საბუთი გააკეთა, ქარხნისთვის საჩხერის ქვიშა უნდა ჩამოეტანათ ვითომ. სინამდვილეში ეს საჩხერის ქვიშა, ჩემმა მეუღლემ, ვახტანგ სხირტლაძემ მამაჩემის საპატივსაცემოდ გამოიწერა, რაც კანონს ეწინააღმდეგებოდა. ჩემი ბიჭები – დათო და გელა, პატარები იყვნენ. მივდიოდი, დედასთან უნდა დავრჩენილიყავი და თან სახლისათვის ქვიშა ჭირდებოდათ. ჩვენი გათვლით ორი საქმე უნდა გაგვეკეთებინა – დედაც მენახა და მამასთვის სახლის გასალესი ქვიშა მიმეტანა. მეტიჩარა მზრუნველმა შვილმა კინაღამ გავაბოროტე მეუღლე. გზაში კოკისპირული წვიმა დაიწყო. ბავშვებს კალთაში ჩაეძინათ. არ დაგავიწყდეთ, ბავშვები დიდი მანქანით მიმყავს. საჩხერის დასპეცებულ ინსპექტორებს არ გამოპარვიათ, ახალგაზრდა ქალისა და ორი ბავშვის დანახვა და მანქანა გააჩერეს. მეუღლემ საბუთები ამოიღო და მანქანიდან ჩავიდა. ეს მოხდა ხვანის გადასახვევამდე. თუ გააჩერებდნენ ჩემი ბიძაშვილის ჯამბულ შუბითიძის იმედი მქონდა. ჩემი მეუღლე სახეშეცვლი მოვიდა და მეუბნება, გადასახვევზე ჩამოდი, თქვენზე ასე ვუთხარი მგზავრი შემხვდა პატარა ბავშვებით და წამოვიყვანე. მერე რომ წვიმს? აქედან ორ კილომეტრზეა კიდევ სავალი, როგორ ჩავიყვანო სახლამდე ბავშვები ამ წვიმაში? მათ ასე უთხარი, წარმოებისთვის საჩხერის ქვიშა დაგვჭირდა და მივდივარ საჩხერეში. რომ არ წავიდე, საბუთები წამართვეს და სხვანაირად ვერაფერს გავახერხებ. გადასახვევამდე მიმიყვანა, ბავშვები ჩამოვსვი, მანქანა უკან მოგვდევდა. ისინიც გაჩერდნენ, პირდაპირ მანქანისკენ წავედი ბავშვებით. რა თქმა უნდა, ამის ნებას ჩემი მეუღლე არავითარ შემთხვევაში არ მომცემდა. ეს წამებში მოხდა, მათთან აღმოვჩნდი. მისვლისთანავე ზრდილობით, თავმდაბლად ვთხოვე: – ხედავთ წვიმს, თქვენი რაიონის მკვიდრი ვარ, დედა მყავს ავად, მივდივარ სანახავად. მძღოლი მეუღლეა, თქვენ მან მოგატყუათ, მას საჩხერეში არანაირი საქმე არ აქვს. თქვენ რომ საბუთები არ მისცეთ, მე და... – ცრემლები მომერია. მთავარმა თავი გამოყო მანქანიდან, მამაშენს რა ქვია ვისი გოგო ხარ? მეც ვუთხარი ორი სახელი. ჭიჭიკო და ნიკიფორეც, ვინ როგორ ცნობს აბა რა გითხრათ და ცრემლი სახეზე თავისდაუნებურად ჩამომდიოდა. – ნუ ტირი, – გულში ჩამიკრა. ახლა ამაზე შევშინდი, ამ მეტიჩრობისთვის მეუღლე საყვედურს მეტყოდა და გულში გავიფიქრე: – მეტიჩარა ქალი ყველაფრის ღირსია-მეთქი. მეუღლეს დაუძახეს, რომელმაც გულში ჩამიკრა, ხუმრობით სილა გააწნა და მიაძახა: – სიძე ყოფილხარ. ვერ თქვი თუ ჭიჭიკოსთან მიდიოდი? ის ჩემი ძმააო!

გაოგნებული ვიდექი მამაკაცების გვერდით, რაც ჩემს ხასიათს არანაირად არ შეეფერებოდა. ჩემი მეუღლე, ვატყობდი, უარეს დღეში აღმოჩნდა. რადგან ეს გაუგებრობა ჩემით დაიწყო, კვლავ მე ავიღე ინიციატივა. სანამ ვეტყოდი წუთში ათასნაირად გადავხარშე, იქნებ შევეცოდე და ტყუილი თქვა. უნდა, რომ საბუთი დააბრუნოს. მაინც გავბედე და ვუთხარი: – მამაჩემს ძმა არ ყავს. ისევ ხელი მომხვია და მეუღლეს ხუმრობა შერეული კილოთი მიმართა: – სიძევ ბატონო, ჩემს ძმიშვილთან არაფერში ჩაიჭრაო. ვეღარ მოვითმინე და ისევ შევბედე, რაღაცა გაუგებრობაში ვარ, მაგრამ ვხედავ რომ ჩემი დახმარება გინდათ, როგორც თქვენი კუთხის შვილს ხომ? მადლობელი ვარ, ჩემი

ბიჭებიც არ დამისველდებიან. საბუთებს მოგვცემთ, ალბათ! ჩემმა მომფერებელმა ბრძანება გასცა: – დღეს ისეთ ხასიათზე ვარ, თუ დიდი დანაშაული არსად მოხდეს, ყველას ყველაფერი აპატიეთ, მე ჩემს ძმიშვილს გავყვები, – კარები გააღო და ბავშვების ჩასმა დააპირა. მე არ დავნებდი, მაინც ეჭვის თვალით ვუყურებდი, – არა მე მეუღლის მანქანაში დავჯდები ჩემი ბიჭებიანად, თქვენ თქვენს მეგობრებთან წამობრძანდით, რადგან მამაჩემი თქვენი ნაცნობია-მეთქი. წყენით შემომხედა, უნდობლობის სინდრომი შემნიშნა და აშკარად უკმაყოფილება გამოეხატა სახეზე. წინ გაგვიძღვა და ჩვენ უკან მივყევით. ეზოში არავინ დაგვიხვდა, მამას სახლში ვინ ნახავდა, მისი დასვენება, არც დღე იყო და არც ღამე. სახლის კარები გავაღე, დედა იწვა, ჩვენი მისვლა ძალიან გაუხარდა. – დედა, მე უცხო სტუმარიც მოვიყვანე და სახლში შევიპატიჟე, ჩემი ბიძად გაცნობილი პიროვნება. ანდროვო და სიხარულით წამოიწია დედამ. აბა, როგორ ხარ რძალო, წამლები მიიღე რაც მოგიტანე? ჩემმა ძმიშვილმა კი არ მიკადრა, მანქანაშიც არ ჩაჯდა. კვლავ აფორიაქებული მივჩერებოდი, კითხვები მიტრიალებდა ვინ იყო და რანაირი ძმა იყო მამაჩემის. სუფრა გავშალე, თვითონ დატრიალობდა, იმან უფრო იცოდა, საიდან რა უნდა გამოეღო. ცოტა რომ დანაყრდნენ, სტუმარმა, ანდრომ, ამბის მოყოლა დაიწყო: – მე რომ ინსპექტორად დავიწყე მუშაობა, დედაჩემმა მითხრა. ხვანში ჩემი გაზრდილი შვილი ცხოვრობს, ჩემთან ჭიჭიკო ხარაიშვილი იყო, ბავშვს სახელიც მამამისმა დაარქვა და გვარიც. მე გავზარდე, დაიბადა თუ არა იმ დღიდან. არ გეწყინოთ შვილო, ახლაც თქვენზე ძალიან მიყვარს. ვინც მომიყვანს და მაჩვენებს, ამაზე უკეთესი საჩუქარი ჩემთვის არაფერი იქნებაო. ჰოდა, ჩემო ძმიშვილო, ჩამოვედი და დედაჩემის გაზრდილი შვილი, დედაჩემს მივგვარე. მათი შეხვედრა იყო სასწაული, ენით აღუწერელი. ახლა ხომ გაიგე, მე ვინ ვარ, როცა ჭიათურაში ჩამოხვიდე, აუცილებლად ჩემთან მომიყვანე ჩემი ძმიშვილი, სიძე ბატონო. ჩემი მეუღლის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. იმდენი ღვინო დალია, მეორე დღესაც აღარ უნდოდა წასვლა.

როცა ანდრო ციხისელი დიდ თანამდებობაზე გასულა და ჩაუბარებიათ საჩხერე-ჭიათურის ხაზი, მამაჩემის გამზრდელს უთქვამს შვილისთვის: – გავიგე ჩემი ჭიჭიკოს ბიჭები თამაზი და ამირან ხარაიშვილები ხაზის მიკროავტობუსზე სხედან და შეეცადე გაიცნო და როგორც ძმიშვილი ისე ეცი პატივიო.

– შვილო, – უთქვამს, – არავინ არ დაადანაშაულო იმაში, რომ ჩვენი ურთიერთობა

დღემდე შეწყვეტელია. აქ ისევ მე ვიდანაშაულებ თავს. მეც გამეგო, ჩემი ჭიჭიკოს მამისთვის, კაცმა მიცვალებული ცოლი დატოვა ჭირისუფლების ანაბარა, აწივლებული ბავშვები, პატარა ლუბა, შუშანიკა, ნიკიფორე და ახლად დაბადებული ბავშვი გუდაში ჩასვა და ღამით თოვლიან ქარბუქში მარტომ გადმოიარა მთები, ტყეები და ჩვენამდე მოვიდა. იმდენად აზრიანი ყოფილა, რაღაცა სანთებელა ჰქონია, რუსულ ჯარში ნამსახურებს, ალბათ, თავისებური გამოცდილება და გამბედაობაც ჰქონდა. სადაც მგლების საშიშროებას დავინახავდი, მაშინ ავანთებდი ხოლმეო. როცა მოვიდა მაშინ თქვა, ისიც მანამ საუბრობდა სანამ ბავშვი არ დავბანე, არ დავაწვინე. სულ საუბრობდა და საუბრობდა, ასწრებდა ყველაფერს, იმიტომ რომ უნდა გაბრუნებულიყო. როცა ჩემმა ნაპოვარა ღვთის საჩუქარმა მიიძინა, სველი ტანსაცმელით უკან გაბრუნდა. გათენების ხანს მისულა თავის გარდაცვლილ მართასთან. თავისებურად ის მართალი იყო, ალბათ. მე ის დავწყევლე, გულით დავწყევლე. ახლა კი ვნანობ, მაპატიოს უფალმა, ჩემი გამბოროტებელი გზა მართალს არის. ჩემი ჭიჭიკო, მოიკითხე შვილო, აუცილებლად მოიკითხე, ისეთი გამწარებული ვიყავი აღარც მისი დანახვა მინდოდა. ვადანაშაულებდი, ეყვირა, ეტირა, ცუდად გამხდარიყო, ეგებ იმ მგელკაცა თოვლის კაცს, ჩემთვის დაებრუნებინა. როცა იავნანას ვუმღეროდი, თან ასეთ სიტყვებს ვაყოლებდი: იყო და არა იყო რა, იყო პატარა ანგელო-

ზი, რომელიც გუდიანმა კაცმა მომიყვანა. ჩამაბარა და მითხრა: – არ მოშივდეს, არ შეცივდეს, მე წავალ ვიშრომებ და საკვებს არ მოგაკლებთო.

ამ პატარა ნოველის მიზანი იყო ხალხში შიშის სინდრომის გაქარწყლება, გაქრობა. რადგან ცხოვრების შუა მდინარეში დავცურაობ წინ და უკან, ერთ საინტერესო ამბავსაც მოგიყვებით: თქვენ იცით ლუბამ და მამაჩემმა ქორწილში თითი გაიჭრეს, საკუთარმა დედის შვილებმა, ერთი დედის ნაშობმა და არა გვარის შვილებმა. ლუბას და მამაჩემს ერთი დედა ჰყავდათ. დამთავრდა ქორწილი და წლები ისე მიდიოდა, თითგაჭრილი დობილ-ძმობილები კი არა, საკუთარი დედმამიშვილები ვერ ნახულობდნენ ერთმანეთს. იმ დროს ხალხის გადაადგილების ტრანსპორტი ცხენი და ხარები იყო. ჩვენ ბევრი წვრილფეხ-სხვილფეხი გვყავდა. ოჯახიც ამით იყო მდიდარი, ზამთრის პირი ახლოვდებოდა. საქონელი ბაგურ კვებაზე უნდა გადაეყვანათ. მამამ დედას უთხრა, შევამციროთ საქონელი, ზოგი გავყიდოთ. ვინ იცის, რამხელა ზამთარი მოვიდეს და გაგვიჭირდება შენახვაო. ცოლ-ქმარმა ერთიანი გადაწყვეტილება მიიღეს. შეთანხმდნენ, რომ ორი ძროხა გაეყიდათ და ორიც დაეტოვათ. ხარებს არავითარ შემთხვევაში არ გაიმეტებდნენ, უხაროდ ცხოვრება, მათთვის წარმოუდგენელი იყო. აქედან, ორი კიდევ სახარე, ორიც საფურე, იქ თხები, ცხვრები და დანარჩენი კი ფრინველები იყო გამოსაზამთრებელი. დილაადრიანად მამაჩემმა ძროხები კორბოულის ბაზარზე გასაყიდად წაიყვანა. კლიენტები ბევრი ყოფილან, ამ ბევრიდან ერთი მშვიდი სახის, მოწესრიგებული მამაკაცი მამაჩემისკენ წამოსულა. ახედ-დახედა ძროხებს და ერთი მართლაც ძალიან მოწონებია. დასახელებული ფასიც მისთვის ხელსაყრელი გამოდგა და სასწრაფოდ მორიგდნენ. ჩამოხსნა თოკი მყიდველმა, ფული გადაიხადა და გზას აჩქარებით დაადგა, რადგან იმასაც ფეხით უნდა ევლო სახლამდე. მამაჩემს შეუჩერებია, გამოუკითხავს, – ვინ ხარ, საიდან ხარო. მყიდველსაც სასწრაფოდ უთქვამს: – ხაშურის რაიონი სოფელ ფლევიდანო. მამაჩემა ნახევრად ტყუილ-მართალით იცოდა, რომ და ჰყავდა და ბოლოს ისიც გაიგო, რომ მისი და ფლევში გათხოვდა და მისი მეუღლე ნოზაძეაო. – შენ მეუღლეს რა ჰქვია? – ლუბა. – ლუბა? ჩემი და? ძროხის მყიდველ კაცს ცივი ოფლი დაასხა, გაუფიქრებია, – ეს რა ხდება ჩემს თავსო. – თქვენ რა გქვიათ? – კითხვა შეუბრუნებია კლიენტს. – მე ჭიჭიკო მქვია, ისე ორ სახელს ვატარებ. ნიკიფორეს და ჭიჭიკოს, რაშია საქმე რათ გაჩუმდით, რატომ დუმხართ? – ძლივს-ძლივობით წარმოსთქვა. – გაოგნებული ვარო და იქვე ქვაზე ჩამომჯდარა. – ჩემი მეუღლე, სულ საუბრობს მე ძმა მყავს, ვინ იცის წინაც მხვდება და არ ვიცნობო. მამაჩემმა გაჭრილ თითზე დაიხედა და ამოიღმუვლა: – თურმე, მე ქორწილში ხელი გავიჭერი და დის სისხლი დამილევიაო. სიძეს ფული უკან დაუბრუნა და დააბარა, ეს ჩემს დაიკოს ჩემგან მზითებშიო.

დედაჩემს ძალიან გაეხარდა მამიდა ლუბას გამოჩენა. რა წყაროებით შეუთვალა არ ვიცი, ერთ დღეს უცნობი მამიდა გვესტურა, თავისი ლამაზი ცირა ქალიშვილით. შეხვედრის სცენა ძალიან ამაღელვებელი იყო, ცრემლები, სიხარული თავგადასავლების მოყოლა და ასე შემდეგ. მამიდამ ცირა ერთი კვირა დატოვა ჩვენთან. ეს ის ცირაა, ადრეც დავწერე, რუსთავში მამა ანდრია აბაშიძის მეუღლის, დედა ანას დედა. ერთი კვირა მდინარე ძირულაში ბანაობა, თევზის ჭერა, ტყის სოკოს მოგროვება და ასე

შემდეგ. ასეთი ლამაზი დღეები ჰქონდა ჩემს ცირას. ასე თენდებოდა და ასე მთავრდებოდა დღე. ცირას არ მოკლებია ტყეში სეირნობა და მდინარეში ბანაობა. მამიდამ ერთი კვირის შემდეგ ჩამოაკითხა, აღარ დატოვა, ორ კვირაში სკოლაც დაიწყებაო, ამას ასახელებდა მიზეზად ლუბა მამიდა. მაშინ გულნაზის წავიყვანთო პრინციპულად განაცხადა ცირამ. დედაჩემმა უარი არ უთხრა და ახლა მე გავხდი მათი სტუმარი. მახსოვს, ბევრი ნუში ჰქონდათ ეზოში, გარდა ნუშისა ძალიან ბევრი ხილის სხვადასხვა

ჯიში. მამიდას ხუთი შვილი ჰყავდა: ჯემალი, ბონდო, ჯიბო, ცირა და ციალა. საღამოთი ფლევში ახალგაზრდები ღამით იკრიბებოდნენ. ჩემს მამიდაშვილებს მეც დავყავდი სასეირნოდ. ამასობაში, სკოლის დროც მოვიდა და მამიდამ ხაშურში წამიყვანა. თუკი რამე მჭირდებოდა სასკოლოდ ყველაფერი მიყიდა, ბოლოს აფთიაქში შევიდა, ხელჩანთა მე დამიტოვა. მეც გავჩერდი და ველოდებოდი მამიდას გამოსვლას. ერთი მოხუცებული ქალი მოვიდა, ძალიან მძიმე კალათა ჰქონდა ბეჭზე შემოსკუპებული, მე რომ მომიახლოვდა ძირს ჩამოდგა. მთხოვა ბაზარში შემატანინეო. ვიქნებოდი ასე მეოთხე კლასში. აღარ მახსოვს ზუსტად. მოხუცს უარს როგორ ვეტყოდი, სახლში სულ ამაზე იყო საუბარი. უფროსს ყოველთვის პატივი ეცითო. შევედით ბაზარში მე და მოხუცი ბებო. მადლობა გადამიხადა და უკან გამოვტრიალდი, გზა ამებნა, ვეღარც მამიდასგან დატოვილი ტანსაცმლით სავსე ჩანთა ვნახე და მამიდაჩემიც არსად ჩანდა. ერთ ადგილზე გავჩერდი. აქეთ-იქით დავიწყე ყურება. არცერთი მხრიდან მამიდა არ ჩანდა. აი, რა მოხდა, მე რომ მოხუცებულს ვეხმარებოდი, მამიდა მოსულა. მე რომ არ დავხვედრივარ, ახლო-მახლო დაუწყია ძებნა. ბოლოს ყვირილით შეუძრია იქაურობა, ძმიშვილი დავკარგეო. ახლა მე დავიწყე ძებნა და ერთმანეთის ძებნაში დავტანჯეთ ერთმანეთი. მთელი ბაზარი

ფეხზე დააყენა მამიდამ თურმე, ცალკე მე მეკითხებოდნენ, მამიდაშენს რა ეცვა, როგორი ქალია, მაღალია, დაბალია. ის დღე მამიდასთვის და ჩემთვის შიშით აფორიაქებული დღე იყო. ბოლოს, როგორც იქნა, ვიპოვეთ ერთმანეთი. არ გამიწყრა, პირიქით, მეფერებოდა, გულში მიკრავდა. ძალიან ტკბილი იყო მამიდა. მეორე დღეს, ჩემს სახლში ჩამომიყვანა და ეს ამბავი საიდუმლოდ შევინახეთ მამიდამ და ძმიშვილმა.

მამაჩემის სიმამრი, დიანოზ შუბითიძე ანუ ჩემი მეორე პაპა, ტანით საშუალო სიმაღლის იყო. სამაგიეროდ ბებიაჩემი აღათი ტაბატაძე, რომელიც საჩხერის რაიონ სოფელ ვაკისიდან იყო, პაპაზე ორჯერ მაღალი. ეს სოფელი ლიჩთან

და ღოდოროსთან არის ახლოს, ამ სოფლის ბავშვები ქალოვანის საშუალო სკოლაში სწავლობენ. ეს ის სკოლაა, ჩემი აწ გარდაცვლილ პოეტ ბეჟან ხარაიშვილის სახელს რომ ატარებს, რომლის პრემია დაარსებულია მწერალთა კავშირში და რომელიც ოცდაათი წლის მოკლეს. ოცდაჩვიდმეტი წელი მისი გულის სუნთქვას ისევ ვგრძნობ. ეს მისი სიტყვებია: „ყველაზე დიდი სასაფლაო გული“, მართლაც, გული, რამდენ ტკივილს მარხავს. რამდენი წლის ნაშენებ ამაგის დაუნახაობას კრძალავს და ინახავს. თუმცა ტკივილით, მაგრამ ხომ ინახავს? არ ყვირის, არ წიოკობს, დუმს ისე, ვით მკვდარი დედამიწა. ეს ის სკოლაა, სადაც „დათას“ დედა, ჩემი ძმიშვილი რომ ასწავლის, ეს ის სკოლაა, სადაც „დათამ“ დაამთავრა და თავისი ლამაზი სულით ცაზე ვარსკვლავად ააკაშკაშა უფალმა.

ისევ ბეჟანის სიტყვებს მოვიშველიებ: – „ერთ გაზაფხულსაც ვერ მოესწარი, ისე დათოვა შენი მწვერვალი“. ბაჟანი ამას წინასწარ უწინასწარმეტყველებდა თავის „მეს“. დათამაც დაამთავრა და ერთ გაზაფხულსაც, ვერ მოესწრო, ისე ჩამოთოვა, მის მწვერვალზე. სამაგიეროდ, დათამ დატოვა დიდი სიყვარული, სამარადისო და ჩაუფერფლავი.

დავუბრუნდეთ, აღათი ბებიას. თუ სადმე ვინმეს უთქვამს ვინმეზე საქებარი სიტყვები, ალბათ კი არა და მართლაც, ყველანაირი დადებითი საქებ სიტყვებს იმსახურებს, ცხრა შვილის გამზრდელი ბებია აღათი. თავისი ქალობით, შვილების აღზრდით, მაზლიშვილების და მულიშვილების პატივისცემით. მისთვის, მაზლიშვილ-მულიშვილები არ არსებობდა, ისინი მათი შვილები იყვნენ. თუ ვაჭარბებ, ცოცხლები არიან მეტი წილი, ღმერთმა კარგად ამყოფოთ და შემეპასუხონ. პაპა დიანოზ შუბითიძე, ოოო, ეს ისეთი მკაცრი იყო, სულ თვალებში მიჩერებოდა ბებია, რა ესიამოვნებოდა, რა გაეხარდებოდა. ჰოდა ასეთი მკაცრი სიმამრის ხელში მოხვდა, ისედაც ობლობაში გაზრდილი მამაჩემი.

ერთხელ ტყეში წასულან სიმამრი და სიძე ზამთრის შეშის დასამზადებლად. იქ მამაჩემს უნდა ემუშავა, პაპა ცოტას კი მუშაობდა, მეტწილად ბრძანებას იძლეოდა: – აბა, ეს ხე მოჭერი, ეს არა, რადგან ჯერ ისევ ზრდაშია, ცოდვაა. ეს მოვჭრათ ისედაც სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ უჩანს! – და ჩემი კუნთძლიერი მამაც ასრულებდა მის ბრძანებებს. ამ სიტყვებს მამას ნაამბობიდან ვწერ, ჩემით არაფერს ვიგონებ, ჩემო ერთგულო მკითხველო. ბოლოს ძალიან მსხვილ და მაღალ ხეზე უთხრა: – ესეც მოჭერი, რადგან უკვე ჩანს თავისი მოუჭამია. ღმერთმა ფლორაც და ფაუნაც ერთმანეთის საარსებოდ შექმნაო. – მამაჩემს ის, დიდი ხე, თვალით რომ ვერ შეწვდებოდი და ათ კაცს რომ დაღლიდა, იმერულად რომ ვთქვა „სიქას“ რომ გააძრობდა, ის ხეც მამას ძლიერი მაჯით ძირს ზღართანით დაცემულა. – ახლა ხარები შეაბი! – ბრძანებას იძლევა დიანოზ პაპა, – ჩაუბი ამ ხეს და გვერდზე გადაწიე თორემ გზა ჩაიკეტა და მეურმეებს გაუჭირდება აქ გავლაო! – სანამ პაპამ სიტყვა დაამთავრა, მამაჩემმა ბუმბულივით აიტაცა ეს ხე და გვერდზე მოისროლა. პაპაჩემი მიაჩერდა გაოგნებული, გაბრაზებული, განრისხებული სახით, უსიტყოდ, უყურა, უყურა და ბოლოს უხმაუროდ თავი დაღუნა და სახლისკენ წავიდა. მისდევს ჩემი ძლიერი და ზრდილო-

ბიანი მამა და გულში ფიქრობდა: – რა დავაშავე, მთელი დღე ვიმუშავე, ხე, რომელიც ხარებს უნდა გვერდზე გადაეწიათ ხელით გადავაგდე. მიდის პაპა და გვერდზე არ იხედება, მისდევს მამაჩემიც უსიტყვოდ. ასე მივიდნენ სახლის კარებამდე, მოიხედა პაპამ და მამაჩემს მკვახედ მიახალა: – ხვალაც მჭირდები, მე ხვალაც! ეს მის ენაზე ასე ნიშნავდა: – თავს გაუფრთხილდი, რომ არაფერი გეტკინოსო. – აღათი, – შესძახა ჩემს ბებიას, ამ ურჩი სიძისთვის სადილი მზად გაქვს?! ბებიამ პაპის ხელით გათლილი მაგიდა კედლიდან ჩამოხსნა, რომელსაც კედელზე კიდებდა ხოლმე, რათა დიდი ადგილი ბავშვებისთვის დაეთმო. ბუხარს შეშა დაამატა, ზედ კეცები დააწყო ცხელი მჭადით და კეცებზე შემწვარი წიწილით გაუმასპინძლდა სიძეს ბებია. პაპას კი თვალებში შეჰყურებდნენ ცოლიც და მამაჩემიც, ჭამის დროსაც შენიშვნა არ მიეცა, მკაცრ და შეუპოვარ ერთ ციდა კაცს, რომლის სიტყვასაც დიდი ფასი ჰქონდა დედმამიშვილებშიც!

დრო მიდიოდა...

იყო სიხარული და ტკივილი ცხოვრების აღმართებზე. ამ ლამაზ ოჯახს დღესაც სითბოთი იხსენებენ. ტკივილი კი კვალდაკვალ მიდევს კლდეკაცის შთამომავალთ.

ერთი კი უდავოა, კლდეკაცის ფესვებზე სამი პოეტი ამოიზარდა, ბეჟან, გულნაზ და გვანცა ხარაიშვილები.



ბეჟან, გულნაზ და გვანცა ხარაიშვილები.

წერილები

ლუარა სორდია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„დიდებულნი და მდაბიონი“

ამ ფილოსოფიურ მოთხრობაში მრავალი პრობლემაა წამოჭრილი: სიკვდილ–სიცოცხლის, უსამართლობის, ბედისწერის, სამყაროს უსასრულობის, მოძღვარ–შეგირდის ურთიერთობის, ბედნიერების, წოდებრივი უთანასწორობის, სამართლიანობის დამყარების, სამეფო ტახტის, დიდება–სიმდიდრის უარყოფის, პოზიტიური იდეების განუხორციელებლობის.

ნაწარმოების ავტორის თქმით: „დედამიწას განწმენდა სჭირდება“ (გვ. 119).

თვალთმაქცობა ცხოვრების წესად ქცეულა: „დედამიწის იქით კი უშველებელი, ამოუცნობი სივრცე ახამხამებდა თვალებს და უცნობ ბგერებსაც გამოსცემდა“ (გვ. 119).

ქალაქის ქუჩებში ეულად დააბიჯებს უფლისწული, რომელიც ხვალ მეფედ უნდა აკურთხონ, მას კი თავისუფლება, საზოგადოების გაცნობა აინტერესებს და ფუფუნებას გამოეპარა. ის გზაში თავის აღმზრდელს ხვდება.



არსებობენ თუ არა კეთილი მეფეები? – ფიქრობს უფლისწული და ახსენდება ისევ თავის ნაცნობთა გარემოს შებრძოლებული, თავნება, უსამართლო საჭისმპყრობელნი.

აღმზრდელს უკანასკნელი გაკვეთილი უნდა ჩაეტარებინა უფლისწულისთვის, ვიდრე მას მეფედ აკურთხებდნენ, მაგრამ ის თავის ოთახში არ დახვდა.

მეფის ძე არ ფიქრობდა, რომ გამეფებით „ბედნიერების მწვერვალზე“ იქნებოდა, ის ბავშვობის დაბრუნებას ნატრობდა, მზად იყო, მამისთვის დაეთმო ტახტი.

აღმზრდელის შერჩევის შემდეგ უფლისწულ იკაროსის არსებაში „დასახლდა ახალი სამყარო... თითქოს გაიხსნა ცის კარი და იქიდან გამოანათეს რჩევებმა, დარიგებებმა, ცოდნამ, ქცევებმა... რაღაც უხილავ ძალთა ერთობლიობა აძლევდა ბიძგს ტახტის მემკვიდრეს სხვა გზებისკენ“ (გვ. 125).

მასწავლებელი „სიკეთის განხორციელებას თვლიდა ადამიანის ცხოვრების იდეალად, მაგრამ მიაჩნდა, რომ მეფეს გაუჭირდებოდა ყოფილიყო მუდამ კეთილი. რომ უმდიდრეს მეფესა და უპოვარ ბრბოს შორის ურთიერთგაგება ვერ მიიღწეოდა, მეფეს განუსაზღვრელი უფლებების გამო პასუხს ვერვინ აგებინებდა, თუნდაც სოციალური და მორალური ნორმები დაერღვია.

უფლისწულს სამეფო ტახტი აღარ ეჩვენებოდა მიმზიდველი... მოძღვრის თქმით: „სიტყუაი იგი იყო ღმერთი“... სწორედ ამ ღმერთს უნდა დანთებოდა სანთელი...

მასწავლებელი არიგებდა ტახტის მემკვიდრეს, რომ ძალაუფლება ბოროტად არ გამოეყენებინა, მოვალეობისთვის ანგარიში გაეწია.

ტახტის მემკვიდრეს თავისუფლება ენატრებოდა, აღმზრდელი დაუწერელ კანონებს აწვდიდა, თავისუფალი ვერ იქნები, რადგან დამოკიდებულებათა უზარმაზარ სისტემაში ხარ მოქცეული და პრობლემებს პრობლემები შეენაცვლებაო.

აღმზრდელმა ბევრი ბარიერი გადალახა, რომ აღეზარდა მაღალზნეობრივი პიროვნება. ის მეფის შვილს ურჩევდა სასახლეში დაბრუნებას, ის კი ცხოვრების გაცნობით, ხალხთა პრობლემების გაგებით იყო დაინტერესებული.

მოძღვარი შეახსენებდა, რომ ცხოვრების შუქ–ჩრდილებში ჩახედვისთვის აუცილებელი იყო უკიდურესი სიღატაკიდან, ფიზიკური შრომიდან დაწყება, ცხოვრების ყველა საფეხურის გავლა. ტახტის გარშემო კი ობობას ქსელივით იყო დახლართული სამეფო და სახელმწიფოებრივი ინტრიგები, ეგოისტ და კეთილ ადამიანთა შეჯახებები, აშკარა და ფარული კონფლიქტები, სხვა სახელმწიფოებთან და სხვა ტომის ხალხთან ურთიერთობები.

ამ ხეტიალში უფლისწული ქალაქგარეთ აღმოჩნდება, მერე ფორტუნა გამოეცხადება ცალ ხელში საჭით და მეორეში სიუხვის რქით. ის გაოცებულია, ყველაფერი უშრომლად გქონდა და რა გრჯიდა, უთუოდ ფილოსოფიური ქვის მძებნელს ჰგავხარ, იპოვი კიო?

მერე უფლისწული ორი გამვლელის ხმას გაიგონებს, რომ უფლისწული ხვალ მეფედ უნდა ეკურთხებინათ, ის კი სასახლიდან გაიპარაო.

ბოშათა უხუცესი აცხადებს, ამქვეყნად ყველა მეფე და მომავალი მეფეც ერთმანეთს ჰგავს, უსამართლო და ყრუნი არიან, მათი ცხოვრება არტახებით შეკრულივითაა და სხვების შებოჭვასაც ლამობენ. უფლისწულმა უნდა იბატონოს, ბატონი კი ათასში ერთი გამოერევა კეთილიო.

ფორტუნაც არ იყო კეთილგანწყობილი ზედა ფენის მიმართ: „უფლისწულიც, მეფეც და ბერიც ცხოვრებას უნდა იცნობდნენ, რამდენი უსამართლობა ხდება ამქვეყნად, მაგრამ ცხოვრებისეულ დეტალებში ვერ გარკვეულან და ვერ ხედავენ, ან ბრმანი არიან, ან იბრმავებენ თვალთახედვას... აი, ჩვენ, ყველას თვალწინ შეგვიძლია მოვატყუოთ ვიღაც, ნემსი მოვიპაროთ და გამოგვიჭირონ, აქლემთა ქურდები კი ქვეყანაზე პარპაშებენო“ (გვ. 132).

გაირკვა, რომ ბოშებსაც თავიანთი სადარდელი ჰქონდათ.

მერე ცა საოცარი ხილვებით აივსო... ცაზე მოძღვარი გამოჩნდა, თეთრი, ვითარცა თოვლი, ვითარცა სიწმინდე ხელუხლებელი და ჩაესმა: ორივე საშიშიაო, დიდებაც და დაცემაც. დიდება ტვირთია, კაცნი შიშით იხვეჭენ დიდებას და შიშითვე კარგავენო მას.

უფლისწული ხომ მოსალოდნელ დიდებას გამოექცა, დიდებას ხელით შექმნილს და არა ადამიანთა გულებით.

ვერ გარკვეულიყო დაცემა ერქვა მის ახლანდელ მდგომერეობას თუ გამოქცევა არსებულისგან.

თუნდაც რომ ამოხსნა სიკეთისა და ბოროტების საიდუმლო, სულიერად მხოლოდ კარგი საქმისთვის განეწყო, მაინც ეჭვის თვალით შემოგხედავენ, იტყვიან, მეფის სისხლი მაინც უდუღს ძარღვშიო... ვის ძალუძს აღმოფხვრას ყველა მანკიერება და თუ ამოიძირკვა, მოიშალა დედაბუდიანად, მერე არსებობას ინტერესი ხომ არ დაეკარგება? ასეთია უფლისწულის ფიქრები.

მოთხრობის ამ ეპიზოდში ძველი აღმოსავლური სიბრძნეა დამოწმებული:

„ვინც მძლავრობით ეუფლება სამყაროს...აქედან ვჭვრეტ-ვერ მიაღწევს საწადელს.

სამყაროს საიდუმლო ჭურჭელს ჰგავს:

შეხება მისი არ ეგების.

ვინცა შეეხება:

ხელყოფს მის თანხმობას.

ვინცა დაეუფლება:

დაკარგავს მას.

ჭეშმარიტად.
ყოველი არსი ცვალებადია:
ზოგი წინ მიდის, ზოგი უკან,
ზოგი თბილია, ზოგი ცივი.
ზოგი ძლიერია, ზოგი სუსტი.
ზოგი ყვავილობს, ზოგი ჭკნება.
ზოგი სრბის, ზოგი დგას
ამიტომაცაა:
ყოვლად-ბრძენი უარყოფს განდიდებას.
ყოვლად-ბრძენი უარყოფს ფუფუნებას.
ყოვლად-ბრძენი უარყოფს ბრწყინვალებას“.

ბრწყინვალება, განდიდება და ფუფუნება უარყო, მაგრამ ხომ სარგებლობდა აქამდე ამქვეყნიური სიკეთით?

უფლისწული ფიქრობს: ნუთუ მართალია, რომ მშიერი მონები აშენებდნენ უძველეს რომს? მუშაობისას რომ პირში მუჭით ფქვილი არ ჩაეყარათ, ყელზე ხის ბორბლებს უკეთებდნენ, თურმე, საცოდავი მონები, აკი იხოცებოდნენ კიდევაც“ (გვ. 135).

უფლისწული კი თავისუფალი იყო, მაგრამ სასახლეში დაბრუნება არ უნდოდა და ფიქრობდა: „ყველა სასახლე უნდა დაინგრეს, რომელიც დამპყრობელია. უნდა დაიშალოს... რაღაცით უნდა შეიცვალოს... „კართაგენი უნდა დაინგრეს“... მოინანიონ და გადარჩნენ, ვით კორინთოს სვეტები გადაურჩნენ რომაელებს დანგრევისგან. თვითონ თუ გადაურჩება?“ (გვ. 135).

მერე ცარიელი ჯიბის ამარა გამოსულს ფორტუნა უმასპინძლდება და მისანივით ამცნობს, „ცისიერი ხუთქიმიანი ვარსკვლავი და მიწიერი ვარსკვლავი მოგელისო“...

ჯერ ბოშათა უხუცესი დაუპირისპირდება იკაროსს ფორტუნასთან სიახლოვისთვის, ჩვენ ჩვენი კანონები გვაქვს და არავის ვემორჩილებითო, ცნობილი გახდა, რომ უფლისწული ბოშა ქალთან სეირნობსო და გაოცება ვერ დაფარეს. ვერავინ გაიგო, რას ნიშნავდა იკაროსისთვის თავისუფლება, რადგან არცერთი მეფე არ ჩაუსვამთ საკანში, შეუზღუდველი უფლებებით სარგებლობდნენ მეფეები.

მეფედ კურთხევისას იკაროსს გვერდით მოძღვარი ჰყავდა. მერე მასთან მოსალოცად ბოშა ქალი მოვიდა და მუხლებზე დაეშვა. იკაროსმა ის ფეხზე წამოაყენა. შფოთავდნენ ამის მნახველნი, როგორთუ არ აკადრა მის წინ მუხლებზე დაჩოქებაო. ეს ყველამ უცნაურობად ჩაუთვალა, ალბათ, კარგად ვერ არისო.

ახალმა მეფემ ახლებული მმართველობა დაიწყო, ყველანი დაითხოვა, მწიგნობარნი შემოიკრიბა.

შემდეგ დაქორწინება მოსთხოვეს უსიყვარულოდ. ქალს მიაჩნდა, რომ „უზენაესი ბედნიერება მეფეთა ხვედრია, მაგრამ ნუ ისწრაფვი მეტი ბედნიერებისკენ, დაე, მწვერვალზე იმყოფებოდეო“ (გვ. 141).

დედოფლისთვის მთავარი იყო არა ურთიერთგაგება, სიყვარული, არამედ მმართველობის სათავეში მოქცევა, ხალხს კი ბრბოდ მიიჩნევდა, რომელსაც „მკაცრი ხელმძღვანელი სჭირდება“.

მეფე აცხადებდა: „ჩემი მიზანია ხალხის თვალით შევხედო ცხოვრებას, ღირსეულ ადამიანებს თანადგომა სჭირდებათ, უღირსთ ცხოვრება თავისივე კანონებით ასწავლის გზას“:

ეს აზრი „ყმაწვილურ ოცნებად“ მიიჩნია ქალმა. მას დაქორწინების შემდეგ თანხმობა და ურთიერთგაგებაც არ მიაჩნდა საჭიროდ.

„მოსაუბრეთა შორის სიცივე ჩამოწვა, თითქოს უზარმაზარმა ყინულის ლოდმა გასცურა, ზღვას რომ ფარავდა, აი, ზღვაც გამოჩნდა, ფსკერზე, ვინ იცის, იგი რა საიდუმლოებებს ინახავდა“.

მეფესთან საუბრით საოცრად განაწყენებულ ქალს დედოფლობა მაინც არ ეთმობოდა. მიუხედავად საქმროს ირონიისა, გულგრილობისა, მისთვის დედოფლობა იყო მიმზიდველი და გახდა კიდეც დედოფალი.

უფლისწულს გარკვევით უთხრა მოძღვარმა, არა ხარო თავისუფალი საკუთარი სურვილების გამოხატვისას, რადგან... დამოკიდებულებათა უზარმაზარი სისტემა არსებობსო შენ ირგვლივ"...

საცოლეც თვითონ არ შეურჩევია, უბრალოდ, შეურჩიეს.

სასახლეში ფუძის ანგელოზს სანთელს არ უნთებდნენ, არ ევედრებოდნენ.

მეფე გარიყულივით იყო. სასახლეში მრავლად იყვნენ ფარსიეველნი, მლიქვნელნი.

ახალი მეფე ლმობიერი იყო, კეთილი და მისი კარი სავსე იყო მათხოვართა, დაავადებულთა, დაჩაგრულთა, გაჭირვებულთა და დალხინებულთა რიგებით.

იკაროსის მამა აღშფოთებული იყო, რომ მისი წლობით ნაგროვებ ქონებას შვილი ასე უანგარიშოდ ფლანგავდა და მამა–შვილს შორის მუდმივი კონფლიქტი იყო.

მამის საყვედურებს არ ეპუებოდა იკაროსი, პირიქით, ცოდვილს უწოდებდა მას.

საბოლოოდ, ისევ წავიდა იკაროსი სახლიდან, ოღონდ არა უფულოდ.

დედოფალი მაინცდამაინც არ შეუშფოთებია მეფის გაპარვას, რადგან საკუთარი მდგომარეობით კმაყოფილი იყო, ქვეყანას თვითონ მართავდა.

იკაროსმა ისევ ბოშას მიაკითხა. უხუცესი აღაშფოთა მისმა გამოჩენამ, ბოშა ქალის პატიოსნების შემბღალავი მეფე განგმირა...

ასე დასრულდა იკაროსის ოცნება თავისუფლებაზე, სახელმწიფოს კანონების, ურთიერთობის შეცვლაზე, ჰარმონიული საზოგადოების ძიებაზე.

პრობლემას მრავალი ფილოსოფოსი, პოლიტიკოსი, მოაზროვნე შეხებია და ცხადია, კაცობრიობის ისტორიაში არ მოიძებნება თანასწორობის, ურთიერთგაგების, სიკეთის დომინირების მაგალითები.

კონსტანტინე გამსახურდიას ნოველაში „მშვენიერება" პერსონაჟი უკვდავთა ქვეყანას ეძებს, თითქოს მიაგნებს მას, მაგრამ მარტოობაში უკვდავება რა ბედნიერებაა და ისევ თავის ძველ. იავარქმნილ საცხოვრისს უბრუნდება, იქ მისი ენაც არ ესმით და თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს.

შიო არაგვისპირელის პერსონაჟმა ნოველაში „შემუსვრილი სამი მცნება" სიცოცხლის აზრი ვერ იპოვა.

* * *

„ლიტერატურულ მოზაიკაში" დასმული პრობლემის არსს მიესადაგება რუდოლფ შტაინერის განაცხადი: „განვითარების მსვლელობაში ბოროტება აუცილებელია. გოეთე მეფოსტოფელის აზრით ამბობს ჭეშმარიტებას: „მე ვარ ნაწილი იმ ძალისა, რაც განუხრელად სიკეთეს თესავს, მსურს რა ყოველთვის ბოროტება" (რუდოლფ შტაინერი, შუა საუკუნეების მისტერიათა ცენტრები. როზენკროიცერობა და თანამედროვე ხელდასხმის პრინციპი. ტანჯვის წარმოშობა, ბოროტების წარმოშობა: როგორ გავიგოთ ავადმყოფობა და სიკვდილი"... (მთარგმნელი ა. კვარაცხელია, ასოციაცია „კოგიტო", თბ., 2014, გვ. 125).

ოცნება ჰარმონიულ საზოგადოებაზე

ცხოვრება რომ გაბმული ზეიმი, ნატვრის ასრულება და უზრუნველობა არ არის, ამაზე მრავალ მოაზროვნეს გაუკეთებია აქცენტი.

ზოგჯერ ობლობა, სიღარიბე, შემხვედრთა გულგრილობა ადამიანს თვითმკვლელობისკენაც უბიძგებს.

ადამიანის თანამდევია სიბერე, დამსახურების წარსულში ჩარჩენა, მარტოობა.

საბედნიეროდ, ამისთვის არსებობს უპოვართა თავშესაფარი, მაგრამ მიღმურ სამყაროში გასამგზავრებლად გამზადებულები, სხვადასხვა წრის, განსხვავებული ინტელექტისა და

დამსახურების ადამიანები, იშვიათად ან საერთოდ ვერ ახერხებენ ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვას, მეგობრობაზე, ურთიერთსიყვარულსა და პატივისცემაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

მათთვის ყველაფერი კარგი წარსულშია დარჩენილი, წარსულით ცხოვრება და სიხარული კი წარმოუდგენელია.

ადამიანი მოკვდავი არსებაა. იგი დროებით ევლინება ცოდვებით დამძიმებულ სამყაროს, ხოლო წარსულის დამსახურების მიხედვით იშვიათად ფასდება ადამიანი.

„ლიტერატურული მოზაიკის“ ავტორი ცდილობს ჩაიხედოს არა მხოლოდ გენიოსების, ღირსეული ადამიანების სულში, გაითავისოს მათი სიბრძნე, არამედ მიჩქმალული სიკეთის მაძიებელიცაა, მისთვის ყოველი ადამიანი, გოდერძი ჩოხელისა არ იყოს, ცოცხალი, მოარული მოთხრობა, ნოველა, ლექსია და ცდილობს უცდომლად ჩაიხედოს მათ სულში, სიტყვის ძეგლი აუგოს დამსახურებისამებრ, დააძლევინოს ადამიანებს გაუცხოება, აპოვნინოს საერთო და საზოგადოების სრულფასოვან წევრად შერაცხოს.

ყველა ადამიანის ხვედრია სიბერე, სიკვდილი და სანამ ცოცხალია, მიზანი ის უნდა იყოს, დავეხმაროთ უპოვართ, მიუსაფართ, ობოლთ შეძლებისამებრ.

მხატვრული სიტყვა, რწმენის, სიკეთის, პროგრესული აზრის წარმოჩენა–მსახურებაა, რასაც უპირველესი ადგილი უკავია „ლიტერატურულ მოზაიკაში“.

მოთხრობა „თავშესაფრის“ პერსონაჟები, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ,არაფრით გამორჩეული, ბედს შერიგებული რიგითი ადამიანები არიან, ყველაფერზე ხელჩაქნეულნი. სხვადასხვა წრის, განსხვავებული პროფესიის, უსიხარულო წარსულის მქონე ადამიანთა თავყრილობა არაფერს განსაკუთრებულს არ ელის, ამოწურულია მათი ყოველგვარი შესაძლებლობები, ერთმანეთისგან გაუცხოებულნი, შერიგებულნი ამ უფერულ არსებობას, მხოლოდ სიკვდილის მოლოდინით ცხოვრობენ. ერთმანეთს ექიშპებიან სასადილოში სკამის გამოც კი. უსიხარულოდ მიირთმევენ საუზმე–სადილს თუ ვახშამს, მხოლოდ ზოგიერთები ჩასქერიან გაზეთს, ისიც ცალი თვალით და ამ ერთფეროვნებას შეგუებულნი, არც ინტერესდებიან ერთმანეთით.

ერთ დღეს კი ბევრი რამ შეიცვალა ამ ჯოჯოხეთს მიმგვანებულ საცხოვრისში.

შვილებისა და ახლობლებისგან უარყოფილი მოხუცების თავშესაფარს ერთ დღეს ახალი ბინადარი მოევლინა. აქ არავინ იცოდა, რომ მისი წარსული სავალალო სრულიად არ იყო. ფული და ძვირფასი სამკაული ახლობელს, ლუკას მიაბარა, რათა სიბერეში უზრუნველყოფილად ეცხოვრათ, მაგრამ მან ერთ დღეს მან ამცნო, რომ ყველაფერი დაიკარგა.

უსახლკაროდ და უმისამართოდ დარჩენილი იობი თავშესაფარს მიადგა. ლუკა სადღაც გადაიკარგა.

იობი პატარა, სულისშემხუთველ ოთახში დააბინავეს. დამხვედრთ მისი მოსვლა არ ესიამოვნათ, რადგან კიდევ უფრო უნდა შევიწროებულიყვნენ. იობი იძულებული იყო შეგუებოდა ამ უსიხარულო არსებობას. მისი ბრძნული აზრები იქ მყოფთა მოწონებას იმსახურებდა, მაგრამ ყოველ საუბარს ერთი აკვიატებული ფრაზით ასრულებდა, რაც მსმენელთა გაოცებას იწვევდა: აქედან მალე წავალ, ჰარმონიულ საზოგადოებას ვეძებ, მისი შესაფერისი სათანადო ფორმულაც კი გამოვიგონე და თავის დროზე მთელ ქვეყანას უნდა გავაცნოო.

მსმენელები სიამოვნებით უსმენდნენ, სანამ ჰარმონიულ საზოგადოებაზე დაიწყებდა საუბარს.

„ხან იობს ჰგავდა, ხან ახალი დროის დონ კიხოტს, ხან მიუსაფარ მოხუცს.

იმთავითვე, იობს მიამგვანეს და ამ სახელით მიმართავდნენ.

იობის მთელი ავლადიდება ორი ნახატი და ერთი წიგნი იყო. ერთზე სიქსტის მადონა იყო გამოსახული, მეორეზე – ლაოკოონი, წიგნი კი ქიმიის სახელმძღვანელო იყო“.

იობის ოცნება მარადიული იყო, მაგრამ განუხორციელებელი.

ის ბევრჯერ შესწრებია ადგილისთვის, სკამზე ჩხუბს თავშესაფარში. მათ მორიგებას ცდილა, მაგრამ მისი სურვილიც მიუღებელი იყო.

ამ „ნამდვილი საგიჟეთით“ გაღიზიანებულ იობის ურჩევდნენ, არ ჩარეულიყო სხვის საქმეში, ეს მას არ ეხებოდა. მასთან გასაუბრებასაც ერიდებოდნენ, „თავი დაგვანებოს, ჩვენ ჩვენი გასაჭირიც გვყოფნის. აქ ყველას თავისი დარდი აქვსო.“

იობს ერთხელ თანამეინახის გაცნობის მიზნით გაწვდილი ხელი ჰაერში შერჩა და ბუნებრივია, უკმაყოფილება გამოხატა ამ გულგრილობისა და უსამართლობის გამო, მაგრამ მოპირისპირემ გაზეთი გადაშალა და მის სატკივარს არც შეეხმიანა.

„ღვთის კანონებს ეწინააღმდეგება ადამიანთა ქცევა, აქ ყოველთვის ასე გაუცხოებულნი სხედან?“ იკითხა იობმა, რისი პასუხიც კიდევ უფრო გამაოგნებელი იყო: „აქ არავის აინტერესებს თქვენი გულჩვილობა, თუ ღმერთი გწამთ, მოისვენეთ. მეტისმეტად მგრძნობიარე ხართ, ვერ ხედავთ, ყველა თავის ნაჭუჭში ზის... თქვენ კი... თქვენ არამარტო ამ სახლისთვის ხართ ახალი, არამედ მგონი, ამ საუკუნისთვისაც...“

იობი გაოცდა, გაშეშდა და როცა ყავისფერპიჯაკიანმა მოუბოდიშა გაცხარების გამო. იობმა ისევ თავისი სურვილი გაამჟღავნა: „მოდით, შევცვალოთ სიტუაცია, დავმეგობრდეთ, აქ საშინელებაა ასე ცხოვრება“, მაგრამ ამ განაცხადით კიდევ უფრო გააცხარა მასთან მოსაუბრე: „სცადეთ, დაამეგობრეთ ადამიანები ერთმანეთთან, სულ მალე თქვენ თვითონ აიღებთ ხელს თქვენსავე განზრახვაზე.“

საუზმის შემდეგ იობმა ისევ გაიმეორა თავისი სურვილი: მეგობრებო, მე ამ სახლის ახალი ბინადარი ვარ, ძალიან მსურს თქვენთან ვიმეგობრო... იმედია, მიმიღებთ“...

„მიღებული არა ხარ? – დაცინვით გამოსძახა ყვითელმაისურიანმა, რასაც სიცილი მოჰყვა“.

როცა მეგობრობის შეთავაზების სურვილი გამოხატა, ვერც ამით დააინტერესა თანამეინახენი, უფრო მეტი, კითხვაც კი დაუსვეს, ხომ ვერ გვეტყვი, რა არის მეგობრობაო.

იობმა უკან არ დაიხია: „მეგობრობა თანაგრძნობა და ურთიერთგაგებაა, კაცთმოყვარეობის უმაღლესი ფორმა, ჩვენი ქცევები წრფელი განცდებით უნდა იყოს გაპირობებული, მოკრძალება გვმართებსო ერთმანეთის მიმართ“.

ამჯერად იობს „ახალი ფილოსოფოსი“ შეარქვეს, ეგ სიტყვები, ალბათ, რომელიღაც სასკოლო სახელმძღვანელოში წაიკითხაო.

სასადილოში ისევ მხოლოდ დაცინვა შეაგებეს „ჰარმონიული საზოგადოების“ მაძიებელს. ამაში ყველა ერთსულოვანი იყო. იობის გაქილიკებამ გათითოკაცებულნი, დაცალკავებულნი თითქოს ერთბაშად შეარიგა.

იობი გაოცებული იყო, როცა ნახა, როგორ ჩაწიხლეს დიადი მიზნები, თურმე შეიძლება გენიალურ აზრებზე ააღებინონ ხელი ბრძენკაცს, საკუთარი თავის რწმენა დააკარგვინო.

იობმა სწრაფად დატოვა იქაურობა, მხოლოდ ამაოებაზე ფიქრი აეკვიატა, ირწმუნა, რომ არათუ ჰარმონიულ საზოგადოებას, ერთ პატარა ჯგუფსაც ვერ იპოვიდა ურთიერთშეთანხმებულს, ჰუმანურს.

მაგრამ ანუგეშებდა ხუნ ძიჩენის აზრი, სუფთა ყოველთვის ჭუჭყიდან გამოდის, ნათელი ყოველთვის წყვდიადში იშვისო.

რაც იხილა, ყველაფერი დინების საწინააღმდეგო იყო, მაგრამ ისევ ხუნ ძიჩენის აზრები მოიშველია, ცხოვრება ჩვენი სურვილების საწინააღმდეგოდ მიემართება, ჩვენ ირგვლივ განფენილი სამყარო სამკურნალო ნემსებსა და შინაურ წამლებს ემსგავსება. შეუმჩნევლად გვკურნავს წინააღმდეგობები, გვჭრის მოპირული ცულივით და გვკლავსო.

გულნატკენი იობი ისევ დაბრუნდა სასადილოში, რამაც დამხვდურთა გაოცება გამოიწვია.

შემდეგ თავშესაფრის ბინადრებს გამოუცხადეს, რომ ლექცია ჩატარდებოდა საზოგადოებრივი ცვლილებებისთვის სტრატეგიის შემუშავებაზე.

ასეთ საკითხებზე ჩვენი სახლის ახალი ბინადარი მუშაობსო, თქვეს დამხვდურებმა და გაიცინეს.

ყავისფერპიჯაკიანმა განაცხადა: არ მაინტერესებს... დაგტოვებთ, თქვენ ცდილობთ სამყაროსავით მარადიული, უცვლელი პრობლემების შეცვლას... ჩვენთან, სხვა მარადისობაში სამოგზაუროდ მომზადებულ ადამიანებთან, ალბათ, ეგ მეტისმეტიაო...

ჩვენ მოხუცები ვართ, თქვენი ამოცანების გადაწყვეტას მხოლოდ ახალგაზრდები მოესწრებიანო, წამოიძახეს სხვებმა.

ვიღაც წუხდა, მთელი ცხოვრება უსამართლობას ვებრძოდი, შედეგად კი პესიმიზმი მივიღე, ახლა კი სიცოცხლის დარჩენილ დროში, რომელიც შეიძლება ერთი დღითაც განისაზღვრებოდეს, რას მივაღწევო და იქაურობა დატოვა.

სტუმრები დამხვდურებს ფსიქიკური და ემოციური პრობლემების მოგვარებას, ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის ბრძოლას, განვითარების პროგრამებს, გარემოსთან შეჩვევის უნარის გამომუშავებას ჰპირდებოდნენ.

მაგრამ ყველა გასასვლელისკენ მიემართებოდა. მათი შეჩერება იობმა სცადა. ყველაფერი, რაც უნდა მოვისმინოთ, საინტერესო და საჭიროა, გამოცდილი, კეთილი მოხუცები ჯერ კიდევ გამოუცდელი ახალგაზრდებისთვის ხიდს წარმოადგენენ წარსულიდან მომავლისკენ, ღვთისთვის კი ისინი სასურველი კრავები არიან... რამდენიმე წუთით დაიკავეთ ადგილებიო.

ზოგიერთი მობრუნდა.

იობს ლაოკოონისა და სიქსტის მადონას გამოსახულებები ეჭირა ქიმიის სასკოლო სახელმძღვანელოსთან ერთად. მან ლექციის ჩატარების მსურველებს მიმართა: იცით, რატომ გარბოდნენ ეს ადამიანები? ყველამ იგრძნო, რომ თქვენი საუბრები ზოგად თემებზე იქნებოდა, თქვენ არ ცდილობდით ინდივიდთა ცხოვრებას გაცნობოდით... თქვენ ისაუბრებდით, ჩვენ მოგისმენდით... მერე თქვენს გზაზე წაბრძანდებოდით და არასდროს არაფერი გეცოდინებოდათ ჩვენს ფიქრებზე, სატკივრებზე, სურვილებზე. შეხედეთ ლაოკოონს, ხომ გაგონებთ ეს ქვეწარმავლები ცხოვრებისეულ პრობლემებს, უთანასწორობებს, ჩაგვრას, ძალადობას, სიცივეს... ამ თავშესაფარში თქვენ, ბინადრები რამ მოგიყვანათ, განა პრობლემებმა არა? სიქსტის მადონა რომ ღრუბლებიდან ეშვება და კაცობრიობის მხსნელი მოჰყავს, განა მას ისე არ აღიქვამთ, როგორც ხელოვნების ნიმუშს, აღიარეთ, რომ გრძნობთ უფლის სიახლოვეს...

„მსგავსი აღნაგობის ატომთა ელექტრონული შრეები მეორდებიანო“ ამ ქიმიის სახელმძღვანელოში ამოვიკითხე. საზოგადოებაშიც განა ასე არ მეორდება პერიოდულად ყველაფერი? წარსულის შეცვლა განა ვინმეს შეუძლია, მაგრამ ნუთუ, მომავალიც მას უნდა ჰგავდეს?“

იობი საუბარს აგრძელებდა: „ადამიანებო, სტუმრებო და მასპინძლებო, ყოველი ადამიანის ცხოვრება პატარა მოთხრობას ჰგავს... თქვენ, ყველანი, წუთისოფლის შეთხზული ჩანახატები, მოთხრობები, ნოველები და მინიატურები ხართ, არ გინდათ ვინმემ წაიკითხოს ისინი?“

არავის სურდა სტუმრების მოსმენა, ახლა იობს ირონიით კი არა, პატივისცემით უყურებდნენ.

–„ცხოვრებას ხშირად ზღვას ადარებენ, აგრძელებდა იობი, მე კი მგონია, რომ ის გენიოსი შემოქმედია, თხზავს ადამიანთა პატარ–პატარა ისტორიებს, ის ხან პანდორას ყუთით გვევლინება, ხან ფორტუნას ბორბლით, მის მიერ შეთხზულ თუნდაც გენიალურ ისტორიებსაც კი, ყველა არ კითხულობს... წარსულს ბარდება ზოგიერთი წაუკითხავი ადამიანი: – მოთხრობა, ადამიანი – პოეზია, ადამიანი-რომანი, ადამიანი-ჩანახატი, ზოგიერთი კი ეპოქების სამაგიდო წიგნად ქცეულა“.

ყურადღებით უსმენდნენ იობს, აკვიატებული ფრაზა ისევ წამოცდა მოსაუბრეს, ღრმად ვარ დარწმუნებული ჰარმონიული ქვეყნის, ანუ ადამიანთა უნივერსალური, ზნეობრივად ამაღლებული ურთიერთობების სადღაც არსებობაში, იქნებ ის ჩვენს ყოველდღიურობაში იყოსო საპოვნი... ხუნ ძიჩენიც კი, რომლის აფორზმები მხოლოდ სიმპათიას იწვევენ მკითველებში, ასეთ ქვეყანას გონებასთან დიალოგით ეძებდაო.

... ხუნ ძიჩენის აფორიზმები ადამიანთა ურთიერთობების ღრმად ზნეობრივ ხელოვნებას გვასწავლიან და სამყაროსთან ჩვენი უეჭველი სისხლხორცეული კავშირის გრძნობას გვინერგავენ. ხუნ ძიჩენის შემოქმედება ოპტიმიზმითაა გამსჭვალული, ის ადამიანის სრულქმნის, თვითსრულყოფის უნარს ემყარება, ურთიერთობის ხელოვნება კი გამოიხატება... სათნოებისა და გონების შეზღუდულობის ჩვენებაშიო... მის გამონათქვამთა გმირი ბრძენკაცს განასახიერებს,

როგორც სარკის, ტრადიციულ ჩინურ იდეალს, რომლის წყალობითაც, ყველა შეიცნობს თავის თავს და ხდება ისეთი, როგორიც არის...

ხუნ ძიჩენის მოხედვით, საზღვრულში საზღვარდაუდებლის, ღრმა აზრის შესახებ საუბრობდა იობი. „ნუ გწყურია ამქვეყნიური წარმატება, შეუცდომლობა უკვე წარმატებაა. ნუ ეძებ წყალობას ადამიანთაგან, თუ მათგან სიძულვილს არ დაიმსახურებ, ეს უკვე წყალობაა“... მისთვის უმაღლეს ფასეულობას ადამიანი წარმოადგენს... მისი აფორიზმები დღესაც და მომავალშიც საშუალებას მოგვცემს, ვიპოვოთ ქვეყანა, რომელსაც ჰარმონია ჰქვია და რომელიც დასახლებულია კეთილ-შობილი, სათნო, წმინდა, მართალი ადამიანებით.

იობის შემდეგ ყველას გაუჩნდა საუბრის სურვილი. ისინი ხომ ადამიანი – პოეზია, ადამიანი – მოთხრობა, ადამიანი – რომანი... იყვნენ, ერთმანეთისგან განსხვავებულნი... გამოდიოდნენ და საუბრობდნენ რიგრიგობით... სადღაც წარსულში მიჩქმალული სიკეთის, ამ ბუნების მიერ მომადლებული საგანძურის დაბრუნებას ცდილობდნენ.

სტუმრებიც მათ უსმენდნენ, უკვე ლექციის ჩატარების სურვილი არც ჰქონდათ.

მერე გიოს იობმა ჰკითხა: თუ გიპოვიათ საცოდავი, კეთილი ადამიანის მიერ დაკარგული ნივთი, რომლის დაბრუნებაც გიცდიათო...

გიომ განაცხადა, არა, არ მიპოვიაო. ის მესამედ უარყოფდა რაღაცას.

იობისთვის ეს შეკითხვა მარადიული გამხდარიყო და, ვინ იცის, მერამდენე ადამიანს მიმართავდა ამგვარად... (გვ. 103).



ლამარა გერგედავას მოთხრობა მიმართულია ადამიანთა შორის გაუცხოების, გულგრილობის წინააღმდეგ, შთამაგონებელია ურთიერთპატივისცემის, სიყვარულის, გაგების.

სიბერე, სიკვდილი ყოველი ადამიანის ხვედრია, მაგრამ მთავარია, საზოგადოებრივი ურთიერთობები სიყვარულზე, სათნოებაზე, ურთიერთპატივისცემაზე და გაგებაზე იყოს დამყარებული.

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ მრავალგზის მახვილდება ყურადღება გოდერძი ჩოხელის მოთხრობებზე, რომანებზე, გამონათქვამებზე, რომლებშიც უბრალო, სათნოებით გამორჩეული ადამიანებია გაუკვდავებული; მათში აღმოჩენილია ფილოსოფიური, ზოგადსაკაცობრიო სატკივრები. არა თანამდებობას, მაღალ სკამს დახარბებული ადამიანები არიან ზნეობის, კაცურკაცობის ეტალონები, არამედ პროვინციელები. სხვისთვის უხილავს ჭვრეტდნენ და სრულიად ახალი თვალთახედვით აშუქებდნენ მოვლენებს მთის გენიოსები – ვაჟა–ფშაველა და გოდერძი ჩოხელი.

„პოზიტიური აზრები საფლავში კი არ უნდა ჩაიტანოს ადამიანმა, ჭეშმარიტი მწერლის ვალია მათი გამომზეურება, რაც საზოგადოების გაჯანსაღების პირობა არის“.

ირმა კეკელიძე

ანთოლოგიის მე-13 ტომი

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის, მრავალპროფილიანი, აკადემიის სახელით, ანთოლოგიის მე-13 ტომიც გამოიცა და უფლება მოგვეცა 600 გვერდიან (სქელტანიან), ანთოლოგიაში დაბეჭდილ სიახლეებს, ინოვაციურ მიმდინარეობებს, ინტერესით გავეცნოთ... არ შევჩერდები, ანთოლოგიის შესავალ ნაწილზე, რომელიც ბ-ნ ჯუმბერ ლეჟავას მოკლე ბიოგრაფიასა და ცხოვრების ეპოზოდებს გვაცნობს. უმჯობესია, მკითხველი თავად გაეცნოს, დიდი ადამიანის, დიდი პოროვნების ცხოვრების ამსახველ ინფორმაციას...

შესავალ ნაწილში, თვალში მოსახვედრია, გამოცემის მთავარი რედაქტორის, ქ-ნ გულნაზ ხარაიშვილის მიერ, ლექსად დაწერილი "აკადემიის წევრების ფიცი", რომლის ფინალური ნაწილში წავიკითხავთ:

"თაობებს შევკრებთ დარუბანდამდე,
ნაბიჯს ავაწყობთ ნიკოფსიიდან...
ვიბრძოლებთ ცაში წასვლის ვადამდე
და არ ამიგშლით ჩვენი სიიდან."

ანთოლოგიის პირველი ეპიზოდი, დათმობილი აქვს, სასულიერო პირთა ცხოვრებას და მოღვაწეობას, რომლის შესავალ ნაწილში წავიკითხავთ, ამონარიდს, ჩვენი ეპოქის წმიდა ბერის, მამა გაბრიელის (სალოსის) ქადაგებიდან... ყურადღებას იპყრობს, გულნაზ ხარაიშვილის ლექსი, მიძღვნილი ჩვენი პატრიარქისადმი:

"ჩვენი წმინდანი აცოცხლე ღმერთო,
მიეც წლები, რომ ჩვენთვის ილოცოს,
სულს უკვდავების სანთლები ენთოს,
საქართველო, რომ გამომიცოცხლოს!"

სასულიერო ნაწილში შევხვდებით (აწ გარდაცვლილი) მეუფე თადეოზის ლოცვას:

"ქრისტე ღმერთმა დაგვიფაროს, გვაკურთხოს და გაგვახაროს სამარადისოდ! ..ამინ!.."

შემოქმედებითი ნაწილი, ტრადიციულად იწყება პოეზიით, სადაც გავეცნობით (წავიკითხავთ), ისეთი ნიჭიერი პოეტების ულამაზეს ლექსებს, როგორებიც არიან: ირაკლი ნადარეიშვილი, კლარა გელაშვილი, ეთერ ჭელიძე, მალვინა ჭელიძე, მამა ნეოფიტე (ბერდიაკონი), ამირან ამირანაშვილი, თემურ გოგსაძე, ედუარდ უგულავა, ნაირა უგულავა, იზა ჭიკაიძე, ნორა მგელაძე, მარინა დიერაშვილი, თენგიზ ფანცულაია, გულიკო კაპანაძე, თეა ბარბაქაძე, მარინა კოლხელი, ნინო უძილაური, გერონტი მესხი, ნანა ცინცაძე, ვალია ხარებავა, თამრო სვანი–ნიჟარაძე, მანანა სამყურაშვილი, გვანცა ხარაიშვილი, ნელი გიუნაშვილი, მირანდა ზამბახიძე, ვერიკო პარწიკანაშვილი, ნათია ჯიქურაშვილი, ცაგო აბაშმაძე, ანზორ შერვაშიძე, გიორგი ჯავახიშვილი, თამთა უგულავა, ბადრი უგულავა, გოჩა ჭაბუკაიძე, ლია ალადაშვილი, ნანა ჩარკვიანი, მთვარისა ზეინკლიშვილი, ლალი სოხაძე, მარი ჟღენტი, იზოლდა მოშიაშვილი, მზია გომართელი, ეთერ ისაკაძე, ლამზირა შეყილაძე, ვალია კვაშილავა, ლიანა ჯანეზაშვილი-თათარაშვილი, მზია ელიაძე, გულნაზ ხარაიშვილი და სხვები...

მიძღვნით ნაწილში, ქ-ნ გულნაზ ხარაიშვილის ლამაზი პოეზიაა, რომელსაც ის უძღვნის, მის ახლობელ და შემოქმედ ადამიანებს...

ყურადღება მინდა გავამახვილო თარგმანების ნაწილზე, რომელიც განთავსებულია, ანთოლოგიის მე-13 ტომში...თარგმანებში ჩვენ შევხვდებით ლონდონში მცხოვრები ქალბატონის, მზია კვირიკაშვილი-ლოურენსის (მთარგმნელი, ფილოლოგი, პოეტი) მიერ ნათარგმნ პოეტურ

შედევრებს...ხაზგასმით მინდა ავღნიშნო, რომ ქალბატონი მზიას მიერ ნათარგმნი ლექსები, ძალიან ლამაზად ჟღერს ინგლისურად, სადაც მთელი სიზუსტით არის შენარჩუნებული, პოეტთა ავტორისეული აზრი და შინაარსი...მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ქ-ნი მზია კვირიკაშვილი – ლოურენსის სახით, საქმე გვაქვს, მაღალი დონის შემოქმედებით მთარგმნელთან...ამის მაგალითია, ქ-ნ მზიას მიერ ნათარგმნი, მაყვალა გონაშვილის ლამაზი პოეზია (12 ლექსი), რომელთაგანაც ერთ-ერთი ლექსის, შესავალ ნაწილს წარმოგიდგენთ:

"ვინც მიყვარდა და ვისაც ვუყვარდი,
გზებს მიჰყვებოდნენ წვიმის და ქარის,
მიჰქონდათ გულიც ნაწილ– ნაწილად
და ჭრილობაზე მადებდნენ მარილს."

"Who I loved and who was in love with me,
They all followed roads of rain and winds,
They were cutting off my heart piece by piece
And they were putting salt in my wound."

გარდა მაყვალა გონაშვილის ლექსებისა, ქალბატონ მზიას მიერ თარგმნილი პოეზიიდან, ანთოლოგიაში განთავსებულია, შემდეგი ავტორების ლექსები: გულნაზ ხარაიშვილი (6 ლექსი), სოსო მამალაძე (5 ლექსი), ბეგლარ მამალაძე (პოემა), ვახტანგ მამალაძე (ლექსი), ირაკლი ნადარეიშვილი (2 ლექსი), ეთერ ჭელიძე (3 ლექსი), თემურ გოგსაძე (ლექსი), გვანცა ხარაიშვილი (ლექსი)...

ზემოთ ჩამოთვლილ ავტორთა პოეტური შედევრები, საოცრად ლამაზად და მომხიბვლელად ჟღერს, ქალბატონ მზიას მიერ თარგმნილ ინგლისურ ენოვან ვარიანტში...ანთოლოგიის წარდგენის დღეს, გვქონდა ბედნიერება იმისა, რომ ქ-ნი მზიას მიერ თარგმნილი ლექსები, ინგლისურ ენაზე, წაკითულიც მოგვესმინა...

ანთოლოგიის " თარგმანების" ნაწილში, განთავსებულია, ლალი რატიანის, გერმანულ ენოვანი თარგმანი, რომელიც ლუარა სორდიას წერილს ეხება...ქ-ნი ლუარა (თავის წერილში)- ბეჟან ხარაიშვილის, გულნაზ ხარაიშვილის და გვანცა ხარაიშვილის შემოქმედებას, მაღალ დონეზე განიხილავს...

ანთოლოგიის იმ ნაწილში, რომელსაც "ქართული ფესვები" ჰქვია, განთავსებულია, იტალიაში, ემიგრაციაში მყოფ ქართველთა წერილები...შესავალ ნაწილში დაბეჭდილია, ფლორენციის წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის არქიმანდრიტის ანდრიას (ლაცაბიძე) მისალმება: – "გულითადად მივესალმები ქართული გაზეთის დაარსებას ემიგრაციაში. მინდა მივულოცო ქალბატონ ნინო სიბოშვილს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ამ სამამულიშვილო საქმეს და ვუსურვო განვითარება და წარმატებები"... "ქართული ფესვები" იტალიაში დაფუძნებული ქართული გაზეთის სახელწოდებაა. ამის შესახებ, ხელოვნებათმცოდნე, "ქართულ-იტალიური კულტურის" ასოციაციის პრეზიდენტი – მარინა ქევხიშვილი წერს: "იტალიაში ქართული კულტურის და ქართველების გასაცნობად, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა– ამოქმედდა ემიგრანტების გაზეთი-"ქართული ფესვები". ვუსურვებ გაზეთს წარმატებას ამ საპატიო მისიის შესასრულებლად, რასაც ქართული კულტურის სამსახური ჰქვია"...ემიგრაციის ნაწილში წაიკითხავთ, გაზეთ "ქართული ფესვების" დამფუძნებლის და მთავარი რედაქტორის, ნინა სიბოშვილის წერილს– "ქართული ფესვები, ქართული საქმისათვის"... ნინა სიბოშვილი წერს:-"ქართული ფესვები, ამიერიდან თქვენი მეგობარია, ძვირფასო მკითხველებო! იგი მზის სინათლეზე გამოიტანს თქვენს შემოქმედებას, ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოვლენებს სამშობლოდან შორს, ისევ სამშობლოსათვის"...

ემგრაციის ნაწილში შევხვდებით: ხათუნა შარაძის, ნინა მამუკაძის, მაია სიმონიშვილის, გიორგი ბუხნიკაშვილის, ეკა ოთარაშვილის, ინგა სიხარულიძის, გიორგი თათულაშვილის და სხვათა წერილებსა და შემოქმედებით ნაწარმოებებს... აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 26 თე-

ბერვალს, ქ.ფლორენციაში ქართულ-იტალიური ინტერნეტ ტელევიზიის პრეზენტაცია გაიმართა... სასიხარულო და საამაყო ფაქტია, რომ ემიგრაციაში მყოფი ქართველები, ქართულ ფესვებს არ კარგავენ და შემოქმედებითადაც ალამაზებენ თავიანთ ცხოვრებას, უცხო ქვეყანაში, უცხო ყოფაში...

ანთოლოგიას ალამაზებს "საბავშვო განყოფილება", რომლის შესავალშიც შევხვდებით, მარინა დიერაშვილის საოცარ "რითმოცანებს" პატარებისათვის...საბავშვო ნაწილში, აგრეთვე წავიკითხავთ, ნათია დაშნიანის, ძალიან ლამაზ ლექსებს პატარებისათვის...

ანთოლოგიის მკითხველთათვის ინოვაციურია "სვანური ზღაპრები", რომელიც ნიჭიერმა პოეტმა და შემოქმედმა– გოჩა ჭელიძემ, წარმოუდგინა მკითხველს. სვანურ ზღაპრებს: დევები და ღარიბი გლეხი; ფულდუ ქალდანი; ქოსა მულგუჰერი-ქოსა მეწისქვილე– საფუძვლად უდევს: ლეგენდები, თქმულებები, გადმოცემები...სვანური ზღაპრების წაკითხვისას, ბევრს სიბრძნესა და სიმართლის მარცვალს აღმოაჩენთ...მადლობა, ბატონ გოჩას, ასეთი მნიშვნელოვანი საგარძურის მოწოდებისათვის...

ანთოლოგიის მე-13 ტომში, ტრადიცოულად პატივი აქვს მიგებული, ჩვენგან სამარადისოდ წასულ ადამიანებს, სასულიერო და საერო პირებს. "არდავიწყება მოღვაწეთა" ნაწილში განთავსებულია მეუფე თადეოზის (მირიან იორამაშვილის) ლექსი "ერი ჟამთა ხსოვნაში", რომელიც დაწერილია-"ყოველთა ქართველთა სინანულის, აღსარების, შერიგებისა და სიყვარულის დღე"-ს...რომელიც გახლავთ "დღე უწმიდესის აღსაყდრებისა 1999 წ. 25 დეკემბერი...

მეუფე თადეოზი, ლექსის შესავალში წერს:

"ერი იწყებს ახალ მატიანეს,
მატიანეს მშვენიერს და წმინდას,
მოჩვენებითს ჟამი ატიალებს,
უკვდავებად რაიც ვერ გაბრწყინდა"...

მეუფის ლექსის წაკითხვისას, ამქვეყნიური ცხოვრების, სულიერი განცდისა და ამავე დროს სიდიადის განწყობა გვეგებება და გვახსენებს თავს... ამ ნაწილშივეა განთავსებულული, ამა ქვეყნიდან უდროოდ წასული, ახალგაზრდა, უნიჭიერესი პოეტის – ბეჟან ხარაიშვილის პოეზია. საკმარისია, თუნდაც რამოდენიმე სტროფი წაიკითხო, ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებიდან და მისახვედრია, რომ დიდ შემოქმედთან, დიდ მწერალთან გვაქვს საქმე. მაგალითად:

"გამოზაფხულზე, მოგვიხმობს როცა,
სხვა მაისობის თეთრი ლანდები,
ლეღვივით მწიფე ნაკვთების რხევით
დიდი სარკის წინ შეტრიალდები.
გარეთ კი სიო ალუბლის რტოზე
ღამეულ ცვლათა ცვლილებებს არკვევს,
– რა ლამაზი ვარ– ფიქრობ სარკის წინ,
– რა ლამაზი ხარ-გიღიმის სარკე"...

ხსოვნის ნაწილშია, აგრეთვე განთავსებული, უდროოდ გარდაცვლილი, ნიჭიერი პოეტის-დათო გამთენაძის ლექსებიც. სილამაზეს, სიცოცხლეს, სიყვარულს, გაზაფხულს ეფერება პოეტის ლაღი სული:

"ჩემი ოცნების მზე ხარ პატარა,
ჩემი სიცოცხლის ხარ გაზაფხული,
ბაღში ბულბულიც გადაიღალა,
ვარდების ცქერით და სიყვარულით"...

დაგვიტოვეს თავისი ლამაზი პოეზია და მარადიულ სიცოცხლეში გადაინაცლა ახალგაზრდა პოეტების უკვდავმა სულებმა...

პროზის განყოფილების შესავალ ნაწილში დაბეჭდილია მწერალ მზია ელიაძის "ღია წერილი რეზო მიშველაძეს", რომლის მცირე ამონარიდია: "...ამ სამყაროში იბადებიან ადამიანები, რომლებიც სიცოცხლეშივე მარადიულ კვალს ტოვებენ ადამიანთა ცხოვრებაში. სწორედ ასეთია ბატონი რეზო მიშველაძე...კაცი ლეგენდა, ისტორია, ჯილდო, განძი; ღვთით მოვლენილი ქვეყნის საიმედოდ"... წერილის წაკითხვისას, ნათელია ქალბატონ მზიას გულწრფელი სათქმელი, იმ დიდი პიროვნების, ცოცხალი კლასიკოსი მწერლის მიმართ, რომელსაც სრულიად საქართველო (და არა მხოლოდ საქართველო) იცნობს, უყვარს და აფასებს...

სწორედ, ბატონ რევაზ მიშველაძის, რომანის "წამება" გაგრძელება დაბეჭდილია პროზის ნაწილში. დასაწყისი განთავსებულია ჟურნალ "ათინათის" 28, 29, 30, 31, 32, 45, 48 ნომრებში...რომანის წაკითხვისას თვალწინ დაგვიდგება, ქვეყნის უახლესი ისტორიის ტკივილიანი, მოუშუშებელი ჭრილობებით აღსავსე, რეალური ცხოვრება და ყოფა...მადლობა, ბატონ რეზოს უპირველესად მისი არსებობისათვის და შემდგომ მისი უძლიერესი, სამარადჟამო, უკვდავი შემოქმედებისათვის, რომელიც დიდი საგანძურია არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო ლიტერატურის მკითხველისათვის...

პროზის ნაწილში განთავსებულია, (თქვენი მონა-მორჩილის) ირმა კეკელიძის მოთხრობები: "ცისარტყელის ქვეშ" და "უარაიდა, სი უარაიდა"... პროზის ნაწილში დაბეჭდილია, მწერალ თემურ გოგსაძის მოთხრობა "მეგობარი ჯოხი", რომლითაც შემოქმედმა, რევაზ ინანიშვილის სახელობის, პირველი, პრემია დაიმსახურა. მოთხრობა დაწერილია რეალურ ფაქტზე, რომელიც ავტორის ბასკი მეგობრის, ალეხანდრო როდრიგესის, ავტოკატასტროფაში დაღუპვის თემას ეხება. ყურადღებას იპყრობს, ეპიკრიზი, სადაც ვკითხულობთ: "ბაბუაჩემი მასწავლიდა – იბერიულ-კავკასიური ღირსება ძმადნაფიცობის სიყვარულსა და სიმტკიცეზე გადისო"...თემურ გოგსაძის მოთხრობა "მეგობარი ჯოხი" თავისი შინაარსით, ზუსტად პასუხობს ეპიკრიზში ნათქვამ რეალობას...

პროზის განყოფილებაში დაბეჭდილია: ნატალია სამუშიას, "ანდრია" ანზორ შერვაშიძის, ელგუჯა სხირტლაძის, ბეჟან ხარაიშვილის, ლალი სოხაძის, ხათუნა ჩიტაძის, ლია ჩიქოვანი-გოგრიჭიანის, კლარა გელაშვილის, ალექსანდრე მგელაძის, მაია ფეიქრიშვილის, ეთერ ჭელიძის, გულიადა სანოძის, სერგი ლომაძის, შორენა მამალაშვილის, თამარ კერძაიას, ქეთავან ბახტაძის, გულნაზ ხარაიშვილის და სხვათა პროზაული ნაწარმოებები...

ანთოლოგიაში დაბეჭდილია, საინტერესო წერილები, პუბლიკაციები, რომელთა ავტორები არიან: ლუარა სორდია, რევაზ მიშველაძე, გულნაზ ხარაიშვილი, ნია გორდელი, ხათუნა ელიაშვილი-ჩიმაკაძე, დავით ყანდაშვილი... ლუარა სორდიას წერილი სახელწოდებით– "ტანჯვის გზებით ნაპოვნი სიბრძნე, მაყვალა გონაშვილის პოეზიის ერთ ასპექტში", მ. გონაშვილის შემოქმედების იმ ნაწილს ეხება, რომელიც სასულიერო პირების, სასულიერო ცხოვრების ყოფითაა გაჯერებული...წერილის ავტორის სიტყვებით: "მაყვალა გონაშვილი გვევლინება, როგორც ნათელმხილველი და ნათელმსმენი პოეტი, რაც მომავლის საკვლევი პრობლემაა"...ამ სიტყვებით, ცხადია, ლ.სორდია, რამდენად ღრმად ხედავს და აფასებს, მაყვალა გონაშვილის შემოქმედებას...

რევაზ მიშველაძის წერილი "პოეტური ლამპარით სვლა", პოეტი ქალბატონის, იზა ჭიკაიძის შემოქმედებას ეხება...რევაზ მიშველაძე ასე აფასებს პოეტ ქალბატონს:" ჩემი ღრმა რწმენით, გულისყურიანი მკითხველი ამ წიგნის წაკითხვით ქართული პოეზიის ახალ ნაკადს ეზიარება და თანამედროვის სულის ხვეულებში იზა ჭიკაიძის პოეტური ლამპრით სვლა ელის"...კითხვის დასმაც აღარ არის საჭირო, დიდმა კლასიკოსმა, იმდენად ლამაზად და პოეტურად შეაფასა, ქალბატონი იზას შემოქმედება...ასევე იზა ჭიკაიძის შემოქმედებას ეხება, გულნაზ ხარაიშვილის წერილი "მძიმე თავთავი". წერილის ავტორის თქმით-"ქალბატონი იზას პიროვნება და პოეზია

მძიმე თავთავია! საღად მოაზროვნე ქალბატონი ღრმა ფილოსოფიური შთაგონებით გვარწყულებს და ბევრ სათქმელსაც სააზროვნოდ გვიტოვებს"...

ნია გორდელი წერილით " გზა საზრისის ძიებისა ზეამოცანა ჩვენი იონის მისტიკური დანიშნულება" ეხმაურება, ქალბატონ ხათუნა ელიაშვილის ნაშრომს– "გზა საზრისის ძიებისა ზეამოცანა ჩვენი". წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ ქ-ნ ხათუნას ნაშრომში "საუბარია იონზე, როგორც უაღრესად განზოგადებულ მისტიურ ალემენტზე და მის დანიშნულებაზე, როგორც მატერიის, ასევე, სულიერ განზომილებაში"...წერილის ავტორის თქმით, ქ-ნი ხათუნა თავის ნაშრომს სიყვარულით და პატივისცემით უძღვნის ადამიანებს... "შევწვდეთ უმაღლესს, აღვადგინოთ ღვთიური ძალა-მხოლოდ სიყვარულით, -ამას მარტო გული აკეთებს"...გირჩევთ, წაიკითხოთ,

ხათუნა ელიაშვილის ღრმა შემოქმედებითი ნაშრომი და ამასთანავე ნია გორდელის საოცარი წერილი-შეფასება...

ქ-ნ ხათუნა ელიაშვილის იგივე ნაშრომს, "იონის" თემატიკას ეხმაურება ბ-ნი დავით ყანდაშვილი, ანთოლოგიაში განთავსებული წერილით-"იონის რაობასთან დაკავშირებით!" ბ-ნი დავითი, მკითხველს, გვირჩევს -"ბატონებო და ქალბატონებო, სცადეთ, თქვენც იმოგზაურეთ ამ უკიდეგანო სივრცეებში, რა თქმა უნდა, ქალბატონი ხათუნას დახმარებით"...ჩემი, როგორც მკითხველის აზრია, აუცილებლად უნდა ვიმოგზაუროთ " ამ უკიდეგანო სივრცეში," მაგრამ მოგზაურობისთვის აუცილებელია წავიკითხოთ, გავეცნოთ, ხათუნა ელიაშვილის პოეტურ-ფილოსოფიურ შემოქმედებას!..

ანთოლოგიის "წერილების" ნაწილში, განთავსებულია ხათუნა ელიაშვილი-ჩიმაკაძის ნაშრომი "წითელი პარასკევი", რომელიც რამოდენიმე ქვეთავისაგან შედგება და რომლის წაკითხვაც ძალიან საინტერესო და სრულფასოვანი სიახლეების აღმოჩენას გვპირდება...

ანთოლოგიის წინამდებარე ტომში შეტანილია სამართალმცოდნეობის განყოფილება, სადაც დაბეჭდილია ლალი ჩოდრიშვილის ნაშრომი -"კომლის წევრის საკუთრების უფლება"...აგრეთვე წარმოდგენილია, ქ-ნი ლალის წერილი-"უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვა და არასრულწლოვანის ინტერესის დაცვა"...ქალბატონი ლალის წერილების (სახელწოდებებიდან გამომდინარე) თემატიკაა, ფიზიკური და იურდიული პირების უფლებების დაცვა, ზემოთ მითითებულ საკითხებთან დაკავდირებულ პრობლემებზე...

"სიბრძნის სკივრში" და "შემეცნებით სამყაროში", წარმოდგენილია ქ-ნ ნაირა უგულავას (ნია გორდელი) ნაშრომები – "აისის აპელიოტი" (დასაწყისი იხილეთ " ათინათის" 49-ე ნომერში) და "ბრალის თეორია" (დასაწყისი იხ. ანთოლოგიის მე-10 და მე-12 ტომებსა და "ათინათის" 38-49 ნომრებში)... წინამდებარე ნაშრომებში, ღრმად არის გაშიფრული – პოლიტიკა (ადამიანთა პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი აზროვნება); საზოგადოებრივი სტრუქტურა და საზოგადოებრივი აზროვნება; სხვადასხვა მოტივსა და შინაარსზე აგებული ბრალის ფორმები, რომელიც შედგება შემდეგი ქვეთავებისგან: 1) ადამიანური სამყაროს გონება– მოაზროვნეები და მათი ბრალი; 2) ნაციონალური განსაკუთრებულობის და რასობრივი დისკრიმინაციის ბრალი; 3) ბრალი-სასიცოცხლო მოთხოვნილებათა განხორციელების კრიზისისას (შეზღუდვისას); 4) საზოგადოებრივ მანკიერებასთან შეურიგებელთა ბრალი; 5) სისასტიკით შეპყრობილნი და მათი ბრალი (კაცთმოძულეობის ბრალი);

ნაირა უგულავას წერილები, პირადად ჩემთვის, აღმოჩენაა!..მითუმეტეს, 21-ე საუკუნის მძიმე და ბურუსით მოცულ ყოფაში...გირჩევთ, გულდასმით წაიკითხოთ, რის შემდეგაც მიხვდებით, ავტორისეულ სწორ ხედვას ყველა იმ პრობლემის გარშემო, რაც ზემოთ მითითებულ ნაშრომებშია განთავსებული...

ისტორიის ნაწილში გაეცნობით: ნიკო ხერკელაძის წერილს "ცრემლში ნალესი ხმალი"(დას. "ათინათის" 16-49 ნომრებში და ანთოლოგიის 5-12 ტომებში) და გოჩა ჭელიძის წერილს "გარნისის ომი"... ისტორიული ნაშრომებში მოთხრობილია, ჩვენი სამშობლოს საუკუნეების

წინანდელი რეალობა, გიორგი სააკაძისეული, საქართველოს გაერთიანების იდეა (ნ. ხერკელაძე) და მეფე თამარის მემკვიდრის, ლაშა– გიორგის გარდაცვალების შემდგომი, რუსუდანის (მეფე თამარის ქალიშვილის) მეფობის უიღბლო პერიოდი (გ. ჭელიძე)... წერილებში, ძალიან საინტერესო ფაქტებს აღმოაჩენთ, ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულიდან...

ხელოვნების განყოფილებაში დაბეჭდილია, თქვენი მონა-მორჩილის (ირმა კეკელიძე) ორი წერილი...წერილში, რომლის სახელწოდებაცაა "იცხოვრე, ვიდრე ცოცხალი ხარ!"ლაპარაკია, რუსთაველის თეატრის სპექტაკლზე, რომელიც მეზობელი ქვეყნის, სომხეთის, ცნობილმა რეჟისორმა – ჰაკოფ ღაზანჩიანმა დადგა. პიესის ავტორია, ამერიკაში მცხოვრები, სომეხი მწერალი– მარო მადოიან-ალაჯაჯიანი...იცხოვრე ისე, როგორც საკუთარი გონება, გული გკარნახობს. რატომ მივდივართ ჩვენი გონების, გრძნობის, სურვილის წინააღმდეგ?!. რატომ ვეწინააღმდეგებით საკუთარ თავს, სიხარულს, სიყვარულს, ბედნიერებას, მომავლის ხედვას, რა ასაკისაც არ უნდა ვიყოთ?!. ეს არის პიესის ავტორის ძირითადი სათქმელი...

მეორე წერილი "ნიშნად სიყვარულისა" ეხება, თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში, მოსწავლეთა მიერ დადგმულ სპექტაკლს. პიესის ავტორია-გვანცა ფიფია. სპექტაკლის წამყვანი და რეჟისორი, გიმნაზიის მოსწავლე-მარიამ მითაგვარია. თემატიკა, ისევ და ისევ, მტკივნეული, აფხაზეთის ოკუპაცია და ამ უმშვენიერეს კუთხიდან, იძულებით, დედაქალაქში მაცხოვრებელ დევნილთა ყოფაა...

ყურადღებას იპყრობს– შემოქმედებოთი ჯგუფი, ზღვარის მიერ დაწერილი პიესა "ოთახი". პიესაში, რომლის ქვესათაურია "თბილისური ამბავი", 21-ე საუკუნის ათიანი წლებია წარმოდგენილი...პირადად ჩემთვის ინოვაციური ფაქტია, რომ პიესას ჰყავს სამი ავტორი: სერგი ლომაძე, კახა ბაციკაძე და გიორგი ზუხბაია...პირადად მე, როგორც მკითხველმა, მივიღე გადაწყვეტილება, "ჯგუფი ზღვარის" მიერ შექმნილ დრამატულ ნაწარმოებზე, ჩემი სათქმელი ვთქვა (როგორც მაყურებელმა), როდესაც პიესას ვიხილავთ, რომელიმე ქართული თეატრის სცენაზე.იმედი მაქვს, ეს დღეც მალე დადგება. წარმატებებს ვუსურვებ პიესის სამივე ავტორს!..

ანთოლოგიის ფინალური ნაწილი დათმობილი აქვს ეკონომიკას...ეკომომიკურ ნაწილში წარმოდგენილია– ვალერი მოსიაშვილის და ეთერ მამაცაშვილის ნაშრომი: საბანკო მენეჯმენტის თანამედროვე მიდგომები-კლასტერული ანალიზი, რომელიც დაბეჭდილია, ქართულ და ინგლისურ ენებზე...ნაშრომის საკვანძო სიტყვები, საკვანძო საკითხებია– ბანკის რეიტინგი, ფინანსური მაჩვენებლები-კლასტერიზაცია; საფინანსო საქმიანობა, საბანკო რისკი...ეს არის ის საკვანძო საკითხები, რაც აუცილებელია ვიცოდეთ თანამედროვე ცხოვრების, თანამედროვე ეკომიმიკის სწორი ხედვისათვის...

მკითხველის პოზიციიდან (როგორც მკითხველი და ერთ-ერთი ავტორი)– ვულოცავ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის, მრავალპროფილიან აკადემიას, მის პრეზიდენტსა და გამოცემის მთავარ რედაქტორს გულნაზ ხარაიშვილს,რედაქტორს ნანა სხირტლაძეს, სარედაქციო ჯგუფს, ყველა ავტორს, ანთოლოგიის მე-13 ტომის დაბადებას!..

სიყვარულით და პატივისცემით – ირმა კეკელიძე

ხათუნა ელიაშვილი

ა რ ა კ ა ც კ ლ ა!

"არა კაც კლა" ეს ფრაზა მიმართულია თითოეული ადამიანისადმი, მისი შინაგანი სამყაროსადმი, რადგან თითოეულმა ჩვენთაგანმა არ მოვსპოთ და არ გავაქროთ ჩვენივე სხეულში არსებული ღვთიური ენერგია, რასაც ვატარებთ და რაც ღვთიური სახით ჩაიდო.

კ ო დ ი არ უნდა იქნას დაკარგული!

ა – რა, ა– ღმერთია, მამაზეციერი.

რა– მზეა! რამზე!

კა – ცნობიერება, სიბრძნე!

ც – (ა)(ი) საკუთარი ენერგეტიკა, ველი, რასაც სხეულით ვატარებთ დაბადებიდან ღვთიურს!

კ – ლ ა!

კლა – კვალია! მისი მიმდინარეობა, მისი გამომუშავება ხდება სხეულში.

რადგან სიტყვა სხვადასხვა განზომილებისაა და მისი შინაგანი მრავალი ფორმით გადმოიცემა, ეს ფრაზა მოწოდებულ იქნა პირდაპირი მნიშვნელობით, რათა გასაგები ყოფილიყო ნებისმიერ დონეზე მყოფი ადამიანისათვის.

მაგრამ მისი სიღრმე უფრო მრავლის მეტყველია და მაღალ ხარისხში გადის. მასში ჩატვირთულია კოდის სახით თუ "რას", როგორ ვატარებთ და სადაა იგი!

ე.ი. ჩვენივე სხეულში, ჩვენსავე საკუთარ თავში ვართ ამ ფრაზის სრულყოფილი პატრონები!

ა – ღმერთია!

რა – მზეა!

კა – მარადიული სული სიბრძნის!

ც – ენერგია!

კ – კვალი! მიმდინარეობა ენერგიის სხეულში.

ლა – ღვიძლია!

ჩვენ გვაქვს გამონათქვამი,– გ უ ლ ღ ვ ი ძ ლ ი!

და ბიბლიური სიტყვა "გაიღვიძეთ"

ზუსტად ღვიძლს ეკუთვნის!

გამოიცანით ღ მ ე რ თ ი სიტყვაში!

ე.ი . " ა რ ა კ ა ც კ ლ ა " არის მაღალი განზომილების ფრაზა და ის მიმართულია საკუთარი სხეულისაკენ,რომელიც საუბრობს მაღალ არსზე და სრულყოფილებაზე!

ათი მცნების სივრცეში შესვლა გზის მაჩვენებელია!

უმაღლესი ცნობიერების მასალა პირდაპირ ხუთი ორგანოს საკვებია რითაც ადამიანი გზაზე დგება და ხარისხში გადის.

ეს ის დონეა რითაც ადამიანი ღმერთს უტოლდება,სამყაროს გასაღებია.

"არა კაც კლა" და მისი სიღრმისეული შინაარსი ვფიქრობ ცოდნის ტოტზე გასვლაა, ტოტს აქვს უნარი ყოველ წელს ახლად გაიღვიძოს და გაიზარდოს.

ყვავილობა ცოდნის განისაზღვრება აზროვნებით და მის გაშლა განვითარებით.

დღემდე მოტანილი ფრაზა,რომელ საც ააქვს ჭეშმარიტი გაგება, ვინ და რატომ დაალაგა ასე, რატომ იქნა მოტანილი ასეთი შინაარსით დასაფიქრებელია.

პრობლემა – ემბლემაოო!

აქ მათემატიკური კოდი დევს!

ციფრები უნდა შეიკრიბოს. მაღალი ფილოსოფიური სიღრმეა და მეცნიერული!

ა ქ ა ლ ქ ი მ ი ა ა!

სივრცისა და სხეულის ავსება, შევსების.

მარადიულია სამყარო, მარადიული რეალობა რომლითაც განვითარდა და ვითარდება მუდმივად.

ქართული ენა მართავს სამყაროს, აქ სიტყვა იღებს სათავეს, ის ღმერთის საკუთრებაა და აზრია.

ხილული უხილავობის პრინციპით!

ღმერთის სასწაულები უნდა შევიმცნოთ, უნდა გავშალოთ, დავშალოთ და დავხატოთ, ის აზრი,ის სიღრმე უნდა ამოვიტანოთ მაღლა რაც ჩადებულია ამ საიდუმლოებით მოცემულ სიტყვაში.

სიტყვის "არა კაც კლა" და მისი მეორე (ამ შემთხვევაში) მაგრამ პირველი ხაზი უფრო გამორჩეული, დახვეწილი და შემავსებელია სულის ადამიანში!

კა – სულის მარადიული შობაა!

კა – ბა, ანუ ღმერთის სული.

კა – ბა – ლა!

უკვე მინიშნებაა ღვიძლისკან!

კა -ლ – მა – სობა!

ცნობიერება ფსიქიკის ღრმა ხედვაა, ზეციური ელექსირი, სულის სისუფთავე, მისგან შევსებისა და წყურვილის დაძლევის პროცესი!

ასე რომ: " კ ლ ა " სულაც არაა სიკვდილთან მისული სიტყვა, არამედ სიცოცხლეს უკავშირდება და ღვიძილს ნიშნავს, ანუ გ ა ი ღ ვ ი ძ ე თ ო!

მე უკვე მღვიძავს!
2023 წ.

სიგრძნის სკივრი

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

აისის აპელიოტი

აზრები

(გაგრძელება)

(დასაწყისი ათინათის 49-ე ნომერსა და ანთოლოგიის მე-13 ტომში)

ხელოვნება და ინტელექტუალური მოღვაწეობა

***

ჭეშმარიტი შემოქმედი საკუთარ შეხედულებებთან და პოზი-ციებთან სამკვდრო- სასიცოცხლო ბრძოლაში აყალიბებს ახალ იდეებს...

***

სიმბოლოთა ენა ხელოვნების, მისი გარდასახვების დაუშრეტელი წყაროა, კოსმიური ზემოქ-მედების და ასახვის მრავალმოდელიანობის შედეგს წარმოადგენს; ამ მრავალგანზომილებიან სისტემაში ყველა ადამიანი ექცევა, რომელთაც სულ სხვადასხვა შინაარსი გამოაქვთ, რაღაც ინდივიდუალურ-კოდური სხვადასხვაობის შესაბამისად.

***

აღიარების მოსაპოვებლად შემოქმედებაში მთავარია, წერო ლამაზად – სიმართლე ნაკლებად საინტერესოა... იქნებ, ლამაზად წერაა სიმართლე...

***

მკითხველს, ნაწარმოების ავტორის მსჯელობა, თუ ის ღირებულია, უნდა ეჭეშმარიტებოდეს... ახალი მსჯელობა ისე უნდა მიიღოს, თითქოს ის იყო, არსებობდა და თავისი ადგილი ეჭირა, მაგრამ მან რატომღაც ეს ვერ შეამჩნია...

***

როდესაც ადამიანი ნაბიჯებს დგამს ჭეშმარიტ ხელოვნებაში, იგი სვლას იწყებს ღმერთისკენ...

***

პოეტურ ქმნილებებში ჩაწერილია მელოდია, ისევე, როგორც მელოდიაში ჩაწერილია აზრი...

***

ჭეშმარიტმა შემოქმედმა, იცის რა, არსებობს უმაღლესი ხელოვნება, თავის შედევრს არ მიიჩნევს უმაღლეს ქმნილებად – დღითი დღე ხვეწს გამომსახველობას უმაღლეს ხელოვნებამდე ასაყვანად.

***

პოეზიის მსახურთ ერთნაირი წარმოსახვები და წარმოდგენები რომ აქვთ, არც გასაკვირია, ისინი ხომ ერთნაირად `დასნებოვნებული~ არიან...

***

მხატვრული ხელოვნება იყენებს რითმს, თუმცა რითმიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მხატვრულ აზროვნებას...

***

ზოგ პოეტს და მწერალს არნახული მადა აქვს – არა მარტო შემოქმედებაში...

***

პოეტები, მწერლები, ხელოვანები თავიანთი შემოქმედებით – მხატვრული ნაწარმოებებით, ერთ მთლიან ღირებულებით სისტემას ქმნიან. განსხვავებულ შეხედულებათა დაპირისპირებაში ეპოქა უფრო რეალურად ხასიათდება.

***

თითქმის იშვიათია ხელოვანი – ავტორი, ჰარმონიაში იყოს თავის ქმნილებასთან...

***

ხელოვანს, თავისი შემოქმედებით, მხოლოდ ელფერ-ტონი შეაქვს მრავალფეროვან გამაში; შეუძლებელია, ერთი ადამიანის ნააზრევმა აზროვნება ამოწუროს... ყველა თავ-თავის ადგილზე და ყველაფერი ერთად ბადებს სრულყოფილებას...

***

მხატვრული შემოქმედების ტილო-ნიმუში, სულიერ ზესვლაში იქმნება, რასაც შემოქმედი ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში სრულიადაც ვერ აფიქსირებს და არც მისი ცხოვრების „ნიმუშია~ უბიწო...

***

თუ მწერალი რომელიმე მთავრობის ლაქიაა, იგი ხელოვნების უანგარო მსახური ვერ იქნება...

***

ხელოვნების ნიმუშის ავტორი – მისი პიროვნება, ზოგჯერ, გაურკვეველ მდგომარეობაში იმყოფება თავისსავე ქმნილებასთან; თითქოს მან ეს ქმნილება სრულიად გაუცნობიერებლად გადმოიტანა – გადმოხატა, მისთვის უცნობი და შეუთავსებელი განზომილებიდან...

***

წერის სტილი – აზროვნების, მეტყველების, მსჯელობის მანერა, – ზოგადად, გამოხატვის საშუალებათა ნაზავია...

***

მკითხველი ავტორმა თავის სამყაროში უნდა შეიყვანოს, აჩვენოს თავისი გემოვნებით დალაგებული საგნები. ახსნას ხერხები – რატომ დაალაგა ასე და არა სხვაგვარად; რა უპირატესობა აქვს ახალ სტილს ძველ, ტრადიციულ ხერხებთან შედარებით და ა. შ.... რაც მთავარია, ახალი გემოვნება უნდა ჩამოუყალიბოს მას...

***

მკითხველს მოხერხებული ცოდნით, ან ინტუიციის საშუალებით მაინც, უნდა შეეძლოს შენს ნაშრომს მიუდგეს...

***

როგორი უნდა იყოს მხატვრული ნაწარმოები? – მიზნის, ეფექტის, სილამაზის განცდით; უზადო გადმოცემის უნარით – ერთი ენობრივი სტილით; თანმიმდევრული, კომპოზიციურად შეკრულ-ერთიანობაში მყოფი; ერთი პათოსით ორგანიზებული, – როგორც ლამაზად გაფორმებული ქსოვილი.

***

არის რაღაც აღმატებული, რასაც ვერ წარმოაჩენ, ვერ აღწერ – სიტყვები არ გეყოფა ამის გამოსახატავად, და თუ შეეცდები აღწერო, – ძალიან უფერულდება და უბრალოვდება იმასთან შედარებით, რაც სინამდვილეში არის...

***

თუ პოეზია თავისუფალი ფრენის და სივრცეების დაპყრობის ადგილია, პროზა ადამიანის ცხოვრების, მოღვაწეობის, აზროვნების ძირით-ძირამდე წვდომის და მისი მოხერხებულად გადმოცემის ასპარეზია.

***

დროის, განსაკუთრებული – ეპოქალური შეგრძნების განცდა და შინაგანი მდგომარეობის განსაკუთრებული იმპულსები განსაზღვრავენ ადამიანის ინტელექტუალურ მოღვაწეობას. ხანდაზმულ ადამიანს დასაშვებია, ეწვიოს „აღმაფრენა“, თუ მისი ქვეიმპულსები და ზეცნობიერება შეთანხმებულად – ჰარმონიულად თანამშრომლობენ სიცოცხლის მთავარ არსთან და მიზანთან; თუ მისთვის სიცოცხლე უწყვეტი და გარდაუვალი ჯაჭვია უსასრულობის განზომილებაში. ასეთი ადამიანი უმაღლეს შეგრძნებათა გამოვლინებაში გრძნობს სიცოცხლის უშრეტობას და მარადიულობას, რომელიც ავიწყებს წამიერ ტანჯვა-წუხილს. მის სწრაფვაში სულიერი ძალები მიმართავენ არსობით მიზიდულობას მარადიული და დაუსრულებელი სულიერი სივრცეებისაკენ, რომლის ფონზე ყოველდღიური ყოფა-ცხოვრებითი წვრილმანები სავსებით უფერულდება...

***

ლექსს კი არ უნდა ყვებოდე, უნდა გადმოსცემდე.

***

წერისას იმ საიდუმლოებებს ეზიარები, რასაც მწერლები – შემოქმედნი თავისი შრომის და მოღვაწეობის პროცესში ეზიარებოდნენ და, კიდევ, რაღაც უფრო მეტსაც...

შემეცნებითი სამყარო

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

ბრალის თეორია

(გაგრძელება)

(დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის № 10-11-12-13 ტომსა და ჟურნალ ათინათის №38 —დან 49- ში) NN

სხვადასხვა მოტივსა და შინაარსზე აგებული ბრალის ფორმები (არასისტემატიზირებული)

პათოლოგიურად შეჯვარებული ენერგიების ბრალი

ეს ბრალი არასრულფასოვანთა და ფსიქიკური დეფორმაციების მქონე პირთა ბრალს განეკუთვნება. ძირითად სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობა — შეუვსებელი, დაუსრულებელი — არასწორად დახარჯული ენერგიები, როგორც ზემოთაც ვთქვით, ადამიანის ფსიქიკაზე უარყოფითად აისახება. ძირითადი სასიცოცხლო ინსტინქტები და მათი ენერგიები, როგორიცაა სექსუალური ლტოლვის და კვების ენერგია, ზოგჯერ ასპარეზზე (რაგინდ დაუჯერებელიც იყოს) „შეამხანაგებული“ — შეჯვარებული სახით გამოდიან. ამ ჰიბრიდული ინსტინქტებიდან ნაწარმოები დაუკმაყოფოლებელი — დაუხარჯავი ენერგიები (დაუხარჯავი იმიტომ, რომ საზოგადოებრივი ცენზურა მათი სურვილისდამიხედვით დახარჯვის საშუალებას არ იძლევა...), ბევრჯერ, სახიფათოდ თავს ატყდება ადამიანებს, საზოგადოებებს, სახელმწიფოებს, კაცობრიობას. ეს „ინსტინქტები“, ამ სახით გამოვლინებული, სუფთა ინსტინქტები არ არიან, როგორც ეს ცხოველებშია... სექსუალური ლტოლვისა და კვებითი დაკმაყოფილების შეჯვარებული ინსტინქტი შესაბამის ჰიბრიდულ ფანტაზიებს, აზროვნებას და მოტივებს წარმოშობს. ამ ორი დიდი ენერგიის პათოლოგიური გადაჯაჭვვა ერთმანეთში და მათი დაუოკებლობა ნებელობითი სფეროების მხრიდან, წარმოშობს სადიზმს, ვამპირიზმს, სექსუალურ აღრევა-ძალადობას და სხვას, რაც ამაზრზენ დანაშაულებებად იქცევა და არაერთხელ დაფიქსირდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დაურეგულირებელი ენერგიები და თანდართული ფანტაზიები წარმოშობს ბრალს ადამიანების, ბუნების, საზოგადოების მიმართ. დაუკმაყოფილებლობის იდეებით შეპყრობილი სახელმწიფო მმართველები ყოველთვის წარმოშობენ ბრალს სხვა სახელმწიფოების მიმართ. ასეთი ბრალი და დაუკმაყოფილებლობა რომ არ ყოფილიყო, ადამიანთა დათრგუნვას, დამცირებას, დასჯას, წამების ამაზრზენ ფორმებს და საშუალებებს ვინ გამოიყენებდა? დაპყრობით ომებს ვინ აწარმოებდა, — მილიონებს ვინ გაჟლეტდა? ამ გამანადგურებელი ენერგიების გარსში ცურავდნენ და თავს დაცულად გრძნობდნენ წარსული საზოგადოებები. იგივე დაუკმაყოფილებლობით და ბრალით შეპყრობილი ადამიანები და საზოგადოებები დღესაც აგრძელებენ ადამიანების დათრგუნვა-დამონებას, ჩაგვრას, წამებას, აკრძალულ ზემოქმედებებს; განადგურების მოხერხებული საშუალებების შექმნა-დახვეწა-გამოყენებას. ვაი, რომ ამ ჟინით შეპყრობილნი დღესაც სხედან სახელმწიფო დაწესებულებებში, პარლამენტში, მთავრობაში, სასამარ-

თლოებში; უფრო მეტიც, ამ პათოლოგიური ბრალით შეპყრობილი მეცნიერები, დიდი ხალისითა და ენთუზიაზმით, გამალებული ხვეწენ და ავითარებენ ადამიანისა და კაცობრიობის მოსპობის, გადაგვარება-გადაკეთების და განადგურების საშუალებებს თანამედროვე ლაბორატორიებში.

თვითბრალი

თვითდადანაშაულება — თვითბრალი მრავალ ასპექტში იჩენს თავს. ზოგი ადამიანი ზედმეტად იღებს პასუხისმგებლობას თავისი თავის, შვილების, მშობლების, ახლობლების და საზოგადოების წინაშე. ამის გამო, ასეთი ადამიანები მეტსა და მეტს თხოვენ საკუთარ თავს. ესენი არიან საზოგადოების აქტიური წევრები, საქმისთვის თავდადებული ადამიანები, გმირები, შეწირულები. სწორედ, საკუთარი თავის მიმართ ზედმეტი ბრალით და დადანაშაულებით უზრუნველყოფენ ისინი ერთგულებას ოჯახის, საზოგადოებისა და სამშობლოს წინაშე, რასაც ბევრ ადამიანზე ვერ ვიტყვით...

ზოგჯერ, ადამიანი, მიზეზით თუ უმიზეზოდ, სრულიად გაუცნობიერებლად ატარებს ბრალს საკუთარი თავის მიმართ. არის შემთხვევა, ადამიანი ჩაიდენს ამორალურ საქციელს ან ისეთ საქციელს, რომელსაც საკუთარ თავს ვერ პატიობს. ამის გამო, ქვეცნობიერად მიმართულია თავისი თავის დასასჯელად. ასეთი ადამიანები მიმართავენ კარჩაკეტილ ცხოვრებას, უკვეთავენ საკუთარ თავს გარკვეული სახის სიამოვნებას, მიდიან განდეგილობაში და ა.შ. ამ თემის გასავრცელებლად მოვიყვან ორ მაგალითს.

ერთხელ, ერთ ჩემს ახლობელს, უკვე ხანდაზმულს, რომელსაც წლების განმავლობაში დიდი თანამდებობები ეკავა და საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი პიროვნება იყო, შევეკითხე: შენ იყავი ძალიან წარმატებული, წარმოსადეგი პიროვნება, მუდამ ყურადღების ცენტრში მყოფი ლამაზი ქალბატონების მხრიდან, როგორ მოხდა, რომ არ დაოჯახდითქო. სრულიად გულახდილად, მან ასეთი რამ მითხრა: ახალგაზრდობაში დავუშვი დიდი შეცდომა, შეიძლება ითქვას, რომ ჩავიდინე ცოდვა. ჩემს შეყვარებულს, რომელიც სამი თვის ფეხმძიმე იყო, ჩემმა ოჯახმა არ დართო ნება, ჩემი მეუღლე გამხდარიყო. მე ის ძალიან მიყვარდა, მაგრამ არ მეყო გამბედაობა, წინ აღვდგომოდი ოჯახს და ტრადიციებს, — მათი წინააღმდეგობის მიუხედავად ის ცოლად მომეყვანა. შემდეგ ცუდი რამ მოხდა; მას ჩემგან შვილი ეყოლა, გააშვილა, თვითონ კი გათხოვდა და მშვენიერი ოჯახი შექმნა... ეს ფაქტი ჩემი ცხოვრების ბორკილად გადაიქცა. ვცდილობდი წარსული დამევიწყებინა, შემექმნა ოჯახი, მაგრამ წლები გადიოდა და მძიმე ტვირთი მხრებიდან ვერ ჩამოვიხსენი. თითქმის გადაწყვეტილ საქმეს ბოლო მომენტში ვშლიდი. ბოლოს გავაცნობიერე და მივხვდი, რომ, ჩემდაუნებურად, ჩემი თავი დავსაჯე...

მართლაცდა, ვინ გაასამართლებდა და ვინ წაუყენებდა ბრალს ამ ადამიანს იმაზე მეტად, ვიდრე თვითონ წაუყენა საკუთარ თავს.

იყო მეორე შემთხვევა. ჩემი ახლობელი სიბერეში მძიმე ნევროზით დაავადდა. ხშირად დავდიოდი მასთან მოსანახულებლად. ერთხელ, დამიმარტოხელა და მითხრა: ერთი სათხოვარი მაქვს და უნდა შემისრულო, ოღონდ ეს არავინ უნდა გაიგოსო. წლებია, ეს ამბავი მტანჯავს. ახალგაზრდობაში ერთი გოგონა მიყვარდა და მასაც ვუყვარდი. გადავწყვიტეთ დავქორწინებულიყავით... მოხდა ისე, რომ, ჩემი მიზეზით, ეს ქორწინება ჩაიშალა... მე სხვა ქალი შევირთე... ეს ფაქტი ჩემი ყოფილი საცოლისთვის ძალიან მტკივნეული აღმოჩნდა. სწავლა ვერ გააგრძელა და ინსტიტუტიდან გარიცხეს. მისი ტრაგედიის მიზეზი, რა თქმა უნდა, მე ვიყავი... ამ ცოდვის გამო, დღეს, ხედავ, როგორ ვიტანჯები. ვიცი, ის სადაც ცხოვრობს. თუ ცოცხალია, იქნებ გამეგზავნო მასთან; შეევედრე, სთხოვე, მაპატიოს, რომ როგორმე ჩადენილი ცოდვა გამოვისყიდოო...

ცხადია, ამ ადამიანს სინდისი ქეჯნიდა და ბრალი აღძრა საკუთარი თავის წინაშე წლების წინ ჩადენილი შეცდომის გამო, და რომ, სწორედ, ეს თვითბრალი გახდა მისი დეპრესიის და ნევროზის მიზეზი.

პათოლოგიური თვითბრალი

აქ განსახილველ თვითბრალში არ იგულისხმება ფსიქიკური დაავადებებით გამოწვეული თვითდანაშაულება და თვითბრალი, თუმცა, ამ დაავადების საზღვრებთან ახლო მდგომ, პიროვნული აშლილობით გამოწვეულ თვითბრალად მაინც უნდა მივიჩნიოთ. პათოლოგიური თვითბრალით შეპყრობილი ადამიანები გადაჭარბებული დოზით რეაგირებენ მოვლენებზე, განიცდიან მათ იმდაგვარად, რომ ბრალის ვექტორს უმთავრესად საკუთარი პერსონისაკენ ხრიან. როდესაც ქცევა ნებელობას არ ექვემდებარება, ანდა თავად ნებელობის მარეგულირებელი მექანიზმები მოშლილია, ძნელია ვისაუბროთ ბრალის გაანალიზებაზე ან მის დარეგულირებაზე... პათოლოგიური თვითბრალით შეპყრობილ ადამიანებს უძნელდებათ სოციუმთან ინტეგრაცია; ქმნიან ნეგატიურ და დეპრესიულ განწყობას, როგორც საკუთარი პერსონის, ასევე, ოჯახის და ახლობლების მიმართ.

დამნაშავეთა „ყოლის და საჭიროების“ ბრალი

ჩვენს ირგვლივ ყოველთვის არიან ადამიანები, რომლებმაც სხვადასხვა დანაშაული ჩაიდინეს. ცოდვის გზაზე დამდგარ ამ ადამიანებს, ღმერთი სიცოცხლის ბოლომდე აძლევს შანსს, რომ ცოდვები მოინანიონ. დავუსვათ საკუთარ თავს შეკითხვა: გულწრფელად გვსურს თუ არა, რომ ისინი გამოსწორდნენ? ვაძლევთ თუ არა მათ რეალურ შანსს? იქნებ გვირჩევნია, გვესაჭიროება, გამუდმებით მოგვეპოვებოდნენ ისინი ჩვენივე ცოდვების, ვნებების (ბრალის) შესამსუბუქებლად და განსატევებლად.

დაშვებულობა საზოგადოებრივი აზრისა, რომ დამნაშავეები გამოსწორდებიან, ნაკლებია, არა გამოცდილებიდან გამომდინარე — რომ დამნაშავის, ცოდვილის გამოსწორება შეუძლებელია, არამედ თვით ადამიანის ქვებუდებული ბრალიდან გამომდინარე... მას რაღაცნაირად „აწყობს“ (ეს მისი შეღავათია, რატომღაც!), რომ მის ირგვლივ არსებობდნენ (ეგულებოდეს) მასზე უარესი ადამიანები, რომლებიც მასზე მეტად ცოდვილნი არიან.

უფალი გვეუბნება: „შეიყვარე მტერი შენი“ ანუ შეიყვარე ისე, როგორც მშობელს უყვარს შვილი, უფალს — ადამიანი. მიუხედავად იმისა, რომ მშობელი კარგად აანალიზებს საკუთარი შვილის შეცდომებს, არასოდეს ტოვებს მას, არ მოიხსენებს ნიშნისმოგებით და არ დასცინის; არ ეგუება მის ავადმყოფობას, შეცდომებს, წარუმატებლობას; ყველა ნორმალური მშობელი ცდილობს, გვერდით დაუდგეს, გამოასწოროს, მოეხმაროს გზასაცდენილს; მშობელს ყველაზე მძიმე დანაშაულის ჩამდენი შვილიც კი ებრალება და აქვს სინანული მისი „დაღუპვის“ გამო. თუ ჩვენ ანალოგიური დამოკიდებულება გვექნება სხვა ადამიანების შეცდომებთან, მაშინ შეგვეცოდება ისინი და გვექნება სინანული — სიყვარულით; თუ არ ვიზრუნებთ, ვისურვებთ მაინც მათ გამოსწორებას; არ დავცინებთ, არ დავამცირებთ და არ მოვიხსენებთ აუგად. საზოგადოებამ ბრალი კი არ უნდა აღძრას უსაქციელო ადამიანების მიმართ, პირიქით, კარგად უნდა გაიაზროს და პასუხისმგებლობა იგრძნოს მისი უზნეობის გამო. გარდა იმისა, რომ ადამიანს, შესაძლებელია გენეტიკური მიდრეკილება ჰქონდეს ბოროტებისადმი, მისი დანაშაული შეიძლება ზოგადი დეპრესიიდან და საზოგადოებრივი აზროვნების დეფექტებიდანაც მომდინარეობდეს, რაზედაც, უპირველესად, თავად საზოგადოებამ უნდა აგოს პასუხი.

ისტორია

ნიკო ხერკელაძე

ცრემლში ნალესი ხმალი

(დასაწყისი იხილეთ „ათინათი“ №№ 16-49-ებში
და ანთოლოგიის მე-5-13 ტომებში)

თანამედროვენი გიორგი სააკაძეზე

გიორგი სააკაძე თავისი დროის დიდად პოპულარული პიროვნება გახლდათ. შეიძლება ითქვას, რომ არ დარჩენილა იმდროინდელი მემატიანე და მოგზაური — არც ქრისტიანი, არც მაჰმადიანი, — რომ იგი არ მოეხსენიებინოს.

როგორც მომხრეები, ასევე ოპონენტები ერთნაირად აფასებდნენ და აღიარებდნენ გიორგი სააკაძეს, როგორც დიდ სარდალს და საინტერესო პიროვნებას.

„დიდი მოურავი, სარდალი საქართველოს მხედრობისა, კაცი წარჩინებული, დიდად შემძლე და ყოველთა უმამაცესი: მრავალი სასახელო საქმე მოახდინა იბერიის სამეფოში სპარსეთის მეფის წინააღმდეგ ბრძოლოს დროს“.

პატრიკ კასტელი (იტალიელი მისიონერი)

***

„გიორგი სააკაძეს წილად ხვდა უცხო მხარეში გადახვეწა და ქართველი ხალხის მოსისხლე მტრის დროშებსქვეშ სამსახური. შურმა და მტრობამ განდევნა იგი თავისი სამშობლოდან, მაგრამ დიდ მოურავს ერთი წუთითაც არ განუდევნია გულიდან სამშობლოს სიყვარული, ითმენდა ყველა გასაჭირს და ცილისწამებას. მას არასოდეს დავიწყნია თავისი ვალი და უსაზღვრო რწმენა მომავალი გამარჯვებისა“.

პიეტრო დელა-ვალე,
XVII საუკუნის იტალიელი მისიონერი

***

„ხუსრევ-ფაშა სისხლისმოყვარული და მუხანათი კაცი იყო. მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ სისხლის დაღვრა ეწადა, მან ხონთქრისათვის შეუტყობინებლად, ვითომდა მოურავი საქართველოში წავაო, მოჰკლა ასეთი გმირი მოხუცი, რომელსაც ესოდენ დიდი დამსახურება ჰქონდა.

ასეთი ღირსეული და სახელოვანი კაცის სიკვდილით დასჯა უდიდესი მუხანათობა იყო!“

მუსტაფა ნაიმა,
XVII საუკუნის თურქი ისტორიკოსი

***

„ამიერიდან ისტორიაში გასაგები ენით ჩაიწერა გაფრთხილება: „არავინ არ მიემხროს ოსმალეთსო“

ერთმა უვიცმა მოხელემ სისხლისღვრის წყურვილით ასეთი შეცდომა ჩაიდინა“.

ქათიბ ჩელები,
XVII საუკუნის თურქი ისტორიკოსი

***

„იყო კაცი ესე სრული საქმით, გონიერი, ლაღი მჭევრმეტყველი, მოფიქრებული და საქმეში ჭკვიანი მტკიცე განაზრახითა, გონიერი ყოველ საქმეში; ძლიერი, წარმოსადეგი, ტანადი, შემართებული მებრძოლი უძლეველი, და ვისაც იგი ბრძოლას გაუმართავდა, მუდამ ჟამს ამარცხებდა მას და თავის მოპირდაპირე მხედრობას, ვითარცა ფხალსა, აჰკაფავდა და გაფანტავდა დედამიწასა ზედა; ფშვინავდა მრისხანების დროს, ვითარცა მებრძოლი ცხენი და შესძახებდა, ვითარცა ლომი, ვითარცა გეენის მფშვინავი ვეშაპი“.

არაქელ თავრიზელი (სომეხი ისტორიკოსი)

***

„მოურავი ჭეშმარიტად გულადი, ღონიერი, ტანით სპილოს მსგავსი, იშვიათი ვაშკაცი და დევის ღონე იყო“.

მუსტაფა ნაიმა (თურქი მემატიანე)

***

„გიორგი სააკაძე იყო დიდი დიპლომატი და ღრმა მცოდნე ადამიანის გულისა და თვისებათა“.

პესიონელი (ევროპელი მოგზაური)

***

„ესე მოურავი გიორგი სააკაძე იყო მხნე, ახოვანი, ძლიერი ძალითა და შემართებული, უშიში“.

ვახუშტი ბატონიშვილი

***

„გიორგი სააკაძის ერთი შეძახება არევდა და ფანტავდა მტრის ჯართა“.

იოსებ თბილელი

***

„დიდი მოურავი (იყო) ქართველთა ჯარის სარდალი, უბადლო და ძლევამოსილი ვაჟკაცი, რომელიც თავისი ძალით ყველასა ჯობდა. იბრძოდა რა სპარსეთის შაჰის წინააღმდეგ, იბერიის სამეფოში მრავალ დიდებულ წარმატებას მიაღწია; შემდეგ, როდესაც ბედმა უმუხთლა, თავისი მოკავშირეების მიერ მიტოვებული, თურქეთის მფარველობაში ილტვა, ხოლო იქ თავისი ძლიერებისა და დიდებისადმი შურის გამო დაიღუპა“.

დონ ქრისტოფორო დე კასტელი
(იტალიელი მისიონერი, მხატვარი)

***

თქვენ ის აზრი გაწუხებთ, როდის გადაწყვიტა გიორგი სააკაძემ აჯანყება. მანამდე, სანამ ხელთ იგდებდა შაჰის მსტოვარს ბარათით თუ მერე? მაგრამ ისტორიას ამასთან არაფერი ესაქმება, მარტყოფი — ეს ის არის, რისი გულისთვისაც მოევლინა ამ ქვეყანას „დიდი მოურავი“.

მარტყოფი საქართველოს გადარჩენაა, მარტყოფი ის ჭრილობაა, რომლისაგანაც ვეღარ განიკურნა შაჰ-აბასი, მარტყოფი გიორგი სააკაძის ბედისწერაა და სხვა დანარჩენი წვრილმანი, პატარა კაცუნების მონაჭორია“.

პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი

***

გიორგი სააკაძეს არ მოუხერხდა თავისი პოლიტიკური იდეების განხორციელება. საქართველოს განთავისუფლებისა და გაერთიანებისათვის ბრძოლაში იგი დამარცხდა, მაგრამ მისი დამსახურება სამშობლოს წინაშე განუზომელია.

გ. სააკაძემ იხსნა, თავისი პირადი ბედნიერების ფასად, საქართველო, სასიკვდილო საფრთხისაგან იმით, რომ იგი იყო მთავარი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი 1625 წლის გმირული სახალხო ომისა, რომელმაც აიძულა შაჰ-აბასი, ხელი აეღო საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველი ერის მოსპობის განზრახვაზე.

ნიკო ბერძენიშვილი,
ისტორიკოსი, აკადემიკოსი

***

დიდი მოურავი გიორგი სააკაძე, უბადლო სარდალი და გმირი, ვინაც სამეფოები და ხალხები შეარყია, რომელიც თავისი მტკიცე ხასიათითა და რკინისებური ნებისყოფით, მგზნებარე შემართებით, ბუმბერაზი ტანითაც ყველას აოცებდა, მტერს შიშს ჰგვრიდა და მითრიდატეს ემსგავსებოდა, დაიღუპა. კაცი, რომლის მახვილი ჯავშანსა ჰკვეთდა, საყვირის განგაშსა სტეხდა და მისი ხმითა და სიმძიმით ბრძოლის ველი გმინავდა.

რომელმაც სპარსეთში, ოსმალეთში, ინდოეთში, ბაღდადსა და არზრუმში მამაცი მებრძოლის, ხოლო თვით საქართველოში, მარტყოფის გამარჯვებით, ქვეყნის მხსნელის სახელი დატოვა!

პლატონ იოსელიანი,
XIX საუკუნის ქართველი ისტორიკოსი

გიორგი სააკაძის ერთი მაღალი ღირსებათაგანი იყო ისა, რომ არასოდეს არ სდევნიდა თავის პირად მტრებს. ამის მაგალითს ვხედავთ მის ყოველ ნაბიჯზე. ავიღოთ, შადიმანი, ეს კაცი ხდება ყოველი იმისი უბედურების თავი, იმეტებს სასიკვდლოდ, აწიოკებს ამის ცოლ-შვილს, უწვავს სახლ-კარსა და სარჩო-საბადებელს. აღებინებს ლუარსაბს ამის დაზედ ხელს, სდევნის თავისი ქვეყნიდან.

გ. სააკაძე როცა ბრუნდება ძლიერებით მოსილი სპარსეთიდან 1615 წელს, შაჰ-აბასისაგან ქართლის გამგებლად ფარსადანია დანიშნული, ესეც გ. სააკაძის დაუძინებელი მტერი. ეს დაეცა ფელის ციხეში ამის დედასა და ძმას. მათ როგორღაც თავი დააღწიეს და იმერეთში გადაიხიზნენ. გ. სააკაძის ერთერთი სასტიკი მდევნელი ქაიხოსრო იყო, როცა იგი გაიგებს სააკაძე დაბრუნდაო, იმერეთისკენ გარბის.

გიორგი უყელებს, თავის კაცებს დაადევნებს და მშვიდობიანად თავის მამულში დააბრუნებს. ეს შემორიგებული ქაიხოსრო, ფარსადანს ჯარსა სთხოვს, მეორეჯერ სააკაძის მოსაკლავად, არ გაუვიდათ, საკაძეს გააფრთხილებენ, იგი გადარჩება და მეორეჯერაც აპატიებს დანაშაულს ამ ვერაგ ქაიხოსროს.

1620 წლიდან ქართლში, შაჰისაგან გამგებლად სვიმონ-ხანია დანიშნული, მისი მოადგილე კი სააკაძეა, ქვეყანა ამის ხელთაა, მაგრამ რას ვხედავთ? იგი არც მოაგონებს თავის მოსისხლეებს, თავიანთს დანაშაულს, სამაგიეროს გადახდას არ ცდილობს, შფოთს არ სტეხს.

შადიმანი, ფარსადანი და ქაიხოსრო მშვიდობიანად ამთავრებენ თავიანთ სიბერის წლებს სამშობლოში. იმ დროში, როდესაც მოსისხარობა გვარებისაგან მთელი საგვარეულოსა და მათი ერთგული საყმოების ამოწყვეტა ითვლებოდა, თითქმის სასახელო გმირობად, სისხლის ღვრა თავის საკუთარი ინტერესებისათვის, მიაჩნდათ შექცევად.

არც ერთი უბრალო სისხლი, არც ერთი სამაგიერო, არ მოუწადინებია გ. სააკაძეს თავისი პირადი მტრებისათვის.

ამის დასტურად მოვიყვანთ დიდ მოურავიდან მოყვანილ მოსაზრებას.

„მეც შემეძლო ამხანაგთა, მაბეზღართა, მტერობანი,
მაგრამ დავსთმი, ყველას ვუყვი, მიცემა და ფერობანი,
მისთვის რომე, ამით მექმნა აოხრებულთ შენობანი“.

მაშინაც კი, როდესაც თეიმურაზმა ამისგანვე გამეფებულმა ორს სამეფოში, და ათასგვარად დავალებულმა, გაიმეტა სასიკვდილოდ, და შემდეგ ბაზალეთის ბრძოლისა და მარცხისა, წავიდა სტამბულში, იქაც ცდილობს, სიკეთე გაუწიოს მას, არავითარ მტრობას მის მიმართ არ იჩენს და ფიქრობს, თეიმურაზის შესახებ კარგი ჩააგონოს, საქართველოსაკენ წამოსასვლელად შემზადებულ კათოლიკე მისიონერებს.

XIX საუკუნის ქართველი
მწერალი ანტონ ფურცელაძე

„ვინც ისტორიულ გმირებს ცილსა სწამებს, იგი ნამდვილად ვაი-ქართველია“

გიორგი სააკაძის ძეგლის ავტორი
მერაბ ბერძენიშვილი

* * *

უცხოელთაგან აღტაცებული დამოკიდებულება სააკაძის მიმართ, სრული სიცხადით შეიმჩნევა. ისინი ამბობენ იმას, იმ სიზუსტით, რაც მათ სააკაძის შესახებ იცოდნენ. არიან ობიექტურნი, სიმართლის მთქმელნი, არა და ისეთი სიამაყითაც კი ამბობენ ყოველივე იმას რაც მის შესახებ მოუსმენიათ, უნახავთ თუ გაუგონიათ, პირდაპირ გაოცებასაც კი იწვევს. იმის განცდა გვეეუფლება, რომ სააკაძე მათთვის უცხო ქვეყნის უცხო შვილი კი არ არის, არამედ ცალ-ცალკეთათვის თავიანთი სისხლი, ტკივილი და სიყვარულია. ისინი სწორედ მარტყოფის გამარჯვებით და შემდგომ გადახდილი ომების გამო არიან აღტაცებულნი. უნდა ვივარაუდოთ ისიც, რომ სააკაძისაგან შაჰისათვის ე.ი. ირანის სასარგებლოდ გადახდილი ომების შინაარსიც გახდებოდა უცხოელთათვის გაოცების მიზეზიც. აქ ყოველგვარი შემთხვევითობა ხომ გამორიცხულია, როცა მათგან დაუფარავი აღტაცება ხელის გულზე დევს. უცხოელ ავტორებს ჩვენც აღტაცებაში მოვყავართ, გვეამაყება მათგან ჩვენი თანამემამულისადმი აღმატებული შეფასება.

როცა უცხოელი ისტორიკოსები და მოგზაურები ასეთი აღტაცებულნი არიან გ.სააკაძის მიმართ, ასევე აღტაცებულნი არიან ქართველი მემატიანეები. ვახუშტი ბატონიშვილი, ბერი ეგნატაშვილი, პოეტი არჩილი, ფარსადან გორგიჯანიძე, იოსებ თბილელი, შემდეგ ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერწთელი, შემდეგ ივანე ჯავახიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი, ანტონ ფურცელაძე, ზაქარია ჭიჭინაძე, პლატონ იოსელიანი, სარგის კაკაბაძე, გივი ჯამბურია. ჯანსუღ ღვინჯილია, ლევან სანიკიძე. მათ ხომ გულის სიმართლით აღნიშნული აქვთ გ.სააკაძის მოღვაწეობის სიდიადე.

აღარას ვამბობ უფრო აქეთ, ჩვენს თანამედროვე სასიქადულო პოეტებზე, ისტორიკოსებზე, მწერლებზე და ხელოვნების სხვა დარგის მუშაკებზე, რამდენი ჩამოვთვალო, რომელთაც გ. ასააკაძის მაღალმხატვრული სახეები შექმნეს.

არ უნდა დაფიქრდნენ ისევ შემორჩენილი ოპოზიციურად განწყობილი პირები, მათგან გ. სააკაძეზე უსაფუძვლო მოსაზრებების თქმით, აქ ჩამოთვლილი ასეთი ღირსეული პიროვნებებისაგან, სააკაძის ღვაწლის შეფასების მიმართ, მათგან უნდობლობას რომ ნიშნავს?

ნოსტელი პეტრე ხიზამბარელის მოგონებები, ხალხში დარჩენილი ამბები გიორგი სააკაძეზე

ჩემი წინაპრებისგან გამიგონია, გიორგი სააკაძეს ხმა ჰქონდა ისეთი, ნოსტედან რომ დაიყვირებდა, კასპის ახალქალაქში ესმოდათო. სოფელში თუ რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდებოდა, მეზობლად მდებარე სოფლებისთვის შეტყობინება აუცილებლად გიორგი სააკაძისთვის

უნდა ეთხოვათ, როგორც გადამძახებლისთვის. მტრის შემოსევების დროს გიორგი სააკაძის დაკივლებაზე ხუთი სოფლიდან სასწრაფოდ შეიყრებოდნენ მეომრებიო.

მეორე გადმოცემა მოგვითხრობს, რომ სანადიროდ მყოფ გიორგი სააკაძეს სოფელ გოსტიბეს შემოგარენში დათვისაგან დატორილი მოზვერი უნახავს და იქიდან ერთაწმინდამდე მხარზე აკიდებული ჩამოუყვანია.

70-იან წლებში კასპის რაიონის სოფელ გუდალეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე როსება თაგვიაშვილისგან მოვისმინე გადმოცემა, რომელიც მას თავის მხრივ გაუგონია ატენის ხეობის ერთ-ერთ სოფელში, ქორწილში, კოლა თარხნიშვილისგან; კოლას ახსოვდა ნამამასახლისარი მოხუცი თანგირას მონათხრობი. ეს თანგირა თურმე ამაყობდა თავისი წინაპრებით, რომლებიც სააკაძიანთ სახლის მოხელე-გამრიგენი ყოფილან და ცხენების მოვლა-მოშენება და გამრავლება ჰქონიათ დაკისრებული. სააკაძეებს მოლურჯო, ნაცრისფერი და ღია ჩალისფერი ცხენები ჰყავდათო (მტრისთვის ადვილად შესამჩნევი რომ არ ყოფილიყო).

იმავე თანგირას უამბნია გიორგის პატარაობის დროს მომხდარი ამბავი:

ციხის საძირკვლის თხრის დროს კირითხუროებს (კალატო-ზებს) ქვათა გროვიდან მორიელი ამოუგდიათ. მახლობლად პატარა გიორგის ცხენზე ჯდომასა და ტარებას ასწავლიდნენ თურმე. როგორც კი შეუნიშნავს პატარა მხედარს აფორიაქებული ხალხი, ელვისებურად გადმომხტარა ცხენიდან, მარჯვენა ხელით დასწვდომია მორიელს, ისე, რომ მისი შუატანი ხელისგულში მოუმწყვდევია, კუდი და წინაფეხები კი გარეთ დარჩენილა. დამსწრეები შეძრწუნებულან, ბავშვი არ დაგესლოსო, მაგრამ ვერაფრით გააშვებინეს, ისე მძლავრად ჰქონია ჩაბღუჯული. ბოლოს ხელში გაჭყლეტილი მიწაზე დაუგდია. იქ მყოფ ხალხს მზე და მთვარე გადაჰფენიათ სახეზე, შვებით ამოუსუნთქავთ.

უწინასწარმეტყველებიათ, ასე მოიკრუნჩხება და მოიგუდება საქართველოს მტერი გიორგი სააკაძის ხელშიო! აუხდათ კიდეც.

ᲩᲨ. რით არა ჰგავს გიორგის ეს საქციელი პატარა ჰერაკლეს მიერ საწოლში გველების დახრჩობის ამბავს! (ნ.ხ.)

წიგნის ავტორი მადლობას უხდის თავისი დიდი ხნის მეგობარს, ნიჭიერს, მართალი გულისა და მაღალი ზნეობის ადამიანს, საქართველოს ისტორიის შესანიშნავ მცოდნეს, ყოფით ურთიერთობებში სამართლიანსა, ზომიერსა და გაწონასწორებულს თავის ქვეყანაზე გულშემატკივარ, ბატონ ჰამლეტ დემეტრაშვილს რომელმაც გააცნო თავისი ნათესავი, ნოსტელი პეტრე ხიზამბარელი.

მოგონება რევაზ თარხან-მოურავზე

კასტელის მიერ შესრულებულ სააკაძის პორტრეტთან დაკავშირებთ ერთი ამბავი მინდა გავიხსენო:

80-იან წლებში ასპირანტურაში ვსწავლობდი. ჩემი ხელმძღვა-ნელი ცნობილი მხატვარი, ღირსეული ადამიანი, სამხატვრო აკადემიის ფერწერის კათედრის გამგე, პროფესორი უჩა ჯაფარიძე გახლდათ, პირველი კურსიდანვე ჩემი მასწავლებელი.

ერთხელ ბატონ უჩასთან მივედი. საანგარიშო სადიპლომო ნამუშევრისთვის თემა უნდა შეგვერჩია. კარი უცნობმა ადამიანმა გამიღო, ოთახის სიღრმიდან ბატონმა უჩამ შემიპატიჟა, იგი ელოდა ჩემს სტუმრობას.

ბუხართან დაბალ მაგიდაზე სუფრა იყო გაშლილი, მაგიდის შუაში ღვინით სავსე ლამაზი დოქი იდგა.

უჩა ჯაფარიძემ გამაცნო ჩემთვის უცნობი პიროვნება, რომელიც შესანიშნავი მხატვარი, უკეთილშობილესი ადამიანი, ბატონი რევაზ თარხან-მოურავი აღმოჩნდა.

ბატონები უჩა ჯაფარიძე და რევაზ-თარხან მოურავი ერთ თაობას მიეკუთვნებოდნენ. მე მათ ვაჩვენე ჩემი ესკიზები. ბატონმა რეზომ ყურადღებით დაათვალიერა ყველა ნამუშევარი, შევატყე კმაყოფილება, რაც მის ალალ ღიმილში შევიგრძენი. მათ შორის საინტერესო საუბარი გაიმართა, მეც, იმ დღის იღბლიანი, მორიდებით ვავსებდი კახური ღვინით მომცრო ჭიქებს. მეამაყებოდა მათთან ყოფნა.

ვუცქერდი რევაზ თარხან-მოურავს და მახსენდებოდა კასტელის მიერ შესრულებული გიორგი სააკაძის პორტრეტი. აშკარა მსგავსება იყო იერ-სახისა, თვალების ჭრილისა, ნიკაპ-ცხვირისა... მხოლოდ რევაზ თარხან-მოურავს ულვაშები არა ჰქონდა, საკმარისი იყო ხელოვნური ულვაში და თავზეც ისეთივე წოწოლა ქუდი ხურებოდა, რომ წყლის წვეთებივით ვერ გაარჩევდი ერთიმეორისგან.

განსაკუთრებით ბატონი რევაზის თაფლისფერი, ალალი მეტყველი თვალები დამამახსოვრდა; მისით აღტაცება და კმაყოფილება შემამჩნია, ესიამოვნა, დარბაისლური იერით და თბილი ღიმილით გაიხსენა თავისი წინა თაობები და დიდი წინაპრები, რომლებიც გიორგი სააკაძის უმცროსი ვაჟის იორამ სააკაძის პირდაპირი შთამომავლები იყვნენ. შეისვა საქართვე-ლოსთვის თავდადებული გმირი წინაპრების მოსაგონარი.

შეღამებისას დასრულდა ბატონ უჩა ჯაფარიძესთან სტუმრობა. კმაყოფილებით მადლობა ვუძღვენით მასპინძელს, გამოვემშვიდობეთ და ნელი ნაბიჯებით გავუყევით მელიქიშვილის ქუჩას უნივერსიტეტისკენ.

შემდგომ ჩვენ ძალიან დავუახლოვდით ერთმანეთს. ბატონი რევაზი ენამჭევრი, იუმორის გრძნობით დაჯილდოებული და დიდად მოყვარული ადამიანი აღმოჩნდა. მან თავისი დიდი წინაპრის, გიორგი სააკაძის შესახებ პლატონ იოსელიანის მიერ დაწერილი წიგნი გადმომცა. დღემდე სიამაყით ვიხსენებ მის გაცნობას და ვერაზე უჩა ჯაფარიძესთან სტუმრობის დღეს.

კასტელის „სააკაძის პორტრეტის“ შესახებ

დღესდღეობით არსებული აზრი, რომ კასტელმა საქართველოში ყოფნის დროს გიორგი სააკაძის შესახებ მის ნაცნობთა მონათხრობისა და აღწერის შედეგად შექმნა სააკაძის პორტრეტი, სიმართლეს არ შეეფერება — ზეპირი გადმოცემის საფუძველზე კასტელი ასეთ ფსიქოლოგიურ სიღრმეს ვერ ჩასწვდებოდა, უფრო სწორად, სააკაძის რეალურ ფსიქოლოგიას ასცდებოდა ნახატის ავტორი. რომ არა კასტელის ყოფნა ოსმალეთში და მისი და სააკაძის დაახლოება საფრანგეთის ელჩის მიერ, ჩვენ დღეს გაურკვეველი წარმოდგენა გვექნებოდა სააკაძის პორტრეტული იერ-სახის შესახებ.

მე, როგორც მხატვარს, კასტელის მიერ შესრულებული სააკაძის პორტრეტი საშუალებას მაძლევს ვთქვა, რომ იგი ნატურიდანაა გადმოღებული, ე.ი მხატვრის წინ არსებული პიროვნებაა პორტრეტზე ასახული. მართალია, იგი ჩანახატური ხასიათისაა, მაგრამ ჩანს, რომ მხატვარს ნატურა თავის მიერ შერჩეულ პოზაში გაუჩერებია; აშკარად იგრძნობა იმ დროის მხატვართა მიდგომა და დამოკიდებულება პორტრეტული ჟანრის მიმართ, რაც ნათლად შეიმჩნევა პოზირებისადმი მიდგომის მხრივ, მაყურებლისაკენ ნახევრად შემობრუნებული სახით, კისრისა და ტანის ზედა ნაწილი ნახევრად პროფილად არის გამოსახული; შტრიხებისა და ხაზების ლაღად მოძრაობა მიგვანიშნებს კასტელის, როგორც მხატვრის, ოსტატობაზე. პორტრეტის გამომეტყველებაში, თვალების ხასიათში აშკარად იგრძნობა დიდი ენერგია, წინააღმდეგობის დამძლევი ძალა, შეუბრალებლობა მტრისადმი; იგრძნობა ძალა იმ მარჯვენისა, რომელსაც მთელი დღის მანძილზე შუბი და ხმალი არ გაუშვია; მიუხედავად იმისა, რომ სააკაძის მარჯვენა ასახული არ არის, ამ განცდას ბადებს კისრისა და მხრის სიძლიერე. ჩანახატური ხასიათის მიუხედავად იგრძნობა პიროვნების მძლავრსხეულოვანი აღნაგობა, გამოსახული კისრის მკერდ-ლავინ-დვრილისებრი კუნთოვნების მეშვეობით, გულ-მკერდის გაბარიტების მოხაზულობით და სიფართოვით. მკაფიოდ შესამჩნევია სხეულებრივი ქანდაკებურობა და პროპორციული ჰარმონია. მხატვარს გულ-მკერდის ნაწილი ნახევარტონებით და შტრიხებით აქვს დაფარული, მაგრამ დაკვირვებული თვალი აუცილებლად შეამჩნევს ტორსის ზედა ნაწილის მკაფიო სიგანე-სიფართოვეს, რაც მისი პატრონის სხეულებრივი სიჯანმრთელის დასტურია.

ვფიქრობ, კასტელს მათი შეხვედრიდან სულ რამდენიმე დღის შემდეგ უნდა შეექმნა სააკაძის პორტრეტი; ამაზე დანამდვილებით მიგვანიშნებს გიორგის ვარამით აღსავსე სახე, რომელზეც ჯერ არ განელებულა და ისევ აჩნია ბაზალეთის ომიდან გამოყოლილი კაეშანი, მაგრამ შეუნარჩუნებია ლმობიერებაც მოყვასისადმი, გაწონასწორებული ფსიქოლოგია; მიმტევებელი ბუნების მქონეს, ადამიანის გულთამხილავს რუხი უნდობლობის ნისლი მაინც დაჰკრავს. მისი თვალები უსიტყვოდ გვახსენებენ, რომ „კაცი ვერსაით წაუვა თავის თავის ბედსა და წერასა“, რომ ისიც სამუდამოდ განეშორა თავის მიწა-წყალს და უკან დასაბრუნებელი დღეც მისთვის აღარასოდეს გათენდება.

გიორგის წუთისოფლიდან იმდენი რამ გადახდა, იშვიათად ვინმეს გადახდომოდეს, მის სევდაჩამდგარ თვალებში გაუქრობი საყვედურია შერჩენილი; სააკაძე თითქოს ყველას გულისგულში იხედება და ეძებს სამშობლოს კეთილდღეობისთვის ღირსეულად დახარჯულს (გიორგი სააკაძის პორტრეტის სევდაჩამდგარი თვალებიდან მუდარა და გაუქრობი საყვედური ამოიკითხა ვაჟა-ფშაველამაც).

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გოჩა ჭელიძე

მარიამ დადიანი

იმერთა სახელგანთქმულმა მეფემ სოლომონ პირველმა თავისი მეუღლის, ოტია დადიანის ასულის, მარიამ დადიანის შემწეობით შესძლო ოსმალების დამარცხება და დასავლეთ საქართველოში მშვიდობის დამყარება. მარიამ დადიანი თურქებთან ბრძოლის დროს თავისი რაზმით პირველი შევიდა ბაღდადის ციხეში. ამ ფაქტთან დაკავშირებით გამოჩენილი ისტორიკოსი ევგენი ეიდენბაუმი წერდა: მტრის გარნიზონი სულ 30 თურქისაგან შესდგებოდა და გამაგრებული იყო ბაღდადის ციხეში, რომლის აღება გაძნელდა. მიუხედავად ამისა, ქართველებმა მტერი მეტად შეავიწროვეს, რის გამოც, ციხეში მყოფებმა შეუთვალეს ქართველებს: დაგნებდებით, თუ იმერეთის დედოფალი მარიამი მეციხოვნეთა სიცოცხლისა და ქონების ხელუხლებლობას დაგვპირდებაო. წინადადება მიღებული იქნა, თურქები გამოვიდნენ დროშებით, ხოლო დედოფალი მარიამი თავისი ამალით პირველი შევიდა ბაღდადის ციხეში. /Е. Г. Вейденбаум. Кавказские этюды. **Исследования и заметки. 1901. С. 183/.**

მარიამ დადიანის ამ გმირობას განცვიფრებაში მოუყვანია რუსეთის იმპერატორი ეკატერინე დედოფალი და საფრანგეთის გამოჩენილი მწერალი და განმანათლებელი ვოლტერი. ამის თაობაზე ვოლტერი ეკატერინეს წერდა: ქართველების გმირობა საკვირველი არ არის, ისინი მითრიდატ დიდის შთამომავლები არიანო.

მარიამ დედოფალმა თავის დროზე დიდი მშვიდობიანობა დაამყარა დასავლეთ საქართველოში, მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ თავის მეუღლე სოლომონ პირველს გამოაცემინა ბრძანება ქართველ ტყვეთა ყიდვა გაყიდვის აკრძალვის შესახებ.

მარიამი მრავალმხრივი ნიჭით ყოფილა დაჯილდოვებული. იტალიელ მწერალს, მონსინიორე ლეონს მოეპოვება ძვირფასი ცნობები იმ დროინდელი საქართველოს შესახებ და ამ ცნობების თანახმად, ახალციხის საფაშოსა და იმერეთს შორის დიპლომატიური მოლაპარაკებები უკისრია მარიამ დედოფალს. მონსინიორე ლეონი თავის ცნობებში აღნიშნავს: აქ უნდა მოვახსენო თქვენს წმინდა ყოვლად განათლებულობას და დიდად პატივცემულობას დიდი ჭკუა, უბადლო კეთილშობილება, გაუგონარი გულადობა და განსაცვიფრებელი სულგრძელობა იმ ქალისა, რომელიც ავიდა რა ახალციხეში ასი კაცის თანხლებით და დაახლოებით ოცი მოსამსახურით, ჩამოხტა ერთ სასახლეში, სადაც მომზადებული იყო მისთვის ბინა. მეორე დღეს ისმაილ ფეჩევის სანახავად წავიდა და მას პირისპირ ესაუბრა თარჯიმნის მეშვეობით... მან მოახერხა ყველა ქართველი ტყვის განთავისუფლება, რომლებიც ახალციხეში იმყოფებოდნენ. /სახელოვანი ქართველი ქალები ქორიძე, დავით. 1965. გვ. 111 – 112/.

ქეთევან ანდრონიკაშვილი

ქეთევანი 1754 – 1782 იყო შვილი ქიზიყის მოურავის პაპუნა ანდრონიკაშვილის. ის შეირთო ერეკლე მეფის ძემ გიორგიმ. ქეთევანს ჰყოლია ცხრა შვილი. ოთხი ვაჟი – დავით, იოანე, ბაგრატ და თეიმურაზ, და ხუთი ქალი – ბარბარე, სოფიო, ნინო, რიფსიმე და გაიანე.

ისტორიას შემოუნახავს მეტად საინტერესო ფაქტი ქეთევან ანდრონიკაშვილის გმირობისა, რომელსაც დიდი განცვიფრება გამოუწვევია იმდროინდელ ქართველთა შორის: 1778 წელს ხუთას მარბიელ ლეკთაგან შემდგარი რაზმი ღართის კართან თავს დაცემია ქართლიდან თბილისს მომავალ ქეთევან ანდრონიკაშვილს, რომელსაც გამყოლად სამასამდე ქართველი ხლებია. ღართის კართან ლეკებს სროლა აუტეხიათ, მხედრები დაბნეულან, მაგრამ მათთვის მეთაურობა ქეთევან ანდრონიკაშვილს გაუწევია. პირველად თვითონ აღუმართავს მახვილი მარბიელთა წინააღმდეგ და ქართველებს სასტიკად დაუმარცხებიათ მტერი. ამ ამბის გამგონე ერეკლე მეფე, საზეიმო სალუტით მიგებებია თბილისში შემომავალ რძალს. /დავით ბატონიშვილი ახალი ისტორია, 1941. გვ. 14, 17/. ამ გმირულ თავგადასავალს აღწერს პლატონ იოსელიანიც /ცხოვრება გიორგი მეცამეტისა 1936. გვ. 8/.

ქეთევანი გარდაიცვალა 1782 წელს თეიმურაზზე მშობიარობის დროს.

ქეთევანის გარდაცვალების გამო დამწუხრებულ ერეკლე მეფეს უთქვამს: ახლა დაიღუპა ჩემი ოჯახიო.

ქეთევანის ცხედარი დიდი საეკლესიო ცერემონიალით დაკრძალეს დავით გარეჯის მონასტერში, იოანე მახარობლის ეკლესიაში, აღსავლის კარის წინ. იქ, სადაც დასაფლავებულია ალექსანდრე – კახთა მეფე. /სახელოვანი ქართველი ქალები ქორიძე, დავით. 1965. გვ. 121 – 122/.

თანდარა ხულელიძე

თერგის ხეობის სოფელ არშის მკვიდრი ნადირა ხულელიძე არშის ციხის მცველთა რაზმის უფროსი იყო. იმ დროს, ე. ი. XVII საუკუნეში ეს ციხე ნუგზარ არაგვის ერისთავს ეკუთვნოდა. ნადირა ხულელიძის პატარა გოგო თანდარა გმირულ გარემოცვაში აღიზარდა. თერგის ხეობას, ისევე როგორც მთელ საქართველოს, მტერი ხშირად ესხმოდა თავს. ამ ბრძოლებში ქართველ გმირ მამაკაცებთან ერთად ხშირად ქალებიც იჩენდნენ გმირობას.

ერთხელ არშის ციხეს თავს დაესხა მტერი. მათ გაწყვიტეს მეციხოვნენი და ციხესიმაგრეს დაეპატრონენ. ნადირა ხულელიძემ ოჯახი ძლივს გადახვეწა. მტერმა სოფელი არშა აიღო და ცეცხლს მისცა.

ნადირა ხულელიძე მალე ნუგზარ არაგვის ერისთავს ეახლა ანანურის ციხესიმაგრეში და საქმის ვითარება მოახსენა. მცირე თათბირზე, რომელსაც ნუგზარ ერისტავის შვილები: გიორგი, ზურაბი და დათუნა ესწრებოდნენ, გადაწყდა, რომ ნადირა ხულელიძე წაირებდა ერთ საპალნე ღვინოს, ხორაგს და არშის ციხეში შეჭრილ მტერს მოჩვენებით კეთილგანწყობით შეურიგდებოდა და გაუშინაურდებოდა.

აბა მარტო ნადარა რას გახდებოდა. მან ამ საქმეში თავისი ლამაზი ქალიშვილი თანდარა მოიშველია. თანდარას დაეკისრა მრავალრიცხოვანი შეიარაღებული და თავხედი მტრისათვის დიდი სუფრა გაეშალა და მერიქიფეობა გაეწია.

გმირული სულის ქალმა გაუძლო მკაცრ გამოცდას. მან არშის ციხეში მოკალათებულ მტერს სუფრა გაუშალა და დღე ღამის განმავლობაში მერიქიფეობაც გაუწია.

რამდენი განცდა, ფიქრი და მოთმინება უნდა გადაეტანა თანდარას, რომ მტერი არ დაეჭვებულიყო. გმირი თანდარა იტანდა მტრის ათასნაირ ბოროტ საქციელს, რადგან თანდარას ოდნავ საეჭვო მოქმედება დამარცხებას უდრიდა. ეს კარგად იცოდა თანდარამ. ამიტომ იგი ურყევი იყო და ვაჟკაცურად ასრულებდა მამულიშვილურ ვალს.

ხანგრძლივი ქეიფის შემდეგ მტრის მთელი ჯარი მეთაურებიანად ძილს მიეცა. მამა შვილმა თავისუფლად ამოისუნთქეს.

მათ ციხის კარი გაუღეს იქვე, უდაბურ ხეობაში ჩასაფრებულ გიორგი არაგვის ერისთავის მებრძოლებს, რომელთაც ამოხოცეს მტრის ჯარის მეთაურები და ჯარი დაატყვევეს.

არშის ციხეს კვლავ ქართველები დაეპატრონენ. მეციხოვნეთა მთავრად თანდარას მამა ნადირა ხულელიძე აღიარეს.

თანდარა და ნადირა ხულელიძეების გმირობა და თავდადება ნუგზარ არაგვის ერისთავმა ცალკე წყალობის სიგელით აღნიშნა – ისინი გაათავისუფლა ყმობისაგან და უბოძა მამული „საგოგონო“.

თანდარა და ნადირას შთამომავლობას ეს საბუთი ტყავზე დაწერილი შემონახული ჰქონდათ მეოცე საუკუნის დასაწყისამდე სოფელ არშაში. შემდეგში თუ როგორი ბედი გაიზიარა გმირმა ქალმა თანდარა ხულელიძემ სამწუხაროდ არ ჩანს. /ვ.სიდამონიძე. თანდარა ხულელიძე. სოფლის ცხოვრება. 1966. №197/.

შურისმაძიებელი ქართველი ქალი

საისტორიო წყაროებს შემოუნახავს ცნობები ერთი ქართველი ქალის შესახებ, რომლის ვინაობა ამ დრომდე უცნობია. მისი ქმარი ავღანელებთან ბრძოლაში დაღუპულა. ცოლი კი ქმრის სისხლის საძებნელად წასულა სპარსეთში.

უცხოელი მოგზაური ჰანვეი გადმოგვცემს: 1724 წელს მაჰმუდი პროვინციიდან დაბრუნდა ისპაჰანს, სადაც ის მივიდა მარტის ბოლოს. როდესაც შედიოდა ქალაქში,მ მასში გაოცება და აღფრთოვანება გამოიწვია ერთმა განსაკუთრებულმა შემთხვევამ: ჯარს წინ გადაუდგა ვიღაც შეიარაღებული ქალი, ეცა ჯარისკაცებს და მოკლა 20 ავღანელი. ეს ქალი იყო ქართველი. მისი ქმარი მოკლული იქნა აბას აბადის ხისზე ისპაჰანის აღების დროს.

სამაგიეროს გადახდის მიზნით ქალს თავისი ორი ბავშვი და ქონება ჩაუბარებია ძმისთვის და მიუხედავად მგზავრობის მთელი სიძნელეებისა, ჩამოსულა აქ საქართველოდან. ერთობ

დასახიჩრებული ის მიჰგვარეს მაჰმუდს. როგორც კი გაიგო მან, რომ ეს ის ქალია, რომელმაც ის განაცვიფრა, ბრძანა: მას მოეპყრან ყურადღებით, რასაც იმსახურებს მისი სიმამაცის წყალობითო.

ამავე ქალის გმირობას გადმოგვცემს პოლონელი ავტორი კრუზინსკი, რომელმაც ისტორიას შემოუნახა სპარსეთში მყოფ ქართველთა ლაშქრობის აღწერა: 1725 წელს ერთი დედაკაცი, რომლის ქმარი მოეკლათ გულნაბადის ომში, მოიჭრა საქართველოდან ისპაჰანს შურისსაძიებ-ლად. ავღანთ ძვირად დაუჯდათ მისი ქმრის სიკვდილი. იმან მოკლა სხვადასხვა ჩხუბში ოთხმოცდაათი კაცი და მაშინ იცნეს, რომ დედეკაცთაგანი იყო, როდესაც ის დაატყვევეს, მაგრამ პატივი თურმე სცეს იმის გმირულად განწირვას და გაანთავისუფლეს. /თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი ქალები ქორიძე, დავით. 1961. გვ. 9/.

ქრისტინე ცქირიაშვილი

1755 წელს ხუნძახის გამგებელმა ნურსალ ბეგმა, მრავალრიცხოვანი ლეკთა ლაშქრით ქართლ კახეთის განადგურება მოინდომა. მისი განზრახვა იყო გორის ციხის აღებით ქართლი დაეპყრო. ამის შემდგომ კი ადვილი იქნებოდა კახეთის დამორჩილებაც.

ერეკლე მეორემ სასწრაფოდ შემოკრიბა კახეთის მებრძოლები და ლეკთა ჯარს უკან დაედევნა. მტერმა მალე აიღო ალაზნის მხარე და ქართლისკენ წამოვიდა. გადმოვიდნენ არაგვზე, დაარბიეს სოფლები, დუშეთი და გორის ციხის ასაღებად წამოსულები სოფელ მჭადიჯვრის ციხეს მოადგნენ. მტრის ლაშქარი ციხის მახლობლად დაბანაკდა.

ავარიის ბატონმა ციხის გარემოცვა და აღება ბრძანა, მაგრამ ციხეში მყოფმა ქართველმა მებრძოლებმა მაღალი გალავნის ქონგურებიდან ტყვიით გაანადგურეს მტრის მოწინავე ლაშქარი. მტერი შედგა, მოიერიშეებმა დროებით ბრძოლა შეაჩერეს.

ქართლ კახეთის მეფეები ერეკლე და თეიმურაზი მჭადიჯვრისკენ გამოემართნენ. მჭადიჯვრელ მებრძოლებმა იცოდნენ, რომ სახელოვანი მეფეები მოშველებას არ დააყოვნებდნენ და როცა გაიგეს, რომ ისინი უკვე მოსაშველებლად მოდიოდნენ, უფრო გამხნევდნენ.

მეციხოვნეთა შორის ყოფილა მოხუცი ქალი ქრისტინე ცქირიაშვილი. ქრისტინე ახალგაზრდობაში განთქმული ცხენოსანი და მარჯვედს მსროლელი ყოფილა. მიუხედავად ასაკისა, თვალად და ტანად ისევ ომახიანად იყო. შუბით დადიოდა. მარტო იყო, არავინა ჰყავდა, ქმარ შვილი მამულისათვის ბრძოლაში დახოცოდა, მაგრამ მთელ სოფელზე გული შესტკიოდა.

როდესაც მტერს ციხეში მყოფები მეტად შეუვიწროებია, ქრისტინე დედაბერს მიუმართავს მებრძოლებისათვის: ჩემი სიცოცხლე მუდამ სოფელს ეკუთვნოდა და ახლაც თქვენთვის მინდა თავი გავწირო, ვეცდები მტერი ისე დავაზარალო, რომ ციხე ვეღარ აიღოს, ოღონდ პირობა მომეცით, მე, როგორც უშვილძირო, არ დამივიწყოთ და ქელეხი მთელმა სოფელმა გადამიხადოსო. ხალხს მიუცია ამის პირობა.

ამის შემდეგ ქრისტინე სიმაგრიდან გამოსულა, გადმომდგარა ციხის ბურჯზე და მტრის ერთი ბელადი მიზანში ამოუღია. ბებრისათვის მტერს ყიჟინა და სიცილი დაუყრია, მაგრამ დედაბრის მაჟარას უსულოდ დაუცია მტრის ბელადი. ასეთი მოულოდნელობით მტერი გაგულისებულა და წამოსულა მოხუცი ქრისტინეს ხელში ჩასაგდებად, მაგრამ მას გამოუმიზნებია და მეორე ბელადიც პირველისთვის მიუყოლებია. მაშინ გამოქანებულა ხმალამოწვდილი ცხენოსანთა რაზმი, გმირი ქალის გამჭრიახ თვალს არც მესამე წინამძღვრისათვის აუცდენია და ტყვია შიგ შუა ძვალში მოურტყამს.

დედაბრის გმირობით გამხნევებულ მეციხოვნეებს მტრისათვის სასტიკად შეუტევიათ და საკმაო მანძილით დროებით უკან დაუხევინებიათ.

ქრისტინეს მტრის ბელადების დახოცვა არ უკმარია, შუაღამისას ფარულად ჩასულა მტრის ბანაკში და ზედიზედ შვიდი საფარი დაუწვავს.

ამასობაში თეიმურაზი და ერეკლე მოსულან ჯარით და მტერი სასტიკად დაუმარცხებიათ.

1755 წლის ომში მჭადიჯვართან ბევრმა ქართველმა გმირმა ისახელა თავი, მაგრამ მათ შორის ხალხმა ყველაზე მაღლა დააყენა გმირი ქრისტინე მჭადიჟვარელი, რომელსაც დღესაც ქებას მოუთხრობენ მესტვირენიო – ამბობს ბაგრატ ბატონიშვილი. /თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი ქალები ქორიძე, დავით. 1961. გვ. 11/.

ნანა თოთელი

მეჩვიდმეტე თუ მეთვრამეტე საუკუნეში მტრებს დაულაშქრიათ კავკასიონის ჩრდილოეთით მდებარე სოფელი ჯუთა. ჯუთელებს მტრისთვის ძლიერი წინააღმდეგობა გაუწევიათ. ამ ბრძოლაში თავი უსახელებია ერთ ქალს, რომელსაც ჯუთელები უწოდებენ თოთელ ნანას. მას

მტრისგან მოკლული ძმის ტანსაცმელი ჩაუცვამს, მისი ხმალი აუღია და მტერს უშიშრად შებრძოლებია. ბრძოლის დროს ნანას მუზარადი მოუხდია, მოწინააღმდეგეს ქალის თმები რომ დაუნახავს, შემკრთალა, წინააღმდეგობა აღარ გაუწევია და ნანას კი მტერი ხმლით აუკაფავს.

ხალხური გადმოცემები ამაზე მეტს არაფერს მოგვითხრობენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ თოთელი ნანა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ თოთის მკვიდრი უნდა ყოფილიყო და ალბათ შემდეგ ჯუთელ ხევსურზე გათხოვდა. /თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი ქალები ქორიძე დავით. 1961. გვ. 8 – 9/.

მაია წყნეთელი

გლეხის ქალს, მაია წყნეთელს, მეფე ერეკლეს დროს უცხოვრია. უასაკო ყოფილა, როცა ბატონს ძალით მიუყვანია სახლში და ნამუსით აუხდია. მაიას მშობლებს ვერ აუტანიათ ეს მწუხარება და მალე. გამოსალმებიან წუთისოფელს: მამას ტყეში ჩამოუხრჩვია თავი, დედას შიმშილით თავი მოუკლავს.

სვეუბედური მაია ვერ დასწრებია ვერც ერთის სიკვდილს, გამწარებულა და განუზრახავს, ბატონს მეფესთან ვუჩივლებო. ერთ ღამეს შეპარულა მამის სახლში, ჩაუცვამს მისი ტანისამოსი, შემოურტყამს ხმალი, ხანჯალი, მხარზე მამის თოფი გადაუკიდია. და ჩამოსულა თბილისში. ასე ვაჟკაცურად გამოწყობილი მისულა მეფის კარზე და მფარველობა უთხოვია, არც დედა მყავს, არც მამა, არც ბატონიო და ასე ვარ დარჩენილი ობლადაო, ახლა გეახელიო: და გთხოვთ მიყმოთო.

მეფეს მიუღია იგი. მაიას ვაჟური ტანსაცმელი ჩაუცვამს, სახელად მათე დაურქმევია და ასე ემსახურებოდა. არ გასულა დიდი ხანი, რომ კახეთის მხარეს დასცემიან ლეკები. მეფეს შეუყრია საჩქაროდ ჯარები და თან გაუყოლებია შინაყმანიც.: მათ რიცხვში ყოფილა მაიაც.

ყველანი კარგად გარჯილან მტერთან ბრძოლაში, მაგრამ მაიასებრი ვაჟკაცობა ვერავის გამოუჩენია. ამ დროს მაია ოცი წლისა ყოფილა. მეფე გაუკვირვებია მის მხნეობას, სიმარდესა და ვაჟკაცობას. გახარებული გადაპჭხვევია, ორთავ თვალებში უკოცნია და უთქვამს: აი, შენ კი გენაცვალე! კაციც შენა ყოფილხარ და ქუდიც შენ გხურებიაო!

თბილისში რომ დაბრუნებულან, მეფეს კიდევ მოსვლია ამბავი, სომხებს თათრის ჯარი შემოესიაო. მაშინვე მდევარი შეუგროვებიათ. შემდგარა რჩეული ბიჭების დასტა, რომელიც პირველად უნდა შეჰბმოდა მტერს. მათეც იქ ყოფილა. ომი მომხდარა სოღანლუღს ქვევით. ხმალამოღებულ მაიას შეუჭენებია ცხენი მტრის გუნდში და მეთაურისათვის ანაზდად გაუგდებინებია თავი არეულა მტრის ჯარი და ქართველებს ისე დაუმარცხებიათ რომ ამბის წამღები კაციც აღარ დარჩენილა.

ახლა უფრო გაჰკვირვებია მეფეს მაიას გმირობა და უთქვამს: შენ ისე სინდისიერად და ერთგულად ასრულებ მამულის ვალს, რომ დღეის შემდეგ ჩემი შვილი ხარ და ნებას გაძლევ მამა დამიძახოო. შენგვარი კაცი მეფეა თავის თავისა და თავის სამშობლო ქვეყნისაო. მაია თურმე თავზარს სცემდა გარეშე და შინაურ მტრებს. მისი დროის პირშავ კაცებს თორმეტი გოგო-ბიჭი მიუყიდიათ სპარსელებისათვის. ამ ამბის შესატყობინებლად მეფესთან ერთი მოხუცებული კაცი წამოსულა. მეფის კარზე მაია დახვედრია, მოხუცს თავისი გასაჭირი უთქვამს თუ არა, მაიას მაშინვე შეუკრებია თავისი ამხანაგები, შემსხდარან ცხენებზე და გამოსდგომიან ყიზილბაშებს. მისწევიან ლილოსთან, დაუხოცავთ, გაუთავისუფლებიათ დაყიდული გოგო-ბიჭები, მერე მეფის კარზე მობრუნებულან. მაია წამდგარა მეფის წინაშე და უთქვამს:

მეფეო! ნება ნიბოძეთ, რამდენიმე საჩივარი მოგახსენოთო.

– თქვიო, – მიუგია მეფე ერეკლეს.

– დიდებულო მეფევ ნეტავი როდის შეაშრებათ გლეხებს თვალზე ცრემლები, ნეტავი როდის გადმოხედავს მათ ღმერთი და დაიხსნის ტანჯვისგანო?

– მაგას რად ამბობ, შვილო? – უკითხავს მეფეს.

– რაღა რად, შენი ჭირიმე: გლეხობა განადგურდა და გაწყალდა. ბოროტმოქმედ, კაცთაგან აოხრდა სოფლები. ბატონებმა დაჰყიდეს მთელი სოფლის გლეხობა; ვინც გადარჩა, იმათ კიდე გუთანში, ურემსა და კალოში სულს აძრობენ. ერთი დედაკაცი შეუბამთ კალოში და ის უბედური უღელში მომკვდარა, მოგახსენებთ ამას, მეფევ, გთხოვთ, მოსპოთ ასეთი ავკაცობა და ბოროტმოქმედებაო.

– ბატონებზე საჩივარი, მართალია, ბევრი ისმის, მაგრამ თუ: მე ჩემი თვალით არა ვნახე, აბა, ვის რა და როგორ გადავახდევინო? მე ამგვარი საქმეები მხოლოდ სიტყვით მესმის და საქმით კი ვერასა ვხედავო.

– დიდებულო ბატონო! საქმითაც აი, ერთი მე გახლავართ, მე გულდამწვარი, დაჩაგრული და მშობლებს მოკლებული, მეორე, შენი ჭირიმე, გუშინ თქვენთან მოვიდნენ გლეხები საჩივლელად, რომ ამა და ამ ავაზაკებმა შვილები დაგვიყიდესო; მე თქვენამდე არ მოვუშვი ისინი, შევჯექი ცხენზე, გავიყჟოლე ამხანაგები და წავართგი სპარსელებს დაყიდული გოგო-ბიჭები და აი, ამათაც ახლა წარმოვადგენ თქვენს წინაშე. აი, ესეც დამტკიცებაო.

მეფე ძალიან გაჯავრებულა და გამწყრალა. მეორე დღეს მოუწვევია სასახლეში მღვდელთმთავრები და ჯვარითა და სახარებით შეუჩვენებიათ ავნი კაცნი. ამგვარი საჩივრებით ისე შეუწუხებია მაიას ბოროტმოქმედნი, რომ მათ თავი მოჰბეზრებიათ და გადაუწყვეტიათ: მაია ან მოვკლათ, ან როგორმე მოვაშოროთ მეფესაო. ერთ დღეს მეფეს მაია სადღაც გაუგზავნია. ეს შეუტყვიათ მის მტრებს და გამოსდგომიან უკან; მაგრამ მაიას მდევარი დაუხოცავს და ერთი მათგანისათვის კი უთქვამს:

– შე ოხერო და. შეჩვენებულო! აბა, რა გერგებათ ჩემგან, რომ ჩემი სიკვდილი განგიზრახავთო.

იმას ცბიერად მიუგია: – ჩვენ კი არა, ერეკლეს ნებავს შენი სიკვდილიო, მაიას თავზარი დასცემია. ეჭვი გასჩენია, იქნებ მართლა უნდა მეფეს ჩემი სიკვდილიო. თან გული სტკენია, გადაუწყვეტია: გავშორდები და ყაჩაღად გავალო. თრიალეთისაკენ გადასულა და დაბინავებულა ერთ ტყეში, რომლისთვისაც ხალხს „მაიას საბუდარი“ დაურქმევია, აქედან გამოდიოდა თურმე გზებზე, უსაფრდებოდა გამვლელ-გამომვლელ თავგასულ კაცებს, ხოცავდა და ძარცვავდა მათ. ბოლოს შეუტყვიათ მტრებს მისი ბინა და დაუწყიათ დევნა. მაშინ მაიას დაუტოვებია თავისი საბუდარი და წამოსულა სომხეთისკენ დასახლებულა სოფლად და თავისი ვინაობა დაუფარავს.

ერთ დღეს მეფე მისულა იმ სოფელში, სადაც მაია ყოფილა. ერთი სოფლიდან მეორეში აცილებდნენ თურმე მეფეს სოფლელები, მაიაც გაჰყოლია. ამჟამად უკვე მოხუცებული ყოფილა და მეფეს ვეღარ უცვნია. ხმა იყო გავარდნილი, რომ მაია დიდი ხანია, რაც მოკვდაო. გზაში მეფეს მტერი შემოხვდა. მაიას მეტს თოფ-იარაღი არავის ჰქონია მზად. იმან კი თურმე ჯერ თოფი ესროლა მტერს, მერე კი ხმალდახმალ მიუხდა, ამისს მხილველთ, სხვებსაც გული მისცემიათ, გამხნევებულან, შებმიან მტერს და გაუმარჯვნიათ.

მეფეს უკითხავს მაიასათვის:

– შენ, ძმობილო, ვინა ხარ ეგეთი გმირიო?

– ბატონისაგან გამოდევნილი მათე გახლავარო, თქვენ მოსაკლავად დამდევდით და აი, ახლა თქვენს ხელთა ვარ, გნებავთ მომკალით, გნებავთ დამარჩინეთ. მე ისეთ დროს ვეძებდი, რომ პირისპირ მენახეთ, ჩემს ყაჩაღობაში დამნაშავე არა ვარ, თქვენ მიერ გამოგზავნილი მდევარი დავხოცე და თავი გადავირჩინე. ამის შემდეგ აბა, როგორღა მოვსულიყავ თქვენთანა – ჩემი ბრალია, თრიალეთში აქამდე ხალხი რომ იძარცვებოდა. ამასთანავე ვაცხადებ დიდებული მეფის წინაშე, რომ მე ვარ დედაკაცი და არა მამაკაცი. მეფეცა და მისი მხლებელნი თავადნიც განუცვიფრებია ამ სიტყვებს და უპატიებიათ დანაშაული. მაშინ მაიას გაუხდია კაცური ტანისამოსი და ჩაუცვამს ქალური; მაგრამ დიდხანს აღარ დასცლია სიცოცხლე. სპარსელები შემოსევიან საქართველოს, მაიაც გარევია ქართველთ ლაშქრობაში, ქალური ტანისამოსი სცმია. სპარსელებს გაჰკვირვებიათ მისი მამაცობა და ხანებს უბრძანებიათ ცოცხლად მისი დაჭერა. მართლაც, დაუტყვევებიათ და თან წაუყვანიათ; მაგრამ მაია გზიდან გამოპარულა და ერევნის ბოლოს მოუკლავთ.

/დიმიტრი ჯანაშვილი, „ისტორიული. სურათები, „ივერია“, 1882. №212/.

თინა ფარსმელი

თუში თინას თავგადასავალი ლეკთა თარეშის ხანას მიეწერება. ხალხის გადმოცემით, ფარსმის ციხე და მასში მყოფი თუშის შვილები თინასთან ერთად მედგრად ებრძოდნენ ლეკთა მარბიელ ბრბოებს. ამ ბრძოლაში დაიღუპა თინა, მაგრამ მტერიც დამარცხდა და ზეპირსიტყვიერების თანახმად: თინას მიერ დამარცხებული მურთაზი თავისი ჯარით ქაჩუსუს ღელეს ჩასტირის, როგორც თმიანი ქალი.

თინას გმირული თავდადებისა თუ მისი ვინაობისა და ცხოვრების შესახებ სხვა ცნობები არ მოიპოვება. /თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი ქალები ქორიძე, დავით. 1961. გვ. 38/.

მარიხა

ძალიან დიდი ხნის წინ ბეჩოში, უშბის მწვანე ფერდობზე ცხოვრობდა ქალი სახელად მარიხა. მარიხა დაკავებული იყო მეხორბლეობით – ბეჩოელები ახლაც გაჩვენებენ მისი

ნაყანობის კონტურებს. ხოლო ქვემოთ ველზე იდგა ბეჩოს წმინდა გიორგის ეკლესია, რომლის ნანგრევები ახლაც არის შემორჩენილი.

ერთხელ მარიხამ დაინახა, რომ კავკასიონის ჩრდილოეთი მხრიდან სვანეთის მიმართულებით ურიცხვი მტერი მოდის. მარიხა გაიქცა ველზე მდგარი წმინდა გიორგის ეკლესიისაკენ. შევიდა ეკლესიაში და წმინდა გიორგის ხატს ნაჭრის გადასაფარებელი მოხსნა, რისი გაკეთების უფლება ქალებს განსაკუთრებული შემთხვევების გარდა არ ჰქონდათ.

მარიხამ მიმართა წმინდა გიორგის ხატს: მძლავრო და დაუმარცხებელო, რატომ უნდა დაუშვა საშინელი უბედურება? ნუთუ შენ ვერ ხედავ, რომ ურიცხვი მტერი გვიახლოვდება. ისინი ყველა ოჯახს დაარბევენ და შენს ეკლესიასაც არ დაინდობენ, ტყვედ აიყვანენ ჩვენს ქმრებს და ნამუსს ახდიან ქალებს.

მარიხამ შეძლო წმინდა გიორგის დარწმუნება, ის გადმოვიდა ხატიდან თავისი თეთრი ცხენით და შუბით. სასწრაფოდ გაექანა მოახლოებული მტრისაკენ და რა თქმა უნდა გაანადგურა ურიცხვი მტერი. შებრძოლების ადგილზე დენა დაიწყო წითელმა წყაროებმა.

ამ ლეგენდას აქვს გაგრძელება, რომლის თანახმად მტერთან ბრძოლის დროს წმინდა გიორგის ცხენი დაიღალა და წმინდა გიორგის წყალი სთხოვა. წმინდა გიორგიმ შუბის წვერი ბრტყელ მრგვალ ქვას ჩაარჭო და იქიდან კამკამა წყარომ დაიწყო დენა. ყველა სვანი, რომელიც ამ წყაროს გვერდს ჩაუვლის, თავს მოვალედ თვლის მის სიახლოვეს ერთი კენჭი დადოს. ამ ქვებისაგან პატარა მთებია გაზრდილი. /Зинаида Рихтер Кавказ наших дней 1923–1924. С. 24/.

თამრო ვაშლოვნელი

თამროს დედა მალე მოუკვდა და მამამისმა მეორე ცოლი შეირთო. მამაც რომ გამოესალმა ამ წუთისოფელს, ბატონმა თამრო ვიღაც გადამთიელს მიჰყიდა; მაგრამ თამრომ თვითონვე დაიხსნა თავი. მამის ოჯახში რომ დაბრუნდა, გამოიარა ერთ ტყეში, საცა დათვი დახვდა წინ და დაეჭიდა, უშიშარმა გმირმა ქალმა მოკლა დათვი და დაიხსნა თავი მეორე განსაცდელიდან. თამრო სოფელ ვაშლოვანს ცხოვრობდა თავისუფლად. იმას ახლა ბატონი აღარ ჰყავდა, რადგან ტყვეობიდან ვინც თავს იხსნიდა, მეფის კანონისამებრ, თავისუფალი იყო.

თამრო ყოფილა სასტიკი და გაუტეხელი, მეხი დედაკაცი, რის გამოც მისი სახელი განთქმულა საქართველოში. სოფელში უიმისოდ არა კეთდებოდა რა.

ერთხელ, ვაშლოვანს თათრები დასცემიან. აუკლიათ სოფელი, დაუნგრევიათ ეკლესიები და მცხოვრებნი ტყვედ წაუყვანიათ. თამრო გამოსდგომია თათრებს, დასწევია თავისი რაზმით და საკვირველი გმირობა გამოუჩენია. მტერი ძლიერ დაუმარცხებია და გაუთავისუფლებია ქართველი ტყვეები.

ეს ამბავი მეფეს რომ შეუტყვია, ძლიერ დიდის მადლობით უთქვამს თამროსათვის:

- ოჰ, შვილო! შენ გენაცვალოს ჩემი მოხუცი თავი, რომ შენის მაგალითით კაცებიც გამხნევდნენო. მერე მიუცია მისთვის და მისი ამხანაგებისთვის ტყვია-წამალი და ერთ ზარბაზანსაც დაჰპირებია.

თამროს თავის რაზმში ბევრი მეომარი ქალიც ჰყოლია. ერთ ღამეს ლეკები დაეცნენ ვაშლოვანს. თამრო თავისი რაზმით მედგრად შეებრძოლა და განდევნა კიდეც.

ამ ამბავზე არის ნათქვამი ლექსი:

ლეკები სულ გავაქციეთ მთვარიანი ღამითაო,
უკან თამრო გამოუდგა გალესილი ხმალითაო.

არ გასულა ამ ამბის შემდეგ დიდი ხანი და ხმა დავარდნილა: ვაშლოვანს თათრები უპირებენ დაცემასო. თამროს მაშინვე შეუხიზნავს მცხოვრებნი საფარში, თვითონ შეუიარაღებია ხალხი და ჩასაფრებია მტერს ერთ ვიწრო ხეობაში. თათრების მოახლოებისას გამოსულა თავისი ლურჯათი და გაუქროლებია ხევის პირას. თათრები დასდევნებიან უკან და შესულან ვიწრო ხეობაში; მაშინ ჩასაფრებულ ქართველებს დაუშენიათ თოფები და მრავალი მათგანი მოუკლავთ. ამ დროს თამროც გამობრუნებულა და ერთობლივ მეხსავით დასცემიან მტერს, დაუხოცავთ და წაურთმევიათ სოფლების დარბევაში ნაშოვნი დავლა. ხალხსა და მეფეს თამროსთვის დიდი მადლობა უთქვამთ.

ერთ ავ აზნაურს მისი დიდება და ქება შეშურებია და ქვეყნის ღალატი შეუწამებია. მეფეს პირში წაუყენებია მაბეზღარი თამროსათვის, თამროს დაუმტკიცებია თავისი ერთგულება სამშობლო ქვეყნისა და მტრობა და ღალატი თვით იმ მაბეზღარა აზნაურისა. მაშინ მეფეს უთქვამს თამროსათვის:

წადი, შვილო თამრო, ეცადე შენი მაგალითით მამაკაცებიც გაუერთგულო სამშობლო ქვეყანასო. ამ დროს მეფესთან ყოფილან თავადები და რადგან მოსწონებიათ თამროს

ახოვანება, უთხოვიათ, აი, იმ ფალავანს დაეჭიდეო. თამროს უარი არ უთქვამს, დასჭიდებია და დაუმარცხებია ეს ფალავანი, ფალავნობამ თამროს ბევრი მტერი გაუჩინა. ამიტომ დამალულა და არავის ეჩვენებოდა. თამროს დიდხანს უმალავს თავი, მაგრამ ბოლოს ისევ გაუმჟღავნებია ერთი გლეხის უბედურებას.

ერთხელ, მტირალი და მეფესთან საჩივლელად მიმავალი გლხი უნახავს თამრო მისულა მეფე ერეკლესთან და უჩივლია ხალხის მწვალებლებზე. მეფეს ძლიერ სწყენია ბოროტმოქმედება ბატონებისა, დაუბარებია ისინი და ძლიერ დაუტუქსავს. ასე დაუხსნია გლეხების ოჯა– ხები უბედურებისაგან, მაგრამ თვითონ გადაუმტერებია ბატონები. ერთ დღეს დაუჭერიათ თამრო მათგან მოგზავნილ კაცებს, წაუყვანიათ და მდინარე მტკვარში ჩაუგდიათ. თამროს აქ ბევრი უწვალია და ბოლოს ერთ ბურჯზე წყალს რომ მიუხეთქებია, უხმარია უკანასკნელი ძალა და ასულა იმ ბურჯზე, მაგრამ იქიდან სისუსტის გამო ვეღარ ჩამოსულა და მშიერ-მწყურვალს სული განუტევებია. გასულა რამდენიმე ხანი. მეცხვარეს უნახავს; შეუტყობინებია სოფელში, გლეხებს ჩამოუღიათ მისი ყვავ-კაჭკაჭებისაგან დაწიწკნილი და შეჭმული გვამი და დიდის პატივით დაუსაფლავებიათ თრიალეთის ეკლესიაში, ამაზე არის ნათქვამი ლექსი:

თრიალეთს დიდსა საყდარში თამარი ასაფლავია,
მისებრ ერთგული, მამაცი ჩვენ არ გვყოლია ქალია.
თამარსა ვაშლოვანელსა, ვაშლი უდგია თავსაო,
რიგი მწიფს, რიგი ყვავილობს მისი საფლავის გარსაო.
დამტირებელი არა ჰყავს, ნეტარება მის გვარსაო.

/ხალხური სიბრძნე. 1964. ტ. III/.

ბულბულა ქვიშხეთელი

ქვიშხეთიდან 2-3 კილომეტრში მტკვრის ხეობაში ატყორცნილია მაღალი მთა, რომელზეც დიდი ციხე კოშკია აგებული. შიგნით ვეებერთელა ქვევრებია ჩაყრილი.

სოფლიდან კოშკამდე მივყავართ ერთ გზას, რომელსაც ხალხი ლეკის გზას უწოდებს. ციხის ხელში ჩაგდების მიზნით, ეს გზა ლეკებს გაუყვანიათ.

ერთხელ ლეკთა დიდი ბრბო დაესხა სოფელს. მტრის წინააღმდეგ ბრძოლის მეთაურობა ქალმა ბულბულა ქვიშხეთელმა ითავა. მან სასწრაფოდ შეადგინა დამცველი რაზმი, მცირე ხნით მოიგერია ლეკთა იერიში და ხალხი დიდძალი სანოვაგით ციხე კოშკში დააბინავა.

ციხეს ჰქონდა საიდუმლო გვირაბი, საიდანაც კოშკში სასმელი წყალი შეჰქონდათ.

ბულბულა თავისი რაზმით კოშკიდან უთვალთვალებდა მოახლოებულ ლეკებს.

მტერი ყოველ ღონეს ხმარობდა, მაგრამ ციხეში მაინც ვერ შედიოდა. ეძებდა საიდუმლო გზას, წყალსადენს, მაგრამ ამაოდ.

ბოლოს დაიჭირეს სახედარი, მოაწყურეს და ციხე კოშკის გარშემო რამდენჯერმე შემოატარეს იმ იმედით, რომ სადმე წყალს სეიგრძნობს და გაჩერდებაო.

ასეც მოხდა. ნიადაგი გათხარეს და წყლის მილები ამოყარეს.

ციხეში შეხიზნულთ უწყლოდ გაუჭირდათ და იძულებულნი გახდნენ წყლის სათავის აღსადგენად ვინმე გაეგზავნათ.

სათავის აღდგენა ბულბულა ქვიშხეთელმა იკისრა. სასწრაფოდ გამოვიდა ციხე კოშკიდან და მალულად გასწია წყლის სათავისკენ.

ჩასაფრებულმა ლეკებმა ქალი შეიპყრეს, ციხეში შესასვლელი გზის სწავლება მოსთხოვეს და სიცოცხლის შენარჩუნება აღუთქვეს.

ბულბულამ მოძალადეებს ციხეკოშკამდე მისასვლელი შორი გზა ასწავლა. მტერი დაადგა ბულბულას ნასწავლ გრძელ გზას. ქალი კის სასწრაფოდ მივიდა წყლის სათავესთან, გაასწორა მილები და ციხისაკენ მოკლე გზით გაიქცა.

გაქცეული ბულბულა ლეკებმა შენიშნეს და გზა გადაუღობეს. ბულბულა ლეკთა ბრბოს გაუძალიანდა, მაგრამ ნაკუწ ნაკუწ აქციეს.

გავიდა ხანი, ხალხმა გმირი ქალის პატივსაცემად ციხე კოშკსა და სოფელს ბულბულა შეარქვა.

თუ რა გვარი იყო ეს გმირი ქალი, ამაზე ხალხური სიტყვიერება არაფერს გვამცნობს. /ბულბულა ქვიშხეთელი. ეთნოგრაფიის ბლოკნოტიდან. დ. ქორიძე სოფლის ცხოვრება. – თბილისი, 1965. №197/.

ხვამლის მთა

შუა ლეჩხუმში, რიონისა და ცხენისწყლის ხეობათა შორის, აღმართულია კლდოვანი მთა ხვამლი. იგი ისე დიდია და მაღალი, რომ შავი ზღვის სანაპიროდანაც მოჩანს.

ქართველ მეფეებს, შიშიანობისა და მძიმე განსაცდელის ჟამს, სახელმწიფო განძის ერთ-ერთ საიმედო საცავად ხვამლი ჰქონდათ.

ხვამლის მიდამოებში ექვსი გამოქვაბულია. მთავარი გამოქვაბული, სადაც განძეულს ინახავდნენ, შუა კლდეში, ძირიდან ასი მეტრის სიმაღლეზეა გაჭრილი. კლდეს სულ 250 მეტრი სიმაღლე აქვს. კლდის თავი გადმოწეულია წინ. გამოქვაბული შეღრმავებაშია და მიუვალია. გამოქვაბულში ხელოვნური ნაგებობანიც არის და წყაროც გამოდის.

მთავარ ციხე-გამოქვაბბულში მაღლიდან ხვრელით ჩასვლა არ შეიძლებოდა, ერთადერთი მისადგომი გზა გვერდით, წინა მხარეს იყო მიშენებული და მეციხოვნეები შიგ კლდე-ბილიკით შედიოდნენ. სავალი მათ თოკ-ჯაჭვებით ჰქონიათ მოწყობილი. ახლა ამ კლდე-ბილიკის კვალიც აღარ ჩანს.

მწვერვალზე ფართო დავაკებაა, ზოგან ნაპრალებია და თოვლს ზამთარშიც არ იღებს.

ხვამლში ვეებერთელა წყარო გადმოჰქუხს. იგი ხან რიონს უერთდება ტვიშის კლდეკართან, აქ ვერძისთავა ჰქვია, ხან ოყურეშისაკენ ცხენისწყლის მარცხენა შენაკადად გადავარდება და რაჩხა ეწოდება.

წინათ ამბობდნენ, ხვამლის კლდეში გველვეშაპი ცხოვრობსო. იგი უკვდავიაო, კლდის ნაჟურს ლოკავს, ხან ერთ გვერდზე წევს და ხან მეორეზეო.

როცა აღმოსავლეთისაკენ გადაბრუნდება. ვერძისთავა დაიკეტება, თუ დასავლეთისაკენ მიიბრუნებს პირს, რაჩხა დაშრებაო.

/მთქმელები ანთიმოს ჩარკვიანი ივანე ყურაშვილი,

სოგრატ ასათიანი, პეტრე ჭაბუკიანი. ჩაწერილია 1951 წელს ლეჩხუმში მიხეილ ალავიძის მიერ/.

სამართალმცოდნეობა

ლალი ჩოდრიშვილი

რატომ უნდა მივმართოთ მედიაციას

მედიაცია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმია. აღნიშნული შესაძლებელს ხდის დავის გადაწყვეტას სასამართლოს გარეშე. შესაბამისად, ყოველთვის მაქვს კითხვა, რატომ აქტიურად არ ირჩევენ მედიაციას მხარეები, რომლებიც დავის გადასაწყვეტად მიმართავენ სასამართლოს და შემდეგ ხანგრძლივად, შეიძლება წლებიც, ელოდებიან საქმის განხილვას. სამოქალაქო დავები ყველაზე მრავალფეროვანი და მოცულობითია, მაგრამ არის საქმეების კატეგორია, რომლებიც მედიაციის განხილვის საგანი შეიძლება იყოს, თუმცა მხარეები ამ გზას არ მიმართავენ. ჩემთვის, როგორც მედიატორისთვის, ცნობილია სასამართლო მედიაციაზე მიმართვიანობის ზოგადი სტატისტიკა და მაგალითად, კახეთში მხოლოდ ერთი სასამართლო მედიაციაა დაფიქსირებული. ამიტომ მედიაციით დაინტერესების მიზნით, მინდა მედიაციის უპირატესობებზე მოგახსენოთ.

საქართველოს კანონი მედიაციის შესახებ 2019 წლის სექტემბრიდან მოქმედებს და მისი მოქმედება ვრცელდება მედიაციის თაობაზე შეთანხმების საფუძველზე წარმართულ მედიაციაზე, აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXI[1] თავით განსაზღვრულ სასამართლო მედიაციაზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თავისებურებათა გათვალისწინებით.

ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სანოტარო მედიაციაზე, „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სანოტარო მედიაციაზე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებულ მედიაციასა და კოლექტიური დავის განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ გათვალისწინებულ მედიაციაზე.

ტერმინი „მედიაცია“ საერთაშორისო დონეზე არ სარგებლობს ერთი სამართლებრივი სტანდარტით. მისი ვარიაციები რეგულირებულია ქვეყნის შიდაკანონმდებლობით. სწორედ აღნიშნულის გამო, მედიაციის მრავალ ფორმას შევხვდებით. დოქტრინაში არსებული შეხედულებით, ძირითადად, მედიაციის ორ ფორმას გამოყოფენ. პირველი- ქვეყნები, სადაც მედიაცია მკაცრად რეგულირებული და მეორე, ,ვიწრო რეგულირების მომხრე ქვეყნები, რომლებიც თვლიან, რომ ზედმეტი რეგულაციები ბოჭავს ინსტიტუტის განვითარებას. ამასთანავე, გამოყოფენ მედიაციის ბუნებასაც. პრაქტიკაში ძირითადად ვხვდებით კერძო მედიაციას, სასამართლო მედიაციასა და სასამართლოსთან დაკავშირებულ მედიაციას. კერძო მედიაცია სწორედ იმით განსხვავდება დანარჩენებისგან, რომ მას არანაირი შემხებლობა არ აქვს სასამართლო სისტემასთან და უფრო მეტიც, დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით სარგებლობს. ამ ნიშნით, შესაძლოა კერძო მედიაცია პრიორიტეტულადაც ჩავთვალოთ.

აქცენტს გავაკეთებ სასამართლო მედიაციაზე, რომლის პრაქტიკული გამოცდილებაც მაქვს. სასამართლო მედიაცია ვრცელდება სამოქალაქო საქმისწარმოებაზე. მედიაციისათვის დავის გადაცემა შესაძლებელია სასამართლოს მიერ საქმის წარმოებაში მიღების შემდეგ. სასამართლო მედიაციის ორი ფორმა არსებობს: ნებაყოფლობითი და სავალდებულო. ნებაყოფლობითი მედიაციის ფარგლებში, მხარეთა თანხმობით ნებისმიერი სამოქალაქო დავა შეიძლება გადაეცეს სასამართლო მედიაციას. სავალდებულო მედიაცია შემდეგი კატეგორიის დავებზე ვრცელდება: 1. საოჯახო ურთიერთობები, როგორიცაა განქორწინება, ალიმენტის დაკისრება, მეუღლეთა თანასაკუთრება, შვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა და ა.შ. (გარდა შვილად აყვანასთან,

შვილად აყვანის ბათილად ცნობასთან, შვილად აყვანის გაუქმებასთან, მშობლის უფლების შეზღუდვასთან, მშობლის უფლების ჩამორთმევასთან, აგრეთვე ქალთა მიმართ ძალადობასთან ან/და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული დავებისა); 2. სამემკვიდრეო დავები; 3. სამეზობლო დავები; 4. შრომითი დავები (გარდა საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი" გათვალისწინებული კოლექტიური დავისა) 5. საზიარო უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებულ დავები; 6. ქონებრივი დავები, თუ დავის საგნის ღირებულება 20 000 ლარს არ აღემატება; 7. საქართველოს საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების მიერ დადებული სესხის ხელშეკრულებებიდან (მათ შორის, ელექტრონული ფორმით დადებული სესხის ხელშეკრულებებიდან) გამომდინარე დავები, თუ დავის საგნის ღირებულება 10 000 ლარს არ აღემატება; 8. არაქონებრივი დავები.

მედიაცია ეფუძნება მხარეთა ნებაყოფლობითობის (გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა), თვითგამორკვევის, კეთილსინდისიერებისა და თანასწორობის, კონფიდენციალურობის დაცვის, მედიატორის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს. მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას წარმოშობილი საკითხები, რომლებიც ამ კანონით არ არის მოწესრიგებული, აღნიშნული პრინციპების საფუძველზე უნდა გადაწყდეს.(მუხლი 3. მედიაციის წარმართვის პრინციპები)

მედიაციის მიმდინარეობისას მიუკერძოებელი მესამე მხარე – მედიატორი ეხმარება მხარეებს კონფლიქტის მოგვარებაში. მედიაციის პროცესში ყველა მონაწილე აქტიურადაა ჩართული. პროცესი ორიენტირებულია მხარეების საჭიროებებზე, მათი ინტერესების გათვალისწინებაზე. მედიატორი იყენებს არაერთგვაროვან ტექნიკას, არავერბალურ კომუნიკაციას, სხვადასხვა მეთოდს, რათა პროცესი კონსტრუქციულად წარმართოს. იგი წარმართავს მხარეთა ურთიერთობას და ცდილობს, დაამყაროს ღია და გამჭვირვალე დამოკიდებულება მოდავე მხარეებს შორის. მედიატორი ნეიტრალური პირია, რაც ნიშნავს, იმას, რომ მის ქმედებაში არ უნდა იკვეთებოდეს მიკერძოებისა და სუბიქტურობის ელემენტი. მაგ: მას არ შეუძლია მხარეებს მიუთითოს რაიმე ქმედების განხორციელებაზე, ან მისცეს მხარეებს რჩევები.(მაგ: „თქვენ უნდა გააკეთოთ".. ან „არ შეიძლება გააკეთოთ"...). მედიაციის პროცესის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე სწორედ მედიატორიაა, ვინაიდან, მასზეა დამოკიდებული კონფლიქტის მოგვარების საკითხი. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მედიატორის კომპეტენცია პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე ელემენტია. ის თუ როგორი უნდა იყოს მედიატორი, რა უნარებსა და გამოცდილებას უნდა ფლობდეს, ყოველი სახელმწიფოს დისკრეციაა, ვინაიდან, საერთაშორისო რეგულირება ვალდებულებისა და შებოჭვის სახით არ არსებობს. ჩვენი კანონმდებლობით განსაზღვრულია მედიატორის შერჩევის დროს გასათვალისწინებელი გარემოებები (მუხლი 5). მედიატორის მიუკერძოებლობა მნიშვნელოვანია,რადგან შესაძლებელია პასუხისმგელობის საკითხი დადგეს მედიატორის კონფიდენციალურობის პრინციპის დარღვევისას. ასევე, პასუხისმგელობა შესაძლოა გამომდინარეობდეს ხელშეკრულებიდან, კონკრეტულად კი ხელშეკრულების რომელიმე პირობის დარღვევისას, პასუხისმგებლობის წარმოშობა უკავშირდებოდეს მედიატორის სუბიექტურობას, როცა მედიატორი მოქმედებს მხოლოდ მისი ინტერესის შესაბამისად და გავლენას ახდენს მედიაციის პროცესზე ა.შ. მიუხედავად პასუხისმგებლობის საკითხის ჰიპოთეტური შესაძლებლობისა, პრაქტიკულად, მსგავსი შემთხვევები ძალიან იშვიათია. სასამართლომდე ძირითადად, მსგავსი საქმეები არ მიდის. საერთაშორისო არეალზე მსგავსი ვითარება დადგა მხოლოდ ერთ შემთხვევაზე (რა ინფორმაციაც ვნახე), რომელიც ავსტრალიის სასამართლომ განიხილა.

მედიაციის უპირატესობები სასამართლოსთან შედარებით:

ღირებულება და დრო -გამომდინარე იქიდან, რომ მედიაცია მოქნილი პროცესია, ის ნაკლებ დროს საჭიროებს. სასამართლო, როგორც წესი, გადატვირთულობის მაღალი ინტენსივობით ხასიათდება, რაც ნიშნავს იმას, რომ ხშირად საბოლოო გადაწყვეტილებამდე წლობით ლოდინია საჭიროა. წინამდებარე ასევე მიუთითებს სასამართლო პროცესში განგრძნობადი საჭიროების მატერიალურ რესურსზე. სასამართლოსთან შედარებით, მედიაცია დინამიური პროცესია, რო-

გორც წესი, თეორიულად, მცირე დროის პერიოდის განმავლობაშიც შესაძლოა შედგეს მორიგება მოდავე მხარეებს შორის და დასრულდეს მედიაციის პროცესი. წინამდებარე მიუთითებს ხარჯების ნაკლებობაზეც. მედიაცია არ ადგენს მაქსიმალურ ვადას, რომლის პერიოდში მხარეები უნდა მორიგდნენ. ასეთ კონდიციაში მხარეს შეუძლია კონსენსუსზე არ წასვლის გზით გააჭიანუროს პროცესი. თუმცა ეს ვადა ვერ იქნება 90 დღეზე მეტი. მოქმედი კანონით, სასამართლო მედიაციის ვადაა არაუმეტესი 90 დღე.

კონფიდენციალურობა – სასამართლო დავები საჯაროა, გარდა საგამონაკლისო შემთხვევებისა. სასამართლოსგან განსხვავებით, მედიაცია ყოველთვის კონფიდენციალურობით ხასიათდება. კონფიდენციალურობა იმდენად მნიშვნელოვანია მედიაციის პროცესში, რომ საკანონმდებლო ბაზაზე გაწერილია მედიატორისა და მხარეების ვალდებულებები. ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც ცნობილი გახდა მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას, კონფიდენციალურია. ამასთანავე, მედიაციის მონაწილეებს არ აქვთ უფლება წინამდებარე ინფორმაცია გამოიყენონ სასამართლო პროცესზე ან თუნდაც საარბიტრაჟო განხილვის დროს. კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით საინტერესო საკითხია მედიატორის ვალდებულება მხარისგან მაგ:დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებაზე, მაგრამ ეს საკამათო თემაა და აქ არ განვიხილავთ.

მხარეთა ჩართულობა – გარდა იმისა, რომ მედიაცია კონფიდენციალური და ნებაყოფლობითი პროცესია. სესიები ტარდება ნეიტრალურ და ნაკლებად ფორმალურ სივრცეში, სადაც მხარეებს თავისუფლად შეუძლიათ გამოხატონ თავიანთი საჭიროებები და ინტერესები, განიხილონ საკითხის მოგვარების მათი ხედვები მათთვის მნიშვნელოვანი ურთიერთობების შენარჩუნებისა და კონფლიქტის ეფექტიანი მოგვარების მიზნით. სასამართლოში პროცესის მიმდინარეობისას მხარეებს ნაკლებად აქვთ შესაძლებლობა ნებისმიერ დროს გამოხატონ თავიანთი მოსაზრება თუ დამოკიდებულება, მედიაციის პროცესი კი სრული მოცულობით ორიენტირებულია მხარეთა ინტერესებზე, რაც ცხადყოფს პროცესში ჩართულობის მაღალ ხარისხზე. მედიაციის ერთ-ერთი უპირატესობა მხარეებს შორის ურთიერთობის ბალანსირებაა. თუ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მხოლოდ ერთი მხარისთვის არის სასარგებლო და ხელსაყრელი, მედიაციის პროცესს ორივე მხარის ინტერესი გასდევს ლაიტმოტივად. მედიაციის პროცესის ძირითადი მიზანი ორივე მხარისთვის მისაღები გადაწყვეტილების მიღებაა. სამედიაციო შეთანხმების შესრულება შესაძლებელია ნებაყოფლობით ან სავალდებულო აღსრულების წესით. სამედიაციო შეთანხმებას შეიძლება სასამართლოს გადაეცეს დასამტკიცებლად მასზე სააღსრულებო ფურცლის გაცემის მიზნით. მედიაციის წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში, მხარეებს უფლება აქვთ დავა განაგრძონ სასამართლოსა ან არბიტრაჟში.

მედიაციის უარყოფითი მხარედ შეიძლება დასახელდეს ის, რომ მედიაცია არ ვრცელდება ყველა ტიპის დავაზე. კანონმდებლობით გაწერილია ის მოცემულობა, რაც ზემოთ აღვნიშნე და რომლის ფარგლებში მხარეს შეუძლია ლავირება. თუმცა აქაც არის გამოსავალი და ნებაყოფლობითი მედიაციის ფარგლებში, მხარეთა თანხმობით ნებისმიერი სამოქალაქო დავა შეიძლება გადაეცეს სასამართლო მედიაციას.

მოკლედ თუ შევაჯამებთ, მედიაცია დავის ალტერნატიული გზით გადაწყვეტის და ეფექტური შედეგის მიღების შეუცვლელი საშუალებაა.

ეკონომიკა



ვალერი მოსიაშვილი
ეკონომიკის დოქტორი. პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

ბელა ნადოიანი
ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი.
ბაკალავრიატი.
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

ბიზნესის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ალტერნატიული გზების შესახებ
ABOUT ALTERNATIVE WAYS OF STATE SUPPORT FOR BUSINESS

აბსტრაქტი. მცირე ბიზნესის როლისა და ადგილის განსაზღვრა ეროვნულ ეკონომიკაში ყოველთვის იყო მეცნიერული კვლევის ინტერესის სფერო. მისი მნიშვნელობის შესწავლას ქვეყნის ეკონომიკაში არაერთი სამეცნიერო თუ პრაქტიკული ხასიათის კვლევა მიეძღვნა, რომელთა უმეტესობაში მოცემულია მცირე ბიზნესის როლი ეკონომიკისათვის, მისი დადებითი ეფექტები და გავნითარების პერსპექტივები, სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ღონისძიებები. მიუხედავად იმისა, რომ მცირე ბიზნესის სტიმულირების მიმართულებით სახელმწიფოს მხრიდან არაერთი მნიშნელოვანი პროექტი განხორციელდა და კვლავ მიმდინარეობს აქტური მუშაობა ამ კუთხით, სასურველია არსებული რესურსების კიდევ მეტად ეფექტურად გამოყენება.

ჩვენს კვლევაში შევისწავლეთ საქართველოში მცირე ბიზნესის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ღონისძიებების ძირითადი მიმართულებები, როგორც ინსტიტუციონალური, ასევე ფინანსური კუთხით. გავაკეთეთ ავტორისეული ანალიზი და შეფასება. კვლევამ აჩვენა, რომ ის ღონისძიებები, რომელიც ბოლო პერიოდში ტარდება ხელისუფლების მიერ, დაფუძნებულია მსოფლიო საუკეთესო პრაქტიკაზე და უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში მცირე მეწარმეობის განვითარება. მიუხედავად პროექტების განხორციელებით მიღებული დადებითი ეფექტებისა, ვფირობთ ეს არასაკმარისია და შესაძლებელია არსებული მხარდაჭერის პროგრამებით (ფინანსური რესურსით) კიდევ მეტი შედეგის მიღება, თუნდაც მოკლევადიან პერიოდში. ამის ერთ-ერთი წინაპირობაა შევისწავლოთ რამდენად მზად არის მცირე ბიზნესი ეფექტურად გამოიყენოს სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული პროექტები, ადგილი ხომ არ აქვს ფინანსური დახმარებების არაეფექტიან ან „არამიზამნინართულ“ გამოყენებას და როგორ ხედავს მსგავსი პროექტების განვითარების პერსპექტივას, რა მიმართულებების დაფინანსებას/ხელშეწყობას თვლის პერსპექტიულად.

კვლევის განხორციელებისას ჩვენს მიერ შერჩეული იქნა ფოკუს ჯგუფი, ბიზნესის სხვადასხვა სფეროში დაკავებული მეწარმეები, როგორც დედაქალაქიდან ასევე რეგიონებიდან. კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა – მცირე ბიზნესი როგორ არის ინფორმირებული სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ღონიძიებების შესახებ, რა მასშტაბით იღებს მონაწილეობას, რა მიმართულებით არის მისაღები შემდგომი პროექტების განხორციელება, რა კუთხით ამჯობინებენ დახმარებას/მხარდაჭრას. პირველადი ინფორმაციის მოძიებთ, თვისებრივი კვლევის შედეგად გავაკეთეთ არგუმენტირებული დასკვნები და რეკომენდაციები, რა სახის ცვლილებები უნდა განხორციელდეს (როგორც ფინანსური ასევე ინსტიტუციონალური კუთხით), მცირე ბიზნესის მხარდაჭერის სახელმწიფოებრივი ღონისძიებების ოპტიმიზაციის უზრუნველსაყოფად.

საკვანძო სიტყვები: მცირე ბიზნესი, ეროვნული ეკონომიკა, მეწარმეობა, ეკონომიკური ზრდა, ინვესტიცია.

Abstract. Determining the role and place of small business in the national economy has always been an area of interest for scientific research. Numerous scientific and practical studies have been dedicated to examining its significance within the nation's economy, most of which encompass the role of small businesses in the economy, their beneficial impacts, and the potential avenues for influence, including government support measures. Although the state has undertaken a number of important projects in the direction of stimulating small business and active work is still being carried out in this regard, it is preferable to enhance the efficiency of utilizing existing resources.

In our research, we studied the principal aspects of state support measures for small businesses in Georgia, examining them from both institutional and financial perspectives. We conducted an analysis and evaluation from the author's perspective. The research showed that the recent measures taken by the government are based on world best practices and should ensure the development of small entrepreneurship in the country. Despite the positive effects obtained by the implementation of the projects, we believe that this is insufficient and it is possible to achieve further outcomes with the existing support programs (with financial resources), even in the short term. To facilitate this, it is essential to examine the readiness of small businesses to efficiently utilize state-offered projects. It is crucial to assess whether there are instances of ineffective or misguided utilization of financial assistance, as well as to gauge their perspective on the future prospects of similar initiatives. Additionally, exploring the directions they perceive as promising for funding and support is crucial.

Throughout the research, we carefully selected a focus group comprising entrepreneurs from diverse business sectors, including both those based in the capital and those in regional areas. Our aim was to investigate the level of awareness among small businesses regarding state support measures, their extent of participation, preferred areas for future project implementation, and their preferences for assistance and support. Through an in-depth qualitative research approach, we gathered primary information and came to solid conclusions and offered practical recommendations based on our research findings. These findings highlight the necessary changes, encompassing both financial and institutional perspectives to optimize state support measures for small businesses.

Keywords: Small Businesses, National economy, Entrepreneurship, Economic growth, Investment.

შესავალი. საქართველოში მცირე მეწარმეობა ეტაპობრივად, შესაძლოა არც თუ ისე მაღალი თემპით, მაგრამ ვითარდება. სექტორის განვითარებაში საკმაოდ სოლიდურია სახელმწიფო მხარდაჭერის როლი, რომელიც სამეწარმეო გარემოს ოპტიმიზაციას საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რეალური სგაგრანტო პროექტებით ცდილობს (სრული ან/და ნაწილობრივი დაფინანსება) არსებული ბიზნესის სტიმულირებას და დამწყებთათვის სასტარტო პირობების შექმნა-ხელშეწყობას.

მცირე მეწარმეობა რომ მნიშვნელოვანი სექტორია ეროვნული ეკონომიკისთვის ამაზე ისიც მეტყველებს, რომ დასავლეთის, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) სოლიდური (რიგ შემთხვევაში უმეტესი) ნაწილი იქმნება, კიდევ დიდი დასაქმებულთა რიცხოვნობა, 2022 წლის Eurostat-ის მონაცემებით არსებული 30.1 მლნ სწარმოდან (155 მლნ დასაქმებული), 98% მიკრო და მცირე საწარმოა (დასაქმებულთა დაახლოებით 49%) (https://ec.europa.eu/eurostat უკანასკნელი ვიზიტი განხორციელდა 04.06.2023). ასევე მნიშვნელოვანია მცირე საწარმოთა როლი აშშ-სა და იაპონიაში

(შესაბამისად სწარმოების დაახლოებით 80% და 97%, დადასაქმებულთა დაახლოებით 30% და 75%).

როგორც მსოფლიო საუკეთესო პრაქტიკით დასტურდება, რომ მცირე ბიზნესი ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელია, განსაკუთრებით უმუშევრობის მინიმიზაციის მიზნით, რამდენადაც უმუშევრობასთან ბრძოლის ერთ-ერთ ქმედითი საშუალებაა საკუთარი ბიზნესის ქონა. მცირე მეწარმეობის განვითარებისა თუ მხარდაჭერის ცალკეული საკითხების კვლევა ბევრი წამყვანი ავტორის კვლევის სფეროა. საკითხი ვფიქრობთ კიდევ უფრო მწვავეა ჩვენს ქვეყანაში, რამდენადაც სხვა საერთო გლობალურ საკითხებთან ერთად აქტუალურია მცირე ბიზნესის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის სისტემის ზოგადად და კონკრეტულად პროგრამების სრულყოფისა და ოპტიმიზაციის საკითხი. აღნიშნულის რელიზაციაში კი კარგი დამხმარე შეიძლება გამოდგეს, როგორც მსოლფოში არა ერთ ქვეყანაში არსებული საუკეთესო პრაქტიკის განცობა, მორგება ქართულ რელობაზე, ასევე ქართული რელობის (მცირე მეწარმეობის) მეცნიერული შესწავლა და სათანადო რეკომენდაციების გაკეთება (მოსიაშვილი, 2021) .

ძირითადი ნაწილი. ჩვენი კველვის ძირითადი მიზანი იყო დაგვედგინა/გამოგვევლინა რამდენად კარგად არის ინფორმირებული, შესაბამისად იყენებს მიკრო და მცირე ბიზნესის საელმწიფოებრივი ხელშეწყობის პროგრამებს უშუალოდ ეს სექტორი, ანუ ის მეწარმე სუბიექტები, რომლებიც ფლობენ/მისდევენ მცირე მეწარმეობას. ჩვენი ინტერესის სფეროს ასევე წარმოადგენდა მცირე ბიზნესის შეხედულებები რა სახის მხარდაჭერას ან დახმარებას საჭროებს სექტორი, რათა დროის მოკლე პერიოდში მიღწეული იქნეს მცირე მეწარმეობის და შედეგად ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპი.

გამოკითხვისთვის ჩვენს მიერ შერჩეული იქნა ფოკუს ჯგუფი, რომელშიც ვეცადეთ წარმოდგენილი ყოფილიყო მატერუალური წარმოებისა და მომსახურების სფეროში დაკავებული მეწარმეები, კერძოდ – მომსახურების სფერო (ვაჭრობა), აგრარული სექტორი, კვების მრეწველობა, ტურიზმი და სხვ. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 37 სექტორის წარმომადგენელემა, როგორც დედაქალაქიდან ასევე რეგიონების მასშტაბით.

საკვლევი კითხვები შემდეგნაირად იქნა ფორმულირებული:

1. იცნობთ თუ არა მიმდინარე ეტაპზე მცირე ბიზნესის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამებს;
2. გისარგებლიათ თუ არა მცირე ბიზნესის სახელწიფო მხარდაჭერის პროგრამებით;
3. რამდენად არის შესაბამისი არსებულ გამოწვევებთან და საჭიროებებთან მცირე ბიზნესის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის პროგრამები;
4. რომელი დარგია მიმდინარე ეტაპზე ყველაზე საინტერესო (მიმზიდველი) მცირე მეწარმეობისათვის;
5. სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის რომელი ღონისძიებებია შედარებით რელევანტური მცირე ბიზნესის განვითარებისათვის?
6. რამდენად პერსპექტიულია საქართველოში მცირე მეწარმეობის განვითარება?
7. რა უნდა გაკეთდეს რომ მცირე ბიზნესის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის პროგრამები იყოს მეტად შედეგის მომცემი.

უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმისა კვლევაში მონაწოლეობდა ეკონომიკის სხვადასხა სფეროს წარმომადგენელი მათი პზიციები ჩვენი კითხვარის პასუხების მიმართ დიდა არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. რესპოდენტთა აბსოლუტური უმრავლეობას კარგად იცნობს სახლემწიფოებრივი დახმარების პროგრამებს, რომელთა შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელ-მისაწვდომია ყველა დაინეტრესებული პირისთვის. კითხვაზე, უსარგებლიათ თუ არა სახელმწი-ფოებრივი მხარდაჭერის პროგრამებით პასუხი ცოტაოდენ მოილოდნელი იყოს, რამდენადაც ჩვენი რესპოდენტების დიდი ნაწილს არ უსარგებლია, და მეტიც მცდელობა/სურვილიც არ ქონდა მიეღო მონაწილეობა სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის/საგრანტო პროექტებში, რომლის ერთ-ერთ მიზეზად საკონკურსო მოთხოვნებს ასახელებენ, კერძოდ ბიუროკრატიული ხაისათს დოკუმენტაცის.

კითხვაზე, თუ რამდენად არის შესაბამისი არსებულ გამოწვევებთან და საჭიროებებთან მცი-რე ბიზნესის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის პროგრამები – მეწარმე რესპოდენტტა 22% ნეგა-

ტიურად და პესიმისტურად არის განწყობილი მსგავსი ხასიათის პროგრამებს მიმართ და თვლის, რომ ვერ პასუხობს არსებულ გამოწვევებს. ცოტაოდენ მეტი აფიქსირებს პოზიტიურ დამოკიდებულებას და აღნიშნავს, მცირე მეწარმების ხელისშემწყობი სახელმწიფო პროგრამები რომ სრულ თანხვედრაშია დარგში არსებულ მოთხოვნებთან, ხოლო უმეტესოა თვლის, რომ მართალია სრულად არა, მაგრამ მეტწილად შესაბამისია;

კითხვაზე მეწარმეები, რომელ სფეროს მიიჩნევენ შედარებით მიმზიდველად მცირე მეწარმეობისათვის, უმეტესობა ფიქრობს, რომ ეს არის ტურიზმის სექტორი, რამდენადაც პოსტპანდემიურ პერიოდში დარგში შეიმჩნევა და სავარაუდოც არის სწრაფი რებილიტაცია, მით უმეტეს საქართველოს ამ სფეროს განვითარების საკმაოდ კარგი რესურსი აქვს, და ბიზნესის დაწყებაც არ საჭიროებს სოლიდურ მსხილ ინვესტირებას. რესპოდენტების ასევე (დაახლოებით 25 %), ფიქრობს, რომ მცირე მეწარმეებსათვის ასევე საინტერესოა აგრარული სექტორი, მით უმეტეს მიკრო ბიზნესის დაფინანსების სახელმწიფოებრივი პროგრამები ხშირად სწორედ სოფლის მეურნების განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტირებული, თუმცა აქვე აღნისნავენ, რომ რისკები კვლავ მაღალია ამ სეგმენტში, რამდენადაც გარემო კლიმატურ პრობებზე დამკიდებულება კვლავ დიდია. ჩვენი აზრით საკმაოდ პიზიტიურია, რომ რესპოდენტთა სოლიდურმა ნაწილმა აღნიშნა, რომ მცირე მეწარმეებისათვის შესაძლებელია ყველა დარგი იყოს საინტერესო, შედეგის მომცემი, თუმ მეწარმე განხარციელებს სისტემურ და სტაბილურ ეკონომიკურ საქმიანობას არსებული გამოწვევებისა და საფრთხეების მაქსიმალურად გათვალისწინებით.

სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ღონისძიებების რელევანტურობასთან დაკავშირებით, მეწარმეები ფიქრობენ, რომ სასურველია რეგიონებში გამარტივდეს პროგრამებში მონაწილეობა, ასევე სახელმწიფო პროგრამები ორიენტირებული იყოს მწეარმეებსა და შედარებით დაბალკვალიფიციურ პერსონალს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებისათვის, შესაძლებელია ეს განხორციელდეს, თუდაც კონკრეტულ რეგიონში „საინფორმაციო ცენტრის“ შექმნით, სადაც დარეგისტრირდებიან დროებით უმუშევარი ადამინები, მიწოდებათ ინფორმაცია მოკლევადიან ან სეზონურ სამუშაოზე, რომელიც არ საჭიროებს მაღალ კვალიფიკაციას. მეწარმეებმა ასევე გამოთქვეს სურვილი მიკრო ბიზნესის წლიური შემოსავლის ზღვარის გაზრდის შესახებ.

მეწარმეთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ საქართველოში მცირე მეწარმების განვითარება ალტერნატივა არ აქვს მიმდინარე ეტაპზე, რადგან სწორედ ეს სექტორი უზრუნვეყოფს დასაქმების ზრდას და წარმოების შედარებით მაღალ ტემპს, თუმცა აქვე აღნიშნავეს სახელმწიფოებრივი ხელშეწყობის ღონიესძიებების აუცილებლობაზე.

კითხვაზე – რა უნდა გაკეთდეს რომ მცირე ბიზნესის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის პროგრამები იყოს მეტად შედეგის მომცემი – მეწარმეები ფაქტობრივად „თანხმდებიან“ იმ საკითხზე, რომ სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ უშუალოდ მცირე ბიზნესში ჩართულმა კვალიფიციაურმა პირებმა, რამდენადაც მათ ყველაზე კარგად მოეხსენებათ რა სახის ქმედითი, ზოგიერთ შემტხვევაშ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დახმარების პროგამებია საჭირო დარგის შენარჩუნებისა და პესპექტივაში განვიტარებისათვის, თუმცა რა თქმა უნდა აუცილებელია საერთასორისო დონეზე არსებული გლობალური ტენდენციების გათვალისწინება, სადაც სახელწიფო ხელისუფლების, დარგის ექსპერტების როლი სამოდ მნიშვნელოვანია.

მცირე ბიზნესის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ოპტიმიზაციის კვლევის პროცესში ჩვენი ინტერესის სფერო, ლკოგიკურია იყო დარგის ერთ-ერთი გამორჩეული მხარდამჭერის, მეწარმეობის განვითარებაზე ორიენტირებული და ხელისშემწყობის – სსიპ „აწარმოე საქართველოში“ (https://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka უკანასკნელი ვიზიტი განხორციელდა 04.06.2023) – განხორციელებული მიკრო და მცირე ბიზნესის გრანტით დაფინანსების სტატისტიკას გავცნობოდით და შეგვესწავლა რა რაოდენობის პროექტები იყო მათ შორის წარმატებული, სავარაუდოდ რა შედეგი მოიტანა „ინვესტირებამ“. როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ცანს 2015 წლიდან 2018 წლამდე პერიოდში სააგენტოს („აწარმოე საქართველოში“) მხარდაჭერილია 5313 პროექტი, ჯამური ინვესტიციის მოცლულობით 50 მილიონ ლარამდე. ხოლო 2018, 2020 და 2022 წლების მანძილზე განხორციელდა 2896 პროექტის დაფინანსება, რისტვის გამოყოფილი და ათვისებული იქნა 80 მილიონი ლარი. აღნიშნული პრეოქტების ეფექტურობის

დასადგენად/გასარკვევად ოფიციალური წერილით მივმართეთ სსიპ „აწარმოე საქართველოში“, გვაინტერესებდა – ***მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში დაფინანსების შემთხვევაში რა ვალდებულებები წარმოეშვება პირს რომელიც ისარგებლებს ამ დაფინანსებით თუ მის მიერ წარმოდგენილი ბისნეს პროექტი დაფინანსების შემდგომ არ განხორციელდება? ან განხორციელდება მაგრამ მეწარმე თავს გამოაცხადებს გაკოტრებულად? ასევე*** *მოვითხოვეთ* ***ინფორმაცია მომაწოდოთ ბოლო სამი წლის განმავლობასი რამდები ბიზეს პროექტი დაფინანსდა და მათ შორის რამდენმა შეწყიტა საქმიანობა სხვადასხვა მიზეზის გამო.***

უნდა აღინიშნოს, რომ მირებულმა პასუხმა ცოტაოდენ „დაგვაფიქრა“ მსგავსი კატეგორიის პროექტების ფეფექტურობაზე. გთავაზობთ პასუხს: ***ბატონო ვალერ, – „თქვენი, 2023 წლის 16 მარტის N262 წერილის პასუხად ... გაცნობებთ, რომ – სსიპ – აწარმოე საქართველოში არ აწარმოებს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დასრულებული პროექტების საქმიანობის მონიტორინგს“.***

აღნიშნულთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ სასურველია ისეთი სახის პროგრამა, როგორიც გახლავთ – სსიპ „აწარმოე საქართველოში“, რომელიც დარგის ერთ-ერთი გამორცეული და სოლიდური ინვესტორია, ასურველია ახორციელებდეს, როგორც გაცემული თანხის წინასწარ, ასევე მიმდინარე და დასკვნით მონიტორინგს, რომელიც სავარაუდოდ გაზრდის გაცემული ინვესტირების (თანადაფინანსების) ეფექტურობას და მეწარმე სუბიექტებიც მეტი პასუხისმგებლობითა და პროფესიონალიზმით მოეკიდებიან ნაკისრ ვალდებულებებს.

დასკვნა. ჩატარებულმა კვლევამ მოგვცა საშუალება გავცნობოდოდით მცირე მეწარმეობის აქტუალურ პრობლემებს, შეგვესწავლა და ანალიზი გაგვეკეთებინა სექტორისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის თავისებურებები, გამოგვევლინა მიმიდნარე ეტაპზე მცირე მეწარმეობისათვის დამახასიათებელია კანონზომიერბანი და სახლმწიფოებრივი მხარდაჭერის ტენდენციები. როგორც მეორადი, ასევე ჩვენს მიერ პირველადი ინფორმაციის მოძების გაცნობამ და ანალიზმა მოგვცა საშუალება გაგვეკეთებინა შემდეგი სახის დასკვნები და რეკომენდაციები:

- მიმდინრე ეტაპზე მცირე მეწარმეობის როლისა და მნიშვნელობის გარდა ეროვნულ ეკონომიკაში შესაძლებელი არის მიღწეული იყოს არსებული სახელმწიფოებრივი მსარდაჭერის პრიორიტეტების „გადახედვით“, რა დროსაც ვფიქრობთ ყურადრბა უნდა დაეთმოს ინოვაციურ მეწარმეობას საერთაშორისო ბაზარზე მცირე ბიზნესის გასვლის სტიმურიებით, რაც ასევე დამტკიცებულია განვითარებული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკით;

- ხელისუფლებამ მცირე მეწარმეობის აქამდე არსებულ პოლიტიკაში, ვფიქრობთ გარკვეული ცვლილებები უნდა შეიტანოს, რაც უნდა მოიცავდეს მცირე ბიზნესის არსებული სახელმწიფო მხარდაჭერის პერმანენტულად განხორციელებას თანდათანობითი ცვლილებაოპტიმიზაციის გზით, ხელშეწყობის პოლიტიკა „მორგებული“ უნდა იყოს ეროვნული ეკონომიკის გაბვითარების კონკრეტულ ეტაპზე არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარებასა და გამოწვევებზე;

- სახელმწიფოსა და მცირე ბიზნესს შორის ეკონომიკური ურთიერთქმედების სისტემა უნდა დაემყაროს ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში მეწარმების მხარდაწერის საყოველტაოდ გავრცელებულ მეთოდებსა და პრინციპებს, რაც თავის თავში გულისხმობს მისი (ურთიერთქმედების) ფორმების კომპლექსის ფორმირებას, რაც პირველ ყოვლისა რეალიზებული უნდა იყოსმცირე საწარმოების სტიმულირების მრავალფეროვან მიმართულებაში. მხარდაჭერა-სტიმულირების ფორმების/მეთოდების შერჩევის დროს, როგორც ამას მსოფლიო საუკეთესო პრაქტიკა აჩვენებს უნდა მოხდეს მკაფიოდ გამიჯვნა მეწარმეთა მხარდაჭერას შორის ეფექტიანი, ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ფარგლებშიდა ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის პირობებში (რაც რიგ შემტხვევებში აზარალებს მეურნეობის საბაზო პრინციპებს, არათანაბარ პირობებს ქმნის მეწარმეებისათვის);

- მცირე მეწარმეთა სტიმულირება-ხელშეწყობის სამამულო და უცხოური საუკეთესო პრაქტიკის ურთიერთშედარების საფუძველზე სასურველია მოხდეს ე.წ. მცირე ბიზნესის განვითარებაში სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის „ქართული სისტემის“ ოპტიმიზაცია, რაც თავისთავად მოითხოვს დარგის გაძლიერების მიმართლებით არსებული გამოწვევებისა და საფრთხეების გათვალსიწინებით რეკომენდაციათა კომპლექსის შემუშავებას;

- მცირე ბიზნესის მფლობელა, მენეჯერთა ინფორმირებულობის და კომპეტენტურობის ასამაღლებლად საჭიროა საინფორმაციო და საკონსულტაციო სისტემების ფორმირება-განვითარება;

- მცირე ბიზნესის განვითარების სტიმულირების მიზნით ხელისუფალმა შემდეგი მთავარი საკითხების გადაჭრა უნდა უზრუნველყოს: მცირე მეწარმეობის წახალისება იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტ დაუსაქმებელს (არასრულად, სეზონურად დასაქმებულს) გაუჩნდეს „საკუთარი საქმის“ დაწყების სურვილი, გადადგას პირველი ნაბიჯი; მცირე მეწარმეების (განსაკუთრებით დამწყები) სწავლება, რათა საკუტარი ბიზნესის წამოწყების პირველ ეტაპზე მაქსიმალურად მართებული და ეფექტური გადაწყვეტილებები მიიღოს; მცირე მეწარმეთა მხარდაჭერა წარმოებული პროდუქციის/მომსახურების რეალიზაციაში, მიიღონ პირველადი შემოსავლები ეს გაზრდის მოტივაციას, დაეხმარება საჭიროების შემთხვევაში დაეხმარება დამატებითი სახსრების მოძიებაში;

- ,,აწარმოე საქართველოში'' პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების მეტი ეფექტიანობისათვის სასურველია მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდასაჭერი გრანტების ფინანსური მხადაჭერა ითვალისწინებდეს პოტენციური ბენეფიციარებისათვის მიზნობრივი გრანტის გამოყოფას მაქსიმუმ 40 000 ლარის ოდენობით, ნაცვლათ არსებული 30 000 ლარისა რამდენადაც , როგორც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები ცხადყოფს ,208 წლიდან 2022 ლწამდე პერიოდში სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი გაიზარდა 151.4%-ით (https://www.geostat.ge/ka/modules/categories/28/samretsvelo-produktsiis-mtsarmoebelta-fasebis-indeksi უკანასკნელი ვიზიტი განხორციელდა 04.06.2023), შესაბამისად შემცირდა ლარის მსყიდველუნარიანობა.

- ვფიქრობთ აუცილებელია სსიპ „აწარმოე საქართველოში“ განახორციელოს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დასრულებული პროექტების მონიტორინგი, რთა მაქსიმალურად იქნას თავიდან აცილებული პროექტის დაფინანსების მიღების შემდგომი ფინანსური და მატერიალური სახსრების არაკეთილსინდისიერი განკარგვა;

- მცირე ბიზნესის სტიმულირების უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია მიკრო ბიზნესის სტატუსის მისაღებად დადგენილი ზღვარი 30 000 ლარის, ნაცვლად გაიზარდოს 60 000 ლარამდე. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის, რომ არსებული რეგულაცია მოქმედებს 2010 წლიდან (2010 წლის 31 დეკემბრის საქართველოს ფინანსთა მინისტრის N999 ბრძანების მეორე მუხლი), ხოლო ამ პერიოდიდან (2010 წლიდან) 2022 წლამდე პერიოდში ლარის მსყიდველთუნარიანობა შემცირდა 2.35-ჯერ (https://www.geostat.ge/ka/modules/categories/28/samretsvelo-produktsiis-mtsarmoebelta-fasebis-indeksi უკანასკნელი ვიზიტი განხორციელდა 04.06.2023).

გამოყენებული ლიტერატურა

1. მოსიაშვილი, ვ., (2021). მწვანე ინვესტიციები და მცირე ბიზნესი. „ეკონომიკა და ფინანსები“, 2: 147-162.
2. https://ec.europa.eu/eurostat [უკანასკნელი ვიზიტი განხორციელდა 09.11.2023].
3. https://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka [უკანასკნელი ვიზიტი განხორციელდა 12.11.2023].
4. https://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/Business-Development/microgrants [უკანასკნელი ვიზიტი განხორციელდა 04.06.2023].
5. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/28/samretsvelo-produktsiis-mtsarmoebelta-fasebis-indeksi [უკანასკნელი ვიზიტი განხორციელდა 12.11.2023]. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/28/samretsvelo-produktsiis-mtsarmoebelta-fasebis-indeksi [უკანასკნელი

ხელოვნება

ნინო კუტალაძე



სარჩევი

გულნაზ ხარაიშვილი 2
*** გული შენი რწმენით ცოცხლობს
ხატმწერები: **ხატია** და **გიორგი ლარიაშვილები**
„ ჯვარცმა“ 3
„ ფერისცვალება“ 4
დეისუსი 4
მამა გაბრიელი 5
გულნაზ ხარაიშვილი
უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი ილია II 6
მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი)..... 7
გულნაზ ხარაიშვილი
შევქმენ ჟურნალი 8

ჯგუფი ზღვარი

სერგი ლომაძე 9
კახა ბაციკაძე 10
გიორგი ზუხბაია 12

პოეზია

ამირან ამირანაშვილი 14
ბერდიაკონი ნეოფიტე 16
ნაირა უგულავა (ნია გორდელი) 18
ეთერ ჭერლიძე 20
ნინა გაჩეჩილაძე..... 23
გულიკო კაპანაძე..... 26
მზია ელიაძე 29
ვერიკო პარწიკანაშვილი..... 30
მალვინა ჭელიძე 34
ლალი სოხაძე 36
ედუარდ უგულავა..... 38
ნათია დაშნიანი..... 39
გერონტი მესხი 40
თემურ გოგსაძე..... 42
ირინა ბერიანიძე..... 45
ლიანა ჯანეზაშვილი-თათანაშვილი 48
მაგული კორძაია 50
მარინა დიერაშვილი 54
ნელი ტორონჯაძე..... 56
მზია გირგვლიანი 66
ირინა ხურციძე (ირინოლა ტყეშაველი)..... 70
თამრო ნიჟარახე 73
ნანა გიგუაშვილი 76
მარი კოლხელი..... 80
მზია ერგემლიძე 82
მანანა სამყურაშვილი 88
მაგული ჯინჯიხაძე-გამთენაძე 90
ვალია კვაშილავა..... 96
ნორა-ნორიკო მგელახე 98
მირზა ვარძუკაშვილი..... 100
მარეხი რიკაძე 102
გიგი თეთრაძე 104
თინა ბასაძიშვილი 106
სულიკო ჯამალაშვილი 108
მირანდა ზაბახიძე 112
ანზორ შერვაშიძე..... 114
იზა შუბითიძე..... 118
გიგლა ჭინჭარაული..... 119
მინდია ზვიადაური 120
ვოჩა ხარანაული 121
ლია ალადაშვილი 122
ეთერ ისაკაძე 124
თეა ბარბაქაძე 126
ნანა ჩარკვიანი..... 128
სოსო ტაბიძე..... 131
მზია გომართელი 132
გოჩა ჭაბუკაიძე 134
ნათია ჯიქურაშვილი 136
მთვარისა ზეინკლიშვილო 138
გვანცა პაატაშვილი..... 140
დავით მოდებაძე 144
ეთერ გაჩეჩილაძე 146
გიორგი ჯავახიშვილი 148
ნელი საგინაძე 151
ნელი გიუნაშვილი 154
ლამზირა შეყილაძე..... 156
ანამარია ლილუაშვილი..... 158
ია მაჭარაშვილი..... 160
ნინო უძილაური..... 162
მზიური დათიაშვილი-აფციაური 164
ლეილა გაფრინდაშვილი 166
ვაჟა ხურციძე (ჩორჩანელი)..... 167
დარეჯან მაჭარაშვილი 170
ეკა სურამელი..... 172
იზოლდა მოშიაშვილი 174
დარეჯან ღონღაძე..... 176
ლელა ბერძენიშვილი 178
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 180

მიძღვნები

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 185

თარგმანები

მზია კვირიკაშვილი ლოურენსი..... 193

საბავშვო განყოფილება

ცაგო აბაშმაძე 232
მარინა დიერაშვილი 234

არდავიწყება მოღვაწეთა

მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი 236

პროზა

რევაზ მიშველაძე 237
თინათინ ჭედია 247
ირაკლი ნადარეიშვილი 251
ნინა გაჩეჩილაძე 254
ირმა კეკელიძე 255
ხათუნა ჩიტაძე 261
ანზორ შერვაშიძე 263
ვერა აბდუშელიშვილი 265
გიული ერგემლიძე 267
ლია ჩუქოვანი-გოგრიჭიანი 268
ლეილა გაფრინდაშვილი 282
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 284

წერილები

ლუარა სორდია 301
ირმა კეკელიძე 309
ხათუნა ელიაშვილი 315

სიბრძნის სკივრი

ნაირა უგულავა (ნია გორდელი) 317

შემეცნებითი სამყარო

ნაირა უგულავა (ნია გორდელი) 320

ისტორია

ნიკო ხერკელაძე 323
გოჩა ჭელიძე 328

სამართალმცოდნეობა

ლალი ჩოდრიშვილი 336

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი, ბელა ნადოიანი 339

ხელოვნება

ნინო კუტალაძე 245

ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალი „ათინათი“ არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისამართით საქილიკო მასალებს, ჟურნალი არის სამეცნიერო შემეცნებითი, მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სითბოს, სიყვარულს, სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

მასალები მიიღება ელექტრონული სახით, საბოლოო სამუშაო Word-ის გაკორექტირებული ფაილი. რედაქცია პასუხს არ აგებს ავტორების გადმოგზავნილ მასალებზე.

შემოწირულობა ჩარიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი – TBCBGR 22

მიმღების დასახელება – შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემია.“

ანგარიშსწორების ნომერი – GE05TB7698236080100014

ტელ: 593 65 79 21

გარეკანის პირველ გვერდზე „წმინდა ნინო“, რეზო ადამიას შექმნილი ხატი და ბოლო გვერდზე ხატი „დედა ღვთისმშობელი ყმით“.

ჟურნალ „ათინათის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი:
გულნაზ ხარაიშვილი
რედაქტორი: ნანა სხირტლაძე

პასუხისმგებელი მდივანი: ემელიანე (რეზო) ადამია – მხატვარი, პროზაიკოსი

აკადემიის სწავლული მდივანი: მალხაზ ჩხიტუნიძე — ეკონომისტი

რელიგიის განყოფილების მთავარი რედაქტორი: მამა ამირან ამირანაშვილი
საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორები:
თეა კანდელაკი (აშშ მოქალაქე) – პოეტი, თემურ გოგსაძე – ადვოკატი, პოეტი

ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების
რედაქტორი: თენგიზ ფანცულაია — სამართალმცოდნე

სამეცნიერო განყოფილების რედაქტორები: ტიტე მოსია და ლუარა სორდია – პროფესორები.
ლიტერატურისა და პუბლიცისტიკური წერილების განყოფილების რედაქტორი: ეთერ ჭელიძე.

ხელოვნების განყოფილების რედაქტორები:
ნიკო ხერკელაძე – მხატვარი, პუბლიცისტი და გულიადა სანოძე – მსახიობი.
მედიცინის განყოფილების რედაქტორები: ნაირა უგულავა – ექიმი (პოეტი),
ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი ვალერი მოსიაშვილი – პროფესორი.
იურიდიული განყოფილების რედაქტორი ირაკლი ნადარეიშვილი — სამართალმცოდნე, პროფესორი (პოეტი).

რედკოლეგიის წევრები:
ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი) – მოგზაური
იური მამედოვი (აზერბაიჯანი) – მოგზაური
მარინე სხირტლაძე-საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი.
ლამზირა შეყილაძე — პოეტი
კომპიუტერული უზრუნველყოფა – დათო ყანდაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი,
პოლტავას აკადემია, III სართული, მეხუთე ოთახი.
ტელეფონი: 593 65 79 21;
შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე:
gulnazi5@bk.ru

დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალში“
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com